საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული პედაგოგიკის კლასიკოსები

ლუარსაბ ბოცვაძე

თხზულებანი

II ტ.

თბილისი 2024

Udc(უაკ)37.01
ბ-895

შეადგინა და შენიშვნები დაურთო საქართველოს
განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, პროფ. **ზურაბ ბოცვაძემ**

სახელთა საძიებელი დაურთო **ეთერ შუბითიძემ**

ტექნიკური რედაქტორი: **ეთერ შუბითიძე**
დაკაბადონება: **შალვა პაპალაშვილი**

გულწრფელ მადლობას ვუხდი საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, რათა დღევანდელი ძნელბედობის ჟამს წიგნებისა და მითუმეტეს სამეცნიერო-პედაგოგიური ლიტერატურის გამოცემის სამწუხარო მდგომარეობის ფონზე, კვლავ აგრძელებს სახელოვან ტრადიციებს და ქართველ საზოგადოებას შესთავაზა დიდი ხნის ნანატრი პედაგოგიკის კლასიკოსის, ლუარსაბ ბოცვაძის ოთხტომეულის მეორე ტომი. – **ზურაბ ბოცვაძე**

© ზურაბ ბოცვაძე, 2024
© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2024

ISBN 978-9941-9903-8-0 (I ტომის)
ISBN 978-9941-9866-6-6 (ყველა ტომის)

მიხეილ ზაალის ძე ყიფიანის ხსოვნას

/წერილი კავკავიდგან/

„არ დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა“

ორ მარტს შესრულდა სწორედ ათი წელიწადი მას შემდეგ, რაც ქართველმა ერმა დაჰკარგა ერთი წარჩინებული მამულიშვილი, იშვიათი მოღვაწე და კეთილის გრძნობით გატაცებული ადამიანი – მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი, რომელიც ოცს წელიწადზე მეტს ჰმსახურობდა თერგის ოლქში გამმიჯვნელ სამმართველოს უფროსად. ეს დიდი დანაკლისი სავალალო იყო არა მარტო ქართველებისათვის საზოგადოდ და კერძოდ კავკაველ ქართველებისათვის, რომელნიც განსვენებულმა მიხეილ ზაალის ძემ განაშორა გადაგვარების გზას, არამედ მთელის თერგის ოლქის მრავალ სხვა და სხვა ეროვან მკვიდრთათვის, რომელნიც ცხარე ცრემლით იგლოვდნენ ამ ღირსეულს და ყოვლის სიკეთით ღვთის მიერ უხვად დაჯილდოებულის ადამიანის გარდაცვალებას. განვლო ათმა წელმა და ამ დროის განმავლობაში, როგორც არა ერთხელ შეგვინიშნავს, მთელს თერგის ოლქში ვერ შეხვდებით ისეთ ადამიანს, ოჯახს, სადაც განსვენებულს მიხეილ ზაალის ძე ყიფიანს განსაკუთრებულის მოწიწებით და ღრმა პატივისცემით არ იხსენიებდნენ. მართლაც, იმდენი აუარებელი სიკეთე მიუძღვის განსვენებულს ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვაში, ეროვნულობისა და სარწმუნოების განურჩევლად, რომ ამდენი სიკეთის მომგონი ადამიანი მუდამ აღიჭურვება კეთილის გრძნობით და ყოველთვის კეთილად იგონებს თავისს მოამაგეს. განსვენებული მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი იყო იშვიათის თვისების ადამიანი, რომლის გარდუვალს აზრს ცხოვრებაში შეადგენდა მოყვასის უანგარო სიყვარული, ღრმა გრძნობა მოქალაქეობრივის მოვალეობისა, საზოგადო საქმისათვის თავგამოდებითი ზრუნვა და მაღალის იდეალებისაკენ მისწრაფება, მაგრამ ყველაზედ უფრო შესანიშნავია ის, რომ განსვენებულს მიხეილ ზაალის ძეს მთელს თავის სიცოცხლეში არცერთხელ არ უღალატნია იმ მიმართულებისათვის, რომელსაც თავიდან დაადგა. ამიტომ მისი შარავანდედით განსხივებული სახელი საუკუნოდ სახსენებელი და სამაგალითო იქმნება შთამომავლობისათვის.

ჩვენ აზრად არა გვაქვს ამ მცირე მოგონებაში აღვნიშნოთ ყველა ის ურიცხვი კეთილი საქმეები, რაც განსვენებულს გაუკეთებია საზოგადოდ სიცოცხლეში; ეს ისედაც ცხადია, ვინც იცნობდა განსვენებულს და მისს უანგარო მოღვაწეობას ხალხის საკეთილდღეოდ. ვიტყვით მხოლოდ ორიოდე სიტყვას იმის შესახებ თუ რა ამაგი მიუძღვის განსვენებულს მიხეილ ზაალის ძეს კავკავში ქართველთათვის სკოლის დაარსების საქმეში. ყველა საზოგადო საქმეში განსვენებულს სახელმძღვანელოდ ჰქონდა ქართული ანდაზა: „სანამ თონე ცხელია, პური აცხვე, – განელდება, ვეღარ გამოაცხობო“. მან შენიშნა, რომ კავკავში ქართველებმა მოიწადინეს სკოლის დაარსება: გაიგო ეს თუ არა, მაშინვე შეუდგა თავდარიგს. ერთს კერძო წერილში განსვენებული სწერდა ილია ჭავჭავაძეს: „აქ, კავკავში ქართველები ღარიბი ხალხია, რიცხვით 200 კომლი და ამათი წვრილფეხობა სრულიად უსწავლელნი რჩებიან ქართულის სასწავლებლის უქონლობით, მაშინ, როდესაც აქ ყოველივე თემის ხალხს აქვს თავიანთი სასწავლებელი და ამით არიან დაწინაურებულნიო“. განსვენებული მიხეილ ზაალის ძე სთხოვდა ილია ჭავჭავაძეს შემწეობას წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მხრივ და ბოლოს სწერდა: „იმედია ამის პასუხს ბეჯითად და სწრაფად შემატყობინებ, საქმე აქ სისწრაფეზე არის დამოკიდებული, ვიდრე ფიცხელის გულით არიან მოწადინებული, შემიძლიან პირობაც მალე ჩამოვართვა, თორე ვაი თუ გული გაუგრილდესთ“.

თუ რა სისწრაფით მოგვარდა კავკავში სკოლის გახსნის საქმე, სჩანს იქიდგან რომ ამ პირველი წერილის შემდეგ სამ-ოთხ თვეზედ ყველაფერი მზად იყო და სასწავლებელიც გაიმართა.

4 მარტს, კვირას განსვენებულის მოღვაწის გარდაცვალების ათის წლის თავს, აუარებელი ხალხის და განსვენებულის სახელის პატივისმცემელთა თანდასწრებით, აქაურს ქართულს ეკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარის და ყველას მიერ საყვარელის მიხეილ ზაალის ძის სულის მოსახსენებლად. აქაურის, განსვენებულის მიერ დაარსებულის სკოლის სამზრუნველო კომიტეტმა დაადგინა სკოლის მომავალში უზრუნველსაყოფად განსვენებულის სახელის პატივისმცემელთა შორის შეაგროვოს ხელუხლებელი თანხა განსვენებულის სახელობაზედ. იმედია, ამ კეთილს აზრს თანაგრძნობით მიეგებებიან კავკავის გარეშე მყოფნი პატივისმცემელნი სასიქადულო მამულიშვილის სახელისა. განსვენებულის მიერ დაწყებულის საქმის ხელის შეწყობით უფრო კეთილსახოვნად გახდიან ყველას მიერ საყვარელის, პატიოსანის და იშვიათის მამულიშვილის – მიხეილ ზაალის ძე ყიფიანის სახელს.

სასურველი ანდერძი

ამ დღეებში კავკავში გარდაიცვალა ქართველი ოსი ივანე ურთაშვილი, რომელსაც მემკვიდრე არავინ დარჩენია, გარდა ერთის დისა და ცოლად აყვანილის ერთის რუსის დედაკაცისა. განსვენებულს ურთაშვილს დარჩა სოფელს კავკასკაში, ყუბანის ოლქში, უძრავი ქონება, რომლის წლიური შემოსავალიც ამ ჟამად 2500 მ. უდრის. მთელი თავისი ქონება განსვენებულს ივანე ურთაშვილს ანდერძით გადაუცია იქაური ვაჭრის ივანე სიმონის ძის მესხიშვილისათვის შემდეგის პირობით: საზოგადო შემოსავლიდან აძლიოს თვიურად განსვენებულის დას თითო თუმანი და ცოლად აყვანილ რუსის დედაკაცს ხუთმეტი მანეთი. ამას გარდა სხვა შემოსავალი განსვენებულს ურთაშვილს გაუყვია სამ ნაწილად: ერთი მესამედი შემოსავლისა უანდერძებია ოსების სამრევლო სკოლისათვის, მეორე მესამედი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კავკავის სკოლისათვის და დანარჩენიც სხვა და სხვა საქველმოქმედო საქმეებისათვის შეუწირავს. ამნაირად, განსვენებულის ურთაშვილის ანდერძით, რომელიც ბ-ნს ივანე სიმონის ძე მესხიშვილს ეკუთვნის, ნაანდერძევის ქონების კარგად პატრონობით და მოვლით, რომელიც დამოკიდებულია ბ-ნის მესხიშვილისაგან, კავკავის ოსებისა და ქართველების სკოლებს მოემატება წლიურად, როგორც ამბობენ, ექვსას-ექვსასი მანეთი, რაც, რასაკვირველია, დიდად სანუგეშოა როგორც ქართველებისა, ისე ოსებისათვის და სასახელოა განსვენებულის ურთაშვილისათვის. ანდერძი განსვენებულის ურთაშვილისა მით უფრო მოსაწონია, რომ მას არ დაჰვიწყებია სიკვდილის დროს ქართველი დედის ძუძუ და ამაგი და ამისთვინაც განსვენებული უფრო ქართველობდა და ეს ზნეობრივი ვალი ყოველის ადამიანისა სიკვდილის დროს სასურველად მოიხადა.

განა ცოტა არის იმისთანა ადამიანი, რომელსაც ქონება ხელს უწყობს საკეთილო საზოგადო საქმისათვის, მაგრამ ამ უკანასკნელისათვის არც სიცოცხლეში და არც სიკვდილის შემდეგ არ უზრუნვიათ და არ ჰზრუნავენ? მათი ქონება სიკვდილის შემდეგ ყვავ-ყორანს რჩება და საზოგადო საქმეს კი არა ემატება რა.

ამასთან, ურთაშვილის ანდერძი გვითითებს საგულისხმიერო საგნისაკენ: ოსები და ქართველები, როგორც ორი მეზობელი ერი,

ისტორიულად შეკავშირებული ჭირში და ლხინში, საზოგადო საქმეში ერთმანეთს უნდა ეხმარებოდნენ. ამ აზრს მისდევდა და ანხორციელებდა თავის ცხოვრებაში კარგად ცნობილი ქართველი მოღვაწე მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი, რომელიც კავკავში ოცის წლის მოღვაწეობის განმავლობაში არა ნაკლებად იღწვოდა ოსების ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, ვიდრე ქართველებისათვის, განსვენებულის ყიფიანის მიერ დაარსებული კავკავის ქართული სკოლის კარები ყოველთვის გაღებული იყო და არის ქართველ ოსებისთვისაც, რომლის შვილები, კავკავის ქართული სკოლიდგან გამოსულები, ეხლა სწავლას აგრძელებენ სხვა და სხვა საშუალო სასწავლებლებში. ამიტომაც ანდერძი განსვენებულის ურთაშვილისა დაუვიწყარია.

კავკაველ ქართველების საზოგადო კრება

ათს ივნისს აქაურის ქართული სკოლის დარბაზში მოხდა კავკავის ქართველების საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრო ორმოცდა-თოთხმეტი წევრი საზოგადოებისა. კრების გახსნის წინ აქაური ქართული სკოლის სამზრუნველო კომიტეტის თავმჯდომარემ ბ-ნმა პ. ალ. გოთუამ მოახსენა კრებას, რომ წელს შესრულდა ათი წელიწადი მას შემდეგ, რაც აქაურმა ქართველებმა დაჰკარგეს საუკეთესო მამულიშვილი და დიდი მოამაგე ჩვენის სკოლისა მ. ზ. ყიფიანი, რომელიც სკოლის დაარსებიდგანვე გარდაცვალებამდის იყო თავმჯდომარედ აქაურის კომიტეტისა; ამასთანავე წელსვე გარდაიცვალა მეორე მოკეთე ჩვენის სკოლისა, თავადი ეროთეოს გიორგის ძე სიდამონოვ-ერისთავი, რომელიც ცხრა წლის განმავლობაში მუდმივ წევრად და თავმჯდომარედაც იყო კომიტეტისა. საზოგადო კრებამ ორთავეს ხსოვნას პატივი სცა ფეხზედ წამოდგომით.

ამის შემდეგ საზოგადო კრების თავმჯდომარედ არჩეული იქმნა ერთხმად პატივცემული სტ. იაკ. პოპოვი. კრებას საგნად ჰქონდა არჩევანი სამზრუნველოს ერთის წევრისა, სამის კანდიდატისა და ხუთის სარევიზიო წევრისა. კომიტეტის წევრად ხმის უმეტესობით არჩეულ იქმნა ექიმი მოსე ანთიმოზის ძე კალანდარიშვილი, კანდიდატად: ივ. დიმ. მაისურაძე, ტ. ბ. კახიძე და გრიგოლ ბურდული. ამათში ბ-ნმა კახიძემ კანდიდატობაზედ უარი განაცხადა და მის მაგიერ მოწვეულ იქმნა გიორგი ბურდული. სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: ზ. ლ. კიკნაძე, პ. მეფურნიშვილი, გ. ბურდული და ილ.

ბაქრაძე. ამ უკანასკნელმა მოუცლელობისა გამო უარი განაცხადა და მის მაგიერ მოწვეული იქმნა ი. ფ. კახაევი; არჩევნების შემდეგ ბ-ნმა პ. გოთუამ წაუკითხა საზოგადო კრებას 1900 წლის სამზრუნ-ველო კომიტეტის ანგარიში. ანგარიში იყო ისე დაწვრილებით შედ-გენილი, რომ არ აკლდა არც ერთი კაცი მოუხსენებლად, ვისაც ცოტა რამეც-კი გაუკეთებია მთელის წლის განმავლობაში სკოლის სასა-რგებლოდ. ეს ანგარიში, რომელიც მცირე შრომას არ მოითხოვდა შემდგენელის მხრით, მოიწონა საზოგადო კრებამ და გადაწყვიტა გადაეცეს სარევიზიო კომისიას. ანგარიშის მოსმენის შემდეგ წამო-დგა საზოგადოების წევრი ბ-ნი ტ. კახიძე და განაცხადა ის აზრი, რომ კომიტეტს წინად ჰქონდა გადაწყვეტილი აეღო სკოლისათვის ორი დესეტინა მიწა, ერთი ფასად და მეორე უფასოდ. შემდეგ კომიტეტს ეს ძველი დადგენილება დაურღვევია და სკოლის ახლოსვე აუღია ქალაქისაგან მხოლოდ ერთი დესეტინა მიწა უფასოდ. ამის შემდეგ ბ-ნმა კახიძემ ბევრი ილაპარაკა საზოგადოთ სოფლის სკოლებზედ სამინისტროს შეხედულობის შესახებ, ფიზიკურის შრომის მიჩვევის შესახებ პირველ დაწყებითს სკოლებში და ბევრი კიდევ სხვა, და ბო-ლოს განაცხადა, რომ ერთი დესეტინა მიწა, რომელიც სკოლის ახლო აუღია კომიტეტს უფასოდ, ხეხილები ჩაურგავს და ბოსტანიც მოუშე-ნებია, საკმარისი არ არისო და ამიტომ ძველი დადგენილება ორი დესეტინის შესახებ კომიტეტს არ უნდა შეეცვალაო. ამაზედ ბ-ნმა გო-თუამ უპასუხა: დღეს ის ერთი დესეტინა, რომელიც უფასოდ ავიღეთ ქალაქისაგან, სრულიად საკმაოა იმ საქმის დასაკმაყოფილებლად, რომელიც აზრად ჰქონდა კომიტეტს მიწის შეძენის დროს, ხოლო ამის შემდეგ თუ კი აუცილებლად საჭირო შეიქმნება ფულად მიწის შეძენა, იქვე ახლოც შეიძლებაო. ამ დროს კრების თავმჯდომარემ სთხოვა მსურველს წარმოეთქვა თავისი აზრი ამ საგნის შესახებ. საზოგადო კრებამ გადაჭრით ვერაფერი წარმოსთქვა. ამ საკითხის გადაწყვეტა და ყოველის მხრივ განხილვა გადაეცა კერძო კომისიას, რომელსაც შეადგენენ ი. მაისურაძე, ის. ელერდაშვილი, ს. მეფურნიშვილი, მაკ. კვიჟინაძე და გ. ბარათაშვილი, რომელთაც კრებამ დაავალა სკო-ლის კომიტეტთან ერთად აღძრული საკითხის ყოველის მხრივ გა-მოკვლევა და საზოგადო კრებისათვის მოხსენება. ამას გარდა ბ-ნმა კახიძემ მოითხოვა შეეტანათ ოქმში ის აზრი, რომ სკოლის სამზრუნ-ველოს არ მოუხსენებია საზოგადო კრებისათვის 1899 წ. ანგარიში და ამასთან ისიც, რომ კომიტეტს არ ჰქონდა უფლება მოეწვია სა-რევიზიო კომისიის წევრნი საზოგადო კრების დაუკითხავადაო. ამის

შემდეგ კრება დაიშალა. კრების დაშლის წინ ბ-ნმა პ. გოთუამ გამოუცხადა საზოგადოებას, რომ ქალაქის თავისაგან უფლება ავიღეთ საქალაქო ბაღში აგვისტოს უკანასკნელს რიცხვებში გავმართოთ სახალხო სეირნობა ბაზრითურთ და ვალდებულნი ვართ ყველამ ხელი შევუწყოთ ამ საქმესაო.

ПО ВОПРОСУ ОБ ОБРАЗОВАНИИ ИНОРОДЦЕВ

Одним из важных вопросов образования инородцев служит правильная постановка преподавания русского языка в школах. Этот вопрос многие понимают своеобразно и толкуют с разных точек зрения. Г. Ом в начале своей статьи, напечатанной в No 5673 „Нов. Обозр.“, высказывает ту мысль, что в инородческих школах на русский язык смотрят только как на обязательный государственный язык, но не как на средство к приобретению более обширных познаний, потому заключает Г. Ом. : „правильное изучение русского языка затруднительно“. Эта мысль, по нашему мнению, навеяна Г. Ом. разбором учебника г. Левитского, но если бы Г. Ом. просматривал и другие учебники по русскому языку, употребляемые в качестве учебного руководства в туземных школах и которые дают детям инородцев прежде всего знание языка, а потом разные познания на русском языке, то пожалуй Г. Ом. не вывел бы такого заключения. Впрочем, в рассуждениях Г. Ом. между положениями, высказанными им, в логическом отношении, существенной разницы не находит — русский язык с какой бы точки зрения ни преподавался в школах инородческих, если учебник составлен целесообразно, применительно к школам тех или других инородцев и обучение языку ведется методично, правильно, а не схоластически, то и на изучаемом языке можно, конечно, приобрести достаточные познания опять-таки при известной постепенности и последовательности в обучении. На первых порах, пока учащиеся не ознакомятся с языком более или менее свободно, нельзя требовать от элементарной туземной школы „обширных познаний“ на непонятном языке. Учитель, который с первых же ступеней обучения в инородческой школе задается целью вести преподавание на непонятном языке, наносит непоправимый вред как общему развитию инородческих детей, так равно и вполне сознатель-

ному изучению русского языка инородцам. Всякий, кто хорошо знаком с туземными начальными сельскими школами, безусловно согласится, что в настоящее время туземная сельская семья и городская за малым исключением отдают в школу детей, совершенно не подготовленных к школьным знаниям и говорящих только на родном языке, но большею частью не имеющих ясного представления об окружающих предметах. Естественно, что с такими детьми до поры до времени занятия должны происходить исключительно на родном языке, на котором дети говорят при поступлении в школу. Уроками русского языка, как их искусно ни веди, особенно в начале обучения, не согреешь сердца детей, не воодушевишь их. Один из известных русских педагогов г. Бобровников весьма основательно замечает, что „дети выигрывают и в развитии и особенно в знании русского языка, основательное усвоение которого требует усиленной умственной самодеятельности учащихся, если учитель на первых порах не гонится за быстрыми видимыми успехами на русском языке, а прежде всего заботится о подъеме душевных сил ребенка, о пробуждении в нем религиозного чувства. Душевные силы ребенка не разделяются на обособленные способности, нельзя развивать знание ребенка, не развивая его сердца. Жизнь ребенка, вся целиком исходит из его сердца и в нем сосредотачивается. Раз учитель забыл это и хлопочет только о скорейшем накоплении знания, – он сам подрывает корень, из которого ребенок получает свои силы“.

В деле изучения языков современные ученые и компетентные люди науки единогласно приходят к заключению, что дитя прежде всего должно научиться свободно говорить и думать на своем родном языке, оно должно усвоить основательно дух его, что по большей части достигается, по мнению г-жи М. Манасеиной тогда, когда в распоряжении оказывается уже более 2.000 слов. Каждый ребенок прежде всего должен научиться и освоиться со своим родным языком. Родной язык должен составить в душе каждого человека тот фундамент, на который должен опираться при последующем изучении всех остальных языков, и лишать человека этого фундамента значит то же, что строить здание на песке. („Основы воспитания“. М. Манасейна, стр. 126).

Мы выше говорили, что инородческий ребенок, поступивший в школу, не обогащен еще достаточным количеством представлений и понятий, он не усвоил еще родного языка в должной степени – если таким детям при поступлении в школу с первых же дней будут преподавать

совместно и родной и непонятный язык, то это обстоятельство не может не отразиться вредно на языке, а вместе с тем и на мышлении ребенка. Из психологии мы знаем, что понятие, образовавшись в душе, закрепляется словом и тем выделяется от других понятий, если же ребенку для обозначения одного и того же понятия приходится запомнить несколько названий, на нескольких языках, то это невольно ведет к сбивчивости понятий и мышления. По этому вопросу один из компетентных педагогов говорит: „Кроме сбивчивости понятий, приучение ребенка к иностранным языкам, прежде чем он не усвоит родную речь, прежде чем формы последней не отпечатаются в его душе, ведет еще к тому, что он не научиться порядочно ни одному языку. Формы различных языков его сбивают. Пускай ребенок сначала несколько обогатится представлениями и понятиями и закрепит их словами отечественного языка, пускай он прежде несколько свыкнется с формами родного языка и тогда уже можно приступить к ознакомлению его и с другими языками“. („Общая педагогика“, Ельницкого, стр. 144).

„Вообще каждый ребенок, по словам г-жи М. Манасеиной, какой бы он ни был, должен научиться перво-на-перво говорить, читать и писать на своем родном языке, которому среди всех изучаемых языков должно быть отведено совершенно особое место; так например, все ласки матери и отца, все задушевные разговоры их с детьми, должны всегда происходить исключительно только на коренном родном языке каждого. В этом отношении не следует допускать никаких исключений: святая святых душа каждого человека должна всегда быть вся соткана из словесных знаков того языка, на котором в течение многих столетий, целых тысячелетий думали и говорили предки каждого. Эту необходимость, отводить родному языку первое место в психическом мире каждого, сознавал уже и Амос Коменский“.

И действительно, все добрые начала воспитания должны быть положены в детском возрасте. На ребенка действуют путем слова и примера. Какое же слово вразумительнее родного? Как справедливо то обстоятельство, что если мы станем говорить ребенку, на родном языке, будет ли то ласка, или наставление, каждое слово наше врезается ему в память или затронет его сердце, как никакие речи на чужом языке! Наставник способен действовать на ребенка ребенок способен понимать его, повиноваться ему.

Покойный Н. И. Ильинский в своей системе образования инородцев, которая веет истинно-научным и гуманным чувством, был твердо убежден, что важнейшим средством для просвещения инородцев и сближения их с русским народом должен быть р о д н о й язык каждого племени. В течение первых двух лет по этой системе все преподаваемые предметы изучаются на родном языке. Ознакомление с русским языком ведется исподволь, не спеша, сначала в малых размерах, так как большая часть классного времени отводится просвещению детских умов и сердца на родном языке инородцев. Затем, когда учащиеся инородцы прошли приблизительно курс школы грамоты, приступают к прохождению программы начальных училищ и на русском языке с помощью родного языка. О результатах названной системы бывший инспектор народных училищ, в настоящем директор казанской учительской семинарии г. Анастасиев пишет: „На выпускных экзаменах как в беседах с экзаменаторами, так и в пересказе читаемых статей дети обнаруживают, – говорю на основании личных и продолжительных наблюдений, – достаточные познания в языке русском, очень порядочную грамотность и удовлетворительные навыки в счислении, а что всего важнее, твердое знакомство с основами прославленой веры и христианскую настроенность“.

Покойный Ильинский, как гуманный педагог и вместе с тем и истинный русский патриот, который желает постепенного сближения инородцев с русскими, отдавал особое место языку инородцев. В одном месте он пишет: „Мышление народа и все миросозерцание выражается в его родном языке. Кто владеет языком инородцев, тот принимает, хотя бы только инстинктивно, миросозерцание их. Кто говорит с инородцами на их родном языке, того они легко понимают, и могут убеждаться его доказательствами, потому что вместе с словами он употребляет их же элементы мысли. Таким образом и с гуманной точки зрения учебные и вообще образовательные книги для инородцев должны быть изложены и преподаны на их родном языке в подлинном, чистом его виде“.

Конечно, как говорит г. Ом. на всякое образование нужно смотреть, как на образование, но только как на образование правильное, естественное, при этом никогда не следует упускать из виду средства, разные приемы и более рациональные методы для наилучшего достижения цели образования вообще и инородческих детей в особенности. Этот не менее важный вопрос остается не разъясненным в статье г. Ом.

Я писал („Нов. обозр. No 5556), что при изучении русского языка мысль инородческих детей перевоспитывается и указывал на различие синтаксического строя русского и инородческих языков. Для лучшего пояснения этой мысли мы укажем на авторитетное слово Вильгельма Гумбольдта, который внес полнейшую ясность в понимание сущности языка. Он говорит: „Речь есть орган для выражения мысли. Умственная деятельность, имеющая вполне духовный, внутренний и безследно проходящий характер, с помощью звука речи становится внешнею и доступною внешним чувством. Таким образом, деятельность эта составляет нечто единое и неразрывное. Неразрывная связь мысли, орудий голоса и слуха с речью коренится в первоначальном устройстве человеческой природы“.

Инородческий ребенок, поступивший в школу, думает, мыслит на родном языке и слова всегда располагаются в таком порядке, какой привычен родному языку, если такой ребенок будет думать и располагать русские слова в том порядке, какого требует родной язык, то в большинстве случаев выйдет безсмыслица, значит инородческий ребенок должен воспитать свою мысль в духе изучаемого языка, а так как между умственною деятельностью, мышлением и словом есть тесная связь, так что от изменения одного изменится и другое, то при изучении языков с детьми, мышление их должно перевоспитываться в духе изучаемого языка.

Мы по опыту знаем, что инородцы из числа простых рабочих, пастухов, грамотных на родном языке, охотно покупают учебники-самоучители и заучивают оттуда слова по мере надобности, а старательные ученики инородческих школ и на уроках и в свободное время дома самостоятельно выучивают по такому учебнику русские слова сотнями, чего нельзя сделать ни по одному из учебников, употребляемых в чисто русских школах. Доказательством служат слова покойного Ильинского: „Учась наравне с русскими крестьянскими мальчиками исключительно по русским книгам, инородец многого не понимает или понимает неправильно и, главное, не может приобретенных им сведений облечь в живую форму своего языка“. Другой педагог г. Бобровников, много потрудившийся в деле образования инородцев констатирует такой факт: „Я слышал от инородцев, что каждый из них, когда берет первый раз русскую книгу, испытывает чувство ужаса, страха перед целым, так сказать, морем слов и выражения, которые стоят перед ним. А что по чисто

русским учебникам инородцу очень трудно научиться русскому языку, об этом говорят вопиющие факты“. Вот,что мы читаем по этому вопросу в „Терских ведомостях“: „В настоящее время в школах Осетии русский язык преподается по таким учебникам, которые вовсе не предназначались составителями для инородческих школ. В виду этого учащиеся плохо усваивают русский язык, так что за 5-6 лет учения не могут не только понимать прочитанного, но и объясняться более или менее бегло. Чтобы парализовать хотя бы несколько подобные явления, в аранском отделении епархиального училищного совета возникла мысль о введении в осетинских школах руководства г. Гогебашвили, составленного специально для инородческих школ и введенного не только на Кавказе, но и в инородческих школах Казанской губернии“.

О необходимых достоинствах учебников по русскому языку в инородческих школах мы скажем ниже, а пока разберем, какие доводы выставляет г. Ом. в пользу „Родного слова“ Ушинского, которое, как сам г. ом. свидетельствует, „не преподается в народных начальных школах, в том числе и инородческих“. Мой вывод касательно „Родного слова“ был основан именно на опыте, кто не помнит, что несколько лет тому назад „Родное слово“ в кавказских туземных школах играло видную роль учебника русского языка. Относительно непригодности его писалось немало, между прочим и на страницах „Нового обозрения“. „Родное слово“ не дает действительного знания русского языка, язык „Родного слова“ преимущественно народный, который грешит и против грамматики, а инородцы нуждаются в чисто литературном языке. Что касается „последовательности переходов от элементарной Формы языка к наиболее сложным“ и в этом отношении этот учебник не годится для инородческих школ, потому что самая легкая форма языка для русских часто оказывается самою трудною в смысле произношения для инородцев. Далее г. Ом. пишет: „первая часть этого учебника дает громадный запас слов отдельных понятий, которые, конечно, очень ценны для ребенка-инородца и могут, благодаря рациональному расположению этих слов в учебнике запоминаться без особенного труда“. Но и в этом мы не согласны с г. Ом. – запоминать отдельные слова в отделе классификации предметов составляет весьма тяжелое бремя для памяти учеников-инородцев. Сам покойный Ушинский на основании психологии верно замечает, что „нет ничего труднее как заметить ряд слов на чужом нам языке“. Кроме этого эти отдельные слова в „Родном слове“ расположе-

ны совсем нерационально – в „Родном слове“ преобладает дедуктивный метод вместо индуктивного, имеющего преобладание и преимущество в элементарном курсе на основании закона педагогики – переходит от частного к общему. С постепенным развитием педагогической науки и учебники должны развиваться безусловно, но „Родному слову“ не посчастливилось в этом. После Ушинского в педагогической литературе сделаны новые открытия, многие истины при Ушинском – теперь считаются устаревшими. Даже при жизни сам покойный Ушинский, по словам лучшего его биографа А. Фролкова, „увидев неудобство в применении „Родного слова“ в народной школе в том виде, в каком оно было издано впервые, хотел сделать в нем значительные перемены, но не удалось“, так как последовала преждевременная кончина великого педагога.

В последнее время „Родное слово“ постепенно выходит из употребления в русских начальных школах и это многие находят желательным; один из педагогов-писателей г. Житомирский относительно „Родного слова“ выражается так: „из всех учебников смешения грамотность в тесном смысле, и первоначального чтения, как воспитательного начала, нет только в учебнике „Родное слово“ Ушинского, потому этот учебник так усердно изгоняют из народных школ“. Итак, если „Родное слово“ усердно изгоняется и изгнано уже из чисто русских народных школ и есть на это разумное основание, то по нашему мнению, не должно быть никакого резона рекомендовать его инородческим школам, для которых оно вовсе не было приноравлено и с самого начала. Пишущий эти строки сам учился в начале по „Родному слову“, и нужно было представить, каким дремучим лесом представлялось оно для него. В России за последнее время стало появляться не мало учебников по русскому языку для инородческих школ. Большинство из этих учебников, помимо того, что лишено самого необходимого систематического изложения материала, расчитано для употребления в инородческих школах, начиная от „Финских хладных скал до пламенной Колхиды“. Это, по нашему мнению, самая грубая педагогическая ошибка в деле правильного образования инородцев и правильной постановки преподавания русского языка в инородческих школах.

Мы глубоко убеждены, что всякий учебник русского языка в инородческих школах, в известной степени, должен выполнять и роль учебника родного языка и между учебниками родного языка более или менее культурных инородцев и русским учебником должна быть по

возможности установлена тесная связь, материалы для этих учебников большею частью должны быть взяты и из местной жизни на том педагогическом основании, что всякое правильное развитие вообще зависит от вполне ясного и сознательного усвоения впечатления от всего, что нас окружает, иначе приобретаемые нами знания, понятия, чувства и желания будут неясны, неверны, не основательны, безпорядочны и следовательно все развитие детей будет неправильно. Совсем другое дело, когда в русских учебниках для инородческих школ наряду с чисто русскими литературными произведениями, видим статейки, рассказы, повести и сказки из местной бытовой жизни тех инородцев, для которых учебник предназначен. Такие статьи, представляя изложение и описание местных явлений, местных предметов, могут быть вполне понятны учащимся в элементарном курсе и при чтении их преподаватель легко может разъяснить детям местные предрассудки, суеверия и наглядно показать всю несостоятельность их, а это имеет весьма важное значение для воспитания и образования к лучшей жизни подрастающего поколения. „Теперь все для жизни и все в жизни“, и местныя училища, по мере возможности, должны быть первым долгом для местной жизни.

Удовлетворяя требованиям местной жизни солидарно с требованиями педагогических правил, местные училища своею деятельностью принесут обильную пользу как всему государству, так и всему человечеству вообще и в частности тем народам, для которых училище служит просветительным учреждением. Иначе все обучение в наших школах, а в инородческих в особенности, будет вполне теоретическое, отвлеченное и неприложимое к местной жизни. „Дело школы, – говорит В. Я. Стоюнин, – можно рассматривать только в связи со всеми условиями жизни того народа, для которого она предназначается“.

На основании вышеизложенного мы приходим к тому заключению, что является весьма желательным и даже необходимым для правильного развития инородцев и сближения их с русскими, чтобы составлялись учебники русского языка применительно к жизни каждого инородца.

В заключение мы совершенно согласны с г. Ом., что преподавание русского языка в инородческих школах требует значительной формы, и в этом должны принимать участие не только одни учителя инородческих школ, но и все просвещенные люди, для которых правильное образование народа и вместе с тем правильная педагогическая постановка преподавания русского языка в этих школах считаются священным делом.

ბ-ნ პ. გოთუას „ღია წერილის“ გამო

„ცნობის ფურცლის“ მე-1638 №-ში დასტამბულია ბ-ნ პ. გოთუას ღია წერილი ი. გოგებაშვილის მიმართ. არა გვგონია, რომ კავკავის ქართველებში, რომელნიც კი კარგად იცნობენ აქაურს სკოლას, ბევრი თანაუგრძნობდეს ყველა იმ აზრს, რაც გატარებულია ბ-ნი გოთუას წერილში. ამ ახირებულს კინკლაობაში, რომელმაც ამდენი მითქმა-მოთქმა ასტეხა კავკავის სკოლის შესახებ დეპეშებით თუ წერილებით, რასაკვირველია, არც მე დამტოვეს უყურადღებოდ და რამდენიმე მათრახი ჩემსკენაც გამოიწვდინეს. საზოგადოდ არც მე მომწონს, რომ უბრალო საქმის გამო დაუსრულებელი პოლემიკა გაიმართოს, ამიტომ არც ჩვენ შევუდგებით ბ-ნი გოთუას მიერ წარმოთქმული აზრების განმარტვას. ვიტყვი მხოლოდ ორიოდ სიტყვას ერთის საგნის შესახებ, რომელიც ასე თუ ისე შეცდომით აღუნიშნავს თავის წერილში.

შარშან კავკავის სკოლა დაათვალიერა გამგეობის წევრმა გ. იოსელიანმა და რევიზიის დროს აღმოჩნდა, რომ მეოთხე განყოფილების მოწაფეები სუსტობდნენ რუსულ ენაში, არ ჰქონდათ გავლილი იმდენი მასალა, რაც პროგრამით მოითხოვებოდა, მაგრამ ამას თავისი მიზეზი ჰქონდა და დარწმუნებული ვიყავი, რომ ბ-ნი იოსელიანი თავისს ანგარიშში ამ მიზეზსაც მოიხსენებდა. ამიტომ ჩვენ სრულიად არ გვწყენია ის, რომ გამგეობამ შარშანდელ ანგარიშში დაბეჭდა – „მეოთხე განყოფილებაში რუსული ენა კოჭლობსო“, რადგანაც დარწმუნებული ვიყავი, რომ გამგეობას ეცოდინებოდა ის მიზეზი, თუ რის წყალობით იყო სუსტი მეოთხე განყოფილება წლის დასაწყისში. ბ-ნი გოთუა სწერს ამ განყოფილების შესახებ: „მეოთხე განყოფილებაში რუსულ ენას ასწავლის უფროსი მასწავლებელი. იგივე უფროსი მასწავლებელი ასწავლიდა რუსულ ენას უწინაც“. აქედან მკითხველი, ვინც საქმის გარემოება არ იცის, უსათუოდ იმ დასკვნას გამოიყვანს, რომ ეს განყოფილება სულ უფროსი მასწავლებლებისა ყოფილა და მას რუსული ენის სწავლების საქმე კარგად ვერ წაუყვანიაო. ბ-ნმა გოთუამ კარგად იცის ხსენებული განყოფილების სისუსტის მიზეზები რაში მდგომარეობდა და მე მხოლოდ მიკვირს თუ რად მომაწერა ის, რაც არ ყოფილა. ხსენებულმა განყოფილებამ, ვიდრე ჩემამდის მოაღწევდა, ორი-სამი მასწავლებელი გამოიცვალა,

რომელნიც სულ სხვა-და-სხვა წესით ხელმძღვანელობდენ სწავლების დროს. ამასთან, მეორე განყოფილებაში მას ჰყავდა ახლად კურს-შესრულებული, სწავლების საქმეში სრულიად გამოუცდელი მასწავლებელი. ეს განყოფილება პირველს რევიზიაზედ გამოსცადა ბ-ნმა გ. იოსელიანმა და აღმოჩნდა ყველა საგნებში ცუდად მომზადებული, მაგრამ ყველაზედ უფრო ცუდათ იცოდნენ რუსული ენა, რომელშიაც ორჯელ მოვახდინეთ ეგზამენი, მაგრამ მაინც არა გამოდნა-რა. მათი გადაყვანა შემდეგს განყოფილებაში შეუძლებელი იყო ცოდნის მხრით. ამ აზრს დაადგა ბ-ნი იოსელიანიც, მაგრამ რადგანაც ყველა მოწაფეების დატოვება დიდს უსიამოვნებას გამოიწვევდა აქაურს ქართველებში და მშობლებში, ამიტომ ამ საზოგადო უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად წინადადება შევიტანე — გადაგვეყვანა შემდეგს განყოფილებაში სულ ყველა და მე დავიკისრე მათი სწავლება. სწორედ ერთის წლის შემდეგ ეს განყოფილება ნახა ისევ ბ-ნმა იოსელიანმა. რასაკვირველია, ერთს წელიწადს ორ განყოფილებაში მეცადინეობის დროს შეუძლებელი იყო გადამეჩვია ბავშვებში უკანონო გამოთქმა, გამემეორებინა მეორე წლის კურსი და მესამე წლის პროგრამაც შემესრულებინა. ამიტომ წლის დასაწყისში მეოთხე განყოფილების მოწაფეებს კიდევ ეტყობოდათ სისუსტე. მეორე განყოფილებაში რომ სუსტად მიდიოდა სწავლის საქმე ამას ყურადღებას აქცევდა სახალხო სკოლების დირექციაც. პირველ რევიზიის დროს სახალხო სკოლების დირექტორმა მე, როგორც უფროსს მასწავლებელს, დამავალა ხელმძღვანელობა გამეწია გამოუცდელი მასწავლებლისათვის სწავლების საქმეში, მიმეცა გაკვეთილები და მეჩვენებინა კანონიერი წესები სწავლებისა. მაგრამ, რადგანაც ჩემი ჩარევა საქმეში მაშინდელმა სკოლის გამგემ სათაკილოდ მიიღო და წინააღმდეგი ურჩია გამოუცდელ მასწავლებელს, მეც იძულებული შევიქენი თავი დამენებებინა ხელმძღვანელობისათვის.

მეორე განყოფილებაში რუსული ენის ცუდათ სწავლებამ გამოიწვია წადილი არა სასურველის ცვლილებისა: ყოფილმა და ეხლანდელმა გამგემ სკოლისამ მხარი მისცეს ერთს არა სასურველს მოთხოვნილებას, რომლის ძალით რუსული წერა-კითხვა, ვითომ ენის კარგად შესწავლისათვის, პირველ წელსვე უნდა შემოეღოთ სკოლაში და შეეცვალათ მთავრობის მიერ დამტკიცებული სკოლის პროგრამა. მე ამ რეფორმის წინააღმდეგი ვიყავი იმ თავითვე და ვამტკიცებდი, რომ ესეთი ცვლილება მავნებელი იქნება ჩვენი ბავშვების კანონიერად სწავლებისა და აღზრდის მხრივ და ამით რუსულ

ენასაც ვნებას მოუტანს-მეთქი, საჭიროა მხოლოდ თავიდანვე წესიერად სწარმოებდეს სწავლების საქმე და ამას ნაყოფიც სასურველი მოჰყვება-მეთქი.

რომ ცხადათ და საქმით დამენახვებინა ყველასათვის ჩემი სიტყვების სიმართლე, მეორე წელს მე თვითონ ავიღე მეორე განყოფილებაში რუსული ენის გაკვეთილები. წლის ბოლოს მოვიწვიეთ ყველანი, ვინც რეფორმის მომხრე იყვნენ, რომ ენახათ შედეგი კანონიერის სწავლებისა სკოლის პროგრამმის მიხედვით და წარსულ წელთან შედარებით, მაგრამ არავინ ინება მობრძანება. ის განყოფილება ამ ჟამად მეოთხე განყოფილებას შეადგენს, რომელსაც ეხლა მესამე წელია, რომ მე ვასწავლი და თუ ვინმე სრულიად მიუდგომელი და საქმის მცოდნე ადამიანი დაიწუწუნებს მათ რუსულს ან სხვა საგნებს, მე მაშინ იძულებული შევიქმნები ჩემი მასწავლებლობის მცირედი გამოცდილება უკუ-ვაგდო და მივიღო იმათი აზრი, რომელთაც სასურველად და სასარგებლოდ მიაჩნიათ ჩვენს სკოლაში პირველ დღიდანვე უცხო ენის სწავლების დაწყებინება.

ამნაირად, იმ განყოფილების სისუსტის მიზეზი, რომელიც ბ-ნმა რევიზორმა მოიხსენია და ბ-ნმა გოთუამაც იხელმძღვანელა თავისს წერილში, სულ სხვა გარემოება ყოფილა და არა მარტო უფროსი მასწავლებელი, როგორც შეიძლება იფიქროს მკითხველმა. ეს ყველაზე უფრო ცხადი ბ-ნ გოთუასათვის უნდა იყოს და მე სრული იმედი მაქვს, რომ ამაში დამემოწმება კიდეც.

Неестественность „естественного“ метода в деле обучения языкам[1]

В последнее время в нашей печати, в особенности педагогической, стали появляться статьи, трактующие об обучении инородцев русскому языку по „естественному“ или натуральному методу. Основное побуждение почти всех авторов этих статей весьма симпатично: оно, как следует полагать, заключается в том, чтобы облегчить ученикам инородческих школ усвоение русского языка. Но если всмотреться поглубже и хорошенько разобрать этот метод с научно-педагогической точки зрения, то на деле увидим далеко не облегчение, а нечто совершенно противоположное.

„Естественный метод, по учению его сторонников, требует: „учись чужому языку так, как ты учился языку своей матери“. В практическом применении этот метод требует, чтобы учитель вовсе не пользовался языком, на котором говорят дети, поступающие в школу, а всего лучше, если учитель не будет знать вовсе языка своих учеников. Таким образом принцип, на который опирается „естественный“ метод, заключается в том, что при преподавании иностранных языков совершенно устраняется родной язык и его во всех отношениях заменяет наглядное обучение. Никто не может отвергать того, что наглядное обучение в элементарных школах и в особенности в туземных должно занимать одно из главных мест. Никто не может отрицать необходимости образовать при каждой школе педагогический музеи по возможности из многочисленных и разнообразных предметов, картин и разных коллекций. Каждый раз, когда возможно соединить в уме ребенка понятие о вещи и слово, его обозначающее, надо делать это,-этого требует здравая педагогика и такого мнения держатся все выдающиеся педагоги, прежние и современные. Но спорным и далеко ничем недоказанным является тот принцип, на котором основан способ обучения чужому языку по „естественному“ методу.

1 в „Вестнике воспитания“ помещались статьи, в которых защищался „естественный метод“ обучения иностранным языкам. желая предоставить возможность обсудить этот предмет всесторонне, редакция сочла полезным дать место и предлагаемой статье. Ред.

Известный французский педагог Г. Перрен, человек совершенно беспристрастный и непредубежденный педагог, подвергший критической оценке „естественный“ метод в статье „De la manière d'enseigner le français aux indigènes d'Algérie et de Tunisie“ („Revue pédagogique“, 1894 г., N 2), между прочим, пишет следующее: „прежде всего следует узнать, соответствуют ли эти два заманчивые и всеми охотно принимаемые слова – естественный метод – их действительному смыслу (по-французски слово „естественный“ в данном выражении выражается словом „maternelle“ – материнский) и следует ли подражать матери, учащей своего ребенка говорить, и возможно ли это, не нарушая законов естественного развития ребенка. Всякий метод предполагает что-нибудь рациональное и последовательное, мать же не имеет всегда одних и тех же приемов, ее приемы инстинктивны и как бы случайны, следовательно „естественного“ метода в тесном смысле этого слова и нет. Но предполагая, что существует „естественный“ метод, нельзя предполагать, что мать есть единственная и главная виновница тех удивительных успехов, которые делает ребенок в раннем возрасте. Здесь есть совершенно другой фактор, настолько очевидный, что его никогда нельзя упускать из виду. Умение говорить не есть следствие воспитания. Человек создан для того, чтобы говорить, как птица – петь.

Когда ребенок переживает кризис, называемый кризисом разговора, то удивительные успехи, совершенные им в несколько месяцев, суть результаты его естественного развития, его эволюции. Мать, руководимая удивительным инстинктом разговора своего ребенка, может способствовать развитию этих скрытых сил, помогать ребенку, но не может помещать работе сил или замедлить ее. Ребенок, говоря сначала криками, жестами, плачем, односложными словами, переживает законную стадию своего развития и научается говорить на материнском языке так же естественно, как ходить; потому, когда дело идет о воспитании, название метода „естественный“, несмотря на его красоту и трогательность, следует считать преувеличенным, неподходящим“, так как воспитание в этом случае изменяет роли и заставляет забывать того таинственного и более могущественного, чем мать посредника, который называется природой.

Сторонники „естественного“ метода стараются утверждать, что мать, говоря с ребенком, не прибегает ни к какому посредничеству, во всем беседует с ним на том языке, на котором говорит сама. Разбирая

этот тезис, необходимо и в этом отношении сделать важные ограничения. Ж. Ж. Руссо в своем рассуждении о происхождении неравенства между людьми говорит: „ребенок должен сделать массу изобретении, и язык, который он употребляет, должен быть в большей части его собственным созданием“. Эту же мысль еще яснее и проще поясняет известный Французский ученый Альберт Лемуан: ребенок, по его словам, принимает в изучении преподаваемого ему языка больше участия, чем думают: он на половину его изобретатель, тогда как существует мнение, что его дают ему целиком. „Вы думаете, – говорит Лемуан, – что мать учит ребенка произносить первый членораздельный звук, первое осмысленное слово? Разубедитесь в этом: это ребенок дает первый урок, а мать берет его. Первое слово, которое произносит ребенок и которому придает смысл, не есть слово из языка матери, – ребенок сам составляет материал и придает ему смысл; первое слово есть принадлежность его собственного языка, которому мать учится раньше, чем научить ребенка своему. Этот столь бедный язык ребенка, словарь коего состоит из нескольких звуков, изменяющихся криков, едва произносимых слогов и обходящийся без грамматики, есть инструмент, которым воспользуется мать, чтобы дать дитяти понять и усвоить язык его страны и века. Каждый отец и каждая мать могли бы составить словарь каждого из своих детей и убедиться, что язык, употребляемый детьми, изменялся в их семье столько раз, сколько она насчитывает новых членов, что язык этот, непонятный для чужих, был приобретен от самого ребенка старшими членами семьи, которые начали говорить на нем для того, чтобы, благодаря ему, научить ребенка говорить на их языке“. Исходя из этого положения проницательного психолога, следует заключить, что при обучении чужому языку естественным может быть назван только тот метод, который допускает участие родного языка и опирается на нем, как на известном, для того, чтобы всесторонне и вполне сознательно воспринимать неизвестное, а другие методы, игнорирующие родной язык при обучении чужому языку, наоборот, следует признать неестественными и непригодными, следует считать за средство бессильное для достижения разумной цели воспитания и обучения.

Применим ли к инородческим элементарным школам „естественныи“ метод в том духе, как его понимают Каррэ, Гуэн, Готлиб, Хенес, Берлиц, Цапп, Егинац и другие приверженцы этого метода, стремящиеся доказать, что „естественный“ метод имеет на своей стороне все пре-

имущества всегда, везде и для всех ? В этом названные авторы, узко понимающие „естественный метод“, успели между прочим убедить некоторых наших директоров и инспекторов народных училищ, которым приходится служить в среде инородческого населения.

На поставленный нами выше вопрос Альфред Перрен дает ответ, заслуживающий полного внимания: „вот инородческий ребенок достиг семи лет и приходит к нам в училище. Но как изменилось его положение, сравнительно с ранним детством! Он потерял ту свежесть впечатлений, которая заставляла его восхищаться малейшею вещью, которая на каждом шагу вызывала его удивление и запечатлевала в памяти все, что он видел и слышал. Теперь он уже не мягкий воск, которому мать может придавать произвольные формы. Он уже имеет свои привычки, говорит языком своей матери, имеет особый способ думать, чувствовать и выражаться. Есть ли у него потребность в новом языке? Вовсе нет. Язык, которым он владеет, удовлетворяет всем его нуждам. Повторит ли для него природа, в виду изучения нового добавочного языка, то, что она сделала для него при изучении языка матери? Нет, относительно языка дело ее кончено и она не начнет его снова“.

Приверженцы „естественного“ метода стараются утверждать, что с помощью этого метода ученики дойдут до того, что они начнут не только говорить, но и думать на изучаемом языке. Конечно, это очень желательный результат. „Следует добиваться этого, – говорит Перрен, – но если это достигается „естественным“ методам, то никто не должен усомниться, что этого можно достигнуть и способом сравнения и перевода, который более естественен, чем естественный метод, и который только один и согласуется с педагогической аксиомой: опираться на известное, чтобы дойти до неизвестного. „Перрен приводит пример, что в школе Алауи в Тунисе есть арабы 10-11 лет, свободно выражающиеся по-французски: они иначе не могут думать, как по-французски, так как говорят на этом языке скоро и свободно; но дети эти не были однако обучены по „естественному“ методу.

Главный недостаток „естественного“ метода заключается в совершенном игнорировании родного языка детей инородцев, поступивших в школу. Между тем лучшие педагоги всех стран, начиная с Коменского, держались и держатся того мнения, что при преподавании чужих языков родной язык должен быть посредником, без которого ученику невозможно войти в совершенно незнакомую для него область чужой речи.

Служа средством, открывающим учащимся путь в область чужого языка, родной язык должен служить основанием, руководителем на чужой почве. Таким путем знание чужого языка усваивается не механически, а сознательно и прочно. Но как следует пользоваться родным языком при обучении чужому языку? На этот вопрос лучшие педагоги дают такой ответ: мы показываем ребенку предмет и говорим сразу два его названия – на чужом и родном языках. В этой одновременности нет переходов: родное слово составляет лишь добавочный способ запомнить иностранное слово. Поступая таким образом, мы идем естественной целесообразной дорогой. Нет ли увлечения в другом способе? „Показывая столь, – говорит Перрен, – учитель называет его и все ученики повторяют за ним „стол“. Можно ли допустить, чтобы ум не подсказал им, что по-арабски „таула“, по-французски называется table? Каким способом помешать этому добавлению? Вы не хотите пользоваться родным языком, но вы напрасно будете стараться не делать сближения между тем, что ребенок знает, и тем, чему вы учите его: он сам сумеет сделать это. Немыслимо, чтобы оба слова не возникли в его уме одновременно и чтобы он даже не ощутил некоторого удовольствия, что владеет иностранным словом, равно как и родным. Если бы случайно ребенок забыл иностранное слово, он с помощью родного слова постарался бы вспомнить его“.

Из русских педагогов-писателей самые трезвые взгляды относительно „естественного“ метода высказаны в „Русской школе“ за 1894 г., №4, г. П. Мижуевым и г. Бобровниковым, в журнале „Сельский и городской учитель“. г. Бобровников, который ездил в разные страны Западной Европы с целью ознакомиться на месте с результатами, полученными от применения „естественного“ метода в инородческих школах Западной Европы, в своем отчете говорит следующее: „Кто наблюдал над школами у нас и за границей, в которых преподавание идет по „естественному“ методу, тот наверно замечал, что умственное развитие детей инородцев прерывается механическим вторжением непонятного языка; дети говорят стереотипно заученные фразы на непонятном языке, но без отчетливого понимания оттенков речи, без возможности думать на этом языке. Инородец чувствует себя оторванным от своих и становится озлобленным межеумком между своими и чужими. По детям, обучавшимся по „естественному“ методу, мы знаем, как трудно изучение чужого языка и каких печальных межеумков создает направление неправильное, с пренебрежением родного языка, изучение языков чужих“. Во Франции

в парижских кружках неофилологов к „естественному“ методу создалось отрицательное отношение. Неблагоприятные отзывы относительно названного метода основывались главным образом на наблюдениях над учениками. По отзывам парижских неофилологов, ученики, обучавшиеся по этому методу, хотя и обладали некоторым запасом слов, но умения обращаться с этими словами, видоизменять их и применять те или другие грамматические формы у них нет совсем.

Перрен говорит, что обучать разговору по „естественному“ методу на практике приходится по принуждению. А ведь приучать и принуждать – две вещи разные. Всякая привычка, как известно, создается медленно и оттого она делается „второй натурой“, а принуждение действует без оглядки, круто, беспощадно, разрушительно и никогда цели не достигает.

„Естественныи“ метод требует, чтобы по краиней мере ученик на некоторое время вычеркнул все свое прошлое, все, что учил, все привычки думать, чувствовать и выражаться; он требует, чтобы ребенок 7-8 лет, при посредстве своей воли, действующей согласно с волеи учителя, набросил завесу забвения на все свои прошлые знания и чтобы усилием, на которое неспособны даже взрослые, поддерживал пропасть между родным языком и чужим, которому хотят его научить. Но, во-первых, невозможно отрешения от своего прошлого, от своего родного языка, а во-вторых, метод этот не хорош, потому что обучение ребенка должно идти в строгой последовательности, а между тем при „естественном“ методе для ребенка семи-восьми лет, который имеет уже первые основы знаний, предлагаются новые основы знания, а это значит прервать единство умственной работы. Участие родного языка в преподавании вообще и в особенности при изучении чужого языка оживляет и развивает детей и таким образом облегчает и ускоряет учебную работу вообще, а в частности и работу по изучению незнакомого языка.

Сообщить инородческим детям некоторые слова наглядно, без употребления инородческих слов – возможная вещь, но как же учить и разъяснить по „естественному“ методу названия разных душевных свойств, отвлеченных понятий, не прибегая к помощи родного языка? На этот вопрос приверженцы „естественного“ метода обыкновенно дают такой наивный ответ: „Не следует ребенку говорить о тех вещах, которых он не в состоянии понять; развиваясь, он постепенно усвоит разные понятия, а вместе с тем и слова, их определяющие“. Возможно ли применить такой совет к делу обучения чужому языку, от которого все здравомыслящие

люди должны ожидать расширения умственного горизонта и обогащения новыми представлениями и понятиями из области чужого языка? К тому же ребенок, говорящий уже на родном языке, в состоянии мыслить и конкретно и отвлеченно, потому ни под каким видом и предлогом не следует допускать, чтобы в течение нескольких лет или даже одного года позволяли ребенку вращаться исключительно в области конкретного. Впрочем, такое стремление и не выполнимо. Ведь ребенку с ранних лет внушены понятия о добре, справедливости, послушании, мужестве, пора сообщить ему и соответствующие выражения. Ум ребенка чувствует потребность в них и они будут содействовать разъяснению еще смутных понятий. Потому те, которые стремятся к исключению отвлеченных понятий, терпят неудачу. Ларомигиер по этому поводу высказывает следующее: „Говорить – это отвлекать; едва ребенок начнет лепетать, он уже отвлекает, отвлеченность языка не менее естественна, чем отвлеченность ума и чувства. Отсрочить эту трудность вовсе не значит разрешить ее“.

Другие последователи „естественного“ метода уверяют, что можно довести детей до понимания отвлеченности путем последовательного ряда упражнений. Но ведь это совершенная иллюзия. Известный психолог Бен остроумно замечает, что „переход от наглядного к отвлеченному в действительности есть прыжок, род внезапного вхождения в новый мир и ничто не может избавить учителя от этой трудности. Для чего все эти отсрочки, если на самом деле они должны быть потерею времени, бесплодною остановкой, если рано или поздно, для того, чтобы проникнуть в нравственный мир, или несколько подняться в научном отвлечении, надо все-таки прибегнуть к родному языку“.

При наличных условиях наших школ вообще и инородческих в особенности, при 2-3 часовых занятиях с учителем, неупотребление инородческого языка поведет лишь к замедлению в развитии детей и к напрасной трате времени на объяснение по-русски, длинным, окольным путем, того, что при помощи инородческого языка может быть объяснено одним-двумя словами. Большею частью дети инородцев проводят время дома, родители и товарищи постоянно говорят с ними на родном языке, спрашивая, как тот или другой предмет называется, положим, по-русски. Таким образом, вследствие неизбежного стечения обстоятельств, образуется между действием или предметом, с одной стороны, и чужим и родным словом, с другой, неразрывная связь. Практика, жизнь уничтожили бы то, что пыталась бы сделать школа.

Разберем еще один из важных тезисов сторонников „естественного“ метода: „Следует детям показывать все, что им называют, и называть лишь то, что покажут“. На первый взгляд как будто и легко выполнить это требование, но на деле оно чрезвычайно трудно. „Представим себе, – говорит Перрен, – самый элементарный урок о цвете: учитель будет показывать цвета. Пусть речь пойдет даже о цвете однои конкретной вещи. В сущности нелегко показывать предметы и делать это таким образом, чтобы ученики отвлекались от материи предмета, его веса, объема и видели между столькими качествами только одно – цвет. Как много возможных и даже вероятных путаниц? и как легко было бы избегнуть их при помощи нескольких слов на родном языке. Но предположите даже определенные предметы, как, наприм., шар, мед, дерево и пр., – думаете ли вы, что достаточно показать эти предметы, чтобы ученики знали их? Видеть предмет и знать его не одно и то же. Многие смотрят и не видят; обучение имеет главною целью предоставлять детям возможность давать себе во всем отчет. Недостаточно было бы показать им медь. „Видеть массы значит ничего не видеть“, – сказал Ларомигиер. Надо давать объяснения, и каждый знает, что объяснить конкретную вещь можно только путем абстракции. Желание уничтожить в школе абстракцию и вместе родной язык будет предприятием и пагубным, и тщетным. Без помощи родного языка что-нибудь всегда ускользнет от преподавателя. Это будет и в отношении мира физического и нравственного: что будет о классификацией выражений и идей, отношений вида к роду и рода к виду, – отношений, которые суть источники всякого определения, основания всякого знания? Пусть хотят объяснить, что шар есть объем, латунь есть смесь, что благодарность – добродетель, всегда придется останавливаться перед дилеммой: или пользоваться родным языком, или отказаться от всякого объяснения, от всякого определения, так как всякое определение предполагает абстракцию“.

Беспристрастный наблюдатель может привести массу курьезных фактов из жизни тех школ, в которых чужой язык преподавался или преподается по „естественному“ методу. Я укажу на несколько примеров и фактов, наглядно доказывающих несостоятельность и непригодность „естественного“ метода в деле обучения языкам. десять лет тому назад этот метод начал распространяться в западной части грузии. Метод этот, которыи в грузии был прозван „немым“, как следовало ожидать, привел к тем же нежелательным последствиям, которые за-

мечены были и в других местах, где только применяли этот метод. Но, к сожалению, приверженцы его закрывают глаза на все неудобства его и предаются самообману. В начале введения этого метода в туземных школах западной грузии, в городских начальных школах учителями и учительницами дано было несколько пробных уроков. В одной школе материалом для урока служило сообщение понятий: хожу, скоро, медленно, без помощи родного языка детей. Нужно было представить себе, сколько мучений и лишних страданий перенес несчастный учитель на этом уроке. Вышел учитель, положил указательный палец правой руки на свою грудь, начал ходить по классу, говоря: „вот я хожу, я хожу, я хожу“. Дети, вытаращив глаза, удивленно смотрели на своего учителя. Потом учитель вызвал одного ученика, указал на него пальцем и начал ходить вместе, при чем учитель приговаривал: ты ходишь, ты ходишь, ты ходишь“. Присутствовавший директор заметил учителю, что так объяснить 2-ое лицо нельзя: вы ходите вместе с учеником и выходит, не „ты ходишь, а мы ходим“. Теперь учителю понадобилось сказать ученику „ходи“, но этого выражения ученик еще не понимал. Учитель несколько раз кричал ученику: „ходи“, „ходи“, но тот, не понимая требования учителя, не двигался с места; тогда находчивый учитель мимикой указал ученику, и тот догадался, что ходить нужно, и начал ходить по классу, а учитель за ним приговаривал: „ты ходишь“, „ты ходишь“. После вызвал третьего ученика, заставил его ходить, а сам говорил: „он ходит, он ходит“ и заставлял хором повторять учеников. Потом учитель сам начал бегать по классу, говоря: „я хожу скоро, я хожу скоро“. Ученики с недоумением смотрели на учителя и не могли уяснить себе, зачем учитель бегает по классу; после учитель начал ходить медленно, говоря: „я хожу медленно, я хожу медленно“, и заставил то же самое проделать и учеников. В конце урока учитель пожелал проверить, поняли ли ученики выражение „ты ходишь скоро“, для чего приказал одному ученику ходить скоро, но тот прошел совершенно спокойно, по-обыкновенному. Что учащиеся не с полным сознанием усвоили намеченный учителем материал, видно было из того, что в конце урока многие ошибались в лицах, говоря: „я ходишь, ты хожу“ и т. д. В другой городской начальной школе материалом пробного урока служило: „я наливаю воду из графина в стакан, из стакана в графин“. Учитель то сам наливал воду в стакан и говорил: „я наливаю воду в стакан“, то заставлял учеников наливать и приговаривал: „ты наливаешь воду в стакан, он наливает“ и

т. д. Для присутствующих на уроке осталось невыясненным, поняли ли дети выражение: „я наливаю, ты наливаешь“, или нет. В конце урока, когда учитель требовал налить воду из стакана в графин, ученики выполняли требование совершенно обратно.

Интересно проследить судьбу „естественного“ метода за границей. В 1888 году главный инспектор Французских школ Каррэ порицал метод перевода и восхвалял новый метод, называемый „естественным“. Как инспектор школ, Каррэ успел распространить названный метод во всех школах нижней Бретани, страны Басков Фландрии и Корсики, а в Алжире этот метод был официально рекомендован и предписан. Одна только страна — Тунис — продолжала свой путь твердо и спокойно по старому методу. В том, что она хорошо поступила, не позволяют сомневаться результаты, достигнутые в ее школах. Но интересно, какие результаты получились от применения „естественного“ метода в Алжире. Получились плачевные результаты, как и нужно было ожидать, поэтому „в последнее время во французских школах Алжира установлено, что учитель получает добавочное содержание за сдачу экзамена по арабскому и кабильскому языкам; установлено несколько ступеней для экзаменов в смысле объема познаний и — соответственно — несколько окладов добавочного содержания. Эта мера располагает учителя к разговору с детьми на их языках: учитель, сдавший экзамен на первую прибавку, естественно старается усовершенствоваться в языке для получения второй и третьей“ (см. журн. „Городской и сельский учитель“ за 1898 г., вып. II). Таким образом, в Алжире, как мы видели, „естественный“ метод, несмотря на настойчивое применение его там, потерпел полнейшее фиаско. На посетителей педагогического отдела всемирной выставки в 1900 году в Париже особое впечатление производили тунисские туземные школы своими блистательными результатами, благодаря вполне разумной системе директора тунисских школ Машуеля. У этого истинного педагога, насколько нам удалось ознакомиться, дело обучения в туземных школах поставлено на самых строгих педагогических началах. Родной язык везде и во всем занимает соответствующее место.

В России на образование инородцев установился в общем вполне правильный взгляд. Правилами, изданными 24 февраля 1872 г., предписано определять учителей в инородческие школы только из лиц, знающих удовлетворительно инородческие наречия. Особенную заслугу делу инородческого наречия — образования оказал Н. И. Ильминский, кото-

рый считал важнейшим средством просвещения инородцев родной язык каждого племени, отправление православно-христианского богослужения на родном языке. В школах с четырехлетним курсом, по идеям Н. И. Ильминского, в течение двух первых лет дети инородцев изучают на родном языке священную историю, родную грамоту, учатся петь по-церковному и усваивают начатки счисления. Ознакомление с русским языком ведется с первого года обучения, но в малых размерах. После второго года все остальное учебное время в инородческих школах посвящается прохождению программ начальных училищ на русском языке с помощью опять родного языка. Если в тех странах западной европы, в которых начальные училища имеют целью главным образом умственное развитие учащихся, „естественный“ метод оказывается негодным и неприменимым, то тем более в наших инородческих школах „естественный“ метод обучения русскому языку нужно считать, безусловно, вредным как для правильного развития инородцев, так равно для правильного и вполне сознательного усвоения инородцами русской речи.

Если в гимназиях при изучении иностранных языков с учениками гораздо более развитыми, чем учащиеся начальных школ, считается необходимым прибегать к помощи родного языка, то тем более необходимо это в начальных школах, куда большею частью поступают дети, которые затрудняются говорить и на родном языке, потому что не имеют еще ясных понятий о вещах, не умеют связывать понятия друг с другом. Они должны еще учиться говорить, мыслить и выражать свои мысли. Это само по себе есть труд и наука. Усвоить эту науку можно только с помощью родного языка. Поэтому лучшие мыслители-педагоги, прежние и настоящие, требуют чтобы знание родного языка предшествовало незнакомому языку, ибо тогда является возможность сравнительного изучения; все мыслительные способности будут работать при этом; все познаваемое будет ясно, логично объясняться предудущим; не только сходство, но и самое различие будет одним из средств к поверке и укреплению одного знания другим.

კ ა ვ კ ა ს ი ა. მეთვალყურის შენიშვნები. /წერილი კავკავიდგან/ წიგნით ვაჭრობის საქმე. – ხელოსანთა ურთიერთ-შორისი დამხმარებელი ამხანაგობა. – საკვირაო სკოლა მოზრდილთათვის. – სახალხო სეირნობა და თეატრი.

სადაც რომელიმე ერი ანუ მისი ნაწილი სცხოვრობს საზოგადოებრივის ცხოვრებით, იქ უსათუოდ საზოგადო კითხვებიც ბლომად მოიპოვება. ამ საზოგადო საკითხების გონივრულად განმარტვას და საზოგადო საქმის რიგიანად წარმართვას დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრების წინსვლაში, მაგრამ მაგარი ის გახლავსთ, რომ ჩვენდა საუბედუროდ ბევრი საზოგადო საქმეები სრულიად არ გვეხერხება. თავდაპირველად ბევრს ვყვირით, იმდენად არაგულშემატკივრობით, რამდენადაც მისთვის, რომ რომელიმე საქმის მეთაურობა ვიკისროთ და იმას-კი არ დავეძებთ, შეგვწევს ნიჭი და უნარი საზოგადო საქმის მართვისა თუ არა.

დიდი ხანია, მკითხველო, თავისს სამშობლოში უმიწა-წყლობის გამო შევიწროებული ქართველობა თავს ანებებს თავისს სალოცავს სამშობლო ქვეყანას, სადაც შობილა-გაზრდილა და ილტვის უფრო ჩრდილო კავკასიისაკენ და ეძებს უკეთეს ბედს საცხოვრებლად. ამისთანა მოვლენა უფრო გახშირდა ამ უკანასკნელს წლებში, გადმოსახლებულთა უმეტესი ნაწილი ესახლება კავკავში და მის ახლო-მახლო არემარეში.

დიდი ხანია „ივერიის“ მკითხველებს აქაურ ქართველთა საზოგადო ცხოვრების შესახებ გაზეთებში არაფერი წაუკითხავთ-რა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში შარშანდელს წერილებს კავკავიდგან. აქაურ სკოლის შესახებ თუ აქაურ ქართველთა ცხოვრების შესახებ მხოლოდ მცირე რამ იბეჭდება ხანდისხან გაზეთებში. ამაში ცოტათი დამნაშავე ჩვენის ცხოვრების მეთვალყურეც არის, ის მეთვალყურე, რომელიც ბატების სისინს უფრო ერიდებოდა, ვიდრე იმას, რომ ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდებისო. ჩვენ მაინც ვბეჭდავთ და ვაპირებთ დრო გამოშვებით წერილების ბეჭდვას აქაურის საზოგადო ცხოვრების შესახებ და თუ ამით პირადათ ზოგიერთებს ვერ ვასიამოვნებთ, არც ვისმეს პირადი სიამოვნება მიმაჩნია ჩემთვის სავალდებულო საქმედ და ვინც ძრახვას ითაკილებს, ნურასა იქს საძრახავსა.

ამ რამდენიმე წლის წინად კავკავში დაარსდა ქართველ ახალგაზდა ნოქართა პატარა წრე, რომლის წევრები ოც და ათს აღემატებოდა. ესენი ყოველ თვიურად აგროვებდნენ საწევრო ფულს და აბარებდენ ამ საქმის ინიციატორს. როდესაც ამნაირად მცირეოდენი თანხა შეგროვდა, დააპირეს რაღაც საზოგადო საქმის გამოწყობა და წარმართვა, მაგრამ რა საქმე გამოეწყოთ ისეთი, რომ მართლა სასარგებლო ყოფილიყო ადგილობრივ ქართველ მკვიდრთათვის, ამის შესახებ ვერაფერ საზოგადო გზაზე ვერ დამდგარიყვნენ. მაშინ ერთმა ჩემმა მეგობარმა ურჩია იმათ ამხანაგურის წესით შეგროვილის ფულებით დაეარსებინათ კავკავში ქართულ წიგნებით და დრო-გამოშვებით გამოცემებით ვაჭრობა. ამ ადამიანურის გრძნობის განსამტკიცებლად საჭიროა მათში ქართული წიგნების გავრცელება, რომლის მოთხოვნილება ხალხში უკვე შენიშნულია. დაკმაყოფილება შეძლებისა დაგვარად ეროვნულის თვით-ცნობიერებისა ქართული წიგნების საშუალებით უნდა შეადგენდეს თქვენს საუკეთესო მიზანსაო. ამ აზრს ყველა დაეთანხმა და კიდეც შეუდგნენ მისს განხორციელებას, გარდასცეს ფულები საქმის მოთავეს, რომელმაც უკვე აიღო ნებართვა წიგნებით ვაჭრობისა და თავის მაღაზიაში გამართა წიგნებით ვაჭრობაც, დაიბარა ნაცნობების შემწეობით წიგნები გამომცემლებისაგან საკომისიოთ გასასყიდად და შეუდგა საქმეს, მაგრამ ბოლო ამ საქმისა ისეთი გახლავს, რომ ეს ორი წელიწადია ხსენებულს მოთავეს ერთი წიგნიც არ მოეპოვება თავის მაღაზიაში გასასყიდად და ამ საქმემაც ჩაილულის წყალი დალია. ბოროტი ენები ამბობენ, რომ საკომისიოთ წიგნებს არავინ უგზავნის, რადგანაც გამოგზავნილისთვისაც არ დაუკმაყოფილებიათ გამომცემლებიო. ასეა თუ ისე, როგორც ვხედავთ, ეს საერთო საამხანაგო საქმე ცუდს ნიადაგზე შეიქმნა აღმოცენებული და ამიტომ ვერც სასურველი ნაყოფი გამოიღო და სულიც მალე განუტევა. ჩვენ უფრო, სხვათა შორის, ის გარემოება გვაკვირვებს, რომ არც ერთი ამხანაგობის წევრი ხმას არ იღებს, არ ითხოვს არც ანგარიშს და არც იკვლევს მიზეზს წიგნებით ვაჭრობის მოსპობისას და ყველა გულ-გრილად შესცქერის და არ ფიქრობენ მკვდარი საქმე გააცოცხლონ ხელ-ახლად და უკეთეს ნიადაგზედ დაამყარონ ეს სასარგებლო და საჭირო საქმე კავკავში. ეს უფრო იმის ბრალია, რომ ყველა ერიდება პირად წყენინებას და იმას-კი არ ფიქრობენ, რომ ამ აზრით საზოგადო საქმეში ხელმძღვანელობა არაფერს ხეირს დააყრის არც ერთს საზოგადო საქმეს. დღეს უბრალო წიგნიც რომ დასჭირდეს ვისმე, ტფილისიდგან უნდა

დაიბაროს კერძოთ და თუ რა ძნელია კერძო კაცისათვის ამნაირად წიგნების შეძენა, ეს ყველასათვის ცხადია და ამის გამო ეს ბუნებრივი სურვილი ქართული წიგნების შეძენისა დღეს ბევრს აქეთ სურვილადვე რჩება.

აქაურ წიგნებით ვაჭრობაზე უკეთესად არც აქაური ქართველ ხელოსანთა ურთიერთშორისი დამხმარებელი საზოგადოების საქმე მიდის. ეს საზოგადოება დაარსდა კავკავში სამი წლის წინად. შეიმუშავეს წესდება და შეუდგნენ ფაქტიურად საქმის წარმოებას, მაგრამ ამ საქმეშიაც თავი იჩინა ჩვენებურმა თავდაპირველად ხალისიანობამ და შემდეგ ერთბაშად გულ-გრილობამ. ხელოსნები მიზეზს იმაში პოულობენ, რომ აღგვითქვეს — ვიშუამდგომლებთ მთავრობასთან და შემუშავებულს წესდებას დავამტკიცებინებთო. ეს დაპირება დაპირებადვე რჩება და ასრულება-კი აღარ ეღირსაო. ეს ასეც რომ იყოს, ჩვენ დარწმუნებული ვართ, თუ ყოველი წევრი საზოგადოებისა არ იქნება გამსჭვალული საზოგადო ინტერესით, არ ექნება ცხადათ წარმოდგენილი შემუშავებული წესდების ყველა მუხლების მნიშვნელობა და აზრი და არ ეცდება თავისს მხრივ შემუშავებულ წესდების მოთხოვნილების შესრულებას, ვერავითარი საზოგადო საქმე ვერ იხეირებს და ყველა ამნაირ საქმეს შედეგად მოჰყვება ზნეობრივი სწავლა ცნობილის „გედის, თევზისა და კიბოს იგავ-არაკისა“. დღეს ასე უძრავად და უმნიშვნელოდ არის მიყრუებული აქაურ ქართველ ხელოსანთა მიერ წამოყენებული საერთო საქმე და თუ რა ბოლო მოელის ამ ამხანაგობასაც, ამასაც ახლო მომავალი დაგვანახვებს.

უკეთესს გამჭრიახობას ზოგიერთს საზოგადო საქმეში ვერც აქაური ესრედ წოდებული ქართველი ინტელიგენცია იჩენს, ის ინტელიგენცია, რომელიც ქვეყნის მარილის სახელით არის საზოგადოდ მონათლული, რომ აქაური ინტელიგენცია ვერ ასრულებს შესაფერისად თავისს დანიშნულებას ერის წინაშე, ამის მაგალითს წარმოგვიდგენს აქაური მოზრდილ ვაჟებისათვის საკვირაო სკოლა, რომელიც დაარსებული იქმნა კავკავის სკოლასთან ამ შვიდი წლის წინად. სიამოვნებით ვიგონებთ პირველ წლებს, როდესაც 60-70 წვერ-ულვაშიანი ყმაწვილები დადიოდნენ საკვირაო სკოლაში და გულ-დასმით ისმენდნენ მასწავლებელთაგან ამა თუ იმ სასარგებლო დარგს სწავლისას. ისინი დიდის ხალისით ეტანებოდნენ სწავლას, რომლისთვისაც არ ზოგავდენ თავისუფალს დროს, ოღონდ რამე სასარგებლო, ცხოვრებაში გამოსაყენებელი ცოდნა შეეძინათ. კვირა-უქმე დღეებში თავისუფლად ხეტიალს და ან თავისუფალ დროს ცუდათ მოხმარე-

ბას, რაც ხშირად შეინიშნება ქალაქში მცხოვრების ახალგაზდობის ცხოვრებაში, არჩევდნენ სკოლაში სიარულს და ვინ იცის რამდენ მათგანს სკოლაში გაგონილი სწავლა-მეცნიერება აყენებდა ნამდვილს ჭეშმარიტსა და კეთილშობილურს გზაზე. ბოლო ხანებში მოწაფეთა რიცხვმა საკვირაო სკოლაში იმდენად იკლო, რომ ხშირად მასწავლებელთა რიცხვი აღემატებოდა მოწაფეთა რიცხვს და სულ ბოლო წლებში-კი საკვირაო სკოლამ მთლად თქვენი ჭირი წაიღო და განუტევა ტანჯული სული წიაღსა შინა უთავისობისასა. მიზეზი უკანასკნელ წელში საკვირაო სკოლის უმოქმედობისა ყველა მასწავლებელს ცხადათ უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი, მაგრამ ჯერ არავის მიუღია ისეთი ღონისძიება, რომ საკვირაო სკოლა, ეს ფრიად სასარგებლო დაწესებულება დაყენებული ყოფილიყოს სასურველს ნიადაგზე და წარმართულიყოს ერთობის ძალით მოწაფეთა სასარგებლოდ. ის საშუალება, რომ ზოგი მასწავლებელი განმსჭვალული საქმის სიყვარულით, თავის ბინაზე სახლში იბარებდა საკვირაო სკოლის მოწაფეებს და იქ ასწავლიდა, უფრო მავნებელია საერთო საქმის კეთილნაყოფიერებისათვის, ვიდრე მოქმედება შეთანხმებით საერთო საქმეში. ჩვენ აქ არ შევუდგებით საკვირაო სკოლის ნაკლის აღნუსხვას. ამ საკითხს შეიძლება სხვა დროსაც დავუბრუნდეთ, ვიტყვით მხოლოდ, რომ სასწავლო წელი უკვე დაიწყო და აპირებენ საკვირაო სკოლის ხელახლად გამოცოცხლებას თუ არა, ჯერ არა ისმის-რა, თუმცაღა სწავლის მსურველნი ყოველთვის ბლომად მოიპოვება, თუ-კი საქმე წესიერად იქნება დამყარებული და წაყვანილი. როგორც გვესმის და ამის შესახებ წინადაც იყო ატეხილი ბაასი, აპირებენ საკვირაო სკოლის დაარსებას ქალებისთვისაც. რასაკვირველია, ესეც ფრიად სიმპატიური განძრახვაა, რომელსაც ბევრი თანამგრძნობელი აღმოუჩნდება, მხოლოდ ჩვენ, როგორც ჩვენის ცხოვრების მეთვალყურეს, გვაშინებს წარსულის მაგალითი, რომ საქალებო სკოლასაც არ ეწიოს ის ბედი, რაც სავაჟო სკოლას ხვდა წილად ამ უკანასკნელ წლებში.

ერთად-ერთი საერთო ნიადაგი, სადაც ერთად მუშაობა უხდება აქაურს მდაბიო ხალხსა და ინტელიგენციას, არის საზოგადო ზრუნვა აქაურის სკოლის ნივთიერის მხარის შესახებ. კავკავის ქართული სასწავლებელი, რომელიც დაარსებული იქმნა 1888 წელს განსვენებულის მ. ზ. ყიფიანის თაოსნობით, საზრდოობს მხოლოდ კერძო შემოწირულების, სახალხო სეირნობის, წარმოდგენებისა და საღამოების მეოხებით. ამ საზოგადო საქმის ზრუნვაში, როგორც არა ერთხელ მოგვიხსენებია გაზეთებშიაც, ყველა შესამჩნევად ზრუნავს

განურჩევლად. ამჟამად, როგორც ამბობენ, სკოლის ნივთიერი მხარე ვერ წარმოადგენს სასურველს მდგომარეობასა. ამისთვის შეუდგნენ სახალხო სეირნობის გამართვას, რომელიც უნდა გამართულიყო აქ საქალაქო ბაღში 8 ენკენისთვეს. ყველაფერი მომზადებული იყო და საქმეც კარგად იჩარხებოდა, მაგრამ ბედმა გვიმტყუნა და მკაცრმა ბუნებამ ხელი შეგვიშალა: წინა დღესვე დაიწყო უშველებელი წვიმები და დღესაც არ გადაუღია. ამასთან შესამჩნევად აცივდა კიდეც და მოგვესპო იმედი სახალხო სეირნობის გამართვისა ამ შემოდგომაზე. ამის შემდეგ გვგონია სკოლის სამზრუნველოს დარჩა ერთად-ერთი საშუალება გამართოს ქართული წარმოდგენა სკოლის სასარგებლოდ ამ შემოდგომაზედვე.

სამწუხაროდ უნდა აღვიაროთ, რომ კავკავში ქართული წარმოდგენა ადგილობრივის სცენის მოყვარულთაგან იშვიათად იმართება, ისიც წელიწადში მხოლოდ ერთხელ. ამის მიზეზი სხვათა შორის, ისიც არის, რომ აქ არ არსებობს შეკავშირებული წრე სცენის მოყვარულთა. ამისთანა წრეს ადვილად შეეძლო წელიწადში რამდენიმე წარმოდგენა გაემართა, რადგანაც როლის განაწილებაც და სხვა საჭირო თავდარიგიც ყოველთვის თავისუფალ დროზე შეეძლებოდათ. ამ საგნის შესახებაც ბევრჯელ ყოფილა აღძრული ლაპარაკი, მაგრამ

„სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა,
შუა უზის დიდი მზღვარი“.

კ ა ვ კ ა ს ი ა. მეთვალყურის შენიშვნები /წერილი კავკავიდგან/ სახალხო სეირნობა; კიდევ საკვირაო სკოლის შესახებ; ძველი განზრახულობა კავკავის სკოლასთან საკომერციო განყოფილების დაარსებისა და მისი შეუსრულებლობა.

როგორც იქმნა, თითქმის ერთის თვის უამინდობის შემდეგ, ექვს ოკდომბერს, გვეღირსა კარგი დარი და აქაურს საქალაქო ბაღში, კავკავის ქართული სკოლის სასარგებლოდ გამართული იქმნა სახალხო სეირნობა ბაზრით და საცეკვაო საღამოთი. ეს სეირნობა პირველად უნდა გამართულიყო რვა ენკენისთვეს, მაგრამ გამუდმებულმა წვიმებმა და სიცივემ ხელი შეუშალა სეირნობის გამართვას დანიშნულს დროს. მიუხედავად ამისა, სეირნობის მოთავენი, რადგანაც სხვა წყარო შემოსავლისა ამ ჟამად დახშული იყო, იძულებულნი

შეიქმნენ აუცილებლად ესარგებლათ პირველსავე კარგი დარებით და გაემართათ სეირნობა. ასეც მოიქცნენ, მაგრამ წრევანდელი სეირნობა ვერაფრით ვერ შეედრებოდა წინა წლებში გამართულს სახალხო სეირნობებს, რომელიც ყოველთვის იძლეოდა წმინდა შემოსავალს არა ნაკლებ ათასის მანეთისა. წელს-კი წმინდა შემოსავალი დარჩა მხოლოდ სამას მანეთამდის, მაგრამ გაჭირვების დროს ცოტაც ბევრიაო და გულს იმით ვიკეთებთ, რომ სულ არარაობას ცალ უღელი ხარი სჯობიაო.

წრევანდელს სახალხო სეირნობას საზოგადოდ ძალიან ცოტა ხალხი დაესწრო. ვინც იყვნენ ისევ ჩვენები, ქართველები, სხვა ტომის ხალხს მხოლოდ ორიოდეს თუ შეამჩნევდით. სხვა დროს აქაურს ქართველთათვის საქველ-მოქმედო საქმეებში ყველა ტომის ხალხი დიდს თანაგრძნობას იჩენდა და ეხლაც ასე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს მოვლენა აიხსნება იმ გარემოებით, რომ თავის დროზე ვერ იქმნა გამოცხადებული სახალხო სეირნობის გამართვის ამბავი და თვით სეირნობის მოთავენიც არ იყვნენ დარწმუნებული, მოხდებოდა სეირნობა თუ არა და ამასთან უეჭველად ბევრი სიცივეებსაც მოერიდა. სეირნობის შემდეგ საცეკვაო საღამომ, რომელიც გამართული იყო საქალაქო ბაღის როტონდაში, მხიარულად ჩაიარა და ვინც-კი იყვნენ, უსიამოვნოდ არ დარჩენილან.

***

ამას წინადაც ვსწერდით ორიოდე შენიშვნას აქაურის ქართულ საკვირაო სკოლის შესახებ /„ივერია“, № 203/. რადგანაც იმ შენიშვნას ზოგიერთმა აქაურმა ქართულ გაზეთების მკითხველმა ქართველმა ინტელიგენციამ ყურადღება მიაქცია და კერძოდ ლაპარაკიც აღძრეს ხსენებულის აწ განსვენებულის საკვირაო სკოლის გამოცოცხლებაზე. ამისთვის მეც საჭიროდ მიმაჩნია ისევ დავუბრუნდე ამ საკითხს და აღვნიშნო ის აუცილებელნი პირობანი, რომელზედაც დამოკიდებულია საზოგადოდ საკვირაო სკოლების კეთილნაყოფიერი მოქმედება, უკეთუ მეთაურნი საკვირაო სკოლისა და თანამსახურნი მასწავლებლები არ ითაკილებენ ჩემს შენიშვნას და მეგობრულს რჩევას, რომელიც გამოწვეულია დიდის ხნის დაკვირვებით, საქმის ასე თუ ისე საფუძვლიანად გაცნობით და არა კერძოდ ვისმესთვის უსიამოვნების მისაყენებლად, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, რადგანაც ჩვენ დარწმუნებულნი ვართ და ვადგივართ იმ აზრს, რომ

„ყოველი ხვანჯი ხერხისა,
ფარული კაცთა შორისა,
გასინჯვის სარკის ჩამხედმა –
რჩევითა გაასწორისა“.

ერთ მთავარ მიზეზად კავკავის ქართულ საკვირაო სკოლის თანდათან დაქვეითებისა და ბოლოს მთლად მოსპობისა ჩვენ მიგვაჩნია ის უხერხული გარემოება, რომ ხსენებულს სკოლაში თავიდანვე შემოღებული იქმნა განყოფილებანი და არა ჯგუფები, როგორც ყოველგან არსებობს ყოველს კეთილგანწყობილს საკვირაო სკოლებში. თუ დავუკვირდებით კავკავის ქართულ საკვირაო სკოლის საქმის მსვლელობას ყოველ წლობით, შენიშნავთ, რომ სკოლა შესდგებოდა ყოველ წელს სამი განყოფილებისაგან. ამასთან თვითოეული განყოფილების მოწაფენი ყველანი ვერ უდგებოდენ ერთი-მეორეს სწავლაში. მაშასადამე ამ შემთხვევაში მასწავლებლისათვის ფრიად ძნელი იყო აერჩია ისეთი სასწავლო მასალა, რომლითაც დაეკმაყოფილებინა თვითოეული განყოფილების ყველა მოწაფენი, რომელნიც, რა-კი ვერ ხედავდნენ სასურველს დაკმაყოფილებას, ვერ პოულობდენ შესაფერისს და საჭირო სულიერ საზრდოს, გულს იცრუებდენ სწავლაზე და ბოლოს სკოლაში სიარულის ხალისიც ეკარგებოდათ. ეს საზოგადო და ჩვეულებრივი მოვლენაა. თუ-კი საკვირაო სკოლებში სწავლების წარმოება და მისი შედეგი არ იტაცებს, არ ახალისებს მოწაფეს, მაშინ ამ უკანასკნელს ჯოხითაც ვერ შედენი სკოლაში. ამ მხრით კავკავის საკვირაო სკოლა არაოდეს არ ყოფილა რიგიანად დაყენებული და თუ პირველს წლებში მეტი ნაყოფი მოჰქონდა სკოლას, როგორც პირველს წერილში მოვიხსენიეთ, ეს აიხსნება მხოლოდ მოწაფეების მიერ პირველისავე ხალისით და სურვილით სწავლის შეძენისა, რომელიც შემდეგ გაუგრილდათ და თან-და-თან მოესპოთ, სწავლის საქმის უხერხულად წაყვანის წყალობით. მეორე მიზეზი გახლავსთ, საგნებური სწავლების წესი /предметная система/, რომელიც შემოღებულ იქმნა თავიდგანვე საკვირაო სკოლაში. ჩვენ ბევრი საკვირაო სკოლა გვინახავს, ბევრის შესახებაც წაგვიკითხავს რამე, მაგრამ არსად არ შეგვხვედრია, რომ საკვირაო სკოლებში სადმე ადგენენ საგნებურს წესს სწავლებისას და არა ყოველგან მიღებულს და საუკეთესოდ ცნობილს საკლასო სისტემას სწავლებისას. ამ უკანასკნელ დროში თითქმის ყველა საუკეთესო პედაგოგები უარს ჰყოფენ გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებლების დაბალს კლასებშიაც საგნებურ სწავლების სისტემის კეთილ ნაყოფიერ გა-

ვლენას, რადგანაც მათის აზრით მოწაფეთა გონების საზოგადო განვითარება, ხსენებული წესის მიხედვით, ვერ წარმოებს ჰარმონიულად, რადგანაც ამგვარი სისტემა ხელს უშლის სწავლების საქმეში ერთობის პრინციპის დაცვას, უდროოდ ხდება მეცნიერების სპეციალიზაცია და ჭეშმარიტი საზოგადო განათლება-კი იშვიათ მოვლენას შეადგენს. ეს აზრი, თუმც ნახევრადაც მართალი იყოს გიმნაზიის დაბალი კლასებისათვის, აუცილებელს და სავსებითს სიმართლეს შეადგენს საკვირაო სკოლებისათვის, საიდამაც უნდა გამოვიდნენ არა ფილოლოგები, მათემატიკოსები და სხვ. სპეციალისტები, არამედ შეძლებისა და გვარად მცირე საზოგადო განვითარების მქონენი. როდესაც საკვირაო სკოლაში მასწავლებელს აბარია ცალკე ჯგუფი, შემდგარი ერთნაირი ცოდნის პატრონ მოწაფეთაგან, რომელსაც იგი ასწავლის ყველა საგნებს ერთმანეთთან დაკავშირებით, ამ შემთხვევაში თვითონ მოწაფეები მალე იგრძნობენ და შეატყობენ, თუ როგორ ჰარმონიულად იწყებს მიმდინარეობას თვითოეული მათგანის გონება-განვითარების საქმე. ამ შემთხვევაში მოწაფენი და მასწავლებლები უფრო დაუახლოვდებიან ერთმანეთს, მათ შორის ადვილად დამყარდება პატივისცემა, მეგობრული კავშირი და სიყვარული, რომელიც შეადგენს ქვაკუთხედს ყოველის საქმისას. ამ შემთხვევაში მასწავლებელს მეტი საშუალება აქვს თავისი პიროვნებით, ავტორიტეტობით დიდი ზნეობრივი გავლენა მოახდინოს მოწაფეზედ და ამას მცირე მნიშვნელობა არ აქვს საზოგადოთ აღზრდის საქმეში. ვიცი, ამაზედ მეტყვიან, რომ საკვირაო სკოლა ჯგუფებად დაგვეყო, ბევრი ჯგუფი აღმოჩნდებოდა და სად ვიშოვიდით ამდენს მასწავლებლებსაო? ნათქვამია: ოღონდ გული გულობდეს და ქადა ორის ხელით იჭმებაო, თვითონ კავკავში მოიპოვება თხუთმეტამდის ქართველი მასწავლებელი და რამდენიმე სხვებიც, რომელთაც შესაფერისი სწავლა-განათლება აქვთ მიღებული, გული რომ გულობდეს და ყველა ჩვენ ინტელიგენციას მცნებათ ჰქონდეს დადგენილი ჩვენის ბრძენის მეფის ნაანდერძევი სიტყვები:

„რაცა დაჰრგო და იხაროს,
აღორძინდეს მას სავარდოსა,
ფერხით ნუღარა დასთრგუნავ,
ეცადე გაიზარდოსა“.

განა თხუთმეტიოდე მასწავლებელი ცოტა ძალას შეადგენს თუკი მოისურვებენ უჩვენონ ჩვენს სკოლის გარეშე მყოფს მდაბიო ხალხს გზა სინათლისა, არ დაივიწყებენ ინტელიგენციის საღმრთო

მოვალეობას თავისი ერის წინაშე და წარუძღვებიან თავის ერს კეთილს გზაზე და ეცდებიან გამოიყვანონ უბრალო მდაბიო ხალხი უმეცრების წყვდიადისაგან, ის ხალხი, რომელსაც ერთი რუსის პოეტი ასე ახასიათებს:

„Чьи работают грубыя руки,
Предоставив почтительна нам
Погружаться в искусства, в науки,
Предаваться страстьям и мечтам;
Кто бредет по житейской дороге
В безпросветной глубокой ночи,
Без понятия о праве, о боге,
Как вподземной тюрьме, без свечи“.

დიაღ, ბატონებო, განა ცოტაა ჩვენში უკუღმართ პირობებში გადაბირების და გადაგვარების გზაზედ აღზრდილი ინტელიგენტი, რომელსაც ავიწყდება ამაგი თავისი ერისა, რომელსაც ზრდიდა, უვლიდა, პატრონობდა, მაგრამ ბოლოს მაინც ვერ შეიქმნა „ერთგული თავის ქვეყნისა“, სრულიად უბრალო საქმის შესახებ კინკლაობა-უთანხმოება ჩვეულებრივ მოვლენას შეადგენს ჩვენს განათლებულ ხალხშიაც, ხშირად მოსისხლე მტრებად ხდებიან და ამით საზოგადო საქმეც ზარალობს. შეიძლება პეტრეს პავლე არ მოსწონდეს, მისთვის რომ იგი ერთსა და იმავე საგანზე სხვა აზრის არის, ვიდრე პეტრე. ამ უკანასკნელს-კი პავლე, როგორც მისი არა თანამოაზრე, მტრად მიაჩნია. ეს მეტად შემცდარი აზრი გახლავს. პეტრე და პავლე ძალიან მოსისხლე მტრებიც რომ იყვნენ ერთმანეთისა, თუ მათში-კი ღვივის ცხოველი ნაპერწკალი ჭეშმარიტების განათლებისა და პატიოსანი მამულისშვილობისა, მათ უნდა აერთებდეს მტკიცედ საზოგადო აზრი, იდეა საზოგადო საქმეში და სადაც მტკიცე ერთობა არის, საქმეც მხოლოდ იქ კეთდება. ამასვე ვუსურვებთ ჩვენც, როგორც კავკავის ქართველ ინტელიგენციას, აგრეთვე ყველა ჩვენს მამულისშვილებსაც.

მესამე მიზეზი კავკავის ქართული საკვირაო სკოლის უკუღმართად მსვლელობისა იმავე სკოლის პროგრამის სივიწროვისა ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, უპროგრამობაა. ყველა სწავლების საქმის კეთილ ნაყოფიერად წარმოება აუცილებლად ითხოვს, როგორც სხვა სკოლებში, აგრეთვე საკვირაო სკოლებშიაც, ყოველს ჯგუფში იქმნას შემუშავებული და შემოღებული განსაზღვრული პროგრამმა სასწავლო საგნებისა. ამისთანა პროგრამებს ყოველი ჯგუფის მასწავლე-

ბელი წინ-და-წინვე უნდა ადგენდეს და ცდილობდეს წლის განმავლობაში მის შესრულებას. პროგრამის უქონლობა და სასწავლო მასალის სისტემაზედ დაულაგებლობა თვით ფრიად გამოცდილს მასწავლებელსაც იძულებულად ჰხდის შევიდეს გაკვეთილზე სრულიად მოუმზადებლად, მოუფიქრებლად და, რასაკვირველია, ამ უწესო წესით მასწავლებელი ვერ მოახერხებს ნასწავლსა და ახლად სასწავლო მასალათა შორის სასურველს კავშირის დამყარებას; ამნაირი უსისტემო სწავლება მოწაფეთა აჩვევს ნეკერობას და მასწავლებელსაც აღონებს.

საკვირაო სკოლა მოზრდილთათვის რომ არ გახდეს მარტო წერა-კითხვის სკოლად, საჭიროა პროგრამის გაფართოვებაც, რომელიც უნდა შეიცავდეს ყველა ადამიანისათვის ცხოვრებაში გამოსაყენებელ ცნობებს. საკვირაო სკოლას, თუ-კი იგი კარგად იქმნა დაყენებული, ამ მხრით ბევრი სარგებლობის მოტანა შეუძლიან. გადაშინჯეთ შესანიშნავი სახელმძღვანელოები რუსული საკვირაო სკოლებისა — „Книга взрослых“, ხარკოვის საკვირაო სკოლის მასწავლებელთა გამოცემა და დარწმუნდებით, რომ იქ, სადაც ერთობით და გულმოდგინეთ ემსახურებიან თავისს ერს ჭეშმარიტი მამულის შვილები, საკვირაო სკოლაში აძლევენ ისეთს განათლებას, რომელიც უდრის თითქმის საშუალო სასწავლებლების კურსს.

ჩვენ სარწმუნო წყაროებიდგან ვიცით, რომ ერთმა აქაურმა საკვირაო სკოლის მასწავლებელმა მოინდომა საკვირაო სკოლის მოწაფე ნოქრებისათვის ბუჰგალტერია ესწავლებინა; დაიწყო კიდეც და მოწაფენიც დიდის ხალისით ისმენდნენ ამ თავიანთვის ფრიად სასარგებლო საგანს, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო იძულებული შეიქმნა თავი დაენებებია. ვიცით აგრეთვე, რომ ამ საჭირო საგნის, როგორც სხვა ბევრის შესახებაც, არავითარი ბჭობა და თათბირი არ ჰქონიათ საკვირაო სკოლის მასწავლებლებს, მაშინ, როდესაც სკოლის ინტერესი ყოველთვის ითხოვს, რომ გარდა თანხმობით მოქმედებისა, მასწავლებლები ხშირად უნდა მართავდენ თათბირს საკვირაო სკოლაში სწავლების მოწყობის შესახებ. ადგენდნენ მოკლე ანგარიშებს, სწერდნენ დღიურებს და უზიარებდნენ ამხანაგებს თავიანთ დაკვირვებას. ეს ასეა ყოველგან, სადაც საკვირაო სკოლებში სულით და გულით ემსახურებიან ხალხთა განათლების საქმეს. კავკავის საკვირაო სკოლაში-კი წელიწადში ერთხელ თუ მოხდებოდა მასწავლებელთა თათბირი და ისიც შეეხებოდა სრულიად არა არსებითს მხარეს სკოლის ნაყოფიერად წარმოებისას.

ერთი წილი მიზეზი კავკავის საკვირაო სკოლის ბოლოს მოღებაში თვით ამ სკოლის ადმინისტრაციასაც უნდა ერგოს. მართალია, სწავლების საქმეში სკოლის სულისჩამდგმელი და მწარმოებელი მასწავლებელია, მაგრამ მასწავლებელზე უფრო ბევრი მოეთხოვება მმართველს, რომელიც არის მოწესრიგე, მაღალი განათლების პედაგოგი, რომელმაც უნდა წარმართოს ყველა მასწავლებელთა მოქმედება ერთს საზოგადო მისწრაფებად; სადაც ამისთანა წესია საკვირაო სკოლებში, სადაც საკვირაო სკოლის მმართველი ასე უყურებს თავისს მოვალეობას, იქ სკოლაც ხეირობს – მასწავლებლებიც ხალისიანად მუშაობენ თანხმობით და მოწაფენიც, როგორც ფუტკარი თაფლს, ისე ეწაფებიან სწავლას. მაგრამ ჩვენში ასე არ ყოფილა და არც არის. საზოგადოდ იმას სცდილობენ, რომ ყოველ საქმეში თავისი თავი უმანკოთ დასახონ და თავისი მცირე შეცდომაც-კი სხვას გადააბრალონ, ადამის შვილები ვართ და იმის კვალსაც მივსდევთ! ამაზედ ადვილი საშუალება არაფერია, რომ კაცმა თავისი შეცდომა სხვას გადააბრალოს, მაგრამ

„რისხვას შესძინებს რისხვაზედ
ვინც ცრუდ თავს განიმართლებსა“.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ საკვირაო სკოლის ნაყოფიერად წარმოება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ-კი ჩვენს ზემოთ მოყვანილს შენიშვნებს ყურადღებას მიაქცევენ, მხოლოდ დასახელებული საშუალებით შეუძლიან საკვირაო სკოლას ხეირი და სასურველი ნაყოფის მოტანა, სხვა შემთხვევაში საკვირაო სკოლა დარჩება მხოლოდ ქაღალდზედ და საქმით მისი არსებობა მოსპობილი იქნება, როგორც დღეს ვხედავთ. მე მგონია, რომ

„მე ეს ხიდი სავლელად
დიაღ სწორედ გავდეო,
შენ თუ მრუდად გაივლი,
მე რა წყალში ვვარდეო“.

ამ სამი წლის წინად აქ აზრი გამოითქვა, რომ კავკავის ქართულ სკოლასთან დაეარსებინათ მეხუთე განყოფილება, საკომერციო განყოფილებად წოდებული, სადაც სკოლაში ოთხს განყოფილებაში კურს დასრულებულთ შეძლებოდათ შეძენა საკმაო საკომერციო ცოდნისა. ამ რთული საკითხის სავსებით გამორკვევისათვის ბევრი არავის არ უზრუნვია სასურველად. ამ აზრის განხორციელებისათვის აუცილებელი საჭირო იყო, ჩვენის აზრით, ყველა სასწავლო საგნების

სრული პროგრამის შედგენა ხსენებულს განყოფილებაში და შემდეგ შუამდგომლობა კანონიერის ნებართვის ასაღებად. „ქ. შ. წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ გამგეობამ ამ განყოფილების პროგრამმა ორი სიტყვით მოსჭრა: „ჩოთქი და ანგარიშიო“. მანვე აღძრა შუამდგომლობა მთავრობასთან კავკავის სკოლასთან კომერციულ განყოფილების გახსნის შესახებ, მაგრამ ვერც გამგეობამ და ვერც მთავრობამ ვერ იპოვეს ისეთი მუხლი სკოლის კანონებში, რომლის ძალითაც შესაძლებელი ყოფილიყო პირველ დაწყებით სკოლასთან ოფიციალურად კომერციულ განყოფილების დაარსება. ამის გამო გამგეობის შუამდგომლობა დირექციამ საწერ სტოლს ქვეშ ამოსდო და ეს საკითხი დავიწყებას მიეცა.

საკვირაო სკოლა რომ ყოფილიყო კარგად წარმართული, საკვირაო სკოლაში რომ ევლოთ იმ ყმაწვილებს, რომელთაც კურსი დამთავრებული ჰქონდათ ნორმალურს სკოლაში და შემდეგ ვაჭრობის გზას შეუდგნენ, მაშინ უეჭველია ზოგიერთს კომერციულს ცოდნას საკვირაო სკოლაც შესძენდა, და თუ ეს დრო საკმარისი არ იქნებოდა, მაშინ შეიძლებოდა საღამო კურსების დაარსებაც მათთვის. ეს მით უფრო ნაყოფიერი და სასარგებლო იქმნებოდა, რომ ყმაწვილი, რომელიც ვაჭრობის საქმეს გამოუდგებოდა, ერთის მხრივ მაღაზიაში საქმის დაკვირვებით და მეორეს მხრივ საკვირაო სკოლაში თეორიულად, შეიძენდა საკმაო კომერციულს ცოდნას, რომელშიაც, როგორც პრაქტიკულად, ისე თეორიულადაც ერთს დროს განმტკიცდებოდა სწავლით, მაგრამ

„ხელში საჭერი კეთილი
შეგვექმნა საძებნელია“.

ჩვენებური ამბები

მეთვალყურის შენიშვნები /წერილი კავკავიდგან/

საზოგადო კრება კავკაველ ქართველებისა. — არჩევანი კავკავის სკოლის სამზრუნველოს ახალი წევრებისა. — შეუსაბამო აზრი საზოგადოების ერთის წევრისა. — საკვირაო სკოლის საქმე და საკვირაო საქალებო სკოლა.

წარსული ოქტომბრის თვე კავკაველ ქართველთა ცხოვრებაში აღსანიშნავია იმით, რომ ამ თვის შუა რიცხვებში იყო აქაურ ქართველების კრება. უნდა განეხილათ წარსულის 1901 წლის სკოლის შემოსავალ-გასავალი და იმავე წლის სარევიზიო კომისიის მოხსენება ხსენებულის ანგარიშის შესახებ და არჩევანი სამზრუნველოს ახალის წევრების ნაცვლად ძველი წევრებისა, რომელთაც სამი წლის ყავლი უკვე გაუვიდათ ექვსი თვის წინად.

წესდების ძალით, კავკავის ქართველობა სამი წლის ვადით ირჩევს სამზრუნველოს წევრებად შვიდს კაცს; ამათზეა დამოკიდებული საზოგადო ზრუნვა, სახსრის მოპოვება და ნივთიერის მხრივ ქართული სკოლის მართვა-გამგეობა. რასაკვირველია, ამ ფრიად საჭირო საკითხის გადაწყვეტაშიც და სამზრუნველოს წევრების არჩევაში ყოველს კეთილშობილ ქართველს უნდა აინტერესებდეს მხოლოდ ერთადერთი საზოგადო საქმე და არა პირადი ინტერესები, რომელსაც, ჩვენდა სამწუხაროდ, საზოგადოდ ღრმად გაუდგამს ფესვები ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში და ეს პირადობა, საკუთარის უსაბუთო და უკანონო აზრის გატარება, რასაკვირველია, მცირედ არ უშლის ხელს საზოგადო საქმეს. წინად ასე იყო შემოღებული: დაალაგებდეს თუ არა ყველა განსახილველ საქმეებს წესიერად, სამზრუნველო მოიწვევდა საზოგადო კრებას საჭირო საქმეების განსახილველად და მოსასმენად, წელს-კი ასე მოიქცნენ: შაბათს წერილები დაურიგეს გამგეობის სახელით და მეორე დღესვე კრება დანიშნეს. ასე რომ, როგორც ბევრნი ამბობდენ, ძალიან მცირე დრო ჰქონდათ მიცემული, რომ უფრო მოფიქრებით და აწონ-დაწონვით, საღი მოსაზრებით აერჩიათ კანდიდატებათ უფრო სასურველი და საქმისათვის ნაყოფის მომტანი წევრები, ასე თუ ისე, ჩვენი საზოგადოება მაინც

ძალიან დაინტერესებული გამოდგა საზოგადო საქმეში და პირველს მოწოდებაზედვე შეიკრიბა სამოცამდის კაცი, რომელთაც ეტყობოდათ სასურველი ხალისი და ინტერესი საზოგადო საქმეში.

საზოგადო კრებას, რომელსაც თავმჯდომარეობდა თავ. ი. მ. ლორთქიფანიძე, პირველად მოხსენდა შემოსავალ-გასავლის ანგარიში და ამავე ანგარიშის შესახებ სარევიზიო კომისიის მოხსენება; კრებაზედ აღმოჩნდა, რომ სარევიზიო კომისიის მოხსენება და სამზრუნველო ანგარიში სამზრუნველოს წევრებს წინ-და-წინვე არ განეხილათ; ამის გამო ანგარიშსა და მოხსენებას შორის განსხვავება აღმოჩნდა, რომლის განმარტება ვერ შეიძლეს ვერც სამზრუნველოს წევრებმა და ვერც სარევიზიო კომისიის წევრებმა; კრებამ ამ საკითხის შესახებ დაადგინა: ანგარიშები ხელახლად განიხილოს სამზრუნველომ სარევიზიო კომისიის მოხსენებასთან შედარებით და შემდეგში ყოველთვის სარევიზიო კომისიის აზრი და თავისი ანგარიში სამზრუნველომ წინდაწინვე განიხილოს და შემდეგ წარუდგინოს საზოგადო კრებას მოსასმენად და განსახილველად. სამწუხაროდ, უნდა შევნიშნოთ, რომ უმეტესს რიცხვს სამზრუნველოს წევრებისას სრულად არ ჰქონდა ცხადი წარმოდგენა იმ ანგარიშის შესახებ, რომელიც სამზრუნველოს თავმჯდომარემ წარუდგინა საზოგადო კრებას განსახილველად. ამიტომ ჩვენ გვგონია, მეტი არ იქნებოდა, რომ, ვიდრე საზოგადო კრებას დანიშნავდა, სამზრუნველოს თავმჯდომარეს მოეწვია კომიტეტის წევრები და გაეცნოთ მათთვის, როგორც ანგარიში, აგრეთვე ყველა საქმეები, რომელიც უნდა წარედგინათ კრებისათვის განსახილველად.

საზოგადო კრებაზედ არავის ყურადღება არ მიუქცევია ერთის გარემოებისათვის, რომელიც, ჩვენის აზრით, ღირსია ყურადღებისა და რომელიც ეხება კანცელიარულს საქმეს: კრებაზედ წარმოდგენილი ანგარიშები სამზრუნველოსი ბევრ ადგილას შესწორებულ-შემოსწორებული იყო, არც სარევიზიო კომისიის მოხსენებაზედ და არც სამზრუნველოს ანგარიშზედ ხელი არავის ჰქონდა მოწერილი თითო-ოროლას გარდა; თურმე არც სამზრუნველოს დადგენილებებს აწერენ ხელს სამზრუნველო კომიტეტის წევრები და ამიტომ ერთსა და იმავე დადგენილების შესახებ ბევრჯელ კომიტეტის წევრთა შორის უთანხმოებაც მომხდარა. ყველა ეს ფორმალისტობა�ა, იტყვიან არაწესიერების მოყვარე ვაჟბატონები, რომელთაც წესიერებაში შნო არ აქვსთ და ამის გამო საქმეებიც ირევა, მაგრამ, რაც უნდა სთქვან, ჩვენ მაინც აუცილებელ საჭიროდ მიგვაჩნია ყოველ საზო-

გადო საქმეში სასტიკის წესიერების დაცვა, სინამდვილე, რომლის მიხედვითაც უნდა იქმნას შედგენილი და წარმოებული ყოველი საზოგადო საქმე. გერმანელების სიფაქიზე და სასურველი წესიერების დაცვა ყოველს საქმეში ყოველგან სამაგალითოდ არის აღიარებული და ჩვენ-კი ხშირად, ისევ ჩვენებურად, ქართველურად ვაკეთებთ საზოგადო საქმეებსაც-კი და თუ რამე გაფუჭდა „რა გვენაღვლებას“ გავიძახით.

ანგარიშების მოსმენისა და დამტკიცების შემდეგ საზოგადო კრება შეუდგა კენჭის ყრით სამზრუნველოს ახალი წევრების არჩევას, ამასთან უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ წარსულს წლებში სამზრუნველოს წევრთა ერთის მხრით და თავმჯდომარეს შორის მეორეს მხრით ხშირად ხდებოდა უთანხმოება რომელიმე საკითხის გადაწყვეტაში. ამიტომ სამზრუნველოს თავმჯდომარეს ისე მიჰყავდა საქმეები, როგორც მას სურდა და საუკეთესოდ მიაჩნდა და არა ისე, როგორც უმეტესობა სწყვეტდა. ეს უთანხმოება იქამდის მივიდა, რომ ზოგიერთმა ძველ სამზრუნველოს საუკეთესო წევრმა, რომელთაც აუარებელი შრომა და ამაგი მიუძღვის საზოგადოთ აქაურს საქმეებში და კერძოთ სკოლის ბედნიერებაში, სამზრუნველოს წევრობაზედ კატეგორიული უარი განაცხადეს. სამაგიეროდ კენჭი იყარეს ისეთებმა, რომელთაც ჯერ-ჯერობით არაფერი გაუკეთებიათ, მაგრამ ბევრს რასმე გვპირდებიან და ვნახოთ როგორ შეასრულებენ ჩვენი ბრძენი მეფის ანდერძს:

„სჯობს არ ქადება არასი
ქადებულს მიუცემელსა“.

ახლად არჩეულმა სამზრუნველოს წევრებმა თავმჯდომარედ აირჩიეს ისევ ძველი თავმჯდომარე. ბევრი კეთილ მოაზრე და საქმის მცოდნე ადამიანი იმ აზრისა იყო და არი დღესაც, რომ ორის სხვა-და-სხვა თანამდებობის გაერთიანება საქმის კეთილ-ნაყოფიერებისათვის მავნებელიაო, თუ არა, ჩვენ, რასაკვირველია, არ ვიცით; ვიცით მხოლოდ ის, რომ თავმჯდომარის თანამდებობაზე კენჭი უყრიათ ერთის ფ-დ პატივცემულის წევრისათვისაც ამ უკანასკნელის დაუკითხავად და შვიდს ხმაში მხოლოდ ორი ურგუნებიათ მისთვის, დანარჩენი ხუთი ხმა-კი რგებია ისევ ძველს თავმჯდომარეს. მეთვალყურის მიერ უყურადღებოთ არ უნდა დარჩეს ერთი გარემოებაც, რომელიც, ცოტათ თუ ბევრად, ახასიათებს ზოგიერთს ჩვენებურს კაცს. სამზრუნველოს წევრობაზედ წინადაც ბევრჯელ და წელსაც კენჭი იყარა საზოგადოების ერთმა დამსახურებულმა წევრმა, რომე-

ლიც, სამწუხაროთ, ვერაოდეს ვერ მომხვდარა წევრთა სიაში. წელს თავდაპირველად, მართალია, უარი განაცხადა კენჭის ყრაზედ, მაგრამ ყველა ადვილად შეატყობდა, რომ იმ უარში თანხმობაც იხატებოდა, რადგანაც არც ისეთი კატეგორიული უარი განუცხადებია, როგორც სხვებმა ჰქმნეს: ბოლოს, როდესაც ერთმა შავმა კენჭმა უმუხთლა და ვერ მოჰყვა წევრთა სიაში, გაბრაზებულმა „უნაგირს დაუწყო მტვრევა“. ამხედრდა მასწავლებლების წინააღმდეგ და უფრო-კი ერთი მისი ძველი მეგობარის მასწავლებლისა:

„დრკუთ კაცთა გული ნიადაგ
ეძებს მოყვასთა ძვირებსა,
გული მშვიდი და მდაბალი
ძრახვას არ გაიკვირვებსა“.

თავისი აზრების ვითომდა სიმართლეში ხსენებულმა წევრმა უკვე დაარწმუნა ერთი ახლად არჩეული სამზრუნველოს წევრთაგანი, რომელიც მხოლოდ წელს გვეწვია კავკავში, ორი კვირის წინად და რომელმაც ნამდვილი მოციქულებრივი სამსახური გაუწია მას მასწავლებლების შესახებ ეს უკანასკნელი-კი ყველა ამაებს ისმენს და სრულიად დამშვიდებულად, არხეინად გაიძახის თავის გულში:

„ნუ მრუდ მრიცხველობ, სწორ გაქვნდეს,
შენ ეგ შენი ანგარიში,
ავს ნუ იქმ და ავისაგან
თქმულა, ნუღარა გაქვს შიში“.

იცით, ბატონებო, სხვათაშორის, რა ჭეშმარიტებას ქადაგებდა ხსენებული ვაჟბატონი სიტყვიერად და წერილებშიაც? სამზრუნველოს წევრების არჩევაში ხმა უნდა ჰქონდეს სრულიად უმეცარს „პადვლის“ ბიჭ-ბუჭებსაც-კი და მასწავლებლებს. არაო და ამიტომ საზოგადოების არჩევნები უკანონოა და უნდა დაირღვესო. თუ რა საღი მოსაზრებაა გატარებული ხსენებულ პირის წერილებში, ამას ყველა გულუბრყვილო ადამიანიც მიხვდება. დარწმუნებული ვართ, რომ ხსენებული ვაჟბატონი, ავტორი მოხსენებულის წერილებისა, არ ყოფილიყო გამძვინვარებული ერთს მასწავლებელზე, რომელიც მას, სამწუხაროდ, კბილის მატლად აჩენია, კრების უკანონო არჩევნების შესახებ უფრო საღს მოსაზრებას წარმოადგენდა, მაგრამ

„ღვარძლის მთესველი ვერ მომკის
იფქვლსა ბასრისა ცელითა,

ანწლი არ მოგვცემს ყურძენსა
ეს არაკი მაქვს ძველითა“.

სიამოვნებით უნდა ვაუწყოთ მკითხველებს, რომ აქაურმა შეგნებულმა ქართველმა ინტელიგენციამ წელს სერიოზულად მოჰკიდა ხელი საკვირაო სკოლის საქმეს. ამას წინად მოუხდენია კრება და თათბირი სკოლის მოწყობის შესახებ. სამწუხაროდ, ამ კრებაზედ არ მოუწვევიათ ერთი ჩემი კარგი მეგობარი, რომელსაც პირველად ვითომდა ექსორია უყვეს, მაგრამ ბოლოს უბრალო „აშიბკა“ გამოდგა, როდესაც ჩემმა მეგობარმა პროტესტი განაცხადა. ამ კრებაზე დაუდგენიათ, მოაწყონ სკოლაში ჯგუფობით სწავლება და გაჰყონ მოწაფეები სამ ჯგუფად. ეს რომ გავიგეთ, ჩვენ უნებლიეთ მოგვაგონდა ქართული ანდაზა: „ეშმაკები ტივებს ალბობდნენ და ღვინო არსად იყოო“. თავდაპირველად ჩვენის აზრით, უნდა დაერიგებინათ განცხადებები იმის ჩვენებით, თუ რა სწავლის შეძენა შეუძლიანთ საკვირაო სკოლაში, განცხადებების დარიგებით ოჯახებში, მაღაზიებში, სარდაფებში და სახელოსნოებში დანიშნულს დროს შეიკრიფებოდნენ მოწაფეები ერთს დღეს, რამდენიმე მაინც, რომლიდგანაც შეიძლებოდა სამს ჯგუფზე მეტის შედგენაც და შემდეგ დაეწყოთ სწავლება.

ამ დღეებშივე გადაუწყვეტიათ: დააარსონ საკვირაო სკოლა ქალებისთვისაც. ეს ფრიად სასიამოვნო ამბავია და ჩვენც, როგორც ჩვენი ცხოვრების მეთვალყურე, სიკეთისა და წარმატების მუდმივი მოსურნე სულითა და გულით ვუსურვებთ ორთავე საკვირაო სკოლებს სრულს წარმატებას, რომ არ გამართლებულიყოს ქართული ანდაზა: „ორი კურდღლის მადევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო“.

ქართული სახალხო წარმოდგენა

/წერილი კავკავიდგან/

ყველიერის კვირას კავკაველ ქართული სცენის მოყვარულებმა სკოლის დარბაზში გამართეს უფასო სახალხო წარმოდგენა, რომელსაც დაესწრო აუარებელი მდაბიო ხალხი. წარმოდგენილი იქმნა ცაგარელის ოთხმოქმედებიანი კომედია „ციმბირელი“. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ: ქ-ნნი ელ. ანდრონიკაშვილი /მაშო/, ქ-ნი მოზდოკელიშვილი /ნარგიზ/, ნ. ფიცხელაური /ვასო/, ლიუბა ლორთქიფანიძე /ქალია/, სტ. ელიაძე /მაზუთიანი/, თ. ცინცაძე /ქლესოვი/, ნ. ყაზბეგი /ციმბირელი/, გ. უტურაშვილი /ნიკოლა/, ვ. ოტიაშვილი /სტეფან მაკარიჩი/, არჩილ ავალიშვილი /კავკაველი პეტუა/. ქ-ნი ბურდულისა, რომელსაც თაზაგულის როლი ჰქონდა, ვერ დაესწრო წარმოდგენას და ამიტომ იმისი როლი წარმოდგენის დროს გამოტოვებული იქმნა.

საზოგადოდ, წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა და დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა მდაბიო ხალხზე, რომელიც სამწუხაროდ მოკლებულია ხშირად ესმოდეს აზრიანი წარმოდგენები მშობლიურს ენაზედ. ამ წარმოდგენამ ჩვენ კიდევ უფრო ცხადად დაგვანახვა, თუ რა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან აქ ხალხისთვის სცენის მოყვარულთა შეკავშირებულს წრეს, რომლის შესახებ ჩვენ არა ერთხელ გვქონია ბაასი „ივერიის“ მკითხველებთან, მაგრამ ჯერ-ჯერობით შეკავშირებულს წრეს, რომლის შესახებ ჩვენ არაერთხელ გვქონია ბაასი „ივერიის“ მკითხველებთან, მაგრამ ჯერ-ჯერობით შეკავშირებულს წრეს მაინც ვერ ვხედავთ, რის გამო აქაური ქართველობა ხშირად ვერ ისმენს ქართულს წარმოდგენებს.

საყოველთაო სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ აქაურს სცენის მოყვარულთა შორის ურევია ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელთათვისაც სცენაზედ თამაშობა საუცხოვო რამეს არ შეადგენს, პირიქით, ბევრი მათგანი კარგად გაწვრთნილ არტისტებსაც შეედრება და მომავლისთვისაც კარგს იმედს იძლევიან, რომ სასურველი და სასარგებლო სამსახური გაუწიონ თავისს ერს ამ საქმეშიაც.

მშვენივრად და თითქმის უნაკლულოდ ჩაატარა თავისი როლი ქ-ნმა ელენა ანდრონიკაშვილმა, რომლის თამამი ქცევა სცენაზედ,

მიხვრა-მოხვრა, სახის გამომეტყველება და დიქცია საზოგადოთ ხელს უწყობდა როლის შესრულებაში. ხმის სიძლიერეც რომ ნებას აძლევდეს, ქ-ნი ელ. ანდრონიკაშვილი, როგორც ნიჭიერი და უკვე გაწვრთნილი მსახიობი, დიდს საპასუხო როლებშიაც თავს იჩენდა ხელოვნურის თამაშობით. არანაკლები ნიჭი გამოიჩინა სცენის საქმეში ბ-ნმა არჩილ ავალიშვილმაც. ეტყობა, რომ მასაც კარგად აქვს შესწავლილი ჩვენი ცხოვრების ზოგიერთი ტიპები, რომელსაც შედარებით კარგად გვიხატავს სცენაზედ და მომავლისთვისაც კარგს იმედს იძლევა. კარგად ჩაატარეს ზოგიერთი საგულისხმიერო ადგილები ბ-ნმა სტ. ელიაძემ და ნ. ყაზბეგმა. მშვენიერი იყო თავის როლში ბ-ნი ოტიაშვილიც. რაც შეეხება სხვებს, რომელთაც შესამჩნევი როლი არ ჰქონდათ, მათაც ხელი შეუწყვეს საზოგადო ანსამბლს. კარგი იყო ნარგიზას როლში ქ-ნი მოზდოკელიშვილი, რომელიც აქ პირველად გამოდის სცენაზედ. მას ეტყობა სცენიური ნიჭი და უნარი, აკლდა ცოტა სითამამე, რომელიც შემდეგში ადვილი გასასწორებელია და დარწმუნებული ვართ, რომ ქ-ნი მოზდოკელიშვილიც აქაური მომავალ სცენის მოყვარეთა წრის დამამშვენებელი წევრი შეიქმნება. ბევრს ადგილას კარგი იყო ბ-ნი უტურაშვილიც; რაც შეეხება ქლესოვს — მას თავისებურობა უფრო ეტყობოდა, ვიდრე იმ ტიპის დახატვა, რომელიც ავტორს ჰყავს გამოყვანილი, მაგრამ ამით ბევრი არ დაშავდებოდა-რა. აკლდა სიტყვების მკაფიოდ გამოთქმა. დიაღ, ეხლა სასიამოვნოდ კავკავში სცენის მოყვარულნიც ბლომად გვყავს. არიან ისეთებიც, რომელთაც ამ წარმოდგენაში არ მიუღიათ მონაწილეობა, მაგრამ მათი ნიჭი სცენის საქმეში სხვა დროსაც გვინახავს. მაშასადამე, გვაკლია მხოლოდ მჭიდროდ შეკავშირება, საზოგადო პროგრამის შედგენა და შეერთებულის ძალით მოქმედება. ღმერთმა ქმნას, რომ ესეც მალე განხორციელდეს.

ქართული წარმოდგენა კავკავში

/ წერილი კავკავიდგან/

23 და 25 მარტს აქაურმა ქართული სცენის მოყვარულებმა კავკავის ქართული სკოლის სასარგებლოდ საქალაქო თეატრში გამართეს წარმოდგენა. წარმოადგინეს ორჯელვე ხუთ მოქმედებიანი დრამა დ. ერისთავისა „სამშობლო“. პირველ წარმოდგენას, რომელიც გამართული იყო 24 მარტს, ხალხი ბლომად დაესწრო, მეორეს კი – 25 მარტის წარმოდგენას, რომელიც გამართული იყო შემცირებული ფასით, ხალხი ნაკლებად დაესწრო. ამათშიაც ასზე მეტი ქართველი ჯარისკაცები და ქართველი მოწაფეები უფასოდ იყვნენ მოწვეულნი. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ: ელ. სოლ. გვარამაძისა /ქეთევანი/, არჩილ ავალიშვილი /სვიმონ ლეონიძე/ ნ. კურდღელაშვილი /ლევან ხიმშიაშვილი/, ე. ანდრონიკაშვილი, ო. მოზდოკელიშვილისა /ფაიხოში/, მ. ო. სურამელი /შაჰი/, ა. ჯაფარიძე, ნ. ყაზბეგი /გოგია დიაკვანი/, გ. ბურდული, ი. გაბისონია, ვ. ზირაქოვი, გ. უტურაშვილი, ივ. მესხიევი, ვ. ოტიაშვილი და სხ.

ჩვენ იმედი არ გვქონდა, რომ აქაური სცენის მოყვარულნი შეძლებდნენ და დაუმახინჯებლად ჩაატარებდნენ ამ რთულს პიესას. მაგრამ ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა, პიესამ საკმაოდ მწყობრად ჩაიარა და დამსწრე საზოგადოებაც ორჯელვე კმაყოფილი და ნასიამოვნები დარჩა.

საზოგადოთ კარგად ჩაატარა თავის რთული როლი ქ-ნმა ე. გვარამაძისამ. საზოგადოებას მისი თამაში ძალიან მოეწონა და მიართვა მას ყვავილების თაიგული. სამწუხაროდ, ქ-ნი გვარამაძისა სხვა-და-სხვა მიზეზების გამო აქაურს წარმოდგენებში ყოველთვის ვერ ღებულობს მონაწილეობას, თუმცა-ღა დიდათ სასურველია და სასიამოვნო ხშირად ვხედავდეთ მას აქაურს სცენაზედ.

კარგი იყო აგრეთვე ქ-ნი ელენე ანდრონიკაშვილისა /დედაკაცი/, რომელმაც ისეთის ძლიერის გრძნობით წარმოსთქვა მონოლოგი, რომ ყველა სმენად გადაიქცა და ბევრს ცრემლებიც მოერია.

ქ-ნის ოლღა მოზდოკელიშვილისამ კარგად შეასრულა ფაიხოშის როლი, შესაფერისი სიტყვა-პასუხი, მიხვრა-მოხვრა, თამაში, ქცევა – ყველაფერი ხელს უწყობდა მას როლის კარგად ჩატარებაში.

ბ-ნი არჩილ ავალიშვილის სცენაზე თამაშობის შესახებ წინადაც ვსწერდით, როდესაც „ციმბირელში“ პეტუას როლს თამაშობდა. კომიკურს როლებში მაშინ მან შესაფერისი ნიჭი გამოიჩინა. რაც შეეფერება დრამატიულს როლებს ბ-ნი ავალიშვილი არც ამაში ყოფილა გამოუცდელი და ნაკლების ნიჭისა. მან საზოგადოდ კარგად ჩაატარა სვიმონის როლი – ბევრს ადგილას ჩინებული იყო.

კარგი იყო აგრეთვე ლევან ხიმშიაშვილის როლში ბ-ნი კურდღელაშვილი. არც ეს არის მოკლებული სცენიურ ნიჭს და რომ ცოტა ნაკლებ ყურადღებას აქცევდეს მიმბაძველობას დრამატიულს როლებში, კარგი არტისტი შეიქნებოდა. ყველაზე კარგად ჩაატარა მან უკანასკნელი სცენა ქეთევანთან.

კარგად იცოდა თავისი როლი ბ-ნმა ჯაფარიძემ /დადიანი/, მიხვრა-მოხვრასაც არა უშავდა-რა.

რაც შეეხება სხვა მოთამაშეებს, მათაც კარგად ჩაატარეს თვისი პატარა როლები – კარგი იყო ბ-ნი ყაზბეგი გოგია დიაკვნის როლში.

წარმოდგენის დროს საზოგადოებას პროგრამებთან ერთად დაურიგდა რუსულად დაწერილი ლიბრეტტო უცხო ხალხისათვის, რომელიც ხშირად ესწრება ხოლმე ქართულ წარმოდგენებსაც; სამწუხაროდ, ლიბრეტტო ისე შემოკლებით და დამახინჯებულად შეედგინათ, რომ ძნელად თუ ვინმე უცხოთაგანი გაიგებდა პიესის მთავარს აზრს.

საზოგადოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ ძალამ, რომელმაც თავი იჩინა სცენის მოყვარეთა შორის, დაჰბადა ახალი აზრი ხშირად წარმოდგენების მართვისა და, რადგანაც ამისათვის ფრიად საჭიროა შესაფერისი აუდიტორია, ამისათვის აქაურ ქართველთა საქმის გულ-შემატკივართა შორის აღიძრა სურვილი ააგონ სასწავლებელთან ვრცელი დარბაზი. ამ აზრის განხორციელება და ნივთიერი ღონისძიების შეკრება იკისრა ამ ჟამად ბ-ნმა სტეფანე ელიაძემ, რომელიც, იმედია, თუ გული არ გაუგრილდა, დიდ ამაგს დასდებს აქაურს ქართველობას ამ საქმეში.

რეპეტიციების დროს რეჟისორობას უწევდა და წარმოდგენების დროსაც სცენარიუსობდა თ-დი, იასონ მერაბის ძე ლორთქიფანიძე, რომელმაც ამ წარმოდგენის გამართვაში დიდი შრომა გაიღო. წმინდა შემოსავალი 300 მანეთამდის იქნება. ბევრი ხარჯი იყო წელს. მომეტებულად ბევრი დაიხარჯა ტანისამოსებზე. ამბობენ, მარტო ქეთევანის გამოწყობა დაჯდა ექვს თუმნამდისაო.

თეატრი და ხელოვნება

კავკავის ქართულ სცენის მოყვარულთ ამ ბოლოს დროს დიდი ბეჯითობა გამოიჩინეს. გადაწყვიტეს, მთელს ზაფხულს კავკავის ქართული სკოლის დარბაზში თვეში ორჯელ მაინც გაჰმართონ ქართული სახალხო წარმოდგენები. პირველი წარმოდგენა უკვე იყო ამ დღეებში. წარმოადგინეს „გაცრუებული იმედი“, კომ. ორ მოქმედებად აზიანისა და „ჭკუისა მჭირს“, კომ. ერთ მოქმედებად ცაგარლისა. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ: ელენე ანდრონიკაშვილი /ნინო/, ნ. ყაზბეგი /სტეფანე ზარალოვი/, გ. უტურაშვილი /ვანო/, ო. ყაზბეგი /სონა/, მ. თხელიძე /გიგო/, ა. ბურდული /კეკელა/, თ. ცინცაძე /გაბო/, კნ. ელ. ხიმშიევისა /ლიზა/, ვ. ოტიაშვილი /გლეხი/, კ. კახიანი /ლაქია/. „ჭკუისა მჭირს“-ში მონაწილეობას იღებდენ: გ. უტურაშვილი /მასწავლებელი/, ვ. ი. ბოძიევი /იმისი ცოლი/, ვ. ოტიაშვილი /ბუღდან/, არჩ. ავალიშვილი /გრიქულა/, მ. ო. თხელიძე /ბოქაული/ და სხვა.

საზოგადოდ წარმოდგენამ მხიარულად ჩაიარა და ხალხიც ბლომად დაესწრო. ყველა სცენის მოყვარულთ კარგად ჰქონდათ შეთვისებული თავთავიანთ როლები და ყველაც თავის ადგილას იყო, გარდა ერთისა, რომელმაც „გაბოს“ როლი ვერ ითამაშა ისე ცოცხლად, როგორც პიესა ითხოვს. ჩინებულად და დიდის ხელოვნებით თამაშობდა კნიაჟნა ელენე ანდრონიკაშვილისა, რომლის ნამდვილ არტისტულ თამაშობას სულგანაბული უგდებდენ ყურს. ჩვეულებრივის ხელოვნებით ითამაშა თავისი როლი ბ-ნმა არჩილ ავალიშვილმაც, რომელსაც, სცენიურ ნიჭთან ერთად, ისიც ეტყობა, რომ საკმაოდ უმუშავნია სცენაზედ, რიგიანი მიხვრა-მოხვრა აქვს და თავისუფლად უჭირავს თავი. ცოცხლად შეასრულა თავისი როლი კნეინა ე. ხიმშიაშვილისამ, რომელსაც ამ ბოლო ხანებში მართლა დიდი წარმატება დაეტყო სცენაზე თამაშობაში. კარგები იყვნენ ნ. ყაზბეგი, ოტიაშვილი, თხელიძე, უტურაშვილი, ქ-ნები: ბურდულისა და ბოძიევი. ქ-ნი ოლღა ყაზბეგი პირველად გამოდის აქ სცენაზედ და მისმა პირველმა თამაშობამ დაგვანახვა, რომ მომავალში კარგი მსახიობი იქნება; ხელს უწყობს, სხვათა შორის, თვის ხმის სიძლიერეც.

ამჟამად ხელის მოწერაა გამართული, აგროვებენ შემოწირულებას სახალხო აუდიტორიის ასაშენებლად კავკავის სკოლასთან, სა-

დაც სახალხო კითხვათა გარდა ხშირი წარმოდგენებიც გაიმართება. რადგანაც ამ აზრის თანამგრძნობი ბლომად აღმოჩდნენ თვით შეძლებულთა შორისაც, იმედია ყველა ხელს შეუწყობს ამ ფრიად საჭირო და სასურველ საქმის კეთილად დაგვირგვინებას და აქაური ქართველობაც ხშირად მოისმენს წარმოდგენებს ქართულს ენაზე ჩვენის საუკეთესო სცენის მოყვარულთაგან თუ არ გაგვექცნენ კავკავიდან. სასურველია აგრეთვე, დაარსებული იქმნას ამხანაგობა სცენის მოყვარულთა საერთო სამუშაოთ და არა ისე, როგორც დღეს არის, ან დღემდის ყოფილა.

კ ა ვ კ ა ს ი ა

კ ი ს ლ ო ვ ო დ ს კ ი. მთელს რუსეთში კისლოვოდსკი საუკეთესო სააგარაკო ადგილად არის აღიარებული. ეს გაზვიადებული სახელი უფრო აიხსნება ნარზანის თვისებით, რომელსაც დიდი გასავალი აქვს ადგილობრივ და გარედაც ვიდრე თვითონ კისლოვოდსკის ბუნებრივის სიმშვენიერით, როგორც სააგარაკო ადგილისა. ნარზანი ადგილობრივ სასიამოვნო სასმელია. ნარზანშივე ბანაობა ჯაფისაგან მოქანცულს ადამიანს აგრძნობინებს ჯანის დაბრუნებას, ნერვებაშლილ ადამიანს ამშვიდებს და აძლევს შეღავათს და სხვ.

რაც შეეხება ადგილობრივ ჰავას, ბუნების სიმშვენიერეს, მეაგარაკეთა შეღავათიანს ცხოვრებას, ამ მხრით კისლოვოდსკი ჯერ კიდევ ითხოვს ბევრს საჭირო გაუმჯობესებას და ბევრით ჩამორჩენილია ზოგიერთ ჩვენებურ აგარაკებთან შედარებით. აქაური გატიტვლებული გორაკები, ბუნების ერთფეროვნება ვერ აკმაყოფილებს სავსებით ყველა ადამიანის ესტეტიურს გრძნობას, თუმცაღა ზოგიერთები ისეთი ქვეყნიდგან მოსულები, სადაც რამდენისამე მანძილზე არა თუ მთას, მცირე ამაღლებულს გორაკსაც ვერ იპოვით, კმაყოფილნი რჩებიან კისლოვოდსკის ბუნებითაც, რადგანაც მათ წარმოდგენაში პატარა გორაკიც ბუმბერაზ მთადა სჩანს.

თვითონ კისლოვოდსკი გაშენებულია ჩაღრმავებულ ქვაბოვან ადგილში. აქვე გაშენებულია სასეირნო „პარკი“, მაგრამ ხშირი წვიმების გამო, მაღლობ ადგილებიდან წამოსული ნიაღვარი სულ აქ გროვდება და მთელი პარკი ხშირად ტლაპოთ იქცევა ხოლმე. ამასთან სინესტეც იცის ამისთანა ადგილებში და კოღოებიც იშვიათი არ არის.

მაინც კისლოვოდსკის ბუნების გაუმჯობესებისათვის მთავრობას

ყურადღება მიუქცევია და სცდილობს, რომ გარშემორტყმულ გორაკებზედ ტყე გააშენოს. გაუყვანიათ გზები და ჩაურგავთ უკვე ხეები, ბუჩქები და სხვადასხვაგვარი სადეკორაციო მცენარეები, რომელიც მომავალში კისლოვოდსკის ბუნებას ცოტა სიმშვენიერეს მაინც შეჰმატებს.

ამ ჟამად კისლოვოდსკის თვალად სამართლიანად ითვლება რკინის გზის მიერ აშენებული ვეებერთელა შენობა – კურზალი, სადაც მოთავსებულია კარგად მოწყობილი თეატრი და ბუფეტი მოგზაურთა და მოაგარაკეთათვის. აქვე მაღლობ ადგილზე გაშენებულია სასეირნო ახალი პარკი სხვა-და-სხვა სადეკორაციო მცენარეებითა. რამდენისამე წლის შემდეგ ეს სასეირნო ბაღი მშვენიერი სანახავი იქნება. თეატრი უჭირავს ცნობილს ფორკატტის. ამ ჟამად აქ იმართება ოპერები, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ სხვათა შორის ბ-ნი ფიგნერი, ტარტაკოვი, ქ-ნი შულგინისა. მომეტებული ნაწილი მეაგარაკეთა უკმაყოფილო რჩება როგორც წარმოდგენებით, აგრეთვე იმ დიდის ფასით, რასაც ახდევინებენ თეატრში შესასვლელად და სადგომ ოთახების დასაქირავებლად. ამჟამად კისლოვოდსკში აუარებელი ხალხია სხვა-და-სხვა ჯურისა. რიგიანი ოთახი, რაც ძნელი საშოვარია, ფასობს თვიურად 200 მანეთამდის და მეტიც, მაგრამ იშვიათად იპოვის კაცი ისეთს ოთახს, რომ ყოველის მხრივ უნაკლულო იყოს.

კურზალში ბუფეტი უჭირავს ქართველს, ბ-ნს ონისიმე შავგულიძეს და სტ. ელიაძეს. კურზალის ბუფეტის რთულის საქმის გაძღოლა და კარგად წაყვანა მცირე გამოცდილებას და სავაჭრო უნარს არ ითხოვს. ამ რთულ საქმის გაძღოლას სამასამდის მოსამსახურე სჭირდება. როდესაც უკვირდები ამოდენა მოსამსახურეთა ფუსფუსს, განწესებულ სამუშაოს მკვირცხლად შესრულებას, შესაფერს თავდარიგს და საუცხოვო წესიერებას, განცვიფრებაში მოდიხარ და არ გჯერა, რომ ამ საქმის მოთავე ქართველია და ისე კარგად დაუყენებია საქმე, რომ უკეთესი შეუძლებელია, როგორც პატრონისა და მოსამსახურისათვის, აგრეთვე სტუმრებისთვისაც, რაც ყველაზე უფრო ყურადღების ღირსია. ამისთანა ადგილს თხუთმეტ შაურად ისეთს სადილს მიირთმევთ, რომ სხვაგან მანეთ-ნახევრადაც ვერ გამოხვალთ იოლად.

მოსამსახურე ლაქიების მომეტებული რიცხვი ქართველებია. თითო მათგანი დღეში აიღებს არა ნაკლებ თითო თუმნისა და ზოგიერთი მთელს სეზონში ათას მანეთსაც გადააჭარბებს. ამისთანა ფუ-

ლის შოვნა დიდად სახეირო იქნებოდა ჩვენებურ ყმაწვილებისათვის, რომ ყველას ფულის ყადრი და დაზოგვა შეეძლოს, მაგრამ ყველა ასე არ იქცევა. ბედოვლათობა, განცხრომითა და მასთან, სამწუხაროდ, უზნეო ცხოვრებაც იშვიათი არ არის მათ შორის. გრძნობათა აყოლა და ნაშოვარის დაუზოგველობა იაფად არ უჯდება ზოგიერთებს. საუკეთესო მაგალითს სამშობლოდგან გადმოხვეწილ ყმაწვილ-კაცებისათვის იმ აზრით, რომ ორიოდე გროში იშოვონ და თავიანთ და თავისიანთ კეთილ ცხოვრებას მოახმარონ, წარმოადგენენ ბ-ნნი ონ. შავგულიძე და სტ. ელიაძე, რომელთაც ყმაწვილობისას არა ერთი შავი დღე, შრომა და ჯაფა გამოუვლიათ და აუტანიათ კიდეც და ყმაწვილობაშივე ნაშოვარი არ გაუფლანგავთ სხვებსავით და დღეს, როგორც ყველა დაინახავს, სახელიც შერჩენიათ მშრომელ ადამიანისა და ქონებაც. ბ-ნთ შავგულიძისა და ელიაძის დაყენებული საქმე მთელს სკოლას წარმოადგენს ჩვენებურ ახალგაზდა მომავალ ვაჭართათვის და ვინც ამ სკოლას გაივლის და საღის თვალით დაუკვირდება თანამედროვე ცხოვრებას, მომავალში ბევრად მოგებული დარჩება.

მოკლე ანგარიში

ბ-ნ დ. ზ. სარაჯიშვილის კავკავის სპირტის სახდელ ქარხანასთან მუშათათვის დაარსებულ საკვირაო სკოლისა /1797-1902 წ./

ექვსი წელიწადია, რაც პატივცემულის ქართველ ქველმოქმედის დ. ზ. სარაჯიშვილის ხარჯით კავკავის ქარხანასთან არსებობს ამ ქარხნის მუშათათვის საკვირაო სკოლა. 1897 წელში ხსენებულ ქარხნის მმართველმა ბ-ნმა ალ. პეტ. სარაჯიშვილმა მთხოვა კერძოდ მის მიერ რწმუნებულს ქარხანასთან მომეწყო საკვირაო სკოლა, რომლის შესანახ ყოველ ხარჯს კისრულობდა თვითონ ქარხნის პატრონი. რასაკვირველია, ეს სიმპატიური აზრი მეც მომეწონა და კიდეც შევუდექით საქმის განხორციელებას. ერთი წელიწადი სკოლა კერძოდ არსებობდა. ამ ერთი წლის გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ სასწავლებელი დიდს ნაყოფს მოუტანდა მუშა ხალხს და ამიტომ მეორე წლიდან საკვირაო სკოლა ოფიციალურად იქმნა გახსნილი. ჩვენ შევადგინეთ სასწავლო გეგმა და შემოკლებული პროგრამმა ყველა საგნებისა, რის სწავლებაც საჭირო იყო მუშა ხალხისათვის. ეს სასწავლო გეგმა და პროგრამმები ბ-ნმა ალ. სარაჯიშვილმა წა-

რუდგინა ადგილობრივს სასულიერო მთავრობას, სასწავლებლის საბჭოს, რომელმაც თანახმად ჩემის სურვილისა, დამამტკიცა ყველა საგნის მასწავლებლად საკვირაო სკოლაში და დაამტკიცა წარდგენილი პროგრამმებიც და სამოსწავლო გეგმაც, რომლითაც ყველა საგნები ისწავლება ქართულ ენაზე, ხოლო რუსული ენა ისწავლება, როგორც კერძო საგანი მის შემდეგ, როცა მოწაფე მუშები ცოტად თუ ბევრად კარგად შეისწავლიან წერა-კითხვას მშობლიურს ენაზედ. მთავარს სასწავლო საგნებს საკვირაო სკოლაში შეადგენდნენ: საღმრთო სჯული, ქართული და რუსული წერა-კითხვა და ანგარიში. საღმრთო სჯულის სწავლების დროს უმთავრესი ყურადღება იყო მიქცეული მუშა ხალხის ზნეობის განსპეტაკებაზე, თანახმად მაცხოვრის მცნებისა. გარდა საზოგადო ცნობებისა საღმრთო სჯულიდან ყურადღებას ვაქცევდით თვით მუშათა ცხოვრებას, რომელიც გვაძლევდა საკმაო საბუთებს და მასალებს ზნეობრივი სწავლის გადასაცემლად და მუშათა ზნეობის გაუმჯობესობისათვის.

საზოგადოდ ყველა საგნების სწავლების დროს სახეში გვქონდა ერთი აუცილებელი საჭიროება. ვცდილობდით გადაგვეცა ყველა საგნებიდან უმთავრესი და უსაჭიროესი ცნობანი, რომელთაც შეეძლებოდათ მტკიცე ნიადაგის მოპოვება მუშა ხალხში, მოგვემზადებინა ეს უკანასკნელი ისე, რომ ყველა მუშას წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ, წიგნების კითხვით თვითონ შესძლებოდა თავისი გონების განვითარება, შეჰყვარებოდა წიგნების კითხვა, რომლითაც შეეძლებოდათ ბევრი კარგი აზრების შეთვისება და ცხოვრებაში გამოყენება. მაგრამ ამ აზრის განხორციელება სავსებით თავდაპირველად წარმოადგენდა ერთს გვარს სიძნელეს: ათას გვარი ჭირვარამის ამტანს, დროს გადასულს უბრალო ხალხს წიგნის შესწავლაზე გული აცრუებული ჰქონდა, სწავლა წერა-კითხვისა მიუწდომელ საგნად მიაჩნდა: „რა დროს ჩემი სწავლაა, შენი ჭირიმე, ყმაწვილობაში არავინ მასწავლა და ეხლა რაღას გავხდებით“. ამისთანა ლაპარაკს ხშირად გაიგონებდით აქაურის მუშებისაგან. ამ შემთხვევაში ერთბაშად წიგნის სწავლების დაწყებინება მოუხერხებელი იყო. ამისათვის საჭირო იყო პირველად გაგვეღვიძებინა მუშებში სწავლის ხალისი საუბრების შემწეობით, მოგვემზადებინა მუშა, უბრალო ხალხი ისე, რომ გულიდგან ამოეღოთ ის აზრი, ვითომ წიგნის სწავლა მათთვის მიუწვდომელია. პირიქით, თუ მცირე ხალისს გამოიჩენს, წერა-კითხვის სწავლება ყველასათვის საადვილო საქმეა. ამის შემდეგ ვიწყებდით წერა-კითხვის სწავლებას „დედა-ენიდგან“. უბრალო

მუშა ხალხი განცვიფრებაში მოდიოდა, როდესაც რომელიმე ასო-ებიდგან შეადგენდა ამა თუ იმ სიტყვას და წაიკითხავდა; თავიდა-ნვე სიტყვების ამოკითხვა ახალისებდა მათ და უადვილებდა საქმეს. ზოგიერთებს ახლად მოსულ მუშებს ეტყობოდათ მორიდება – რომ მივიდეთ სასწავლებლად და ვერა ვისწავლოთ-რა – თავს შევირ-ცხვენთო. ამისთანა თავ-მოყვარეობის გამო ზოგიერთები არჩევდნენ კვირაობით დროს უქმად გატარებას, ვიდრე საკვირაო სკოლაში სი-არულს და სწავლას. ძალდატანება ამ შემთხვევაში და ბევრს სხვა-შიაც სრულიად უნაყოფოა. საკვირაო სკოლა იმართება ყოველთვის იმისთანებისათვის, რომელთაც თავის ნებით სურთ სწავლის მიღება. ასეც რომ არ იყოს, ძალდატანებით არაფერი გაკეთდება. ყველაზედ უფრო მეგობრული განწყობილება უნდა სუფევდეს მასწავლებელს და მოსწავლეთა შორის საკვირაო სკოლაში, რომ სკოლამ ნამდვი-ლად მიაღწიოს თავისს წმინდა დანიშნულებას. და სადაც მეგობ-რული განწყობილება სუფევს მასწავლებელსა და მოწაფეთა შორის, თუნდ ეს უკანასკნელები დიდები იყვნენ, გინდ პატარები, ამისთანა სკოლაში ყოველთვის ხალისიანად დადიან დიდებიც და პატარებიც. მაგრამ პატარებს ყოველთვის ეტყობათ დიდი ხალისი სწავლისა, ვი-დრე დიდებს; დიდებს შორის, როგორც გამოცდილებამ დაგვანახვა, გამოერევა ისეთები, რომელთაც გამჯდარი აქვსთ ძვალ რბილში ის აზრი, რომ ვერას ისწავლის და რომ დაიწყოს სწავლება და ვერა გამოდნეს რა, თავს შეირცხვენს და სხვები სამასხაროდ აიგდებენ. ამისთანა აზრთან შებრძოლება და მისი უსაბუთობის დამტკიცება სწავლების გაადვილებით, საუკეთესო საშუალებათა მოგონებით საჭირო შეიქმნა. ამ შემთხვევაში ჩვენ ვიხმარეთ ერთი საშუალება, რომელმაც დიდი ნაყოფი გამოიღო ბოლოს მუშათათვის წერა-კი-თხვის სწავლების გასაადვილებლად: დიდს თაბახს ქაღალდზე და-ვუწერეთ ბეჭდურის ასოებით და სურათებით ანბანი და საკითხავი მასალა იმ წესზედ, როგორც „დედა-ენაშია“. გამოვიდა სულ ოცი დიდი თაბახი სურათებიანი ანბანი, სადაც ყოველი ახალი ასო ბეჭ-დურის შრიფტით წითელი მელნით არის დაწერილი, რომ ცხადად გარკვეული და გამოცალკევებული იქმნას სხვა ასოებისაგან. ეს და-სურათებული კედელზედ ჩამოსაკიდი ანბანი გამოვუკიდეთ კედლებ-ზედ მუშათა საზოგადო სამყოფ დარბაზში იმ აზრით, რომ ყველას თვალწინ ჰქონოდა ეს ანბანი საკითხავი მასალით და თავისუფალს დროს ყოველ დღე ცოტ-ცოტა ეკითხათ თავის თავად სურათების საშუალებით და ან წერა-კითხვის მცოდნე მუშათა დახმარებით. ამ

ხერხმა სასურველი ნაყოფი გამოიღო: ბევრმა მუშამ თავისთავად შეისწავლა კითხვა, რომლის შემდეგ უფრო გაბედულად მოდიოდა საკვირაო სკოლაში და ჩემს კითხვაზე, სად დაისწავლა კითხვა, მიპასუხებდნენ: „აი, შენი ჭირიმე, კაზარმაში კედელზე რომ ჰკიდია, იმაზე ვისწავლეო“. ამის შემდეგ ბ-ნის სარაჯიშვილისა და ჩემი სურვილიც, რომ არც ერთი მუშა წერა-კითხვის უცოდინარი არ წასულიყვნენ ქარხნიდგან, სრულიად კმაყოფილდებოდა. როგორც არა ერთხელ შეგვინიშნავს, უფრო მეტს თავისუფალს დროს მუშები ანდომებდნენ წიგნების კითხვას. არაერთხელ გვინახავს ამისთანა სურათები – თავის სადგომზე მუშებს გაეკეთებინათ თავისთვის სტოლები, მოეწყოთ ზედ სასწავლო ნივთები, ხან სწერდენ და ხან კითხულობდენ. ხშირად კარგი მკითხველი გარკვეულად უკითხავდა სხვებს რომელსამე ამბავს და სხვებიც დიდის გულმოდგინებით უგდებდენ ყურს და ამით უფრო ეღვიძებოდათ ხალისი წიგნის სწავლისა. ხანდისხან მეც ვუკითხავდი რასმეს. რომელიმე კითხვის გათავების შემდეგ ხშირად გავიგონებდი მადლობას მუშათაგან და სურვილის გამოცხადებას: „ნეტავი, ოსტატო, მაგისთანა წაკითხვა მასწავლა და მეტი არა მინდა რაო“. ყოველი ამნაირი კითხვის შემდეგ თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ სიტყვაკაზმულ მწერლობას დიდი აღმზრდელობითი გავლენა აქვს უბრალო ხალხზე და უფრო ბეჩავია ის ერი, რომელიც მოკლებულია მშობლიურ ენაზედ სიტყვაკაზმულ მწერლობის გავლენას.

ქართული წერა-კითხვის მკვიდრათ შეთვისებისათვის ბ-ნმა სარაჯიშვილმა თავისის საფასით დაუარსა მუშებს კარგად მოზრდილი ბიბლიოთეკა, საიდამაც ყველა წერა-კითხვის მცოდნეს მიჰქონდა წასაკითხავად სხვა-და-სხვა შინაარსის ქართული წიგნები. მშვენიერს სურათს წარმოადგენდა გაზაფხულობით და ზაფხულში, როდესაც მეღორეები და ან სხვა საქონლის მომვლელები გარეკავდენ ნახირს მინდორში საბალახოდ, უვლიდენ საქონელსაც და თან წიგნებსაც კითხულობდნენ.

ბ-ნი სარაჯიშვილი თავისს ქარხანაში მისდევს საუკეთესო ჯიშის საქონლის მოშენებას და ეს საქმეც ჩინებულად აქვს წარმოებული.

როდესაც ქართველი მუშები კარგად გაიწაფებოდენ ქართულს წერა-კითხვაში, მაშინ რუსულის სწავლებასაც დაიწყებდენ, ვარჯიშობდენ რუსულ ლაპარაკში და წერა-კითხვის შესწავლაში. რუსული წერა-კითხვა ქართულის შემდეგ ძალიან უადვილდებოდათ. სახელმძღვანელოდ გვქონდა ჩვენი პატივცემული პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის „Русское слово“, საიდამაც რუსულ წერა-კითხვას მუშები თით-

ქმის თავისთავად სწავლობდნენ. საჭირო იყო დახმარება მხოლოდ იმ ასოების შესწავლაში, რომელიც ქართულ ენაში არ მოიპოვება.

ანგარიშის სწავლებაში უმთავრესი ყურადღება იყო მიპყრობილი პრაქტიკულს მხარეზე, მუშები სწავლობდენ ციფრების წერას, ოთხს მოქმედებას ჯერ ასამდის და შემდეგ დიდს რიცხვებზედაც, სწავლობდნენ სავაჭრო ჩოთქის ხმარებას, ანგარიშების წერას და შედგენას, ჯამის გამოყვანას და სხვ.

ამ ექვსი წლის განმავლობაში მუშათა საკვირაო სკოლაში ყოველ წლობით ყოფილა შემდეგი რიცხვი მოსწავლე მუშებისა:

1897-98 წ. ..... 49 მუშა

1898-99 „ ..... 54 “

1890-900 „ ..... 66 “

1900-1901 „ ..... 74 “

1901-1902 „ ..... 60 “

1902-1903 „ ..... 64 “

სულ .....367 “

ეროვნების მხრივ ორი წილი ქართველები იყვნენ და დანარჩენი ოსები. ამ უკანასკნელთა შორის ვინც ქართული იცოდა, ისინი სწავლობდენ ქართველთა ჯგუფში, სხვები-კი სწავლობდენ ოსურად და რუსულად. ოსებში იყვნენ ისეთები, რომელთაც სოფლის სკოლებში ესწავლათ და ოსური წერა-კითხვაც იცოდნენ. ამათთვის სამშობლო ენაზედ წიგნების კითხვაც აუცილებელს საჭიროებას შეადგენდა. ამიტომ, რაც კი რამ ორიოდე ოსური წიგნაკი მოიპოვებოდა, ყოველთვის მოგვქონდა ბ-ნის სარაჯიშვილის ხარჯით და ვურიგებდით მათ წასაკითხავად, რასაც დიდის ხალისით და სიამოვნებით კითხულობდენ. ყველაზე უფრო გატაცებით ოსები კითხულობდენ ოსების პოეტის, კოსტა ხეთაგუროვის წიგნაკს „ირონ ფანდირ“-ს. სამწუხაროდ, ოსების ინტელიგენცია მცირე შრომას ახმარებს იმას, რომ სახალხო საკითხავი წიგნები ბლომად გამოსცენ. შეერთებული ძალით მოქმედებას თავისი ერის სასარგებლოდ ოსების ინტელიგენციაც მოკლებულია. ჩვეულებრივი კინკლაობა და დონ-კიხოტობა მათშიაც თვალ-საჩინოა. მუშა ოსებშიაც იყვნენ ისეთები, რომელთაც სულით და გულით უნდოდათ ქართულის შესწავლა. ზოგიერთს ოსის ინტელიგენციას ეს ხალხის სურვილი დღეს არ ესიამოვნება, მაგრამ ეს შემცდარი აზრია, მეზობლები ყოველთვის მაშინ არიან კარგი მეზობლები, როცა ერთმანეთის ეყურებათ და მათ შორის უკეთესი დამაკავშირებელი იარა-

ღიც ენა არის. ჩვენ არ ვყოფილვართ წინააღმდეგი იმ მუშა ოსების სურვილისა, რომ ქართულიც ესწავლათ, რადგანაც, მათის აზრით, როგორც რუსულის ისე ქართულის ცოდნასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მათთვის ცხოვრებაში.

ყოველ წლობით მუშათათვის საკვირაო სკოლაში ითვლებოდა ექვსს ჯგუფამდის, რომელიც ერთად სწავლობდა მხოლოდ საღმრთო სჯულსა და სხვა საგნებს-კი – ცალ-ცალკე. ყველა ჯგუფს ძალის შესაფერისი სამუშაო ეძლეოდა საწერად ან ზეპირად; პასუხებს იქვე შევამოწმებდი ყოველთვის შესაფერისის განმარტებით, ხოლო შემდეგის კვირისათვის ყველა საგნებიდან დავუნიშნავდი საჭირო ახსნისა და განმარტების შემდეგ რასმე დასასწავლად და თავისუფალ დროს სავარჯიშოდ, რასაც დიდის ხალისით ამზადებდნენ.

კვირაობით მეცადინეობის გარდა, რომელიც გრძელდებოდა დილიდგან თერთმეტ საათამდის, თითქმის ყოველ შაბათ საღამოობით ყველა მუშებს და ქარხანაში მოსამსახურეებს ვუმართავდით სახალხო კითხვებს ბუნდოვანის სურათების ჩვენებით. ყოველ კითხვას ორთა შუა რიცხვით ესწრობოდა ორმოცდა ათამდე მსმენელი. სახალხო კითხვების მასალას ვიღებდით საღმრთო წერილიდგან, ქართულ და რუსულ სიტყვა-კაზმულ მწერლობიდგან, სამეცნიერო წიგნაკებიდგან და სხვ. სახალხო კითხვები ყოველთვის დიდს შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელებზე. მუშები სულგანაბული უგდებდნენ ყურს კითხვას, გაფაციცებით უცქერდენ შესაფერისს სურათს, რომელიც მსმენელებს უორკეცებდა შთაბეჭდილებას. ზოგიერთს შესანიშნავ ადგილებს ჩვენის მწერლობიდგან აღტაცებაში მოჰყავდა უბრალო ხალხი. ისეთს ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელებზე, თავს ვერ იკავებდნენ, რომ იქვე არ გამოეთქვათ აღტაცება, სიმპატია და სიძულვილი რომელიმე პოემის გმირის შესახებ. მუშების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა „დიმიტრი თავდადებული“, „თორნიკე ერისთავი“, „ასპინძის ომი“, „საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა“, „ლომ-კაცი“, „ბახტრიონი“ და სხვა. რამდენადაც ბერი ლუხუმის საქციელი ჰბადავდა მსმენელებში კეთილშობილურ გრძნობებს, იმდენად წიწოლას საქციელი იწვევდა განკიცხვას და მასხრად აგდებას. სახალხო კითხვები ახალისებდა მუშა ხალხს წიგნების კითხვაში და თავის საკუთრებად წიგნების შეძენაში. რომელიმე პოემის წაკითხვის შემდეგ ესა თუ ის მუშა ხშირად გვეტყოდა: „ოსტატო, ერთი მაგისთანა წიგნი გვიშოვე და მანეთს მოგართმევო“. ყველა ცდილობდა, რომ წიგნები შეეძინათ, უფრო ის წიგნები, რომ-

ლის შინაარსი გაცნობილი ჰქონდათ, რომ თვითონვე არაერთხელ წაეკითხათ. ამ ნაირად ზოგიერთებს რამდენიმე ხნის შემდეგ საკუთარი წიგნებიც ბლომად ჰქონდათ.

სამეცნიერო კითხვებსაც, რომელიც ზოგიერთებს გაუგებრად მიაჩნია ხალხისათვის, დიდი გავლენა ჰქონდა. მაგალითად, ერთხელ წავუკითხეთ წიგნაკი ანატომიიდგან შესაფერისს სურათების ჩვენებით. როდესაც საკითხი ჩამოვარდა ადამიანის სხეულის კანზე – მუშების ყურადღება მივაქციეთ საზოგადოდ კანის სისუფთავეზე და სიბინძურეზე, თუ რა ვნება და სარგებლობა მოაქვს ერთსა და მეორეს; მაგალითები მოვიყვანეთ თვითონ მუშათა ცხოვრებიდგან ხსენებულის საკითხის დასასურათებლად. ამას მოჰყვა ის შედეგი, რომ ამ საუბრის შემდეგ ყველა მუშა ისე სუფთად, საპნით ხელ-პირდაბანილი მოდიოდა საკვირაო სკოლაში, რომ ყველა მნახველს სიამოვნებას მოჰგვრიდა.

საკვირაო სკოლას შესაფერისი ნაყოფი მოჰქონდა არა კერძოდ მარტო მუშათათვის, არამედ იმ დაწესებულებისათვისაც სადაც ისინი მუშაობდნენ. წერა-კითხვისა და ანგარიშის მცოდნე მუშას აყენებდნენ ისეთს საქმეზე, რომელიც თხოულობდა ანგარიშს და საჭირო გონებით მუშაობას, ცნობების ჩაწერას დავთრებში. ამისთანა მუშებს ჯამაგირიც მეტი ეძლეოდა. ისინი განწესებულს დროზედ დაწერილს ცნობებს ციფრებით აღნიშნულს წარუდგენდნენ ქარხნის მმართველს, ბ-ნს ალ. სარაჯიშვილს, რომელიც ხელმძღვანელობდა ამისთანა ცნობებით. ვინც ქარხანაში მუშაობას თავს ანებებდა და სხვა საკუთარ საქმის გამოწყობას შეუდგებოდა, საკვირაო სკოლის ნაყოფი აქაც დიდს დახმარებას უწევდა. ჩვენ არა ერთი და ორი გვინახავს ისეთი უბრალო მუშა, რომელსაც ესწავლოს ქარხნის საკვირაო სკოლაში და შემდეგ კავკავშივე და სხვაგანაც გამოეწყოს საკუთარი საქმე და კარგადაც წაეყვანოს იგი. იმის წყალობით, რომ ამისათვისაც საჭირო ცოდნა შეიძინა თავდაპირველად ბ-ნის სარაჯიშვილის ქარხანაში, რომელმაც 370 მეტი, სხვა რომ არა ვსთქვათ, წერა-კითხვის მცოდნე მუშა ხალხი მოამზადა ამ ექვსი წლის განმავლობაში, ისეთი მცოდნე, რომელიც არ ივიწყებს შეძენილს სწავლას, პირ-იქით, ცდილობს მუდამ ადგეს თვით განვითარების გზას და სხვასაც ასწავლოს წერა-კითხვა, რის მაგალითიც არაერთხელ შეგვინიშნავს. საზოგადოდ საკვირაო სკოლის ნაყოფი, ყოველდღიურ სკოლასთან შედარებით, მცირეა ყოველგან, მაგრამ უბრალო ბეჩავი ხალხის უმეცრების წყვდიადიდან გამოყვანა და მცირე ნათელის ჩვე-

ნება, რაც შეადგენს მთავარ მიზანს საკვირაო სკოლისას, შეგვიძლიან თამამად ვაღიაროთ, რომ ამ აზრს ვადექით ჩვენც ჩვენამდი რწმუნებულს საკვირაო სკოლაში და, შეძლებისა დაგვარად, ვასრულებდით კიდეც. დარწმუნებული ვართ, რაც კარგი რამ მოისმინეს საკვირაო სკოლაში მუშებმა, დავიწყებას არ მიეცემა, რაც სასახელო უნდა იყოს თვით დიდათ პატივცემულს დ. ზ. სარაჯიშვილისათვისაც, რომელიც არ ზოგავს ხარჯს და ყოველ ღონის ძიებას უბრალო მუშა ხალხის განათლებისთვისაც. ვისურვებთ, რომ მომავალშიაც უფრო მეტი ნაყოფი გამოეღოს ხსენებულს საკვირაო სკოლას ჩვენი ბეჩავი ხალხის სასარგებლოდ და მათდა გულშემატკივართა სასიამოვნოდ. იმედია, ბ-ნი სარაჯიშვილიც, რომელსაც ეკუთვნის თაოსნობა მის მიერ რწმუნებულ ქარხანასთან საკვირაო სკოლის დაარსებისა, შემდეგშიაც არ მოაკლებს იმ ფ-დ სასურველს და კაცთ-მოყვარულ თანაგრძნობას, რომელსაც დიდის კმაყოფილებით უწევდა ამ სკოლას დაარსებიდგან დღემდის, რაშიაც არა ერთხელ დავრწმუნებულვართ.

საუბარი სახალხო სკოლებზე

/ ბ-ნის ივანე როსტომაშვილის წერილის გამო/

რთული საკითხი საზოგადოდ სახალხო სკოლების კეთილ-ნაყოფიერად მოწყობის შესახებ ყველგან წარმოადგენდა და ბევრგან დღესაც წარმოადგენს საკამათო საგანს. ჩვენში-კი თავიდანვე ისეთს უხერხულს გარემოებაში იქმნა ჩაყენებული ჩვენებური სახალხო სკოლები, რომ მისი უნაყოფობა მეტნაკლებობით წინად და დღესაც თვალსაჩინო უნდა იყოს ყოველის შეგნებულის ადამიანისათვის. ჩამოთვლა, ანუსხვა ყველა იმ ნაკლულევანებათა და ყოველ მხრივ განხილვა ჩვენებური სახალხო სკოლების დღევანდელის და წარსულის ავკარგიანობისა მოუხერხებელია მცირე წერილში. ამისთვის საჭირო იქნებოდა მთელი თხზულებანი რომ ნათლად დაენახა ყველას ის უხეირო და უსარგებლო შედეგი, რომელიც ყოველთვის მოჰყვება ყველა უწესრიგოდ, უკანონოდ და თავიდანვე დამახინჯებით დაწყობილს და წარმართულს საქმეს.

ზოგიერთ ჩვენ პედაგოგთა შორისაც არიან ისეთნი, რომელთა თეორიული და პრაქტიკული მოსაზრებანი ჩვენებურ სახალხო სკოლების მოწყობის შესახებ წარმოადგენენ უფრო ფანტაზიისა და

ოცნების ნაყოფს, ვიდრე საღს, მოფიქრებულს და სამართლიანს მსჯელობას აღძრულ საკითხის ყოველ მხრივ საფუძვლიანად გამორკვევას, აწონ-დაწონვას და ჯეროვანად განმარტებას. ხოლო ცალმხრივ განმარტება ყოველის საგნისა, რაც უნდა იყოს იგი, ადგილობრივის ვითარების მიუხედველად, ყოველთვის უნიადაგოდ და უსარგებლოდ ჩაივლის.

სხვათა შორის ასე იმოქმედა ჩვენზე მრავალმხრივ მშრომელ პედაგოგის ბ-ნის ივანე როსტომაშვილის წერილმა, რომელიც დასტამბული იყო „ივერიის“ №133-ში შემდეგის სათაურით: „რა სახისა უნდა იყოს საზოგადოდ სახალხო სკოლა და როგორ უნდა მოეწყოს იგი ჩვენში თუ სხვაგან?“ უკანასკნელს საკითხზე წერილში პასუხს ვერ იპოვით და ეს არც საინტერესოა ჩვენთვის. ჩვენ უფრო უნდა გვაინტერესებდეს ჩვენებური სკოლების ავ-კარგი, რომელსაც ასე თუ ისე ეხება ბ-ნი როსტომაშვილი თავისს წერილში. ჩვენებური სახალხო სკოლების წესიერად მოწყობა, საქმის კარგად დაყენება და კანონიერად წარმართვა უნდა შეადგენდეს სატრფიალო და სასურველ საგანს ყველა ჩვენებურ მამულიშვილისათვის, თავისი ქვეყნისა და ერის საბედნიეროდ, მაგრამ ეს საგანი ჩვენშიც ზოგიერთებს სხვადასხვანაირად ესმის. გამორკვევა იმისი, თუ რომელ მხარესკენ არის მეტი სიმართლე, ეს შეგნებულ მკითხველის საქმეა. ჩვენ-კი შევუდგებით ბ-ნის როსტომაშვილის და სხვების მოსაზრებათა განხილვას და გამორკვევას ერთის საკითხის, თუ რამდენად საფუძვლიანია პირველის მოსაზრებანი ჩვენებურ სახალხო სკოლების შესახებ.

ჩვენებურ სახალხო სკოლების კეთილნაყოფიერებისათვის ბ-ნს როსტომაშვილს საუკეთესო საშუალებათ მიაჩნია ის გარემოება, რომ სახალხო პირველდაწყებითს სკოლებს ჩვენში ჰქონდეს ოთხის წლის კურსი და ამასთან მეურნეობა, ხელოსნობა-მრეწველობის ხასიათი და ამის დასამტკიცებლად მოჰყავს საფრანგეთის სკოლები, სადაც მისის სიტყვებით, „სამეურნეო სახელოსნო სწავლება ისეთი სავალდებულო საგანია, როგორც წერა-კითხვა და ანგარიშიო“. რომ ჩვენებურ სახალხო სკოლებს ოთხის წლის კურსი უნდა ჰქონდეს, ეს ახალი აზრი არ არის, ამას დიდი ხანია ჰქადაგებდნენ ჩვენი საუკეთესო პედაგოგები და ამ ბოლოს დროს, როგორც სჩანს სამოსწავლო მთავრობის ანგარიშებიდგან, თვითონ ადგილობრივ საერო და სასულიერო მთავრობასაც-კი შეუგნია ის აზრი, რომ სამის წლის კურსი ჩვენებურის სახალხო სკოლებისათვის ძალიან ცოტაა, თვითონ რუსეთშიც. არა თუ არა რუსთა სკოლებს, თვით პირდაპირ რუსულ

სკოლებსაც ბევრი მოტრფიალე ჰყავს ამჟამად, რომ სამის წლის კურსი შეიცვალოს ოთხ წლისად. ჩვენი „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებაც“ თავიდანვე ამ აზრს ადგა და ის მცირე სკოლები, რაც მოეპოვება დღეს საზოგადოებას, ყველა ოთხწლიანია. მაშასადამე, ის საკითხი, რომ ჩვენებური სკოლები, სამის წლის ნაცვლად ოთხის წლის კურსს შეიცავდეს ყველასაგან ჭეშმარიტებად უნდა იქმნას აღიარებული.

ახლა, ვიდრე საფრანგეთის სკოლებზე ვიტყოდეთ რასმე, საჭიროდ მიმაჩნია შევეხო იმ საკითხს, თუ როგორ უყურებენ რუსების და დასავლეთ ევროპის საუკეთესო წარმომადგენელნი პედაგოგიურის მწერლობისა, მეურნეობის, ხელობის, მრეწველობის და სხვა სპეციალურ საგნების სწავლებას სახალხო სკოლებში.

რუსეთის საპედაგოგიო ჟურნალებში ბევრი რამ წერებულა ამ ათის წლის განმავლობაში ხსენებულ საკითხის შესახებ, მაგრამ ჯერ არავის წარმოუთქვამს გაბედვით და დაბეჯითებით ის აზრი, რომ უთუოდ პირველ დასაწყისს სახალხო ერთკლასიან სკოლას, სადაც სწავლობენ 8–12 წლის ყმაწვილები, ჰქონდეს მეურნეობა, ხელოსნობა, მრეწველობის ხასიათიო და აგრონომმასწავლებლის მოწვევა იყოს საჭირო პირველ დასაწყისს სახალხო სკოლებში სპეციალურ საგნების სასწავლებლად. ეს უკანასკნელი აზრი, არა თუ რუსეთში, მგონია დასავლეთ ევროპაშიაც არავის მოუფიქრნია ჯერჯერობით, თუმცა-ღა იქაურს სკოლებში, როგორც ქვემოდ დავინახავთ, ის უფრო შესაძლებელია, ვიდრე რუსეთში და ჩვენშიც.

კარგი და ყოველის მხრივ განმარტებული თხზულება სამეურნეო საგნების სწავლების შესახებ სახალხო სკოლებში დღეს მთელს რუსების მწერლობას სრულიად არ მოეპოვება. ამიტომ ამ დღეებში პეტერბურგის წერა-კითხვის გამავრც. კომიტეტმა გამოსცა საკონკურსო პროგრამმა ვორონოვის სახელობაზე დაარსებულის ოქროს მედლის მისანიჭებლად მისთვის, ვინც დასწერს საუკეთესო თხზულებას ამ საგნის შესახებ, რასაკვირველია რუსთა ცხოვრების და საჭიროების მიხედვით. პროგრამმაში მოხსენებულია, რომ ამ საგნის განხილვის დროს უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს: „не столько на утилитарное, сколько общепедагогическое значение таких занятий, основанных на наблюдении и ознакомлении с природою“.

ზოგან რუსეთში და ჩვენშიაც, როცა რამე ადგილობრივ დღიურს ვარამზე ჩამოვარდება ლაპარაკი, მაშინვე კეთილმყოფელთა ყურადღებას იპყრობს სახალხო სკოლა, მისი პროგრამმა და მასწა-

ვლებელი. ვსთქვათ, სოფლის ანტიჰიგიენურს მდგომარეობაზეა ლაპარაკი — მოაქციეთ სახალხო სკოლის პროგრამაში პირველ დაწყებითი ჰიგიენური ცნობები, ცუდად მიდის ტეხნიკურ სკოლების ცოდნა სოფლებში — შემოიღეთ სახალხო სკოლებში ხელობის მეურნეობის — საქონლის მოშენების, მეაბრეშუმეობის, მეფუტკრეობის და სხვა სამეურნეო დარგის სწავლებაო, — გაიძახიან ეს კეთილის მყოფელნი და იმას კი არ დაგიდევენ, შეუძლიან 8-12 წლის ყმაწვილს შეისწავლოს რომელიმე დარგი მეურნეობისა, როდესაც ჯერ კიდევ მოუმზადებელია, გონებით განუვითარებელია და არცა აქვს ცხადი წარმოდგენა გარშემორტყმულს ბუნებაზე თუ არა. ყველაზე უფრო მეტი ზარალი სახალხო სკოლის ნორმალურს პროგრამას მოსდის მაშინ, როდესაც საკითხი ეხება სამეურნეო საგნებს. ბევრნი ამ რთულ საკითხს ძრიელ ადვილად სწყვეტენ: „დაავალეთ, შეიტანეთ სკოლის პროგრამაში ამა და ამ სამეურნეო მეცნიერების დარგის სწავლება, დაავალეთ ეს ყველა სახალხო მასწავლებელსაო“. მორჩა და გათავდა. იმას-კი არ დაგიდევენ, თუ რა შედეგი მოჰყვება ამნაირად საქმის წარმართვას. ბევრისმდომი ცოტასაც დაჰკარგავსო, ნათქვამია და სწორედ ასეც ემართება იმ სახალხო სკოლას, რომელიც ერთსა და იმავე დროს ეჭიდება ბევრს საგნებს და ბოლოს-კი არც ერთის რიგიანი ცოდნა არა აქვთ ამისთანა სკოლაში გაზრდილებს. ამას ყველა შენიშნავდა ჩვენშიაც.

ჯერ-ჯერობით შეუფერებელი მოთხოვნილებაა, რომ სახალხო სკოლის მასწავლებელი იყოს კარგი სახალხო მასწავლებელი და იმავე დროს, როგორც რუსები იტყვიან — „и жнец и швец и в дуду игрец“, შეუძლებელია რომ სახალხო მასწავლებელმა ყველაფერი საკმაოდ იცოდეს. გარდა ამისა ჩვენებურ ერთკლასიან სახალხო სკოლის მასწავლებელმა, კარგადაც რომ იცოდეს ყველა დარგი მეურნეობისა, მაშინაც მოუხერხებელია და უსარგებლო ამისთანა სკოლებში, ოთხი წლის კურსიც რომ ჰქონდეს, შეიტანონ სამეურნეო საგნების სისტემატიური სწავლება და მოაწყონ ეს საქმე ისე, რომ არა ევნოს-რა წერა-კითხვისა და საზოგადოდ განათლების სწავლების საქმეს და მეურნეობა მრეწველობიდანაც შეიძინონ რამე გამოსაყენებელი და დამთავრებული ცნობანი. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ყოველ გვარი ცოდნა და მათ შორის პროფესიონალური განათლებაც ყოვლად სასარგებლოა: ცოდნა მატებს ადამიანს, როგორც ნივთიერს, ისე სულიერს სიმდიდრესაც. მაგრამ ამისთანა თვისება აქვს მხოლოდ ნამდვილს ცოდნას ე. ი. სისტემატიურად შეძენილს

სწავლას. განა შეუძლიან სახალხო მასწავლებელს გადასცეს ხალხს ამისთანა დასრულებული, მთელი და სისტემატიურად მოწყობილი სწავლა-მეცნიერება სხვა-და-სხვა სამეურნეო საგნებისა, იმ მასწავლებელს, რომელსაც ორთაშუა რიცხვით 60-70 მეტი მოწაფე აბარია, რომელთაც ყოველთ უწინარეს უნდა მისცეს ელემენტარული საღი საზოგადო განათლება?! ამას გარდა, სახალხო მასწავლებელი, როგორც სამართლიანად შენიშნავენ საუკეთესო პედაგოგები – „მანამდის რჩება სახალხო მასწავლებლად, სანამ განაგრძობს თავისს სწავლას“ – ე. ი. ადგას მუდმივ თვითგანვითარებისა და სწავლის შეძენის გზას. მაშასადამე, ყველა სახალხო მასწავლებელს, ვისაც ეს რთული მოვალეობა უკისრია, ესმის და ნათლად აქვს წარმოდგენილი თვისი მოვალეობა, სკოლაში მეცადინეობის გარდა, კიდევ სკოლის გარეშე მეცადინეობასაც უნდა მისდევდეს, რომ პირნათლად შეასრულოს თავისი მოვალეობა და არ გაირიყოს, არ შესდგეს ერთს წერტილზე. ამის შემდეგ როდის მოასწრობს იგი სისტემატიურად სამეურნეო ცოდნის გავრცელებას ხალხში? საკვირველიც არ არის ამის შემდეგ, რომ ის მოთხოვნილება ზოგიერთებისა, რომ პირველ დაწყებითი სახალხო ერთკლასიანი სკოლაც ავრცელებდეს ხალხში და სახალხო სკოლის მოწაფეებში სხვა-და-სხვა პროფესიონალურ ცოდნას, სრულიად უნაყოფოდ რჩება ბევრგან და ზარალს აძლევს მხოლოდ საზოგადო სკოლის პროგრამის შესრულებას, საზოგადო ელემენტარულ განათლების საქმეს, რომელიც უნდა შეადგენდეს მთავარს და ქვაკუთხედ საგანს ყოველის პირველ დაწყებითის ელემენტარულის სასწავლებლისას.

მივაქციოთ ყურადღება მარტო მეურნეობის გავრცელებას ხალხში. ამისთანა ცოდნის გავრცელების სარგებლობა ყოველს ეჭვს გარეშეა და ჩვენის ხალხისათვისაც აუცილებლად საჭიროა, რადგანაც სამეურნეო ცოდნას მოკლებული ხალხი ვერაოდეს ვერ წარუძღვება გონივრულად მეურნეობის საქმეს. მაგრამ გონივრულად მეურნეობის საქმის წაყვანაც ადვილი საქმე არ გახლავსთ. ამისათვის ბევრი და ძალიან ბევრია საჭირო იცოდეს კაცმა, რაც შეუძლებელია შეიძინოს ნაწყვეტ-ნაწყვეტ საუბრებიდგან. ამ შემთხვევაში ჭეშმარიტ სწავლა-მეცნიერების ნაცვლად უნდა გადასცეთ უნებლიედ ცოდნის ნაწყვეტები, რომელთაც ვნების მოტანა უფრო შეუძლიან, ვიდრე სარგებლისა. ამას წინად ერთს საპედაგოგიო კურსებზედ ერთი გატაცებული მოტრფიალე იმ აზრისა, რომ სოფლის მეურნეობა ვრცელდებოდეს ხალხში სოფლის მასწავლებლის შემწეობით,

მთელი საათნახევრის საუბარში ცდილობდა გადაეცა მაყურებელთათვის ცნობები მწველელ საქონლისა და ჯაფის ამტან საქონლის ჯიშის შესახებ, მაგრამ რა შედეგი მოჰყვა ამ საუბარს? სხვა-და-სხვა ნაწყვეტები, სრულიად გაუგებარი, უსისტემო ნაფლეთები ცოდნისა, რომელიც საუბრის გათავების შემდეგ საპნის ბუშტებივით გაჰქრენ მსმენელთა მეხსიერებიდგან. საკვირველიც არ არის, რომ საათნახევრის განმავლობაში სოფლის მასწავლებლებმა ვერ შეიგნეს საფუძვლიანად ვერც კარგი ჯიშის მწველელი ძროხების და ვერც ჯაფის ამტანი საქონლის გამოცნობა და თვისებანი, რადგანაც ყველა ამისათვის საჭიროა სწავლა, სერიოზული სწავლა, საჭიროა სწავლა მეცნიერების მთელი დარგისა.

სახალხო მასწავლებლის მიერ პროფესიონალური ცნობების გავრცელებით გატაცება არაერთხელ გაკიცხული იქმნა ამ საგნის სპეციალისტების მიერ. ამ აზრის დასასაბუთებლად ჩვენ მოვიყვანთ ამ რამდენიმე წლის წინად მოსკოვში გამართულ სრულიად რუსეთის ტექნიკურ და პროფესიონალურ განათლების სპეციალისტთა კრების დადგენილებას. იმ საკითხის გამოსარკვევად შეტანილ იქმნას სახალხო სკოლის პროგრამმაში ტექნიკურ და პროფესიონალურ საგნების სწავლება და მათ რიცხვში სამეურნეო ცოდნაც თუ არა, შედგენილი იქმნა სამი სექცია: სექცია საზოგადო კითხვებისა, სექცია სამეურნეო განათლებისა და მესამე – სექცია ხელით შრომისა /ручного труда/. რა გამოვიდა აქედგან? თვით სპეციალისტებმა კითხვაზედ – „სასურველია თუ არა დაევალოს სახალხო მასწავლებელს სკოლის გარეთ გავრცელება სამეურნეო ცოდნისა?“ – უმეტესობამ უპასუხა: „არა, არ არის სასურველიო“. ამავე კრებამ დაადგინა, რომ იქ, სადაც მოსახერხებელი იქნება სისტემატიური კითხვების გამართვა, საჭიროა კითხვებს ჰიგიენიდგან უმართავდეს ექიმი, სამეურნეო საგნებიდგან – აგრონომებიო. ერთის სიტყვით წაღს მეწაღე კერავდეს და პურს მეპურე აცხობდესო; ხოლო სახალხო მასწავლებელი უნდა ასწავლიდეს წერა-კითხვას და სხვა საზოგადო საგნებს და განავითაროს ბავშვების გონება იქამდის, რომ ბოლოს ადვილად და სრულად შეეძლოთ თავისთავადაც წიგნების კითხვით საპროფესიონალო და სამეურნეო ცნობების შეძენაო, რომელსაც უსათუოდ წინ უნდა უძღოდეს შესაფერისი საზოგადო განათლებაო.

რაც შეეხება ხელით შრომის მნიშვნელობას სახალხო სკოლებში – ჩვენ გვახსოვს სხვათა შორის ერთი ღირსშესანიშნავი ლექცია, ამ საგნის შესახებ წაკითხული ბ-ნის კასატკინის მიერ სრუ-

ლიად რუსეთის გამოფენაზედ ნიჟნი-ნოვგოროდში, მთელი რუსეთის სხვა-და-სხვა კუთხიდგან მოსულ სახალხო მასწავლებლებისა და ინსპექტორ-დირექტორების თანადასწრებით. ბ-ნი კასატკინი, დასავლეთ ევროპის სკოლების მიხედვით, სასურველად ჰხდიდა ამ საგნის სწავლების შემოღებას სახალხო სკოლებში, მაგრამ არც ეკონომიური მდგომარეობა სოფლის სკოლისა, არც მოწაფეთა წლოვანება ამ სკოლებში ნებას არ იძლევა, რომ ყოველგან შემოღებული იქმნას ხელით შრომის სწავლებაო, რომელიც ლექტორის აზრით შესაძლებელია მხოლოდ ექვსკლასიან საქალაქო სკოლებში და ზოგან ორ კლასიან სკოლებშიც და ისიც განსაკუთრებით „к воспитательных целях, а не в меркантильных или в целях ремесленного образования“. ასეთივე აზრი წარმოსთქვეს უმრავლესობამ სახალხო მასწავლებელთაგანაც რომელთაც განაცხადეს, რომ – „школа должна остаться школой т. е. стремиться дать общее образование и не увлекаться побочными задачами“.

გერმანიის სკოლებში ხელით შრომის სწავლება პირველად გავრცელდა კლაუსონ-კაასის ქადაგებით, შემოიღეს ამ ხელობის სწავლება ბევრს სახალხო სკოლებში, არამარტო პედაგოგიურის, არამედ საოჯახო სარგებლობის მხრითაც. კარგა ხნის დაკვირვების შემდეგ კაასმა შეამჩნია, რომ „охота к ручному труду германского народа значительно понизилась“. /„Русск. Шк. 1892 г. №10./

ამ ათი წლის წინად პეტერბურგში მიწვეულნი იყვნენ სახალხო სკოლების დირექტორები სახალხო სკოლების პროგრამის გადასათვალიერებლად. დირექტორთა კრებამ კატეგორიულად უარი განაცხადა სამეურნეო ცნობების სწავლების შემოღებაზე სახალხო სკოლებში და ერთხმად გადასწყვიტეს, რომ საზოგადო განათლების საგნების პროგრამა შეუცვლელი დარჩენილიყო. მათის აზრით სახალხო სკოლას ვერ დავავალებთ პროფესიონალური ცნობის გავრცელებას, არ შეიძლება მოვსთხოვოთ სახალხო სკოლას მოამზადოს სოფლის მეურნეები, აგრონომები, ხელოსნები, მებაღე-მებოსტნეები და სხ., როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, რადგანაც მათის აზრით, სკოლა რჩება „განკერძოებულად ცხოვრება ბუნებისაგან“ და არ იძლევა სასურველს შედეგს ხალხთა კეთილ დღეობის გაუმჯობესობაშიო. პირველ დაწყებითი სკოლისათვის ფრიად საკმარისია, თუ იგი აღასრულებს თავის დანიშნულებას – აღზრდის ისეთს პირებს, რომელსაც ბოლოს შეეძლოს ამა თუ იმ გლეხთა პროფესიის გონივრულად გაძღოლა, შეეძლოს ჭკვიანურად და გონივრულად დაწე-

რილის წიგნების წაკითხვა და წაკითხულის გაგება. სახალხო მასწავლებელმა თავისი გავლენითა და მაგალითით უნდა ჩაუნერგოს გულში მოწაფეთ პატივისცემა სამეურნეო შრომისადმი, მისწრაფება თვით განვითარებისადმი და ის აზრი, რომ სწავლა კაცს სიბერემდის არ მოსჭარბდება. ამნაირად მოწყობილს სახალხო სკოლას უფრო შეუძლიან წინ წასწიოს ხალხთა განათლების საქმე და, რაკი ეს მოძრაობა შეიქმნება, ხალხი ამ პირობებში აღზრდილი თვითონ გამოიყენებს თავისს საზოგადო ცოდნას სხვა-და-სხვა კერძო სასარგებლო ცნობების შეძენაშიაც. ერთი ფრანგების ცნობილი პედაგოგი ამბობს: აზრი პირველ დაწყებითი სასწავლებლისა იმაში-კი არ მდგომარეობს, რომ ბავშვს ბევრი ცოდნა შესძინოთ, არამედ იმაში, რომ ბავშვს თვითონ თავის თავად შეეძლოს ბევრი ცნობების შეძენაო, საქმე თვით სწავლებაში-კი არაა — არამედ იმაში, რომ ასწავლოთ სხვას — თვითონ როგორ ისწავლისო. სახალხო ერთკლასიან სკოლას ვერც ჩვენში, სადაც ისედაც ბევრი საგნები ისწავლება და ისიც არა პედაგოგიურს სისტემაზედ და ვერც რუსეთში არ შეუძლიან ერთსა და იმავე დროს ემსახუროს სამეურნეო ცოდნათა გავრცელებას და საზოგადო განათლების საქმესაც წაუძღვეს შესაფერისის ძალღონით ე. ი. ერთსა და იმავე დროს ორი კურდღლის მდევარი გახდეს და ორივე დაიჭიროს. ამისთანა მიმართულებას არა თუ ერთკლასიან, არამედ ორკლასიან და საქალაქო სკოლებშიაც ბევრი უარსა ჰყოფს დღესაც. მაგრამ ამით ჩვენ ის არ გვინდა ვსთქვათ, რომ თვითოეულს სახალხო სკოლასთან არ იყოს გაშენებული შეძლებისა და გვარად ბაღი, ბოსტანი, ყვავილები, ფუტკარი, აბრეშუმის ჭია და სხ. პირიქით, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც თვალსაჩინო სწავლებისათვის, აგრეთვე მისთვის, რომ ჩაუნერგოთ მოწაფეებს ბავშვობიდანვე სიყვარული ბუნებისა და სამეურნეო ცოდნის შეძენისა მომავალში. ყოველს სასწავლო წიგნში მოთავსებულია რამდენიმე სტატიები, რომელიც ეხება მეურნეობის სხვა-და-სხვა დარგსაც. აი, ამ სტატიების შეგნებით წაკითხვით და შიგ მოხსენებული საგნების თვალსაჩინოთ განხილვით სახალხო სკოლის მოწაფეები იძენენ სამეურნეო ტერმინებს, იმდიდრებენ სიტყვიერებას და თანდათან ემზადებიან, რომ შემდეგში ადვილად შესძლონ წაკითხვა და გაგება სახალხო-სამეცნიერო წიგნებისა. ჩვენებური სახალხო სკოლის ერთს კერძო დანიშნულებას ეს უნდა შეადგენდეს და არა პირდაპირი მოთხოვნილება მეურნეობის შესწავლისა ისიც 8-12 წლის ბავშვის მიერ.

ბ-ნი როსტომაშვილი ჩვენებურს სახალხო სკოლებში მეურნეო-

ბის სწავლების შემოღების საბუთს ამყარებს საფრანგეთის სახალხო სკოლების მაგალითზე, სადაც სხვათა შორის, ზოგს ადგილას სკოლაში აძლევენ სამეცნიერო ცნობებს ბუნების მეტყველებიდგან და განსაკუთრებით ცნობებს მიწის შემუშავების შესახებ. ეს კარგი და პატიოსანი, მაგრამ ბ-ნს როსტომაშვილს ამ შემთხვევაში ავიწყდება ფრიად საჭირო გარემოება, სახელდობრ ის, თუ რა განსხვავებაა ჩვენებურსა და საფრანგეთის სახალხო სკოლათა და მოწაფეთა შორის მომზადების მხრივ. საფრანგეთში და საზოგადოთ ევროპაში არსებობს სხვა-და-სხვა ტიპის პირველ დასაწყისი სკოლები. პირველ მათგანს შეადგენს ესრედ წოდებული დედობრივი სკოლები /écoles maternelles/. ამ სკოლაში ასწავლიან პირველს პრინციპებს ზნეობისას, საზოგადო სახმარებელ საგნების თვალსაჩინოდ გაცნობას, ავარჯიშებენ ზეპირსიტყვიერებაში, ასწავლიან ხატვას ბადეებში, წერა-კითხვას, ანგარიშიდან – რიცხვების შესწავლას 100-მდე, ოთხს მოქმედებას, მეტრიულს სისტემას, ზეპირ ანგარიშს, ცნობებს ბუნების მეტყველებიდგან: ადამიანის სხეულის ნაწილებს, ცხოველებს, მცენარეებს, მადნეულობას სხვა-და-სხვა კოლექციებიდგან, რომელნიც შეგროვებულია მოსწავლეთა და მასწავლებელთაგან. ასწავლიან სამშობლოს მოკლე გეოგრაფიას, ქვეყნის ნაწილებს, მიწა და წყალს, მდინარეებს, მთებს, საფრანგეთის უმთავრეს ქალაქებს, შესანიშნავ ისტორიულ მოთხრობებს საფრანგეთის შესახებ, სიმღერას, გიმნასტიკას და სხ. ამნაირად მომზადებული ბავშვი, რომლის მომზადებაც უდრის მეტ-ნაკლებობით ჩვენებურის ერთ-კლასიან სკოლების მომზადებას, დედობრივის სკოლებიდან გადადის ესრედ წოდებულს პირველ დაწყებითს სახალხო სკოლაში /écoles primaires élémentaires/, რომელსაც აქვს ექვსი ან შვიდი წლის კურსი და თითო კლასს ჰყავს თითო მასწავლებელი. არაფერი გასაკვირველი არ არის რომ ასეთის მომზადების და ხანგრძლივის სწავლების შემდეგ საფრანგეთის სახალხო სკოლების უფროსს კლასებში ზოგან მეურნეობის რომელსამე დარგსაც ასწავლიდნენ ადგილობრივ პირობათა მიხედვით, თუმცა-ღა საფრანგეთში მეურნეობისა და მრეწველობის აყვავების საქმეს მარტო სკოლები კი არ უწყობენ ხელს, არამედ ათასგვარი სხვა-და-სხვა ამხანაგური და კერძო დაწესებულებანი, კერძო თაოსნობა, ამხანაგობა, აუარებელი სხვა-და-სხვა ტიპის სპეციალური პროფესიონალური სასწავლებლები და სხ. შემცდარი აზრი იქნება ვიფიქროთ, რომ საფრანგეთის სახალხო სასწავლებელი ამზადებდეს პირდაპირ სპეციალისტებს ამა თუ იმ ხელობისას. ეს სასწავლებლე-

ბიც, როგორც ყველგან სახალხო სკოლები, აძლევენ მხოლოდ მცირე ცნობებს, რომლის საშუალებითაც სკოლის დამთავრების შემდეგ შეეძლოთ სამეცნიერო წიგნების კითხვა. ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ ერთის ცნობილის ფრანგის სიტყვებს: „თუ გინდათ შეინახოთ სოფლელი ბავშვი სოფლისათვის, – ამბობს იგი, და არ გინდათ, რომ იგი მოხელე ანუ რკინის გზაზე მოსამსახურედ, გაუხსენით მას გემოვნება მიწის მუშაობისა, ბუნების სიყვარულისა. ამისათვის იგი უნდა შეიქმნეს თვალ-საჩინო მხილველი ყოველ იმ მოვლენათა, რომლის შესახებ მას ესაუბრებიან. მას თვალსაჩინოდ და ცხადათ უნდა გაეგებოდეს ყველა ტექნიკური სიტყვები, რომელთაც იგი შემდეგ შეხვდება სამეცნიერო სამეურნეო წიგნებში და მაშინ იგი ადვილად გაიგებს ნიადაგის შედგენილებასაც, გამოარჩევს შესაფერისს პატივს, საქონლის საკვებავს და გაარჩევს საუკეთესო თესლეულებსაცაო“.

ეხლანდელი სახალხო სკოლებიო, ამბობს ბ-ნი როსტომაშვილი, დამყარებულია მარტო წიგნურს სწავლაზედ, რომელიც „ამახინჯებს ადამიანის ბუნებას, ახშობს მის ბუნებრივ გრძნობას და გონების ბუნებრივ ნიჭსა“. ეს აზრი რომ ოცდაათი წლის წინად წარმოეთქვა ვისმე, როცა ყველა სასწავლებლებში გამეფებული იყო თუთიყუშური ზეპირობა, კიდევ შესაწყნარებელი იქნებოდა, მაგრამ დღეს საზოგადოთ ამის თქმა არ შეიძლება. ძნელად წარმოსადგენია ისეთი სკოლა და მასწავლებელი, რომელიც თუ ცოტათი მაინც მომზადებულია სწავლების დროს მარტო წიგნურს სწავლებას ადგეს. თვით დღევანდელი პედაგოგიურად შემუშავებული სახელმძღვანელო წიგნები ნათლად უჩვენებენ გამოუცდელ მასწავლებლებსაც-კი, რომ არაოდეს სწავლა-აღზრდის საქმე მარტო წიგნურს გაზეპირებაზე არ უნდა დაამყარონ, არამედ, განსაკუთრებით საუბრებისა და დაკვირვებითი სწავლის შემწეობით, გააცნონ მოწაფეებს გარშემორტყმული ბუნება და მისი კანონები და წაკითხულის სრულის შეგნებით განავითარონ მოწაფეთა ჭკუა-გონება.

ბ-ნი როსტომაშვილის მიერ დაბეჭდილ პროექტით – სახალხო სკოლას უნდა ჰყავდეს ხუთი მასწავლებელი და 120 მოწაფე, ამათ უნდა ჰქონდეთ ხუთი ან ათი დესეტინა მიწა, რომლის შემოსავალი მისის აზრით მასწავლებლის ჯამაგირსაც გაისტუმრებს და მასწავლებლებ-მოწაფეებსაც ეყოფა სარჩოთ ე. ი. „ყველას ეყვის; ჯარს ჯამაათს, ეკურთხება მკვდარს საფლავი“ და თუ გნებავთ თვითოეული სადილის შემდეგ თორმეტ-თორმეტი გოდორი ნასუფრალიც დარჩება.

ამისთანა ახირებული გეგმის გამოქვეყნება აიხსნება არა მარტო იმით, რომ ყველა ჩვენებური სახალხო სკოლები ბ-ნს როსტომაშვილს ბიუროკრატიულ დაწესებულებათ მიაჩნია, არამედ იმითაც, რომ იგი იჩენს მცირე დაკვირვებას ჩვენი ცხოვრებისას. ამის გამო მისს პლანებში მხოლოდ ერთად-ერთი კეთილი სურვილებია მოსაწონი, დანარჩენი-კი რომელიმე მახლობელი ციური მნათობის მკვიდრის ქადაგებას უფრო ჰგავს, ვიდრე დედამიწაზე მცხოვრებისას.

შეუსაბამობა ბ-ნის როსტომაშვილის სკოლის გეგმისა იმაში იხატება, რომ, როგორც ზემოთაც დაინახავდით, პირველ დასაწყისს სახალხო ერთ-კლასიან სკოლაში სპეციალური საგნების სწავლება, როგორიცაა მეურნეობა, ხელოსნობა, მრეწველობა, შეუწყნარებელია. მეორეთ ამისთანა სასწავლებელი მოითხოვს თავიდანვე დიდს ხარჯს და მოგვცემს მცირე სარგებლობას. მართალია, ბ-ნი ივანე გვპირდება — ხუთი ან ათი დესეტინა მიწის შემოსავალი მთლად ეყოფა სკოლას და ყველა ხარჯსაც დაჰფარავსო, მაგრამ ეს ტყუილი იმედია. ამის დასამტკიცებლად შორს წასვლა არ მოგვიხდება — წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლას 50 დესეტინაზედ მეტი ადგილი აქვს. ეს სასწავლებელი, რომელიც თავისი გონივრულად შედგენილი პროგრამით ოცი წელია მოქმედობს ჩვენში, მაგრამ მისი შემოსავალი არა თუ ხარჯს ვერ ჰფარავს, ბანკი რომ ყოველ წელს 5. 000 მან. სუბსიდიას არ იძლეოდეს, სასწავლებლის საქმე ცუდათ წავიდოდა. ბ-ნს როსტომაშვილს რომ შესწავლილი ჰქონოდა წინამძღვრიანთ სკოლის ავ-კარგი, მისი უფლება და დღეს ყველასათვის სასურველი პროგრამმა და უფრო ის გარემოება, თუ ამ სკოლის შემოსავალი რისთვის ვერ ფარავს მთელს ხარჯს, მაშინ დარწმუნებული ვართ მისი სკოლის განზრახული პროექტი სულ სხვანაირად შეიცვლებოდა და ვიღაც გადამთიელ მასწავლებლის ზიუკოვის მაგალითი ერთი დესეტინა მიწა 1.000 მანეთზე მეტს შემოსავალს აძლევსო, ზღაპრულ ამბად არ ჩაითვლებოდა.

საზოგადოდ მეცადინეობის დრო სახალხო სკოლებში არსად არ აღემატება 4 $^1/_2$ საათს. ეს დროც უმეტესობას ბევრად მიაჩნია და ხანგრძლივ სკოლაში მეცადინეობას აბრალებენ ბავშვების უდროოდ მოქანცვას და თან სწავლის საქმეში მცირე წარმატებასაც ამას აწერენ. ამ აზრის დასამტკიცებლად ბ-ნს როსტომაშვილს თავისს წერილში მოჰყავს ინგლისელი მსწავლულის Paget-ის ცდა, რომლიდანაც სჩანს რომ ბავშვები, რომელნიც დანიშნული დროის ნახევარს ანდომებდნენ სწავლას და სხვა დროს თამაშობაში ატარებდნენ,

უკეთ მომზადებულნი აღმოჩნდნენ, ვიდრე ისინი, რომელნიც ხანგრძლივ მუშაობაში ატარებდნენ დროსაო. ბ-ნის როსტომაშვილის გეგმით ბავშვები რვა საათი მაინც უნდა დარჩნენ სკოლაში. „ორ საათს მეურნეობა-ხელოსნობა-მრეწველობის სწავლას ანდომებენ, ოთხ-ხუთ საათს წიგნის სწავლას უბეჯითებენ“. ეგ ხომ შვიდი საათი მეცადინეობა გამოვიდა; თუ 4 $^1/_2$ საათი დიდ დროთ ითვლება სკოლაში მეცადინეობისათვის, დამერწმუნეთ რომ შვიდი-რვა საათი მეცადინეობა პედაგოგიური ბარბაროსობა გამოვა. მაგრამ ამასაც ჰყავს მომხრეები და ამათთან ერთად ბ-ნი როსტომაშვილიც იტყვის, რომ ჩემ მიერ განძრახულ სკოლაში ბავშვები სხვა-და-სხვა საგნებს სწავლობენ, საგნების შეცვლით სხვა-და-სხვაობით მოწაფეები არ იღლებიანო, მაგრამ ესეც შემცდარი აზრი გახლავსთ. იმ სამეცნიერო წერილში, რომელიც დასტამბა ცნობილმა მეცნიერმა ვირენუსმა ჟურნალ „Вестник Восп.“-ში 1894 წ. სათაურით: „Распределение времени для учащихся детей“, საიდანაც ბ-ნ როსტომაშვილს ამოღებული აქვს Paget-ის ცდა, ეს საკითხი ცხადად არის განმარტებული. იქ სწერია დასკვნად: „для возстановления потраченной энергии органа и способности его работать необходим польный, обсолютный отдых, а не отдых, относительный т. е. смена работы“.

ყველა სახალხო სკოლის ავ-კარგიანობა, მისი ბედნიერება და უბედობა, ნაყოფიერება და უნაყოფობა დამოკიდებულია უმეტეს შემთხვევაში სახალხო მასწავლებელზე. რა საფუძვლიანი სამეურნეო ცოდნაც ჰქონდეს სახალხო მასწავლებელს, თუ იგი თავდაპირველად კარგი სახალხო მასწავლებელი არ არის, იმისი სკოლა სწავლა-აღზრდის მხრით ყოველთვის დაქვეითებული იქნება.

სახალხო სკოლებში უმთავრესი საქმეა საზოგადო საგნების სწავლება და საზოგადოთ გონების განვითარება სკოლის მოწაფეებისა, სხვა დანარჩენი საგნები მეორე ხარისხოვნად უნდა ჩაითვალოს ან სულ უნდა ამოიფხიკოს სახალხო სკოლის პროგრამიდგან მათი სისტემატიური სწავლება, რომელიც მოუხერხებელია. ჩვენ დროში ხშირად იმართება ესრედ წოდებული სამეურნეო კურსები სოფლის მასწავლებელთათვის, ხოლო საპედაგოგიო კურსებს, რომელიც უნდა ეხებოდეს სახალხო სკოლის უმთავრესს საგანს, არავინ ახსენებს. ეს განა ნორმალური მოვლენაა?

დასასრულ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენებურს სახალხო სკოლის მასწავლებლებს არავითარი ერთობა და კავშირი არა აქვსთ ერთმანეთში, პირიქით, თითქოს გაურბიან ერთობასაო, მაშინ,

როდესაც ყოველი რთული საქმე ერთობით, ერთობლივის ძალით კეთდება და არა განცალკევებით. სამწუხაროდ, ერთობას მოკლებულნი სახალხო სკოლის მასწავლებელნი, რომელთაც არავითარი შემუშავებული საერთო პროგრამმა არა აქვსთ, დღეს ჩვენში წარმოადგენს არა სანუგეშო ტიპს მასწავლებლისას.

ქართველთა გასომხება

/წერილი რედაქციის მიმართ/

ჩვეულებისამებრ, 1904 წლისათვის დაიბეჭდა მთავარმართებლის განკარგულებით კავკასიის კალენდარი. ამ წიგნიდგანა სჩანს, რომ სომეხ-გრიგორიანთა სასულიერო უწყებას ჰქონია 1904 წლის პირველ იანვრისათვის ამიერ-კავკასიაში ერთი სასულიერო აკადემია და ოთხი სასულიერო სემინარია. ამ სასწავლებელთა გარდა თითქმის თვითოეულ მრევლსაც თვისი სამრევლო სკოლა მოეპოვება. აკადემიასა და ოთხ სემინარიაში ირიცხებოდა 1904 წ. პირველ იანვარს 1858 მოსწავლე, რომელნიც ასე განიყოფებიან: ეჩმიაძინის აკადემიაში — 40, ეჩმიაძინის სემინარიაში — 195, ერევნისაში — 415, ყარაბაღისაში /ქ. შუშა/ — 575, ტფილისისაში — 633.

ამიერ-კავკასიის სომეხ-გრიგორიანთა რიცხვი აღნიშნულია იმავე კალენდრით სულ I. 100. 138 სული.

ამავე დროს მართლმადიდებელ სასულიერო უწყებას, რომელსაც ექვემდებარება ამიერკავკასიაში 1. 683. 658 სული, ჰქონია სულ ორი სასულიერო სემინარია: ტფილისისა და ქუთაისისა. უკანასკნელი დაარსებულია რამდენისამე წლის წინად. მართალია, კალენდარში მოყვანილი არ არის, რამდენი მოწაფეა ამ ორს სემინარიაში, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ სამჯერ ნაკლები იქნება, ვიდრე სომეხ-გრიგორიანთა აკადემია-სემინარიებში.

ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ითვლება 242, 180 სომეხ-გრიგორიანი. ამათში ორ მესამედზე მეტი ჩამომავლობით წმინდა ქართველები არიან.

ცოტა არ მოიპოვება მათ შორის წმინდა ქართული გვარები, მაგალითად: აბაშიძე, გველესიანი, დუჩაიძე, ქავთარაძე, ლომიძე, ჩხეიძე, მუჩაიძე, წერეთელი და სხვა.

ცხადია, რომ ისეთის მცირე მრევლისათვის, როგორიცაა 242. 180 სული, დიდად მოჭარბებულად უნდა ჩაითვალოს ხუთი სასწავლებელი, სადაც იზრდება 1858 მოწაფე. აქედგან ის აზრი უნდა დავასკვნათ, რომ რაკი სომეხ-გრიგორიანთა სასულიერო უწყებას არ ეჭირვება ასე რიცხვ-მრავალი საეკლესიო მოღვაწენი, იგი მისდევს საერთოდ ხალხის განათლებას და ამასთანავე დიდის წარმატებით ქართველების გასომხებას, რაიცა მტკიცდება იმითი, რომ ქართული ენა განდევნა როგორც ეკლესიიდგან /წინად სახარება ქართულად იკითხებოდა, ქადაგებაც წარმოითქმოდა ხოლმე ქართულადვე/, აგრედვე სკოლიდგან.

სჯა-ბაასი ქართველ გრიგორიანთა შესახებ პირველად ჩამოაგდო გაზეთ „ივერიაში“ ბ-ნმა კლდიამ, შემდეგ ამავე საგანზე ლაპარაკი გამართა ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორმა ბ. ხახანაშვილმა გაზეთ „კავკაზში“. მთავრობამ ოფიციალურად რომ შეიწყნაროს ქართველი გრიგორიანნი, დიდად ხელსაყრელი საქმე იქნება, რადგან ჯერ ერთი, ისინი გადარჩებიან გასომხებას, რომელსაც ასე ერთგულად მისდევს სომხის სასულიერო უწყება და მეორეც ისა, რომ ამავე დროს მართლმადიდებელ სამღვდელოებას საშუალება მიეცემოდა დაებრუნებინა იგინი მართლმადიდებელ სარწმუნოებისათვის. თუ კი ერევნის გუბერნიის რამდენიმე სოფლის ღვიძლი სომეხნი შეუერთდნენ მართლმადიდებელ ეკლესიას, უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველი გრიგორიანნი, მოკლებულნი სარწმუნოებრივ ფანატიკოსობას, უფრო დიდის ხალისით დაუბრუნდებიან მართლმადიდებლობას, რადგანაც სომეხთა ეკლესიის სწავლა-მოძღვრება, რომლის დამფუძნებელი წმ. გრიგოლ განმანათლებელი მართლმადიდებელი იყო და თვით სომეხთა ეკლესიის თავი, პატრიარქი ატარებს ტიტულს „უგაპარ“, რაიცა ითარგმნება – „მართლმადიდებელი“, უფრო მეტად უახლოვდება მართლმადიდებლობას, ვიდრე სწავლა-მოძღვრება დანარჩენ არა მართლმადიდებელ აღმოსავლეთის ეკლესიათა.

ქართველ გრიგორიანთა შემოერთება მართლმადიდებელ ეკლესიასთან ისეთ საადვილო და სარწმუნო საქმედ გვეჩვენება, რომ საჭიროდ არც-კი მიგვაჩნია მისიონერთა მოღვაწეობა-ქადაგება.

თეატრი და ხელოვნება

კავკავი. 25 იანვარს კავკავის ქართულ სცენის მოყვარულებმა წარმოადგინეს სამმოქმედებიანი დრამა „ლეკის ქალი გულჯავარი“ ა. ცაგარელისა და ვოდევილი „ადამ და ევა“. დრამაში მონაწილეობას იღებდნენ: ელენე სოლომონის ასული გვარამაძისა /გულჯავარ/, ბ. ცინცაძისა, გ. უთურაშვილი /ერეკლე ბატონიშვილი/, ნ. კურდღელაშვილი /ლევანი/, მ. ო. თხელიძე /რევაზი/, ბარისოვი /ზურაბი/ და არჩ. ავალიშვილი /რამაზი/. ვოდევილში – კნეინა ელისაბედ ხიმშიევისა /თამარიკა/ და კ. კახიანი /ივანიკა/, მ. თხელიძე /თ. ახირებულიძე/.

ლეკის ქალი გულჯავარის ამბავი დრამისათვის წარმოადგენს მდიდარს და მშვენიერს მასალას, მაგრამ ამ პიესას, რომელიც ჯერ დაბეჭდილი არ არის, ზოგან ეტყობა შეუმუშავებლობა. ჩვენის სცენის მოყვარულნი, რომელთაც ეტყობოდათ საკმაო ვარჯიში, საზოგადოდ კარგად იყვნენ მომზადებულნი და ამიტომ უმთავრესი როლები დრამაში თითქმის ყველამ კარგად ჩაატარა. კარგად იყო შესრულებული ქ-ნის გვარამაძის მიერ მთელი როლი გულჯავარისა. როლის კარგად ცოდნა, მკაფიოდ და გრძნობით გამოთქმა, ლევანისა და რევაზის მოხდენილი და გრძნობიერი თამაში – ყველა ეს ხელს უწყობდა ქ-ნს ელენე სოლომონის ასულს გვარამაძისას კარგად შეესრულებინა გულჯავარის როლი. ბ-ნმა უთურაშვილმაც რიგიანად იცოდა როლი; იგი ბევრსა ცდილა დამსგავსებოდა ბატონიშვილ ერეკლეს. ამისათვის წვერ-ულვაშიც შეუწირავს, მაგრამ ყველა ეს მაინც ცოტაა მისთვის, რომ დაეხატა და თვალწინ დაეყენებინა საზოგადოებისათვის ჭაბუკი ერეკლე ბატონიშვილი. ბ-ნი ბარისოვი სუსტი იყო ზურაბის როლში, არც გამოთქმა ჰქონდა ქართველის გლეხის და მასთან ზოგ ადგილებში როლის უცოდინარობაც ეტყობოდა. ვოდევილმა ჩინებულად და მხიარულად ჩაიარა. კარგად თამაშობდენ კნეინა ხიმშიაშვილისა და კ. კახიანი, რომელთა წარმოდგენას მცირე საზოგადოება დაესწრო.

საზოგადო შთაბეჭდილებას წარმოდგენაზე ხელს უწყობდა აგრედვე კარგი დეკორაციები და უფრო მშვენიერი ფარდა, დიდის ხელოვნებით დახატული. ფარდა წარმოადგენს ტიპიურს ქართულ სოფელს. ფარდის პირველ რიგზე დახატულია ერთის მხრით სა-

სახლე და მეორეს მხრით დანგრეული კოშკი; ამათ შუა – მოთამაშე ქალები და კაცები, შემდეგ ჰხედავთ ქართულ სოფელს ძველის ეკლესიითა და ქვითკირის გალავნითა და ბოლოს მოსჩანან უზარმაზარი ბუმბერაზ მთები თოვლიან-ყინულიანი. ეს ძვირფასი ფარდა დაახატვინა თავის საფასით პატივცემულმა ალექსანდრე პეტრეს ძემ სარაჯიშვილმა და შემოსწირა ქართულს სკოლას. ამ ხელოვნურის ნაწარმოებით დიდს სიამოვნებას გრძნობდა წარმოდგენაზე დამსწრე საზოგადოება.

ჟურნალ „მოგზაურის“ პედაგოგიური ნაწილი

ჩვენს მწერლობაში ხშირად გამოთქმულა იმისთანა აზრი, რომ ჩვენი საზოგადოება მომავალ თაობათა კანონიერად აღზრდის საქმეს ან სრულიად გულგრილად უყურებს და ან არ აქცევს ისეთს ყურადღებას, რომლის ღირსიც არის ეს ფრიად საჭირო და საზრუნავი საგანიო.

რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართველი ერი უზრუნველი შეიქმნა გარეშე მტრებისაგან და მათი მოგერიება საჭირო აღარ იყო მისთვის. ამ მყუდრო ცხოვრებაში ქართველ ერის უმთავრესი საზრუნავი უნდა ყოფილიყო ხალხის განათლება, მისი ზნეობრივად და ქონებრივად ამაღლება-განსპეტაკება, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ კანონიერის, ეროვნულს ნიადაგზე დამყარებულის სწავლა-აღზრდის წესების დაცვის საშუალებით, მაგრამ გავიდა მთელი საუკუნე ისე, რომ სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო დღემდის ვერ შეგვიქმნია ჩვენებურს ნიადაგზე აღმოცენებული ნამდვილი და მკვიდრი საერო პედაგოგია.

მართალია, თითო-ოროლა ჩვენებური პედაგოგთაგანი დიდის თავგამოდებით ემსახურება ამ წმინდა საგანს და, ჩვენის ერის საბედნიეროდ, მტკიცედ უჭირავსთ ხელში ქართული პედაგოგიის დროშა, მაგრამ, ჩვენდა სავალალოდ, თითოოროლას ჩვენს შორის მოსდევს ათი და ოცი ან უკუღმართ აზრთა მოქადაგენი და ან ამგვარისავე მიმართულების მექომაგენი, რომელნიც სიტყვით, საქმით და მწერლობითაც მხარს უჭერენ ისეთს ცრუ და მავნებელ მიმართულებას, რომელსაც სრულიად ადგილი არ უნდა ჰქონდეს პედაგოგიის მეცნიერების წმიდა ტაძარში. რასაკვირველია, ერთი და ორი მერცხალი

გაზაფხულს ვერ მოიყვანს, თუ სხვებიც არ მოჰყვნენ და ხმა შეწყობილად, შეერთებულის ძალ-ღონით არ შეუდგებიან ზრუნვას საუკეთესო მერმისის გაზაფხულის მოყვანისათვის. ჩვენებურ პედაგოგიურ ასპარეზზედ მოღვაწეთა შორისაც უფრო საჭიროა მკვიდრი ერთობა იმ დროსა და გარემოებაში, რომელშიაც იმყოფება დღეს ჩვენი ერი; ეს ერი დღეს მოკლებულია ისეთს სპეციალურს დრო-გამოშვებით გამოცემასაც, რომელსაც შესძლებოდა გონიერ პედაგოგიურ აზრების გავრცელება მკითხველ საზოგადოებაში, ოჯახსა და სკოლებში.

ამ აზრის ცოტად თუ ბევრად განხორციელება შესაძლებელი იქნებოდა საყმაწვილო ჟურნალთან პედაგოგიურის დამატების დაარსებითაც, მაგრამ, როგორც წინადაც ბევრჯელ მოგვიხსენებია სხვა და სხვა მიზეზთა გამო, ამის განხორციელებაც ჯერ-ჯერობით შეუძლებელი გამხდარა. ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში დღეს ყველაზე უფრო მეტი ადგილი საპედაგოგიო შინაარსის წერილებს დათმობილი აქვს ჟურნალ „მოგზაურსა“ და მის დამატებაში, სადაც ბლომად შეხვდებით, როგორც ნათარგმნს, ისე ორიგინალურ წერილებსაც პედაგოგიურის მწერლობიდგან.

მწერლობა საზოგადოდ ძრიელ მოგვაგონებს ბაზრობას, სადაც მრეწველს, მხვნელ-მთესველს და ხელოსნებს გააქთ თავიანთი ნაწარმოები გასასყიდად, აგრედვე მწერლობაშიაც მწერალს გამოაქვს გასასაღებლად თავის გონების ნაწარმოები და ცდილობს მუშტარი მოუპოვოს, თანამოაზრენი შეიძინოს. აქ ორსავე შემთხვევაში ფრიად საჭიროა საგნის თვისებათა ცოდნა, დაფასება, რომ მყიდველი და მკითხველი არ მოსტყუვდნენ, თაღლითი და გარეგნობით ბრჭყვიალა საგანი ბაჯაღლო ოქროების ფასად არ მიითვალონ. ამის მიხედვით ჩვენ საჭიროდ დავინახეთ გადაგვეთვალიერებინა ჟურნალ „მოგზაურის“ ზოგიერთი ორიგინალური პედაგოგიური წერილები, რომელნიც „მოგზაურის“ ერთს თანამშრომელთაგანს მიაჩნია „ცოდნის სალაროდ ქართველ სოფლის მასწავლებელთათვის“. /იხ. „მოგზ“. №7 და 8. 1903/ და გამოვიკვლიოთ, თუ რამდენად აზის ხსენებულს წერილებს პედაგოგიურ მეცნიერების დაღი და რამდენად შეუძლიან შვება და დახმარება აღმოუჩინოს სოფლის მასწავლებლებს ბავშვების სწავლა-აღზრდის ფრიად მძიმე და საპასუხო საქმეში.

წარსულის წლის „მოგზაურის“ დამატებაში, მეორე წიგნში, დასტამბულია წერილი შემდეგის სათაურით: „საზეპირო წიგნები და მათი მავნებლობა“; ამავე საკითხს ეხება სხვა წერილებიც, რომელიც დასტამბულია „მოგზაურის“ VII და VIII №-ში: „საზეპირო და სხვა სა-

სწავლო სახელმძღვანელო წიგნები პირველ დაწყებითის სკოლების მოწაფეთათვის“. დედააზრი ყველა ამ წერილისა ერთი და იგივეა. საზოგადო უარყოფა და განდევნა სახელმძღვანელო ანუ სასწავლო წიგნებისა /учебников/ და სრულიად უარის ყოფა რისამე ზეპირად დასწავლისა. ყოველივე საგნის სწავლება სიტყვიერად უნდა სწარმოებდეს თვით ბუნებისა, საგნებისა, სურათებისა და ყალიბების შემწეობითაო, ხოლო მის გარეთაც ცნობილ მწერალთა და მკვლევართა თხზულებებს უნდა კითხულობდნენ მოწაფენი“ /„მოგზ.“ დამატ. წ. მეორე, გვ. 5, 1902 წ./.

რომ თვალსაჩინოდ საგნების შესწავლას დიდი პედაგოგიური მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით პირველ დაწყებითს სკოლებში ამის წინააღმდეგ არც ერთი რიგიანი მასწავლებელი არ უნდა იყოს, რადგანაც პესტალოციდგან დაწყებული და იმის წინადაც ყველა ქვეყნის პედაგოგები თვალსაჩინო სწავლებას ყოველთვის საპატიო ადგილს აძლევდნენ და დღესაც აძლევენ სკოლებსა და ოჯახებშიაც, მაგრამ სასწავლო წიგნების უარის ყოფა, ზეპირად სწავლების ვითომ და სრულად მავნებლობა, ჩვენის აზრით, დიდს უკიდურესობას და ცალმხრივ მსჯელობას წარმოადგენს, ვიდრე საგნის წესიერად ყოველის მხრივ განხილვას, აწონ-დაწონვას და შემდეგ მსჯავრის დადებას, რასაც ქვემოდ უფრო ნათლად დავინახავთ.

მართალია, ძველად ჩვენში და სხვაგანაც მეტის მეტს ძალას ატანდნენ ზეპირობას, ხშირად მექანიკურად, სრულიად შეუგნებლად ასწავლიდნენ ისრეთს რასმეს, რომლის მნიშვნელობის ახსნა-განმარტების შესახებ მოწაფე ვერაფერს გეტყოდა; დაკვირვებითის სწავლების უარყოფა ანუ შეუგნებლობა მოწაფეს უხშავდა აზროვნებას, ჰხდიდა მას უაზრო არსებად, დამოკიდებულ მანქანად, აჩერებდა მოწაფეში სულიერ ძალთა განვითარებას და ამგვარი მეცადინეობაც, რასაკვირველია, ძალზედ მოსაწყენი იყო, რადგანაც ერთის მხრივ ამისთანა მექანიკური და შეუგნებელი სწავლება წარმოადგენდა ნამდვილს, როგორც სულიერად, ისე ხორციელად წამებას. ჩვენში ძველ დროს / და შეიძლება ეხლაც ზოგიერთ მიყრუებულს უდაბნოში, მონასტრებში ასე სჩადიოდნენ / მისცემდენ მორჩილს დავითნს ხელში და ათ ფსკვნილს, დაუნიშნავდენ საკითხავს აქედან აქამდის და იმდენი უნდა ეხეთქათ თავი შეუგნებელის კითხვით და ფსკვნილების ჩათვლით, სანამ დანიშნულ საკითხს თითქმის ზეპირად არ გაითქვეფავდენ თავში. საბრალო დიკვნებს იმ ნუგეშს აძლევდნენ და აგონებდნენ, რომ მართალია, „სწავლის ძირი მწარე არის, მაგრამ

კენწეროში გატკბილდებისო“. ძნელი საფიქრებელია, რომ ამნაირად ტანჯულს მოწაფეს შესძლებოდა ოდესმე ტკბილი ნაყოფის ხილვა და გემოვნება. ასე იყო ალბად სხვა ქვეყნებშიაც ძველ დროს. ამის შემდეგ გასაკვირველი არ არის, რომ ყოველგან აღმოჩნდნენ ამისთანა უაზრო ზეპირობის მოწინააღმდეგენი, რომელთაც დაჰგმეს და ჩათვალეს იგი მავნე და სამარცხვინო, ანტიპედაგოგიურ საშუალებად.

ზეპირი სწავლა, თუ ზოგიერთი საჭირო ვითარება დაცული იქმნება, სრულიად საშიშარი არ არის, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. ზეპირად ნასწავლით ყოველთვის და ყოველს შემთხვევაში უფრო თავისუფლად სარგებლობენ, მოგონება ხშირად ჰღალატობს, თუ საჭირო ცოდნა მკვიდრად შეთვისებული არ არის. ზეპირად და შეგნებით დასწავლილი იშვიათად მიეცემა დავიწყებას, არცერთი დიდებული პედაგოგთაგანი, კომენსკიდან დაწყებული, არ ყოფილა ზეპირ სწავლების მოწინააღმდეგე. წინააღმდეგნი იყვნენ და დღესაც ბევრნი არიან იმისი, რომ ეს ხერხი სწავლებისა ბოროტად არ მოეხმარათ. თვითონ პესტალოცი ხშირად მიჰმართავდა ზეპირ სწავლებას. ცნობილი პედაგოგი დისტერვეგი, რომელიც წინააღმდეგი იყო სწავლების მეხანიკურად წარმოებისა, თავის თავზე ამბობს: „я вовсе не враг заучивания наизусть вообще, я сам радуюсь тому, что помню прекрасные изречения и возбуждающие хорошие чувства песни “.

ამბობენ, რომ თუ ბავშვს ესმის გაკვეთილის უმთავრესი აზრი, ეცოდინება კიდეც და, მაშასადამე, ზეპირობა ზედმეტი უსარგებლო და მავნებელი ბარგიაო, მაგრამ არც ეს არის სავსებით მართალი: ცხადი წარმოდგენაც რომ ჰქონდეს ბავშვს რომელისამე საგნისა, ხშირად მაინც არ შეუძლიან ადვილად და თავისუფლად მისი სიტყვიერად გამოთქმა, რადგანაც ყველა შეთვისებული, შეგნებული და გონებაში წარმოსადგენი ცოდნა მისს გამოსახატავად საჭიროებს სიტყვას, ცნობათა გარეგან ფორმას გონებაში დასამკვიდრებლად და ადვილად წარმოსათქმელად. ეს კი მარტო სიტყვიერად სწავლებით, სახელმძღვანელო წიგნების დაუხმარებლად, სიმკვიდრეს მოკლებული იქნება. ვინც დაჰკვირვებია ბავშვების ცხოვრებას და მისს პსიხოლოგიას, ადვილად შეჰნიშნავდა, რომ თვით ბავშვის ბუნებაც ითხოვს ზეპირ სწავლებასაც. ბავშვებს ყველაზე უფრო გვიან მექანიკური მეცადინეობა მობეზრდებათ ხოლმე. რომელისამე საგნის საფუძვლიანად შესწავლა ბავშვების მიერ შეუძლებელია, თუ სწავლების დროს არ იქმნა დაცული სხვა და სხვა ფერობის ვარაუდი; უამისოდ ბავშვებს ხშირად მოსწყინდებათ ხოლმე, სწავლა არ ახალისებს, ტვინი ექა-

ნცებათ და მუშაობაზედაც ხელს იღებენ. ამისთანა მდგომარეობაში მყოფი ბავშვები ხშირად ძალიან წყნარად სხედან თავიანთ ადგილს, შესცქერიან მასწავლებელს, მაგრამ არაფერი-კი არ ესმით, მაშინ, როდესაც ამ დროს წერა იქნება, ხატვა თუ გაზეპირება, როგორც საზოგადო მექანიკურს სამუშაოს სრულიად დაუღალავად და სინიდისიანად ჰკიდებენ ხელს. ასეთია ყველა ბავშვის ბუნება და ამისთვისაც ბავშვობა ყველაზე უფრო საუკეთესო დროთ მიაჩნიათ იმისთანა ცოდნის გადასაცემლად, რომელიც ითხოვს სიტყვა-სიტყვით გაზეპირებას. პირიქით, ისეთი სწავლება, რომელიც ითხოვს ბავშვებისაგან დიდი ხნით გაძლიერებულ ყურადღებას, აზროვნებას და მასთან უარყოფს ყველა მექანიკურ სავარჯიშოს, მავნებლად უნდა ჩაითვალოს მოწაფეთათვის, მათის ბუნებისათვის, რადგანაც ამისთანა წესი აუძლურებს ბავშვის ტვინს, უკარგავს სწავლის ხალისს და საზოგადოდ ჰღლის და ჰქანცავს მოწაფეებს.

ყველა გამოცდილი მასწავლებელი, ვისაც საქმე ჰქონია ბავშვების სწავლებასთან, ადვილად შეჰნიშნავდა, რომ პატარა მოწაფეებს დიდხნობით ყურადღების მიპყრობა რომელისამე საგნისადმი არ შეუძლიანთ, ხშირად 10 ან 15 წუთის შემდეგ ყურადღება ბავშვებს უსუსტდებათ. ამ შემთხვევაში ერთი სასწავლო საგანი, სამუშაო შეცვლილი უნდა იქმნას მეორეთი, მაგრამ, რადგანაც ბავშვებს დიდი მისწრაფება აქვთ მექანიკურ მუშაობისადმი, ყველაზე უფრო სასარგებლო იქნება ზოგჯერ მაინც ეს დრო მოჰხმარდეს ზეპირ სავარჯიშოსაც, რომელიც სერიოზულის მეცადინეობის შემდეგ წარმოადგენს ერთგვარს შრომის შემსუბუქებას, დასვენებას. ასეთი შემსუბუქება დაიხსნის მოწაფეებს გაკვეთილებზე მოწყენისა და დაღლილობისაგან. ზეპირად შესწავლა ყოველის მხრით ახსნილისა და განმარტებულისა საზეპირო მასალისა საჭიროა ცოდნის მტკიცედ და მკვიდრად შეძენისათვის, ხოლო შეცვლა სულიერისა და მექანიკურ მოქმედებათა სწავლებას ჰქმნის ბუნებრივად.

ზეპირად სწავლებას ითხოვს თვით სასწავლო საგნის ბუნებაც. მაგ. გამრავლების ტაბულის ზეპირ ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს ანგარიშის შესწავლაში. რაც უნდა თვალსაჩინოდ ასწავლოთ მოწაფეს გამრავლების ტაბულა, გაბედვით და მტკიცედ ისარგებლებს და გამოიყენებს ამ ცოდნას მხოლოდ ის მოწაფე, რომელსაც ზეპირად აქვს შესწავლილი. ბევრს სხვა საგნებშიაც ასეა. მაგ.: ისტორიაში, გეოგრაფიაში, ბუნების მეტყველებაში და სხვებში. არის ბევრი ისეთი მოკლედ და აზრიანად გამოხატული ადგილები, რომლის ზეპირად

შესწავლა აუცილებელია, რასაკვირველია, ჯეროვანის სიტყვიერად ახსნა-განმარტების შემდეგ. უამისოდ კი მოწაფეებს შრომა უნაყოფოდ და ტყუილად თუ არა, მცირე სარგებლით ჩაუვლის. ყოველ ადამიანის კილო წერისა და ლაპარაკისა იცვლება იმისდამიხედვით, თუ რას კითხულობს ამ შემთხვევაში ყველა და უფრო მოწაფეები ჰბაძავენ რომელსამე საყვარელ ნიჭიერ მწერალს, უფრო იმათ, რომელნიც აარსებენ მთელს სკოლას. დღეს ჩვენში ხშირად გაიგონებთ — ეს და ეს პატარა პოეტი აკაკის სკოლისააო, რადგანაც ენაც, კილოც წერისა და სხვა მისგან შეუთვისებიაო; ამ და ამ მწერალს ილიასებრივი ღრმა და ფილოსოფიური ენა აქვსო და სხვ. მშობლიურს მწერლობაში და უცხოშიაც საუკეთესო სამწერლო და სამეტყველო კილოს შესამუშავებლად ერთად-ერთ საშუალებად აღიარებულია ცნობილ მწერალთა სამაგალითო სტატიების კითხვა, ზეპირად შესწავლა სამაგალითო წინადადებათა, აწერილობათა, მოთხრობებისა და სხ. სწორედ ასე იქცეოდნენ ძველ დროში თვითონ სამაგალითო მწერლებიც. ის სასწავლებელი, რომელიც სრულიად უარჰყოფს ზეპირ სწავლებას და მიჰყვება ერთის სასწავლებლის უფროსის მაგალითს, რომელიც დიდი წინააღმდეგი ყოფილა სასწავლო წიგნებისა და რომელსაც იხსენიებს „მოგზაურის“ რედაქცია 1902 წლის „გამოსადეგ ცნობის“ მეორე წიგნში, ვერასოდეს სავსებით თავისს სურვილს ვერ მიაღწევს, რადგანაც ერთის მხრივ ვერ სძლევს ყველა სასწავლო მასალას, როგორც რიგია და მეორედ, რადგანაც სასწავლებელმა უნდა მისცეს მოწაფეს ცხოვრებაში გამოსაყენებელი ცოდნა, რომელიც მოწაფეს მტკიცედ უნდა ჰქონდეს შეთვისებული და არ უნდა ივიწყებდეს. ამიტომაც ზოგიერთ შემთხვევაში ზეპირად ცოდნაც სასწავლო მასალისა აუცილებელი ხდება. ამასთან ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ საზოგადოდ სკოლაში ბევრია ისეთი მოწაფე, რომელსაც შეგნებული ზეპირობა უფრო ეხერხებათ, ვიდრე მსჯელობა. ამიტომ ისინი იმისთანა სკოლიდან, რომლიდანაც სრულიად განდევნილი იქნება ზეპირობა, ბევრს სწავლას ცხოვრებაში ვერ გამოიტანენ და რასაც გამოიტანენ, ისიც ზედაპირული იქნება და არა მტკიცე.

სულ სხვა საკითხია, რაგვარი მასალა, რამდენი და როგორ უნდა ისწავლებოდეს ზეპირად. ყოველ შემთხვევაში უმთავრესი ყურადღება ამ მხრივ იმას უნდა მიეპყრას, რომ საზეპიროდ შესწავლილი მასალა ყოველის მხრივ შეგნებული და ახსნილი უნდა ჰქონდესთ მოწაფეებს; ამასთან აუცილებლად საჭიროა ისიც, რომ ყველა სა-

ზეპირო მასალა, თავდაპირველად მოსამზადებელ განყოფილებაში, კლასშივე უნდა ისწავლებოდეს მასწავლებლის დახმარებით.

ხსენებულის საკითხის გამოკვლევას და განმარტებას ეხებოდნენ ბევრი ძველის დროის შესანიშნავი პედაგოგნი და ფილოსოფოსნი. იმასვე იმეორებენ ბევრნი თანამედროვე საპედაგოგიო ასპარეზზე ცნობილნიც. რადგანაც აღძრულ საკითხის განმარტებას ჩვენ ვრცლად შევეხეთ და გვინდა ეს საკითხი ყოველის მხრივ გავარჩიოთ, ამიტომ ამ ჩვენის წერილის უკეთ დასასაბუთებლად საჭიროდ მიგვაჩნია აქვე მოვიყვანოთ ზოგიერთ ცნობილ ავტორიტეტის აზრი ზეპირად სწავლების საჭიროებაზედ.

ნიმეირი ამბობს: „ჩვეულებრივად რომ ვსთქვათ, შეიძლება დაუზეპირებლადაც ბევრი დაახსოვნდეს ადამიანს. ეს მტკიცდება ენის შეთვისებისაგან, გამოცდილებით, მაგრამ რადგანაც შთაბეჭდილება სუსტია, ვერც ამნაირად შეიძინება მტკიცე და ხანგრძლივი ცოდნა, გრამატიკული ფორმები, სხვა და სხვა კანონები, უცხო ენათა სიტყვები, შესანიშნავ ადამიანთა, ცხოველთა, ქალაქებისა და მდინარეების სახელები, ქრონოლოგიური ცნობები ისტორიაში ან უნდა გაზეპირებული იქმნას ისე, როგორც გამრავლების ტაბულა და ათი მცნება. თითქმის ისეთ საგნების სწავლების დროსაც, რომელიც ითხოვს მეტს აზროვნობას. მაგ. საზნეობრივო საგნები. უკეთესი იქნებოდა, რომ მცირედ განვითარებულ მოწაფეებს ბევრი ცოდნა მტკიცედ შეეძინათ მეხსიერების საშუალებით, როგორც ბევრი საფუძვლიანი ჭეშმარიტებანი, აქსიომები, სახელმძღვანელო აზრები, ალგებრაული ფორმულები, რომ გზა გაკვლეული ჰქონდესთ აზროვნობაში, ვიდრე მიენდოს შემთხვევას თუ რამდენიმე ცოდნა შეინახება მეხსიერებაში გაუზეპირებლად. უამისოდ სუსტ მოაზრე მოწაფეს არაფერი დარჩება ხელის მოსაკიდი. ამას გარდა ყოველის მეცნიერისა და საქმის კაცისათვის საჭიროა იცოდეს ზეპირად რამდენიმე აზრი, რომ ყოველ ჟამს მზად იყოს მოიგონოს და წარმოსთქვას. იმისდა მიუხედავად, რომ ზეპირი სწავლა საუკეთესო დამხმარებელი საშუალებაა დედაენისა და უცხო ენათა შესასწავლად, რომ საზოგადო ცხოვრებაში ფრიად საჭიროა კაცმა თავის დროზე მოიგონოს წარჩინებული რამ, წიგნში ჩაუხედავად, საჭიროა იგი თვით სულიერ ძალთა განვითარებისათვინაც. ზეპირად და მტკიცედ შესწავლილი მასალა გაგვიტაცებს ჩვენ შესანიშნავ მოაზრეთა სამფლობელოში, იმათ გრძნობათა სამეფოში, აძლევს ჩვენ სულს შინაგან სამუშაოს, გართობას და ჩვენც გვანიჭებს დიდს სიამოვნებას, რომელიც ღირს იმ შრომად, რომელსაც ითხოვს.

ამიტომ შერჩეული ადგილები კლასიკურ თხზულებიდან სხვა და სხვა ენაზე, რამდენიმე მკაფიო და მოკლე აზრები რომელსამე სიტყვაში, მსჯელობაში, ლექსებში – წარმოადგენენ საუკეთესო მასალას მეხსიერების სავარჯიშოდ.

მეორე ცნობილი მეცნიერი პალმერი უფრო ცხადად ამტკიცებს საზეპირო ვარჯიშობის საჭიროებას. „ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ზეპირ-სწავლების სრულიად განდევნა, რადგანაც ვითომც არა თუ ავითარებს მოწაფის სულიერს ძალას, არამედ ჰქანცავს კიდეცაო, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, არის ერთი მთავარ მიზეზთაგანი ეხლანდელის უნიადაგო განათლებისა. ამ უარის ყოფამ მიიყვანა ზოგიერთები იქამდის, რომ დღევანდელი ახალგაზრდობა მსჯელობს და ლაპარაკობს ყველაფრის შესახებ, მაგრამ საფუძვლიან სწავლას ვერაფერში ვერ იჩენსო. არის ისეთი საგნები, რომლის შესწავლაც მხოლოდ ზეპირად არის შესაძლებელი. ზეპირ-სწავლების დროს სული თავის თავს წრთვნის, თადარიგს უწევს, რაც მისთვის საკეთილოა. ზეპირ-სწავლების შეჯავრებას კი თან მოსდევს სათუთობა, რომელიც ეწინააღმდეგება ქრისტეანულ სწავლის მცნებას. ძველის დროის სწავლების შეცდომა ის იყო, რომ სრულიად არ ზრუნავდნენ საზეპიროს შეგნებისათვის, სწავლით ხალხის გაღვიძებისათვის. თუ ეს პირობა დაცული იქმნება, ზეპირი სწავლა და მექანიკური ვარჯიშობა ბევრად სასარგებლო გამოდგება არა-მარტო პირდაპირ სურვილის მისაღწევად, არამედ მოზარდ თაობაში ხასიათის გასამტკიცებლადაცა.

დისტერვეგის სიტყვით, მოწაფემ არაფერი უნდა ისწავლოს ისეთი, რაც შემდეგ მიეცემა დავიწყებას. რაც ითვლება იმდენად საჭიროდ, რომ მოწაფეს ზეპირად ასწავლიან, ის არასოდეს არ უნდა იქმნას მისთვის დაკარგული. რაც მოწაფეს უსწავლია დაბალ კლასებში, ის უნდა ახსოვდეს მაღალ კლასებშიაც ისე მტკიცედ, თითქოს ეხლახან ესწავლოს. ამისთვის უნდა ზრუნავდეს სასწავლებელი და ამ აზრის უარის ყოფა სწავლების საქმეში კეთილ-სინდისიანობა არ არის. უსაფუძვლო იქმნება ვიფიქროთ, რომ ნივთიერი დანაკლისი შეივსება მეხსიერების გაძლიერებით. მეხსიერების ძალა შეკავშირებულია საგნებთან და გაჰქრება მასთან ერთად. ასწავლოთ ისე, რომ შემდეგ მალე დავიწყებას მიეცეს ნასწავლი – ეს ნიშნავს მოწაფის მეხსიერების შესუსტებას და მოსპობას. ამიტომ საჭიროა ნასწავლის ხშირი გამეორება და ხელახლად განმარტება ნასწავლისა, საჭიროა მისი განახლება მეხსიერებისათვის. ყველაზე უფრო საჭიროა ნასწავლი, დაზეპირებული კარგად და მუდამ ახსოვდეს მოწაფეს და

არა სწავლობდეს ახალს და თან ივიწყებდეს ძველ ნასწავლს. ბევრის მოწაფისა და მოზრდილების სულისა და ხასიათის სისუსტე აიხსნება იმითი, რომ ბევრი იციან ნახევრად და არც ერთი არ იციან საფუძვლიანად. საფუძვლიანი ცოდნა კი იმას ჰქვიან, მუდამ ხელთ გქონდეს საჭირო მასალა და ყოველ შემთხვევაში თავისუფლად, თამამად გამოიყენო. მაღალ კლასების რომელისამე საგნის მასწავლებელმა უსათუოდ უნდა იცოდეს ყველაფერი, რაც ბავშვებს უსწავლიათ დაბალ კლასებში, იმიტომ რომ ყველა ეს ცოდნა ხშირად გამოიყენოს სწავლების საქმეში". ჟურნალი „მოგზაური" თავის პედაგოგიურს წერილებში ხშირად უარს ჰყოფს სახელმძღვანელო სასწავლო წიგნების მნიშვნელობას პირველ დასაწყის სკოლებშიაც კი. პირიქით, მავნებლადაც მიაჩნია და ერთის „ჭეშმარიტების მოყვარის" პირით თამამად ჰღაღადებს – „სახელმძღვანელო წიგნების ხმარება სრულიად აკრძალულ იქმნა მოწაფეთა კარგა ჰასაკში შესვლამდე, რადგან იგი სწავლების პირველ ხანაში, არა თუ მარტო უსარგებლოა, არამედ მავნებელიც. /იხ. „მოგზ." №VII და VIII, 1903 წ. გვ. 515/. სახელმძღვანელო წიგნების ნაცვლად ბ-ნი როსტომაშვილი თავისს რუსულ და ქართულ წერილებში ამ საგნის შესახებ გვირჩევს: „ნელ-ნელა და სიადვილე-სიძნელის თანდათანობის მიხედვით მოწაფეებს ვაძლიოთ საკითხავად და შესასწავლად განგებ არჩეული თხზულებანი გამოჩენილ მწერალთა, მკვლევართა და ამა თუ იმ საგნის შემქნელთა". /გამოსადეგი ცნ., წიგნი II, 1902 წ. გვ. 5/.

პირველ დასაწყისს სკოლებში სახელმძღვანელო წიგნების ხმარების შესახებ ყველგან და ყოველთვის ბევრსა სწერდნენ და დღესაც სწერენ, მაგრამ ისეთი ლაღი, თამამი და უსაბუთო ორჭოფი აზრი, რომელსაც „მოგზაური" წარმოსთქვამს ხსენებულის საგნის შესახებ, მგონია, ჯერ სხვას არ მოსვლია ფიქრად. რა დრომდის არ შეიძლება ბავშვებისათვის სახელმძღვანელო წიგნების მიცემა, ამას „მოგზაურის" პედაგოგები არ გვეუბნებიან. თუ ამერიკელებს მივბაძავთ, ისინი ნახევარ წლის შემდეგ აძლევენ ბავშვებს სახელმძღვანელო წიგნებს, მაშინ, როდესაც ჩვენმა ბავშვებმა, ნახევარ წლის განმავლობაში თავისუფალი წერა-კითხვა უნდა იცოდნენ. ჩვენც წინააღმდეგი ვართ იმისი, რომ ბავშვს სკოლაში შესვლისთანავე მიაჩეჩონ ხელში სახელმძღვანელო სასწავლო წიგნები, მაგრამ მას შემდეგ, რაკი პატარა მოწაფეები რამდენისამე ასოს წერა-კითხვას შეისწავლიან, მოძრავ ასოებზე ანუ კედელზე გამოსაკიდებელ დიდის ასოებით დაბეჭდილს პირველ დაწყებით საკითხავ მასალაზე, არავითარი ცოდვა არ იქნება

ანბანი და პირველი საკითხავი წიგნებიც მიეცეთ ხელში, რადგანაც საყოველთაოდ შენიშნულია, რომ ბავშვებს წიგნები ძალიან უყვართ და დიდის ხალისითაც კითხულობენ ყველა იმას, რაც მათთვის ადვილი გასაგები და მისახდომია. როგორც რუსების ბავშვებმა შეიყვარეს უშინსკის „Родное слово“, რომელიც დღესაც ხმარებაშია და ჯერ კიდევ საუკეთესოდაც ითვლება სხვა სახელმძღვანელოთა შორის, ისე ქართველ ბავშვებს აქვთ ჩვენის პედაგოგის ი. გოგებაშვილის „დედა-ენა“. დღეს იშვიათად ჰნახავთ საქართველოში ოჯახს, სადაც ოთხი-ხუთის წლის ბალღები არ ტიტინებდენ „დედა-ენიდან“ ჩიტი-ჩიორას ამბავს, ყაყაჩოს ლექსს და სხ. სკოლაში მოწაფეებს დიდ დღესასწაულად მიაჩნდათ ის დღე, როდესაც წიგნებს ურიგებენ. შეიძლება ამერიკელი ბავშვები მოკლებულნი იყვნენ იმ თვისებას, რომელიც ჩვენს ბავშვებში შეინიშნება და ან შეიძლება ამერიკელი პედაგოგები ამ გარემოებას უყურადღებოდაც სტოვებდნენ სხვა მოსაზრებათა ძალით, მაგრამ ჩვენ კი სრულიად სასარგებლოდ არ მიგვაჩნია ჩვენის ბავშვებისათვის უარვყოთ სახელმძღვანელო სასწავლო წიგნების სარგებლობის მნიშვნელობა და ან დავაგვიანოთ მისი მიწოდება ამერიკულად, ნახევარ-წლით.

ეხლანდელი საუკეთესო სასწავლო წიგნები, რომელიც სახალხო სკოლებში სახმარებლად არის დანიშნული, შედგენილი უნდა იყოს ბავშვებისათვის ადვილ გასაგებად. ამისთანა სახელმძღვანელო წიგნებში თუ რომელიმე მოთხრობა ანუ სხვა საკითხავი მასალა, აზრისა თუ გარეგნობის მხრივ, ძნელი გასაგებია, ყველა ამგვარ მასალას წინ უსწრებს მასწავლებლის სიტყვიერი წინასწარი საუბარი, რომელიც ბავშვებს უადვილებს ძნელის მასალის შეგნებას და ამნაირად ბავშვი თან და თან იძენს განმარტებით კითხვების დროს შესაფერს სულიერს და გონებრივს საზრდოს.

ვსთქვათ, დავეთანხმოთ ცოტა ხანს „მოგზაურის“ პედაგოგებს და უარ-ვყოთ სასწავლო წიგნების სარგებლობა პირველ დასაწყისს სკოლებში. რა საშუალებით უნდა შეასწავლოს მასწავლებელმა მოწაფეებს ანბანის შემდეგ სწორი, სწრაფი, შეგნებული და მკაფიო კითხვა, თუ საკითხავ სახელმძღვანელო წიგნს უკუაგდებს და ხშირად არ მიჰმართავს!! არა, სიტყვიერ სწავლებას, ცხოველ სიტყვას და სასწავლო წიგნების კითხვასაც ყველას თავ-თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს სახალხო სკოლებში, სადაც კითხვის სწავლებას მომეტებულ ყურადღებას უნდა აქცევდნენ მასწავლებლები, ვიდრე სხვა მეორე ხარისხოვან სავარჯიშოებს. ამ საგნის შესახებ კარგად ცნობილი

რუსის პედაგოგი ბუნაკოვი ამბობს: „каждый час, отнятый у чтения ради других занятий, наносит ущерб делу. Чтение, чтение и чтение — вот главное занятие родным языком, который справедливо признается центральным предметом в программе начальной школы. Ученики этой школы должны выносить из нея прежде всего искусство хорошо читать, любовь к чтению, умение читать с пользою и удовольствием.“ (Рус. Нач. уч. 1889 г.)

სახელმძღვანელო სასწავლო წიგნების ნაცვლად „მოგზაურის“ მთავარი პედაგოგი გვირჩევს ვაძლიოთ სკოლებში შესასწავლად განგებ არჩეულნი თხზულებანი გამოჩენილ მწერალთა. ამ აზრის მქადაგებელი რუსეთში იყო ცნობილი მწერალი-პედაგოგი ოსტროგორსკი, რომელსაც ერთ დროს ჰბაძავდა ჩვენშიაც ბ-ნი მ. ნასიძე. მან დაბეჭდა რამდენიმე „ქართველი მწერლები“ სკოლებში სახმარებლად, მაგრამ არა გვგონია, რომ ოსტროგორსკის ფიქრად ჰქონდა სახალხო სკოლები და არა საქალაქო და საშუალო სასწავლებლები, სადაც ზემოთმოყვანილი აზრი უფრო შესაწყნარებელია, ვიდრე სახალხო სკოლებში, რომლებშიაც, ბ-ნის ი. როსტომაშვილის აზრით „ყოველ სასწავლო საგნის შესწავლის მისწრაფებად ამ საგნის ლიტერატურის შესწავლა მიგვაჩნიაო“ /გამოსად. ცნ., წიგნი მეორე, 1902 წ., გვ. 4/. ჩვენ კი ელემენტარულ სახალხო სკოლებში „სასწავლო საგნის ლიტერატურის სავსებით შესწავლა“ მიუწდომელ საქმედ მიგვაჩნია, რადგანაც რომელისამე საგნის ლიტერატურის სავსებით შესწავლა ითხოვს თავდაპირველად საკმაო მომზადებას, განვითარებას, რომელსაც მოკლებულნი არიან პირველდაწყებითის სახალხო სკოლის მოწაფენი. ამ მოწაფეთ სჭირდებათ საკმარისი მომზადება, რომ ავიდნენ იმ საფეხურამდის, რომელზედაც საგნის ლიტერატურის შესწავლა შეეძლებოდეთ. ავიღოთ, მაგალითად, დედა ენა. ნუ თუ ამ ღვიძლის ენის შესასწავლად მოწაფეებს თავიდანვე „უნდა ვაძლიოთ განგებ არჩეულნი თხზულებანი გამოჩენილ მწერალთა“ და არა სახელმძღვანელო სასწავლო წიგნი, შედგენილი სკოლებში სახმარებლად, რომელიც პირველი მტკიცე საფუძველია ხსენებულის სურვილის მისაღწევად?! მშობლიური ღვიძლი დედა ენის სწავლებას სახალხო სკოლებში ის აზრი უნდა ჰქონდეს, რომ მოწაფეს, სახალხო სკოლაში კურსდასრულების შემდეგ ადვილად და თავისუფლად შეეძლოს ხელოვნებათა და ცნობათა საუნჯის შეძენა მშობლიურის მწერლობის შემწეობით. ამისათვის მოწაფენი სახალხო სკოლებში იმდენად უნდა მიეჩვივნენ კარგს კითხვას და შე-

იყვარონ კითხვა, რომ თავისუფალ დროს წიგნების კითხვა მათთვის მუდმივი სულიერი მოთხოვნილება იყოს.

წიგნების კითხვის სიყვარულთან, რასაკვირველია, აუცილებლად საჭიროა წაკითხულის შეგნებაც. სახალხო სკოლაში კურსის დასრულების შემდეგ მოწაფეებმა უნდა იცოდნენ ეხლანდელ და ძველ საუკეთესო მშობლიურ მწერლების ენა, კილო, უნდა ესმოდეთ ისტორიული, გეოგრაფიული და საბუნებისმეტყველო წიგნების შინაარსი. ყველა ამისათვის საჭირო ტერმინებს და ელემენტარულს მომზადებას უნდა აძლევდეს სახალხო სკოლებში დედა-ენის სახელმძღვანელო სასწავლო წიგნები და მასწავლებლის ცხოველი საუბარი და განმარტება ყველა იმ ცნებათა, რასაც იპყრობს სასწავლო წიგნი. ჩვენებურ სახალხო სკოლის მოწაფეს, რომელსაც შეგნებით აქვს ნასწავლი „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“, თამამად შეუძლიან წაკითხვა და გაგება ყველა ჩვენის საუკეთესო მწერლის ნაწერებისა, რომლის ნიმუშები უკვე უსწავლიათ ხსენებულის წიგნებიდან, მაგრამ სამწუხარო ის გახლავსთ, რომ ჩვენებურ სახალხო სკოლების კარები ბევრგან გამოკეტილია ისეთ ყოველის ცნობით სავსე სახელმძღვანელოსათვის, როგორიც არის „ბუნების კარი“ და „დედა-ენაც“-კი. ამ ელემენტარულ სახელმძღვანელოს ბევრგან არ ასწავლიან ისეთის ყურადღებით, რომლის ღირსიც არის ყოველ ერის სკოლებში თავისი ღვიძლი ენა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ დღეს ყოველი ჩვენი მოკეთე სამართლიანად უჩივის ჩვენებურ სკოლებს უნაყოფობას, რაც, რასაკვირველია, აუცილებელია ყველგან, სადაც დედა-ენა აბუჩად არის აგდებული და არ უჭირავს შესაფერი საპატიო ადგილი.

სახელმძღვანელო სასწავლო წიგნების წესიერად ხმარებას სკოლებში დავუმატოთ კიდევ სახალხო კითხვების გამართვა ბუნდოვანის სურათების ჩვენებით, ესრედ წოდებული სკოლის გარეშე განათლება, სკოლის წესიერად მოწყობილი ბიბლიოთეკები და სხვა; ყველა ეს ერთად სახალხო სკოლას ჰქმნის ნაყოფიერ დაწესებულებად ხალხისათვის და არა სახელმძღვანელო წიგნების უარის ყოფა და მათი განდევნა სკოლებიდან, თანახმად „ერთის სასწავლებლის უფროსისა“, რომელსაც აღტაცებით იხსენიებს, მაგრამ არ ასახელებს კი, ბ-ნი როსტომაშვილი. ჟურნალ „მოგზაურის“ დამატებაში დასტამბულია რამდენიმე წერილი შემდეგის სათაურით: „ახალი წესი წერა-კითხვის სწავლებისა ოჯახებში და სკოლებში“. ამ სათაურის წაკითხვისთანავე მკითხველი იფიქრებს, რომ „მოგზაურის“ პედაგოგს ამერიკა აღმოუჩენია პედაგოგიაში და უნდა გაუზიაროს სახალხო

სკოლის მასწავლებლებსაო, მაგრამ ყველა წერა-კითხვის წესების ძველისა და ახალის მცოდნე მასწავლებელი მაშინვე მიხვდება, რომ ის ახალი წესი წერა-კითხვის სწავლებისა, რომელსაც ქადაგებს „მოგზაურის“ პედაგოგი, ეკუთვნის არა ამ უკანასკნელს, არამედ მეთვრამეტე საუკუნის ფრანგების ცნობილს პედაგოგს ჟაკოტოს, რომელიც პედაგოგობის გარდა, ბევრს სხვა სამსახურსაც ასრულებდა და რომლის პედაგოგიურმა პრინციპებმა დიდი სჯა და ბაასი გამოიწვია თავის დროზე და ბევრი მოწინააღმდეგენიც აღმოუჩნდა ცნობილ მეცნიერთა შორის. ამ უკანასკნელ წესს წერა-კითხვის სწავლებისას დაუბრუნდნენ ამ ბოლო ხანებში ამერიკელი პედაგოგები, რომელთა მიბაძვითაც „მოგზაურის“ პედაგოგი სცდილობს ამ ვითომდა ახალის წესის გადმოქართულებას, მაგრამ „მოგზაურის“ რედაქციას ისე საკვლევით ვერ შეუგნია ნამდვილი თვისება ამ ვითომდა ახალი წესისა, რომ იგი განეხორციელებინათ ქართულ ენის ანბანის თვისებათა მიხედვით ისე, როგორც ეს წესი ამერიკელმა პედაგოგებმა შეუფარდეს ინგლისურ ენას.

დღესაც მთელს ევროპაში ხმარებაშია ესრედ წოდებული სახმო მეთოდი წერა-კითხვის სწავლებისა, რომელიც სხვადასხვა გვარია. ეს ახალი წესი წერა-კითხვის სწავლებისა, რომელიც ამერიკაში ვრცელდება ამჟამად, იგივე თავისებური ანალიტიკური წესია წერა-კითხვის სწავლებისა, შედგენილი ამერიკელების მიერ ინგლისური ენის ფონეტიკურ თვისებათა მიხედვით. ამ წესს ამერიკელები უწოდებენ „სიტყვიერს ანუ წინადადებათა მეთოდს“. ამ წესით თავდაპირველად ისწავლება არა ხმები სიტყვებში ცალ-ცალკე, როგორც საზოგადო სახმო მეთოდი ითხოვს, არამედ ცალკე სიტყვები და წინადადებაც. წერა-კითხვას წინ უსწრებს საუბარი, თვალსაჩინო სწავლება საგნებისა, რასაც ითხოვს აგრეთვე საზოგადო სახმო მეთოდიც. საუბრის შემდეგ მასწავლებელი სწერს საკლასო დაფაზე საუბრიდან აღებულს რამდენსამე მოკლე წინადადებას, რომელშიაც ერთი რომელიმე სიტყვა რამდენჯერმე იმეორება. ამ უკანასკნელ ერთს სიტყვას აქცევენ მოწაფეები ყურადღებას მასწავლებლის დახმარებით და სწავლობენ მისს წაკითხვას. ამას ჰქვიან, სიტყვის გამოცალკევება წინადადებიდან. ამნაირად, ბავშვები სწავლობენ ზოგიერთი სიტყვების წაკითხვას, ვიდრე შეისწავლიდენ ცალკე ხმებს და ასოებს. ჩვენის აზრით, რამდენადაც ნაყოფიერი უნდა იყოს მოწაფეთათვის ეს მოხსენებული წესი წერა-კითხვის სწავლებისა, მაინც ძნელი იქნება პატარა მოწაფეებისათვის მიაპყრონ ყურადღება მხო-

ლოდ ერთს რომელსამე სიტყვას, როდესაც წინადადებაში შეიძლება იყოს ორი ან სამი სხვა სიტყვაც; ჯერ შესწავლილი სიტყვის ასოებიც მიიქცევენ ბავშვების ყურადღებას, არ შეიძლება ეს ყურადღება არ განაწილდეს დაწერილს წინადადებაში სხვა სიტყვებზედაც; ამნაირად, ამ წესით ბავშვის ყურადღების დანაწილება აუცილებელია. ამის გამო წასაკითხის სიტყვის შთაბეჭდილებაც სუსტდება, რადგანაც ამ წესით ბავშვს ეძლევა რამდენიმე სიძნელე ერთბაშად.

ამერიკელი პედაგოგები წინადადებაში ასწავლიან მხოლოდ ერთის რომელსამე სიტყვის კითხვას, „მოგზაურის“ ქართული პედაგოგი-კი არ სჯერდება ერთს სიტყვას, უფრო აჭარბებს და თხოულობს ორი-სამის სიტყვის შესწავლას, რაც რასაკვირველია, უფრო ძნელი უნდა იყოს. ამასთან ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ამერიკელი პედაგოგები დაფაზე დაწერილს წასაკითხავ სიტყვებს ადგენენ ხმების ნათესაობის მიხედვით, მაგალითად, მოწაფეების აქტიური მონაწილეობის მიღებით. საკითხავ სიტყვებიდგან საკლასო დაფაზე იწერება, ვსთქვათ, შემდეგი სიტყვები: ავი, ნავი, შავი ან ასი, თასი, ფასი და სხ. ეს საუკეთესო სავარჯიშო მხედველობისა და მსმენელობისათვის, როგორც მომზადებული საფეხური შემდეგის, უფრო ძნელის სავარჯიშოებისათვის სრულიად უყურადღებოდ დაუტოვებია ჩვენს წერა-კითხვის სწავლების ახალ წესის ავტორს. ამნაირი სავარჯიშოების შემდეგ ამერიკელი პედაგოგები გადადიან პირდაპირ ჩვეულებრივ ხმების გამოცალკევებაზე, ე. ი. უბრუნდებიან ისევ სახმო მეთოდს. საკითხავ წიგნს მოწაფეებს აძლევენ ხელში გვიან, ნახევარი წლის შემდეგ; მასწავლებლები დიდს დროს ანდომებენ წერით კითხვიდან ბეჭდურ კითხვაზე გადასვლას. აქ უეჭველად ისიც აქვთ აზრად, რომ ბეჭდური და ნაწერი ასოები დიდათ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამიტომ ერთსა და იმავე დროს შესწავლა ბეჭდურისა და წვრილი ასოების კითხვისა ორნაირს სიძნელეს წარმოადგენს. წინადადებათა და სიტყვების შედგენის დროს, რომლის კითხვაც თავიდანვე უნდა დაიწყონ, მოწაფეები ხმარობენ მხოლოდ იმისთანა სიტყვებს, რომელიც ყველას კარგად ესმის და გაეგება. ბეჭდურ საკითხავში ყველაფერი, რაც ახსნას ითხოვს, აიხსნება არც წაკითხვის დროს და არც წაკითხვის შემდეგ, არამედ კითხვის დაწყებამდის წინასწარ საუბრებში, ასე რომ წიგნებში კითხვის დროს ყველა სიტყვა და გამოთქმა წინდაწინვე ახსნილი, განმარტებული და ცნობილი უნდა იყოს მოწაფეთათვის.

იმ წესით, რომელიც ამერიკაში შემოიღეს ამ უკანასკნელ დროს, ძლიერ გვიანდება ანბანის შესწავლა. ეს შეჰნიშნეს თვით ამერი-

კელმა პედაგოგებმაც, მაგრამ მაინც გვარწმუნებენ, რომ ამ წესით სწავლებისათვის მოხმარებული დრო დაკარგულად არ ჩაითვლება, პირიქით, შემდეგში სარგებლით უბრუნდება მოწაფეს, რომელიც თავიდანვე იძენს ცოცხალ გამომეტყველებითი ლაპარაკის ხასიათს, კითხვა სიტყვებისა და წინადადებათა შემწეობით სავსებით შეგნებულია, სიტყვებსა და წარმოდგენილებათა შორის მტკიცე კავშირია დაცული კითხვის დაწყებამდისვე. ამის მიხედვით ყოველი წასაკითხი სიტყვა, რომელიც ჰხატავს ცნობილს ცნებას, ჩქარა გამოიხატება ბავშვის გონებაში იმის მსგავსად, როგორც რომელიმე ნაცნობი სურათი მოგვაგონებს ცნობილს სახეს.

აქ ჩვენ უნებლიედ გვაგონდება ერთი შემთხვევა: ამ რამდენისამე წლის წინად, როცა ჩვენმა პედაგოგმა ბ-ნმა ი. გოგებაშვილმა პირველად შემოიღო ანბანში პირველ გაკვეთილშივე წინადადების წაკითხვა და ამით პირველ გაკვეთილიდანვე აზრიანად გახდა წერა-კითხვის სწავლება, ჩვენმა პედაგოგებმა, რომლებიც დღეს თავიანთ თავს ფხიზელს უწოდებენ და სხვებს მძინარას, ეს წესი ანტიპედაგოგიურად ჩათვალეს და „დედა-ენის“ პატივცემულს ავტორს პედაგოგიურს უვიცობას უკიჟინებდნენ.

რასაკვირველია, ზემოდ მოხსენებული ამერიკული წესი წერა-კითხვის სწავლებისა, რომელიც გამოწვეულია ინგლისურ ენის და მის მართლ-წერის სიძნელით, ბევრს პედაგოგიურს სიმართლესაც შეიცავს, მაგრამ ჩვენს ქართველ პედაგოგებს არასოდეს არ უნდა ავიწყდებოდეთ, რომ სახმო მეთოდი წერა-კითხვის სწავლებისა არცერთს ევროპიულს ენას ისე არ უხდება, როგორც ქართულ ენას, რომელშიაც ყოველი ხმა იხატება ერთის ასოთი და არა ორისა და სამის და ზოგჯერ ოთხითაც, როგორც ზოგიერთ ევროპიულს ენებშია, თითქოს სახმო მეთოდი განგებ მოგონილი იყოს ქართულის ენისათვის, როგორც ზედ გამოჭრილი ქართულ ენის ანბანისათვის. ქართული ენისთანა მარტივი მართლწერის მხრივ ხომ არც ერთი სხვა ენა არ არის. სახმო მეთოდის ერთი საუკეთესო თვისება, სხვათა შორის, ისიც არის, რომ ამ წესით სწავლების დროს ყველა ცოტად თუ ბევრად გამოცდილს მასწავლებელს ადვილად შეუძლიან დაიცვას სწავლების დროს მოწაფეთა თვითმოქმედება, რომელიც ფრიად საჭიროა და აუცილებელი ყოველ სწავლების დროს და რომელიც ქვა-კუთხედად უნდა იქმნას აღიარებული სწავლების საქმეში; დარღვევა მოწაფეთა თვით-მოქმედებისა თავიდანვე უნდა ჩაითვალოს დიდ პედაგოგიურ შეცდომად. ეხლა ვნახოთ ფხიზელი პედაგოგი

როგორ რჩევას აძლევს მასწავლებლებს კითხვის შესასწავლად: „თან წერეთ და თან იკითხეთ, რომ გაათავოთ, უთხარით ბავშვებს, რომ აი, მე კიდევ ერთხელ წავიკითხავ თითის დადებით და თქვენ დაიხსომეთ, სად რა სიტყვას ვიტყვიო“. /„მოგზ. დამ“. 1902 წ. წიგნი მეოთხე/. მასწავლებელი სწერს საკლასო დაფაზე და თან კითხულობს: ეს არის ია. ეს არის ძირი. ეს არის ფოთოლი. ამ შემთხვევაში მასწავლებელი მოქმედობს, მოწაფეები ყურს უგდებენ. იმათ არც ერთი ხმა, ასო ამა თუ იმ მოყვანილ წინადადებაში არ იციან. მხოლოდ იმეორებენ იმას, რასაც მასწავლებელი ჩასძახის, ეს რაღაც უცნობი ნიშნებია – ასოები ყველა მოქმედობს ბავშვზე, ჰფანტავს მისს ყურადღებას და უკარგავს ხალისს, რადგანაც რამდენისამე უცნობის ასოს რამდენსამე წინადადებაში ერთბაშად შეთვისება ძნელი სამუშაოა ბავშვებისათვის. ეხლა ვიკითხოთ, არის აქ დაცული სწავლების დროს ბავშვის თვითმოქმედება თუ არა? რასაკვირველია, არა. ამ შემთხვევაში მოწაფენი გადიქცევიან ხოლმე მასწავლებლის აქტიური მოქმედების პასსიურ მსმენელებათ. მაშასადამე, თავიდანვე მოწაფეთა თვითმოქმედებას მოკლებული სწავლება აჩვევს ისეთს არასასურველს თვისებას, რომელიც არა თუ სასარგებლოდ, არამედ მავნებლად უნდა ჩაითვალოს სწავლა-აღზრდის საქმეში.

ჩვეულებრივის სახმო მეთოდს წერა-კითხვის სწავლებისას წინ უსწრებენ ესრედ წოდებული წერის მოსამზადებელი სავარჯიშოებიც, რომელიც შესდგება ასოების ელემენტების შესწავლიდგან; ადვილიდან ძნელზე გადასული ეს სავარჯიშოები ძალიან უადვილებს მოწაფეებს საზოგადოდ წერის შესწავლას, აჩვევს დაკვირვებას და უფრო ნაყოფიერად ჰხდის სწავლებას. „მოგზაურის“ პედაგოგიური წერილები წერისათვის საჭირო წინასწარ სავარჯიშოებს ყურადღებას არ აქცევს, პირიქით, წერას თავდაპირველად აწყებინებს ასე: „ეს არის ია“. გამოწერს ამ წინადადებას საკლასო დაფაზე და შემდეგ ურჩევს მასწავლებლებს: „ივარჯიშეთ ამ წინადადებისა და სიტყვების წერაში იმ დრომდის, სანამ კარგად და შნოიანად არ ისწავლიან მათს წერას“. ამ წინადადებაში ზოგი ისეთი ასოა, მაგ. „რ“, რომ მისი შესწავლა წერით გაუძნელდება მოწაფეს, თუ წინდაწინვე არ უსწავლია ასოების ელემენტების წერა. ზემომოყვანილის რჩევით ვერც პატარა მოწაფეები, რომლებიც პირველად იღებენ კალამს ხელში და ვერც მათი მასწავლებელის რჩევის მიმყოლი, ვერას გახდებიან. არიან ისეთი პედაგოგებიც რუსეთშიაცა და ევროპა-ამერიკაშიაც, რომლებიც წერისათვის საჭირო წინასწარ სავარჯიშოებს უარს ჰყო-

ფენ. უეჭველად იმათ მიმბაძველობას იჩენენ ჩვენებური „მოგზაურის“ თანამშრომელი პედაგოგებიც, რომელთაც, როგორც ვიცით, არ დაუმტკიცებიათ ის აზრი, რომ წერის შესასწავლად საჭირო პირველ დაწყებითი სავარჯიშონი უსარგებლო და მავნებელი იყოს. უცხო ქვეყნების ზოგიერთი პედაგოგები კი თავიანთ მოსაზრებას ამ საგნის შესახებ იმაზე ამყარებენ, რომ ასოების ელემენტების წერა ერთგვარი მექანიკური სავარჯიშოა და ამიტომ ადგილი არ უნდა ჰქონდეს პირველდაწყებითს სწავლებაშიო, მაგრამ არც ამ მოსაზრებაში ვხედავთ საღს შეხედულობას. სწავლებას ცუდი შედეგი მაშინ მოჰყვება, როცა შეუგნებელია, როცა ბავშვებს არ ესმით, რასა სწერენ და მექანიკურად ჰბაძავენ, გადმოაქვთ სხვის დაწერილიდან შეუგნებლად. მაშინ წერაც ჰკარგავს მოწაფეზე აღმზრდელობითის მნიშვნელობის გავლენას. კარგს, ლამაზსა და სუფთად წერას მაშინ აქვს გავლენა მოწაფეებზე აღზრდის მხრივ, როცა ამგვარად ნაწერი არის პირდაპირი შედეგი ყოველის მხრივ ბავშვის შეგნებულ სულიერის მუშაობისა. თუ მოწაფეს შეგნებული ექნება, რასა სწერს ასოების ელემენტებიდან დაწყებული, როგორ უნდა დაწერა რომელსამე ასოს, სიტყვებს, ფრაზებს და სხ. თუ თავიდანვე დაეჩვევა ასოების სიმმეტრიულად წერას, ამოცნობას კარგისა და ცუდის ნაწერისას, თუ წერის საქმესთან შეერთებული იქნება არა მარტო ხელით ვარჯიშობა, არამედ მოწაფის სულიერი განვითარებაც, მაშინ და მხოლოდ მაშინ შეუძლიან წერას მოუტანოს მოწაფეს კარგი ნაყოფი აღზრდის მხრივაც და არა მაშინ, როცა გამოუწერ დაფაზე რამდენსამე სიტყვას და წინადადებას და ურჩევ მასწავლებელს – „აწერინე ის, სანამ კარგად არ დაისწავლონო“. შეიძლება ამნაირი რჩევის მიხედვითაც შეისწავლონ მოწაფეებმა როგორმე წერა, მაგრამ ეს იქნება ნაყოფი ხელოსნობისა და არა ხელოვნებისა, რომელთა შორის უპირატესობა ყოველთვის უკანასკნელს უნდა ეკუთვნოდეს.

ეხლა გადავიდეთ იმაზე, თუ როგორ აწარმოებს თვალსაჩინო გაკვეთილებს, სასაუბროებს „მოგზაურის“ პედაგოგი. პირველი თვალსაჩინო გაკვეთილი შეეხება აღწერილობას. მასწავლებელი ხმარობს ისეთს კითხვებს, რომლებშორისაც არ არის სავსებით დაცული ლოგიკური კავშირი. დაკვირვებითის სწავლის აზრია, თავდაპირველად, თავიანთ სასაუბრო საგნის გარეგანი აღწერილობა და თითოეული ნაწილის დასახელება. ამის შემდეგ გადავლენ თვით სასაუბრო საგნის სხვა თვისებაზედაც. გაკვეთილის ავტორს კი ეს ორივე გარემოება ერთმანეთში არეული აქვს; კითხვას „რით არის შესანიშნავი ია?“

მოჰყვება შემდეგი კითხვა – „რამდენი უმთავრესი ნაწილი აქვს იას?“ ბავშვის გონებას იპყრობს ხან იის თვისება და ხან მისი გარეგანი აღწერილობა. ამისათვის ამგვარ კითხვებზე პასუხის მიღება ბავშვებისაგან საადვილო არ არის. ამასთან თვითონ კითხვა: „რა უმთავრესი ნაწილი აქვს იას?“ თავდაპირველად ძნელია ბავშვებისათვის, თუ გავარჯიშებულნი არ არიან წინადვე საგნების აღწერილობაში, რადგანაც ამ კითხვაში სიტყვები ნაწილი და უმთავრესი უცნობია მათთვის. ჯერ კითხვების შემწეობით მოწაფეებმა უნდა შეიგნონ, რომ რომელიმე საგანი შესდგება ნაწილებისაგან და შემდეგ მასწავლებლის კითხვებისვე შემწეობით გამოაკვლიოს ის ცნება, რომ ზოგიერთი ნაწილები საგნებისა იწოდება უმთავრესად. ამას გარდა კითხვა-პასუხში იის შესახებ მოყვანილია ბევრი დაწვრილებითი ცნება, რომლის პირდაპირ პასუხს ვერასოდეს ვერ მიიღებთ ბავშვებისაგან და რომლის დახსომებაც ერთს გაკვეთილზე შეუძლებელია, რადგანაც ეს ცნობანი სულ ახალია ბავშვებისათვის. მაგ.: ყუნწი, კუწუბო, ბუდე, ჯიღა, ძრო, ბუტკო, სოსანი, მკედი, ნასკვი და სხ. პედაგოგის გულითადი წადილია ახალის ცნებებით გაამდიდროს ბავშვის მეტყველება, მაგრამ საშუალება კი ანტიპედაგოგიურია. ყოველის ახალის საუბრის შემდეგ აუცილებლად საჭიროა, რომ მოწაფეებმა განიმეორონ საუბრის შინაარსი მასწავლებლის დაუხმარებლად. ეს მთავარი აზრი კი ყოველ სასაუბროში უყურადღებოდ რჩება პედაგოგს, მაშასადამე, ვერც ერთი მისი გაკვეთილი პირდაპირ დანიშნულებას ვერ მიაღწევს. პედაგოგი ეუბნება მოწაფეებს: „ია არის ყვავილი“, „ია არის მცენარე“, „ია არის ბალახი“. არც ასეთი ცნებათა არევაა პედაგოგიური. ბავშვის ფხიზელი გონება ამ ფრაზების საფუძვლით დაასკვნის, რომ თუ ია ყვავილიც არის და ბალახიც, მაშასადამე, შეიძლება სხვა ყვავილსაც ბალახი ვუწოდოთ და ბალახს – ყვავილი.

ეხლა გადავიდეთ მეორე გაკვეთილზე, რომლის საგანიც არის თითის აღწერილობა. საუბარი აქაც გაჭიანურებულია; ქართველ პედაგოგს არ მოსწონს თითების ქართული სახელები და პირდაპირ რუსულიდან თარგმნის: ცერს ეძახის დიდ თითს, სალოკს – მაჩვენებელს, არათითს – უსახელოს და სხვა. მესამე გაკვეთილი ეხება თხის აღწერილობას. პედაგოგი აქცევს ყურადღებას თხის მხოლოდ გარეგანს აღწერილობას. არც ერთს კითხვას არ იძლევა იმის შესახებ, თუ რით იკვებება თხა, სად ცხოვრობს და რით არის სასარგებლო და სხვა. ამას გარდა, ვკითხულობთ შემდეგს ფრაზას: „სადაც თხა კუნტრუშით გაინავარდებს, იქ ცხვარი უეჭველად გადიჩეხება“. ამ

შედარების ავტორს უნდა ეთქვა, თხა ცხვარზე უფრო მარდიაო და უკეთესი აზრი ვერ გამოუთქვამს. ამისთანა უხერხული ფრაზები აღწერილობაში შემდეგს გაკვეთილშიაც ბლომად არის. მაგალითად: „თუთა ხეა“, „თუთა ხეხილია“, „თუთა ხილია“. აქ ერთი ცნებით ხილიც იხატება, ხეც და ხეხილიც. თუ ნაყოფს თუთას ვუწოდებთ, ხეს თუთის ხე რომ ვუწოდოთ, უფრო კანონიერი იქმნება. „მე უფრო თეთრი და ჭროღა თუთა მიყვარს, ნიკოს კი – შავი. ნიკოს შავს თუთას კი ნუ მოაკლებ და პურს თუნდა მთელს დღეს ნუ აჭმევ“. ამისთანა ფრაზებით აზავებს პედაგოგი თუთის ხის აღწერას, რომელსაც საგნის შესწავლასთან ისეთი კავშირი აქვს, როგორც მისს პედაგოგიურს მოსაზრებას ნიკოს გემოვნებასთან. მაგრამ მგონი ნიკო შავ თუთას უფრო მოინელებს, ვიდრე „მოგზაურში“ დაბეჭდილ გაკვეთილებს.

„მოგზაურის“ დამატების ერთს წიგნაკში /წიგნ. მეექვსე, 1902 წ./ ვკითხულობთ მოკლე წერილს შემდეგის სათაურით: „უცხო ენათა სწავლება სკოლებში“. როგორც მკითხველი დაინახავს, ეს საკითხი ჩვენში ჯერ კიდევ დღიურ ვარმად არის გადაქცეული და ამის შესახებ საუბარი მეტი არ იქნება. ზემოხსენებულ წერილის ავტორი ეხება ესრედ წოდებულს „მუნჯურს მეთოდს“ და სამართლიანად ჰკიცხავს იმ ვითომდა პედაგოგებს, რომელნიც უცხო ენის სწავლების დროს სრულიად უარს ჰყოფენ სამშობლო ენის დახმარებას, მაგრამ თვითონვე ვარდება უარესს უკიდურესობაში: „დადგება თუ არა დრო უცხო ენის სწავლებისა, – ამბობს ავტორი, – უცხო ენაზევე უნდა განვაგრძოთ ყოველ საგნის შესწავლა, რომ უცხო ენაც სავსებით და ყოველის მხრივ შეითვისოს მოსწავლემ“. /იხ. დამ. გვ. 15/. არ ვიცი, რომელ პედაგოგიურ კანონის ძალით ბრძანებს ამას ხსენებულ წერილის ავტორი, მაგრამ ყველა გონიერი ადამიანი და არაპედაგოგიც დაგვეთანხმება, რომ „ყოველ საგნის შესწავლა“ იმ უცხო ენაზე, რომლის შესწავლასაც ეხლა შესდგომია ბავშვი, ყოვლად მოუხერხებელია და უნაყოფო იმ დრომდის, ვიდრე ბავშვი იმდენად არ შეისწავლის უცხო ენას, რომ ცოტად თუ ბევრად შეეძლება ამ ენაზე თავისუფლად აზრის გამოთქმა. ეს ისეთ ჭეშმარიტებად უნდა მიგვაჩნდეს, რომ ბაასი ამ საანბანო ჭეშმარიტების დასამტკიცებლად მეტად მიგვაჩნია. ამას გარდა ხსენებულს წერილში ჩვენი ლაღი პედაგოგი გამოსთქვამს ისეთს აზრსაც, რომელიც ძრიელ დაშორებული უნდა იყოს, როგორც საღს მსჯელობას, აგრეთვე მიუდგომელ მეცნიერებასაც. მოვიყვანთ სიტყვა-სიტყვით ავტორის ხაზგასმულ აზრს: „საზოგადო ნაკლი მთელის დღევანდელის სკოლისა და ერთობ სწავლა-განათლებისა, რო-

გორც ჩვენში, ისე სხვა ქვეყნებში ის არის, რომ სკოლა სცდილობს გადასცეს მოსწავლეს ყოველი ცოდნა მარტოდ მარტო სამშობლო დედა-ენაზედ, და არა თანაბრად ყველა ენაზედ, რომელსაც კი ასწავლიან სასწავლებელში". /იგივე დამატ. გვ. 14/. ზემონათქვამს რომ კარგად დავუკვირდეთ, ის უნდა დავასკვნათ, რომ ის სკოლა, რომელშიაც სწავლა-აღზრდის საქმე მოწყობილია მხოლოდ სრულიად ადვილგასაგებ სამშობლო დედა-ენაზედ, არ ჩაითვლება სავარგის სკოლად და, ავტორის სამწუხაროდ ეს ნაკლულოვანება ჰქონიათ სხვათა შორის ჩვენებურს სკოლებსაც. დაგელოცა, ღმერთო, სამართალი! რა ამბავია პედაგოგთა შორის შეცილება ასეთს საანბანო ჭეშმარიტების გამო! მართალია, ჭეშმარიტება დროთა მიხედვით ცვალებადია. ბევრი, რაც დღეს ჭეშმარიტად აღიარებულია, ცოტა ხნის შემდეგ იცვლება, მაგრამ არის ისეთი ჭეშმარიტებაც, რომელიც სამუდამოდ უცვლელი რჩება, რადგანაც იგი დამოკიდებულია ბუნების კანონებზე, რომელიც ქვეყნის დასაბამიდან სამუდამოა და მისი შეცვლა მთელ საუკუნოებითაც არ შეიძლება.

ასეთს სამუდამო ჭეშმარიტებას უნდა შეადგენდეს პირველ დაწყებით სწავლა-აღზრდის მოწყობა და წარმოება მხოლოდ მშობლიურს დედაენაზე. ყველა ქვეყნის საუკეთესო პედაგოგები და მეცნიერები იმას გვიქადაგებენ, რომ კანონიერი განათლება თვინიერ დედა ენისა შეუძლებელიაო. მაგრამ თურმე არიან ისეთი პედაგოგნიც, რომელთაც უნაკლულოდ მიაჩნიათ ისეთი სკოლები, სადაც სწავლება საგნებისა სწარმოებს სხვა და სხვა ენაზე მიუხედავად იმისა, კარგად ესმის რომელიმე უცხო ენა მოწაფეს თუ ცუდად. თუმცა-ღა უნდა მოგახსენოთ, მართლა რომ საგნების სწავლება ჩვენს დღევანდელს სახალხო სკოლებში სამშობლო ენაზე იყოს მოწყობილი, როგორც პედაგოგი ბრძანებს, მაშინ ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. ჩვენს ეხლანდელს სკოლებში რომ „ცოდნის გადაცემა" მართლა დედა ენაზე სწარმოებდეს და დედა ენას შესაფერისი პატივი და ადგილი ეჭიროს სკოლებში და უცხო ენაც ისწავლებოდეს თანახმად ნამდვილ პედაგოგიურ კანონთა მიხედვით, მაშინ ჩვენი სახალხო სკოლები არ შეიქნებოდნენ ისეთი უძლურნი, სუსტნი და უნაყოფონი, რასაც სამართლიანად აღნიშნავენ ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ნამდვილნი მეთვალყურენი. მაგრამ ჩვენში ასე არ გახლავთ და არც გვგონია, რომ რუსებისა და ან ევროპიელების ნამდვილ სახალხო სკოლებში იყოს ისე, როგორც ჩვენშია. იმ ვითომდა პედაგოგებს, რომელნიც გვირჩევენ თავიდანვე „ცოდნის გადაცემას" უცხო ენაზედ, ე. ი. გვირ-

ჩევენ რომ უცხო ენა სწავლების დაწყებისათანავე შეიქმნეს არა მარტო თვით სასწავლო საგნად, არამედ იმ ენაზედ, რომელზედაც უნდა ისწავლებოდეს სხვა სასწავლო საგნებიც. ჰგონიათ, რომ ამ საშუალებით მოსახერხებელია სკოლებში უცხო ენის გაძლიერება, მაგრამ, როგორც პედაგოგიურს კანონზე დაშორებული საშუალება, არა თუ სასარგებლოა, პირიქით, დიდად მავნებელიც არის. ბავშვის გონება სხვა და სხვა ენაზე საგნების შესწავლით, მით უმეტეს თუ ეს ენები კარგად არ იცის, იბნევა, რადგანაც ნახევრად გაგებული, შეუგნებელი სიტყვები უცხო ენისა სტოვებს ბავშვის გონებაში გამოურკვეველს და შეუგნებელს აზრს. ამის მიხედვით სამშობლო ენაზე ნასწავლს ბავშვი ხშირად ივიწყებს, როცა ასწავლიან უცხო ენაზე: „Случается встречать, что инородцы, выучив священную историю по инородчески, переучивают ее по русской книге для того, чтобы отвечать на экзамене экзаменующим, не знающим по инородчески. Смею утверждать, что это вторичное затверживание священной истории даже „просвещенным“ верхнесилезскими учителями было бы найдено варварским/იხილე „Что такое хор. урок“, გვერდი 122/.

პირველ დაწყებითს სკოლებში მკვიდრი სწავლა რომელისამე საგნისა შეიძინება მაშინ, როდესაც ნასწავლს ხშირად იმეორებენ დედა ენაზედ, როდესაც პირველ დაწყებითი სწავლება მტკიცე საფუძველზეა დამყარებული და ეს მკვიდრი საფუძველი დედა ენაა. უცხო ენა კი მტკიცე საფუძვლობას ვერ გაუწევს და ახალ სუსტ საფუძვლის დადგმას იქ, სადაც მკვიდრი საძირკველი უკვე სდგას, მოჰყვება პირველის შესუსტება და, რადგანაც ვერც მეორეს ძალუძს პირველის ადგილის დაჭერა, ამიტომ მთელი შენობაც საშიში ხდება.

თუ მოწაფე დედა ენის შემწეობით გონება განვითარებულია, ჭკუით საღია, უცხო ენის შესწავლაც გაუადვილდება და სხვა საგნებისაც; როცა საგნის ცოდნა მკვიდრია და ბავშვმა უცხო ენაზედაც იცის ლაპარაკი, სრულიად არ გაუჭირდება მკვიდრის ცოდნის განმარტება უცხო ენაზედაც. ცნობილია, რომ ჩვენი ძველი თაობა, რომელიც დედა ენაში უფრო მომზადებული იყო, ვიდრე ახალი თაობა, უკეთესს ცოდნასაც იჩენდნენ, როგორც დედა ენისას, ისე უცხო ენებისა და სხვა საგნებისასაც. განსვენებული ცნობილი ნ. ჩუბინაშვილი 1804 წ. 14 წლისა მიებარა კეთილშობილთა სასწავლებელში, სადაც ჩინებულს წარმატებას იჩენდა ყველა სასწავლო საგნებში. ხსენებული სასწავლებლის დირექტორი ბუკრინსკი, რომელმაც კარგად იცოდა ქართული ენაც, ჩუბინაშვილის ასეთს წარმატებას საგნებში

ხსნიდა უმეტესად იმ გარემოებით, რომ სკოლაში მისვლამდის ნ. ჩუბინაშვილი ყმაწვილობიდანვე თავის მამის, დეკანოზის დავით ჩუბინაშვილის სახლში, სადაც სკოლა იყო გამართული, გულმოდგინედ სწავლობდა ქართულ ენას თავის მშობლების ოჯახში. ბუკრინსკის აზრიო, – დასძენს პროფესორი ცაგარელი, რომ საფუძვლიანი ცოდნა დედა ენისა ძრიელ ხელს უწყობს სხვა საგნების შესწავლაში და უცხო ენების ჩქარ შეთვისებაშიაც, ახალი არ არისო და სრულიად მართალიაო. რასაკვირველია, არცერთი შეგნებული პედაგოგი ამას არ უარჰყოფსო. დედა ენის საწინააღმდეგო არც „მოგზაურის“ რედაქციას უნდა ჰქონდეს რა, მხოლოდ ცარიელის სიტყვით და, თუ კარგად დავუკვირდებით, ზოგიერთ ზემოდ ხსენებულის პედაგოგიურ ხასიათის წერილების აზრს, ნათლად დავინახავთ, რომ იმ წერილებში დასახელებულნი ზოგიერთნი საშუალებანი, როგორც ანტიპედაგოგიური, ძირს უთხრის პირველ დაწყებითს კანონიერ სწავლა-აღზრდის საქმეს ჩვენში.

ნათქვამიდან ცხადია, თუ როგორ საღს სულიერ საზრდოს აწვდის თავის სალაროდან „მოგზაურის“ რედაქცია სოფლის მასწავლებლებს, რომელთა შორის ყველაზე უფრო დიდი კერძი უეჭველად ტ. ართმელაძეს ერგება, როგორც მუდმივს თანამშრომელს. რაც შეეხება ტირძნისის სკოლიდამ გამოსულს მასწავლებლებს, „მოგზაურის“ პედაგოგიიდან ნასუფრალიც რომ არ შეხვდეთ, არას წააგებენ, თუმცაღა უნდა შევნიშნოთ, რომ საღს და სამეცნიერო პედაგოგიურს აზრებს ჩვენებური სოფლის მასწავლებლები დიდად საჭიროებენ. ჩვენს „მღვიძარ“ პედაგოგებს-კი ყველაფერში ორიგინალობა მოსწონთ და ამ ორიგინალობაში ხშირად ამახინჯებენ იმასაც, რაც მეცნიერებას და ბუნებას შეუქმნია.

კორესპონდენცია

კ ა ვ კ ა ვ ი. კავკავის ქალაქის მცხოვრებლების ერთს საუკეთესო გასართობს კვირა-უქმე დღეებში შეადგენს მინდვრად გასვლა და სეირნობა სუფთა ჰაერზე. სხვადასხვა ეროვნებით გაჭედილი ფართო მინდორი მშვენიერს სურათს წარმოადგენს გაზაფხულსა და ზაფხულში. აქ გამოდის თითქმის მთელი ქალაქი, მუშა, ქალი, კაცი და ბავშვები. ერთობიან, თამაშობენ და საღამოს ნასიამოვნები ბრუნდებიან სახლებში, რომ მეორე დღეს, უფრო ძალა მოკრებილნი, ხალისიანად შეუდგნენ დღიურს შრომას.

მაგრამ ათს აპრილს გასეირნება მინდორ-ტყისაკენ იაფად არ დაუჯდათ კავკავის მცხოვრებლებს. ერთს ადგილას ყმაწვილებმა ჩვეულებრივი ჭიდაობა გამართეს; მივარდა „გოროდოვოი“ მოჭიდავეთ და აუკრძალა ჭიდაობა. ხალხმა ყურადღება არ მიაქცია „გოროდოვოის“, რომელმაც ტელეფონით გამოიწვია კაზაკ-რუსები და ბოქაული. ესენიც დაერივნენ უბრალო მოსეირნე ხალხს და მათრახებით ზურგზე ბოლი აადინეს. ხალხმა, როგორც მოსალოდნელი იყო, წინააღმდეგობა გაუწია ჯარისკაცებს ჯოხებით და ქვებით. გაბრაზებული ცხენოსანი კაზაკ-რუსები თავდავიწყებამდის მივიდნენ, – ცხენების ფეხით სთელავდენ ყველას განურჩევლად. ერთი შეშინებული ბავშვი ძალაზე გარბოდა, უკან მისდევდა ცხენოსანი კაზაკი რუსი; ბავშვი თხრილში ჩავარდა – იქნება თავს ვუშველოვო; კაზაკიც თან ჩაჰყვა ცხენით, რომლის ფეხ-ქვეშ მოექცა საცოდავი ბავშვი. მაგრამ ცხენი თავის მხედარზე უფრო ჭკვიანი გამოდგა და ფრთხილად ადგამდა ფეხებს ბავშვს, რომელიც, თუმცაღა დაშავდა, მაგრამ, როგორც იყო სიკვდილს მაინც გადარჩა.

ამ საოცარმა ამბავმა მთელი ქალაქი აალაპარაკა. ყველანი ამბობდნენ, ნუ თუ უბრალო პოლიციელს ამდენი უფლება აქვს – მისი ბრძანება ჯარისკაცებმა უთუოდ უნდა აასრულონო, მაშინ, როდესაც კაზაკებს არც ერთი თავისი უფროსი თან არ ახლდა. კაზაკების თავგასულობა ხომ ყოველგან ცნობილია, მაგრამ ვერც ისე წარმოვიდგენდით, რომ ასეთს თავხედობას გამოიჩენდნენ და „გოროდოვოის“ ბრძანებით ასე დააწიოკებდნენ უდანაშაულო ხალხს.

ყველაზე უფრო გასაკვირველი ის არის, რომ ამ შეტაკების მიზეზად აქაურის პოლიციური გაზეთის ერთმა თანამშრომელმა სომხობა

აღიარა, მაგრამ, როდესაც იმ გაზეთის რედაქტორს უსაყვედურეს – ეს ტენდენციოზური შენიშვნა არ უნდა დაგებეჭდაო, რადგანაც ამას შეიძლება ეროვნული სიძულვილი მოჰყვეს შედეგად, რასაც ძალიან უნდა ველოდებოდეთ განსაკუთრებით ამჟამადაო. მან თავის გამართლების ნაცვლად მეორე დღეს დაბეჭდა ბოქაულის სელიხოვის მოხსენება ხსენებული არეულობის შესახებ, რომლიდანაც სჩანს, რომ ბ-ნი სელიხოვი, რომლის მსგავსნი ჯერ კიდევ ბლომად მოიპოვებიან ჩვენს კურთხეულს ქვეყანაში, ბრალს ქართველებსა სდებს, თითქო ქართველები ყოფილიყვნენ მარტო მოწინააღმდეგენი პოლიციისა მაშინ, როდესაც ქართველებთან ერთად წინააღმდეგობდნენ რუსებიც, სომხებიც, ურიელებიც, ბერძნებიც, ოსებიც და სხ. სელიხოვის მოხსენება ნამდვილი „დანოსია“ ქართველებზე, მაშასადამე, ამ შემთხვევაში რომელისამე ერის დასახელება მხოლოდ იარაღია იმისი, ვინც ცდილობს არა მყუდროებისათვის, არამედ გადაამტეროს სხვადასხვა ერი ერთმანეთში შუღლის ჩამოგდებით, რომ შემდეგ ბიუროკრატიამ თამამად იპარპაშოს და არ გამოეცალოს ის საძირკველი, რომელზედაც დღეს ვითომდა თამამად ბრძანებლობს. იმედია, ასეთ თავგასულობას მალე ბოლო მოეღება და კავკაველებიც ისეთ მდგომარეობაში არ იქნებიან ჩაყენებული, რომ პოლიციის შიშით და მის ნებადაურთველად სუფთა ჰაერის ჩაყლაპვაც უძნელდებოდეთ.

სასკოლო საქმე

სწავლების საქმე ჩვენში დღემდის რომ არასასურველად, ხალხის ინტერესების მიხედვით არ იყო მოწყობილი, ეს ყველასათვის ცხადია. როგორც პირველ დაწყებით სკოლებს, ისე საშუალო სასწავლებლებს ესაჭიროება ძირითადი რეორგანიზაცია. ამ სკოლებს უნდა ჩამოშორდეს ყოველივე „გარეგანი“ მიზანი და თვით ხალხში, ხალხის საღ კულტურულ განვითარებაში უნდა ჰპოვონ მათ თავისი დანიშნულება. საზოგადო პირობები, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს ყოველი სკოლა, დღეს საკმაოდ გამორკვეულია. ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ ერთ მხარეს, რომელიც განსაკუთრებით ჩვენს მდგომარეობას შეეხება. მე მხედველობაში მაქვს ქართული ენის მდგომარეობა მთავრობის სასწავლებლებში. სოფლის სკოლებში

დედა-ენისათვის სასურველ ადგილის დათმობა რამოდენიმედ მაინც უზრუნველყოფილად უნდა ჩაითვალოს ახლო მომავალში. ხალხი, რომელმაც ნათლად შეიგნო თავისი კულტურული მოთხოვნილებანი, რომელსაც გაეღვიძა და გაუცხოველდა გონებრივ განვითარებისადმი მისწრაფება, შესძლებს ამ მისწრაფებათა მიხედვით მოაწყოს თავისი სასწავლებელი. აშკარაა, ამ შემთხვევაში ის ვერ დაივიწყებს დედაენას, რადგან ეს დედაენა ერთადერთი საფუძველია მისი საღი განვითარებისთვის.

სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვხედავთ ქალაქში. ავიღოთ ქალაქის პირველდაწყებითი სკოლები. დღეს სასკოლო მთავრობამ იმნაირად მოაწყო საქმე, რომ ყოველ პირველდაწყებით სკოლაში შეგირდები ეროვნულად არეულნი არიან. ერთ სკოლაში რუსიცაა, ქართველიც, თათარიც, სომეხიც და სხვ. ცხადია, ასეთ ეროვნულად მრავალფეროვან მოწაფეთა კრებულში ძნელია ყველასათვის დედა-ენაზე სწავლა და ამნაირად ამ მხრივ ნორმალური მდგომარეობის დამყარება. ამ წესის წყალობით სწავლების საფუძვლად მხოლოდ სახელმწიფო ენა გახდება, თუნდაც სკოლაში მარტო ერთი მოწაფე იყოს ბუნებრივ ამ სახელმწიფო ენაზე მოლაპარაკე, გახდება იმიტომ, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება, სხვადასხვა ეროვნებათა ბავშვებით ავსებულ სკოლაში სწავლება თითოეულ ეროვნების დედა-ენაზე მოეწყოს და ამიტომ ძალაუნებურად ის ენა გაიმარჯვებს, რომელიც, ვითარცა სახელმწიფო ენა, ყველასთვის, ასე თუ ისე, საერთოა და ცხოვრებაშიაც საჭიროდ მიჩნეული.

ამიტომ საჭიროა ყურადღება მივაქციოთ ამ გარემოებას და ვეცადოთ თავიდან ავიცილოთ ის შედეგი, რომელსაც გვიქადის აწინდელი სასკოლო წყობილება. ეს საქმე არც ძნელია. საჭიროა მხოლოდ სასწავლებლები განაწილდეს სხვადასხვა ეროვნებათა შორის და მაშინ სწავლების ბუნებრივ წესზე დამყარებას აღარაფერი დააბრკოლებს.

რაც შეეხება საშუალო სასწავლებლებს, აქაც დედაენის მდგომარეობა განსაკუთრებული ყურადღების მისაქცევია. რასაკვირველია, მშობლიურ ენას მხოლოდ მაშინ ექნება სასწავლებლებში ის ადგილი, რომელიც მას უკუთვნის და საჭიროა ხალხის ნორმალური განვითარებისათვის, როცა დღევანდელი წესი სწავლებისა ძირიანად შეიცვლება და მთელი სწავლება მოსწავლეთა დედაენაზე მოეწყობა. მაგრამ დღესდღეობით ეს შეუძლებელია და ამიტომ ყურადღება უნდა მივაქციოთ ისეთ წვრილმან ღონისძიებათაც, რომელნიც ცოტათი მა-

ინც გააუმჯობესებენ დედაენის მდგომარეობას საშუალო სასწავლებლებში. ამ მხრივ ცოტა რამეს გვპირდებოდნენ ამას წინად, მაგრამ, როგორც ახლა ეტყობა, ის უფრო უბრალო დაპირებაა, ვიდრე ნამდვილი სურვილი ხალხის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა. ის მცირედი დაპირება უფლებას გვაძლევდა გაგვეფიქრა, რომ დედაენა საშუალო სასწავლებლებში სავალდებულო საგნად მაინც იქნებოდა მიჩნეული. მაგრამ, აი, ხსენებულ სასწავლებლებში სწავლა დაიწყო და ამ მცირედი დაპირების ასრულებასაც ჯერ ვერა ვხედავთ...

საყურადღებოა მეორე ფაქტიც. თუ პირველდაწყებითს სკოლებში მაინც სწავლების საფუძველი დედაენა იქნება, თქმა არ უნდა, ამ მიზნის განსახორციელებლად საჭიროა საკმაო მასწავლებელთა მომზადება ამ დედაენაზე. ჩვენში მხოლოდ ორი საოსტატო სემინარია არსებობს, რომელთაც განსაკუთრებით ის დანიშნულება აქვთ, რომ მოამზადონ მასწავლებლები პირველდაწყებით სკოლებისათვის. ამ ბოლო დროს მასწავლებლების საჭიროებაც დღითიდღე იზრდებოდა, რადგან მრავალ ადგილას იხსნებოდა ახალი სკოლები. და, რასაკვირველია – რამდენადაც მასწავლებლებზე მოთხოვნილება მატულობდა, იმდენადვე ამ სემინარიებში ნაკლებ მოწაფეებს იღებდენ. სამაგიეროდ სკოლებში მასწავლებელთა ნაკლებობას ავსებდნენ სრულიად მოუმზადებელი ხალხით. ალბად, სემინარიული მომზადებაც დიდად ეჩვენათ ჩვენებურ სკოლის ბედ-იღბლის გამგებელთ. თუ ახალი გეგმა უნდა განხორციელდეს, იმ შემთხვევაში ცხადია, რომ მასწავლებელთა მომზადებაც შესაფერად უნდა შეიცვალოს. ჩვენში კი სემინარიები სრულიად ძველის გეგმით დარჩა. ესეც ცოტაა. არა თუ „ახალ“ სკოლისთვის „ახალ“ მასწავლებელთა მომზადებას არ ცდილობენ, არამედ ქართველ მოსწავლეთა რიცხვსაც კი ამცირებენ ხსენებულ სემინარიებში. წელს გორის საოსტატო სემინარიაში, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, არცერთი ქართველი არ მიუღიათ!..

რას გვეუბნება ეს ფაქტი? მხოლოდ ერთს რასმე, რომ თავის თავს არ უნდა ვატყუებდეთ და უსაფუძვლო იმედებით არ უნდა ვიკვებებოდეთ...

საბავშვო თეატრი

საბავშვო წარმოდგენებს თანამედროვე პედაგოგიურს მწერლობაში ბევრი მოწინააღმდეგეც ჰყავს და მომხრეც. თუმცა-ღა ეს საკითხი ამჟამად საბოლოოდ გადაწყვეტილად არ ჩაითვლება, მაგრამ ამ ბოლო წლებში საბავშვო პიესების რიცხვმა როგორც საზღვარგარეთ, ისე რუსეთშიაც შესამჩნევად იმატა. სჩანს, რომ საბავშვო თეატრის მომხრეთა რიცხვი, როგორც მწერლობაში, ისე საზოგადოებაშიც თანდათან მატულობს და ის მხარე საზოგადო აღზრდისა, რომლის შეძენაც შეუძლიანთ მოწაფეებს საბავშვო თეატრის საშუალებით, უყურადღებოდ არა რჩება.

ჩვენში კი ამ ხანად ეს საგანი სრულიად მივიწყებულია და უყურადღებოდ დატოვებული.

საბავშვო წარმოდგენების მოწინააღმდეგენი თავიანთ აზრს ამყარებენ იმ მოსაზრებაზე, რომ წარმოდგენაში მონაწილე ბავშვებმა უნდა მიიღონ არა ბუნებრივი, ხელოვნური, განგებ მომზადებული მიხვრა-მოხვრა, ხელებისა და თვალების ხელოვნური მოძრაობა და სხვ. ყველა ეს კი ერთად აჩვევს ბავშვებს თვალთმაქცობას, სიცრუეს, ცბიერებას და ფარისევლობასაო. რამდენად საბუთიანია და სამართლიანი ეს ზემოთ მოყვანილი მოსაზრება საბავშვო თეატრის მოწინააღმდეგეებისა, ჩვენ შეგვიძლიან დავინახოთ შემდეგიდან: საზოგადოდ ყველა სკოლებში, როგორც პირველდაწყებითში, აგრეთვე საშუალო და მაღალ სასწავლებლებშიც, ლექსებისა და სხვა პოეტური ნაწარმოების შესწავლის დროს სავალდებულოდ არის აღიარებული პოეტური ნაწარმოების გამომეტყველობითი, მხატვრობითი კითხვა, რომ მკითხველმა რეალურად თვალწინ დაგვიყენოს ის აღმაფრენა, გამოხატულება და გრძნობანი, რომელნიც პოეტს აქვს აწერილი თავისს ნაწარმოებში. უამისოდ პოეტიური ნაწარმოები ჰკარგავს თავისს აღმზრდელობითს მნიშვნელობას მკითხველ-მსმენელებზე. პოეტიური ნაწარმოების გრძნობიერს, გამომეტყველებითს და მხატვრობით კითხვას დიდი კავშირი აქვს დრამატიულ ნაწარმოებთანაც, რომელიც არაოდეს არ შეიძლება ჩავთვალოთ სიცრუისა და ცბიერების ბუდედ, რადგანაც ბავშვი, ცოტა ხნით, სცენაზე თამაშობით გადადის ნებსით ოცნებათა სფერაში. არცერთი ბავშვი, თუ იგი ზნეობრივად მახინჯი არსება არ არის, არასოდეს არ არევს რეალურს სინამდვილეს და სცენას ერთმანეთში. სარგებლობა კი საბავ-

შვო წარმოდგენებისაგან თვალსაჩინოა: მოუხეშავი ბავშვები იძენენ გამბედაობას, ჰკარგავენ მეტისმეტს მორცხვობას. ამასთან ერთად უვითარდებათ სიტყვიერება, ყურადღება და სხვ.

ერთი ფრიად პატივცემული საპედაგოგიო ასპარეზზე მოღვაწე ქალი ქ. ალჩევსკისა ამბობს: „ჩვენი მწერლები, რომელთაც თავიანთ ლიტერატურულ ნაწარმოებში არაერთხელ დაუხატავთ ბავშვების ტიპები, შეადგენდენ სცენებს ბავშვების ცხოვრებიდან და თუ მასწავლებლებიც სწავლა-აღზრდის ყველა კანონების მიხედვით იხელმძღვანელებენ, ეჭვს გარეშეა საბავშვო წარმოდგენები მისცემს მაყურებლებს არა მცირე ესტეტიურს კმაყოფილებას, რომელიც აკეთილშობილებს ბავშვის სულს და ავითარებს მის გონებასაც“.

საბავშვო წარმოდგენების საქმეში ყველაფერი დამოკიდებულია, როგორც პიესის შინაარსზედ, აგრეთვე ხელმძღვანელებზედაც. თუ ჩვენი ნიჭიერი მწერლები არ მოგვაკლებენ შესაფერ საბავშვო პიესებსაც, დიდ ამაგს დასდებენ მოზარდ თაობას. საბავშვო პიესები, თუ მისი შინაარსი ბავშვების ცხოვრებიდან არის აღებული, ან თუ შინაარსი პიესისა საზოგადოდ ადვილი გასაგები და მისაწვდომი იქნება ბავშვის ნორჩის გონებისათვის, უმნიშვნელოდ არ ჩაივლის მოზარდი თაობის ცხოვრებაში, ბავშვის ძლიერი შთაბეჭდილება შესაფერისს ადგილს დაიჭერს მისს ხსოვნაში და შთამომავლობასაც საშვილიშვილოდ გადაეცემა. საბავშვო პიესა „ყვავილთა შორის“ ჩვენ გადმოვიღეთ კ. ლუკაშევიჩის საბავშვო თეატრიდან. შინაარსით ეს პიესა ჩვენი ბავშვებისთვისაც შესაფერისი უნდა იყოს. აზრგადატანით პიესის შინაარსი ჩვენს ცხოვრებასაც შეეხება – განხეთქილება, ერთმანეთის გაუტანლობა, ცრუ მეგობრობა ჩვენ წოდებათა შორისაც დიდი ხანია შენიშნულია. წოდებათა გაერთიანება ერთის საზოგადო აზრით, დაცვა პიროვნებისა, ადამიანურის სულის მოთხოვნილებისა, პატივისცემა და არა სიძულვილი იმ მდაბიო ხალხისა, რომელიც ცხოვრების კანონის მიხედვით დაბალ საფეხურზე დგას დღეს, მაგრამ საერო საქმეში ბურჯად ითვლება აი, დედააზრი ამ პიესისა, რომელსაც შეგნებით მოისმენენ პატარებიც და მოზდილებიც.

ეს პიესა ქართულად პირველად წარმოდგენილი იქმნა ამ წლის 30 მაისს კავკავის სკოლის მოწაფეთაგან. იმ შთაბეჭდილებამ, რომელიც ამ პიესამ მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე, როგორც დიდებზე ისე პატარებზედაც, გაგვაბედვინა მის დასასტამბავად დამზადება. რასაკვირველია უნაკლულო არც ეს პიესა იქნება, მაგრამ თუ ცოტათი მაინც სასარგებლო აღმოჩნდა, ჯერ-ჯერობით ესეც საკმარისი იქნება.

„სკოლებში შესასწავლი ქართველი მწერლები. წიგნი პირველი, შედგენილი ივ. გომელაურის მიერ.

სამშობლო ლიტერატურას და პოეზიას დიდი გავლენა აქვს მოზარდ თაობისა და მთელი ხალხის ესტეტიური გრძნობის განვითარებაზე, კეთილ გრძნობისა და აზრთა ჩანერგვაზე მოზარდ თაობის სულში. ყოველს ცოტად თუ ბევრად განვითარებულ ერს ესტეტიურ, ზნეობრივ განვითარებისა და ლიტერატურულ განათლების საფუძვლად მიაჩნია მშობლიურ ნიჭიერ მწერალთა და პოეტთა ნაწარმოები, რომელნიც აღძრავენ მკითხველის გონებაში სამშობლო ქვეყნისა და მისი ბუნებისადმი სიყვარულს; იგივე ნაწარმოებნი წარმოადგენენ საუკეთესო მასალას ახსნა-განვითარებისა, საუბრებისა, ზეპირ-სწავლებისა და სიტყვიერების თეორიისათვის. ასე უყურებს ამ საგანს ყველა თავისუფალი ერი, რომელიც ცდილობს სწავლა-აღზრდის მოწყობას ეროვნულს ნიადაგზედ.

ჩვენში სამწუხაროდ, არა თუ საშუალო სასწავლებლებში — დასაწყის სკოლებშიაც კი აბუჩად იყო აგდებული სამშობლო ენაზედ სწავლება, მშობლიურ მწერლების ნაწარმოების კითხვა-განხილვა და მათი შესწავლა, რაც, რასაკვირველია, დიდ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ყველას ერისა და ახალთაობის წინაშე. დღეს, როდესაც გვგონია, მცირე უფლება მაინც მოგვიპოვებია მშობლიურს ენაზედ სწავლებისა, ბევრს დაებადა ის აზრი, რომ შედგენილ იქნას სახელმძღვანელო წიგნი, კრებული ჩვენის ნიჭიერ მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებისა საშუალო და საქალაქო სასწავლებლებში სახმარებლად. მოწაფე, დამტკბარი მშობლიურის პოეზიით, შეიყვარებს მას და შეიქნება მუდმივი მისი დარაჯი.

ამ აზრის განხორციელება — სკოლაში სასწავლო ქართველ მწერლების კრებულის შედგენა პირველად წილად ხვდა ბ-ნს ივ. გომელაურს. როგორც პირველი ნაბიჯი, ეს წიგნი, რასაკვირველია, არ არის უნაკლულო. თუ ბ-ნ გომელაურის „ქართველი მწერლები“ სავსებით ვერ დააკმაყოფილებს ჩვენი სკოლის მოთხოვნილებას, მისი კრებული სახალხო საკითხავად მაინც გამოდგება და შრომაც უნაყოფოდ არ ჩაითვლება.

კრებულის შემდგენელს ვერ აურჩევია საუკეთესო მასალა. მაგ. ბარათაშვილის ლექსებში პირველი ადგილი დაუთმია „სუმბული და მწირი“- სათვის, მაშინ, როდესაც მისი საუკეთესო ლექსები და პოემები „ბედი ქართლისა“ და „მერანი“ – შედევრები ბარათაშვილის პოეზიისა – სრულიად გამოტოვებულია; ილია ჭავჭავაძის თხზულებათა შორის აუღია უბრალო მოთხრობა „სარჩობელაზედ“ და არა საუკეთესო ადგილები „კაცია ადამიანიდან“ ან „გლახის ნაამბობიდან“. ვერც აკაკისათვის ურგუნებია კარგი ბედი ბ-ნს გომელაურს: თავის კრებულში მოუქცევია უფრო მდარე ლექსები და „ცოლის სიმღერა“, რომელსაც მოწაფეს არც კი წააკითხებს კარგი პედაგოგი; აკაკის ჩინებული ისტორიული პოემები, საუკეთესო ლექსები და მოთხრობები უყურადღებოდ დაუტოვებია.

ბ-ნს გომელაურს საჭიროდ დაუნახავს ჩვენის მწერლების რომელიმე ნაწარმოების სრულად, შეუმოკლებლად დასტამბვა თავისს კრებულში. ეს აუცილებელს საჭიროებას არ შეადგენს და წიგნის სიდიდეზედაც გავლენა აქვს; უკეთესი იქნებოდა საუკეთესო ადგილების სრულად დასტამბვა და თუ შინაარსის მთლიანობაა საჭირო, ზოგიერთ ადგილების შემოკლებით გადაცემა, როგორც იქცევიან ამ შემთხვევაში მსგავს სახელმძღვანელოს საუკეთესო შემდგენლები.

ვერც მწერალთა არჩევაში დავეთანხმებით კრებულის ავტორს. ა. ყაზბეგი, ვახტანგ და გრიგოლ ორბელიანები, ლომაური, დავითაშვილი, თ. რაზიკაშვილი, მამია გურიელი, ცახელი და სხვები სრულიად განდევნილნი არიან კრებულიდან.

თავისს ბოლოსიტყვაობაში ბ-ნი გომელაური სწერს: „მასალის დალაგების დროს მე ვცდილობდი წინ მომეთავსებინა მოწაფეთათვის უფრო ადვილად შესათვისებელი თხზულებანი“. საქმით კი სულ სხვასა ვხედავთ. პირველი ადგილი კრებულში უჭირავს ვაჟა ფშაველას მოთხრობებს და ლექსებს. მართალია, ვაჟა ფშაველას მოთხრობები უფრო ადვილი საკითხავი და გასაგებია, ვიდრე მისი ლექსები, მაგრამ ენის სიმარტივის მხრითაც, ლექსია თუ პროზა, აკაკის ჩვენში ბადალი არა ჰყავს. ამას თვითონ კრებულიც მოწმობს, სადაც ვაჟა ფშაველას მოთხრობებში და ლექსებში ბ-ნს გომელაურს საჭიროდ დაუნახავს მრავალ სიტყვების ახსნა და განმარტება სხოლიოებში, მაშინ, როდესაც აკაკის ნაწერებში, რომელიც კრებულშია მოთავსებული, მხოლოდ ერთი სიტყვა „ლეგენდა“ ითხოვს ახსნას.

მწერლების ნაწარმოებს კრებულში წინ უძღვის მათი სურათიც. მწერლების ბიოგრაფიის გამოცემას ავტორი შემდეგში გვპირდება.

ჩემის აზრით კი, საჭირო იყო სურათებთან ერთად მოკლე ბიოგრაფიაც მწერლებისა, საიდანაც მოწაფეები, სხვათა შორის, გაიგებდნენ იმასაც, თუ რომელ მწერალს, კიდევ, გარდა კრებულში მოყვანილისა, რა და რა თხზულება და როგორის შინაარსისა დაუწერია. მოწაფეს ყოველთვის აღეძრება სურვილი თავისთავად მოიპოვოს და წაიკითხოს რომელისამე საყვარელ მწერლის ნაწარმოები, რაც, უეჭველია, მოწაფის თვითმოქმედების გარდა მშობლიურ მწერლების თხზულებათა კითხვა-შესწავლასაც დიდად ხელს შეუწყობდა.

კრებულში მოთავსებულია მომეტებულად მოთხრობები. ცოტაა ისეთი მასალა, რომელიც ხელს უწყობს გამოთქმით კითხვის შესწავლას. მაგალითად, პოეტური ნაწარმოები ლექსად. „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგიო“ – გვასწავლის დიდებული პოეტი და მართალიც არის. ბევრი კრებულში მოყვანილი ლექსიც უვარგისია გამოთქმით კითხვის შესასწავლად.

საზოგადოდ იმისთანა კრებულის შესადგენად, როგორც არის „ქართველი მწერლები“ ი. გომელაურისა, სამშობლო ლიტერატურის საფუძვლიანად ცოდნის გარდა საჭიროა სხვა დაწინაურებულ ერის შესაფერ ლიტერატურის გაცნობაც. რუსულს პედაგოგიურს ლიტერატურაში ერთს საუკეთესო წიგნად, რომელიც ემსახურება სკოლებში მწერლების შესწავლას, არის „Родные поэты“ ვ. ოსტროგორსკისა, რომელსაც თავის წიგნში /„ Русские писатели как воспитательно образовательный материаль“/ მოყვანილი აქვს უსაჭიროესი და საბუთიანი აზრები ხსენებულ საგნის შესახებ.

დასასრულ, არ შეგვიძლიან არ შევეხოთ იმ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნას, რომელიც დასტამბული იყო გაზ. „ჩვენი ცხოვრების“ №11-ში. წერილის ავტორს ნინა მოსიძეს, ეტყობა, გომელაურის წიგნის დანიშნულებისა და პედაგოგიურ მწერლობის შესახებ ძალიან ცოტა გაეგება. რეცენზენტი აქებს გომელაურის შრომას და ადარებს „ბუნების კარს“, რომელიც თურმე „ანბანს შემდეგ ერთად ერთ საკითხავ წიგნად ითვლება ჩვენს სკოლებში“. მაშინ, როდესაც „ბუნების კარს“ სულ სხვა დანიშნულება ჰქონდა და აქვს დღესაც, ვიდრე გომელაურის „ქართველ მწერლებს“. თვითონ გომელაურს აზრადაც არა ჰქონია შეედგინა „ბუნების კარის“ მსგავსი ანუ მაგიერი სახელმძღვანელო.

არა გვგონია კრიტიკოსს მადლობა უთხრას მისგან ქებულმა გომელაურმა უაზრო შენიშვნისათვის, რაც გამოიხატება, სხვათა შორის, იმაშიაც, რომ რეცენზენტი ურჩევს ბ-ნ გომელაურს „ქართველ მწერლების“ კრებულში შეიტანოს ბუნებისმეტყველების, ისტორიის,

პოლიტიკურ ეკონომიის, სოციოლოგიის და მეცნიერების სხვა დარგები. რეცენზენტმა არ იცის, რომ ორკლასიან სკოლის უფროს განყოფილებაში, საქალაქო და საშუალო სკოლებისათვის ცალკე სახელმძღვანელოებია საჭირო და არა დომხალივით არევა მეცნიერების სხვადასხვა დარგისა „ქართველ მწერალთა“ კრებულში, რომელიც დანიშნულია საშუალო კლასებისათვის და რომელსაც სულ სხვა მიზანი აქვს. დასაწყის სკოლების სახელმძღვანელო წიგნში შესაძლებელია და საჭიროცაა შეტანილ იქმნას ელემენტარული ცნობები მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან. ამას დღესაც ავად თუ კარგად ასრულებს არსებული სახელმძღვანელო წიგნები, რომელთა შედარებითი განხილვა გომელაურის „ქართველი მწერლების“ კრებულთან სრულს უვიცობას წარმოადგენს.

მცირე შენიშვნა

/სახალხო სკოლების მასწავლებელთა საყურადღებოდ/

დაიწყო სასწავლო წელი და ბევრგან ჩვენს სახალხო სკოლებშიაც, შარშან, სწავლების შეჩერების შემდეგ, ხელახლად შეუდგნენ სწავლების საქმეს, მაგრამ როგორი იქნება ეს სწავლება, ან როგორ უნდა მოეწყოს საზოგადოდ სახალხო სკოლები ჩვენში, ამის შესახებ გადაჭრილი აზრი ჯერ არ წარმოთქმულა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ჩვენის ქვეყნის ზოგიერთ კუთხის მასწავლებელთა კრებებს და იქიდან გამოტანილს რეზოლიუციებს, რომელიც ჯერ კიდევ საზოგადო სახელმძღვანელო საგნად არ გამხდარა. სკოლის მომწყობი და მისი სულის ჩამდგმელი იგივე სკოლის მასწავლებელია, რომლის ბედ-იღბალს დღემდის მთავრობის მიერ დაყენებული მოხელეები სწყვეტავდნენ და დღესაც არ დაუკარგავთ მათ თავიანთი გავლენა და ბატონობა სკოლასა და მასწავლებელზე. მასწავლებლები ამ ბოლო დროს შეებრძოლნენ გათამამებულს ბიუროკრატიულს მოხელეებს და მოიწადინეს სკოლების გაუმჯობესება თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილების თანახმად, მაგრამ საერთო სამოქმედო პროგრამა დღემდის ჯერ მაინც ვერ შეიმუშავეს, რომ დამდეგის სამოსწავლო წლიდან ახალის პროგრამით და წესით შესდგომოდნენ სახალხო სკოლებსაც.

ამას, რასაკვირველია, დროც უნდა და ამასთან რიგიანად მოფიქრებაც, მაგრამ არის ერთი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც დიდს დროს არ ითხოვს და ამ საკითხის ასე თუ ისე გადაწყვეტაზედაც ბევრია დამოკიდებული. მე მოგახსენებთ ჩვენის სკოლებისათვის სახელმძღვანელო წიგნების არჩევის შესახებ. ზნეობრივი მოვალეობაა ყველა მასწავლებლისა ეხლავე გაბედულად გადაწყვეტილს გზას დაადგეს და აირჩიოს ისეთი სახელმძღვანელო წიგნები, რომელიც, ასე თუ ისე, უფრო აკმაყოფილებს საღს პედაგოგიურს მოთხოვნილებას. ეს საკითხი ერთგვარად შეეხება როგორც საერო, ისე სასულიერო სკოლების მასწავლებლებსაც, რადგანაც ყოველი სკოლა, რომელი ტიპისაც უნდა იყოს იგი, ერთგვარად უნდა ემსახურებოდეს ხალხის განათლებას და იმის ცხოვრების გაუმჯობესებას წინმსვლელობის გზაზედ. თუმცა-ღა პედაგოგების მიერ მოწონებულის საუკეთესო სახელმძღვანელო წიგნების არჩევა და შემოღება სკოლებში დღემდისაც ყველა მასწავლებლის საკუთარს უფლებას შეადგენდა, მაგრამ ბიუროკრატმა მოხელეებმა, რომელნიც ხალხის კანონიერს განათლებას სხვა თვალით უყურებდნენ და დღესაც უყურებენ, რათა ხალხმა არ შეიგნოს თავისი მდგომარეობა და არ გაილაშქროს მოთხოვნილებით, ეს უფლებაც გამოსტაცეს ხელიდან მასწავლებელს, ხოლო თვითონ იგი გაიხადეს ყურმოჭრილ ყმად, რომელსაც აკეთებინებდნენ ყველაფერს, რასაც კი მოისურვებდნენ. თუმცა შეიძლება ვთქვათ, რომ დღევანდელს ცხოვრებაში ერთი ნაბიჯი მაინც წავდგით წინ, მაგრამ არც ეს ნაბიჯია ისეთი მკვიდრი, რომ არ თხოულობდეს გამაგრებას და წინ წაწევას. დღესაც, როგორც სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, მთავრობის მოხელეები იწონებენ ისეთს სახელმძღვანელოებს, რომელიც გაჟღენთილია კლერიკალურის მიმართულებით, აჩეჩებენ ძალა-უნებურად მასწავლებლებს და ამით უნდათ სახალხო სკოლებში, ეს ერთადერთი კერა ხალხის განათლებისა, ჩააყენონ ისევ ძველსა და დახავსებულს კალაპოტში, რომელიც ცხოვრებამ უკვე ამორიყა და სკოლასაც ახალი მიმართულება და გზა უჩვენა.

ყველა სახალხო მასწავლებლის ზნეობრივს მოვალეობას შეადგენს ამ შემთხვევაში თავისი უფლება არავის არ დაუთმოს, დაადგეს ჭეშმარიტს გზას, აირჩიოს ახლად გამოცემულს ქართულ-რუსულს სახელმძღვანელოებში საუკეთესო მათგანი და შემოიღოს სკოლებში სახმარებლად. ამ შენიშვნაში მითითება ამა თუ იმ სახელმძღვანელოზედ მეტად მიგვაჩნია, რადგან ამას შეიძლება მიჩეჩებისა და ძალდატანების ხასიათიც ჰქონდეს, რომელიც არაფერს შემთხვევაში

არ გამოდგება. მასწავლებელიც ისე უვიცად არ მიგვიჩნევია, რომ ვერ გაარჩიოს კარგი ცუდისაგან. ამიტომ საუკეთესო იქნება თითონ მასწავლებელმა ან მასწავლებელთა კრებამ თავისთავად შეადგინოს საკუთარი აზრი ამათუიმ სახელმძღვანელოს შესახებ და იხელმძღვანელოს იმით. მიმართვა მთავრობის მოხელეებისადმი რჩევისა და ნებართვის შესახებ, თუ რომელი სახელმძღვანელო შემოიღონ, რასაც დღესაც სჩადიან ზოგიერთები, ამტკიცებს მასწავლებლის სულმოკლეობას, მისს სრულს მონობას და უკუგდებას იმ უფლებისას, რომლითაც იგი ყოველთვის უნდა სარგებლობდეს. ამისთანა მონა არა თუ მასწავლებლობის, რომელიც უნდა ზრდიდეს თავისუფალს ადამიანს, პოლიციის უბრალო მოხელეობის ღირსიც არ არის. დრო მონობისა, ბატონყმობისა უკვე გადავარდა დიდიხანია და თუ ყურმოჭრილ ყმობას შეჩვეულნი არ მოვიშლით მთავრობის მიერ დაყენებულს ბობოლებისადმი თაყვანისცემას და ფეხების ლოკვას, ისა სჯობიან ან თავი დავანებოთ იმ წმინდა სამსახურს, რომელსაც უნდა შეჰქონდეს ხალხში გამაცხოველებელი სხივი ჭეშმარიტების განათლებისა, ან მოვიქცეთ ისე, როგორც ადამიანური სინიდისი გვამხილებს და ხალხის განათლების ინტერესი მოითხოვს.

პიროვნების თავისუფლება

მოქალაქის უფლებათა შორის პიროვნების თავისუფლებას პირველი ადგილი უნდა ეჭიროს, რადგან იგი წარმოადგენს უსაჭიროესს საგანს სხვა უფლებებით სარგებლობისათვის. როგორ შეუძლიან მოქალაქეს ისარგებლოს სიტყვის, კრებისა და კავშირის თავისუფლებით, თუ რომელსამე მოხელეს, პოლიციელს თავისუფლად შეუძლიან ყველას დაპატიმრებაც და ცივი ქვეყნებისაკენ გაძევებაც თავის შეხედულობისა და გემოვნების კვალობაზე. ამიტომ ყოველგვარ თავისუფლების დროს იგულისხმება, რომ ადამიანი თავისთავად თავისუფალია და შეუძლიან ყველა თავისი უფლება ცხოვრებაში განახორციელოს და გამოიყენოს. პიროვნების თავისუფლების აზრი იმაში გამოიხატება, რომ მოქალაქე ხელუხლებელი რჩება იმ დრომდის, სანამ კანონი არ დაურღვევია; საზოგადო კანონის დარღვევა-კი მთავრობის მოხელეებს უფლებას აძლევს შეზღუდონ თავისუფლება, მაგრამ ამ შეზღუდვასაც თავისი კანონი და წესი აქვს.

კანონის ძალით, უსათუოდ უნდა ეუწყოს დასაპატიმრებელს, ვის განკარგულებით ან რა მიზეზის გამო უსპობენ მას თავისუფლებას, დაპატიმრება-კი შესაძლებელია მხოლოდ იმ დრომდის, რაც საჭიროა სასამართლოსათვის დანაშაულობის თუ უდანაშაულობის გამოსარკვევად, ე. ი. დაპატიმრება უნდა ხდებოდეს სულ მცირე ხნის განმავლობაში.

განათლებულს ქვეყნებში, სადაც თითონ ხალხი იღებს მონაწილეობას სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, პიროვნების თავისუფლება დიდად შეწყნარებულია. ისეთს სამაგალითო სახელმწიფოს, სადაც ადამიანის პიროვნება მართლა ხელუხლებელია და თავისუფლებაც დაცული, წარმოადგენს დღეს, სხვათა შორის, ინგლისი. ინგლისში ხალხი დიდხანს მედგრად ებრძოდა ხელმწიფის უფლებას, თვითმპყრობელობას, იბრძოდა თავისუფლებისათვის, მოიპოვა კიდეც და დღეს ინგლისელები სარგებლობენ სრულის თავისუფლებით. პიროვნების თავისუფლება ინგლისში უზრუნველყოფილია პიროვნების ხელშეუხებლობის კანონით /ჰაბეას კორპუს აქტ./. ამ კანონის მიხედვით, თითონ დასაპატიმრებელს და აგრეთვე ყველა მოქალაქეს, ვისაც-კი უნდა დაეხმაროს დასაპატიმრებელს, თუ დაპატიმრება უკანონოდ მიაჩნია, ნება ეძლევა მაშინვე მოითხოვოს ბრძანება, თუ ვინ ან რა მიზეზისა გამო აძლევს პატიმარს სამართალში.

საპყრობილის უფროსი პირველ მოთხოვნისათანავე ვალდებულია მისცეს პირი დაჭერის, დატუსაღების ბრძანებისა; თუ ეს არ შეასრულა, დაუყოვნებლივ იხდის ჯარიმას პირველ შემთხვევაში 1000 მანეთს, მეორე 2000 მანეთს და ბოლოს სამუდამოთ უნდა გამოეთხოვოს თანამდებობას. მოსამართლემაც დაუყოვნებლივ ბრძანება უნდა გასცეს და მოიწვიოს პატიმარი სასამართლოში. საპყრობილის უფროსი ვალდებულია მიიყვანოს პატიმარი სასამართლოში და თან წარადგინოს ცნობები, თუ რა მიზეზის გამო შეუპყრიათ და რამდენი ხანი დაუყვია საპყრობილეში. ყოველ ბოროტ-მოქმედების თავიდან ასაცილებლად ძრიელ მცირე ვადაა დანიშნული საქმის გასარჩევად. ამ ვადაზე გადახვევა და შეუსრულებლობა, როგორც კანონის ურჩობა, სასტიკ სასჯელს მოითხოვს. მსაჯული ვალდებულია გულდასმით მოუსმინოს პატიმარს, როცა მას სასამართლოში მიიყვანენ და თუ ბრალდება უსაფუძვლო აღმოჩნდა — მაშინვე გაანთავისუფლოს იგი. თუ ბრალდება მძიმეა — შეიძლება თავდებობით განთავისუფლება, ან დაბრუნება ისევ საპყრობილეში. პატიმარს არ მიიყვანენ სასამართლოში იმ შემთხვევაში, თუ მას რამე მძიმე დანა-

შაული მიუძღვის და ეს დანაშაულიც მოხსენებულია დაჭერის შესახებ გაცემულს ბრძანებაში, მაგრამ პატიმარი არც აქა რჩება უყურადღებოდ – მას ნება აქვს მოითხოვოს, რომ მისი საქმე ახლო დროში გადაეცეს ნაფიც მსაჯულებს განსახილველად. თუ მის თხოვნას არ შეიწყნარებენ – პატიმარს შეუძლიან მოითხოვოს თავდებობის ქვეშ განთავისუფლება იმ დრომდის, ვიდრე ნაფიცი მსაჯულები მოახდენენ სხდომას; თუ მაშინაც მსაჯულებმა ვერ მოასწრეს საქმის გარჩევა – პატიმარი სამართლისა და გამოძიებისაგან სრულიად განთავისუფლებული იქნება. ამნაირად, წინასწარი დაპატიმრება ინგლისში ძალიან მცირე ხანს ხდება და წარმოუდგენელიც არის და გაუგებარიც ადამიანის მთელი წლობით საპყრობილეში გამომწყვდევა და დაუმსახურებელ სასჯელის მისჯა, რადგან შეიძლება პატიმარი გამოძიების შემდეგ სრულიად გამართლებული იქმნას.

ცხოვრების ჩვეულებრივად მიმდინარეობის დროს ასეთია პიროვნების თავისუფლების დაცვა ინგლისში. არაჩვეულებრივს შემთხვევების დროს, მაგალითად, შეიარაღებულ აჯანყების დროს ხალხის წარმომადგენელთა კრებას /პარლამენტს/ შეუძლიან გამოსცეს კანონი „ჰაბეას კორპუს აქტის“ შეჩერების შესახებ განსაზღვრულს დრომდის, რამდენისამე თვის გასვლამდის, მაგრამ არც პიროვნების ხელშეუხებლობის კანონის შეჩერება ანთავისუფლებს მთავრობას და მოხელეებს პასუხისგებისაგან. ხალხის წარმომადგენელთა კრება „ჰაბეას კორპუს აქტის“ შეჩერების შემდეგ გამოსცემს ცალკე კანონს. ამ კანონის ძალით პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი ის მოხელენი, რომელთაც მოუხდენიათ უწესო დაჭერა, უცემიათ პატიმართათვის, უწვალებიათ და უკანონოდ მოპყრობიან მას. ყველა ამისთანა დანაშაულისათვის მოხელენი პასუხისმგებელნი არიან ხალხისა და იმის წარმომადგენლების წინაშე.

საინტერესოა გავიგოთ, თუ როგორ არის გამოხატული დღეს პიროვნების თავისუფლება რუსულ კანონმდებლობაში და რა ბედი ეწია მას დროს განმავლობაში.

მოქალაქის პიროვნების თავისუფლების აზრი რუსეთში პირველად დაიბადა 1861 წელს ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ. მანამდის გლეხობა სრული მონა იყო მემამულეებისა; მემამულეებიც და დანარჩენი მცხოვრებნიც შეადგენდნენ სახელმწიფო ყმებს. რაიმე თავისუფლების შესახებ კრინტის დაძვრაც- კი არ შეიძლებოდა, მთავრობის მოხელენი ხალხს ისე უყურებდნენ, როგორც რაიმე უბრალო ნივთს, სამუშაო ძალას, რომელსაც ისე ხმარობდნენ, რო-

გორც უნდოდათ. ჩვენშიაც ასე იყო. გლეხი ყურმოჭრილი ყმა იყო ბატონისა, რომელსაც შეეძლო მისი გაყიდვაც და გაჩუქებაც. ჩვენში ხშირად ისეთი შემთხვევაც ყოფილა, რომ ბატონები მეძებარშიაც-კი სცვლიდნენ თავიანთ ყმებს და სხვ.

გლეხების განთავისუფლების შემდეგ საჭირო შეიქმნა სასამართლო კანონების გადასინჯვა. ამ გადასინჯვას ნაყოფად მოჰყვა ის, რომ რუსეთში შემოიღეს ისეთი კანონმდებლობა, რომელიც მოქალაქის პიროვნებას უზრუნველჰყოფდა მოხელეებისა და პოლიციელთა თვითნებობისა და ბოროტ-მოქმედებისაგან. მაშინ გამოცემულის კანონით, რომელიც, რასაკვირველია, დღეს უარყოფილია, რუსეთის მოქალაქე პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყო მხოლოდ სასამართლოს წინაშე. ვისიმე შეპყრობა და დაპატიმრება უნდა მომხდარიყო სისხლის სამართლის წესით, ე. ი. სასამართლოს ბრძანებით და ეს ბრძანებაც განსაკუთრებულ კანონზე უნდა ყოფილიყო დამყარებული. დასჯა ვისიმე უნდა მომხდარიყო მხოლოდ სამართლის წესით და კანონის მიხედვით. მარტო დამნაშავე უნდა ყოფილიყო პასუხისმგებელი სასამართლოს წინაშე, დამნაშავის ნათესავებს და მახლობლებს არა მოეთხოვებოდათ რა, არავის შეეძლო რამე ვნება და ზარალი მიეყენებინა დამნაშავის ქონებისათვის, არც არავინ იყო ვალდებული დამნაშავის მოძებნაში შემწეობა აღმოეჩინა პოლიციისა და სასამართლოსათვის. ამ მხრით 1864 წლის კანონი სრულიად ცხადი იყო ყველასათვის და არავითარს ეჭვს არა ჰბადებდა მოქალაქეთა უფლების დარღვევაში, პირიქით, იმავე კანონში მოხსენებული იყო ის საშუალებანიც, რომლითაც შეიძლებოდა დასახელებულ კანონის სისრულეში მოყვანაც. რადგან სასამართლო კანონების შემდგენლებს სახეში ჰქონდათ ის გარემოება, რომ სასამართლო მოხელენი, რომელნიც დაჩვეულნი არიან უკანონო შეპყრობას, თავნებობას, მოქალაქეთა უფლების უკანონოდ შეზღუდვას, არაერთხელ მიმართავენ ისევ ძველს გზას, ამიტომ იმავე კანონში შეტანილ იქმნა ისეთი აზრი, რომ ყოველივე მოსამართლე და პროკურორი, რომელსაც კი ეცნობა, რომ სასამართლოს მიერ საქმის განურჩევლად რომელიმე პატიმარი უკანონოდ ზის საპყრობილეში, ვალდებული ხდება მიიღოს ზომები და გაანთავისუფლოს ამისთანა პატიმარი.

დიაღ, ამისთანა კანონი იყო გამოცემული რუსეთში ამ ორმოცის წლის წინად და ყველა მოხელეს რომ პატივისცემით დაეცვა ეს კანონი, დღეს გულის შემზარავს მოვლენას, უდანაშაულო ადამიანთა

ხოცვა-ჟლეტას და ქუჩების სისხლით მორწყვას ადგილი არ ექნებოდა ჩვენს ცხოვრებაში.

მთავრობის მოხელეებს, რასაკვირველია, არ მოსწონდათ ის კანონი, რომელიც გამოიცა ალექსანდრე II დროს, რადგან იგი ასე თუ ისე ავიწროვებდა და ლაგმავდა მოხელეთა თვითნებობას. ამიტომ გამოცემის დღიდანვე ყველა მოხელე დილიდან პატარამდე შეუდგნენ მისს გაქარწყლებას და რა ზომამდის მიიყვანეს ეს კანონი, დღეს ყველა ცხადად ჰხედავს. ცხადად დაინახავს ყველა იმასაც, რომ დღევანდელს მოხელეების ხელში, თუ ისინი თანამდებობიდან გადაყენებულნი არ იქმნენ, რაც უნდა ახალი კანონი გამოიცეს, ვერცერთი ვერ იხეირებს სასურველად.

დავუბრუნდეთ ისევ საგანს და გამოვიკვლიოთ თუ როგორ უარჰყვეს და მოსპეს მოხელეებმა 1864 წელს გამოცემული კანონები. რასაკვირველია, თავდაპირველად აშკარად გალაშქრებას ახალ კანონის წინაშე ვერავინ ჰბედავდა, რადგან არ შეიძლებოდა პირდაპირ აღიარება იმისი, რომ თვითნებობით შეპყრობა, გადასახლება და სხვა ამისთანა უწესო „წესები“ კანონის მიერ შეწყნარებული ყოფილიყოს და რუსეთის მცხოვრებნი არ საჭიროებდნენ პირადს თავისუფლებას. ეს იმას ეგვანებოდა, რომ ერთბაშად ყველა უუფლებო მონებად გაეხადოთ და ეს კი მოუხერხებელი იყო. ამიტომ მოხელენი შეუდგნენ ხსენებულ კანონის შეუმჩნევლად შესუსტებას სხვადასხვა შენიშვნებისა და დამატებების ჩართვით. თავდაპირველად, რასაკვირველია, შენიშვნა გაუკეთეს იმ მუხლს კანონისას, რომელიც ამბობს, რომ „არავის არა აქვს უფლება თავისუფლება მოუსპოს ან დასაჯოს ვინმე თავისთავად, თუ არა სამართლის გადაწყვეტილებით“. ამ მუხლს გაუკეთეს შემდეგი შენიშვნა: „კანონით დევნას არ ეხება ის ზომები, რასაც ხმარობენ პოლიციელები და მთავრობის სხვა მოხელენი დანაშაულობის გასაფრთხილებლად და მოსასპობად, რამდენადაც ამის ნება აქვს მთავრობის ხვადასხვა მოხელეს“. ამის შემდეგ ყველაფერი ისე კეთდებოდა, როგორც მოხელეებს სურდათ. კანონში გამოთქმული იყო მუხლები პიროვნების ხელშეუხლებლობის შესახებ, რომელიც ეუბნებოდა მოქალაქეს, რომ იგი არც ნივთია და არც პირუტყვი, მაგრამ იქვე ქვემოდ მიყოლებული იყო რამდენიმე შენიშვნა, რომელიც ძირიანად სპობდა კანონს და უფლებას აძლევდა პოლიციელ მოხელეებს ეპარპაშნათ ისე, როგორც სურდათ და მოეპრიანებოდათ.

შემდეგში კიდევ უარესი მოხდა. 1881 წელს მოჰკლეს ალექსანდრე II. ეხლა უფრო ფრთა შეისხეს, ისარგებლეს ამ შემთხვევით და

შეეცადნენ ახალის დებულების გამოცემას „სახელმწიფო წესწყობილებისა და საზოგადო მშვიდობიანობის დაცვის“ სათაურით. ამ დებულებით პოლიციელებს და მოხელეებს ეძლევათ სრულიად განუსაზღვრელი უფლებები; სახელმწიფოს ვერც ერთი მკვიდრი ფეხს ვერ მოიცვლიდა ერთი ადგილიდან, თუ ის არასასიამოვნო იქნებოდა რომელიმე მოხელისათვის; მეორეს მხრით ყველა მოხელე სრულად განთავისუფლდა პასუხისგებისაგან; იმისთვის, რაც უნდა ჩაედინა, არც კანონი იყო და არც სამართალი.

1881 წელს გამოცემულს ახალ დებულებას ძველი კანონი არ მოუშლია, მაგრამ მოაკლო სრული მნიშვნელობა, რადგან იგი სრულიად მიყრუებული იყო და მოხელენი ხელმძღვანელობდნენ მხოლოდ 1881 წლის კანონებით; 1864 წლის კანონები მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა განათლებულ ევროპიელთათვის დასანახვებლად, რადგან არცერთი ევროპიელი არ თანაუგრძნობდა ისეთს კანონს, რომ რუსეთის მოქალაქენი პირდაპირი მონანი გამხდარიყვნენ ბიუროკრატიულ მოხელეებისა. რუსეთის მთავრობას კი ყოველთვის ფული სჭირდებოდა და სესხსაც ევროპიელებისაგან იღებდა. ამისთვის საჭირო იყო მეზობელ ევროპისათვის თვალი აეხვია და რუსეთი თავისუფალ სახელმწიფოდ ეჩვენებინა. რას ხარჯავდა ამაში!.. მართალია, 1881 წლის კანონი დანიშნული იყო იმ დროსთვის, როცა აღმოჩნდებოდა, რომ მეამბოხენი რომელსამე ადგილას სახელმწიფოს მოქმედებას ურჩობას გაუწევდნენ, მაგრამ ისიც უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მეამბოხედ ითვლებოდა თითქმის ყველა, ვინც მთავრობის მოხელეებს თვალში არ მოსწონდა, ან სცდილობდა თავისუფლება მოეპოვებია და ადამიანად დაესახა თავისი თავი. 1881 წლის კანონი ყოველთვის მზად იყო, იმის შემოღებას წინ ვერავინ ეღობებოდა, მოხელეები როგორც სურდათ, ისე იქცეოდნენ, რადგან არ ეშინოდათ არც პასუხისგებისა და არც სასჯელისა. სხვადასხვა საგანგებო წესები /გაძლიერებული დაცვა, სამხედრო წესები და სხვ./ უნდა შემოეღოთ ექვსი თვისა ან ერთის წლის ვადით; ამით მოქალაქეს ერთი სუსტი იმედი მაინც ეძლეოდა, რომ იმის თავისუფლების შეზღუდვა მოკლე, დროებითია; მაგრამ საქმით საგანგებო წესები ჩვეულებრივ კანონად გადაიქცა.

ამნაირად, 1881 წლის კანონები, რომელიც ცვლიდა სხვა კანონებს, ჩვეულებრივ მოვლენად გახდა ყველგან. ეხლა გავიგოთ რას აძლევდა ეს კანონი რუსეთის მოქალაქეთ და მოხელეებს.

ამ კანონის მიხედვით ფრიად ადვილია ყველა მოქალაქის შეპყრობა რომელისამე ჯაშუშის დაბეზღებით და გაძევება სამშობლო

ქვეყნიდან დანაშაულობის მიზეზის გამოუკვლევლად; რომელისამე მოხელის სურვილით ან შეხედულობით გახშირდა დაპატიმრებულთა ცემა-გამათრახებაც, საპყრობილეში დატუსაღება, გაძევება და გადასახლება შორეულს ადგილებში, ხალხის ხოცვა-ჟლეტა, დახვრეტა და სხვა ზომები. 1881 წლის კანონით ყოველივე თავისუფლება მოისპო. 1881 წლის კანონებზევეა დამყარებული გაძლიერებული და უზომო წესები, რომლითაც პოლიციურ მმართველებს ნება ეძლევათ გამოსცენ თავიანთ შეხედულობით სავალდებულო დადგენილებანი და ამ დადგენილებათა დამრღვევნი დასაჯოს გამოუძიებლად და ან დააჯარიმონ. ამას გარდა ნება აქვთ აღკრძალონ ყოველივე სახალხო, საზოგადო და კერძო კრება. შეუძლიანთ სტუმრების ოჯახიდან გარეკვაზედაც უკან არ დაიხიონ; დახურონ სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებანი, აუკრძალონ ცხოვრება „საეჭვო პირებს“, დაკეტონ სასწავლებლები და სხვ. პოლიციის დაბალ მოხელეს ნება ეძლევა დაიჭიროს „საეჭვო პირები“, გაჩხრიკოს ყოველ წუთს სახლები და წაიღოს ყველა ქონება დამნაშავისა. ამას გარდა მართებლობას ნება ეძლევა მიიღოს თავის უწყებაში ქონება და ყველა შემოსავალი, რომელიც ხმარდება სადანაშაულო მიზანს, გადააყენოს თანამდებობიდან მოხელენი, დახუროს საერობო და ქალაქის კრებები, შეაჩეროს ჟურნალ-გაზეთები და სხვ. და სხვ. დასასრულ გაძლიერებულ და საგანგებო დაცვის წესების ძალით მთავრობას შეუძლიან გადასცეს პატიმარი სამხედრო-საველე სასამართლოს სიკვდილით დასასჯელად.

აი, რა გვრჩება ხელში პიროვნების თავისუფლებიდან.

ბიბლიოგრაფია

„ქართული გრამატიკა“ მ. ჯანაშვილისა

ვერ ვიტყვით, რომ ქართული ენის გრამატიკის წიგნები საზოგადოდ ცოტა მოგვეპოვებოდეს, პირიქით, იმათი რიცხვი საკმაოც არის, მაგრამ ყველას თან დაყოლილი აქვს თვალსაჩინო ნაკლულევანება, რომელიც გამოიხატება ან საგრამატიკო მასალის რიგიანად შეუმუშავებლობაში ან წარმოადგენს უცხო ენების მიბაძვით სრულს კომპილიატიურს ნაწარმოებს და მასთან შედგენილია მშრალად, როგორც ადგენდნენ ამგვარ სახელმძღვანელოებს საშუალო საუკუნეებში და ამის გამო მოკლებულიც თანამედროვე გრამატიკის სწავლების მეთოდიურს პრინციპებს. საზოგადოდ ქართული ენა ჯერ კიდევ ვერ არის გრამატიკულად ისე ღრმად და საფუძვლიანად შემუშავებული, რომ შესაძლებელი იყოს კარგის და სრულის სახელმძღვანელოს შედგენა. ამიტომ უმეტესი ნაწილი ჩვენებური გრამატიკებისა უფრო ნედლს მასალას წარმოადგენს, ვიდრე საფუძვლიანად დაწერილს სახელმძღვანელო წიგნებს.

ბ-ნ მ. ჯანაშვილის გრამატიკა განირჩევა სხვა ამ გვარის სახელმძღვანელოებისაგან იმით, რომ მას ქართულ ენასთან შეუფარდებია მეგრულ-სვანური კილოკავები და მასალაც ამ მხრით აქვს განხილული. სკოლებში სახმარებლად ეს ნაშრომი ბ-ნის ჯანაშვილისა ვერ წარმოადგენს უნაკლო სახელმძღვანელოს, მაგრამ მეორეს მხრით როგორც დიდის ხნის დაკვირვებისა და ქართული ენის ალღოს შესწავლის ნაყოფი, მეცნიერულ მხრით ბ-ნ ჯანაშვილის ახალი გრამატიკა ყველასთვის საინტერესო და ბევრში საგულისხმო ნაშრომს წარმოადგენს. ჩვენში არა თუ რუსები, რომელნიც მუდამ სცდილობდნენ სამეგრელო-სვანეთის საქართველოდან ჩამოშორებას და მიზეზად ენის ვითომდა სხვა და სხვაობას ასახელებდნენ, თვით ქართველ მეცნიერ პროფესორებსაც-კი მეგრული ენა განცალკევებულ ენად მიაჩნდათ. მართალია, დღეს არცერთი ჩვენებური მეცნიერი, რომელსაც შეუგნია ქართული ენისა და იმის კილოკავების ალღო, არ გაიმეორებს ცნობილ პროფესორის ჩუბინაშვილის აზრს მეგრელებისა და სვანების არაქართველობაზე, მაგრამ არცერთს ჩვენს მეცნიერს ლღემდის საფუძვლიანად არ განუხილავს, თუ რამდენად

დაახლოვებულია მეგრულ-სვანური კილოკავები ქართულს ენასთან და მის გრამატიკულ ფორმებთან.

ეტყობა ბ-ნს ჯანაშვილს ხანგრძლივი შრომა მიუძღვის ამ საგნის გამოკვლევაში და ამ მხრით მისი ნაშრომი და პირველი ცდა დიდად საინტერესო უნდა იყოს ყველა ქართველისათვის. ქართული ენის მცოდნემ უნდა იცოდეს ამ ენის სხვადასხვა კილოკავებიც, რადგან ეს კილოკავები ერთის მხრით ენის სიმდიდრესაც შეადგენენ, რაც ხშირად ქართულს ენას აკლია – ის შეივსება ადგილობრივის კილოკავებიდან და ენაც ყოველის მხრით მდიდარი ხდება.

ბ-ნ ჯანაშვილის გრამატიკა შეიცავს ეთიმოლოგიას, სინტაქსის დამატებას პერიოდზე და ლექსთა წყობაზე. გრამატიკაში ზოგი ორიგინალური აზრიც არის წარმოთქმული, რომლითაც მისი წიგნი განირჩევა სხვა გრამატიკის წიგნებისაგან. მაგალითად, ბ-ნ ჯანაშვილის გრამატიკაში მოთხრობითი ბრუნვა, რომელიც ყველა ჩვენს გრამატიკოსებს აქვს მოყვანილი როგორც ცალკე ბრუნვა, არ ასრულებს, ამისი ადგილი უჭირავს სახელობითს მეორე ბრუნვას ნაცვალსახელით მან – კაცმან, ვარდმან და სხვ.; განსაკუთრებული საგულისხმიერო მოსაზრებას ამ ცვლილებაში ჩვენ ვერ ვხედავთ; ვერ ვეთანხმებით აგრეთვე ავტორს იმაში, რომ ვითომ ქართულ ენას უყვარდეს ხმარება სიტყვებისა: დანები, ძმანები, ძმებისა და დების მაგიერ. ეს გადამახინჯებული ქართულია ორნაირის დაბოლოვებით მრავლობითს რიცხვში, რომელსაც გაიგონებთ მხოლოდ იმერეთში, სამეგრელოს საზღვარზე და არც შეიძლება კანონიერად მივიღოთ.

ქართულ ენაში სინტაქსი უფრო ძნელი საგანია, ვიდრე ეთიმოლოგია. ამიტომაც ძველი გრამატიკოსები გვერდს უხვევდნენ ამ საგანს. ბ-ნს ჯანაშვილს-კი არც ეს საგანი დაუტოვებია უყურადღებოდ, მაგრამ სწავლების მხრით სინტაქსი, თუ მისი სწავლება კონცენტრიულს წესზეა დალაგებული, უფრო ადვილს მასალას წარმოადგენს ვიდრე ეთიმოლოგია; მხოლოდ ბ-ნი ჯანაშვილი ზოგიერთს ადგილას თვითონვე არღვევს ქართული ენის სინტაქსის წესს. მაგ.: „სიტყვათა წინადადებაში განწყობილების სწავლებას ჰქვიან სინტაქსი მარტივ წინადადებისა“/გვ. 134/. ამ წინადადებაში არც სინტაქსის წესია დაცული და არც ლოგიკური აზრი, რადგან სინტაქსი გვასწავლის, სხვათა შორის, სიტყვათა განწყობილებას წინადადებაში და ეს უკანასკნელი მარტივიც არის, რთულიც და სხვანაირიც.

მიუხედავად ზოგიერთის ნაკლულევანებისა, რომელიც მარტო ამ ნაშრომში არ შეინიშნება, ჩემის აზრით, ახლად გამოცემული გრა-

მატიკა ბ-ნის ჯანაშვილისა ღირსია ყურადღებისა; იგი წარმოადგენს რიგიანს მასალას, რომლის გაცნობა და შესწავლა სასურველად მიგვაჩნია ყველა სამშობლო ენის მოყვარულ ქართველისთვის და უფრო ქართულის ენის მასწავლებლისთვის, რომელსაც შეუძლიან ბ-ნ ჯანაშვილის ნაშრომი, როგორც დაკვირვებულის და მცოდნე ადამიანისა, საქმეში სასარგებლოდ გამოიყენოს.

მცირე შენიშვნა

/ჟურნალ „ნაკადულის“ შესახებ/

გვიდგება ისეთი დრო, რომ დღემდის აბუჩად აგდებულს, ყველგან გაძევებულ სამშობლო ენას ცოტად თუ ბევრად დარი უდგება – სკოლებში სწავლება დედა ენაზე მოეწყობა, სახელმძღვანელოებიც გვექნება, მაგრამ მარტოდ-მარტო სკოლებში დედა-ენაზე სწავლება საკმაო არ არის – საჭიროა სკოლის გარეთ კითხვაც დრო-გამოშვებით გამოცემებისა, საბავშვო ჟურნალებისა და შესაფერისი წიგნაკებისა, მაგრამ გვაქვს კი საბავშვო წიგნაკები? ძალიან მცირე და რაცა გვაქვს, ისიც ბურუსით არის მოცული, არ არის გარჩეული, კრიტიკის ჯანდრაკში გატარებული და არც ვიცით თუ რა მივაწოდოთ ბავშვებს საკითხავად, რომ კითხვაში რამე თანდათანობა და სისტემა შევიტანოთ, დავაჩვიოთ ბავშვები თანდათან ქართულ წიგნების კითხვას, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ბავშვის გონების განვითარებისათვის. დიაღ, არა სანუგეშოა ამ მხრით ჩვენი და ჩვენი ბავშვების მდგომარეობა!

დღეს სანუგეშოდ ერთად-ერთი საბავშვო ჟურნალი „ნაკადული“ მაინც მოგვეპოვება, რომელიც გამომცემლის მეოხებით სასურველ გზას ადგას ჩვენში და ხელმძღვანელობას უწევს ჩვენს ბავშვებს შესაფერ საკითხავ მასალის მიწოდებაში, მაგრამ მიუხედავად ხსენებულ ჟურნალის მრავალ ღირსებისა, „ნაკადული“ ჯერ კიდევ იმდენად არ არის გავრცელებული ჩვენში, რომ ყოველს სკოლას და ცოტად თუ ბევრად მაინც შეძლებულ ოჯახს აუცილებელ საჭიროებად დაესახა ჟურნალის დაბარება, რითაც დიდად ხელს შეუწყობდნენ ჩვენს ბავშვებს.

მომავლის წლიდან რედაქცია გვპირდება ჟურნალის გაუმჯობესებას, რაც ნათლად სჩანს გამოსულის განცხადებიდან, რომელშიაც ნაჩვენებია ჟურნალის სრული პროგრამა სხვადასხვა დამატებით და შევსებით, რომელიც საბავშვო ჟურნალს აძლევს ნამდვილ ჟურნალის ელფერს. რადგან „ნაკადულის“ რედაქცია თავისს დანაპირებს ხელის მომწერთა წინაშე ყოველთვის პირნათლად ასრულებდა, სრული იმედი უნდა გვქონდეს, რომ მომავალს წლიდანაც ღირსეულად შეასრულებს თავისს დანაპირებს. ხელისმომწერლებს 1907 წლიდან მიეცემათ 24 წიგნი ჟურნალ „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის, 12 წიგნი მოზრდილთათვის და სამი საყმაწვილო დასურათებული წიგნი არანაკლებ 100-ის გვერდისა, თითო სულ 39 წიგნი 5 მანეთად, რომელიც ჩვენში ფრიად ხელმისაწვდომ ფასად უნდა ჩაითვალოს ამისთანა გამოცემისათვის. იმედია, რომ ჩვენი საზოგადოება, სკოლები და ოჯახები თავის მხრითაც აღმოუჩენენ თანაგრძნობას ამ ღირსეულს საბავშვო ჟურნალს და მით ხელს შეუწყობენ ჩვენში მშობლიურ ენის გაძლიერებას სკოლებსა და ოჯახებში.

ჟურნალი „ნაკადული“ და ჩვენი საბავშვო მწერლობა

/კრიტიკული შენიშვნა/

მეორე წელიწადია, რაც ჩვენს ღარიბს საყმაწვილო ლიტერატურას შეემატა ერთი, შედარებით საუკეთესო გამოცემა, ჟურნალი „ნაკადული“, რომლის შესახებაც დღემდის ჩვენს მწერლობაში კრინტი არავის დაუძრავს, არ უხსენებია არც ავად და არც კარგად. ჩემის აზრით კი, ხსენებული ჟურნალი ღირსია ყურადღებისა, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ზოგიერთ ნაკლულევანების თავიდან აცილების შემდეგ, „ნაკადული“ შეიქმნება საუკეთესო ჟურნალად უცხო გამოცემათა შორისაც, თუმცა-ღა დღესაც საკმაო ღირსება აქვს, რომლითაც იგი განსხვავდება ბევრის იმავე მიზნის მიმდევარ გამოცემათაგან.

საუკეთესო ღირსებას „ნაკადულისას“ დღესაც შეადგენს კარგად და ბლომად დასურათხატება, კარგი ქაღალდი, ბევრი შინაარსიანი წერილები, როგორც ბელეტრისტიული, ისე სამეცნიეროც და სხვ; სა-

ზოგადოდ ხელოვნურად კარგი გამოცემაა, რომელზედაც ეჭვი არა გვაქვს, გამომცემელი ცოტას არა ჰხარჯავს, რადგან ჯერჯერობით ჩვენში საეჭვოა, რომ ამისთანა გამოცემაზე გაწეული ხარჯი დაჰფაროს ხელის მომწერთაგან აღებულმა შემოსავალმა.

ჩვენ ვხედავთ, რომ ჟურნალ „ნაკადულში“ თავი მოუყრიათ ჩვენს საუკეთესო მწერლებსაც, რაც უტყუარი ნიშანია იმისი, რომ ყველანი მოწადინებულნი არიან შეძლებისდაგვარად ხელი შეუწყონ საბავშვო მწერლობას და დააყენონ იგი სასურველს ნიადაგზე. უმეტესი რიცხვი საკითხავ მასალებისა ერთსა და იმავე ნომერში თავდება. მაშასადამე, მთელი შინაარსი წაკითხულისა ერთსა და იმავე დროს სწვდება ბავშვის სულსა და გულს და ახდენს მთელს შთაბეჭდილებას.

ამასთან, როგორც მკითხველებმა იციან, ჟურნალი „ნაკადული“ გამოდის ორს გამოცემად პედაგოგიურის ფურცლის დამატებით. ერთი გამოცემა დანიშნულია მცირე წლოვანთათვის, ხოლო მეორე უფრო მოზრდილთათვის. რასაკვირველია, ამ გამოცემათაც თავისი აზრი და დანიშნულება აქვს. რასაც 13-14 წლის ყმაწვილი ადვილად შეიგნებს და მიხვდება, ის 7-8 წლის ბავშვის გონებისათვის ხშირად მიუწვდომელია. ამიტომ ცხადია, როგორც წლოვანება-განვითარებაშია განსხვავება, ისეთივე განსხვავება უნდა იყოს სულიერ საზრდოს მიწოდებაშიაც, როცა ერთსა და იმავე ჟურნალში არეულად იბეჭდება მასალა სხვადასხვა წლოვანების მიხედვით, ამას, სარგებლობის ნაცვლად, ბევრს შემთხვევაში ვნების მოტანაც შეუძლიან. ბავშვი საბავშვო ჟურნალს თავისთავად, დამოუკიდებლად უნდა კითხულობდეს და ყველა დასტამბული მასალაც არ უნდა აღემატებოდეს იმის სულიერს ძალას. ხშირად მოხდება რომ პატარა მკითხველი ჟურნალში წააწყდება ისეთს მასალას, რომლის გაგებაც საძნელოა მისთვის, რადგან ეს მასალა ვერ შეეფარდება მისს ნორჩს გონებას. ამისთანა შემთხვევაში იგი ორიოდე სტრიქონის წაკითხვის შემდეგ გულს იყრის კითხვაზე და ჟურნალიც წაკითხვის ხალისს მოკლებული ხდება, პატარა მკითხველი ვერ შეიყვარებს მას და კითხვაზედაც გულს აიცრუვებს, მაშასადამე, ამისთანა ჟურნალი ბავშვის მეგობარი ვერ გახდება და ვერც ბავშვი მიეგებება სიხარულის მოლოდინით შემდეგს ნომრებს.

გარდა ამისა წლიური ხელის მოსაწერი 5 მანეთი „ნაკადულის“ ყველა გამოცემისათვის დიდს ფასს არ შეადგენს და ამასთან მშობლებსაც შეღავათი ეძლევათ დაიბარონ ის ჟურნალი, რომელიც უფრო შეეფერება თავიანთ შვილების წლოვანება-განვითარებას.

„ნაკადულის“ გამომცემელის სასახელოდ უნდა ვსთქვათ ისიც, რომ მიუხედავად ბევრ გვარის დაბრკოლებისა და ხშირ არეულობისა, დღემდის პირნათლად ასრულებს თავისს მოვალეობას მკითხველთან და ხელისმომწერლებთან.

ჩვენს საბავშვო მწერლობას თან დაყოლილი აქვს თვალსაჩინო ნაკლულევანებაც, რომელსაც ვერ ასცდა ვერც ახალი საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“. ეს ნაკლულევანება არ შეადგენს განკერძოვებულს თვისებას არც ახალ ჟურნალის რედაქციისას და არც „ნაკადულის“ გამომცემლისას, რომელიც, პირიქით, არაფერს ჰზოგავს, რომ ეს გამოცემა ნამდვილი მეგობარი გახდეს ქართველ ბავშვებისათვის. ნაკლულევანების მიზეზი უნდა ვეძიოთ თვით ჩვენს მწერლობასა და საზოგადოებაში, სადაც გამეფებულია უაზრო შეხედულობა საბავშვო ჟურნალის შესახებ. ჩვენში და რუსეთშიაც ბევრსა სწამს, რომ საბავშვო ჟურნალი საზოგადოდ მიღებულ განყოფილებასთან ერთად უნდა წარმოადგენდეს ცოტად თუ ბევრად საინტერესო სტატიების კრებულს ან ქრესტომატიას. სწორედ ამისთანა აზრი იყო გატარებული ერთს შენიშვნაში, რომელიც დასტამბული იყო გაზეთ „ივერიაში“ იმ დროს, როცა „ნაკადული“-ს გამოცემის შესახებ მხოლოდ აზრი იყო და ჟურნალი კი ჯერ არ დაბადებულიყო. მაგრამ ამისთანა შეხედულება საბავშვო ჟურნალსა და იმის დანიშნულებაზე ფრიად ვიწროა. იმისთანა მიმართულების ჟურნალი, რომელშიაც არეულია საკითხავი მასალა, ვერაოდეს ვერ მიაღწევს დანიშნულებას და მიზანს სასურველად. საბავშვო ჟურნალის დანიშნულება უფრო სერიოზული და ფართოა, ამიტომ იმის კარგად წარმოება-შესრულება ადვილი არ არის. არა კმარა, რომ საბავშვო ჟურნალი აწვდიდეს მკითხველებს შემთხვევითის სტატიების კრებულიდან ცოდნის ნაწყვეტებს, სრულიად უკავშირო ცოდნას, რომლის დროსაც მკითხველი სრულიად უმნიშვნელოდ გადახტის ერთის საგნიდან მეორეზედ. არა. საყმაწვილო ჟურნალს აუცილებლად უნდა ჰქონდეს წინდაწინვე შემუშავებული ყველასათვის ცხადი პროგრამა და ამ პროგრამის მიხედვით სამეცნიერო წერილებიც ისეთს სისტემაზედ უნდა იბეჭდებოდეს, რომ ყველა საკითხავ მასალას ერთმანეთში საერთო საზოგადო კავშირი ჰქონდეს. თავის ხელმძღვანელობით საბავშვო ჟურნალმა უნდა გაუნათლოს მკითხველს შეგნება. ამ საერთო ხელმძღვანელობითს აზრს ჩვენ ვერ ვამჩნევთ ჩვენებურ საბავშვო ლიტერატურაში და ვერც ჟურნალ „ნაკადულში“. თითოეული სტატია შეიძლება თავისთავად კარგი იყოს, მაგრამ მიზანი, თუ

რისთვის არის იგი დასტამბული ან რა კავშირი აქვს სხვა საკითხავ მასალასთან, ეს ჟურნალიდან არა სჩანს. მთელის წლის ჟურნალი რომ გადასინჯოთ, სრული უფლება გაქვს მოითხოვო, რომ ცოტათ თუ ბევრათ შესრულებულ იქნას საზოგადო ცოდნის ფარგალი, რომელიც საბავშვო ჟურნალს წინდაწინვე დაუსახავს შესასრულებლად. მაგრამ ამ წინდაწინვე შემუშავებულ პროგრამას ვერსად ვერ ვხედავთ ჩვენს საყმაწვილო მწერლობაში. რომელსამე წერილის დასტამბვა ჟურნალში მოითხოვს საზოგადო მიზანს; სასურველია, რომ ერთი წერილი შეადგენდეს მეორის დამატებას და ჰქონდეს მასთან რაიმე კავშირი. ამ წესის დაცვით არც სამეცნიერო ცნობები წარმოადგენს მკითხველის გონებაში ცოდნის ნაწყვეტებს, უკავშირო ფაქტებს და სხვადასხვა შემთხვევითს ცნობებს, რომელსაც შეუძლიან მკითხველის მეხსიერების დასუსტება. ამისთანა უკავშირო საკითხავი მასალა ხშირად მეტ ბარგად ხდება და ძნელი გამოსაყენებელიც არის. საღის პედაგოგიურის თვალით რომ შევხედოთ საგანს, თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ნაწყვეტ-ნაწყვეტი, უკავშირო ცნობები უფრო უჩლუნგებს მკითხველს ნიჭიერებას.

სულ სხვაა, როცა სამეცნიერო წერილების დასტამბვის დროს ადგანან რომელიმე სისტემას, როცა თითოეული სტატია წარმოადგენს განკერძოვებულს, შემთხვევითს მასალას. ამისთანა სისტემის დაცვით საზოგადო სამეცნიერო ხასიათის სტატიებიც უფრო საინტერესო ხდება მკითხველებისათვის, რადგან იგი არ იქნება სხვა სტატიებიდან განცალკევებული, ამასთან არც ვიწრო სპეციალური, მხოლოდ სამეცნიერო, არამედ იმაში შევა საზოგადოებრივი, ეკონომიური და, თუ გნებავთ, პუბლიცისტური ელემენტებიც. ამ წესზედ შემუშავებულს სტატიებს ექნება არამარტო საზოგადო განათლების ხასიათი, არამედ მორალური მნიშვნელობაც, რომელიც ნათელს მოჰფენს ცხოვრების მოვლენათა მთელს რიგს.

მართალია, ჩვენი საბავშვო ლიტერატურა ჯერ კიდევ ნორჩია და, მაშასადამე, შეიძლება ბევრ ღირსებასაც მოკლებული იყოს, მაგრამ ჩვენ ვამჩნევთ, რომ ამ დიდმნიშვნელოვან საქმისათვის თავს იყრიან ერთად ჩვენი მწერალ-პედაგოგებიც და შეერთებულის ძალ-ღონით სცდილობენ საბავშვო მწერლობის აყვავებას ჩვენში. მხოლოდ ყველა ამათ აკლიათ საზოგადო სახელმძღვანელო და წინდაწინ მოსაზრებული პროგრამა, რომლის შედგენა და გამოქვეყნება წლის დასაწყისშივე სავალდებულოა საბავშვო ჟურნალების რედაქციისათვის; საჭიროა წლის დასაწყისში გამოცხადებულ იქმნას გარკვეული

პროგრამა, თუ რის მიცემა შეუძლიან მკითხველთათვის ჟურნალს წლის განმავლობაში და ამ პროგრამის მიხედვით უნდა მზადდებოდეს დასაბეჭდი მასალაც. სისტემა, რომლის შესახებაც ზემოთ ვამბობდით, ძნელი არ არის. საჭიროა მხოლოდ დანიშნულს დროს განმავლობაში რამდენსამე ნომერში ადგილი დაეთმოს განსაზღვრულ მიზნის შესრულებას: მაგალითად, მიზანია გააცნოთ პატარა მკითხველებს ადამიანის მოძრაობა, გადასვლა ერთი ადგილიდან მეორეზედ ძველ დროში და ეხლა აქ, რასაკვირველია შეეხებით იმ ცხოველებს, რომელნიც შველოდნენ და შველიან ადამიანებს მგზავრობაში და იმასაც, რაც ცხოველების ძალის მაგიერობას ეწევა; შეეხებით რკინის გზებსაც, გემებსაც და დაასრულებთ ჰაეროსტატით. რასაკვირველია, სტატიები კი არ უნდა იბეჭდებოდეს წლის განმავლობაში ამ სათაურით, არამედ ყველა სტატიაში უნდა მოიპოვებოდეს პასუხი ამ საკითხზედ და განხილულ იქმნას იგი ყოველ მხრივ. ამ სისტემის დაცვით მკითხველის თავში არეულობა არ მოხდება და სამეცნიერო ცნობებიც არ შეადგენენ ნაწყვეტ-ნაწყვეტებს, უკავშირო ფაქტებს.

ეხლა უნდა შევეხოთ იმ საკითხს, თუ როგორ უნდა შემუშავდეს საზოგადოდ სამეცნიერო შინაარსის წერილები. ბევრსა ჰგონია ჩვენში, რომ ეს ადვილი საქმეა. ამისათვის წერა-კითხვის ცოდნისა და სპეციალურ სამეცნიერო წიგნებიდან მზამზარეულ მასალის ამოკრების გარდა არაფერია საჭირო. მაგრამ ეს შემცდარი აზრია. თუ ბელეტრისტიულ ნაწარმოებისათვის საჭიროა ნიჭი, სამეცნიერო წერილებიც არანაკლებ ნიჭს ითხოვს. მზა-მზარეულ მასალების შემუშავებაც და ადვილად გადაცემა პატარა მკითხველებისათვის ადვილი არ არის და ყველას ვერ ეხერხება. საბავშვო ჟურნალი სახელმძღვანელო წიგნი არ არის. იმისი კითხვა სრულებით არა ჰგავს გაკვეთილების დასწავლას; საყმაწვილო ჟურნალების კითხვით პატარა და მოზრდილი მკითხველები უნდა გრძნობდნენ მოსვენებას, მაშასადამე, სამეცნიერო ხასიათის წერილები საბავშვო ჟურნალებში ბევრად უნდა განსხვავდებოდეს იმ მშრალ მასალისაგან, რომელიც მოქცეულია სახელმძღვანელო წიგნებში. ამიტომ ცოტა ნიჭი არ არის საჭირო, რომ მშრალი მასალა საინტერესო გახდეს პატარა მკითხველებისათვის. სიმართლე რომ ვთქვათ და საღი კრიტიკის თვალით შევხედოთ საგანს, სამეცნიერო წერილები, ისტორიულია იგი თუ საბუნებისმეტყველო, რომელიც სავსებით უნდა აკმაყოფილებდეს საბავშვო ჟურნალის დანიშნულებას შემუშავების მხრივ, „ნაკადულშიაც“ ცოტაა, ვიდრე ბელეტრისტიული, თუმცაღა საზოგადოდ სა-

მეცნიერო წერილებს ჟურნალში ბლომა ადგილი აქვს დათმობილი. სხვათა შორის ერთადერთი წერილი, რომელიც სრულად აკმაყოფილებს ჩვენს ზემო მოყვანილს მოსაზრებას, არის „ქათმის საიდუმლოებანი“, რომლის ავტორს, როგორც ეტყობა, ყველაზე კარგად ესმის როგორც საბავშვო ჟურნალის მიზანი და დანიშნულება, ისე მოზრდილ მკითხველის პსიხოლოგიაც. ავიღოთ მაგალითად საბუნებისმეტყველო წერილები – „საუბარი მცენარეთა ყოფა-ცხოვრებაზე“, რომელიც იბეჭდებოდა წარსულის წლის „ნაკადულის“ ნომრებში. ამ წერილებში აუარებელი ცნობებია მოქცეული მცენარეთა შესახებ, მაგრამ მოთხრობილია ისეთის დოგმატიურის კილოთი, რომ მკითხველს ძლიერ გაუჭირდება მისი მონელება, მით უმეტეს, რომ ხსენებულს წერილებში ხშირად შეხვდებით შემდეგ ფრაზებს: „ეს ასეა, ეს კარგად დავიხსომოთ, ნახშირმჟავას გაზს შემდეგ წერილში გაგაცნობთ“ და სხვ. ეს ვთქვათ ყველა კარგი, მაგრამ სად არის აქ ბავშვის თვითმოქმედება? არსად. იგი დახშული და დამონავებული ჰხდება წიგნურის დოგმატიურ კილოზე ნაწერით. ამ ბოლო ხანებში თვით სახელმძღვანელო წიგნებიდანაც განდევნილია ეს მეთოდი მეცნიერების შესწავლისა, რომელიც უხშობს მოწაფეს თვით-მოქმედების ნიჭს, მით უფრო საჭიროა განიდევნოს იგი საყმაწვილო ჟურნალებიდან და დამყარდეს უფრო კონკრეტული, თვალსაჩინო მეთოდი საგნის შესწავლისა, რომელიც ხელს უწყობს თავისთავად დამოუკიდებლად დაკვირვებას და ბუნების შესწავლას.

რაც საბუნებისმეტყველო საგნების შესახებ ვსთქვით, იგივე უნდა ვსთქვათ ისტორიულ წერილების შესახებაც, რომელიც „ნაკადულში“ არაფრით არ განირჩევა მშრალ მასალაზე მეხსიერების მექანიკურად ვარჯიშობისაგან. ისტორიული წერილებიც ისე ისტამბება „ნაკადულში“, როგორც ითხოვდა ძველი მეთოდი, სხვადასხვა ცირკულიარზე დამყარებული. ამჟამად საფრანგეთში დიდი ცვლილებაა მეთოდების შესახებ. ისტორიაც არ ასცდა ამ ცვლილებას. შარშან საფრანგეთში გამოიცა ერთი წიგნი შემდეგის სათაურით: „Histoir de La France et de sa civilisation por Z. E. Rogie et P. Despiques“. ეს როჟისა და დე-პიკის წიგნი ახალს სხივებს ჰფენს ისტორიის სწავლებისა და ისტორიულ წერილების შემუშავების შესახებ ახალს მეთოდზედ და კარგად დაფასებულიც არის მწერლობაში. კარგს იზამს ბ-ნი დ. კარიჭაშვილი, რომელსაც კარგად ესმის ფრანგულ ენასთან ჩვენი წარსული დროც და რომელიც აწარმოებს „ნაკადულში“ ისტორიულს ნაწილს, თუ გაიცნობს ხსენებულს როჟისა და დე-პიკის წიგნაკს, საიდანაც

ნათლად გამოსჩანს თანამედროვე მეთოდი ისტორიულ წერილების შემუშავებისა და ამ მეთოდის მიხედვით შეიმუშავებს საქართველოს საისტორიო მასალებს ისე, როგორც სასურველია არა სახელმძღვანელო წიგნისათვის, არამედ საყმაწვილო ჟურნალისათვის.

ჟურნალი „ნაკადული“ მოკლებულია აგრეთვე ბევრს საჭირო განყოფილებასაც. მაგალითად, ვერც ერთს ნომერში ვერ ვიპოვნეთ ისეთი წერილები, რომელიც ეხებოდეს სამშობლო ქვეყნის აწერილობას, ჰიგიენას, ბევრს სხვა საკითხს ერის თანამედროვე ყოფა-ცხოვრების შესახებ, სამშობლო ქვეყნისა და უცხოეთის ქრონიკას, ისეთს შემთხვევებსა და ფაქტებს, რომელიც სასარგებლოც არის და მასთან საინტერესოც მოზდილ მკითხველებისათვის — სალიტერატურო საუბრებს, საჩვენებელ გვერდს, საიდანაც ბავშვი მიიღებს რჩევა-დარიგებას იმის შესახებ, თუ რომელი ჟურნალისა, სტატიისა ან წიგნის წაკითხვა იქნება სასურველი ერთის თვის განმავლობაში და სხვ.

ჟურნალ „ნაკადულს“, როგორც ზევით მოვიხსენიეთ ორ თვეში ერთხელ მოჰყვება „პედაგოგიური ფურცელიც“. ამ გამოცემას, რომელიც, ჩვენის აზრით, ვერ არის სასურველად დაყენებული, ვეცდებით შემდეგში ვუძღვნათ ცალკე წერილი და განვმარტოთ, თუ რა დანიშნულებას უნდა ასრულებდეს იგი და რაგვარის სისტემით და პროგრამით უნდა გამოდიოდეს დროგამოშვებით.

დასასრულ, დარწმუნებული ვარ, რომ თუ „ნაკადულის“ რედაქცია და ჩვენი მწერლები უარს არა ჰყოფენ რაიმე სისტემის შეტანას და პროგრამის შემუშავებას შეერთებულის ძალ-ღონით და არ აღიარებენ საბავშვო ჟურნალს მხოლოდ საინტერესო მოთხრობათა კრებულად, ქრესტომატიად, ისეთის გამომცემლის ხელში, როგორიც ბ-ნი თუმანიშვილია, „ნაკადული“ მომავალში გადაიქცევა საყვარელ ჟურნალად ჩვენის მოზარდ-თაობისათვის, თუმცა-ღა, ვიმეორებ, დღესაც შედარებით საუკეთესო გამოცემაა.

სრულიად რუსეთის კავშირი მასწავლებელთა და სახალხო განათლების მომხრეთა

სახალხო მასწავლებლის მოქმედებას რომ საზოგადოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს ყველასათვის ყოველ ეჭვს გარეშე უნდა იყოს, მაგრამ უეჭველია ისიც, რომ რამდენადაც ეს მოქმედება შეერთებულ-შეკავშირებულია, იმდენად ქვეყნისათვის უფრო ნაყოფიერია და სასარგებლო. ამ საანბანო ჭეშმარიტების დარღვევამ და ბიუროკ-რატიულ მთავრობის ძალმომრეობამ დასცა ჩვენში ხალხთა განათ-ლების საქმეც და დააყენა იგი უკუღმართს, გადაბირების გზაზედ. ვიმოქმედოთ შეერთებულის ძალღონით, შევიმუშაოთ საზოგადო სამოქმედო პროგრამმაო, გაიძახოდნენ თითო ოროლა გულშემატ-კივარნი ჩვენის ხალხის განათლებისა და იწვევდნენ საერთო სა-მუშაოდ სახალხო მასწავლებლებს, მაგრამ ეს თითო-ოროლა ამო-ძახილი არავის ყურსა და გულს არა ჰხვდებოდა და ისე უნაყოფოდ იფანტებოდა ჰაერში.

დღეს ვხედავთ, რომ განმანთავისუფლებელმა მოძრაობამ ჩვე-ნებური მასწავლებლებიც აამოძრავა, მათაც ცხადად დაინახეს, თუ რამდენი ვნება მოაქვს ხალხისათვის გაბატონებულს უკუღმართს წესწყობილებას, ხალხის სულის შემხუთავს ძალებს და ზოგი მათგანი გაერია მებრძოლთა რაზმში და ზოგიც მეთაურობს საქმეს, რომ ხალ-ხთან ერთად მოიპოვოს ის თავისუფლება, რომელიც როგორც ჰაერი, ისეა საჭირო ყველა ადამიანისათვის. ასეც უნდა ყოფილიყო. ყველა მასწავლებელი, რომელიც წმინდის გულით ემსახურება ხალხს და იცავს იმის ინტერესებს, ზნეობრივად ვალდებული იყო, როგორც უფრო შეგნებული ადამიანი, ამ მოძრაობაში მეთაურობა გაეწია, ხალხის მეგობარი გამხდარიყო და სიბნელიდან ხალხი სინათლის გზაზედ დაეყენებინა. რასაკვირველია, ბრძოლა ჯერ გათავებული არ არის, პირიქით, ჯერ კიდევ ბევრია ბრძოლით მოსაპოვებელი და ესეც რომ არ იყოს, სადაც სიცოცხლეა – ბრძოლაც მუდმივია. მხოლოდ ამ საზოგადო ბრძოლაში გამარჯვება იმათ ჰხვდება წილად, ვის ბანაკ-შიაც მებრძოლთ შორის მეტი ერთობა და სიმტკიცეა.

უცხო ქვეყნის, გერმანიის მასწავლებელთა კავშირის ისტორია, მისი თავგადასავალი 75 წლის განმავლობაში, ნათლად გვიმტკი-ცებს, თუ რამდენი თავგანწირული ბრძოლა, სიმტკიცე და ერთობაა

საჭირო იმისათვის, რომ ხალხის განათლების საქმე სასურველს და ნაყოფიერს ნიადაგზედ დამყარდეს, მოეწყოს და წარიმართოს ხალხის საზოგადო სასარგებლოდ და არა გაბატონებულ კლასებისა და ბიუროკრატიულ მთავრობის ინტერესების დასაცველად; იმ მთავრობისა, რომელიც განსაკუთრებით ჩვენში კრიჭაში უდგა ხალხთა განათლების საქმეს და თავის ბედნიერებას ხალხის უბედურებაზედ, იმის სიბნელესა და უმეცრებაზედ ამყარებს. ის, ვინც ხალხის მომავალ ბედს სხვანაირის თვალით უყურებს, ვისაც ცხადად წარმოდგენილი აქვს, რომ საზოგადო ბედნიერება დამოკიდებულია ცხოვრების მოთხოვნილებისდაკვალად ხალხის კანონიერს განათლებაზედ, იმის ნივთიერის მხრით უზრუნველყოფაზედ, მას არ შეუძლიან გულგრილად უყუროს ცხოვრების უკუღმართობას და დამამხობელ ძალას, რომელიც გზაზედ ეღობება და მუდამ ხელს უშლის, წინააღმდეგობას უწევს ხალხთა განათლების კანონიერ მსვლელობის გზას და ყოველ ღონისძიებას ხმარობს ხალხი მწველელ ფურად გახადოს ან მისცეს ისეთი სწავლა, რომელიც ხალხისათვის სრულიად გამოუსადეგარია და მავნებელიც.

ასე უყურებდა საქმეს გერმანიის მასწავლებელთა კავშირი. ბევრი ბრძოლა გამოიარა მან რეაქციონურ ძალებთან. თვითონ მეფეც 48 წელს ხალხის გამარჯვებას და მთავრობის ჩამოშორებას მასწავლებელთა კავშირს აბრალებდა და ყოველის ძალ-ღონით სდევნიდა მას, მაგრამ მაინც უძლური შეიქნა ამოეფხვრა მასწავლებლებში ის სული, რომელიც ამოძრავებდათ მათ ქვეყნის საკეთილოდ. მასწავლებელთა შეერთებულმა ძალამ, რომლისთვისაც ანგარიში უნდა გაეწია მთავრობას და გაბატონებულ კლასებს, თავისი გაიტანა, ბევრს საწადელს მიაღწია და დღესაც ნაყოფიერად და თავგამოდებით მოქმედებს საუკეთესო მერმისისათვის.

გერმანიის მასწავლებელთა კავშირის ცხოველ მოქმედებით წახალისებულნი და მათის მოქმედების ნაყოფით გათამამებულნი, რუსეთშიაც მასწავლებელთა შორის ბევრნი აღმოჩნდნენ, რომელთაც მოისურვეს აეღოთ მაგალითი თავიანთ მეზობელ სახელმწიფოს მასწავლებელთაგან და, როგორც ვიცით, უკვე დააარსეს „სრულიად რუსეთის კავშირი მასწავლებლებისა“, რომელიც მეორე წელიწადია, რაც ფარულად მოქმედებს. მიუხედავად ყოველგვარ დევნისა მთავრობის მხრით, ეს კავშირი დიდს სიფხიზლეს იჩენს, მტკიცედ ადგას თავის მიმართულებას, ამრავლებს წევრთა რიცხვს, აარსებს ადგილობრივს ჯგუფებს, იწვევს დელეგატებს კავშირის წესდების ძალით,

ასწორებს წესდებას, არჩევს სხვადასხვა საჭირო კითხვებს, ბეჭდავს დროგამოშვებითს გამოცემას „დღიურის“ სახელით, დელეგატების დადგენილების ოქმებს და უგზავნის წევრებს, აარსებს სხვადასხვა კომისიებს სახელმძღვანელოებისა და ხალხში გასავრცელებელ წიგნების შესახებ და საზოგადოდ, მიუხედავად ბევრის დაბრკოლებისა, სრულიად არ ღალატობს თავის მიზანს, რომელსაც შეადგენს სხვათა შორის ხალხის განათლების ძირითადი ცვლილება თავისუფლების, დემოკრატიულის და დეცენტრალიზაციის საფუძველზედ.

ამ ბოლო ხანებში, ჩვენდა სასიხარულოდ ჩვენებურმა სახალხო მასწავლებლებმაც მოიწადინეს საერთოდ კავშირის შედგენა შეერთებულის ძალით მოქმედებისათვის იმ რთულს ასპარეზზედ, რომელსაც ადგას ყველა ჩვენგანი. ზოგმა ამის შესახებ წესდებაც შეიმუშავა, დაბეჭდა გაზეთებში და იწვევდა წევრებს ჩასაწერად, მაგრამ გავიდა ხანი და, როგორცა სჩანს, ეს მოწოდება დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, რადგან, როგორც ვიცით, დღემდის არავის განუცხადებია სურვილი, ხელი მოეწერა იმ წესდებაზე. ამის მაგიერ, როგორც გაზეთებიდანვე ვიცით, გურიის მასწავლებლებს უკვე შეუდგენიათ ცალკე წესდება; ასეთსავე თუ სხვანაირ წესდებას ადგენენ თურმე კახეთის მასწავლებლებიც. რამდენად სასურველი და სასარგებლო იქნება ეს კერძოდ შედგენილი წესდებები, ამის განხილვაში ამჟამად არ შევდივართ; არ შეგვიძლიან ვთქვათ ისიც, რომ ეს პროვინციალური მუშაობა უნაყოფოდ ჩაითვალოს. პირიქით, ფრიად სასურველია, რომ საქართველოს ყველა კუთხესა და მაზრებში დროზე აღიძრას საკითხი და შეიკრიბოს მასალა საზოგადო კავშირის დაარსების შესახებ. რაც შეეხება მთელს საქართველოში სწავლა-აღზრდის საქმისა და სკოლების მოწყობას, ყოველსავე ნაკლის გათვალისწინებას, საქმის მოწესრიგებას, საზოგადო საერთო კავშირის წესდების შედგენას — ეს ყველა ისეთი რთული საკითხია და საპასუხო საქმე მთელი ერის წინაშე, რომ მისი გადაწყვეტა რომელისამე მაზრის მასწავლებელთა კრებას არ შეუძლიან. ამიტომ ამ საქმის დასაგვირგვინებლად საუკეთესოდ მიგვაჩნია შემდეგი საშუალება — ადგილობრივად მუშაობის გარდა, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ შეძლებისადაგვარად ყველა მასწავლებლები და ხალხის განათლების გულშემატკივარნი და მომხრენი ახალის სკოლისა, უნდა გაიმართოს საქართველოს ყველა მაზრიდან მასწავლებლების წარმომადგენელთა ან დელეგატთა კრება ტფილისში ან ქუთაისში ცენტრალურ ბიუროს ასარჩევად და კავშირის წესდების შესამუშა-

ვებლად. თაოსნობა დელეგატების მოწვევაში საქართველოს ყველა კუთხიდან უნდა იკისრონ ჩვენმა სათავადაზნაურო გიმნაზიის გამგებლებმა ანუ პედაგოგიურმა საბჭომ.

როცა შემუშავდება საერთო კავშირის საზოგადო წესდება, დაარსდება ცენტრალური ბიურო, რომელიც უნდა განაგებდეს კავშირის მიმდინარე საქმეებს და ასრულებდეს დელეგატების საერთო დადგენილებას. საზოგადო წესდება სავალდებულო გახდება კავშირის ყველა წევრთათვის. თითოეული მაზრა ამ შემთხვევაში წარმოადგენს არა განცალკევებულს ერთეულს, არამედ საზოგადო კავშირის ნაწილს ჯგუფს; იმას ადგილობრივ პირობების მიხედვით ექნება ზოგიერთი ავტონომიური თვითმმართველობაც, მაგრამ აუცილებლად საჭირო იქნება საზოგადო კავშირთან დამოკიდებულებაც, რადგან აღმოჩნდება არაერთი საზოგადო საკითხი, რომლის გადაწყვეტა სასურველად შესაძლებელი იქნება მხოლოდ სრულიად საქართველოს მასწავლებელთა წარმომადგენლების კრებაზე, ვიდრე განცალკევებულს ჯგუფებში.

ბიბლიოგრაფია

ჟურნალ „ნაკადულის“ პედაგოგიური დამატება

როგორც მკითხველებმა იციან, საყმაწვილო ჟურნალს „ნაკადულს“ ორ თვეში ერთხელ მოჰყვება დამატებაც „პედაგოგიურის ფურცლის“ სახელით. ვისაც-კი გადაუთვალიერებია თავიდანვე ამ პედაგოგიურ ფურცლის ყველა ნომერი, უსათუოდ დამეთანხმება, რომ ასეთი მჭლე გამოცემა მცირე მასალით, რომელიც, სხვათა შორის, ხშირად გაუგებარია საშუალო მკითხველთათვის, ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნილებას და პედაგოგიურ ჟურნალის დანიშნულებას ჩვენში.

ჩვენ თავიდანვე დიდს მნიშვნელობას ვაძლევდით რომელსამე პედაგოგიურ გამოცემის დაარსებას ჩვენში, რადგან იმედი გვქონდა, რომ სპეციალური ჟურნალი უფრო ვრცელის შინაარსით ჩვენს საზოგადოებაში აღძრავდა მიძინებულს ხალხის ინტერესს ისეთის რთულისა და ფრიად საჭირო საკითხის შესახებ, როგორიც არის ახალთაობის კანონიერი და საღი აღზრდა-განვითარების საქმე. ამისთანა

სპეციალური ჟურნალი, რომლის მიზანიც არის შეტანა ხალხსა და ოჯახში განათლების სხივისა, აღზრდის მეცნიერებისა, უნდა აწვდიდეს მკითხველებს უფრო პოპულიარულად, საზოგადო გასაგებს, მდაბიურად შემუშავებულს და დალაგებულს მასალას პედაგოგიის მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან. თუ წარმოვიდგენთ იმ გარემოებას, რომ ჩვენში ჯერჯერობით არა თუ მშობლები და მდაბიო ხალხი, არამედ ბევრი სკოლის მასწავლებელიც სრულს სიუვიცეს იჩენს ბავშვის კანონიერად სწავლა-აღზრდის საქმეში, ადვილი წარმოსადგენი გახდება თუ რაგვარ დახმარებას გაუწევდა მათ ქართულს ენაზედ ისეთი პედაგოგიური ჟურნალი, საიდანაც შეეძლო ყველას საჭირო საკითხების შესახებ დალაგებულ წერილების წაკითხვა და შეგნება. ყველა მეცნიერება, ყველგან, სადაც სცდილობენ ხალხის გონების განვითარებას და იმის მეცნიერულად აღზრდას, უნდა გადაეცეს ხალხს მდაბიურად, ადვილ გასაგების ენით და მაგალითებით, ან როგორც უცხო ენით იტყვიან, პოპულიარულად, მაგრამ როგორც სჩანს, ჩვენი პედაგოგ-მწერლები, რომელნიც „პედაგოგიურს ფურცელში“ იღებენ მონაწილეობას, ან არ აქცევენ ყურადღებას პედაგოგიის მეცნიერების პოპულიარიზაციას, რის გამოც მათი ნაწერები მიუწდომელი ხდება უმრავლესს მკითხველებისათვის და ან ყველას ვერ ეხერხება მეცნიერების გადაცემა ადვილ გასაგებად, მდაბიურად, რადგანაც მართალი რომ ვსთქვათ, რომელიმე მეცნიერების პოპულიარიზაციის საქმე არც ისე ადვილი საქმეა და ამისთვის ნიჭს გარდა, საკმაო მეცნიერული მომზადებაც არის საჭირო.

როგორცა სჩანს, ამ „პედაგოგიურის ფურცლით“ „ნაკადულის“ რედაქციაც გაჭირებულ მდგომარეობაშია; ვერ გამოუკვლევია ცხადათ, თუ რა გზას დაადგეს ამ საქმეში, თუმცაღა, უეჭველია, რედაქცია ჰგრძნობს, რომ ამ „ფურცლის“ გამოცემას ისე, როგორც ეხლა გამოდის, განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს მკითხველებისათვის. დრო კი აუცილებლად ითხოვს არა თუ ორიოდე „პედაგოგიურს ფურცელს“, მრავალ შინაარსიან, ყოველთვიურ პედაგოგიურ ჟურნალსაც, რომელშიაც უნდა ისტამბებოდეს ადვილ გასაგებად შემუშავებული, სისტემაზედ დალაგებული წერილები პსიხოლოგიიდან, ლოგიკიდან და პედაგოგიკიდან. ამისთანა წერილები დიდს დახმარებას აღმოუჩენს როგორც ცოტად თუ ბევრად შესმენილს მშობლებს, ისე სახალხო მასწავლებლებსაც, რომელთაც საქალაქო და სასულიერო სასწავლებლის გარდა სწავლა არსად არ მიუღიათ. ამისთანების რიცხვი ცნობილს ვოსტორგოვისა და მისი თანამოაზრე

ინსპექტორ-დირექტორების წყალობით, მცირე არ არის ჩვენში.

დღეს, როცა საჭიროა მოხდეს ძირითადი ცვლილება სკოლებში, როცა ყველა მოწადინებული უნდა იყოს შეჰქმნას ახალ ტიპის სკოლები თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილების მიხედვით, როცა ძველს სკოლას და დახავსებულს ცხოვრებას ანდერძი უნდა აეგოს, სირცხვილიც იქნება ქართველს ერს არ ჰქონდეს ამ დროს მაინც ერთი რიგიანი პედაგოგიური ჟურნალი, რომელმაც საზოგადოებას და მასწავლებლებსაც გზა გაუკვალოს და ნათელი მიმართულება მისცეს ამ რთულ საკითხის გამოსაკვლევად. ამის მიხედვით პედაგოგიურს ჟურნალში ადგილი უნდა მიეცეს წერილებს სკოლებში სასწავლო საგნების შესახებ, თითოეულ საგნის პროგრამის განხილვას, სწავლების მეთოდს, სამაგალითო გაკვეთილებს ყველა სასწავლო საგნებიდან. მართალია, ჩვენშიაც არიან ახლად მოვლენილი პედაგოგები, რომელთაც მეთოდისა არა სწამთ-რა, ამას საჯაროდაც აღიარებენ, მაგრამ ეს მოსდით ან გამოუცდელობით ან უმეცრებით. ძნელია წარმოვიდგინოთ ისეთი მასწავლებელი, რომელიც სწავლების დროს არ ადგენს ამა თუ იმ ხერხს, არ ხელმძღვანელობდეს რომელიმე მეთოდით, საკუთრად შემუშავებულით თუ ნასესხებით. მაგრამ ხერხიც არის და ხერხიც. ზოგი მასწავლებელი სწავლების დროს სწავლის გადასაცემლად მოწაფეთათვის ისეთს ხერხს, მეთოდს ხმარობს, რომ მოწაფენი სრულიად ადვილად, გაუჭირვებლად, თვითმოქმედების პრინციპის დაცვით ითვისებენ სასწავლო მასალას და მასწავლებელიც მცირე ხანში აღწევს გაკვეთილზე აღნიშნულს მიზანს; ზოგიც მიზნის მისაღწევათ ხმარობს გაჭიანურებულს და გამოუსადეგარ ხერხს, სცდება მიზანს, დრო შეუმჩნევლად მირბის, მიზანი შეუსრულებელი რჩება და გაკვეთილიც უნაყოფო წყლის ნაყვა გამოდის. ამ და ათას სხვა შემთხვევაში, რომლის ჩათვლა საზოგადოდ აქ ჩვენს საგანს არ შეადგენს, საჭიროა და ფრიად საჭიროც, რომ მეთოდური მხარე სწავლებისა ყოველთვის გათვალისწინებულ იქმნას და არა უარყოფილი, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. ძნელი წარმოსადგენია რომ მეთოდის უარმყოფს მასწავლებელს რაიმე წარმატება ექნეს სწავლების საქმეში. სულ სხვა საკითხია გატაცება მეთოდიკით, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში ჰკლავს სულს, მაგრამ ეს გატაცება მოსდით ხოლმე ისეთს მასწავლებლებს, რომელნიც მექანიკურად მოქმედებენ და დამონავებულნი არიან მეთოდის პრინციპებით, მაგრამ სასარგებლოდ და შემთხვევის მიხედვით მისი საქმეში გამოყენება სასურველად ვერ მოუხერხებიათ.

ეხლა ყველგან ცნობილია ის ჭეშმარიტება, რომ ბავშვის აღზრდა მის დაბადებამდის უნდა იწყებოდეს; ცნობილია ისიც, თუ რა დიდი ყურადღება ჰმართებს აღმზრდელებს და მშობლებს თავის ჩვილ შვილებისადმი, ვიდრე წამოიზრდებოდნენ და სკოლაში მისაბარებელნი გახდებოდნენ. აი, ამ საკითხების, ბავშვების ფიზიკურ აღზრდის შესახებაც უნდა იბეჭდებოდეს პედაგოგიურს ჟურნალში საჭირო და სასურველი სწავლა-დარიგებანი.

სასურველია, რომ პედაგოგიურს ჟურნალში მონაწილეობას იღებდნენ, თანამშრომლობდნენ სახალხო მასწავლებლებიც. ეს საშუალება ერთის მხრით დააინტერესებს თვითონ მასწავლებლებს სწავლა-აღზრდის საქმეში, უფრო დაკვირვებით, უფრო შეგნებულად მოეკიდებიან საქმეს და ამას გარდა არაერთს საინტერესო მასალას მოაწვდიან რედაქციას საქართველოს ყველა კუთხიდან, სოფლებიდან და ქალაქებიდან.

პედაგოგიურს ყოველ თვიურს ჟურნალში უნდა იბეჭდებოდეს აგრეთვე საზოგადო მიმოხილვა სწავლა-აღზრდის საქმისა ჩვენში და უცხოეთში. სხვადასხვა ფერობა ჟურნალისა, მეტი შინაარსი, მეტი სხვადასხვა მასალა საინტერესოდ გახდის ჟურნალს მკითხველებისათვის, რომელთა რიცხვიც თანდათან იმატებს და სწავლა-აღზრდის მეცნიერებაც ჩვენში ასე თუ ისე ფეხს მოიდგამს და საყურადღებო საგნად გახდება. უცხო განათლებულ ერებთან შედარებით ჩვენ, რასაკვირველია, არ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ საბავშვო საკითხავი წიგნები ბლომად მოგვეპოვებოდეს, მაგრამ რაც გვაქვს, ისიც არ ვიცით, არ ვიცით აგრეთვე თუ რა შინაარსისაა და ღირსებისაა ეს წიგნაკები. ამიტომ საჭიროა პედაგოგიურს ჟურნალში შევიდეს ისეთი განყოფილებაც, სადაც კრიტიკულად უნდა იქმნას გარჩეული ყველა არსებული საბავშვო წიგნაკები, სახელმძღვანელო წიგნები, თუ რამდენად სასურველია და სასარგებლო მათი ხმარება წლოვანების მიხედვით.

ბიბლიოგრაფიულს ცნობებს არამარტო საბავშვო წიგნების შესახებ უნდა დაეთმოს ადგილი პედაგოგიურს ჟურნალში, არამედ ისეთ წიგნაკების განხილვასაც, რომელსაც სახალხო დანიშნულება და მასწავლებლებისათვისაც მნიშვნელობა აქვს. ამისთანა წიგნები კი ამ ბოლო დროს თანდათან მრავლდება ჩვენს მწერლობაში. საზოგადოდ ჩვენი პედაგოგიური მწერლობა დღეს ნარ-ეკლით და ღვარძლით არის მოფენილი; მისი გასუფთავება, საღ პედაგოგიურ აზრის დამყარება ქართველთა შორის, აღზრდა-განვითარება ახალთაო-

ბისა ეროვნულს ნიადაგზედ უნდა შეადგენდეს ჩვენებურ პედაგოგიურ ჟურნალის დანიშნულებას, იმის მიზანს.

ბავშვის ფიზიკურ აღზრდასთან დიდი მნიშვნელობა და კავშირი აქვს ჰიგიენის კანონების ცოდნას, რომელსაც ყველაზედ უფრო დიდი მნიშვნელობა ჩვენთვის, ქართველებისთვის აქვს, რადგან საზოგადოდ ამ ხრივ ვერც პირობა გვიწყობს ხელს და ვერც სწავლა, რომელსაც შეუძლიან პირობის შეცვლაც. ვინ იცის, ამ უმეცრების წყალობით რამდენი სული უდროვოდ ესალმება ჩვენში წუთისოფელს. ამიტომ ჩვენის აზრით, პედაგოგიურს ჟურნალში ადგილი უნდა დაეთმოს მდაბიურად, სახალხოდ დაწერილს წერილებს ჰიგიენიდანაც.

როდესაც ამნაირ შინაარსის პედაგოგიური ჟურნალი გვექნება, როდესაც ჩვენი საზოგადოებაც თანაგრძნობით მიეგებება, სრული იმედი იქნება, რომ იგი სასურველს ნაყოფს მოუტანს ჩვენს ერს. „ნაკადულის“ რედაქციას ადვილად შეუძლიან ჩვენის პედაგოგ-მწერლების დახმარებით გამოსცეს ამისთანა ჟურნალი ყოველთვიურადაც.

თვით ჟურნალის შესახებ უნდა აღვნიშნოთ, რომ წლევანდელი ნომრები „ნაკადულისა“ შინაარსით გაცილებით უკეთესია წინა წლისაზედ და რიგიანადაც შეფარდებული წლოვანების მიხედვით. შარშან „ნაკადულის“ მცირე წლოვანთათვის გამოცემაში იბეჭდებოდა ისტორიული წერილები. წელს კი ამისთანა წერილებს ვერ ვამჩნევთ. რედაქცია კარგად მოქცეულა, რომ ისტორიული წერილები, რომელიც მცირე წლოვანთათვის სრულიად გაუგებარია, განუდევნია ჟურნალიდან, როგორც ძნელი საკითხავი მასალა. ასე ეტყობა ჩვენს ნორჩს საბავშვო ჟურნალს თანდათან გაუმჯობესება და იმედი გვაქვს, მალეც მიაღწევს იმ სასურველს იდეალს, რომელიც ჩვენ დავსახეთ წინა წერილში.

პირველი საზრუნავი საგანი „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობისა.

/წერ. რედ. მიმ. /

ამ დღეებში გაზეთ „ისარ“-ში ორი საყურადღებო წერილი დაისტამბა. ერთი ბ-ნ კ-ისა, ეხებოდა კერძოდ წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების მოქმედების გაუმჯობესობას, მეორე კი ბ-ნ ა. ჯავახიშვილისა, ეხებოდა ეროვნულ ბიბლიოთეკის საკითხს ჩვენში. თითქმის ორსავე წერილში ერთი და იგივე აზრია გატარებული მეტ-ნაკლებობით. რასაკვირველია, ჩვენ არ გავიმეორებთ ხსენებულს წერილებში მოყვანილს საბუთებს, ვიტყვით მხოლოდ თუ რას უნდა მიექცეს ამჟამად უპირველესი ყურადღება, რომ ცოტად თუ ბევრად მაინც განვახორციელოთ დასახული მიზანი.

ჩემის აზრით, ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა ეხლავე უნდა შეუდგეს თავდარიგს, რომ მალე გადიტანოს ბიბლიოთეკა-მუზეუმი და წიგნის მაღაზიაც უფრო შესაფერისს და საუკეთესო ადგილზე, რომ ბიბლიოთეკა და მუზეუმი უფრო წესიერად და ხალვათად იყოს მოთავსებული და არა მიყრილ-მოყრილი. გული გიწუხს, როდესაც ამდენ ძვირფასს ნაშთს ხედავ უნუგეშო და არეულ-დარეულს მდგომარეობაში, ადგილის სიცოტავის გამო, სადაც არავითარი ნაყოფიერი მუშაობა არ შეიძლება. არ ვიცი, სად უნდა მოათავსოს გამგეობამ განსვენებულის ილიას ბიბლიოთეკა, როდესაც ამისათვის ეხლანდელს სამუზეუმო და საბიბლიოთეკო ოთახში ერთი კუნჭულიც კი არ მოიპოვება. საზოგადოებას რომ უფრო მოხერხებული ადგილი ჰქონოდა ბიბლიოთეკა-მუზეუმისათვის, დღეს გაცილებით მეტი ნივთები, წიგნები და ხელნაწერები გვექნებოდა, ვიდრე დღეს არის. არაერთხელ გაგვიგონია, რომ დღესაც ბევრს ოჯახში მოიპოვება ისტორიული ნივთები, წიგნები და ხელნაწერები, მაგრამ არ აძლევენ საზოგადოებას, რადგან ვერ ჰხედავენ კარგს მოვლა-პატრონობას.

ვიდრე მუზეუმისათვის ცალკე შენობა გვექნებოდეს, საჭიროა ნივთებისა და ხელნაწერების მოვლა-პატრონობა და თანდათან გამდიდრება. დღეს ყოვლად შეუძლებელია და მოუხერხებელი როგორც კოლექტიური, ისე კერძო მუშაობა იქ, სადაც ბიბლიოთეკა

და მუზეუმია მოთავსებული, უადგილობისა და ნივთების არევ-დარევის გამო. კარგს ადგილას მოთავსებული მუზეუმი და ბიბლიოთეკა წერა-კითხვის საზოგადოებისა ეროვნულ ბიბლიოთეკის მაგიერობასაც გაგვიწევს და ხელს შეუწყობს იმ აზრის თანდათან განხორციელებას, რაც წარმოთქვა ბ-ნმა ა. ჯავახიშვილმა. თვითონ საზოგადოების მოქმედებასაც ახალს მოხერხებულს ადგილზე მეტი სიცოცხლე დაეტყობა.

ყოლამრეზა ხუციშვილი

/ნეკროლოგი/

გუშინ თეირანიდან ბ-ნ იასონ მენაბდისაგან სამწუხარო დეპეშა მოგვივიდა; იქ უეცრად გარდაცვლილა საქართველოდან ფერეიდანში მიმავალი სპარსეთის ქართველი ყოლამრეზა ხუციშვილი, რომელიც ონიკაშვილთან ერთად იანვარში ჩამოვიდა ჩვენს სამშობლში, რომ ენახათ თავიანთი ძველი სამშობლო ქვეყანა და ქართველები. თეირანში ისინი უცდიდნენ ბარგს და შემდეგ უნდა წასულიყვნენ თავიანთ სოფელ მარტყოფში, ისპაჰანის მახლობლად. თეირანიდან რამდენიმე წერილიც მოგვივიდა ბ-ნის ონიკაშვილისაგან, რომელიც იწერებოდა ხუციშვილის ავადმყოფობის ამბავსაც, მაგრამ არც ისე საშიში ავადმყოფობა უნდა ყოფილიყო.

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ონიკაშვილმა და ხუციშვილმა ჩამოსვლისთანავე ძრიელ მალე შეისწავლეს ქართული წერა-კითხვა. ჩემს დღეში ისეთი მუყაითი, შრომისა და მწიგნობრობის მოყვარული ადამიანი, როგორც განსვენებული ხუციშვილი იყო, არ მინახავს არც მოზრდილებში და არც პატარებში; დღე და ღამეს სულ წიგნების კითხვაში ატარებდა და მართლაც ორნივე მალე ჩინებულად დახელოვნდნენ ქართულ წიგნების კითხვა-შეგნებაში. იმათ გადაიკითხეს თითქმის ყველა ჩვენი მწერლობის საუკეთესო ნაწარმოები, გაიცნეს კარგად ძველი სამშობლო ქვეყანა; გააცნეს აქაურს ქართველებსაც თავიანთი მოძმენი შავს დროს დატყვევებულნი, შაჰ-აბაზის მიერ გადასახლებულნი და დღეს შუაგულ სპარსეთში ქართველადვე დარჩენილები. როდესაც ორნივე მოემზადნენ ისე, რომ თვითონვე დარწმუნებულნი იყვნენ — ეხლა კი შეგვიძლიან სპა-

რსეთის ქართველებში ქართული მწიგნობრობა, წერა-კითხვა გავავრცელოთ და ბევრი ახალი აზრები შევიტანოთ იმათ ცხოვრებაშიო, თვენახევრის წინად გაემგზავრნენ სპარსეთისაკენ, მაგრამ ერთს მათგანს, ყოლამრეზა ხუციშვილს, უმტყუნა ბედმა და არ დასცალდა ჩასულიყო ფერეიდანში, გადაეცა იქაურის ქართველებისათვის თავისი გულის-ნადები და გულითადი სალამიც ჩვენგან, მეორეს – ონიკაშვილს კი ამავე შავმა ბედმა მოაშორა საუკეთესო ამხანაგი და თანამოაზრე და დასტოვა იგი მარტოდ-მარტო ბრძოლის ველზე.

ფრიად სამწუხაროა, როდესაც ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი, საღის გონებითა და წრფელის, მაღალი აზრით გამსჭვალული, უდროვოთ ესალმება წუთისოფელს და ვერ აღწევს დანიშნულს მიზანს. სამშობლო ქვეყნის გატაცებულმა სიყვარულმა, იმ სამშობლოს, რომელიც დღესაც სალოცავად მიაჩნიათ სპარსეთის ქართველებს, გამოიწვია ონიკაშვილი და ხუციშვილი საქართველოსაკენ. ისინი, ამ დიად გრძნობით გატაცებულნი არ შეუშინდნენ არავითარს დაბრკოლებას, უგზოობას და ათასგვარ ჭირ-ვარამს, მშვიდობით ჩამოვიდნენ აქ, მაგრამ დაბრუნებისას ბედმა უმუხთლა საბრალო ხუციშვილს და თავისი აზრებიც თან ჩაიტანა თეირანის ცივს სამარეში. სამწუხაროა ხუციშვილის უდროვოდ გარდაცვალება, რადგან იგი, როგორც გონიერი, მშვიდი, უწყინარი, დინჯი და მოფიქრებული ყმაწვილი კაცი ყველაზე კარგს შთაბეჭდილებას ახდენდა და ონიკაშვილთან ერთად დიდს იმედს იძლეოდა სპარსეთისა და აქაური ქართველების გაერთიანების საქმეში. ხუციშვილი და ონიკაშვილი იყვნენ პირველნი მოციქულნი – ძმობისა და ერთობის მქადაგებელნი ჩვენსა და სპარსეთის ქართველებს შორის და ამიტომაც დიდათ სამწუხაროა, რომ ამ ორ მოციქულს უდროვოთ საუკუნოთ ჩამოშორდა ერთის აზრით გამსჭვალული ამხანაგი და მეგობარი. საუკუნოდ იყოს, ძვირფასო მეგობარო, ყოლამრეზ, შენი ხსენება. არ დამავიწყდება აკსტაფაში გამოთხოვების დროს თვალცრემლიანი შენი სიტყვები: „მასწავლებელო, გშორდებიო!“ და ან რას წარმოვიდგენდი, რომ ეს იქნებოდა უკანასკნელი შენი სიტყვები და დაპირებისამებრ ერთმანეთს კიდევ ვერ შევხვდებოდით!

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას

სპარსეთის ქართველებთან მოგზაურობის დროს, 2 ივლისს ვიყავი სოფელ ხელთუბანში და სხვათა შორის დავათვალიერე იქაური სკოლის შენობაც. სამწუხაროდ უნდა აღვნიშნო, რომ ხსენებული სკოლის შენობა ნამეტან ცუდს შთაბეჭდილებას ახდენს: მთელი წელიწადი სკოლის შენობაში კაზაკები მდგარან და ისე გაუფუჭებიათ ყველაფერი, რომ ნაოხარს დაუმსგავსებიათ, კარ-ფანჯრები სრულიად ჩამტვრეულია, სახურავი დაზიანებული, იატაკი ამოყრილი, საკლასო ავეჯი – ორიოდე პარტა და საკლასო დაფა დამსხვრეული, შინაური ოთხფეხი საქონელიც ადვილად შედის შიგ და გამოდის. სკოლის შენობის შინაგანი მდგომარეობა საღორეს უფრო წარმოადგენს, ვიდრე სკოლას. დიდათ სამწუხარო იყო ჩემთვის სკოლის შენობის ამგვარ მდგომარეობაში ნახვა. დღესაც, თუმცა-ღა შიგ კაზაკები არ არიან, მაგრამ შენობა სრულიად უყურადღებოდ არის დატოვებული. ეტყობა ამისათვის არავის არ შესტკივა გული. ოდესღაც სკოლას ბაღიც ჰქონია, მაგრამ იგი დღეს ისე გავერანებულია, რომ არავითარი კულტურული ნიშანი მას არ ეტყობა, პირიქით, ის ბაღიც დღეს სოფლის ნახირის საბალახოთ გამხდარა. ხელთუბნის სკოლა ემსახურება ხუთ სოფელს: რეხას, სვენეთს, ახალსოფელს, თორტიზას და თვით ხელთუბანს. ამ სოფლებში მცხოვრებლების რიცხვი აღემატება 300 კომლს. როგორც გამოკითხვით გავიგე, სოფლელები ძლიერ გულაცრუებულნი არიან სკოლაზე. სამი წელიწადია, თურმე, რაც სკოლაში სწავლება არ წარმოებს, სოფლელებიც არ იძლევიან სკოლის ხარჯს. მასწავლებლის აზრით სკოლას მაშინ შეეძლება არსებობა, როცა ყოველ ხარჯს სკოლის შესანახად იკისრებს წ. კ. საზოგადოება. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ხელთუბნის სკოლა დაარსებულა 1884 წელს და დღემდის იმდენი ნაყოფი ვერ გამოუტანია, რომ ხალხს შეეგნო სწავლის საჭიროება მაინც. დოვლათის მხრით სოფლელები ისეთი გაჭირებულები არ უნდა იყვნენ, რომ თითო მანეთის გადახდა სკოლის სასარგებლოდ მაინც შეეძლოთ, ისინი კი დღეს საუკეთესოდ თვლიან უსკოლობას. სოფელი ქ. გორზე ახლოა, სულ ხუთი-ექვსი ვერსი მანძილი-ღა იქნება და ძრიელ გვაკვირვებს ხალხის ასეთი შეუგნებლობა სწავლა-აღზრდის საქმეში. სამინისტრო სკოლების უნაყოფობა

ყველამ შეიგნო, ხალხმაც რომ გული აიყაროს ამისთანა სკოლებზე, საკვირველი არ იქნება, მაგრამ დღევანდელი ხელთუბნის სკოლის სურათიც არაერთს მწარე ფიქრს აღუძრავს ჩვენი ხალხის გულშემატკივართ. მოვახსენებ რა ამ გარემოებას პატივცემულ გამგეობას, იმედია იგი გამოძებნის რამე ღონისძიებას და ხელთუბნის სკოლასაც დააყენებს ახალსა და უფრო სასურველს ნიადაგზე.

მოხსენება ძველი სენაკის, ბათუმისა და წინარეხის სკოლების შესახებ

სენაკის სკოლა

ძველი სენაკის სკოლა „ქ. შ. წ. კ. საზოგადოების“ გამგეობის მონდობილობის თანახმად დავათვალიერე 27, 28 და 29 მაისს. 27-ს კვირა დღე იყო და მოწაფეების გამოცდა არ შეიძლებოდა, ამიტომ მთელი დრო მოვანდომე სკოლის ბიბლიოთეკის, საოჯახო ქონებისა და თვალსაჩინო სწავლებისათვის საჭირო ნივთების გადათვალიერებას. ამ დღესვე სენაკის სკოლის ძველს შენობაში მოხდა საზოგადო კრება ძველი სენაკის მეაბრეშუმეთა ამხანაგობისა. ზოგიერთი საგნების გადათვალიერების შემდეგ მე და სკოლის დროებითი გამგე ბ-ნი დ. ოყროშიძე წაველით კრებაზე დასასწრებლად. კრებას თავისი საქმეები გაეთავებინა და შესდგომოდნენ ამხანაგობის წმინდა მოგებიდან 30% განაწილებას საქველმოქმედო საქმეებზე. ამხანაგობის ერთმა წევრმა ბ-ნმა გიორგი გამსახურდიამ წინადადება მისცა ამხანაგობის საზოგადო კრებას – საქველმოქმედო თანხიდან გადაეცათ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის“ ასი მანეთი, რადგანაც ეს საზოგადოება დღეს უსახსრობისა გამო დიდს გაჭირებას განიცდისო. ამის საპასუხოდ ამხანაგობის ერთმა წევრმა ისეთი აზრი წარმოსთქვა, რომლიდანაც ცხადათ ჩანდა, რომ მას სრულიად არ გაეგებოდა ჩვენი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიზანი და დანიშნულება. ამის გამო გარემოებამ ნება მომცა ამეხსნა საზოგადო კრებისათვის უფრო დაწვრილებით თუ რა მიზანი აქვს „წერა-კითხვის საზოგადოებას“, რა ღვაწლი მიუძღვის მას დღიდან დაარსებისა, რა დაბრკოლებანი უშლიდნენ ხელს საზოგადოების მოქმედებას და როგორ ფიქრობს დღეს ეს საზოგადოება

მოაწყოს და უფრო ნაყოფიერად წარმართოს ხალხთა განათლების საქმე საქართველოს ყველა კუთხეში. ამის შემდეგ ილაპარაკეს სხვებმაც და საზოგადო კრებამ ერთხმად დაადგინა: გაეგზავნოს „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას“ საქველმოქმედო თანხიდან ასი მანეთიო.

28 მაისს შევუდექით სკოლის მოწაფეების სწავლა-აღზრდის მხრით წარმატების შემოწმებას გასულს 1906-1907 სამოსწავლო წლის განმავლობაში. სენაკის სკოლაში სწავლა დაუწყიათ 3 ენკენისთვეს. სკოლაში ყოფილა ოთხი განყოფილება. I განყოფილებაში წლის განმავლობაში ყოფილა 29 მოწაფე, წლის ბოლოს – 25. II – ში დასაწყისში – 42 მოწაფე და ბოლოს – 32; III – ში წლის დამდეგში 46 და ბოლოს – 35; IV – დასაწყისში – 40 და ბოლოში – 25. სულ წლის დასაწყისში ყოფილა 157 მოწაფე, ხოლო წლის ბოლოს კი 117. თავი დაუნებებია სწავლისათვის 40 მოწაფეს. ამის მიზეზად მასწავლებლები ასახელებენ სწავლის ფასის შემოღებას ათ მანეთს, რომლის გადახდაც ბევრს ვერ მოუხერხებია და იძულებული გამხდარან ბავშვები სკოლიდან გაეყვანათ. სკოლას თებერვლამდის ჰყავდა 4 მასწავლებელი, თებერვლიდან კი მიემატათ ახალი დროებითი გამგე სკოლის – დ. ოყროშიძე ნაცვლად არ. წითლიძისა.

პირველი განყოფილება: ამ განყოფილებაში ყველა საგნებს, გარდა საღმრთო სჯულისა და გალობისა, ასწავლიდა 1905 წლის 20 ნოემბრიდან დროებით მოწვეული მასწავლებელი რაჟდენ გამსახურდია, რომელსაც სწავლა აქვს დამთავრებული ტფილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში.

ქართული ენა. ამ საგნიდან მასწავლებელს უსწავლებია „დედა ენის“ I ნაწილი და II ნაწილიდან უკითხავსთ 48 გვერდამდის. არითმეტიკიდან შეუსწავლიათ ოთხი მოქმედება 20-მდის და თვლა 100-მდის ეგნ. ხრამელაშვილის არითმეტიკული კრებულიდან.

ყველა განყოფილების მოწაფეები თვითონ მე გამოვსცადე საზოგადო კითხვების საშუალებით ნასწავლის ფარგალში. სენაკის სკოლის პირველ განყოფილებაში აღმოჩნდა, რომ მოწაფეებს საზოგადოთ კითხვის პროცესი საკმარისად შეუთვისებიათ, ლექსებიც უმრავლესობას ახსოვს ზეპირად, ნასწავლი მოთხრობების შინაარსის გადმოცემა და სურათების ახსნა-განმარტება ყველას ვერ ეხერხებოდათ, ეტყობა, რომ ნასწავლის გამეორებისა და სიტყვიერ ვარჯიშობისათვის მასწავლებელს ვერ მიექცია განსაკუთრებითი ყურადღება. საზოგადოთ კი ქართულ ენაში წარმატება, თუ მივი-

ღებთ მხედველობაში მეგრელთა ბავშვებს, სრულ საკმარისად უნდა ჩავთვალოთ. არითმეტიკიდან მოწაფეები ოცის ფარგალში საზოგადოთ რიგიან პასუხს იძლეოდნენ, თუმცა სწრაფი ანგარიში ყველას ვერ ეხერხებოდა. ამას გარდა ეტყობოდა, რომ მოწაფეებს არ ჰქონდათ სრული წარმოდგენა რიცხვების შეფარდების შესახებ მეტ-ნაკლებობის მიხედვით. ერთი და იმავე კითხვების გამოცნობა სხვადასხვა ფორმით ეძნელებოდათ. რადგანაც ეს ნაწილი ელემენტარული არითმეტიკისა უფრო მეტს თვალსაჩინობას და დაკვირვებას ითხოვს მოწაფის მხრით, ამიტომ სხვა მასწავლებლების თანადასწრებით თვითონ მე მივეცი გაკვეთილი არითმეტიკიდან პირველს განყოფილებაში. მოწაფეებმა მიცემული მაგალითებიდან თითონვე გამოიყვანეს ის დასკვნა თუ რა მოქმედებაა საჭირო, როცა ერთს რიცხვს ვაბევრებთ ან ვამცირებთ მეორე რიცხვით და სხვ. მე ვსთხოვე ბ-ნ გამსახურდიას მიეცა გაკვეთილი განმარტებითი კითხვისა ქართული ენიდან. მანაც აღასრულა ჩემი თხოვნა და აუხსნა მოწაფეებს „ბუზი და ეტლი“ „დედა-ენიდან“. გაკვეთილს სხვა მასწავლებლებიც დაესწრნენ, მიუხედავად მცირე ნაკლულევანებისა საზოგადოთ გაკვეთილი მეთოდიურად ჩაატარა. გამსახურდია, როგორც საუკეთესო ამხანაგი, მასწავლებლებსაც მოსწონთ. მეც დარწმუნებული ვარ, რომ თავისი უფრო გამოცდილი ამხანაგების ხელმძღვანელობით ბ-ნი გამსახურდია სენაკის სკოლისათვის საუკეთესო მასწავლებელი გახდება. მხოლოდ ამისათვის საჭირო იქნება ერთი წლით მაინც კიდევ მისი ვარჯიშობა პირველს განყოფილებაში, სადაც ცოტათ თუ ბევრად მეტი გამოცდილება აქვს შეძენილი.

მეორე განყოფილება. ამ განყოფილებაში სწავლის საქმე წლის განმავლობაში ასე ყოფილა მოწყობილი: 22 მარტამდის საღმრთო სჯულს ასწავლიდა გამსახურდია, შემდეგ დ. ოყროშიძე, გალობას 22 მარტამდის ასწავლიდა ანდრო შუბლაძე, შემდეგ — ოყროშიძე. დანარჩენ საგნებს მთელს წელიწადს ასწავლიდა ნიკო ჯანაშია, რომელსაც გაუვლია მთლად „დედა ენის“ II ნაწილი. განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია საუბრებისათვის, რომლისთვისაც ცალკე გაკვეთილები ყოფილა დანიშნული კვირაში ორ-ორი. არითმეტიკიდან უსწავლებია ოთხი მოქმედება ასამდის, თვლა 1000-მდის და ზოგ-ზოგი ზომები. გავლილი მასალა ქართულიდან ბავშვებს კარგად ახსოვსთ, ადვილად და მკაფიოდ მოგვითხრობდნენ გავლილი მასალის შინაარსს და საზეპიროებიც და კითხვის მეხანიზმიც საკმაოდ აქვსთ შეთვისებული. არითმეტიკიდანაც სწორ პასუხს იძლეოდნენ. მომე-

ტებულს ნაწილს მტკიცედ აქვს შეთვისებული გამრავლების ტაბულა და სწრაფი ანგარიშიც ეხერხებათ. საზოგადოთ მოწაფეებს დიდი სიმკვირცხლე და ბეჯითობა ეტყობათ, მასწავლებელსაც კარგად ესმის თავისი საგანი და საქმეც ნაყოფიერად მიჰყავს. საღმრთო სჯულიდან გვიამბეს მოთხრობები ათორმეტ დღესასწაულზე და ზოგიერთი ლოცვა. ამ საგანშიაც საკმაო ცოდნა გამოიჩინეს. რუსული ენიდან, რომლის სწავლებაც დაუწყიათ ნოემბრიდან, მოწაფეებს შეუსწავლიათ წერა-კითხვა, გაუთავებიათ ანბანი „Русское Слово“-ს I ნაწილიდან და ნასწავლიც შეგნებით იციან.

მესამე განყოფილება. მესამე განყოფილებაში 22 მარტამდის საღმრთო სჯულს ასწავლიდა გამსახურდია, შემდეგ დ. ოყროშიძე, სამშობლოს აღწერას 22 მარტამდის – ნიკო ჯანაშია, შემდეგ დ. ოყროშიძე. დანარჩენ საგნებს ასწავლიდა წლის განმავლობაში ანდრია შუბლაძე.

ქართული ენიდან უსწავლებია „ბუნების კარიდან“ მიყოლებით 122 გვერდამდის ზოგიერთი რთული ლექსების გამოტოვებით. სალიტერატურო განყოფილებიდან შეუსწავლიათ შვიდამდის არაკები და ნარკვევები ქართველი მწერლების თხზულებებიდან. 10-12 საუკეთესო ლექსები, 7-8 იგავ-არაკი, გავლილი მასალა ბავშვებს საკმაოდ ჰქონდათ შეთვისებული, გრძნობიერად წაიკითხეს ლექსი „სამშობლო ხევსურისა“, გრძნობით და გამომეტყველებით კითხულობდნენ სხვა ლექსებსაც. მესამე და მეოთხე განყოფილებათა გაკვეთილების განხილვაში ვერ ვიპოვეთ ცალკე გაკვეთილები საუბრებისა ანუ დაკვირვებითი სწავლისა, როგორც ეს არის ორს დაბალს განყოფილებაში; ამის მაგიერ იმავე განყოფილების შესახებ გაკვეთილების ნუსხაში რვა-რვა გაკვეთილი კვირაში რუსულ-ქართული წერისა, რაც ჩემის აზრით, ბევრია. საუბრებს კი, როგორც ბავშვების მიერ დაკვირვებით შეძენილს ცოდნას რეალური საგნების შესახებ დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მოწაფეთა გონების განვითარებისათვის და მისი უარის ყოფა უფროს განყოფილებებში სასურველი არ არის. მხოლოდ საუბრებს, როგორც ახალს საგანს ჩვენში, ჯერჯერობით მტკიცე ნიადაგი არ აქვს ჩვენს სკოლებში და არც განსაზღვრული პროგრამა არსებობს ამ საგნის შესახებ და არც გამგეობას მიუწოდებია სკოლებისათვის ახალი პროგრამა.

არითმეტიკიდან უსწავლიათ სამი მოქმედება განყენებულს რიცხვებზე და გაყოფა ერთნიშნოვან რიცხვზე, ზომები და ამოცანები სამს მოქმედებაზე. მოქმედებათა პროცესი და რიცხვების ურთიერ-

თშორის დამოკიდებულება მოქმედებებში მოწაფეებს კარგად აქვსთ შეგნებული. კარგად იციან აგრეთვე არითმეტიკული ტერმინებიც ქართულად. საზოგადოთ კი მოწაფეებმა არითმეტიკიდანაც საკმარისი ცოდნა გამოიჩინეს.

სამშობლოს აღწერა. ამ საგნიდან მოწაფეებმა იციან ძველი სენაკის აღწერა, სამეგრელო, სამურძაყანო, რაჭა, გურია, ლეჩხუმი და სვანეთი, დაწყებითი ცნობები გეოგრაფიიდან. ერთმა მოწაფემ დაწვრილებით აგვიწერა ძველი სენაკი. სხვებმაც სწორი პასუხი მოგვცეს საზოგადო კითხვებზე ნასწავლის ფარგალში.

რუსული ენა. რუსულიდან გაუთავებიათ „Русское Слово“-ს I ნაწილი და II ნაწილიდან შეუსწავლიათ 30 გვერდამდის. რუსული ენიდანაც გავლილის ფარგალში მოწაფეებმა საკმაო ცოდნა გამოიჩინეს. ლექსებსაც შეგნებით კითხულობენ. მესამე განყოფილებაში მოვისმინე ორი-სამი ქართული სიმღერაც, რომელიც მწყობრად და ხმა შეწყობილად შეასრულა მთელმა კლასმა. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ერთმა პატარა მოწაფემ, რომელიც შესანიშნავი ტკბილის ხმით იწყებდა სიმღერას.

საღმრთო სჯული. საღმრთო სჯულიდან უსწავლიათ ზოგიერთი მოთხრობები ძველი და ახალი აღთქმიდან – გ. იოსელიანის სახელმძღვანელოდან. გავლილი მასალა მოწაფეებს ახსოვთ. ვკითხე იგავებზე და კარგად გადმომცეს როგორც იგავების შინაარსი, აგრეთვე მთავარი აზრიც.

მეოთხე განყოფილება. ამ განყოფილებას სწავლის დაწყებიდან 6 თებერვლამდის ასწავლიდა პ. ლორთქიფანიძე, რომელიც ასრულებდა აგრეთვე დროებით სკოლის გამგის მოვალეობასაც, მაგრამ ლორთქიფანიძე იძულებული გამხდარა დროებით მიეტოვებინა სენაკი და სკოლის დროებით გამგეთ 25 იანვრიდან მოწვეული იქმნა დომენტი ოყროშიძე, რომელსაც ლორთქიფანიძემ გადასცა სკოლის საქმეები და მასთან მეოთხე განყოფილებაც; 26 მარტს ლორთქიფანიძე ისევ დაბრუნდა სენაკში და უკანვე ჩაიბარა ოყროშიძისაგან მეოთხე განყოფილება. ამ დღიდან ოყროშიძე ასწავლიდა საღმრთო სჯულს I, II და III განყოფილებაში და აძლევდა თითო გაკვეთილს გალობისას I და II განყოფილებაში.

ქართული ენა. მოწაფეებს მეოთხე განყოფილებაში უსწავლიათ „ბუნების კარიდან“ 133 გვერდიდან დაწყებული 220 გვერდამდის, რომელიც იპყრობს სამეცნიეროსა და ზოგიერთ სალიტერატურო მასალასაც. „ბუნების კარის“ ქრესტომატიულ განყოფილებიდან შე-

უსწავლიათ: „სამნი ძმანი“, „შველი და ქალი“, „ძმა და და“, „ყაყიტას ქურდი“, „მხნე დიასახლისი“, „დედაშვილობა“, „საბრალო ირემი“, „მღვდლის საუბარი სწავლის საჭიროებაზე“, „ლუარსაბის სიზმარი“. ამას გარდა მასწავლებელს წაუკითხავს კლასში და კლასგარეშეც 20-მდის სხვადასხვა მოთხრობები, შეუსწავლიათ 20-მდის ლექსები და იგავ-არაკები ზეპირად, უსწავლიათ მოკლე ქართული გრამატიკაც. ნასწავლი მასალა მოწაფეებს მკვიდრად ჰქონდათ შეთვისებული, ლექსებიცა და იგავ-არაკებიც მომეტებულ რიცხვს კარგად ახსოვდათ. სინამდვილით გადმომცეს იგავ-არაკის „ჭრიჭინა და ჭიანჭველას“ შინაარსი, დედააზრი და მომქმედ პირთა დახასიათებანი. პროგრამის გარეშე საერთოდ წაკითხული წიგნების შინაარსიც მოვთხოვე, გამოვკითხე „კაცია ადამიანის“ შინაარსი. საზოგადო კითხვებზე მოწაფეები სრულს სწორსა და მკაფიო პასუხს იძლეოდნენ; ეტყობოდათ, რომ წაკითხულიც დიდის ხალისით მოუსმენიათ და შინაარსიც შეუთვისებიათ. ამ გარეშე კითხვებს ბავშვებიც ძრიელ წაუხალისებია ქართული წიგნების კითხვაში.

საქართველოს ისტორია. მეოთხე განყოფილების მოწაფეებს გაუვლიათ მთელი შემოკლებითი ისტორია საქართველოსი „ბუნების კარიდან“. ნასწავლი ფაქტები საქართველოს ისტორიიდან კარგად ახსოვთ; გამოვკითხე თითქმის ყველა უმთავრესი მომენტი ისტორიიდან — ფარნაოზ მეფედან დაწყებული უკანასკნელ ხანამდის, საქართველოს რუსეთთან შეერთებამდის და ყველა კითხვებზე გარკვეულსა და სწორს პასუხს მაძლევდენ.

არითმეტიკა. მასწავლებელს არითმეტიკიდან უსწავლებია ოთხი მოქმედება სახელწოდებულს რიცხვებზე, უკეთებიათ ამოცანები გოლდენბერგის კრებულიდან. არითმეტიკას ამ განყოფილებაში მასწავლებელი ასწავლის რუსულად და ზოგჯერ ქართულადაც, მაგრამ ეტყობოდა, რომ მომეტებული ყურადღება რუსულად სწავლებაზე ყოფილა მიქცეული. რუსულად სწავლება, რასაკვირველია უფრო მეტს დროს მოითხოვდა და წარმატების მხრითაც ნაკლები უნდა ყოფილიყო. მასწავლებელს არ უსწავლებია არც კუბიკური და არც ოთხ-კუთხი ზომები და ამოცანების კეთება ამ საგანში, თუმცა-ღა ხალხის პრაქტიკულ ცხოვრებაში ამისთანა ამოცანებს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს. როცა მოწაფეებს დავუწყე ქართულად გამოკითხვა, თითქოს პირველად შეჰკრთენ. რუსულად კი იძლეოდენ საკმაო პასუხს. ნასწავლი მასალა კი შეგნებულად აქვსთ შეთვისებული. მე დავუნიშნე მასწავლებელს გოლდენბერგის სახელმძღვანელო-

დან ერთი ამოცანა და ვსთხოვე მიეცა მოწაფეებისათვის გასაკეთებლად. მასწავლებლის კითხვებზე მოწაფეები რუსულად სწორ პასუხს იძლეოდნენ. მომეტებულმა ნაწილმა ამოცანის აზრი გაიგო და კიდეც გააკეთა, მხოლოდ ამოცანის გაკეთების დროს მასწავლებელი ხმარობდა სინტეტიურ მეთოდს, როდესაც ცნობილი რიცხვებიდან თან და თან უახლოვდებიან ამოცანის უმთავრესს საკითხს. ეს წესი, რასაკვირველია, კარგია, მაგრამ მას ადგილი უნდა ჰქონდეს უფრო დაბალ განყოფილებებში; უფროს განყოფილებაში კი, სადაც ბავშვის გონება ეჩვევა უფრო განყენებულ აზროვნებასაც, საუკეთესო იქნებოდა, ჩემის აზრით, არა სინტეტიური წესი, არამედ ანალიტიკურ-სინტეტიური, რომ ბავშვები მიეჩვიონ პირიქით აზროვნების პროცესსაც — ე. ი. დაიწყოს მსჯელობა ამოცანის უმთავრესი საკითხიდან, ლოგიკურად გამოიკვლიოს ის პირობები, რომელიც ხელს შეუწყობს უმთავრესს საკითხზე პასუხის პოვნას და სხვ. ამისთანა მსჯელობა სრულიად ძნელი არ არის, როცა სწავლება საგნისა დედა-ენაზე წარმოებს და ბავშვის გონებაც და აზროვნებაც ბუნებრივს გზაზედ მიდის. მასწავლებელს რომ არითმეტიკის სწავლებაც მეოთხე განყოფილებაში დედა ენის საშუალებით წარემართა, შედეგიც, რასაკვირველია, უფრო მეტი იქნებოდა, მაგრამ იგი ამჟამად ხელშეკრულია ქუთაისის გიმნაზიის პროგრამით, რომლითაც თურმე მეოთხე განყოფილებაში არითმეტიკის სწავლება რუსულად წარმოებს და მასწავლებელიც ცდილობს თავისი მოწაფეების ცოდნა იმათ შეუფარდოს, რადგანაც მოწაფეების მომეტებული ნაწილი სენაკის სკოლიდან ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში გადადიან სწავლის გასაგრძელებლად.

რუსული ენა. მეოთხე განყოფილებაში რუსულ ენაში დაუსრულებიათ ი. გოგებაშვილის „Русское Слово“-ს II ნაწილი, შემდეგ უსწავლიათ კორხანიდის რუსული ქრესტომატიიდან თერთმეტი მოთხრობა და 12-მდის იგავ-არაკი კრილოვისა. ნასწავლი მოწაფეებმა საკმაოდ შეგნებულად იციან, თუმცა-ღა გამომეტყველებითი კითხვა ზოგს ვერ ეხერხება. წაიკითხეს იგავ-არაკი „Волк и кот“, გადმომცეს მისი შინაარსი რუსულად და მთავარი აზრიც. მე წავუკითხე უცნობი ზღაპარი ტოლსტოის წიგნიდან „Строгое наказание“ ბოლომდის და მოვსთხოვე წაკითხულის შინაარსის გადმოცემა თავისი სიტყვებით რუსულად, რაც თითქმის თავისუფლად შეასრულეს. აქედან დავრწმუნდი, რომ მეოთხე განყოფილებას რუსული ენაც საკმარისად გაეგება.

საღმრთო სჯული. მეოთხე განყოფილებაში შეუსწავლიათ ძველი და ახალი აღთქმა ქართულად და თორმეტი დღესასწაული რუსულად. ცოდნა საკმარისი აქვსთ.

საზოგადოდ სენაკის სკოლამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. სასწავლებელს მხნე და საქმის მცოდნე მასწავლებლები ჰყავს, რომელნიც თანხმობით მოქმედებენ. გარდა პირდაპირი მოვალეობისა სენაკის სკოლის მასწავლებლები ადგილობრივს საზოგადო საქმეებშიაც მონაწილეობას იღებენ. იმ მეაბრეშუმეთა ამხანაგობის საქმის მმართველნი, რომელნიც ზემოთ მოვიხსენიეთ, სენაკის სკოლის მასწავლებლები არიან და საქმეც საერთო სასარგებლოდ მიყავთ. სენაკის სკოლის პედაგოგიურს საბჭოს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნიათ სკოლის კურსის გაფართოება, კლასების მომატება; მათის აზრით ამისათვის დიდი ხარჯიც არ არის საჭირო: უნდა შეკეთდეს ძველი შენობა, რომელიც უამისოდაც შეკეთებას ითხოვს და მთლად მიეცეს სენაკის სკოლას ის ფული, რომელიც ყოველ წლობით გადადებულია თავად-აზნაურობის მიერ, ე. ი. 7004 მანეთი და დღეს კი იხარჯება სენაკის სკოლაზე მხოლოდ 5.400 მანეთი. სკოლის პედაგოგიური საბჭო სთხოვს გამგეობას გაუგზავნოს სარგებელი გრიგოლ დადიანის კაპიტალიდან, რომელიც საზოგადოების ხელშია, ღარიბ მოწაფეთათვის დასახმარებლად.

სენაკის სკოლას საკმაო ბიბლიოთეკა აქვს, სადაც 1406 ცალი რუსულ-ქართული წიგნია. მხოლოდ ბიბლიოთეკას არ აქვს წესიერად შედგენილი კატალოგი. ამ საგანზე მივაქციე სკოლის დროებითი გამგის ყურადღება და ისიც დათანხმდა შეადგინოს ახალი კატალოგი და დაჰყოს წიგნები შინაარსის მხრით განყოფილებებად. სწავლებაში დამხმარებელი სურათებიც სკოლას საკმაოდ აქვს, ზოგი მათგანი კი უკვე დაძველებულია და ზოგიც მცირე ღირსების არის. მე ვურჩიე მასწავლებლებს შეეძინათ ახლად გამოსული სურათები გერმანელ პედაგოგის შლიცბერგერისა მცენარეთა და ცხოველთა შესახებ, რომელიც იბეჭდება რუსულად წარწერით გროსმანისა და კნებელის ფირმით და იყიდება ყველგან დიდს წიგნის მაღაზიებში, ხოლო ყველა სურათებზე, რომელნიც კედლებზე ჰკიდია და ბავშვები ყოველ დღე შეჰყურებენ, სასურველია ქართული წარწერაც იყოს. სკოლას აქვს საუკეთესო თილისმის ფანარიც და მომავალში შეძლება ექნებათ სკოლაში სისტემატიური სახალხო კითხვებიც მოაწყონ.

ბათუმის სკოლა

ბათუმის სკოლა დავათვალიერე 30 მაისს. სკოლაში მივედი დილით, როცა ბავშვების დათხოვნას აპირებდნენ, რადგანაც მეორე დღე უქმე იყო და პედაგოგიურ საბჭოსაც უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა მოწაფეების დათხოვნა. დროს გაგრძელება უხერხულად ვსცანი და ბათუმის სკოლის დასათვალიერებლად დამრჩა მხოლოდ ერთი დღე. ამის გამო ამ სკოლის შესახებ უფრო ნაკლები ცნობები შევკრიბე, ვიდრე სასურველი იყო მისი საფუძვლიანად გაცნობა. ბათუმის სკოლაში წლის განმავლობაში ყოფილა ოთხი განყოფილება. მოწაფეთა რიცხვი განყოფილებებში ასე ყოფილა განაწილებული: I განყოფილებაში წლის დასაწყისში ყოფილა 42 მოწაფე, ბოლოს 52 /46 ვაჟი და 6 ქალი/. ამათში ერთი მაჰმადიანია. II-ში დასაწყისში ყოფილა 51 მოწაფე, ბოლოში 43 /38 ვაჟი და 5 ქალი/. აქაც ერთი მაჰმადიანია. III-ში წლის დამდეგს ყოფილა 36 მოწაფე და დასასრულში 30 /29 ვაჟი და 1 ქალი/. მეოთხე განყოფილება, რომელშიაც 16 მოწაფე ყოფილა, სააღდგომოთ სრულიად დაუთხოვიათ. მიზეზი ამ დათხოვნისა სიტყვიერად მოხსენდა გამგეობის წევრებს. ამნაირად სულ ბათუმის სკოლაში წლის დასაწყისში ყოფილა 145 მოწაფე და წლის ბოლოს სამს განყოფილებაში – 125 მოწაფე.

ბათუმის სკოლის ერთს თვალსაჩინო ნაკლულევანებას შეადგენს მაჰმადიან მოწაფეთა სიმცირე, რომელიც უკანასკნელ წელს ორამდის ჩამოსულა. ამ მხრით ბათუმის სკოლა ვერ ასრულებს იმ მიზანს, რა მიზნითაც სკოლა იყო დაარსებული თავდაპირველად. ყველა ღონისძიება, რაც კი უხმარიათ ადგილობრივს სკოლის კომიტეტს და პედაგოგიურს საბჭოს სკოლაში მაჰმადიანთა რიცხვის გასაბევრებლად, უნიადაგო გამომდგარა. ეხლა ერთადერთი ღონისძიება დარჩენიათ მოაწყონ ბათუმში საზოგადო თავშესაფარი მაჰმადიან ბავშვებისათვის, რომ გაუადვილონ სოფლელებს შვილების ჩამოყვანა და დაბინავება ბათუმში. რა შედეგი მოყვება ამას, არავინ არ იცის, მაგრამ როგორც გადმომცეს, განძრახვა აქვსთ ეს უკანასკნელი ზომაც სცადონ. ბათუმის სკოლის მოწაფეებიც იმ წესით გამოვცადე, როგორც სენაკის სკოლის შეგირდები, ე. ი. საზოგადო კითხვების საშუალებით ნასწავლის ფარგალში გამოვცადე I, II და III

განყოფილება, რადგანაც მეოთხე განყოფილება, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სკოლაში არ იყო.

პირველი განყოფილება. ამ განყოფილებას სწავლის დაწყებიდან იანვრის ბოლომდის ასწავლიდა ბარნაბა გელაზანია, რომელიც იანვრის ბოლოდან 15 მაისამდის იძულებული გამხდარა ბათუმიდან წასულიყო. ამ დროს განმავლობაში პირველ განყოფილებას ასწავლიდენ სხვადასხვა კერძოთ მოწვეული მასწავლებლები. ამას გარდა სამოსწავლო წლის მეორე მეოთხედში სკოლაში გაჩენილა წითელა და ყივანა-ხველა, რომლის გამო მოწაფეთ ორთა შუა რიცხვით 1600 გაკვეთილი გაუცდენიათ. ამის მიუხედავად მასწავლებელს, როგორც მის მიერ გადმოცემული პროგრამიდან სჩანს, პროგრამა საკმაოდ გაუვლია, თუმცა-ღა ნასწავლის მტკიცეთ შეთვისება ყველა საგნებში მოწაფეების მიერ საეჭვოდ გვეჩვენა.

საღმრთო სჯული. უსწავლიათ 12 საუფლო დღესასწაული და პატარ-პატარა ლოცვები, გვიამბეს შობაზე და ღვთის მშობლის დაბადებაზე. მოთხრობები იციან.

ქართული ენა. გაუთავებიათ „დედაენის“ I ნაწილი და II ნაწილიდან უსწავლიათ 54 გვერდამდის. ნასწავლი მასალის შინაარსი ყველას კარგად არ ახსოვს. კითხვით ნასწავლს საზოგადოთ საკმარისად კითხულობენ. ნასწავლ ლექსებს სათითაოდ გვარიანად კითხულობენ, მაგრამ ხოროთი. გუნდ-გუნდათ წაკითხვა ლექსებისა სრულიად არ ეხერხებათ, სიტყვებს მარცვლებათ ყოფენ და ძრიელ აგრძელებენ. საერთო კითხვის დროს ძრიელ ხმა მაღლა ყვირიან. წავაკითხე საერთოდ ლექსი „თხა“ „დედა-ენიდან“და რაკი შევნიშნე კითხვაში ცუდი ჩვეულება, შევაწყვეტინე კითხვა და გადაველ სხვა საზოგადო კითხვებზე. ბოლოს მასწავლებელმა მოიწადინა თითონ წაეკითხვინებინა მოწაფეთათვის გუნდ-გუნდათ, მაგრამ ამ კითხვასაც იგივე შედეგი მოჰყვა. გამოცდას სკოლის გამგეც დაესწრო. არც მას მოეწონა ბავშვების საერთო კითხვა ლექსებისა, მაგრამ მასწავლებელს იმით ამართლებდა, რომ თავდაპირველად პირველს განყოფილებაში აუცილებლად საჭიროა ჩამარცვლით კითხვაო. მაგრამ მე მგონია თუ ეს წესი აუცილებლად საჭიროა, ის საჭიროა მხოლოდ იმ დრომდის, ვიდრე მოწაფეები შეიგნებდენ ასოების გაერთიანების საიდუმლოებას, რაც მოხდება ათიოდე ასოს წერითა და კითხვით შესწავლის შემდეგ; ამის შემდეგ კი მასწავლებელი ყოველთვის უნდა ცდილობდეს სიტყვების გამოთქმის სწავლებას დაუყოფლად, როგორც ვხმარობთ სიტყვებს ჩვეულებრივი ლაპარაკის დროს. პირველ განყოფილებაში

მასწავლებელს თვალსაჩინო სწავლის გაკვეთილებიც ჰქონია, აუწერიათ საკლასო ოთახი, სასწავლო და სხვა ნივთები, მათი შედარება /მსგავსება და განსხვავება/, შინაური ცხოველებისა და ფრინველების აწერილობა, მათი ერთმანეთთან შედარება და სხვ. სამწუხაროდ დრო არ იყო გამეცნო თუ როგორი დაწვრილებითი პროგრამა ჰქონდა მასწავლებელს თვალსაჩინო გაკვეთილებზე ან როგორს კავშირს იცავდა სასაუბრო საგნებს შორის, როგორი ხასიათი ჰქონდა საუბრებს თვალსაჩინო გაკვეთილებზე, მაგრამ სამწუხაროდ ყველა ეს უყურადღებოდ დამრჩა.

რუსული ენა. რუსული ენის სწავლებაში პირველ განყოფილებაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. მასწავლებელს უსწავლებია ლექსიური განყოფილება „Русское слово"-ს I ნაწილიდან. საზოგადო კითხვებზე რიგიანს პასუხს იძლევიან, ბავშვებმა იციან ზოგიერთი საგნების სახელები, მათი თვისებისა და მოქმედების სახელები რუსულად. თუმცა-ღა უცხო ენის სწავლება პირველს მაინც რაც უნდა იყოს ძრიელ აფერხებს ბავშვის გონება-განვითარების საქმეს და უცხო ენის შესწავლასაც ხელს უშლის. აქ მშობლებმაც რომ დაჟინებით მოითხოვონ უცხო ენის სწავლება, ჭეშმარიტებამ მაინც უნდა სძლიოს უკანონო და მავნებელ მოთხოვნილებას.

არითმეტიკა. პირველ განყოფილებაში შეუსწავლიათ რიცხვი 20-მდის, ოთხი მოქმედება, ზეპირი და წერითი ანგარიში და ამოცანები ოცის ფარგალში. საზოგადოთ რიგიანად ანგარიშობენ, სწრაფი ანგარიში კი ყველას ვერ ეხერხება. წერითაც ყველა ვერ ახერხებს თუ რა ნიშანი უნდა დაუსვან, როცა ეკითხები ერთი რიცხვი გააბევრე ან დაამცირე მეორე რიცხვითაო, ან გაბევრე და დაამცირე რამდენჯერმეო. ამისთანა კითხვებზე პასუხის მიცემას მოსწავლეებისაგან მასწავლებელი თავიდანვე უნდა მოითხოვდეს და წლის ბოლოს კი სრული შეგნებული უნდა ქონდეს მოწაფეებს ოთხი მოქმედების ხმარება განწესებულს ფარგალში.

საზოგადოთ ზემოთმოყვანილს მიზეზებს უეჭველად უმოქმედია პირველს განყოფილებაში სწავლების საქმის წარმატებაზე; სხვა უფრო ნორმალურს პირობებში, რასაკვირველია, წარმატებაც შედარებით უკეთესი იქნება, თუმცა-ღა ამისთანა უკუღმართ პირობებშიაც მასწავლებელს შეძლებისდაგვარად უშრომნია და მის შრომას არც უნაყოფოდ ჩაუვლია.

მეორე განყოფილება. მეორე განყოფილებაში ყველა საგნებს ასწავლიდა რაფიელ რამიშვილი, რომელსაც საღმრთო სჯულიდან უს-

წავლებია უმთავრესი მოთხრობანი ძველი და ახალი აღთქმიდან და ზოგიერთი ლოცვები. მოთხრობებიც და ლოცვებიც მოწაფეებმა იციან.

ქართული ენა. მასწავლებელს მეორე განყოფილებაში უსწავლებია „დედა-ენის“ 49 გვერდიდან 137 გვერდამდის, ნასწავლი ლექსები შეგნებით იციან, ლექსების კითხვას საჭირო გამომეტყველება აკლია, ნასწავლი მოთხრობების შინაარსიც ახსოვსთ და უმეტესს ნაწილს მოწაფეებისას თავისუფალი კითხვის პროცესიც შეთვისებული აქვსთ და წაუკითხავ მოთხრობებსაც ადვილად კითხულობენ.

არითმეტიკა. უსწავლიათ ოთხი მოქმედება 100-მდის, ამოცანები ან რიცხვითი მაგალითები. სწრაფი ანგარიში ასის ფარგალში მოწაფეთა მომეტებულ რიცხვს ადვილად ეხერხებათ, უმცირესობას კი კარგად ვერ შეუთვისებიათ წესი ზეპირ გამოანგარიშებისა, რიცხვების შეფარდება რამდენით და რამდენჯერ მეტი ან ნაკლებია ერთი რიცხვი მეორეზე, უმეტესობას შეგნებული აქვს, ამოცანებსაც მარტივს ტიპებზე ადვილად აკეთებენ, ფრჩხილების ხმარება რიცხვით მაგალითებში და წერილობითი გამოანგარიშებაც შეგნებული აქვსთ.

რუსული ენა. მეორე განყოფილებაში გაუთავებიათ „Русское слово“-ს I ნაწილი ზოგიერთი შემოკლებით, წერითაც რიგიანად სწერენ ფრაზებს წაკითხული მოთხრობებიდან. კითხვის პროცესიც საკმაოდ შეუთვისებიათ და ლექსებიც იციან ზეპირად, იციან სიტყვების ახსნა რუსულად და გადათარგმნა ქართულადაც. რუსულ ლაპარაკში სავარჯიშოდ მასწავლებელს აუწერია და განუხილავს მოწაფეებთან რუსულად ზოგიერთი კორნეევის სურათები: „ქალაქის ოჯახობა“, „გაზაფხული მინდორში“, „დილა ქალაქის ქუჩაზე“, „ზამთარში“ და სხვ. სურათებზე საუბარი მოწაფეებთან ენის შესასწავლად და სავარჯიშოდ ერთი საუკეთესო საშუალებაა, მაგრამ ეს ვარჯიშობა მაშინ უფრო ნაყოფიერია, როცა სურათზე გამოხატული ცხოვრება წარმოადგენს იმ ერის ცხოვრებას, რომელსაც ბავშვი ეკუთვნის და რომელთანაც მას აქვს სულიერი კავშირი. კორნეევის სურათები იმდენად დაშორებულია ქართველი ერის ცხოვრებას, რომ იგი სასურველ სულიერ საზრდოს ვერ მიაწვდის ქართველ ბავშვებს და მიტომაც ამისთანა სურათებს იშვიათად ხმარობენ ქართულ სკოლებში.

თვალსაჩინო სწავლება. ამ საგანშიაც მასწავლებელს გაუმართავს ვრცელი საუბარი სასწავლო ნივთებისა, საკლასო ოთახებისა და შინაური ცხოველების შესახებ. საუბრების დროს მასწავლებელი ხელმძღვანელობდა მალინინის წიგნით — „Беседы о наглядном обучении“, მაგრამ დაწვრილებით თუ როგორ მიჰყავდა მასწავლე-

ბელს ამ საგნის სწავლების საქმე, ვერ გამოვიკვლიეთ იმ მიზეზის გამო, რომელიც მოვიხსენიეთ ამავე საგნის შესახებ პირველ განყოფილებაში. საზოგადოთ მეორე განყოფილებამ პირველთან შედარებით უკეთესი შთაბეჭდილება მოახდინა; ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც ამ განყოფილებაში წლის განმავლობაში სწავლება უფრო წესიერად წარმოებდა.

მესამე განყოფილება. ამ განყოფილებაში ყველა საგნებს ასწავლიდა ალექსანდრე მგელაძე. საღმრთო სჯულიდან უსწავლებია: ღვთისმშობლის დაბადება, ტაძრად მიყვანება, ხარება, შობა ქრისტესი, ნათლის ღება, პირველი მოწაფე და კანას ქორწინება, ფერისცვალება, ბზობა, საიდუმლო სერობა, იუდას გამცემლობა, ტანჯვა ქრისტესი, აღდგომა და ამაღლება. ნასწავლის შესახებ მოწაფეები ყველა კითხვებზე სრულს და ჯეროვანს პასუხს იძლეოდნენ.

ქართული ენა. ქართულიდან წაუკითხავთ „ბუნების კარიდან“ 143 გვერდამდის. შეუსწავლიათ რამდენიმე მოთხრობა, ლექსები და იგავ-არაკები. უკითხავთ „ჯეჯილი“ და ზოგიერთი მოთხრობები ეგნ. ნინოშვილის თხზულებიდან. შეუსწავლიათ საქართველოს ისტორია ფარნაოზიდან მირიან მეფემდის. ნასწავლი მასალა მოწაფეებს შეთვისებული აქვსთ. ლექსებსა და იგავ-არაკებს ზოგიერთები განსაკუთრებული გრძნობითა და გამომეტყველებით ამბობდნენ. საზოგადოთ მასწავლებელს სავსებით მიუზიდავს ბავშვების ყურადღება და საკმაო ნაყოფიერადაც უმოქმედია მათზედ.

რუსული ენა. რუსული ენიდან შეუსწავლიათ ი. გოგებაშვილის „Русское слово“-ს II ნაწილი XVI სავარჯიშომდის; უსწავლებია რამდენიმე ლექსი და იგავ-არაკი იმავე წიგნიდან. ცოდნა რუსული ენისა ბავშვებს საკმაოდ აქვსთ, წაკითხულიც შეგნებით აქვსთ შეთვისებული.

არითმეტიკა. ამ საგნიდან მასწავლებელს უსწავლებია ამოცანების კეთება გოლდენბერგის კრებულის I ნაწილიდან ნაწევრებამდის. შეუსწავლიათ ოთხი მოქმედება განყენებულს რიცხვებზე და ციფრების წერა და კითხვა მილიონამდის. მოწაფეებს კარგად აქვსთ შეთვისებული ოთხი მოქმედება რიცხვებზე, ამოცანებსაც აკეთებენ ასის ფარგალში. მოწაფეები ანგარიშში ქართულად გამოვსცადე და შეგნებულადაც მომიგეს ყველა კითხვებზე ოთხი მოქმედების შესახებ. ეტყობა, რომ მასწავლებელს უსწავლებია მხოლოდ წარმოება ოთხის მოქმედებისა მრავალ ნიშნოვან რიცხვებზე, რაც შეეხება ამოცანებს, ამისთანა რიცხვებზე უყურადღებოდ დაუტოვებია. ამი-

ტომაც არითმეტიკის სწავლებას მესამე განყოფილებაში მიუღია ცალმხრივი ხასიათი. წერითი სავარჯიშოც არითმეტიკიდან უსათუოდ უნდა იპყრობდეს იმგვარ მასალას, რასაც მასწავლებელი ზეპირად აკეთებინებს მოწაფეებს ან საკლასო დაფაზე აწერინებს. მასწავლებელს კი მესამე განყოფილებაში, როგორც მის მიერ წარმოდგენილი პროგრამიდან და რვეულებიდან სჩანს ამოცანების კეთება მესამე განყოფილებაში აუცილებელია ასის ფარგალში და ისიც უკეთებია რუსულად გოლდენბერგის კრებულიდან, რიცხვითი მაგალითებიც წარმოდგენილს რვეულებში ასის ფარგალს არ აცილდება; ამას გარდა ის სავარჯიშოები ამოცანისა და რიცხვთა მაგალითების გამოანგარიშების შესახებ, რასაც ვკითხულობთ მესამე განყოფილების რვეულებში, შეადგენენ პირველი ორი წლის კურსის მასალას და არა მესამე განყოფილებისას. ან რა აზრი უნდა ქონოდა მესამე განყოფილებაში ამისთანა რიცხვითი მაგალითების კეთებას, როგორიცაა, მაგ.: /5 X 2/—/8 : 2/—/6 : 3/ + /1 + 6/ = 10, როდესაც ამისთანა სავარჯიშოებს აძლევენ მხოლოდ პირველ განყოფილების მოწაფეებს და იმასაც ორი თვის სწავლების შემდეგ /იხ. რვეული შალვა კაჭკაჭოვისა/ და სხვ. ამ შემთხვევაში თუ მასწავლებელი ხელმძღვანელობდა იმ მოსაზრებით, რომ მოწაფეებს რუსულად შეესწავლათ ის მასალა, რაც პირველ ორ წელიწადს ისწავლეს, ეს ნიშნავს მხოლოდ ბავშვების ჩამოქვეითებას ანგარიშის სწავლებაში და არა წინ წაყვანას. უკეთესი იქნებოდა მასწავლებელს ეხელმძღვანელნა რომელიმე ქართული სახელმძღვანელოთი, გოლდენბერგის მეთოდზე შედგენილი არითმეტიკის სახელმძღვანელოები და უკეთესებიც ქართულადაც მოიპოვება და არ შეეჩერებია ბავშვები ისეთ მასალაზე მთელი წლის განმავლობაში, რომელიც წინა წლებშივე უნდა ცოდნოდათ. ამას გარდა ქართულ სახელმძღვანელოებში ამოცანებიც თავისი შინაარსით შედარებით უფრო დაახლოვებულია ქართველი ბავშვის ცხოვრებასთანაც.

სამშობლოს შესწავლა. ამ საგანში მოწაფეებს შეუსწავლიათ ქობულეთის მხარე, გურია, იმერეთი და სამეგრელო. კერძოთ უფრო დაწვრილებით განუხილავთ ქალაქი ბათუმი. გავლილი მასალა მოწაფეებმა კარგად იცოდნენ. საზოგადოთ მომზადება მესამე განყოფილების მოწაფეებს საკმარისად აქვსთ ყველა საგნებში და ბ-ნი მგელაძეც გამოცდილი მასწავლებელია. ის ნაკლი, რაც აღვნიშნეთ არითმეტიკის სწავლებაში, უფრო სხვა გარემოებით უნდა აიხსნას. მასწავლებელს სწავლების საქმე საზოგადოთ კარგად ესმის, ცოტა

მოქანცულობა ეტყობა, დასვენება და ძალის მოკრება მისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს.

გავათავეთ მოწაფეების გამოცდა. მასწავლებლებმა დაურიგეს მოწაფეებს ნიშნები და დაითხოვეს საზაფხულოდ, მაგრამ ამ დათხოვნას მოჰყვა მოწაფეების გულამოთქმითი დაუსრულებელი ტირილი, ბევრი უკმაყოფილონი დარჩნენ ნიშნებისა და ტირილით ითხოვდენ გადასწორებას, ან ხელახლად გამოცდის დანიშვნას. მე მივაქციე ყურადღება მესამე განყოფილების ერთს პატარა მოწაფეს, რომელიც ცხარე ცრემლებსა ღვრიდა, გამოვართვი ნიშნები და წავიკითხე. ორი ჰქონდა საღმრთო სჯულში და არითმეტიკაში. სხვა კარგი ნიშნები იყო. მოწმობაში ეწერა დატოვებულია იმავე განყოფილებაშიო. მე მივაქციე პედაგოგიური საბჭოს ყურადღება იმ ყმაწვილის ნიშნებს და ვუთხარი, რომ ამისთანა ნიშნების მქონებელს ბავშვს არ სტოვებენ იმავე კლასში, საღმრთო სჯულში იშვიათად უსმენ ვინმეს ნიშანს 2 და რაც შეეხება არითმეტიკას, თუ მართლა სუსტია, შეიძლებოდა მისთვის ხელახალი გამოცდა დაგენიშნათ აგვისტოში-მეთქი. ამ ჩემს შენიშვნას სკოლის გამგეც დაეთანხმა, მხოლოდ ვერ გავიგე კარგად, მოსწავლეები მარტო მასწავლებლებს გადაყავთ თავისი შეხედულობის მიხედვით თუ ამ საკითხში მონაწილეობას იღებს მთელი საბჭო და საერთო თათბირის მიხედვით სწყვეტენ საკითხს ბავშვის დატოვებისა და გადაყვანის შესახებ, ან როგორ მოიქცენ ამის შემდეგ არც ის ვიცი, მხოლოდ ბოლოს ის შთაბეჭდილება გამოვიტანე, რომ წლის დასასრულ ბათუმის სკოლაში ზოგიერთი ბავშვისათვის სამხიარულო დღეს არ წარმოადგენდა.

ბოლოს მივაქციე ყურადღება სწავლებაში მოსახმარებელ სახელმძღვანელო ნივთებს და ბიბლიოთეკას. სურათები ბათუმის სკოლაში სენაკის სკოლაზე ნაკლები არ აქვსთ. ძრიელ ღარიბი არის საბავშვო ბიბლიოთეკა. ამის გამო არა თუ ბათუმის სკოლის მოწაფეები, ის შეგირდებიც კი, რომელთაც ბათუმის სკოლაში უსწავლიათ და შემდეგ ადგილობრივ განაგრძობენ სხვა სასწავლებლებში სწავლას, მოკლებულნი არიან ქართულ წიგნებსა. კარგს იზამს თუ „წერა-კითხვის საზოგადოება“ მიაწოდებს ბათუმის სკოლას უსასყიდლოთ ქართულ წიგნებს. სხვა ხარჯს, მგონია, საზოგადოება ბათუმის სკოლაზე არ ეწევა და ამით მას დიდს დახმარებას აღმოუჩენს.

ბათუმის სკოლას ჰქონია აგრეთვე თილისმის ფანარიც მალინინის სისტემისა ყოველგვარ სურათებისათვის, მაგრამ ეს ფანარი, საზოგადოთ მალინინის სისტემის ფანარი ისეთი უვარგისია, რომ იმისი

შემწეობით არავითარი რიგიანი სახალხო კითხვების გამართვა არ მოხერხდება. ამიტომაც სახალხო კითხვები, რომელსაც საზოგადოთ დიდი მნიშვნელობა აქვს ყველგან და მომეტებულად ქალაქ ადგილებში, სადაც კვირა უქმე დღეებში აუარებელი მუშა ხალხი თავისუფალია და არ იცის როგორ გაატაროს დრო, ამ უკანასკნელ წლებში არც გაუმართავთ, თუმცა-ღა ამას, რასაკვირველია, თანამედროვე პირობებიც ხელს უშლიდა. სკოლა კი, როგორც კერა განათლებისა, თავისს გარშემო უნდა იკრებდეს ყველა სწავლის დამაშვრალ ხალხს, რომელთაც სურთ თვალი გაახილონ და ცოდნა შეიძინონ.

წინარეხის სკოლა

წინარეხის სკოლა დავათვალიერე 2 ივნისს. წინა წლებში ამ სკოლაში სწავლა შეჩერებული ყოფილა. განუახლებიათ 1906/7 სამოსწავლო წლის ნოემბრის თვიდან. საანგარიშო წლის განმავლობაში სკოლაში ყოფილა სამი განყოფილება, რომელსაც ასწავლიდა ერთი მასწავლებელი ივანე გიუნაშვილი. წლის განმავლობაში სკოლაში უვლიათ სულ 96 მოწაფეს. აქედან I განყოფილებაში ყოფილა 54 /25 ვაჟი და 29 ქალი/, II-ში 24 /4 ვაჟი და 20 ქალი/, მესამეში 8 /2 ვაჟი და 6 ქალი/. გამოცდის დროს კი სკოლაში დამხვდა 46 მოწაფე – I განყ. 24 /1 ვაჟი და 23 ქალი/, მეორეში 18 /2 ვაჟი და 16 ქალი/, მესამეში 4 /1 ვაჟი და 3 ქალი/. როგორც სჩანს წინარეხის სკოლაში ქალების რიცხვი ბევრად აღემატება ვაჟების რიცხვს. წლის ბოლომდის თავი დაუნებებია შინაური საქმეების გამო 50 მოწაფეს. თვითონ საკლასო ოთახი დიდის გაჭირებით იტევს 50 მოწაფეს. მასწავლებელს კი ზედმეტი მიუღია იმ მოსაზრებით, რომ იქნება წლის ბოლოს შერჩენოდა საკმაო რიცხვი მოწაფეებისა. მოწაფეების მომეტებულს რიცხვს პირველი განყოფილებიდან დაუნებებიათ სწავლისათვის თავი, თუმცა-ღა, როგორც მასწავლებელმა სთქვა, მომეტებულმა ნაწილმა კითხვა მაინც შეისწავლესო. საზოგადოთ უნდა ვსთქვათ, რომ წინარეხის სკოლაში მოწაფეებს წლის განმავლობაში ვერ უვლიათ წესიერად და ამის გამოც ეს გავლენა სწავლის საქმესაც დაეტყო.

პირველი განყოფილება. ამ განყოფილებაში ქართული ენიდან მოწაფეებს გავლილი ქონდა „დედა-ენის“ I ნაწილი. მომეტებული ნაწილი მოწაფეებისა ქართულ კითხვაში სუსტობდენ. კითხვის პრო-

ცესი თავისუფლად მხოლოდ ზოგიერთებს ჰქონდათ შეთვისებული საკმარისად, ისიც მხოლოდ ისეთებს, რომელთაც წლის განმავლობაში ცოტა თუ ბევრად წესიერად უვლიათ სკოლაში. ნასწავლ ლექსებს ბავშვები ზეპირად კარგად ამბობდნენ.

საღმრთო სჯული. პირველ განყოფილებაში საღმრთო სჯულიდან შეუსწავლიათ ზოგიერთი მოთხრობები საღმრთო ისტორიიდან სურათებზე. ბავშვებმა სურათების შემწეობითვე გვიამბეს შობაზე, ნათლისღებაზე, ღვთის მშობლის დაბადებაზე. პასუხი სწორი და რიგიანი იყო.

არითმეტიკა. არითმეტიკიდან შეუსწავლიათ ოთხი მოქმედება ოცამდის, უკეთებიათ ამოცანები ჯაჯანაშვილის კრებულიდან. ცოდნა არითმეტიკისა საზოგადოთ საკმარისად ჩაითვლება, თითო ოროლას მაინც უჭირდა სწრაფი ანგარიში ოცის ფარგალში. ჯაჯანაშვილის კრებული ევტუშევსკის მეთოდზეა შედგენილი. ეს მეთოდი კი დღეს ყველგან დაწუნებულია. დღეს ქართულ ენაზე ჯაჯანაშვილის კრებულზე უკეთესი არითმეტიკული კრებულებია სულ სხვა მეთოდზე შედგენილი და სასურველი იქნებოდა მასწავლებელსაც სხვა მეთოდით და სახელმძღვანელოთი ესარგებლნა.

მეორე განყოფილება. ამ განყოფილებაში მასწავლებელს ქართული ენიდან დაუმთავრებია „დედა-ენის“ II ნაწილი. უსწავლიათ ზოგიერთი გარეშე ლექსებიც. საზოგადოთ წარმატება ქართულ ენაში საკმარისია; ბავშვებს კარგად ახსოვთ გავლილი მასალა, ლექსებსაც მწყობრად კითხულობენ და ამას გარდა სასაუბროებიც შეგნებით აქვსთ შეთვისებული.

არითმეტიკა. მოწაფეებს შეუსწავლიათ რიცხვები 100-მდის. ამოცანებიც უკეთებიათ ჯაჯანაშვილის კრებულიდან. მოწაფეების უმეტეს რიცხვს რიგიანად აქვს შეთვისებული ყველა სავარჯიშოები ასის ფარგალში. მხოლოდ ზოგიერთები სუსტობენ სწრაფ ანგარიშში, მაგრამ გამოანგარიშების წესი უმრავლესობას შეთვისებული აქვს. უნდა აღვნიშნოთ, რომ სკოლაში არითმეტიკის შესასწავლად არავითარი დამხმარებელი თვალსაჩინო საშვალება სკოლაში არ მოიპოვება.

საღმრთო სჯული. ამ საგნიდან მოწაფეებს სურათებზე შეუსწავლიათ ზოგიერთი მოთხრობები ძველი და ახალი აღთქმიდან და რიგიანადაც ახსოვთ შენასწავლი.

რუსული ენა. რუსული ენიდან შეუსწავლიათ რუსული ანბანი და ზოგიერთი ლექსები „Русское Слово“-ს I ნაწილიდან. მოწაფეები შეგნებულად კითხულობენ ანბანიდან სიტყვებსა და ფრაზებს, თა-

რგმნიან ქართულად. სოფლის სკოლის მეორე განყოფილებაში რუსული ენის სწავლება უდროულად უნდა მიგვაჩნდეს, მაგრამ მასწავლებელი ადგას ისევ ძველ პროგრამას და ასრულებს მას. საჭიროა გამგეობამ დროზე შეიმუშავოს უფრო გონიერი პროგრამა, რომლითაც უნდა განისაზღვრებოდეს რუსული ენის სწავლების დროც სახალხო სკოლებში.

მესამე განყოფილება. ამ განყოფილებაში ქართული ენიდან მოწაფეებს შეუსწავლიათ „ბუნების კარიდან“ 113 გვერდამდის – წელიწადის დრონი, ბუნების მოვლენანი, ექვსი არაკი და ნარკვევი ქართველთა მწერლების თხზულებებიდან, რომელიც მოქცეულია „ბუნების კარის“ ქრესტომატიულს ნაწილში და ზოგიერთი გარეშე ლექსებიც და გეოგრაფიული ნაწილი. საზოგადო კითხვებზე მოწაფეები სწორს და რიგიანს პასუხს იძლეოდნენ, ლექსებს გრძნობით და კარგად კითხულობენ, წაუკითხავ მოთხრობებსაც რიგიანად კითხულობენ და წაკითხულის შინაარსსაც შეგნებით, დალაგებით გადმოგვცემდენ.

არითმეტიკა. არითმეტიკიდან შეუსწავლიათ რიცხვების წერა და წაკითხვა მილიონამდის, ოთხი მოქმედება განყენებულს რიცხვებზე, ზომები დროსი, წონისა, სიგრძისა, ფულისა და სხვ. შეერთება და გამოკლება სახელწოდებულს რიცხვებზე. მე გამოვკითხე მოწაფეებს ოთხი მოქმედება ათასის ფარგალში სათითაოდ და საკმარისი პასუხი მივიღე მათგან, ნასწავლი ზომებიც იციან, თუმცა ზოგი მათგანი ბევრს თვალითაც არ უნახავსთ. ზეპირ ანგარიშშიაც გვარიანად არიან გავარჯიშებულნი.

რუსული ენა. რუსულიდან წაუკითხავთ „Русское Слово“-ს II ნაწილი 37 გვერდამდის. წაკითხულს კარგად კითხულობენ, წაუკითხავში კი ხშირად მოსდისთ შეცდომები სიტყვაში ხმის ამაღლებაზე.

საღმრთო სჯული. უსწავლიათ მოთხრობები ძველი და ახალი აღთქმიდან. საზოგადო კითხვებზე ზოგიერთები რიგიანად გვიპასუხებდნენ.

საზოგადოთ უნდა შევნიშნოთ, რომ სწავლა-აღზრდის საქმე მასწავლებელს სკოლაში შეძლებისდაგვარად რიგიანად დაუყენებია, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ სიძნელეს, რომელსაც შეადგენს ერთსა და იმავე დროს სამს განყოფილებასთან მეცადინეობა, უნდა ვსთქვათ, რომ მასწავლებელს, მიუხედავად მრავალგვარი დაბრკოლებისა, კარგად უმუშავნია და წარმატებაც საკმარისად უნდა იქმნას აღვიარებული.

სასწავლებელს ბევრი დიდი ნაკლულევანებაც აქვს, რომლის თავიდან აცილება, როცა ამისათვის ხარჯია საჭირო, მასწავლებელს კერძოთ არ შეუძლიან თუ მას სოფელი და საზოგადოება არ დაეხმარა. ერთი ნაკლულევანება ის არის, რომ თუმცა სკოლას საკმაო ეზო აქვს, 900 ოთხკუთხ საჟენზე მეტი, მაგრამ ამ ადგილში დღემდის არათუ ვისმეს ბაღი მოუშენებია, ერთი უბრალო ხეც კი არავის არ ჩაურგავს; საკლასო შენობის სახურავს კრამიტები ჩამტვრეული აქვს და წყალი ნიაღვარივით ჩამოდის კედლებზე, ბალკონის მოაჯირს და სვეტებს ძირი გამომპალი აქვს, ბალკონზე ფიცრის იატაკი დამპალა, ზედ გაუთლელი ფიცარი დაუფარებიათ, რომ სიარულის დროს შიგ არვინ ჩავარდეს, საკლასო ოთახში ცოტაა პარტები. არავითარი თვალსაჩინო სწავლებისათვის საჭირო ნივთები, გარდა ორიოდე უვარგისი სურათებისა საღმრთო ისტორიიდან, არ მოიპოვება. წიგნთსაცავშიაც მცირეოდენი წიგნებია: რამდენიმე №№ „ჯეჯილისა“, „მოამბისა“ და სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ცირკულიარებისა შეადგენენ მთელს წიგნთსაცავს და ორიოდე საბავშო წიგნაკი. საოჯახო ქონების ჩასაწერი დავთარი ერთს დროში ინსპეკტორს ბოღდანოვს გამოუგზავნია, საკლასო დავთარიც სავაჭრო დავთარს მოგვაგონებს, მის დახაზვაში ცოტა დრო არ სჭირდება მასწავლებელს და არც არის წესიერად წარმოებული; სკოლაში არ მოიპოვება აგრეთვე არც ისეთი დავთარი, რომელშიაც უნდა იწერებოდეს ყოველ წელს სკოლაში მიბარებულ მოწაფეთა სახელი და გვარი. რა უნდა ქმნას ამისთანა პირობებში მასწავლებელმა, რომელიც წლობით მოკლებულია ჯამაგირს და იძუ ლებულია მოსამსახურეც თავისი ხარჯით დაიქირაოს. დიდი გაჭირება გამოუცდია მასწავლებელს ამ უკანასკნელ წლებში. 1904 წლის ოკტომბრის თვეში გამგეობა სწერდა მასწავლებელს: „ვიდრე საკითხი ჯამაგირის შესახებ გამოირკვევოდეს, გამგეობამ დაგინიშნა თვეში 15 მანეთიო“. ამ იმედით დაუწყია მასწავლებელს სამსახური, პურის ფასი 15 მანეთი მაინც მექნებაო, მაგრამ სამი თვის შემდეგ გამგეობას 15 მანეთის ძლევაც მოუსპია მისთვის, ვერც სხვა ჯამაგირი აუღია, საქმე დირექციასთან ჯამაგირის შესახებ დღესაც გამოურკვეველია, მასწავლებელი კი ცხოვრობს წარსული წლის ნოემბრიდან იმ 15 მანეთით, რომელსაც ბოლო დროს, შეწყვეტის შემდეგ, ხელახლად უგზავნის გამგეობა. თუ რამდენად შესაძლებელია 15 მანეთად მასწავლებლობა, ეს ყველასთვის ცხადია. მასწავლებელს შემთხვევა ჰქონია სხვა საქმეში მომეტებული ჯამაგირიც მიეღო, მაგრამ იგი იმდენად შეთვისებია და შესისხლხორცებია სკოლას, რომ საუკეთესოდ დაუნახავს ისევ მასწავლებლად

დარჩენა. სკოლას ერთი დამტვრეული საბავშვო თილისმის ფანარიც აქვს, მაგრამ იგი სახალხო კითხვების გასამართავად სრულიად გამოუსადეგარია.

აუცილებლად საჭიროა, ყველა ამ გარემოებას გამგეობამ და ადგილობრივმა საზოგადოებამ დროზე მიაქციოს ყურადღება და სასწავლებელი ჩააყენოს ისეთს პირობებში, რომ მასწავლებელს უფრო პირნათლად შეეძლოს თავისი მოვალეობის ასრულება. დღეს კი, წინარეხის სკოლას სრული უპატრონობა ეტყობა. არც ადგილობრივი საზოგადოებისა და არც გამგეობის მხრით არავითარი სასურველი მზრუნველობა არა სჩანს. წინანდელი რევიზორებისთვისაც არა ერთხელ უთხოვნია მასწავლებელს, რომ მახლობლად მთიულები ცხოვრობენ. ისინი სკოლის ხარჯს ეწევიან, სკოლით კი ვეღარ სარგებლობენო. მწიგნობრობა მათში თანდათან ვრცელდება, რასაც ხელს უწყობენ ერთმანეთს მთიულები, გვთხოვენ საკითხავ წიგნებს და მათს მოთხოვნილებას მე ვერ ვაკმაყოფილებ თუ წერა-კითხვის საზოგადოება არ დამეხმარება და წიგნებს უსასყიდლოთ დასარიგებლად მათ შორის არ გამომიგზავნისო, მაგრამ მასწავლებლის თხოვნა უყურადღებოდ დაუტოვებიათ და მისთვის ამ მიზნის განსახორციელებლად ერთი ანბანიც კი არ მიუწოდებია.

საზოგადო შენიშვნები ყველა დათვალიერებული სკოლების შესახებ:

ზემოთ მოვიხსენიეთ კერძო შენიშვნები, რომლებიც შეეხებოდა დასახელებულ სკოლებს სათითაოდ. საჭიროდ მიგვაჩნია ზოგიერთი საზოგადო შენიშვნებიც მოვიყვანოთ, რომელთა განხორციელება, ჩვენის აზრით, დიდათ ხელს შეუწყობს სკოლების ნაყოფიერების საქმეს ჩვენში.

1. ფრიად საჭიროა ჩვენს სკოლებში, სადაც მოსახერხებული იქნება, მოეწყოს პატარ-პატარა ფიზიკური და ქიმიური კაბინეტები, რომლებიც წარმოადგენენ საუკეთესო იარაღს რეალური საგნებისა და ბუნების მოვლენათა შეგნებით და დაკვირვებით შესწავლისათვის და ხელს უწყობენ მოწაფეთა გონების განვითარებას დაკვირვებისა და თვალსაჩინოების გზით.

2. სახალხო სკოლის დაბალ განყოფილებათათვის ფრიად საჭიროა სხვადასხვა საგნების და მოდელების კოლექციების შეკრება „დედა ენიდან“ სახელმძღვანელო წიგნის მიხედვით, რადგანაც კითხვის დროს ბავშვებს ხშირად ხვდებათ ისეთი დაშორებული საგნები, რომლებიც ბევრს არც უნახავს. ასეთია, მაგალითად, ზოგიერთი საოჯახო საგნები, რომლებსაც იმერეთში იპოვით, ქართლ-კახეთში

კი არა, ან ქართლ-კახეთში და იმერეთში არა. ზოგიერთი კოლექციებისა და ბალახების მოგროვება და გახმობა თუ სხვა გამოცდილსა და მხნე მასწავლებელს სრულიადაც არ გაუჭირდება და არც დიდს ხარჯს ითხოვს. თანამედროვე პედაგოგიურს მწერლობაში უკვე დიდი ხანია გამორკვეულია ის საშუალება, რომლის შემწეობითაც ყველა მასწავლებელს ადვილად შეუძლიან ყოველგვარი კოლექციები მოაგროვოს განყოფილებათა მიხედვით.

3. ბავშვების ნაწერები ყველა იმ სკოლებში, რომლის დათვალიერებაც მომიხდა წელს, სუფთა წერის მხრით დასაწუნი არ არის; შინაარსის მხრითაც სხვადასხვა ფერობა ეტყობა, მხოლოდ სრულიად უყურადღებოთ არის დატოვებული ზოგიერთი წერითი სავარჯიშოები, რომლებიც უფრო ხელს უწყობენ ბავშვების თვითმოქმედების ძალის და თავისუფალი აზროვნების განვითარებას, საკუთარი აზრის გამოთქმას. ამგვარ სავარჯიშოებს წარმოადგენენ სხვათა შორის მოწაფეების მოგონებანი თავიანთ ცხოვრებიდან, ნახული და გაგონილი. ამისთანა საწერებს საზოგადოთ მასწავლებელი არ უნიშნავს მოწაფეებს, თითონ მოწაფეები აირჩევენ ამა თუ იმ თემას. მხოლოდ ამ არჩევაში მასწავლებელი უწევს მათ საჭირო ხელმძღვანელობას. ამისთანა სავარჯიშოებს, როგორც უფრო სახალისოს, დიდი გავლენა აქვს, როგორც თავისუფლად აზრის გამოთქმის დაჩვევაზე, აგრეთვე მოწაფეთა აღზრდაზეც.

4. ყველა სკოლებში ქართული წერა პირდაპირი, სწორი ხელით წარმოებს, რუსულს კი მრუდე ანუ დახრილი ხელით აწერინებენ. ამნაირად ქართულსა და რუსულს წერის შორის ირღვევა ბუნებრივი კავშირი; მოწაფეები იწყებენ რუსულად პირდაპირ წერას, მასწავლებელი ამრუდებინებს ხელს, ბავშვის გონებაში ბრძოლა ხდება — იგი ხან ცდილობს რუსული წერა ქართულს დაუმორჩილოს და ხან პირიქით — ქართული წერა რუსულს და ეს ერთობის დარღვევა მოქმედებს თვით ორივე წერაზედაც, რადგანაც ვერც ერთი წერიდან სკოლის დამთავრების შემდეგ ვერ გამოაქვს გამაგრებული ხელი. პირდაპირ წერას საზოგადოთ უკანასკნელს დროში საუკეთესო პედაგოგები და ექიმებიც უპირატესობას აძლევენ. არც მთავრობის მხრით არის აღკრძალული სკოლებში პირდაპირი ხელით წერის სწავლება. ამიტომაც სასურველია, რომ ჩვენს სკოლებშიაც შემოღებული იქმნას სრული ერთობა რუსულსა და ქართულს წერაში, რომელიც უნდა ისწავლებოდეს პირდაპირის ხელით, რომელიც, როგორც ყველგან შენიშნულია, უფრო საადვილოა მასწავლებლისათვისაც, სასარგებლო მოწაფეთა ჯანსაღობისათვის.

5. თითქმის ყველა დათვალიერებულს სკოლებში შევნიშნე, რომ არითმეტიკის სწავლება არ არის მოწყობილი თანახმად თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნილებისა. არითმეტიკის სწავლების დროს სკოლებში თავდაპირველად მეტი ყურადღებაა მიქცეული მოქმედებათა შესწავლაზე განყენებულს რიცხვებზე, მარტივი და რთული სახელწოდებული რიცხვებისა და მათზე ოთხი მოქმედების შესწავლა გადადებულია მეოთხე განყოფილებისათვის, ნაწევრებს თითქმის სრუ ლიად არ ასწავლიან და ამოცანების ტიპებად დაყოფას და კეთებას ყველგან საჭირო ყურადღებით არ ეპყრობიან. თანამედროვე პედაგოგიური მწერლობა კი ამ საკითხს სხვანაირად არკვევს — იგი მოითხოვს, რომ ყოველგვარი სავარჯიშოები სახელწოდებულს, განყენებულს რიცხვებზე და ნაწევრებიც თვალსაჩინოდ უნდა ისწავლებოდეს პირველი განყოფილებიდანვე და თან და თან ფართოვდებოდეს შემდეგს კონცენტრებში. ეს თავიდანვე სხვადასხვა გვარობა ვარჯიშობისა არითმეტიკაში უფრო ხელს უწყობს ბავშვის გონების განვითარებას და არითმეტიკის შესწავლასაც უფრო ნაყოფიერად ჰხდის.

6. დასასრულ უნდა შევნიშნო, რომ არც ერთს დათვალიერებულს სკოლას არ მოსდის არც ერთი რიგიანი პედაგოგიური ჟურნალი. სკოლის ბიბლიოთეკებიც მოკლებულია საუკეთესო პედაგოგების თხზულებებს. დღევანდელს პირობებში, როცა ყველგან გატაცებული მსჯელობაა ახალი სკოლების მოწყობის შესახებ, როცა პედაგოგიურს მწერლობასაც ცოტათ თუ ბევრად ფრთა შეესხა და თამამი აზრი და მსჯელობა სუფევს, ყოველს პედაგოგს დანაშაულად უნდა ჩაეთვალოს, როცა იგი ყურმოყრუებულია და ამ ახალ ცხოვრების აღორძინების ხანაში თვალყურს არ ადევნებს პედაგოგიურ აზრთა მოძრაობას ლიტერატურასა და ცხოვრებაში. საზოგადოთ ჩვენებური თანამედროვე სკოლებიც დიდს ძირითადს რეორგანიზაციას მოითხოვს და ჩვენი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ უმთავრესს მიზანს დღეს უნდა შეადგენდეს როგორც სკოლების დაარსება, აგრეთვე არსებული სკოლების გაუმჯობესობის საქმეც. დიდათ ხელს შეუწყობდა ჩვენი საზოგადოება ჩვენს მასწავლებლებსაც, სკოლებსაც და სახალხო განათლების საქმესაც ჩვენში სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალის გამოცემითაც. ამისთანა ჟურნალის გამოცემა პირდაპირი მოვალეობაა საზოგადოებისა და იმედია უყურადღებოდ არ დარჩება.

ბათუმისა და ძველი სენაკის სკოლების რევიზიის შესახებ

ბათუმის სკოლა დავათვალიერე 20 და 21 მაისს. სკოლაში ოთხი განყოფილებაა ოთხი მასწავლებლით. მასწავლებლები: I განყოფილებაში სამოსწავლო წლის დასაწყისიდან თებერვლამდის ასწავლიდა გელაზანია, შემდეგ წლის ბოლომდის გარდავაძე, რომელიც, ამას გარდა ყველა განყოფილებებში ასწავლიდა საღმრთო სჯულს. II განყ. ასწავლიდა სკოლის გამგე ივლიანე გოგოლაშვილი; მესამეში რამიშვილი. იგივე მეოთხეში ასწავლიდა ბუნების მეტყველებას და მეოთხეში ალ. მგელაძე, რომელიც ამასთან ერთად მესამე განყოფილებაში ასწავ ლიდა სამშობლოს აღწერას. ორ მასწავლებელს ბინა სკოლაში აქვს. განათება, გათბობა და მოსამსახურეც სკოლის ხარჯით ეძლევათ; ერთს მათგანს, სკოლის გამგეს აქვს ჯამაგირი 720 მანეთი, მეორეს 600 მანეთი, დანარჩენ ორ მასწავლებელს ბინა სკოლის გარეთ აქვთ დაქირავებული თავისი ხარჯით და იღებს ჯამაგირს 600 მ. თითო. წლის განმავლობაში სასწავლებელში სწავლა ნორმალურად მიმდინარეობდა.

მოსწავლეები: მოწაფეთა რიცხვი სკოლაში დასაწყისში ყოფილა 175, მაგრამ აქედან 42-ს თავი დაუნებებია სწავლისათვის, რადგანაც მომეტებული რიცხვი იმათი მშობლებისა მუშები ყოფილან და ბათუმში, ქარხნების დაკეტვის გამო მიუტოვებიათ ქალაქი, გასულან სოფლად და ბავშვებიც თან წაუყვანიათ. წლის ბოლოს სკოლაში ითვლებოდა 133 მოწაფე, ვაჟები 76, ქალები 37. ვაჟების რიცხვში მაჰმადიანი ოთხია. მოწაფეები განყოფილებათა მიხედვით წლის ბოლოს დანაწილებულნი იყვნენ ასე: I განყოფილებაში 29 ვაჟი და 16 ქალი, სულ – 45; II განყოფ. 37 ვაჟი, 5 ქალი. სულ – 42; III განყოფ. 29 ვაჟი და 5 ქალი. სულ 34. IV განყოფ. 16 ვაჟი და 1 ქალი. სულ 17.

წარსულ წელთან შედარებით საანგარიშო წელს მოწაფეთა რიცხვს მხოლოდ ორი მაჰმადიანი მომატებია. ქართველი მაჰმადიანი, სამწუხაროდ, რაღაც მიზეზის გამო გაურბის ქართულს სკოლას. ბევრს მიზეზებს ასახელებენ ამის შესახებ და ზოგი მათგანი საყურადღებოც არის. ერთი დადგენილება ამ საგნის შესახებ ბათუმის სკოლის კომიტეტისა დიდი ხანია გამოგზავნილია გამგეობაში, მაგრამ დღემდის განუხილველია. საჭიროა მრავალგვარი ზომები მაჰმადიანთა რი-

ცხვის გასამრავლებლად ბათუმის სკოლაში. ერთ უტყუარ საშუალებად უნდა მიგვაჩნდეს ადგილობრივ მასწავლებელთა პიროვნული ზეგავლენა, დამოკიდებულება, ურთიერთობა, ამხანაგური, ძმური, მეგობრული კავშირი და განწყობილება მაჰმადიანებთან, რომელნიც ამნაირ თვისებას მასწავლებელში უეჭველად დააფასებენ და ნდობითაც მოეპყრობიან იმ მასწავლებელს, რომელიც ამასთან ერთად განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევს და თავისი ზეგავლენით იზიდავს სკოლაში მაჰმადიანთა ბავშვებს. ამის დასამტკიცებლად ბათუმის სკოლის წარსული ცხოვრებაც საკმარისია: მაჰმადიანთა რიცხვი ბათუმის სკოლაში მეტი ყოფილა სწორედ იმ დროს, როდესაც მასწავლებელი მტკიცედ მდგარა ზემოთ ნაჩვენებ გზაზე. იმათ, მაჰმადიანი ქართველები, რომელთანაც შემთხვევა მქონია დაახლოვებით ლაპარაკისა, დღესაც პატივცემით იხსენიებენ. მჯერა, რომ ფრიად ძნელია მოღვაწეობა სახალხო მასწავლებლობის ასპარეზზე საზოგადოთ ჩვენში და მომეტებულად ბათუმის სკოლაში, სადაც ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზი ეღობება წინ მასწავლებელს, მაგრამ მას, როგორც მოღვაწეს, კარჩაკეტილი ცხოვრება მაინც შეჰფერის. იგი მუდამ იმ ხალხში უნდა ტრიალებდეს, სადაც მისი მოღვაწეობის ადგილია, აგონებდეს ხალხს სიტყვით, საქმით გონიერ აზრებს და ნერგავდეს კეთილ განწყობილებას ჩვენსა და მაჰმადიან ქართველთა შორის. ამას დღევანდელი ბათუმის სკოლის მასწავლებლებიც არ ჰყოფენ უარს; ისინიც, შეძლებისადაგვარად მუშაობენ ამ მხრითაც, მაგრამ მათ მოქმედებას, როგორც ეტყობა, შემთხვევითი ხასიათი აქვს, არა ხშირი და მუდმივი. ამიტომაც ნაყოფი შედარებით მცირეა. რასაკვირველია, ამ ფრიად მთელ საქმეში ყველაფერს მასწავლებელს ვერ მოვთხოვთ, რადგანაც ამისთვის დიდი გამჭრიახობა, ნიჭი და უნარია საჭირო, რომელიც ყველას ვერ ეხერხება და ბევრს ვერც მასწავლებლებს მოვთხოვთ აქ. საზოგადოთ ყველამ, ვისაც ამ საქმეში ნიჭი და უნარი შესწევს, უნდა შეეცადოს რომ მაჰმადიანი ქართველები არ უფრთხოდნენ ქართველებს და ქართულს სკოლას. პირიქით, აღიარონ იგი თავიანთვის აუცილებელ და საჭირო დაწესებულებად, რომელიც მათს შვილებს დიდს სარგებლობას მოუტანს. დიდი შეცდომაა ჩემის აზრით, რომ დღემდის არავის უზრუნვია რომელიმე ბათუმის სკოლაში კურსდამთავრებული მაჰმადიან ქართველთაგანი მასწავლებლად აღეზარდოს, დაებრუნებინათ სკოლისათვის, სადაც იგი მასწავლებლობას გასწევდა მაჰმადიანთა შორის და შეეცდებოდა სამუდამო კავშირის დაცვას ბათუმის სკოლისა

და იქაურ მაჰმადიან ქართველთა შორის. დღეს, როგორც სჩანს მამედ ბეგ აბაშიძის განცხადებიდან ადგილობრივს კომიტეტში ბათუმის სკოლაში მაჰმადიანთა რიცხვის გამრავლებას ხელს შეუწყობს მაჰმადიანი ქართველი მასწავლებელიო! და ის აზრიც მიღებულია ბათუმის სკოლის სამზრუნველოს მიერ 1907 წლის ოქტომბრის სხდომაზე. მხოლოდ შოვნა ასეთის მასწავლებლისა ამჟამადაც ძლიერ სჭირს. წ. კ. გ. საზოგადოებას-კი დღემდის არ უფიქრნია თავისი წესდების §2, მერვე მუხლი განეხორციელებინა, რაც ფრიად საჭირო იყო ბათუმის სკოლისათვის. შარშან, როგორც წარსული წლის ანგარიშში გვქონდა მოხსენებული, მეოთხე განყოფილების 16 მოწაფე დათხოვნილი იქმნა სკოლიდანო. როგორც ადგილობრივ გადმომცეს, იმათგანი ერთი შესულა ხონის გიმნაზიაში, ორი სახელოსნო სასწავლებელში, ოთხი საქალაქო სასწავლებელში და ერთიც ბათუმის გიმნაზიაში და დანარჩენების შესახებ ცნობები არ არის.

სწავლების საქმე: ბათუმის სკოლაში საანგარიშო წელს ყველა განყოფილებაში სწავლების საქმე წესიერად მიდიოდა. საღმრთო სჯულიდან მასწავლებელს გაუვლია I განყოფილებაში თორმეტი უმთავრესი დღესასწაული; მეორეში ზოგიერთი ლოცვები და ძველი აღთქმის ისტორია, მესამეში უსწავლებია ლოცვები რუსულად და ქართულად, ძველი აღთქმის ისტორია და ლოცვები, ახალი აღთქმის ისტორიიდან ის მოთხრობები, რომელნიც მესამეში არ გაუვლიათ. სახელმძღვანელო წიგნად ჰქონიათ რუსული „Начальное наставление в православной христианской вере“ Д. Соколова და ქართული საღმრთო ისტორია გ. იოსელიანისა. რაც კი უსწავლიათ მოსწავლეებს ახსოვთ. თუმცა-ღა ზოგიერთებს თავისუფლად მოთხრობა ვერ ეხერხებათ, მაგრამ კერძო კითხვებზე სწორ პასუხს იძლევიან. რაც შეეხება პროგრამას, როგორც დავინახეთ, არ არის შედგენილი კონცენტრიულს წესზე და ბევრში განსხვავდება იმ პროგრამიდან, რომელიც არსებობს „წერა- კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სკოლებისათვის, თუმცა-ღა უნაკლულო არც ის პროგრამა არის. სწავლება საღმრთო სჯულისა და ლოცვებისა უცხო ენაზე, რასაკვირველია, ყოველს საღს მოსაზრებას მოკლებულია, მაგრამ უფრო შეუწყნარებელია, როცა მასწავლებელი გამოედევნება წვრილმან საკითხებს. მაგალითად: მესამე განყოფილებაში მასწავლებელმა გამოკითხა რუსულად „მამაო ჩვენო“-ს სრული განმარტება დოღმატიკურად, დაყოფა ლოცვისა სამ ნაწილად: призывание /მოწოდება/, 7 прошении /7 თხოვნა/ და славословие/ დიდების მეტყველება/ და სხვა, რომელიც

სრულიად უადგილოა დასაწყისს სკოლებში ქართულ ენაზედაც კი, არა თუ სლავიანურად. მასწავლებელი იძულებულია საღმრთო სჯულიც რუსულად ასწავლოს, რადგანაც სხვა სასწავლებლებში, სადაც ბავშვები გადადიან, ამ საგნის ცოდნასაც მიღების დროს რუსულად თხოულობენ.

ქართული ენა: მასწავლებელს პირველ განყოფილებაში ქართული ენიდან გაუვლია „დედა ენის“ 46 გვერდამდის ყველა მოთხრობები, ზღაპრები, სასაუბროები და ანდაზები არჩევით, ათამდის ლექსი. „დედა ენის“ 46 გვერდამდის 25 მეტი დიდი და პატარა ადვილი სასწავლო ლექსებია მოთავსებული. ამათში მასწავლებელს მხოლოდ ათიღა უსწავლებია და ისიც ისეთები, რომელნიც შინაარსით და გამომეტყველებით წაკითხვით უფრო დაბლა სდგას დანარჩენებზე, კით თხულობენ საზოგადოთ საკმარისად, ნასწავლი მოთხრობათა შინაარსი ზოგს კარგად არ ახსოვს და უჭირს თავისუფლად გადმოცემა, თუ არა კითხვების საშუალებით. გაკვეთილზე შევნიშნე რომ მასწავლებელი ლექსების სწავლების დროს პირდაპირ აკითხებს ლექსებს მოწაფეებს ნაწილ-ნაწილად და შემდეგ ათქმევინებს ლექსის შინაარსს, რომლის გადმოცემაც მოწაფეებს უძნელდებათ. ამისთვის უკეთესი საშუალებაა თავდაპირველად რომელიმე საკითხავი მასალა თვითონ მასწავლებელმა წაიკითხოს გარკვევით, გამომეტყველებით, რომ მოწაფეს ერთბაშად შეეძლოს მთელი შინაარსის წარმოდგენა და გამომეტყველებით წაკითხვასაც მიეჩვიოს მასწავლებლის მიბაძვით.

მეორე განყოფილება: ამ განყოფილებაში ქართული ენიდან გაუვლიათ „დედა ენის“ მეორე ნაწილი 43 გვერდიდამ ბოლომდის. უკითხავთ საბავშვო მოთხრობები „ჯეჯილიდან“ და „ნაკადულიდან“, აუწერიათ სურათები, უსწავლიათ საგანი, თვისება, მოქმედება, მხოლოობითი და მრავლობითი რიცხვი, წინადადების ნაწილები: ქვემდებარე და შემასმენელი. უვარჯიშნიათ კითხვებზე პასუხების, კარნახის, მოკლე აწერილობის, შედარების და მოთხრობათა მოკლე შინაარსის წერით გადმოცემაში. საზოგადოთ მასწავლებელს დიდი შრომა გაუწევია. ბავშვებმა ნასწავლი კარგად იციან, ლექსებსაც კარგად კითხულობენ, წაკითხულის შინაარსის გადმოცემაც ეხერხებათ და თავიანთ სიტყვა-პასუხით კარგს შთაბეჭდილებას ახდენენ. ეს ის განყოფილებაა, რომელიც შარშან ყველაზე უფრო სუსტი იყო, მაგრამ გამოცდილ მასწავლებლის ხელში საკმაოდ დაწინაურებულა როგორც ქართულში, ისე სხვა საგნებშიაც.

მესამე განყოფილება: ამ განყოფილებაში გაუვლიათ ზოგიერთი მოთხრობები შინაურ და გარეულ ცხოველების, ფრინველების, თევზების, ქვეწარმავალის, მცენარეების, მადნეულების, წელიწადის დროთა და სხვათა შესახებ, უსწავლიათ 5-მდის ვრცელი მოთხრობა, 11 ლექსი, 9 იგავ-არაკი, მოკლე ცნობები გრამატიკიდან და ისტორიიდან ძლიერ მოკლედ დავით აღმაშენებლამდის. ნასწავლი მოწაფეებს საკმარისადა აქვსთ შეთვისებული. სახელმძღვანელოდ მასწავლებელს შემოუღია ამ განყოფილებაში „დედა ენის“ შემდეგ „წყარო“ I და II ნაწილი, საიდამაც არჩევით აუღია საკითხავი მასალა, მაგრამ ბოლოს, როგორც კარგად დაჰკვირვებიან საქმეს მასწავლებლები, ამ ცდიდან იმ დასკვნამდის მისულან, რომ „წყარო“-ში მოთავსებულ მასალას, როგორც მეცნიერების, ისე ენის მხრითაც სისუსტე ეტყობა და სახელმძღვანელო წიგნაკად არ გამოდგებაო. თუმცა-ღა ორივე წიგნის შეძენა მოწაფეებს იაფად არ დაუჯდებოდათ, მაგრამ ამ ცდას ისეთი შედეგი მოჰყოლია, რომელსაც მომავალში უთუოდ გაასწორებენ.

მეოთხე განყოფილება: ქართულ ენიდან უსწავლიათ 7 ლექსი, 8 იგავ-არაკი, 5 ვრცელი მოთხრობა და ექვსი მწერლის ბიოგრაფია. გავლილი მასალა დროსთან შედარებით ცოტაა. მასალა აუღია „წყარო“-ს II ნაწილიდან და „ქართველი მწერლებიდან“. აქაც ორი სახელმძღვანელო შემოუღია მასწავლებელს. მოწაფეებს მოთხრობების შინაარსი საკმარისად ახსოვსთ; კითხულობენ უცნობ მოთხრობას კარგად და შინაარსის გადმოცემაც შეუძლიანთ. ნასწავლი ლექსები და იგავ-არაკები ზეპირად ყველამ კარგად არ იცის. არც მასალის არჩევაში ეტყობა საღი მოსაზრება, რადგანაც სახელმძღვანელოებში იმაზე უკეთესიც და უფრო შესაფერისი მასალებიც მოიპოვება, რაც მასწავლებელს გაუვლია. მინდოდა გამეგო თუ რამდენად ეხერხებათ სკოლაში კურს დამამთავრებელ მოწაფეებს თავისუფლად წერით აზრის გამოთქმა. ვსთხოვე მასწავლებელს მიეცა მოწაფეთათვის შესაფერისი თემა. მასწავლებლის წინადადებით მოწაფეებმა დასწერეს „აღდგომის დღესასწაულები“ /მოგონება/. ნაწერებს საზოგადოთ შინაარსისა და წერის მხრითაც არა უშავს რა, ზოგიერთების ნაწერი კარგიც არის.

ქართული ენის სწავლება სკოლაში ურიგოთ არ არის დაყენებული, მაგრამ ჩემის აზრით საჭიროა, რომ თითოეულს განყოფილებაში განსაზღვრული პროგრამა იყოს და წინდაწინვე აღნიშნული ის მასალა, რის გავლასაც ფიქრობს მასწავლებელი მთელი წლის გან-

მავლობაში. ეს პროგრამა კი უსათუოდ განხილული უნდა იქნას პედაგოგიურს საბჭოში, რომელიც მოწონების შემდეგ მისს შესრულებას დაავალებს ამა თუ იმ განყოფილების მასწავლებელს.

რუსული ენა: პირველ განყოფილებაში რუსულ ენიდან ბავშვები არ გამომიცდია და არც მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი პროგრამიდგან სჩანს უსწავლიათ ამ განყოფილებაში რუსული ენა თუ არა. მეორე განყოფილებაში დაუმთავრებიათ ლექსიური განყოფილება, გაუვლიათ ანბანი და დაუსრულებიათ მთლად „Русское Слово"-ს პირველი ნაწილი. საზოგადოთ ამ განყოფილების მოწაფეებს რუსულშიაც საკმარისად ეტყობათ წარმატება, ნასწავლი შეგნებით იციან, რუსულ ლექსებსაც კარგად კითხულობენ, წერითაც არა უშავთ რა, მხოლოდ ეტყობა რომ მოწაფეებს ცოტას აწერინებენ, ორთა შუა რიცხვით კვირაში ერთხელ სწერენ. მასწავლებელს ყოველთვის შეუძლია მთელი საათი არ მოანდომოს მარტო ერთგვარ კითხვასა და ზეპირ სავარჯიშოს. კითხვის შემდეგ ერთსა და იმავე გაკვეთილზე შეიძლება წერაც ცოტ-ცოტა, მაგრამ ხშირად. ამით მეცადინეობაშიაც დაცული იქნება სხვა და სხვა ფერობაც.

მესამე განყოფილებაში: რუსული ენიდან გაუვლიათ მოთხრობები, სასაუბროები, ლექსები და იგავ-არაკები „Русское Слово"-ს II ნაწილიდან, შეუსწავლიათ ექვსი ლექსი და ექვსი იგავ-არაკი, უსწავლიათ რუსული გრამატიკაც, სიტყვის და წინადადების უმთავრესი ნაწილები, უკითხავთ საბავშვო საკითხავი წიგნი ტოლსტოისა, აუწერიათ რამდენიმე სურათი. ნასწავლი მასალა მოწაფეებს შეგნებით შეუთვისებიათ და საზოგადოთ წარმატება რუსულ წერა-კითხვაში საკმარისია, მხოლოდ სრულიად მეტ ბარგად მიგვაჩნია რუსული ენის გრამატიკის თეორიულად სწავლება ამ განყოფილებაში. რუსული ენის სწავლებას აქაც მხოლოდ პრაქტიკული ხასიათი უნდა ჰქონდეს, მომეტებული ყურადღება უნდა მიექცეს კანონიერ ლაპარაკს და წერა-კითხვას, რომელიც უფრო პრაქტიკული ვარჯიშობით შეისწავლება და არა თეორიით. რუსულ წერაშიაც ბავშვს წარმატება ეტყობათ და საწერი მასალაც სხვა და სხვა სავარჯიშოებიდან შესდგება.

მეოთხე განყოფილებაში: რუსული ენიდან უსწავლიათ 7 ლექსი და 8 იგავ-არაკი. სახელმძღვანელო წიგნად მასწავლებელს უშინსკის „Родное Слово"-ს II ნაწილი აურჩევია. არ ვიცით კი რა მოსაზრებით, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეს ამ სახელმძღვანელოზე უკეთესებიც მოიპოვება რუსულ მწერლობაში და „Родное Слово" უშინსკისა ამის გამო დღეს ისეთს ხმარებაში არ არის რუსულ სკოლებშიაც კი,

როგორც რამდენიმე წლის წინად იყო. რუსული ენის ცოდნა მოწაფეებს საკმარისი აქვთ. წანაკითხს ადვილად იგებენ და კიდეც შეუძლიანთ შინაარსის მოყოლით გადმოცემა რუსულად. როგორც რუსულს, ისე ქართულ ნაწერებშიაც მასწავლებელს ბევრი შეცდომები ეპარება და რჩება გაუსწორებელი.

საზოგადოთ რუსული ენის სწავლებაც სკოლაში არ არის ურიგოდ დაყენებული, მხოლოდ, ჩემის აზრით, საჭიროა უფრო მეტი ყურადღება მიექცეს განმარტებით კითხვას და ზეპირ სწორ ლაპარაკში ვარჯიშობას.

არითმეტიკა: პირველ განყოფილებაში უსწავლიათ ოთხი მოქმედება 20-დის. ზეპირ ანგარიშში ოცის ფარგალში მოწაფეებს საკმარისი ცოდნა აქვთ, ამოცანების კეთებაც იციან, წერით ანგარიშში კი ეტყობათ ცოტა უვარჯიშნიათ. თუმცა-ღა I განყოფილებაში ანგარიშის ცოდნა ოცამდის არის სავალდებულო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოწაფეები მარტო ოცის ფარგალში ავარჯიშონ, როცა მათ ადვილად შეუძლიათ შეისწავლონ ამასთან ერთად თვლა ასამდის და ოთხი მოქმედება ათეულებზე და ოცეულებზე. მეორე განყოფილებაში შეუსწავლიათ ოთხი მოქმედება რიცხვებზე 100-მდის, რიცხვების წერა და კითხვა ათასამდის, შეკრება და გამოკლება, შეუსწავლიათ წონის, სიგრძის, ქაღალდის და დროის ზომები. საზოგადოთ წარმატება არითმეტიკაში კარგია. მასწავლებელი კარგი მეთოდით ხელმძღვანელობს, დაკვირვება და გამოცდილებაც შესაფერისი აქვს და ყოველს კითხვებზე მოწაფეებიც ისეთს პასუხს იძლევიან, რომელშიაც არც ერთი სიტყვა არ არის არც მეტი და არც ნაკლები. მესამე განყოფილებაში არითმეტიკიდან უკეთებიათ ამოცანები ქართულად და რუსულად ჯერ ასის ფარგალში და შემდეგ დიდ რიცხვებზე წერით და ზეპირად, გაყოფა იციან ერთნიშნოვან რიცხვებზე. ოთხი მოქმედება რიცხვებზე მოწაფეებს საკმარისად აქვთ შეთვისებული, ზეპირ ანგარიშში და ამოცანების კეთებაშიაც ეტყობათ წარმატება. მხოლოდ ამოცანების კეთება ეწინააღმდეგება საღ პედაგოგიურს მოსაზრებას, რადგანაც რუსულად ახსნა ამოცანებისა მესამე განყოფილებაში არითმეტიკულ ცოდნის შეძენას-კი არ წარმოადგენს, არამედ რუსულ ენაში ვარჯიშობას. მესამე განყოფილებაში თუ დედა-ენაზე იქნება მხოლოდ არითმეტიკის სწავლება, მოწაფეები უფრო მეტსაც შეისწავლიან წლის განმავლობაში და მაშასადამე ბავშვებსაც მეტი განვითარება ექნება. რვეულებში, რაც ამოცანები უკეთებიათ, მომეტებული რიცხვი რუსულ ზომებს შეეხება /ჩეტვერტ ჩეტვერტიკს/. ეს

ზომები ბავშვებს არც უნახავთ, მათ შესახებ წარმოდგენაც არ აქვთ, რადგანაც ამ ზომების კოლექციები სკოლაში არ მოიპოვება და უეჭველად ისე ზეპირად, შეუგნებლად აქვთ შესწავლილი. მეოთხე განყოფილებაში არითმეტიკიდან უკეთებიათ ამოცანები გოლდენბერგის კრებულიდან რთულ სახელწოდებულ რიცხვებამდის, იციან დაშლა და გადაქცევა სახელწოდებული რიცხვებისა, აქვსთ ზოგიერთი ცნობები ნაწევრების შესახებაც, შეუსწავლიათ ზოგიერთი პრაქტიკული ცნობები გეომეტრიიდანაც. საზოგადოთ ნასწავლი ბავშვებს შეგნებით აქვსთ შეთვისებული; რაც შეეხება გავლილ მასალის მოცულობას, უნდა ვთქვათ, რომ ქართულ ენაზე რომ ყოფილიყო სწავლება ამ მასალას სავსებით გაივლიდნენ მესამე განყოფილებაში; რვეულებშიაც ამოცანებს რუსულად აკეთებენ. ყოველ ამოცანის პირობები იწერება რვეულებში, რაც, უეჭველია, ბევრ დროს ითხოვს და არც საჭიროა. მოწაფეებმა არ იცოდნენ, რომელ რიცხვს ჰქვიან სახელწოდებული და რომელს განყენებული, ან რომელია რთული და რომელი მარტივი სახელწოდებული რიცხვი. როგორც წარმოდგენილ ანგარიშიდან სჩანს არ უკეთებიათ ამოცანები სახელწოდებული რიცხვების ოთხს მოქმედებაზე. ზეპირ ანგარიშში მოწაფეები კარგად არიან გავარჯიშებულნი; პროგრამის შესრულება-კი მასწავლებელს, როგორც სჩანს, ვერ მოუსწრია. საზოგადოთ, არითმეტიკის სწავლებაც სკოლაში არ არის ურიგოდ დაყენებული, მხოლოდ საჭიროა წინდაწინვე გათვალისწინება იმისი, რაც უნდა გააკეთოს მასწავლებელმა წლის განმავლობაში და შემდეგ შეუდგეს მის განხორციელებას და თუ დრო ხელს არ უწყობს, საჭიროა პროგრამიდან უმთავრესი ნაწილი მაინც ასწავლოს და არ დასტოვოს მოწაფეები შუა გზაზე. საჭიროა აგრეთვე სკოლაში შემოღებულ იქნეს ერთნაირი წესი არითმეტიკული ამოცანების კეთებისა იმ რიგად, როგორც ეს არსებობს ამ სკოლის მეორე განყოფილებაში.

სამშობლოს შესწავლა: ამ საგნიდან ზოგიერთი ელემენტარული ცნობები მოწაფეებს ეძლევათ მეორე განყოფილებიდანვე, მესამე და მეოთხეში უფრო დასრულებული ცნობები აქვსთ საქართველოს გეოგრაფიისა და ისტორიის შესახებ. მესამე განყოფილებაში შეუსწავლიათ საქართველოს ყველა ნაწილები მოკლედ და ისტორიული ცნობები დავით აღმაშენებლამდის, შემოკლებით. საზოგადო კითხვებზე მოწაფეები სწორ პასუხს იძლევიან და ნასწავლიც შეუთვისებიათ. მეოთხე განყოფილებაში საქართველოს გეოგრაფია გაუვლიათ უფრო ვრცლად. გაუცვნიათ საზოგადოთ კავკასია და მისი

მნიშვნელობა ეხლა და წარსულში, ვაჭრობა-მრეწველობა ძველი დროიდან და ეხლა. კავკასიის ადმინისტრატიული დანაწილება და მართვა-გამგეობის ფორმა, რუსეთთან შემაერთებელი გზები და დედამიწის ხუთი უმთავრესი ნაწილები. ისტორიიდანაც შეუთვისებიათ უმთავრესი ცნობები საქართველოს გაქრისტიანებიდან რუსეთთან შეერთებამდის და პირობები ამ შეერთებისა. საზოგადოთ ნასწავლის ფარგალში მოწაფეები საკმარისს პასუხს იძლევიან.

თვალსაჩინო სწავლება და ბუნების მეტყველება. პირველ განყოფილებაში მასწავლებელს საუბარი ჰქონია სხვათა შორის მახლობელ საგნებზე, ჭურჭლებზე, შინაურ და გარეულ ცხოველებზე, შინაურ და გარეულ ფრინველებზე და მწერებზე. ნასწავლი იციან და საზოგადო კითხვებზედაც საკმარისს პასუხს იძლევიან. მეორე განყოფილებაში იციან ყველა საუბრები, რაც მოთავსებულია „დედა-ენის“ მეორე ნაწილში. მესამე და მეოთხეში უსწავლიათ ადამიანის სხეულის ანატომია-ფიზიოლოგია და ჰიგიენა /მოკლედ/, ცხოველები ხერხემლიანი და უხერხემლო. მათი კლასიფიკაცია, მცენარეები, მინერალები და ბუნების მოვლენანი. ამ საგანში მასწავლებელს უხელმძღვანელნია პოლბერის წიგნებით. ნასწავლი მასალა მოწაფეებს შეთვისებული აქვსთ და კითხვებზედაც ჯეროვანს პასუხს იძლევიან. წერა საზოგადოთ, როგორც ქართულის ისე რუსულისაც წესიერად არის დაყენებული, რომელიმე დედნით ხელმძღვანელობა არ ეტყობათ, მაგრამ მომეტებულ რიცხვს მასწავლებლებისას კარგი ხელი აქვსთ და წერის სწავლებაც ამ პირობაში არ გაუძნელდებათ; იგივე არ შეგვიძლია ვსთქვათ ხატვა-ხაზვისა და გალობა-სიმღერის შესახებ. ეს საგნები თითქოს სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული, ალბად იმიტომ, რომ ვერც ერთს მასწავლებელთაგანს სასურველად ვერ ეხერხება ვერც ერთისა და ვერც მეორე საგნის სწავლება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მოწაფის სწავლა-აღზრდის საქმეში.

საღამოებით კურსები მოზრდილთათვის. საანგარიშო წელს ბათუმის სკოლაში შემოუღიათ საღამოობით მეცადინეობა მოზრდილებთან. მეცადინეობა იმართება კვირაში ოთხჯერ. ამ საქმეში უსასყიდლო შრომას ეწევიან გარდა ბათუმის სკოლის მასწავლებლებისა სხვა ადგილობრივი მასწავლებლებიც: ნაკაშიძე, აბაშიძე, ჯომარჯიძე, უზნაძე, კეჟერაძე, ხაზაროვი, შარაშიძე, ღლონტი, ფერაძე, ლომინაძე და სხვანი. მოწაფეები დაყოფილია რამდენიმე ჯგუფად. ასწავლიან: ქართულს, რუსულს, არითმეტიკას, გეოგრაფიას, ისტორიას, ფიზიკას, გეომეტრიას და სხვ. ჩაწერილია სულ 184 მოწაფე ქალი და კაცი; ორთა

შუა რიცხვით სკოლაში იკრიბება ყოველთვის 60 მოწაფე. მოწაფეთა შორის 12 მაჰმადიანი ქართველია. მოწაფეთ და მასწავლებლებსაც საზოგადოთ დიდი ხალისი ეტყობათ ამ მუშაობაში. დავესწარი ორ გაკვეთილს რუსული ენისა და გეოგრაფიისას. უკანასკნელმა გაკვეთილმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. მასწავლებელი დალაგებით და ყველასათვის გასაგებად ესაუბრებოდა რაჭაზე და სვანეთზე, გზა და გზა ბევრს საყურადღებო ცნობებს უხსნიდა; მსმენელებიც დიდი ყურადღებით ისმენდნენ ნაამბობს. სწავლება საგნისა ქართულად წარმოებს და თუ მომავალში მასწავლებლებს გულგრილობა არ დაეტყოთ, დიდს და უანგარო სამსახურს გაუწევენ ადგილობრივ მუშა ხალხს, რომელიც დღეს გატაცებით ეტანება სწავლა-განათლებას. სკოლის გამგეს ბ-ნს ივლიანე გოგოლაშვილს, რომელიც მეთაურობს ამ საქმეში, სასურველად მიაჩნია ზაფხულშიაც არ შესწყდეს ეს მეცადინეობა მომეტებულად წერა-კითხვის უმეცართა ჯგუფში, მაგრამ თითონ მასწავლებლებს ზაფხულში დასვენება სჭირიათ. საშუალება იმისთვის, რომ დაიქირავონ ვინმე სანდო მასწავლებელთაგანი, არ მოეპოვებათ. მცირე შემოსავალი ჰქონდათ სახალხო ლექციებიდან, მაგრამ ადგილობრივს მთავრობას ლექციების კითხვა ქართულად ბათუმში აუკრძალავთ და ეს საშუალებაც მოჰკლებიათ. კარგი იქნება „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობა, თუ ადგილობრივ იშოვნიან ვისმე სანდო მასწავლებელს, რომელსაც შეეძლება მეცადინეობა წერა-კითხვის უმეცართა ჯგუფში, რამე დახმარებას გაუწევს და ორი თვის ჯამაგირს მასწავლებლისას იკისრებს.

ბიბლიოთეკა და სწავლაში ხელსაწყო ნივთები. შარშანდელ ანგარიშშიც მოვიხსენე, რომ ბათუმის სკოლის ბიბლიოთეკა ძლიერ ღარიბია ქართული წიგნებით მეთქი. ამის შესახებ გამგეობა შარშანვე შეჰკითხვია პედაგოგიურს საბჭოს გამოეგზავნათ სკოლისთვის საჭირო წიგნების სია; პედაგოგიურს საბჭოს გამოუგზავნია წიგნების სია და უთხოვნიათ წიგნები. შემდეგაც რამდენ ჯერმე გაუმეორებიათ თხოვნა, მაგრამ დასახელებული წიგნები დღემდისაც არ მიუღიათ. ამნაირი უყურადღებობა გულს უგრილებს მასწავლებლებს გამგეობის მოქმედებაზე და სამართლიანიც არის, მათი საყვედური აუცილებლად საჭიროა ყოველს შეკითხვაზე და თხოვნაზე მასწავლებლებს დროზე მიეცეს პასუხი და არა ერთი წლის შემდეგ, როგორც ხშირად მომხდარა. სწავლაში ხელსაწყო ნივთებითაც ღარიბია ბათუმის სკოლა. ყველა სასწავლო საგანი ითხოვს ამა თუ იმ ნივთებს სწავლებაში დასახმარებლად. ამის შესახებ ჩვენი აზრი გამოვსთქვით

შარშანვე, საზოგადო ანგარიშის ბოლოში. გამგეობას ამის შესახებ არავითარი მსჯელობა არ ჰქონია როგორც სჩანს და არც ბათუმის სკოლის პედაგოგიურ საბჭოსათვის მოუწოდებია ის ცნობები, რაც შარშან მქონდა აღნიშნული. სკოლას აქვს მხოლოდ ზოგიერთი სურათები სასკოლო ოთახში კედლებზე გაკრული, რადგანაც სკოლის ეზოდან, რომელიც წვრილი ქვიშითაა მოფენილი, მტვერი თავისუფ ლად შედის საკლასო ოთახებში და ამის გამო სურათებიც ფუჭდება. საჭიროა კედლებზე დასაკიდი მსუბუქი შკაფები და სურათების შიგ ჩალაგება, ხოლო საჭირო შემთხვევაში გამოღება და ხმარება.

სკოლის შენობის ერთს ნაკლულევანებას შეადგენს ის, რომ არ არის არც ბიბლიოთეკის და არც სამასწავლებლო ოთახები. რომ ადგილობრივი საზოგადოება მეტის ყურადღებით მოეპყრას ბათუ-მის სკოლას და უკეთ ამოძრავდეს ადგილობრივი ძალები, პირველ ყოვლისა საჭიროა ფილიალული განყოფილების დაარსება ბათუმში. ამას თვითონ ბათუმელებიც თხოულობენ და გამგეობა დაუყოვნებ-ლივ უნდა შეუდგეს ამ აზრის განხორციელებას. მურღულის ხეობის მაჰმადიანი ქართველები ართვინის ოლქში თხოულობენ სკოლის გახსნას; ამის შესახებ დიდი ხანია თხოვნა გამოგზავნილია გამგეობაში. ამ საქმის მოწყობა ყველაზე უფრო შეუძლია ბათუმის განყოფილებას და რაც მალე შეუდგებიან საქმეს მით უკეთესია.

საზოგადოთ ბათუმის სკოლამ წელს გაცილებით უკეთესი შთაბეჭდილება მოახდინა ვიდრე შარშან. სკოლაში სასურველი წესიერებაა დაცული. მასწავლებლებს საანგარიშო წელს მუყაითად უმუშავნიათ და მათ შრომასაც გაცილებით უკეთესი ნაყოფი ეტყობა. უეჭველია, თუ რამ დამაბრკოლებელი მიზეზი არ აღმოჩნდა, მომავალშიაც სკოლის საქმეებს უფრო მეტი წარმატება დაეტყობა...

ძველი სენაკის სკოლა დავათვალიერე 23-24 მაისს. სკოლას საანგარიშო წლის განმავლობაში 5 მასწავლებელი ჰყავდა.

მასწავლებლები: I განყ. ასწავლიდა პ. ლორთქიფანიძე. იმასვე ჰქონდა 2 გაკვეთილი სამშობლოს აღწერისა III განყ. სულ 26 გაკვეთილი კვირაში. II განყოფ. ასწავლიდა რაჟდენ გამსახურდია ყველა საგნებს, გარდა რუსული წერა-კითხვისა და გალობისა. იგივე ასწავლიდა საღმრთო სჯულს III და IV განყოფილებებში. კვირაში ჰქონდა სულ 23 გაკვეთილი. III განყოფილებაში ასწავლიდა ნიკო ჯანაშია. ჰქონდა სულ 26 გაკვეთილი კვირაში. IV განყოფილებაში, გარდა საღმრთო სჯულისა და სამშობლოს აღწერისა, ყველა საგანს ასწავლიდა ანდრია შუბლაძე. ჰქონდა სულ 26 გაკვეთილი კვირაში. სკოლის გამგე დომენტი ოყროშიძე ასწავლიდა რუსულ წერა-კითხვას II განყ.

/9 გაკვეთილი კვირაში/, სამშობლოს აღწერას IV განყ. /2 გაკვ./ და გალობას / 1 გაკვეთილი. II განყ. სულ კვირაში ჰქონდა მას 12 გაკვეთ. ავადმყოფობის გამო მასწავლებელს პ. ლორთქიფანიძეს წლის განმავლობაში ბევრი გაკვეთილები გამოუშვია, თითქმის მთელი თვეობითაც არ მიუცია გაკვეთილები. სექტემბერში, ოქტომბერში და ზოგჯერ სხვა დროსაც ლორთქიფანიძის მაგიერ I განყ. უმეცადინია სკოლის გამგეს დ. ოყროშიძეს, რომელსაც ორთაშუა რიცხვით მიუცია ლორთქიფანიძის მაგიერ 312 გაკვეთილი. საზოგადოთ პ. ლორთქიფანიძეს, როგორც ადგილობრივ გადმომცეს, ძლიერ სწყინს სენაკის ჰავა. ექიმის სიტყვით იმის ჯანმრთელობისთვის აუცილებლად საჭიროა ჰაერის გამოცვლა. ამ საგნის შესახებ სკოლის გამგეს შუამდგომლობა აღუძრავს ქუთაისის სამზრუნველოსა და ქ. შ. წ. კ. გ. ს. გამგეობის წინაშე, რომ პ. ლორთქიფანიძე გადაეყვანათ შესაფერისს ადგილზე და მიეცათ მისთვის შეძლება ჯან-საღობის აღდგენისა, მაგრამ ეს შუამდგომლობა ჯერჯერობით უყურადღებოთ არის დატოვებული. ჩემის აზრით არც საქმისთვის და არც კერძოთ ლორთქიფანიძისათვის ხელსაყრელი არ არის სენაკში დარჩენა. ამიტომ საჭიროა ეხლავე ზრუნვა მის შესახებ, რომ პ. ლორთქიფანიძეს მიეცეს ისეთი ადგილი, რომლის ჰავა და მდებარეობაც უკეთ შეუწყობს ხელს მის ჯანმრთელობას და სადაც მუშაობასაც შეიძლებს, ამისთანა ადგილად მიაჩნიათ ქუთაისი, სადაც ცხოვრება ნაკლებ ჯამაგირითაც უფრო ხელსაყრელია ლორთქიფანიძისათვის, ვიდრე სენაკში დარჩენა; სენაკის სკოლა განყოფილებაა ქუთაისის სათავად-აზნაურო გიმნაზიისა და თუ უკანასკნელის მოსამზადებელ კლასებში მასწავლებლობის ადგილი აღმოჩნდება ან სასწავლებელში აღმზრდელის ადგილი თავისუფალი, ამ ადგილზე უპირატესობა უნდა მიეცეს იმ მასწავლებლებს, რომელნიც მათ უწყებაში მსახურობენ. საჭიროდ მიმაჩნია მოვახსენო გამგეობას, რომ აღძრას შუამდგომლობა ქუთაისის ქართ. გიმნაზიის სამეურნეო კომიტეტის და პედაგოგიურ საბჭოს წინაშე, რომ აღმოუჩინონ ლორთქიფანიძეს რაიმე თუნდ მცირე ჯამაგირიანი ადგილი ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში.

მოწაფეები. წლის განმავლობაში სენაკის სკოლაში სწავლობდა 123 მოწაფე / 17 ქალი და 106 ვაჟი /, რომელნიც ასე იყვნენ განაწილებულნი განყოფილებებში: I – 24 მოწ. /15 ვ. და 9 ქ /, II – 29 მოწ. /24 ვ. და 5 ქ. /, III – 35 მოწ. / 33 ვ. და 2 ქ. /, IV – 35 მოწ. / 34 ვ. და 1 ქ /.

სწავლების საქმე: სკოლაში სწავლა დაუწყიათ 3 სექტემბერს. წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ, მასწავლებლის ლორთქიფანიძის ხშირი ავადმყოფობის

შესახებ, არავითარი სწავლის შემაფერხებელი მიზეზი არ ყოფილა და სწავლების საქმეც წლის განმავლობაში ნორმალურად მიმდინარეობდა.

საღმრთო სჯული: I განყოფილებაში საღმრთო სჯულიდამ უსწავლიათ 6-დის პატარ-პატარა ლოცვები და 9 მოთხრობა ძველი და ახალი აღთქმის ისტორიიდან; ნასწავლი მასალა მოწაფეებმა საკმარისად იციან; II – ში უსწავლიათ მხოლოდ თორმეტი დღესასწაული, ცოდნაც საკმარისი აქვთ, თავისუფლად გადმოგვცემენ დალაგებით მოთხრობებს ნასწავლის ფარგალში. III და IV განყოფილებაში მოწაფეებს შეუსწავლიათ შემოკლებით ძველი და ახალი აღთქმა, უმეტესი ყურადღება მიუქცევიათ ახალ აღთქმაზე, ქრისტეს სწავლაზე, იგავებზე და მოძღვრებაზე; სწავლება ქართულად სწარმოებს და მოწაფეებმაც შეგნებით იციან უმთავრესი ადგილები ძველი და ახალი აღთქმის ისტორიიდან.

ქართული ენა. I განყოფ. გაუვლიათ „დედა ენის“ I ნაწ. და II ნაწ. 58 გვერდამდის სავსებით, გარდა ერთი ლექსისა. მოწაფეები გამოვცადე ნასწავლის ფარგალში. მომეტებულს რიცხვს საკმარისად აქვთ შეთვისებული ნასწავლი. არიან ძლიერ სუსტი ბავშვებიც. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ ისინი გვიან მიბარებულან სკოლაში; II განყ. მთლად გაუთავებიათ „დედა ენის“ II ნაწილი. ქართული ენიდან მოწაფეები საკმარისად არიან მომზადებულნი, ნასწავლიც ახსოთ, ლექსებსაც რიგიანად კითხულობენ, ახალი მასალის წაკითხვაც რიგიანად იციან და შინაარსის გადმოცემაც ეხერხებათ. II განყ. შეუსწავლიათ 10 ლექსი, 7 იგავ-არაკი და 7 მოთხრობა „ბუნების კარიდან“. ნასწავლი მასალა შეგნებულად იციან და კარგადაც ახსოვთ. ლექსებს და იგავ-არაკებს სათითაოდ გვარიანად კითხულობენ, თუმცა-ღა გამომეტყველებით კითხვას არ ეტყობა სასურველი ყურადღება. როცა ბავშვები რომელიმე ლექსს ან იგავ-არაკს გუნდ-გუნდათ კითხულობენ, აშკარად სჩანს ძალდატანებითი კითხვა, ქართული ენის შეუსაბამო ხმის ამაღლება მარცვლებზე და ძარღვების დაჭიმვა და გაბერვა ლექსების თქმის დროს. გამომეტყველებით კითხვას, ე. ი. ისეთ წაკითხვას, რომელიც ხმის შეცვლით ემსგავსება ცოცხალ ლაპარაკს, გადასცემს მსმენელს გრძნობიერად და ცოცხლად იმ შთაბეჭდილებას, რაც პოეტურ ნაწარმოებშია გამოხატული, დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, როგორც მთქმელის, ისე მსმენელისათვისაც. ამისთვის საჭიროა, რომ მოწაფე განიმსჭვალოს იმ გრძნობით, რაც პოეტურ ნაწარმოებშია აღწერილი და თავისუფლად, შესაფერისი კი-

ლოთი გარდასცეს მსმენელთ. ამავე განყოფილებაში პრაქტიკულად, თვალსაჩინოთ ავუხსენი ბავშვებს თუ როგორ უნდა კითხულობდნენ საზოგადოთ ლექსებს, რას უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება და რომელი სიტყვები მოითხოვენ ლოგიკური ხმის ამაღლებას. ამის გაგება მათთვის ძნელი არ იყო და ერთი-ორი მაგალითის შემდეგ უკვე თავისუფლად და გრძნობით კითხულობდნენ ლექსებიდან აღებულს ტაეპებს.

IV განყოფილება: ქართული ენიდან ბლომათ გაუვლია მასწავლებელს როგორც საზეპირო, ისე საკითხავი მასალაც, შეუსწავლიათ 11 ლექსი, 9 იგავ-არაკი და 17 მოთხრობა, ნარკვევი ქართველ მწერალთა თხზულებებიდან და ხალხური არაკები. ლექსებს და იგავ-არაკებს მოწაფეები გრძნობიერათ კითხულობენ. კარგის გრძნობით და გამომეტყველებით წაიკითხა მოწაფე ქალმა გამსახურდიამ ლექსი „ქართლის დედას“. საზოგადოთ მოწაფეებს კარგად შეუთვისებიათ ნასწავლის შინაარსი, განვითარებაც კარგი აქვსთ და სიტყვა-პასუხშიაც სიმკვირცხლეს იჩენენ.

როგორც ბათუმის სკოლაში, აქაც IV განყ. მოწაფეები გამოვცადე ქართულად წერით თავისუფლად აზრის გამოთქმაში. მასწავლებელმა დააწერინა „ჩემი შთაბეჭდილებანი ეკის მთებში გასეირნების დროს“. ზოგ მოწაფეს ამ გასეირნებაში მონაწილეობა ვერ მიეღო. მათ აღწერეს თავიანთი შთაბეჭდილება აღდგომის დღესასწაულებში. ამ ნაწერებიდანა სჩანს, რომ ლიტერატურული ენა ბავშვებს კარგად აქვსთ შეთვისებული და კარგად ეხერხებათ თავიანთი შთაბეჭდილების თავისუფლად გამოთქმა წერითაც.

საზოგადოთ ქართული ენის სწავლება სენაკის სკოლაში კარგად არის დაყენებული და თუ შიგ და შიგ ზოგიერთი ნაკლულევანებაც ეტყობა, ეს აიხსნება იმით, რომ ალბათ მასწავლებლები არ ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებზე და არ უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ შთაბეჭდილებას. ხშირად ამა თუ იმ ნაკლულევანებას გარეშე უფრო მალე შეატყობს, ვიდრე თვითონ მასწავლებელი.

არითმეტიკა. I განყ. უსწავლიათ 4 მოქმედება რიცხვებზე 20-დის ყოველგვარი სავარჯიშოებით, წერით ცოტა უვარჯიშნიათ, ზეპირ ანგარიშში 20-ის ფარგალში საკმარისად არიან გავარჯიშებულნი: ეხერხებათ ათეულებით თვლაც, თუმცა-ღა ვარჯიშობა არ ეტყობათ, იციან ხმარება არითმეტიკული ნიშნებისა და ამოცანებსაც აკეთებენ. II განყ. უსწავლებია ოთხი მოქმედება ასამდის და ათასამდის ზეპირი ანგარიში ოთხივე მოქმედებაზე. წესი გამოანგარიშე ბისა

ბავშვებმა იციან, მაგრამ სწრაფი გამოანგარიშება ყველას ვერ ეხერხება. ეტყობა ცოტა უვარჯიშნიათ. გამრავლების ტაბულა 100-ის ფარგალში მომეტებულმა რიცხვმა იცის, მაგრამ ზოგიერთები მაინც სუსტობენ; უსწავლიათ ზომებიც, მაგრამ ყველა ნასწავლი ზომების შესახებ ცხადი წარმოდგენილება არ აქვსთ, რადგანაც ზოგი მათგანი თვალითაც არ უნახავთ და არც სკოლაში აღმოჩნდა წონის ზომები, დასაშლელი გირები /разновески/ და არც არითმეტიკული ყუთი, რომელიც აუცილებელ საშუალებას შეადგენს არითმეტიკის ელემენტარული კურსის თვალსაჩინოდ შესასწავლად. III განყ. იცის 3 მოქმედება მრავალნიშნოვან რიცხვებზე და გაყოფა ერთნიშნოვან რიცხვებზე, იციან ზომები დროსი, სიგრძის, სიმძიმის, ფულის და ქაღალდის. ნასწავლის ფარგალში საკმარის პასუხს იძლევიან. IV განყ. გაუკეთებია 300-მდის ამოცანები ოთხს მოქმედებაზე გოლდენბერგის ამოცანების კრებულიდან, ნაწ. II და ჯაჯანაშვილის კრებულიდან, უსწავლიათ სახელწოდებული რიცხვები, მათი დაშლა და გადაქცევა, შეკრება, გამოკლება და გამრავლება სახელწოდებულ რიცხვებზე. არითმეტიკის სწავლება მომეტებულათ ქართულად ყოფილა, მაგრამ მოწაფეებს ორივე ენაზე ეხერხება თავისუფლად აზრის გამოთქმა. ნასწავლი მოწაფეებს მტკიცედ აქვსთ შეთვისებული, კარგს და შეგნებულს პასუხს იძლევიან, ამოცანების კეთებაში კარგად არიან დახელოვნებულნი და საზოგადოდ ბავშვები მკვირცხლი და შეგნებული პასუხით კარგს შთაბეჭდილებას ახდენენ. სასურველია, რომ IV განყ. მოწაფეებს გამოჰყვეს არითმეტიკიდან პრაქტიკული ცოდნა ოთხ კუთხი და კუბიკური ზომებისა და ამ ზომებზე ამოცანების კეთებისა. საჭიროა რომ სკოლამ შეიძინოს ყველა საჭირო ხელსაწყო ნივთები არითმეტიკის სწავლების დროს, ურომლისოდაც სრული შეგნებით სწავლება შეუძლებელია.

რუსული ენა. I განყოფილებაში რუსული ენა სრულიად არ ისწავლება. ამ ენის სწავლებას იწყებენ II განყოფილებაში. წლის განმავლობაში ავარჯიშებენ ბავშვებს ცნობილ მასალით რუსულ ლაპარაკში და ასწავლიან წერა-კითხვას.

გავლილი მასალა ბავშვებს კარგად აქვსთ შეთვისებული. ანბანიც კარგად გაუვლიათ. ყველა ფრაზა, სიტყვა, რაც კი მოქცეულია „Русское слово“-ს I ნაწილის ლექსიკურ განყოფილებაში ან ანბანში ბავშვებმა მტკიცედ იციან. პირველი ორი საფეხური რუსული ენის სწავლებისა, ლაპარაკში ვარჯიშობა და ანბანი, მკვიდრად გაუვლიათ. წერითაც სუფთად და კარგად სწერენ ორ ხაზ შუა. წერის დროს

მასწავლებელს შემოუღია მხოლოდ ერთნაირი წესი – მიმბაძველობითი ხერხი წერის სწავლებისა: მოწაფეები სწერენ მხოლოდ იმას, რასაც მასწავლებელი დაუწერს მათ წითელი მელნით რვეულში; საჭიროა მიეცეს მოწაფეებს წერაშიაც თავისუფლება, ხანდახან დასწეროს თავისთავად სიტყვები და ფრაზებიც შეცდომების გაფრთხილებით. ერთსა და იმავე სიტყვებს, ასოებს და ფრაზებს მოწაფეები ბევრჯელ სწერენ. შედეგი ამგვარი ვარჯიშობისა ის არის, რომ უკანასკნელ ნაწერს მოწაფეები ისე კარგად ვერ ასრულებენ, როგორც პირველს, რადგანაც ერთისა და იმავეს რამდენჯერმე წერა მექანიკურ სამუშაოს წარმოადგენს და არც სახალისოა ბავშვისთვის. III განყოფილება. რუსულ ენაში გაუთავებიათ ი. გოგებაშვილის „Русское слово“-ს I ნაწილი და II ნაწილიდან 39 გვერდამდის. მასწავლებელს განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია საუბრებისათვის. გავლილი მასალა მოწაფეებს კარგად აქვთ შეთვისებუ ლი. წერითაც შნოიანათ სწერენ, წერით სავარჯიშოსაც სხვადასხვა ფერობა ეტყობა. IV განყოფილებაში გაუთავებიათ „Русское слово“-ს II ნაწილი და ბუბლიკოვისა და გოლდენბერგის სახელმძღვანელოდან „Русская школа“ ნაწ. II უსწავლიათ არჩევით 35-დის სხვადასხვა შინაარსის მასალა. პრაქტიკულად შეუსწავლიათ რუსული ენიდან ზოგიერთი გრამატიკული ცნობებიც მართლწერის შესახებ. საზოგადოდ IV განყოფილება რუსულ ენაშიაც კარგ ცოდნას იჩენს. მიუხედავად იმისა, რომ ამ განყოფილებაში წინა წლებთან შედარებით რუსული ენის სწავლება უფრო გვიან დაუწყვიათ, წარმატება მაინც გაცილებით უკეთესია, რადგანაც რუსულის შესწავლის დაწყებამდის ბავშვები ცოტად თუ ბევრად მოუმზადებიათ, განუვითარებიათ, რომლის შემდეგ რუსული ენის შესწავლაც გაადვილებიათ. ეს მაგალითი ნათლად გვიმტკიცებს, რომ რუსული ენის რიგიანად შესწავლა ჩვენს სკოლებში იმდენად დროს განმავლობაზე არ არის დამოკიდებული, რამდენადაც თვით მოწაფეთა გონება-განვითარების მხრით მომზადებაზე. მაგალითად, ბათუმის სკოლაში „Русское слово“-ს I ნაწილს ათავებენ II განყოფილებაში, სენაკის სკოლაში იმავე განყოფილებაში ასწრებენ მხოლოდ რუსულ ანბანს, „Русское слово“-ს ორივე ნაწილს ათავებენ III და IV განყოფილებებში, მაგრამ თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ სენაკი სოფელია, სადაც რუსულ ენას იშვიათად გაიგონებს ბავშვი და ბათუმში კი უფრო ხშირად, შედარებით სენაკის სკოლის შეგირდებს მეტი წარმატება ეტყობათ რუსულ ენაშიაც. IV განყოფილების მოწაფეების რუსული ნაწერებიც კარგ შთა-

ბეჭდილებას ახდენენ. ეტყობა, რომ მასწავლებელი გულდასმით და ბეჯითად ათვალიერებს მოწაფეთა ნაწერებს, აწვდის მათ საწერად შესაფერ მასალებს და მოწაფეებიც ხალისიანად, ბეჯითად მუშაობენ. საზოგადოდ რუსული ენის სწავლებაც კარგად არის დაყენებული ახლომახლო სკოლებში, თუმცა რუსულის სწავლებას ადრე იწყებენ და უფრო მეტს დროსაც ანდომებენ, მაგრამ წარმატება იქ მაინც ნაკლები ყოფილა. ეს ცხადად გამოუთქვამს მთავრობის სკოლების ინსპეკტორ სუდაკოვს, რომელსაც სენაკის სკოლა დაუთვალიერებია 5 მაისს და დიდათ კმაყოფილი დარჩენილა რუსულ ენაში მოწაფეთა წარმატებით.

სამშობლოს აღწერა. ამ საგანში II განყ. მოწაფეებს შეუსწავლიათ მოკლე განხილვა საქართველოსი, რაც მოთავსებულია „დედაენის“ II ნაწ. ბოლოში. გავლილი მასალა იციან საკმარისად. III განყ. შეუსწავლიათ სამეგრელო და ზოგიერთი ცნობები მოკლეთ საქართველოს სხვადასხვა ნაწილების შესახებ, რაც შეადგენს უფრო მეორე წლის კურსს. მოწაფეები ხატავენ დაფაზე საქართველოს მთებს, მდინარეებს და სხვ. ცოდნა, რაც შეუძენია III განყ. ამ საგანში, შედეგია მხოლოდ რამდენიმე საათით მეცადინეობისა. მასწავლებლის ავადმყოფობის გამო ამ საგანში მოწაფეებს ვერ გაუვლიათ იმდენი, რამდენიც შესაძლებელი იყო წლის განმავლობაში გაკვეთილების რიცხვთა მიხედვით. მეოთხეში უფრო ვრცლად შეუსწავლიათ მთელი საქართველო. „ბუნების კარში“ მოთავსებულ ცნობებს გარდა, მასწავლებელს უხელმძღვანელია საყმაწვილო ჟურნალებში დასტამბული სტატიებით – „სამშობლო ქვეყანა“ და ზ. ჭიჭინაძის ზოგიერთი სტატიები „კრებულიდან“ და სხვ. საქართველოს ისტორიიდან შეუსწავლიათ მხოლოდ XIII საუკუნემდის – მეფე დიმიტრი თავდადებულამდის. საჭირო იყო, რომ მოწაფეებს ცოტათ თუ ბევრათ მოკლე, მაგრამ დასრულებული ცნობები გამოეტანათ საქართველოს ისტორიიდანაც, მომეტებულად უკანასკნელ დროების შესახებ, რაც არ უსწავლიათ, როგორც წარმოდგენილი პროგრამიდან სჩანს. საზოგადოთ სამშობლოს აღწერაში მოწაფეებს ცოდნა აქვთ; მხოლოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ ადგილობრივ რაიმე ისტორიული ნაშთი მოიპოვება იმათ შესახებ, მოწაფეებს აუცილებლად უნდა ჰქონდესთ ისტორიული ცნობები. სენაკიც ამ მხრით საქართველოს სხვა ნაწილებს არ ჩამორჩება, აქაც ბევრი ძველი ისტორიული ნაშთები, ციხე-სიმაგრეები, ძველი და ახლანდელი ნაქალაქევი, რომელთა შესახებ თქმულება ანუ წარსული ისტორიული ცნობები ხალხში მივიწყებულია. სკოლა კი ვალდებუ-

ლია ეს მივიწყებული ცნობები აღადგინოს და გარდასცეს მოწაფეებს, მაგრამ ეს ვერ მოუხერხებიათ სენაკის სკოლაში, რადგანაც, როგორც სჩანს, თვითონ მასწავლებლებსაც არა სცოდნიათ-რა ადგილობრივი ისტორიული ნაშთების შესახებ.

თვალსაჩინო სწავლა და ბუნების მეტყველება. ეს საგნები სკოლაში ისწავლება დედა ენასთან დაკავშირებით. პირველ ორ წელიწადს მოწაფეები სწავლობენ იმ სასაუბროებს, რომელნიც მოქცეულია ი. გოგებაშვილის „დედაენის“ II ნაწილში. სასაუბროები იმ წესით, როგორც „დედაენაშია“ მოწაფეებმა იციან. III და IV განყ. შეუსწავლიათ ის საბუნების-მეტყველო მასალები, რაც „ბუნების კარშია“. III-ში გაუვლიათ „ბუნების კარიდან“ II-135 გვერდამდის, IV-ში კი დანარჩენი მასალა იმავე წიგნიდან. IV განყ. გამოვკითხე აქლემზე, ფუტკარზე და ცისარტყელაზე და დავრწმუნდი, რომ ნასწავლი მასალა მოწაფეებს კარგად შეუთვისებიათ. საბუნებისმეტყველო საგნების შესასწავლად სკოლას საკმაო სურათები აქვს და მოწაფეებიც თვალსაჩინოდ სარგებლობენ ამ სურათებით. როგორც IV-ში, ისე III განყოფილებაშიაც მასწავლებლები არ კმაყოფილდებიან მარტო იმ საბუნების-მეტყველო მასალით, რაც სახელმძღვანელო წიგნშია. ისინი ცხოველი სიტყვით გარდასცემენ მოწაფეებს სხვა უსაჭიროესს ცნობებსაც ბუნების-მეტყველებიდან.

სუფთა წერა და ხატვა-ხაზვა. წერის მხრითაც სენაკის სკოლა კარგს შთაბეჭდილებას ახდენს. ეს საგანი სკოლაში კარგად არის დაყენებული. იშვიათ მოწაფეს ნახავთ, უშნო ხელი რომ ჰქონდეს. საზოგადოთ ყველანი კარგად სწერენ და სისუფთავესაც ჯეროვან ყურადღებას აქცევენ. მხოლოდ ეს არ შეგვიძლია ვთქვათ ხატვა-ხაზვის შესახებ, რომლისთვისაც გადადებულია მხოლოდ პირველს ორს განყოფილებაში თითო გაკვეთილი კვირაში. რა ასწავლეს ამ საგანში, არ ვიცი, რადგანაც ვერც ხატვის რვეულები ვიპოვე და არც მასწავლებლიდან შემიტყვია რა ამ საგნის შესახებ. ეტყობა ამ საგანს ისეთი ყურადღებით არ ეპყრობიან სკოლაში, რომლის ღირსიც არის იგი. დღეს ხატვა-ხაზვის სწავლებას სკოლებში დიდ ყურადღებას აქცევენ ყველგან. საჭიროა ჩვენს სკოლებშიაც მოხდეს ამ საგნის რიგიანად სწავლების მოწყობა, თითო გაკვეთილი კვირაში რომელიმე საგნისა უდრის ამ საგნის სრულიად უარყოფას და ამასთან ხატვა-ხაზვა უნდა ისწავლებოდეს არა მარტო პირველს ორს განყოფილებაში, არამედ შემდეგ კლასებშიაც. იგივე უნდა ვთქვა გალობა-სიმღერის შესახებაც. ამ საგანში დანიშნული თითო გაკვეთილი კვირაში ძლიერ ცო-

ტაა. მოვისმინე რამდენიმე სიმღერა IV განყოფილებაში. ბავშვები კარგად და მწყობრად მღერიან სამ ხმაზე.

საზოგადოთ სწავლების საქმე სენაკის სკოლაში კარგად არის დაყენებული. 1907 წლის ნოემბრის 9-ში სკოლაში გაუმართავთ სალიტერატურო დილა განსვენებული პოეტის ილია ჭავჭავაძის შესახებ, შემდეგ წარმოუდგენიათ „დედა და შვილი“, სკოლის მოწაფეებს წაუკითხავთ მგოსნის საუკეთესო ლექსები და სხვა. 9 მაისს გაუმართავთ ექსკურსია, წასულან მოწაფეებით ეკის მთებში, სადაც, სხვათა შორის, დაუთვალიერებიათ ბუნებრივი მღვიმეები და ძველებური რკინის ღუზა. მასწავლებლებს საზოგადოთ ერთგულება და საქმეში მუყაითობა ეტყობათ. სკოლის კურსის გაფართოება მართლა დიდს საჭიროებას შეადგენს. ამისთვის საკლასო ოთახებში საკმარისია პარტები და სხვა მოწყობილობაც მზად არის. საჭირო იქნება მხოლოდ სწავლაში ხელსაწყო ნივთების შევსება. რაც შეეხება ხარჯს, რომლის შესახებაც გამგეობას მიწერ-მოწერა აქვს ქუთაისში სამზრუნველო კომიტეტთან ვიყავი ქუთაისში, მინდოდა შემესწავლა კომიტეტის საქმეების მდგომარეობა, მაგრამ წევრების შეკრება მოუხერხებელი გახდა და დავკმაყოფილდი მხოლოდ ზოგიერთების აზრით სენაკის სკოლის კურსის გაფართოების შესახებ. პრინციპიალურად ზოგიერთები უარს არ ამბობენ სენაკის სკოლის რეორგანიზაციაზე, მხოლოდ იმედი არა აქვსთ, რომ ბანკმა რაიმე ხარჯი გაიღოს, რადგანაც მას დიდი ზარალი აქვსო და არსებული ხარჯის შემცირებასაც აპირებენო. წელს IV განყოფილების 35 მოწაფიდან 10 გადავა ქუთაისის გიმნაზიაში, დანარჩენი 25 მოწაფე, თუ სკოლის კურსი არ გაფართოვდა, რჩება ისე, რომ არ შეეძლება არსად სწავლის გაგრძელება. პედაგოგიურ საბჭოს უსაჭიროესად მიაჩნია IV განყოფილების გახსნა შემო დგომიდან, თუნდ არაფერი მიემატოს იმ თანხას, რასაც დღეს იძლევიან. ამისათვის საჭირო იქნება I მოსამზადებელი კლასის დახურვა და სამაგიეროდ მეხუთის გახსნა. ამას იმ გარემოებით ასაბუთებენ, რომ ამ ბოლო დროს, სწავლის ფულის შემოღების შემდეგ, უფროს განყოფილებებში უფრო მეტს მოწაფეებს აბარებენ, ვიდრე პირველში. რადგანაც ქართულ ენას და წერა-კითხვას სხვა სკოლებშიაც ასწავლიან, უფრო იქ აბარებენ და ერთი-ორი წლის შემდეგ, რომ არ გაუჭირდესთ დიდი ხნობით სწავლის ფულის გადახდა, მოჰყავთ სენაკის სააზნაურო სკოლაშიო. ასეა თუ ისე, სენაკის სკოლის რეორგანიზაცია აუცილებლად საჭიროა და რაც ადრე მოხდება, ის მით უკეთესია.

დიდათ უკეთესი იქნება თუ სამეურნეო კომიტეტი სენაკის სკოლისათვის არჩეული იქნება ადგილობრივ და იმასვე გადაეცემა ყველა ის ფუნქციები, რის შესრულებაც დღეს დავალებული აქვს ქუთაისის კომიტეტს. ამას აუცილებლად მიჰყვება ფილიალური განყოფილების დაარსებაც სენაკის მაზრაში, სადაც ცენტრად შეიქმნება ძველი სენაკი და „ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების“ მოქმედებაც სამეგრელოში უფრო გაძლიერდება, რაც მეტად საჭიროა.

ამასთანავე უნდა მოვახსენო გამგეობას, რომ სენაკის მცხოვრებს ვლადიმერ ტოტის ძეს ლოლუას უანდერძებია „წ. კ. ს.“ თავისი პატარა ბიბლიოთეკა, რომელიც შესდგება რამდენიმე ცალი ქართულ-რუსული წიგნებისაგან, რომლის სიას ამასთანავე ვადგენ. ახალ სენაკში დიდი ხანია სურვილი აქვთ გახსნან სახალხო ბიბლიოთეკა, სამკითხველო „წ. კ. საზოგადოების“ სახელით. ჩემის აზრით, საჭიროა გაიხსნას სენაკში სახალხო ბიბლიოთეკა და ეს შემოწირული წიგნები მას გარდაეცეს. მართვა-გამგეობა ადგილობრივ და პასუხის გება შეუძლიან ანდრია ლევანის ძე ქავთარაძეს. ამ საქმის შესახებ საკითხი აღძრულია ამჟამად ადგილობრივ და შუამდგომლობასაც უეჭველია მალე გამოგზავნიან გამგეობაში.

პროვინცია

იმერეთი

დარკვეთი /შორაპნის მაზრა/. წელს ჭიათურის რაიონში შავი ქვის მუშაობის შეწყვეტამ ადგილობრივ მკვიდრთ დიდი ზიანი მიაყენა. რადგანაც ეს სოფელი მოსავლის მხრით ვერ არის ნაყოფიერი, მცხოვრებნი იძულებულნი იყვნენ დღე და ღამ ქვა ემუშავნათ და იქ აღებული ფულით გამოეკვებათ ცოლ-შვილი. მუშაობის შეწყვეტამ კი უკიდურეს მდგომარეობაში ჩააგდო ისინი. თითქმის ოთხი მეხუთედი მცხოვრებთა ნახევარჯერ მშიერი იყო. მიდიოდენ სამუშაოთ სხვადასხვა სოფლებში და მთებში და მათი ცოლ-შვილი კი სიმინდს რომ ვეღარ შოულობდენ, ფეტვს ფქვავდენ და იმითი იკვებებოდენ.

გაზაფხულზე მოსავალს ძლიერ კარგი პირი უჩანდა და გახარებულნი იყვნენ — შიმშილს თავს დავაღწევთო, მაგრამ მათდა საუბედუროდ მკათათვის და მარიობისთვის გვალვებმა ეს იმედი გაუცრუ-

ვათ. ვენახები ჯერ წრევანდელი სიცივის გამო ვერ დაყვავილდა და რაც გადარჩა, მოურწყაობით მზისაგან სულ ერთიანად დაიწვა. კარგი იქნება, რომ მთელ სოფელში, რომელიც შეიცავს 140 კომლს, ოცს მოუვიდეს მოსავალი /სარჩო/, დანარჩენთ კი ისევ ის ბედი მოელით მომავალში, რაც წლეულს.

შარშან შემოდგომაზე აქ მოვიდა მიწის მზომელი ადგილების გასამიჯნავად, რომელიც დღესაც მუშაობს. სოფელი იმის ოთახისა და ცხენების ქირას იხდის თვიურად შვიდ თუმანს და რადგანაც ამ ზაფხულზე მუშაობის დაწყებას მოელოდენ, ერთმანეთის დახმარებით შემოდგომისთვის არჩიეს ერთად გადახდა. ეხლა მათ უნდა გადაიხადონ 500 მანეთი, მაშინ, როდესაც ბაჟის ფულის გადასახადიც თავზე დაწოლიათ.

განათლება ძალაა

არასოდეს სწავლა-განათლების საქმეს არ მიუპყრია საზოგადოების ყურადღება იმდენად, როგორც თანამედროვე გადამავალ ხანაში. საკითხი სწავლა-განათლების შესახებ წამოყენებულია პირველ რიგზე და დღეს ხმამაღლა ვლაპარაკობთ, რომ სწავლა-განათლების რაციონალურად მოწყობით შესაძლებელია ხალხი ვიხსნათ ათასგვარი გასაჭირისაგან და თავდაპირველად იმ უვიცობისაგან, რომელიც აფერხებს ხალხის წინსვლას და აუტანლად ჰქმნის მისს არსებობას.

შესაძლებელია, ვინმემ იფიქროს, რომ სწავლა-განათლების სარგებლობა კაი ხანია უკვე საზოგადო ჭეშმარიტებად გადაქცეულა და ამისათვის გვისაყვედუროს კიდეც, რომ ამ გამორკვეულ საგნის შესახებ რა საჭიროა ბაასიო. საუბედუროთ არ შეგვიძლია თამამად ვსთქვათ, რომ სწავლა-განათლების სარგებლობა საერთოდ რუსეთში და კერძოთ საქართველოში დიდი ხანია რაც საზოგადო ჭეშმარიტებად გადაიქცა: არ უნდა დავმალოთ, რომ თვით ჭეშმარიტება ჯერ კიდევ სავსებით არ არის შეწყნარებული: რუსეთის ბიუროკრატია დღესაც გაიძახის, რომ უვიცი ხალხის მართვა ბევრად უფრო ადვილია და ამის გამო ეჭვის თვალით უყურებს ხალხის განათლების გაფართოებას და საზოგადოების მოქმედებას განათლების საქმეში. მაგრამ დავანებოთ ამას თავი. წარმოვიდგინოთ, რომ ეს ჭეშმარი-

ტება სწავლა-განათლების შესახებ ყველასაგან მიღებულია; ჩვენის აზრით ეს კიდევ არ შეადგენს საქმის სავსებით გადაწყვეტას, იდეის ცხოვრებაში გატარებას, განხორციელებას; ხშირად, როგორც ამას ყოველდღიური დაკვირვება გვიჩვენებს, ვიდრე საერთოდ შეწყნარებული იქნებოდეს ესა თუ ის ჭეშმარიტება და მისი არსებითი მხარე გამოყენებული პრაქტიკულ ცხოვრებაში, ჩვეულებრივად არა ერთი წელიწადი გაივლის, აი, ამის გამო გახსენება ზემო აღნიშნულ ჭეშმარიტებისა, მისი ხელახლად გათვალისწინება და შესწავლა იმ მხრით, რომელიც უფრო საგრძნობელი და თვალსაჩინოა ადამიანისათვის, არამც თუ ურგებია, პირიქით – საჭიროც არის და აუცილებელიც.

კერძოდ ქართველ საზოგადოებისათვის ხალხის სწავლა-განათლების საქმე ზედმეტად საჭირბოროტო საკითხია. ამ საკითხთან არის შეკავშირებული ჩვენი ცხოვრების მრავალი უკუღმართობა, ჩვენი ენის, ლიტერატურის, მეცნიერების, ერთი სიტყვით კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრების შეფერხება. გადაავლეთ თვალი ქართულ თანამედროვე ლიტერატურას, გადაშალეთ ჩვენი ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც თითქმის აღარ არსებობენ, ნახეთ ეგრეთწოდებული და რაოდენობით გავრცელებული, მაგრამ სერიოზულ მნიშვნელობას მოკლებული იუმორისტული პრესსა /ორი ყოველდღიური გაზეთია, არც ერთი ჟურნალი და ოთხი იუმორისტიული გამოცემა/, მოსძებნეთ მეცნიერული ნაწარმოები /მგონი ვერა ნახოთ რა/, მოინახულეთ ჩვენი ოჯახი, გლეხის კერა, ქალაქში მუშის ბინა, ნახეთ საერთო ჩვენი სიღატაკე და დამეთანხმებით, რომ ჩვენ საზოგადოებაში კულტურული მოქმედობა სუსტობს, კულტურული შრომის ნაყოფი არა სჩანს და ეს იმიტომ, რომ საქართველოში სწავლა-განათლებისათვის მზრუნველი არავინ იყო.

ასის წლის განმავლობაში რუსეთის ბიუროკრატიულ რეჟიმის ხელში მყოფი ქართველი საზოგადოება იძულებული გახდა ეროვნულ განათლებისათვის ზურგი შეექცია. საქართველოში სწავლა-განათლების ისტორია მე-XIX საუკუნეში არის ისტორია რუსულ სკოლის დამყარებისა და გაძლიერებისა. ქართველი ერი ნორმალურ განვითარების გზას ასცდა იმ დღიდან, რაც მან დაჰკარგა პოლიტიკური თავისუფლება. თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ საქართველოში მე-XIX საუკუნის განმავლობაში მედგარი საერთო ბრძოლა ეროვნულ სკოლის დაცვისათვის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში თითო ოროლა საგაზეთო წერილებს და კანცელიარულ მიწერ-მოწერებს, თითქმის არ ყოფილა. სწავლა-განათლების საქმეს არ ჰქონია მიქცე-

ული ჯეროვანი ყურადღება და აქედან მომდინარეობს ჩვენი საზოგადო დაქვეითებაც.

დღეს სწავლა-განათლების სარგებლობა გამოიხატება არა მარტო საერო ზნეობისა და ღირსების საკითხში, ან ერის განათლებისათვის განყენებულ მზრუნველობაში, იგი წარმოადგენს მთელი ერის კეთილდღეობის საგანს, ეკონომიურსა და ფინანსიურ საკითხს. აქ ახალი არარა არის რა: თუ კი გადავავლებთ თვალს უკანასკნელ დროის ეკონომიურ და სტატისტიკურ ნაწარმოებებს, ცოტათი დაკვირვებით შევისწავლით მას, მეტად საინტერესო და საგულისხმო ფაქტებს გავიცნობთ შრომის შედარებით ღირებულობისა და მისი ინტენსივობის შესახებ.

სტუარტ მილს თავის ცნობილ თხზულებაში „პოლიტიკური ეკონომიაში“ მოყავს ერთი საგულისხმო ფაქტი – რუსის შრომა, მაშინ მონური და იაფი, ნამდვილად კი უფრო ძვირი იყო ინგლისელ მუშასთან შედარებით, რადგანაც უფრო ნაკლები ინტენსივი იყო, ე. ი. ნაკლებ ნაყოფიერი: „ორი მიდლსეკის მთიბავი მოთიბავს ერთის დღის განმავლობაში იმდენ ბალახს, რამდენსაც ექვსი ყმა რუსი; ამიტომ, თუმცა სანოვაგე ინგლისში ძვირია და რუსეთში კი იაფი, ინგლისელ მემამულეს ერთი და იმავე რაოდენობის ბალახის მოთიბვა უჯდება ნახევარ კაპეიკად, რუს მემამულეს კი – სამი კაპეიკიდან ოთხ კაპეიკამდე“. შემდეგში ეს აზრი სტ. მილისა, რომ იაფი შრომა არ არის უფრო სასარგებლო თავის ნაყოფიერობით, არაერთხელ იყო დამტკიცებული სხვადასხვა ქვეყნების სახელმწიფოების ცხოვრების მაგალითებით.

ერთი ცნობილი ეკონომისტი ამბობს: „შრომის ინტენსივობა განისაზღვრება თავდაპირველად მუშის ფიზიკურ ძალით, რომელიც დამოკიდებულია როგორც მოდგმაზე /რასაზე/, ისე საზოგადოდ საზრდოობაზედაც; ამიტომ დროის განმავლობაში შეიძლება კიდეც შეიცვალოს. თვითეულმა მეოჯახემ კარგად იცის, რომ თუ მუშას ჩვეულებრივზე უკეთესად და დიდხანს კვებავს კარგი სასმელსაჭმელით – სამძიმო შრომაც მისთვის უფრო ადვილად ასატანი და ჩქარა შესასრულებელი გახდება. მეორე პირობა, რომ ინტენსივობა გაძლიერებული იქმნეს, დამოკიდებულია მუშის ხელოვნებაზე, რომელიც თავის მხრით წარმოსდგება იმის გონებრივ განვითარებიდან და განისაზღვრება საერთო განათლების ხარისხით, ტეხნიკურ მომზადებით“... მაშასადამე უმთავრეს მომენტად შრომის ინტენსივობის თავი და თავი საკითხის გადაწყვეტის დროს, არის განათლება ხალხისა, განათლება

ყოველმხრივი და ერთგვარი, როგორც ხალხის საერთო გონებრივი განვითარება, ისე ტეხნიკური და სახელოსნო სწავლის შეძენა.

თუ ჩაუკვირდებით თანამედროვე ცხოვრებას, მანქანებისა და დიად ტეხნიკურ გამოგონებათა საუკუნეს, ეს აუცილებლობა თვალსაჩინო გახდება.

ოდესღაც საბერძნეთის მგოსანმა ანაკრეონმა თავის ლიტერატურულ ნაწარმოებში შეამკო გამოგონება წყლის წისქვილისა, როგორც დიადი აქტი ქალის განთავისუფლებისა მძიმე და თითქმის ყოველდღიურის ჯაფისაგან – წისქვილის თვლის ხელით ტრიალისაგან. წყლის ძალის გამოყენების შემდეგ ესრეთ წოდებულ საშუალო საუკუნეებში ადამიანმა გამოიგონა ქარის წისქვილი; მე-XVIII საუკუნეში ადამიანმა თავის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, მრეწველობის საოცარ განვითარებისთვის ორთქლის ძალას მიჰმართა და ჩვენს დროში საოცარი, ჯერ-კიდევ სავსებით გამოურკვეველი ელექტრონული ძალა გამოიყენა, რომელმაც საკვირველი ცვლილება მოახდინა თანამედროვე ცხოვრების პირობებში. რაც დღე გადის იმდენათ უფრო ვრცელდება სხვადასხვა მანქანების ხმარება. ასე რომ, თან და თან უნდა გაძლიერდეს მოთხოვნილება მათი მოხმარებისა და ამ მოხმარების ცოდნისა; უკეთ რომ ვთქვათ აუცილებელი გახდება რამოდენიმე ნაწილად სწავლა-განათლება.

მოვიყვანოთ ცოტაოდენი სტატისტიკური ცნობებიც: 1870 წელს მარტო ორთქლ მძლავრების ძალა მთელს დედამიწის ზურგზე გამოანგარიშებული იყო 18 მილიონ ცხენის ღონედ, ხოლო 1890 წელს 60 მილიონ ცხენის ღონეზე მეტი /მათგან ორი მესამედი ინგლისში და ამერიკის შეერთებულ შტატებში/, ანუ – თითო ცხენის ძალა რომ 4 კაცის ძალის ტოლად ვიანგარიშოთ, გამოვა, რომ ჩვენი დროის კაცობრიობას მარტო ორთქლმძრავების სახით ჰყოლია 250 მილიონი მორჩილი და იაფი მონა... მეორე მხრით, დიდი ხანია ცნობილია, რა კავშირიც აქვს მუშის განათლებასთან მის შრომის ნაყოფიერებას და მასთან ერთად სამუშაო ხელფასის რაოდენობას. მუშის უფრო დიდ განათლებასთან, სამუშაო ხელფასის გადიდებასთან შრომის უფრო მეტ ნაყოფიერებასთან ერთად თუ რამდენად იზრდება სიმდიდრე მთელის ქვეყნისა, ამის გასაკვირელ მაგალითს წარმოგვიდ გენს ამერიკის შეერთებული შტატები. აი, ციფრები, რომლებიც ნათლად და სავსებით დაგვიმტკიცებენ ზემო გამოთქმულ აზრს: წინად პირველი ადგილი სიმდიდრეში საზოგადო ჯამის მიხედვით ინგლისს ეჭირა; დღეს კი ინგლისი იძულებული გახდა ეს ადგილი შეერთებულ შტატებისათვის

დაეთმო, არა იმიტომ, რომ ინგლისი გაღარიბდა, არამედ იმისთვის, რომ სიმდიდრე შეერთებულ შტატებისა იზრდება ინგლისთან შედარებით უფრო სწრაფად, პროგრესიულად. 1840 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული სიმდიდრის ჯამი შეადგენდა ინგლისის ეროვნული სიმდიდრის მეოთხედ ნაწილს, 1860 წ. უკვე ნახევარს, 1880 წ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკვე გაასწრეს ინგლისს, 1888 წ. ეროვნული სიმდიდრე ინგლისისა და შეერთებულ შტატებისა წარმოადგენდა ციფრებს – 8 და 12 მილიარდ გირვანქა სტერლინგს. იმავე წელს ამერიკის შეერთებულ შტატების ყოველ წლიური სიმდიდრე გამოიხატებოდა 468 მილიონ სტერლინგის, ანუ 11,700 მილიონ ფრანკის მომატებით. ადვილი წარმოსადგენია, რომ ამასთან ერთად სამრეწველო შრომის ნაყოფიერებაც საოცარის სისწრაფით მატულობს. ეჭვს გარეშეა, რომ ეკონომიურ ზრდასთან, მატერიალურ სიმდიდრის მოპოვებასთან ერთად ვითარდება ამერიკის შეერთებულ შტატების პოლიტიკური ძალაც. ვისაც კი თვალ ყური უდევნებია რუსეთის ცხოვრებისათვის, იმას ეხსომება ის ზედმეტად საგულისხმო მოვლენა, რომ ამერიკამ წაართვა რუსეთს უპირატესობა იმ მხრით, რომ ევროპისათვის მიეწოდებინა სამეურნეო ნაწარმოები და, უეჭველია, ამ უპირატესობას სამუდამოთ შეინარჩუნებს. გარდა ამისა ამერიკის საქარხნო მრეწველობა წარმატებაში შევიდა და სხვადასხვაგვარი მისი ნაწარმოები მოედო მთელ ქვეყნიერობას და არა მდარე ადგილი უჭირავს თვით დიდ ბრიტანიაში.

მეორე მხრით დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც შეერთებულმა შტატებმა გვიჩვენეს თავიანთი პოლიტიკური ძლიერება და მნიშვნელობა. შეერთებულ შტატებს 25 000 მუდმივი ჯარისკაცი ჰყავს; მიუხედავათ ამისა საკმარისი იყო ამერიკის პრეზიდენტს ეთქვა რამოდენიმე ენერგიული სიტყვა დიდ ბრიტანიის მიმართ, რომ მთელს ევროპასა და ამერიკას თავზარი დასცემოდა და ინგლისიც შიშს შეეპყრო. საჭიროა ჩვენთვის გავითვალისწინოთ ამგვარი საქმის ვითარება, საჭიროა გამოვარკვიოთ ორიოდე სიტყვით მიზეზი ამერიკის ეკონომიურ და პოლიტიკურ სიმდიდრისა და ძლიერების განსაცვიფრებელ განვითარებისა. ეჭვს გარეშეა, რომ როგორც ყოველგვარ დიადს და რთულ ეკონომიურ მოვლენას, ისე ამ საოცარ პროგრესს, შედარებით ახალ ქვეყნისას, აქვს სხვადასხვა მიზეზები; მაგრამ ამ მიზეზთა შორის, როგორც ამას ამართლებს და ამტკიცებს სინამდვილე და როგორც ამას თვით ამერიკელები ასახელებენ, ერთს უჭირავს საპატიო ალაგი და იგია უმაღლესი დონე ხალხის განათლებისა და მუდმივი ზრუნვა ამე-

რიკის ხალხისა და მთავრობისა, რომ, რაც შეიძლება განვითარდეს და განათლდეს ხალხი. ამის მისაღწევად არ ზოგვენ არაფერს ამერიკაში, რადგანაც კარგად იციან, თუ როგორი აყვავება მოსდევს მას. არც ერთ ქვეყანას ატლანტის ოკეანის აქეთ არ შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს შეერთებულ შტატებს ამ საქმეში. ამერიკის შეერთებულ შტატებში 23,3% მცხოვრებლებისა /ე. ი. თითქმის მეოთხედი/ სკოლაში სწავლობს; ევროპის ყველა სახელმწიფოები, გარდა პატარა საქსონიისა, ყველანი ჩამორჩენ ამერიკის შეერთებულ შტატებს /ინგლისი 16%, საფრანგეთი 15%, ავსტრია 13% და სხვ./ და არც ერთს სახელმწიფოს არ ძალუძს დახარჯოს იმდენი აუარებელი თანხა – თითქმის 143 მილიონი დოლარი ანუ 250 მილიონ მანეთზე მეტი რაც იხარჯება მხოლოდ საერთო სახალხო სკოლებისათვის. ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ სიუხვეს იჩენენ ამერიკელები ამ საქმეში. კანონად გადააქციეს თავის საბიუჯეტო პოლიტიკაში, რომ ხალხის განათლებისთვის თვითოეული ზედმეტად დახარჯული კაპეიკი, უსათუოთ იმავე ხალხს მანეთს მოუტანს. ამ შემთხვევაში ამერიკელებს იმედები არ გაცრუებიათ. ამერიკის ერმა მუშათა კლასები გადააქცია რაც შეიძლება მეტ ინტენსიურ შრომის წარმომადგენლებად მთელ ქვეყნიერებაზე და მით შექმნა თავისი დიდი ინდუსტრია და ეკონომიური ძლიერება. ეს გარემოება აიხსნება მით, რომ განათლება ამერიკაში ყველასათვის ხელმისაწვდომია. განათლება შეერთებულ შტატებში ნამდვილი წყაროა მათ აუარებელ სიმდიდრისა, მათი სიდიადისა, რომელიც დღეს ყველას აოცებს და აკვირვებს. ცნობილმა ინგლისელმა ეკონომისტმა Marshall-მა გამოსთქვა შემდეგი აზრი: „ხალხის კეთილმდგომარეობისა და ბედნიერების ზრდისათვის იმაზე უფრო მავნე გაფლანგვა არ არსებობს, როცა უპატრონობითა და უყურადღებობით გენიოსი, რომელიც უნდა იშვას გაუნათლებელ და სწავლა-აღზრდას მოკლებულ ხალხის კლასთა შორის, იძულებულია გაფლანგოს თავისი ძალღონე დაბალს შრომაში და ამნაირად დაიკარგოს იგი უსარგებლოდ მთელს კაცობრიობისათვის“.

დროა ჩვენც შევიგნოთ ეს იდეა და მის ცხოვრებაში გატარებას და განხორციელებას შევსწიროთ ჩვენი ძალ-ღონე. სწავლა-განათლების უდიადესი მნიშვნელობა ხალხის კეთილდღეობის არსებით პირობებისათვის განსაზღვრავს ჩვენს დამოკიდულებას ყოველგვარ შრომასთან და ყოველგვარ მისწრაფებასთან, რომელნიც პირდაპირ და არაპირდაპირ ეხებიან ხალხის განვითარების აღორძინების საქმეს: დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ არ არის საქმე უფრო სა-

სარგებლო და ნაყოფიერი და შრომა უფრო ღირსეული და საპატიო, როგორც სწავლა-განათლების საქმე, რომლის წესიერად მოწყობას შეუძლია დაიხსნას ხალხები და მთელი კაცობრიობა დღევანდელ ცხოვრების უკუღმართ პირობებისაგან. ეს ჭეშმარიტება დროა შევიგნოთ ჩვენც; დროა, მგონი, დავანებოთ თავი ილუზიებით საზრდოობას და ხშირად ბავშურ გატაცებას; დროა გონივრულად მოვკიდოთ ხელი სწავლა-განათლების საქმეს; დროა დახმარება გავუწიოთ მრავალტანჯულ ჩვენს ერს, რომ მან გაათავისუფლოს ყველა ბუნებისაგან მინიჭებული ძალები; ამისათვის საჭიროა გავაცხოველოთ, ავამოძრავოთ და განვავითაროთ ეს ძალები, რათა ქართველმა ერმა თავის თავში მოსძებნოს საჭირო ღონე. ერთადერთი საშუალება კი ამის მისაღწევად სახალხო სწავლა-განათლებაა, რომელიც ძირიდან უნდა მომდინარეობდეს და სიღრმისაკენ მიისწრაფებოდეს. ჩვენ გვრწამს, რომ აზრი, რომელსაც ეგრე ხშირად იმეორებენ ამ უკანასკნელ ხანში, აზრი სწავლა-განათლების გავრცელების შესახებ, ტყუილად და უნაყოფოდ არ ჩაივლის, არამედ მომწიფდება და მოიტანს ნაყოფს და მცირედი მუშაკიც ხალხის სწავლა-განათლების ასპარეზზე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მისი შრომა იმ მრავალ მილიონ აგურთა შექმნას ემსახურება, რომელთა შეერთებით აგებული იქნება დიდებული შენობა ჩვენი ერისა და სამშობლოისა, როგორც უკვე განათლებულ ქვეყნისა, სამშობლოისა, სადაც თვითეული ადამიანი შევა ცხოვრებაში სკოლის კარებიდან. ჩვენ დარწმუნებული ვართ, განათლებული ხალხი მდიდარიც შეიქნება. განათლება ძალაა და ერთადერთი საშუალება იმ უვიცობის მოსასპობად, რომელიც დიდ უბედურებას უქადის ჩვენს ერს. — აქ არ იქნება უადგილო გავითვალისწინოთ მოკლეთ ის პრინციპებიც, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს სწავლა-განათლებას ჩვენში და რომელთა გავრცელებას საზოგადოებაში და ცხოვრებაში პრაქტიკულად განხორციელებას ჩვენ უნდა ვემსახუროთ.

უმთავრესი ძირი კულტურულ ცხოვრებისა ენაა. სამშობლო ენა ის ნიადაგია, რომელზედაც აღმოცენდება ნორმალური, კულტურული ზრდა და განვითარება ხალხისა. ამიტომ სწავლა-განათლება ხალხისა უსათუოდ სამშობლო ენაზე უნდა იყოს მოწყობილი; ეს აუცილებელი პირობაა, რომლის გარეშე შეუძლებელია განმანათლებელ დაწესებულებათა მოქმედება და მასთან ძირითადი მოთხოვნილებაა ამ დროის და, თუ გნებავსთ, ყველა დროის პედაგოგიისა.

საქართველოში სწავლა-განათლების საქმე ისე იყო დაყენებული, რომ სკოლა სრულებითაც არ ემსახურებოდა პედაგოგიურ

იდეალების განხორციელებას, ის კი არ ზრდიდა ხალხს, პირიქით ანადგურებდა იმას, რასაც თვით ბუნება უხვად აძლევდა ქართველ მოზარდ თაობას. ქართული ენა დევნილი იყო სახელმწიფოსაგან და იმის მაგიერ, რომ სკოლა აეღორძინებიათ იმ დიად იდეალებით, რომლებსაც ქადაგებენ გამოჩენილი პედაგოგები მთელის ქვეყნისა, სკოლა საქართველოში პოლიტიკურ ექსპერიმენტების წყაროდ გადააქციეს და ქართველი ხალხის გადა გვარების იარაღათ გაიხადეს. ამ საოცარმა ანომალიამ ქართველ ხალხის კულტურულ განვითარებისამ წამოაყენა არაერთი პრობლემა და მათ სამართლიან გადაწყვეტაზე დამოკიდებულია ქართველ ხალხის მომავალი. ერთი უმთავრესი პრობლემათაგანია შექმნა ეროვნულ სკოლისა ყველა საფეხურისა და ხარისხისა, როგორც საზოგადო განათლებისა, ისე პროფესიონალურისა. არავის არა აქვს უფლება უცხო ენა მოახვიოს თავს ამა თუ იმ ერს; ჭეშმარიტ პედაგოგებისათვის არ არსებობს არავითარი საერთო სავალდებულო სახელმწიფო, საეკლესიო ანუ „კლასიკური“ ენა. ისინი აღიარებენ მხოლოდ ერთ ენას, რომელზედაც უნდა განათლდეს ხალხი – სამშობლო ენას. რასაკვირველია, არავინ არ უარყოფს უცხო ენების შესწავლა- შეთვისებას და მათ შორის სახელმწიფო ენისას. უკანასკნელი აძლევს საშუალებას ამა თუ იმ ხალხს, სახელმწიფოში მცხოვრებს, ქონდეს ურთიერთობა სხვა ენაზე მოლაპარაკე მოქალაქეებთან და სახელმწიფოს ცენტრალურ დაწესებულებასთან.

გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ ევროპის და სხვა მხრის ხალხების ძლიერ კოოპერაციას სამეცნიერო სფერაში, აუცილებლად უნდა ვაღიაროთ, რომ საზოგადოდ ახალი ენები უფრო და უფრო საჭირო ხდება, როგორც იარაღი საერთაშორისო კულტურულ და სამეცნიერო ურთიერთობისა, და იმ პირებისთვის კი, რომელნიც სამეცნიერო ასპარეზზე იღვწიან, ეს ენები ხომ აუცილებელია.

ეროვნულ სკოლასთან ერთად უნდა განხორციელდეს იდეა საყოველთაო საერო განათლებისა. ამ იდეის მედგარი მომხრე და დამცველი იყვნენ ყველა დროისა და ხალხის გამოჩენილი მოღვაწეები ცივილიზაციის ასპარეზზე არისტოტელიდან დაწყებული. ჩვენ დროში განხორციელება საყოველთაო სწავლა-განათლებისა აუცილებელია ყოველ განათლებულ ხალხისათვის და შეადგენს უსაჭიროეს პირობას მოქალაქეთა კეთილდღეობისას. პირადათ ჩვენ ქართველებისათვის საყოველთაო განათლებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა. ყველასათვის, ვისაც კი აქვს ცნობა ჩვენის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ

და ეკონომიურ ცხოვრების სინამდვილისა, ცხადია, რა მიზეზის გამო საყოველთაო განათლებას ფართო მნიშვნელობით პირველ რიგზე ვაყენებთ. — შრომის განსაკუთრებულ სოციალურ-ეკონომიურ შეუსაბამო პირობებისათვის ჩვენში არ მიუქცევიათ ჯეროვანი ყურადღება.

ეროვნული შევიწროება, საოცარი სიღარიბე და სიღატაკე, რომელიც წყაროა ხალხის გადაგვარებისა, მდაბალი ხარისხი ტეხნიკურ და ყოველგვარ პროგრესისა, სერიოზულ პროფესიონალურ განათლების უქონლობა, სრულიად მოუწყობელი შრომის ჰიგიენური პირობები, შრომის კოოპერაციების სუსტი განვითარება, კრედიტის უქონლობა, განვითარება მევახშეობისა და ბოლოს მცირე სამუშაო ხელფასი — აი, რეალური პირობები ქართველ ხალხის არსებობისა და ამ პირობებში ქართველ ხალხის უმრავლესობა უმეცრების მორევში სცურავს, ძალა არ შესწევს თავი დაახწიოს გადამგვარებელ კულტურას და სწავლა-განათლებით სხვა ხალხებზე უკან რჩება.

ამისთვის საყოველთაო განათლებასთან ერთად, ჩვენის აზრით, დიდი მნიშვნელობა ექნება ყველასათვის დასახმარ და კერძოდ სავალდებულო სწავლა-განათლების შემოღებასაც. მართალია, საკითხი სავალდებულო განათლების შესახებ კიდევ იწვევს კამათს მოწინავე ქვეყნებში; ზოგი დღესაც წინააღმდეგია სავალდებულო განათლებისა, მაგრამ უმეტესობა მაინც აღიარებს ამ პრინციპს, რადგანაც ამ გზით სთვლიან შესაძლებლად მიაღწიონ საყოველთაო განათლებას. თანამედროვე ხანაში და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში შეუბრალებელის სისას ტიკით სარგებლობენ ბავშვის შრომით, რომლითაც იმის ორგანიზმს უდროოთ ასუსტებენ და თვით ერის მომავალსაც საშიშს მდგომარეობაში აყენებენ. ხშირად ამბობენ, რომ სავალდებულო განათლება ამცირებს ოჯახის მეტერიალურ საშუალებას, ვინაიდან ბავშვებს ხელს უშლის შემოიტანონ ოჯახში სამუშაო ქირა ან იმუშაონ თავიანთ ოჯახებში. ეს აზრი არ არის შესაწყნარებელი და აი რა მოსაზრების გამო: რამდენადაც ამა თუ იმ ქვეყანაში ვამცირებთ ბავშვის შრომას, იმოდენად ავსწევთ მუშის სამუშაო ხელფასს; მუშათა კლასი ამით მოგებული რჩება. გარდა ამისა თუ კი მივიღებთ მხედველობაში, რომ საზოგადო საქველმოქმედო დაწესებულება ვალდებულია აღმოუჩინოს დახმარება ღარიბ მშობლებს, რომელთათვისაც ბავშვების სამუშაო ძალის დაკარგვა საგრძნობელია, დავინახავთ, რომ სავალდებულო განათლებასთან შესაძლებელია დავიცვათ ღარიბ ოჯახთა ინტერესებიც, რასაც უკვე მიაღწიეს შვეიცარიაში, ამერიკაში და სხვ. შეგვიძლია სხვა ბევრი

საბუთიც მოვიყვანოთ სავალდებულო განათლების საჭიროების შესახებ საზოგადოების ცხოვრების განსაზღვრულ საფეხურზე, მაგრამ ამ საკითხის სავსებით გამოკვლევა ამჟამად არ შეადგენს ჩვენს მიზანს. შემდეგშიაც გვექნება საშუალება დავუბრუნდეთ ამ საკითხს და უფრო ვრცლად და ნათლად გამოვარკვიოთ.

ამ თავით კი ერთ გარემოებას მივაქცევთ ყურადღებას: საჭიროა, ყველა ბავშვმა, წოდებისა და მდგომარეობის განურჩეველად, ქალმა თუ ვაჟმა იარონ სკოლაში და დაიკავონ ადგილი თანასწორ უფლებით თავიანთ ტოლებთან ერთად. ამისათვის კი საჭიროა საკმარისი რიცხვი სკოლებისა და მათი შენახვა თავს უნდა იდოს საზოგადოებამ განსაკუთრებულ სასკოლო გადასახადის გაღებით. ნუ შეგვეშინდება, რომ საზოგადოება, რომელსაც კი შეუგნია სწავლა-განათლების მნიშვნელობა, ამ გადასახადს არ გაიღებს. ამგვარ შიშს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მართლაც და ვინ უარყოფს სამშობლოს დაცვას, როცა ის გასაჭირშია, ვინ არ გამოიღებს გადასახადს მაშინ? ნუ თუ განათლება უფრო ნაკლებ საჭიროებას წარმოადგენს ერისათვის, ვიდრე ჯარი? არა, რადგანაც განათლება ხალხისა ერთი უდიადესი საზოგადოებრივი საგანთაგანია. საჭიროა, რომ ყველა, განურჩევლად სქესისა და ჩამომავლობისა, ეწაფებოდეს მეცნიერებას, სარგებლობდეს განათლების სხივებით ისე, როგორც სარგებლობენ მიწითა და ჰაერით — თავისუფლად და უფასოთ. განათლების მიცემა არის ვალი ერისა შთამომავლობის წინაშე და მისი არსებითი მოთხოვნილება. ამიტომ ჩვენი დევიზია: სკოლა ყველა საფეხურზე ყველასათვის ხელმისაწვდომი. მართალი იყო დისტერვეგი, როცა სთქვა: „შვილი თავადისა და შვილი ღატაკისა ერთი ბუნების შვილიაო“. თუ კი სკოლა ყველასათვის განურჩევლად წოდებისა ხელმისაწვდომი იქნება, ეჭვს გარეშეა მთელი მისი ხასიათიც შეიცვლება, შინაარსი მისი გაფართოვდება. მდიდარი და ღარიბი ბავშვები ერთს სკამზე ისხდებიან და ერთი და იმავე მოქალაქეობის და განათლების პრინციპების ზეგავლენით აღიზრდებიან. მაშინ სკოლა დიდ სოციალურ როლს ითამაშებს ცხოვრებაში: უმაღლესი კულტურული ჩვეულება სკოლიდან ოჯახში გადავა და აქედან ცხოვრებაში შევა, რასაკვირველია, ქართველ საზოგადოებისთვის ადვილი არ არის ყველა ზემოხსენებულ პრინციპების ერთბაშად განხორციელება. აქ არა მარტო თვით საქმის სიდიადეს და სიძნელეს აქვს მნიშვნელობა. კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ ამგვარი მეტად რთული საგანი, როგორიცაა ხალხის სწავლა-განათლების საქმე, ერთი წლის ანუ რამო-

დენიმე წლის განმავლობაში არ გადაწყდება, მით უფრო, რომ ამ გზაზე ბევრი დაბრკოლება შეგვხვდება. სხვათა შორის ქართველი ერი დიდ დამატებითს ხარჯს ეწევა კულტურულ ენერგიითა და ნივთიერ საშუალებით: სახელმწიფო დახმარებას არ უწევს ქართულ ეროვნულ სკოლას, ქართველ ერისაგან გადასახადსა და ხარჯს კი იღებს სახელმწიფო სკოლისათვის; უნდა ვიფიქროთ, რომ ამგვარი პირობები დარჩება რუსეთში კიდევ დიდ ხანს; უკანასკნელი მოსაზრება წამოაყენებს ფრიად საინტერესო საკითხს: თუ როგორ, რა გზით უნდა მოწესრიგდეს კულტურული მოქმედება ერისა უბრალო, მარტივი საქმე არ არის; იგი შეიცავს სახალხო სწავლა-განათლების ორგანიზაციას, ე. ი. ყოველგვარ სკოლების /დაბალის, საშუალოს და უმაღლესის/ მოწყობას, და აგრეთვე მოწყობას იმ დაწესებულებათა, რომელნიც ხელს უწყობენ კულტურულ განვითარებას: ბიბლიოთეკები, სამკითხველოები, თეატრები, მუზეუმები და სხვ.; შემდეგ პროფესიონალურ განათლების მოწესრიგებას, სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებათა მოწყობას, რათა სასოფლო-სამეურნეო ცოდნა გავრცელდეს ხალხში და განვითარდეს ეს მეურნეობა; ამას გარდა ორგანიზაცია საზოგადოებრივ საქველმოქმედო დაწესებულებათა ხალხის ჯანმრთელობისა და სტატისტიკისა ქართველი ერის ცხოვრების ყოველგვარ საკითხის შესახებ და სხვა.

ამ მეტისმეტად რთულ საქმეს მოწესრიგება და გაძღოლა უნდა: ამისათვის კი უნდა მოვსძებნოთ შესაფერი ფორმა, შევქმნათ შესაბამი დაწესებულებანი, რომელთაც შეეძლოს დაკმაყოფილება ერის ყველა კულტურულ მოთხოვნილებათა. ამ შემთხვევაში აუცილებელია ერის კულტურულ დაწესებულებათა დამოუკიდებლად მოქმედება. უკეთ რომ ვსთქვათ, სწავლა-განათლების საქმეში საჭიროა სრული დეცენტრალიზაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება ის, რაც ხშირად მომხდარა: ცენტრალისტური სახელმწიფო შეიჭრება ყოველ ერის განუყოფელ თავისუფლების სფერაში და გამოვა არა დამცველად და დამხმარედ იმისა, რაც წარმოიშვება ამა თუ იმ ერის თავისუფალ შრომისაგან, არამედ მოიწადინებს მექანიკურ საშუალებებით ერთს ძალდატანებითს ასსიმილიაციას და მით შინაგან უთანხმოებას შექმნის. შევიწროებული ერები, რომელთაც ესპობათ საშუალება შეითვისონ უძვირფასესი კულტურული სიმდიდრე მშობლიურს ენაზე, მტრად გადაექცევათ იმ სახელმწიფოს, რომელიც მათ სულს უხუთავს. ამგვარი სახელმწიფო ყოველთვის შეიცავს გამანადგურებელ ძალების ფონდს. ეს გარემოება კი აფერხებს ხალხების

ნორმალურ განვითარებას და მით ფრთებს უკვეცავს კაცობრიობის იდეალებისადმი მისწრაფებას. უნდა გვწამდეს, რომ სახელმწიფო და კაცობრიობა ბევრს მოიგებენ ცალკე ეროვნების თავისუფალ ცხოვრებით: თვითოეულს ეროვნებას თავის განსაკუთრებული თვისებები აქვს და შეუძლიან თავისი წვლილი შეიტანოს საკაცობრიო სალაროში. რამდენადაც უფრო სრულად იქნებიან განვითარებულნი ეს თვისებები თავისუფალ მეტოქეობის დროს, მით უფრო წინ წავა თვითოეული ერი და საზოგადოდ მთელი კაცობრიობაც.

ამ აზრზე შევდგებით ეხლა. საკითხები, რომლებიც წამოყენებულია ზემოთ, სავსებით არ არის, რასაკვირველია, გამორკვეული; ეს არც მიზნად გვქონია, რადგან გვინდოდა ამ თავით მხოლოდ მოკლედ გაგვესაზღვრა ჩვენი მიზანი ეროვნულ-კულტურულ მოქმედების სფერაში. ამ შემთხვევაშიაც ბევრ მხარეების შესახებ არა გვითქვამს რა; ზოგიერთ მხარეებსაც გაკვრით შევეხეთ. ეს შემთხვევით არ მომხდარა. სწავლა-განათლების საქმე იმდენად რთული და ძნელი საქმეა, რომ შეუძლებელია ერთ მოკლე წერილში დაწვრილებით მისი გათვალისწინება. პირიქით, ამ საკითხის ნათლად დაყენებას, ყოველმხრივ შესწავლას და შეგნებას დიდი დრო და შრომა უნდა; ჩვენ კარგადა ვგრძნობთ ამ საკითხის სიძნელეს მომეტებულად დღევანდელ პირობებში, მაგრამ მაინც ხელს ვკიდებთ ამ საქმეს იმ ღრმა რწმენით, რომ ხალხის სწავლა-განათლება ნამდვილი საფუძველია ერის კეთილდღეობისა; ამ აზრის შეგნება ჩვენ გვამხნევებს, გვიწვევს სამოქმედოთ და გვაიმედებს.

არ შეგვიძლია, რასაკვირველია, არ მივაქციოთ ყურადღება თანამედროვე ცხოვრების სხვა მხარეებსაც და ამ შემთხვევაშიაც ვეცდებით შევიტანოთ ამა თუ იმ საკითხის გამოკვლევაში ნამდვილი მეცნიერული თვალთახედვის ისარი.

თვითეული ჩვენგანი ცდილობს გაარკვიოს გზა თანამედროვე სინამდვილეში, ნათელი თეორეტიული წარმოდგენა იქონიოს საზოგადოების ცხოვრების შესახებ და გამოარკვიოს თავისი პრაქტიკული დამოკიდულება მასთან. სად არის ჭეშმარიტება და სად ილუზია, სად არის რეალური აზრი და სად უტოპია? თანამედროვე ხანა განსაკუთრებით თხოულობს ამ საკითხებზე პასუხს; ჩვენი საზოგადოება სხვაზე უფრო საჭიროებს ამ საკითხებზე სამართლიან, ჭეშმარიტ პასუხს. ცხოვრება არ იცდის და ჩვენი მოვალეობაა ამ შემთხვევაში დახმარება გავუწიოთ საზოგადოებას.

უცხოეთის მიმოხილვა

სწავლა-აღზრდის საქმეები უცხოეთში

/ჟურნალ-გაზეთებიდან/

წერა-კითხვის უმეცარნი ბელგიაში. — მანიფესტაცია სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ. — წინაპართა თაყვანისცემა იაპონიაში. — განათლება და ზნეობრივი აღზრდა იაპონიაში.— საფრანგეთის მასწავლებლების მონაწილეობის მიღება სკოლის საქმეების მართვა-გამგეობაში. — სტატისტიკური ცნობები სწავლა-განათლების შესახებ უცხოეთში.

ბელგიაში, მდაბიო ხალხში, გასაკვირველი უმეცრებაა. აქ, სოფლებში ხშირად შეხვდებით კაცს ან ქალს 20-30 წლისას, რომელთაც წერა-კითხვა სრულიად არ იციან. ამისთანები სულ 25%. მცირე წლოვანებში წერა-კითხვის უმეცართა რიცხვი უფრო ნაკლებია, შედარებით, მაგრამ წერა-კითხვის უცოდინარნი მაინც ბლომად არიან. ამ წლოვანებაში სიავეს როგორმე კიდევ შეებრძოლება კაცი. ოფიციალური და კერძო სასწავლებლები ცდილობენ, რომ 20 წლამდის შეძლებისდაგვარად ყველას შეასწავლონ წერა-კითხვა, მაგრამ რაკი ამ ასაკს გადაცდება — საქმეს არა ეშველება რა. თეორიულად რომ გავსინჯოთ, კაცს წერა-კითხვა 20-30 წლამდინაც შეუძლიან, მაგრამ გამოცდილებით ეს ბელგიაში შეუძლებელი ხდება. ქორწინება, მძიმე შრომა, გართობა, სამიკიტნოები — შეადგენენ სკოლის გარეთ განათლების მტრებს და თუ 20 წლამდის კაცს არ აქვს საკმაო ძალღონე, რომ შეისწავლოს ცოტათ მაინც წერა-კითხვა, იმის შემდეგ 100-ში 99 არ გამოყვება ისეთი ენერგია. ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ მაღაროებში მომუშავეებს წინადადება მისცენ ესწავლათ წერა-კითხვა, მაგრამ ისინი სრულიად გულგრილად მოეკიდნენ ამ წინადადებას.

ბელგიაში სავალდებულო სწავლის მომხრენი უცბად მრავლდებიან. ადგილობრივმა განათლების კავშირმა შეადგინა მოთხოვნილება პარლამენტში წარსადგენად, რომ კანონმდებლობის ძალით შემოღებულ იქმნას სავალდებულო სწავლა; მოთხოვნილებას ხელი მოაწერეს 200,000 კაცმა; კავშირმა, რომელიც მეთაურობდა ამ საქმეს,

გამართა დიდებული მანიფესტაცია, რომელზედაც მოიწვია სავალდებულო სწავლის მომხრენი, რომ თვალსაჩინოთ დაენახათ ყველა ხალხის სურვილის გამოთქმა. მანიფესტაცია გაიმართა ქ. ბრიუსელში. იქაური გაზეთები ასე აგვიწერენ ამ მანიფესტაციას: „ფართო ბულვარი სავსე იყო ხალხით; 60,000 მეტი მანიფესტანტები გამსჭვალულნი იმ აზრით, რომ მოსპონ უმეცრება ხალხში, შეიკრიბნენ დანიშნულს დღეს, რომ სთხოვონ პარლამენტის წევრებს გამოსცენ სავალდებულო სწავლის კანონები. ყველა განმსჭვალულნი იყვნენ იმ აზრით, რომ „დიდებულია მხოლოდ ის ხალხი, რომელშიაც განათლებაა“ და დარწმუნებულნი, რომ ისინი თხოულობენ ისეთს ზომებს, რომელნიც უსაჭიროესია ხალხის კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის. აუარებელმა ხალხმა მიაცილა კავშირის წევრები ბურგომისტრის სახლამდის, რომლისთვინაც უნდა გადაეცათ 200,000 კაცის მიერ ხელმოწერილი მოთხოვნილება: ბ-ნი დემო დაჰპირდა მოთხოვნილების წარდგენას პარლამენტში, მიუბრუნდა დეპუტატებს და უთხრა: ბატონებო, ამდენი საგულისხმიერო მხლებლები და ხალხის წარმომადგენლების დანახვაც გვიმტკიცებს, რომ ეს მოთხოვნილება საყოველთაო და საერო გამხდარა. ეს რეფორმა, ბატონებო, უსათუოდ მოხდება. ამის საათმა, თუმცაღა გვიან, მაგრამ უკვე დაჰკრა“.

ბარონ კიკუშიმ ლონდონის უნივერსიტეტში წაიკითხა ლექცია იაპონიაში აღზრდის შესახებ. ლექტორის სიტყვით იაპონიაში აღზრდის საფუძველს წინაპართა თაყვანისცემა წარმოადგენსო. ამისათვის ცალკე საგალობელი ჰქონიათ, რომელიც იწყება ასე: „ეხლა ვაქებდეთ და ვადიდებდეთ ჩვენს დიდებულს წარსულ გმირებს და ჩვენს მამებს, რომელთაც მოგვანიჭეს ჩვენ სიცოცხლე“. ეს წინაპართა თაყვანისცემა, გადმოცემული უხსოვარის დროიდან, დღესაც დაცულია და საუკეთესო საშუალებად ითვლება ეროვნული ხასიათის გასავითარებლად. ევროპის განათლებამ, რაც ასე საუცხოოდ შეითვისეს იაპონელებმა, ვერაფერი გავლენა ვერ მოახდინა სულის ამ ძლიერ პატივისცემაზე. იაპონელების აზრით წინაპართა სული მუდამ თან ახლავსთ მათ ყოველს შემთხვევაში. ამისთანა აღზრდის შედეგი ცხადია: იაპონელს თუ ბავშვობიდანვე აგონებენ იმ აზრს, რომ ისიც ადრე თუ გვიან წინაპარი გახდება, რომლის ხსოვნასაც შთამომავლობანი პატივსა სცემენ, ისიც ყოველს ძალ-ღონეს იხმარს, რომ თავისი ცხოვრება იმ იდეალს შეუთანხმოს. ბარონი კიკუში ასე ახასიათებს თავის სამშობლოში განათლებას: „იაპონური ჭკუა ევროპის მეცნიერებითაო“.

ცნობილმა პროფესორმა იოშიდამ ტოკიოდან გამოსცა გერმანიაში წიგნაკი იაპონიაში განათლებისა და განსაკუთრებით ზნეობრივი აღზრდის შესახებ. ამ წიგნაკის წყალობით შეიძლება კაცმა ცხადი წარმოდგენა იქონიოს იაპონიის სკოლებზე.

იაპონურს სასწავლებლებს ევროპიელები დიდი ხანია ვერ იცნობდნენ კარგად. ამიტომაც შემცდარი აზრიც ქონდათ მათზე. ეხლა იოშიდა ასწორებს ამ შეცდომებს და მასთან დასძენს, რომ ევროპიელების აზრით ვითომ იაპონელები დაშორებულნი იყვნენ ზნეობრივს სწავლას, სიმართლეს მოკლებულიაო.

1861 წელს იაპონიის ხელმწიფე შეუდგა რეფორმების შემოღებას. ამ დრომდის იაპონიის განათლება ჩინეთის გავლენის ქვეშ იყო; იაპონელებს არ ეტყობოდათ წინ მსვლელობა, განსაკუთრებით სწავლა-აღზრდის საქმეში. 1868 წლიდან იაპონელთა განათლებამ თავი დააღწია ჩინეთის გავლენისაგან. იაპონელები გაიტაცეს ევროპისა და ამერიკის ცივილიზაციამ. ექიმი იოშიდა ქებით იხსენიებს თავის მემალეებს — (?, — ზ. ბ.), რომ თავისს სასარგებლოდ შეეგუენ ყოველ გარემოებას. უძრავსა და თავის წარსულში ჩაფლულს მძინარა ჩინეთის წინაშე იაპონელებმა უპირატესობა ევროპასა და შეერთებულს შტატებს დაუთმეს, რომელნიც წინმსვლელობის გზაზედ მიისწრაფიან.

1868 წლიდანვე იაპონელების განათლების ისტორია იყოფა სამ რიგად. სკოლების მოწყობა 1872 წელს სწორედ ისეთივე იყო, როგორც საფრანგეთში. ამ დროიდანვე იაპონიამ, საფრანგეთის მიბაძვით, გახსნა მაღალი სასწავლებლები, უნივერსიტეტები, საშუალო და დასაწყისი სკოლები. რამდენიმე ხნის შემდეგ ინგლის-ამერიკანულ გავლენამ აჯობა საფრანგეთისას. ბოლოს 1890 წლებიდან იაპონიის პედაგოგები მოჰყვნენ გერმანიის გავლენის ქვეშ. განათლების მეთოდებში სპენსერი და პესტალოცი ჰერბარტმა შესცვალა. ცხადია ამ ცვლილებებს თან მოჰყვა არეულობა იაპონიის სკოლების ორგანიზაციაში. გერმანიის გავლენა უფრო დასაწყისს სკოლებში იჩენს თავს, ინგლის-ამერიკანული უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში. ძრიელი ცენტრალიზაციის სული კი გვაგონებს ისევ ფრანგების გავლენას.

რამდენიმე სიტყვით ეხება იოშიდა იაპონიაში არსებულ სკოლის სისტემას. უნდა აღვნიშნოთ, რომ თავდაპირველად ყველა ბავშვები სწავლობენ დასაწყისს სკოლაში 8 წლის განმავლობაში, საშუალო სკოლაში სწავლობენ 5 წელს. ახალგაზდა იაპონელები სწავლობენ ჩინურ ენას, ბერძნულსა და ინგლისურს ლათინურის მაგიერ. უნი-

ვერსიტეტში ექვსი ფაკულტეტია: იურიდიული, საექიმო, ფილოლოგიური, საბუნების-მეტყველო, ტეხნოლოგიური და სამიწა-მოქმედო. რადგან თითოეული ბუდის სარწმუნეობას თავისი საკუთარი სემინარია აქვს, ამიტომ იაპონიის უნივერსიტეტში საღვთისმეტყველო ფაკულტეტი არ არსებობს.

ოფიციალური გამოანგარიშებით 1904 წელს იაპონიაში იყო 2 უნივერსიტეტი, 269 საშუალო სკოლა და 27,138 დასაწყისი სკოლები. დასაწყისს სკოლაში კურსდასრულებულს შეუძლიან მიებაროს საშუალო სკოლაში, რომელიც გზას გაუხსნის უნივერსიტეტისაკენ და ან შევიდეს საქალაქო სკოლაში, რომელიც წარმოადგენს უმაღლეს სახალხო სკოლას და შემდეგ დასახელოვნებელ სკოლაში. იაპონიაში არსებობს აგრეთვე ლიცეი ახალგაზდა ქალებისათვის. დასასრულ, როგორც ევროპაში, იაპონიაშიაც შეხვდებით სპეციალურ სასწავლებლებს – სამხედროს, საზღვაოსნოს, საექიმოს, კომერციულს და სხვ.

აქედან სჩანს, რომ იაპონელებმა თავისი სკოლები მოაწყვეს ევროპიულს გემოზე და მით მიაღწიეს სასურველს წარმატებას იმის შემდეგ, რაც კი თავი დააღწიეს ჩინეთის უღელს. ამას უნდა დავუმატოთ, რომ თუმცაღა იაპონელ ქალებს სახელმწიფო უნივერსიტეტში არ ღებულობენ, მაგრამ მათ შეუძლიათ სწავლა განაგრძონ კერძო უნივერსიტეტებში, რომელნიც მოწყობილია ამერიკულ გემოვნებაზე.

ევროპა ხელმძღვანელობას უწევს იაპონიას ზნეობრივ შეგნების საქმეშიაც. 1868 წლამდის მხოლოდ კონფუცი და ბუდიზმი სჭარბობდა. 1868 წ. ქრისტიანობამ და ევროპიულმა ეთიკამაც იწყო გავლენა.

ჩინეთის ლიტერატურა განსაკუთრებით ზნეობრივს სწავლას წარმოადგენს. ამიტომაც ძველ დროიდან ზნეობრივ სწავლას დიდი გავლენა ჰქონდა იაპონიის სკოლებში. წიგნაკის ავტორი იმ აზრისა არის, რომ იაპონიაში ზნეობრივი გრძნობის მოქმედება გამომდინარეობს კონფუციანიზმიდან. მხოლოდ თანამედროვე იაპონელს შეუძლიან ახსნას კონფუცის მოძღვრება სხვადასხვანაირად, ვიდრე ჩინელს. საზოგადოთ იგი ქადაგებს, რომ მამულის სიყვარული და ხელმწიფის ერთგულება უმთავრესი სათნოებაა და კონფუცემ საკმაოდ ვერ უჩვენა მათი მნი შვნელობაო. ხალხის გადმოცემით ხელმწიფის გვარეულობა ღვთისგან წარმოსდგება, როგორც თითონ იაპონელებიო. იაპონელის აზრით მორჩილება ხელმწიფის გვარეულობისა და მამულიშვილობა ერთმანეთში გაუთიშველად არის გადაბმულიო. ეს არის ერთი ბურჯი მისი ზნეობრივი ცხოვრებისა.

არ შეიძლება უყურადღებოთ დავტოვოთ ბუდიზმის გავლენაც,

მაგრამ „უმთავრესი მიზანი ბუდას სარწმუნოებისა მდგომარეობს მომეტებულად იმაში, რომ ნუგეში სცე გაჭირებულს, ვიდრე ააღორძინო ძალა ცხოვრებისათვის საბრძოლველად.“ იაპონელმა აიღო კონფუციდან არსებითი სწავლა და შეუერთა ბუდას სარწმუნოებას. კონფუცის გრძნობა მოვალეობისადმი და ბუდას სიყვარული მოყვასისადმი შეერთდა ერთად და იაპონელის სული ბოლოს განვითარდა, როგორც პიროვნებითი ძალა.

ამნაირად, იაპონელის მიერ შემუშავებული მორალი იყო უფრო სოციალური, ვიდრე ინდივიდუალური; იგი აქებდა თავდადებას, ალტრუიზმს, თავისათვის უარის ყოფას. 1868 წლიდან ევროპიულმა ინდივიდუალიზმმა შესცვალა ეს მორალი და „იაპონია უცებ გარდაიქმნა ინდივიდუალიზმის სამეფოთ“. ეს ახალი მიმართულება დახასიათებულია წერილში, რომელიც მთავრობამ გამოაცხადა საჯაროთ 1872 წელს განათლების შესახებ შემდეგის სიტყვებით: „განათლების მიზანი ინდივიდუალიზმის განვითარებაშიაო“.

დემოკრატიულმა იდეებმა წინმსვლელობა იწყეს იაპონიაში იმის შემდეგ, როცა ამისთანა შეხედულობა დამყარდა განათლების შესახებ. სახელმწიფოს სამსახური ამის შემდეგ უმთავრეს სათნოებად არ ითვლებოდა; თვითონ ინდივიდუუმი მიისწრაფებოდა მიზნად გამხდარიყო. „ჩვენმა ხალხმა თითქმის დაჰკარგა ძველი ზნეობრივი იდეალიო“. იაპონიის ხელმწიფემ, რომ წინ აღდგომოდა ამ მოძრაობას და აღედგინა ძველი იდეალები — მამულისათვის თავდადება და ხელმწიფის მორჩილება, გამოსცა 1890 წ. მანიფესტი, რომელშიაც, სხვათა შორის, ეუბნებოდა თავის ქვეშევრდომთ: „მე მსურს, რომ თქვენ ყურს უგდებდეთ თქვენს მშობლებს, გიყვარდესთ თქვენი ძმები და დები, და ცოლ-ქმარნიც თანხმობით ცხოვრობდნენ, ნუ ჰკარგავთ თავშეკავებას და ნუ ეუბნებით თქვენ მოყვასს უარს დახმარებაში; გიყვარდეთ სწავლა, წესიერი ცხოვრება, განავითარეთ თქვენი გონება და იყავით კეთილისმყოფელნი. ხელი შეუწყვეთ საზოგადო საქმეს და გააკეთილშობილეთ კაცობრიობა თქვენის საზოგადო სოლიდარობის მაგალითებით. ხელი შეუწყეთ სახელმწიფო წესწყობილებას და პატივს სცემდეთ კანონს; საჭიროების დროს შესწირეთ თავი სახელმწიფოს კეთილდღეობას და იყავით ყოველთვის გულადნი და მამაცნი. ხელი შეუწყვეთ ყოველი თქვენი ღონისძიებით სახელმწიფოს აყვავებას, რომელმაც უნდა იარსებოს, ვიდრე ცა და დედამიწა არსებობს. მოიქეცით ასე და თქვენ იქნებით არამარტო სარწმუნო ქვეშევრდომნი, არამედ კეთილი მოქალაქენიც და დაიცა-

ვით წინაპართა საუკეთესო ტრადიციები“. ეს დეკრეტიო, ამბობს იოშიდა, არის ეხლანდელი „ზნეობრივი ნორმა“ იაპონელი ხალხისაო.

ამ მიმდინარე წლის აგვისტოსათვის პირველ რიცხვებში კლერმონში მოხდა საფრანგეთის მასწავლებლების „მეგობრულ საზოგადოებათა“ ამიკალების /Le samicales/ კრება. ეს იყო მრავალრიცხოვანი, სიცოცხლით სავსე და ნამდვილ მეგობრული კრება, რომელიც სამი დღე გაგრძელდა. მონაწილეობა მიიღეს 426 დელეგატმა 101 საზოგადოებიდან 85 ათას სასწავლებლით. კრების უმთავრეს საგანს შეადგენდა მსჯელობა სკოლებთან არსებული სათათბიროების შესახებ. საფრანგეთში ყოველს დეპარტამენტში საკითხი დასაწყისს სწავლა-განათლების შესახებ ირკვევა სადეპარტამენტო სათათბიროში, რომელიც პრეფექტთან ან გუბერნატორთან არსებობს. საშუალო და მაღალ განათლების შესახებ აკადემიური სათათბირო არსებობს ყოველს ოლქში მზრუნველთან /რექტორთან/, რომელიც ისეთსავე როლს ასრულებს, როგორც სადეპარტამენტო სათათბიროები პრეფექტთან.

სადეპარტამენტო სათათბიროს თავმჯდომარედ ითვლება პრეფექტი, თანაშემწედ – ოლქის სკოლების ინსპექტორი. ამათ გარდა სათათბიროში შედიან 12 პირნი: 4 „საგენერალო მრჩეველი“, დეპარტამენტის „საგენერალო სათათბიროს“ წევრთაგანი, 2 დირექტორი სადეპარტამენტოს ნორმალური სკოლებისა, 2 მასწავლებელი კაცი და 2 მასწავლებელი ქალი ამხანაგების მიერ არჩეულნი და 2 სახალხო სკოლების ინსპექტორი, დანიშნული სამინისტროს მიერ. სათათბიროში მასწავლებელთა რიცხვი მაინც საჭიროა მასწავლებელთა ინტერესების ცოტათ მაინც დასაცველად სადეპარტამენტო სათათბიროში, რომელსაც ფართო უფლება აქვს სკოლის საქმეებში. როგორც პედაგოგიური ორგანო სათათბირო თვალ-ყურს ადევნებს დასაწყისს სკოლებში პროგრამის შესრულებას, იღებს სხვადასხვა ზომებს სკოლების სასურველ დონეზედ დაყენებისათვის, განიხილავს სკოლების ინსპექტორის ანგარიშებს და წინადადებათა და სხვ. სათათბირო განსაზღ ვრავს მასწავლებელთა და სახელმწიფო სკოლების რიცხვს თითოეულს საზოგადოებაში. შემდეგ ირჩევს ერთს ან რამდენიმე დელეგატს თითოეული კანტონისათვის სახელმწიფო და კერძო სკოლების მეთვალყურედ; ადგენს კანდიდატების სიას, რომელთაც უფლება აქვსთ დამტკიცებისა მასწავლებლობის თანამდებობაზე.[2] ამ სიიდან ოლქის ინსპექტორი აირჩევს კანდიდატებს, რო-

2 საფრანგეთში თავდაპირველად გამოსაცდელად მასწავლებლებს მცირე ჯამაგირიან ადგილზე ამწესებენ.

მელთაც საბოლოოდ ამტკიცებს პრეფექტი. სათათბირო ადგენს სიას იმის მიხედვით თუ რა ამაგი მიუძღვის მასწავლებლებს, ან რამდენი წელი უმსახურნიათ.

დასასრულ სადეპარტამენტო სათათბიროს უფლება აქვს დააფასოს მასწავლებლის ღვაწლი და შეცდომებიც. წარადგენს მათ ჯილდოზე. დასჯის საკითხში სადეპარტამენტო სათათბირო ნამდვილ გამწრთვნელ ორგანოს როლს ასრულებს. შენიშვნებისა და საყვედურის გამოცხადების გარდა, ყოველგვარ სასჯელის გადაწყვეტა მხოლოდ სადეპარტამენტო სათათბიროს შეუძლია. თუ ვინიცობაა სასჯელი მკაცრი აღმოჩნდა – მასწავლებელს შეუძლია საქმის გადატანა უმაღლეს სათათბიროში.

ეს უმაღლესი სათათბირო არსებობს სახალხო განათლების სამინისტროსთან, რომელიც განაგებს და არკვევს ერთად ყველა საჭირო კითხვებს დაბალის, საშუალო და მაღალი განათლების შესახებ. ამ სათათბიროში შედიან 57 წევრი, უმეტესად არჩეულები: 5 საფრანგეთის ინსტიტუტიდან, რომელთაც ამხანაგები ირჩევენ; 9 მრჩეველი, პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული მინისტრის არჩევით, ყოფილის ან ეხლანდელის დირექტორებისა, ინსპექტორებისა და მზრუნველებისაგან და სხვ. 33 წარმომადგენელნი მაღალის და საშუალო სკოლებისა და 6 – დასაწყისი სკოლებიდან, ამხანაგების არჩევით; ბოლოს ოთხი წარმომადგენელი კერძო სკოლებისა, პრეზიდენტის დასახელებით.

ამ სათათბიროს წელიწადში ორი საზოგადო სხდომა აქვს. საქმის უმეტეს ნაწილს მუდმივი სექციები ასრულებენ – განიხილავენ პროგრამებს, მოსაწონებელ წიგნების სიას, ახალი კათედრების, ლიცეიების, გიმნაზიების და ნორმალური სკოლების დაარსების საკითხებს და სხვ. ყველა საჭირო საქმეების შესახებ საკითხი თავდაპირველად გამოირკვევა სექციებში და შემდეგ წარედგინება საზოგადო კრებას. ადმინისტრატიულ ფუნქციების გარდა იგი, როგორც უკანას კნელი ინსტანცია, სადაც გადააქვთ საჩივრები აკადემიურის და სადეპარტამენტო სათათბიროების დადგენილებათა შესახებ, ასრულებს აგრეთვე სასამართლოს და დასჯის გადამწყვეტელ ფუნქციასაც.

ამ სათათბიროებში, როგორც ზემოთაც მოვიხსენეთ, მასწავლებელთა რიცხვი ძლიერ შემცირებულია. მასწავლებლებს კი უნდათ თავიანთ საქმეში თვითონ იყვნენ პატრონნი. რასაკვირველია ყველას არა, არიან არსებული წესის კმაყოფილნიც, რომელთაც სურთ მხოლოდ მცირეოდენი შესწორების შეტანა.

ამ აზრის მიხედვით ილაპარაკა კლერმონში კრებაზე პარიზის ნორმალურის სკოლის დირექტორმა Deviuat-მა. წინააღმდეგი აზრი წარმოსთქვა მასწავლებელმა Clay-მ, რომელმაც თავდაპირველად მოიყვანა ტენის თეზისი: „ყოველი ინდივიდი, რამდენათაც თუნდ უმეცარი იყოს იგი, შეიძლება საინტერესო იყოს, რადგანაც იგი კომპეტენტიურია ყოველს საკითხებში, რაც შეეხება მისს პროფესიას და ხელობას“. აქედან ცხადიაო, – სთქვა ორატორმა, ჩვენი სათათბიროები სკოლის საქმეებში უნდა წარმოადგენდენ კომპეტენტურს დაწესებულებას, ამიტომაც იმისი შედგენილება ისეთი უნდა იყოს, რომ გამგებელნი-მმართველნი რიცხვით არ უნდა სჭარბობდენ ვისაც განაგებენ. ამ სათათბიროებს, რასაკვირველია, არ ექნებათ კანონმდებლობითი უფლება, მაგრამ ყველა წევრებს ექნებათ თანასწორი უფლება მონაწილეობისა რეფორმების პროექტების განხილვაში, რომელნიც პარლამენტს უნდა წარედგინოს. იგია ერთად ერთი უმაღლესი მსაჯული, რომელსაც შეუძლიან კორპორატიულის და საზოგადოებრივი ინტერესების მორიგება. სათათბიროს უფრო მეტი კომპეტენტურობით ჩვენ გავუადვილებთ საქმეს დეპუტატს პარლამენტში, რადგანაც მივცემთ მას ყოველგვარ უსაჭიროეს ტეხნიკურ განმარტებებს. ამით ჩვენ დავარწმუნებთ მინისტრსაც დაიცვას ან უარჰყოს პალატაში ესა თუ ის პროექტი განათლების საკითხის შესახებ.

საფრანგეთშიაც არაერთი მოხელეა ისეთი, რომელნიც ხელმძღვანელობენ იმისთანა მოსაზრებით, რომელთაც არაფერი საზოგადო არ აქვთ სკოლების ინტერესებთან. სხვათა შორის ესეც მოიხსენია გლეიმ და გამოსთქვა ის იმედი, რომ საქმე შეიცვლება მაშინ, როდესაც სადეპარტამენტო სათათბიროებში მასწავლებლები სხვა წევრებთან რიცხვით გათანასწორდებიანო.

„ადგილობრივმა ადმინისტრაციამო, – სთქვა მან, – დაჰკარგა წინააღმდეგობის გამბედაობა და მოქმედებს ისე, როგორც პარიზიდან ანიშნებენ და ან როგორც ადგილობრივ მსხვილ უფლებიან და გავლენიან ამომრჩევლებს ჰსურთ. და რადგანაც ჩვენ არ გვჯერა გამბედაობა და სიმტკიცე ჩვენის უფროსებისა, რომელნიც, ვიცით, უძლურნი არიან სამარცხვინო ფავორიტიზმის წინააღმდეგ, ჩვენ ვითხოვთ ჩვენს წილს საპასუხო მონაწილეობისას სკოლის გამგებლობის საქმეში“.

სამასი ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 140, რომელიც დევინას მიემხრო, მიღებული იქმნა წინადადება, რომელსაც გლეი იცავდა. კონგრესის მიერ მიღებული რეზოლიუციის თანახმად – ამხანაგ

მასწავლებელ ქალთა და კაცთაგან არჩეულები სადეპარტამენტო სათათბიროში უნდა უდრიდენ ყველა დანარჩენებს. ასე უნდა მოხდეს უმაღლესს სათათბიროშიაც, სადაც, იმ პროექტით, რომელიც კონგრესმა მოიწონა, უნდა დაესწრნენ 24 წარმომადგენელნი, ნაცვლად ეხლანდელის ექვსისა.

ძლიერ საგულისხმიერო ცნობებს იძლევა პროფესორი ი. ოზეროვი „Р. Сл."-ში ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების სკოლების შესახებ. ეს ცნობები ამოღებული აქვს მას უკანასკნელ წლებში გამოსული ანგარიშებიდან. 82 მილიონ მცხოვრებლებში შეერთებულ შტატებში 1904-1905 წლებში 18,160,000 მოწაფე ქალი და ვაჟი სწავლობდა სკოლებში, რომელზედაც 377 მილ. დოლარი იხარჯე ბოდა ანუ ჩვენებურად 750, 000, 000 მანეთი. ამ რიცხვიდან სახელმწიფო ხარჯავდა 292 მილიონს: კერძო სკოლებზე 21 მილ., უნივერსიტეტებზე და გიმნაზიებზე 42 მილ., კომერციულს სასწავლებლებზე 3 მილიონს და სხვ. როგორც სჩანს ამერიკაში განათლების საქმეში ხარჯს სრულიად არ ერიდებიან.

მასწავლებლები ყოფილან 460 ათასი. უმეტესობას შეადგენდნენ ქალი მასწავლებლები — 350 ათასს. საინტერესოა, რომ ორთა შუა რიცხვი სახალხო მასწავლებლის თვიურ ჯამაგირისა უდრის 55 დოლარს, ე. ი. 110 მანეთს, ქალ-მასწავლებლისა — 43 დოლარს. აქედან ცხადია თუ მატერიალურის მხრით რამდენად უკეთ არიან შეერთებული შტატების მასწავლებლები უზრუნველყოფილნი. სკოლის კუთვნილების ღირებულება შეერთებულ შტატებში განისაზღვრება 733 მილიონ დოლარით ე. ი. თითქმის ერთ ნახევარ მილიარდ მანეთით.

იმავე ამერიკის სტატისტიკაში მოყვანილია საყურადღებო ცნობები დასაწყის სკოლების შესახებ სხვადასხვა ქვეყნებში, რომელთა შორის რუსეთს თითქმის უკანასკნელი ადგილი უჭირავს. თუ მივიღებთ განათლების მაჩვენებლად მცხოვრებთა რიცხვის შეფარდებას სკოლაში მოსიარულე მოწაფეთა რიცხვთან, მაშინ უკანასკნელი ცნობებით სჩანს, რომ ეს პროცენტი კვინსლენდში უდრის 19, 33, ვიკტორიაში — 17, 37, ახალ ზელანდიაში — 1604, ონტარიოში — 20, 06, მანიტობში — 22, 93, ახალ შოტლანდიაში — 21, 08, შეერთებულ შტატებში — 20,62, 1904 -1905 წლებში და 1899 -1900 წლ. — 22,37, შვეიცარიაში — 19,03, ნიდერლანდიაში — 15, 3, ინგლისში და უელსში — 17, 63, რუმინიაში — 7, 5, გერმანიაში — 16,5, საფრანგეთში — 14, 25, რუსეთში 1902 წლის ანგარიშით — 3, 3.

აქვე მოყვანილია ცნობები თუ რამდენი ხარჯი მოსდის ხალხის

განათლების საქმეში მცხოვრებლებს კაცის თავზე განაწილებით. ეს ხარჯი გერმანიაში თითო თავზე უდრის 1, 77 დოლარს ე. ი. 3 მან. და 54 კაპ. ინგლისში და უელსში – 1, 9 დოლ. ნორვეგიაში – 1, 44 დოლ. მანიტობში – 7 დოლ. ე. ი. 14 მან. ახალ სამხრეთ ვალისში – 3, 09 დოლ. რუსეთში – 44 კაპ.

თითოეული მოწაფის ხარჯი ამერიკულ სტატისტიკით გერმანიაში უდრის 22 მან. 84 კაპ., დიდ ბრიტანტაში 21 მან. 58 კაპ., მანიტობში – 61 მან. 2 კაპ., ორანჟეს რესპუბლიკაში – 64 მან. 82 კაპ., ტრანსვალში – 52 მან. 38 კაპ., ონტარიოში – 24 მან. 54 კაპ., ავსტრალიის ახალშენებში დასავლეთ ავსტრალიაში – 42 მან. 96 კაპ., რუსეთში – 11 მან. 60 კაპ.

ამნაირად ბევრს ქვეყანაში არათუ მოწაფეთა რიცხვის შეფარდების პროცენტი მცხოვრებთა რიცხვთან გაცილებით ბევრჯერ მეტია, ვიდრე რუსეთში – ხარჯიც კი თითოეულს მოწაფეზე ბევრჯერ აღემატება რუსეთისაზე.

ერთის სიტყვით ეს სტატისტიკა ნათლად გვიმტკიცებს იმ აზრს, რაც გამოთქმულია იმავე ჟურნალის პირველ წერილში. იქ, სადაც განათლების მნიშვნელობა ხალხს ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი, არ ზოგვენ არავითარ ხარჯს ამ საქმისათვის, რადგანაც ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ კარგი ელემენტარული განათლება მაღლა აყენებს ქვეყნის საწარმოო ძალას და ამ საგანზე გაწეული ხარჯი ერთი ასად უბრუნდება ხაზინას.

დედა ენა, როგორც საფუძველი სწავლებისა

არც ერთს საგანს, რასაც სკოლებში ასწავლიან,
არ აქვს იმაზე მეტი მნიშვნელობა, როგორც სამშობლო ენას.
რუდოლფ გილდებრანდი.

I

ამ უკანასკნელ დროში საზღვარგარეთ და რუსეთშიაც დიდს ყურადღებას აქცევენ დედა ენას, როგორც სკოლაში სასწავლო საგანს. უეჭველია მალე დადგება ის დრო, რომ მშობლიურს ენას ყველა სკოლებში მიენიჭება უპირველესი და ღრმა აღმზრდელობითი დანიშნულება. რუსეთის პედაგოგებში პირველად უშინსკიმ განმარტა საფუძვლიანად დედა ენის ღრმა მნიშვნელობა, როგორც განმავითარებელ და აღმზრდელ სასწავლო საგნისა, რომელსაც „საკვირველი პედაგოგის“ სახელი უწოდა. ჩვენში ამავე საგანს არაერთხელ შეხებია ჩვენი პედაგოგი ბ-ნი ი. გოგებაშვილი, რომელიც, სხვათა შორის დედა ენის მნიშვნელობის შესახებ სტამბავდა წერილებს „ივერიაში“; ეს წერილები შემდეგ ცალკე წიგნაკადაც დაიბეჭდა ჯერ „ძირითადი უკულმართობის“ და შემდეგ „ბურჯი ეროვნების“ სათაურით. უკანასკნელ წიგნაკში უფრო ფართოდ არის დახასიათებული დედა ენის მნიშვნელობა მრავალ მეცნიერთა აზრების მოყვანით. ამავე საგანს ეხება პ. სურგულაძის წერილი, რომელიც დასტამბული იყო 1904 წლის საქართველოს კალენდარში სათაურით „ენა“.

ყოველ ხალხს, მომეტებულად ვისაც ისტორიული წარსული აქვს, ბუნებით მინიჭებული აქვს თავისი საკუთარი ეროვნებაც, როგორც თითოეულს ადამიანს — საკუთარი, თავისებური პიროვნება. სკოლა, ყველა ქვეყნის საუკეთესო პედაგოგების აზრით, უნდა იყოს სახალხო, ე. ი. ერთგული ხალხის ენისა, მისი ზნე-ჩვეულებათა და ისტორიისა, რომ ხალხმა არ ჩათვალოს იგი უცხოთ, ძალად თავზე მოხვეულად, აკმაყოფილებდეს ხალხის გონებასა, მისი არსებობის და ცხოვრების მოთხოვნილებათ, აცნობდეს ხალხს წარსულს და აწმყო ცხოვრებას, უნათებდეს გზას საუკეთესო მომავლისაკენ.

„ეროვნული გრძნობაო,— ამბობს ცნობილი პედაგოგი უშინსკი — ისეთი ძლიერია, რომ ყველა კეთილშობილურ წმინდა გრძნობათა

დაკარგვის შემდეგ – ადამიანში ის ქრება უკანასკნელად. მექრთამე, რომელიც თავის სამშობლოს ძალებს ჭიასავით ძირს უთხრის, თანაუგრძნობს სამშობლო ქვეყნის დიდებას და გაჭირებას. ავაზაკში, რომელშიაც ჩამქრალია ყველა კეთილშობილური, ადამიანური გრძნობა, კიდევ მოიპოვება მცირეოდენი სიყვარული სამშობლო ქვეყნისა, – რომლის მინდვრები, ტყე-ველნი, ენა, გადმოცემანი და ცხოვრება, არა ჰკარგვენ მიუწდომელ ძლევამოსილს უფლებას ადამიანის გულზედ“.

ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ მოზარდ-თაობის აღზრდას, შექმნილს ხალხის მიერ და დამყარებულს ეროვნულს ნიადაგზე, აქვს ისეთი დიდი აღმზრდელობითი ძალა და მნიშვნელობა, რასაც ვერ იპოვით უცხო ენიდან გადმოტანილს აღზრდის საუკეთესო კანონებშიაც. ეროვნება არის ერთადერთი წყარო ხალხის ცხოვრებისა საზოგადო ისტორიაში. მხოლოდ თავისი განსაკუთრებული აზრებით, რომელიც შეაქვს ხალხს ისტორიაში – ხდება იგი ისტორიულ პირად. ყველა ერს ამ საქმეში ბუნებით მინიჭებული აქვს განსაკუთრებული როლი და თუ ეს მას დაავიწყდა – უნდა ჩამოშორდეს სცენას, იგი საჭირო არ არის, რადგანაც ხალხი უეროვნებოდ წარმოადგენს უსულო გვამს, რომელიც უნდა გაიხრწნას, ან გაითქვიფოს სხვა სხეულში, რომელსაც შეუნახავს და დაუცავს თავისი თვითარსებობა. ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობა ხალხის ეროვნულ ნიადაგზე აღზრდაში დედა ენას აქვს.

თეორიულად ეხლა ვერავინ ვერ უარჰყოფს დედა ენის ღრმა მნიშვნელობას და ვერც ვერავინ გაბედავს სთქვას, რომ მისი სწავლება სკოლაში და ოჯახში უსარგებლო იყოს. მაგრამ საქმით კი ამ საგნის სწავლება ფრიად უნუგეშო მდგომარეობაშია; სწავლება მოწაფეთათვის უხალისოთ სწარმოებს, ხშირად მომაბეზრებელიც არის და მცირე ნაყოფიერიც. საკითხმა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გახდეს დედა ენა ჭეშმარიტ განათლებისა და აღზრდის იარაღად, დიდი ხანია მიიპყრო პედაგოგების ყურადღება. აუარებელს წერილებში და სახელმძღვანელო წიგნებში, რომლებიც ეხებიან დედა ენის სწავლების საქმეს, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია გერმანელ ფილოლოგის და პედაგოგის რუდოლფ გილდებრანდის /1894 წ./ თხზულება, რომელიც სრულიად არა ჰგავს იმ მეთოდიურს სახელმძღვანელოებს, რომლებიც ათასობით იბეჭდება რუსეთში და საზღვარგარეთაც ერთხელ მიღებულის წესით. გილდებრანდის თხზულება წარმოადგენს სრულიად ორიგინალურს პედაგოგიურ-საფილოლო-

გიო ნაშრომს. ხუთი წლის წინად გილდებრანდის თხზულება გადათარგმნილი იქმნა რუსულადაც შემდეგის სათაურით: „სკოლაში დედა ენის სწავლებისა და საზოგადოთ ნაციონალურ აღზრდა-განათლების შესახებ“. ამ წერილში მიზნათ გვაქვს გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს სხვებთან ერთად გერმანელ პედაგოგის უმთავრესი აზრებიც, რამდენადაც ეს საჭიროა და საგულისხმიერო ჩვენთვისაც.

გილდებრანდის აზრები, რომლებიც გატარებულია მის თხზულებაში, წარმოადგენენ ერთის მხრით დედა ენისა და ლიტერატურის მრავალ წლის სწავლების შედეგს ლეიპციგის უნივერსიტეტში და მეორე მხრით იმ შრომის ნაყოფს, რომელიც მას მიუძღვის გერმანული ლექსიკონის გამოცემით იაკობ გრიმის შემდეგ.

გილდებრანდის თხზულებაში „დედა ენის სწავლების შესახებ“ არ არის დაცული სასტიკი სისტემა; ეს ბევრს ნაკლულევანებად მიაჩნდათ. ამისთანა სისტემას მეცნიერი პედაგოგი თითქო განძრახ გვერდს უხვევდა. – „აქ გამოთქმული აზრების შემუშავება“, – ამბობს გილდებრანდი, – „წარმოდგენილი მაქვს არა ჩვენში უკვე მიღებული სისტემატიური ფორმებით, არამედ თავისუფალ გამოსაკითხავ დამხმარებელი ფორმებით, სადაც უფრო მეტ სასტიკად განსაზღრულს ცალკე ფაქტებზე და შემთხვევებზე აგებული პრინციპი მიიღებს თავისს განვითარებას, ცოცხალ ახსნას და საჭირო შემთხვევაში ცდის საშუალებით შესწორებასაც“.

თავისი წიგნის გამოცემის დროს, როგორც იმისივე სიტყვებიდანაც სჩანს, გილდებრანდს სახეში ჰქონდა ჩაენერგა მასწავლებელში გამბედაობა და ხალისით შესდგომოდა ახალ გზას და გაეღვიძებინა მათში რწმენა ახალი ცვლილების ადვილად განხორციელების შესახებ, რადგანაც ეს ცვლილება ერთის შეხედვით მაღალ ფარდებიანია, ანუ განუხორციელებელ ოცნებად ეჩვენებოდა მკითხველს, მაგრამ, არსებითად კი, ძლიერ მარტივი, ხელსაყრელი და სარწმუნოა.

მართლაც, „ყველა, ვინც კი წაიკითხავს გილდებრანდის თხზულებასო“, – ამბობს რიხტერი, – „უსათუოდ იტყვის: არც ერთს წიგნს არ მოუფენია იმდენი შუქი ჩემს მასწავლებლობის საქმეში და თუ ყველა მასწავლებლები მიჰყვებიან გილდებრანდის რჩევასა და მაგალითს, – უკეთესი იქნება სკოლაში, ოჯახში და მთელ ხალხშიაც“.

II

მასწავლებლებს, ამბობს გილდებრანდი თავის თხზულების პირველ გვერდზე – დედა ენის სწავლება ადვილ და სასიამოვნო საქმედ არ მიაჩნიათო; ზოგიერთებს, პირიქით, იგი უძნელეს, სამძიმო და მომაბეზრებელ საგნად მიაჩნიათ, როგორც მასწავლებლისათვის, ისე მოწაფეებისთვინაც – არა თუ სახალხო და საქალაქო სკოლებში, მომეტებულად გიმნაზიებშიაც.

საქმის ამნაირი არანორმალური მდგომარეობა გერმანელ პედაგოგს ფრიად სახიფათოდ მიაჩნია, რაკი წარმოდგენილი გვაქვს, რომ დედა ენა უსაჭიროესი და უპირველესი საგანია სხვა სასწავლო საგნებთა შორის და ეს საჭიროება, რა ფასისაც უნდა იყოს იგი, უეჭველად მჭიდროდ არის დაკავშირებული სამშობლო სკოლის მაღალ დანიშნულებასთან, როგორც მატარებლის თავისებურ ნაციონალური კულტურისა, აქ დავინახავთ საზოგადოებრივ ნაციონალურ უბედურებას და განსაცდელს, რომელთან ბრძოლაში საჭირო იარაღი დაჩქარებით უნდა გამოვძებნოთ.

დედა ენის გაკვეთილებზე გულდაუდებლობას გილდებრანდი აბრალებს ამ საგნის სწავლების ცუდათ დაყენებას. დედა ენის სწავლებას, როგორც სხვა სასკოლო საგნების სწავლებასაც, წმინდა მსჯელობითი ხასიათი აქვს. სხვა საგნების სწავლების დროს მსჯელობითი სამუშაო ისეთი მოსაწყენი და დამღალავი არ არის. მოწაფეს თან ჰყვება გამამხნევებული შეგნება, რომ იგი იძენს რაღაც ახალ-ახალ ცნობებს, მისი გონების ფარგალში ფეხს იდგამს ახალი ცნობები. ისეთი საგნის მშრალად გადაცემითაც, როგორიც არის, მაგალითად, გეოგრაფია, მოწაფეებს სულის სიღრმეში მაინც რჩებათ შემეცნება ფაქტიური ახალი ცნობებისა, რომელნიც ხელს უწყობს ცნობისმოყვარეობას და ეს უკანასკნელი კი დედაა უფრო მაღალის ცოდნისმოყვარეობისა.

მასალა, რომელსაც ანგარიში უნდა გავუწიოთ დედა ენის სწავლების დროს, თითოეულ მოწაფეს მზამზარეულად თან მოაქვს. ეს მასალა, როგორც ამბობს გილდებრანდი, ყველასათვის სასურველი სიმდიდრეა, ისეთი საუნჯეა, სადაც ინახება ფრიად უძვირფასესი განძი, რომელიც თითონ მოიპოვა თავისათვის, – თავისი საზოგადო შეხედულობაა ქვეყნიერებაზე.

დედა ენის მასწავლებელს უნებლიეთ მოუხდება შეეხოს ამ მზა მასალას – მოწაფეთა ცოდნას და გონებითს სალაროს. ბავშვის ცოდ-

ნასთან და მისი გონებით ბარგთან შეგუებაში, შეთანხმებაში გამოიხატება დედა ენის შესწავლაში ხალისის დაცვის საიდუმლოებაც.

დედა ენის გაკვეთილებზე უმთავრესს ყურადღებას აქცევენ გრამატიკას და მართლწერას, მიუხედავად იმისა თუ რამდენად ითხოვს ამას ცხოვრების სინამდვილე. თითონ გილდებრანდი წინააღმდეგი არ არის გრამატიკისა და მართლწერის სწავლებისა. საწინააღმდეგოთ მიაჩნია მხოლოდ მეტისმეტი გატაცება ამ საგნით, გადაჭარბება და სრულიად მივიწყება ცოცხალი ენისა, რომლის შესწავლას შეაქვს დედა ენის გაკვეთილებში მეტი სიცოცხლე და სიამოვნება, რომელსაც ეხლა, სამწუხაროდ, მოკლებულნი არიან მოწაფენი.

გილდებრანდის აზრით ეხლანდელი სკოლა უხსნის მოწაფეებს მხოლოდ იმას – თუ როგორი უნდა იყოს ენა და არა იმას თუ მართლა როგორი არის იგი. მაშინ, როდესაც ენას სწავლობენ ისე „თუ როგორი არის იგი“, სწავლებაც განთავისუფლებული იქნება იმ განყენებულ მსჯელობისაგან, რომელიც დიდათ სამძიმოა მოწაფეთათვის. მთავარი აზრი, რომელიც გატარებულია გილდებრანდის თხზულებაში, სახელდობრ იმაში მდგომარეობს, რომ განუღვიძოს მასწავლებლებს ხალისი და ყურადღება სკოლის მიერ მივიწყებულის ცოცხალი ენისადმი. „სწავლების სიმძიმის ცენტრი ცოცხალ ენაზე უნდა იყოს დაბჯენილიო“, – ეს სიტყვები, რომლებიც სათაურად უზის თხზულებაში მესამე თავს, შეიცავენ მთელი თხზულების მთავარ აზრს. „ენის სიცოცხლე, ამბობს გერმანელი პედაგოგი, გადავიდა ჩვენში ენის გარეგან კანში, მოხაზულობაში და მართლ წერაში, სწორედ ისე, როგორც გამოფუღრული ხის სიცოცხლე გარეგან ფენებშია, გული კი გამომპალი აქვს, ან უკვე ლპება“. „დედა ენის სწავლების სიმძიმის შუაგული წერტილი მომავალში უნდა იყოს დამყარებული ცოცხალ სიტყვებზე – თუ როგორ გვესმის იგი და არა ნაწერ სიტყვებზე თუ როგორ ვხედავთ მას. ენის გამომხატველ ამ ორივე ფორმას უნდა ჰქონდესთ ერთმანეთში თავისი ბუნებრივი დამოკიდებულება“.

რადგან ცოცხალი ენა შეიცავს სხვადასხვა სათემო კილოებს, აქედან ბუნებრივად ჩნდება პირველი საკითხი, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოს მასწავლებელმა სკოლაში; ეს საკითხი ეხება ადგილობრივს კილოს, რომელზედაც ლაპარაკობენ სკოლის მოწაფეები.

სკოლა ცდილობს, რომ მოწაფეებს განუვითაროს ლიტერატურული ენა, ხშირად ზიზღითაც უყურებს ადგილობრივს ხალხურს ენას. მასწავლებლებს უნდათ მოწაფეები გააცნონ ლიტერატურულ ენას ადგილობრივი სათემო კილოების დაუხმარებლად. გილდენბ-

რანდს სწავლების ამისთანა ხერხი შეცდომილებად მიაჩნია: იმისი აზრით ლიტერატურული ენა უნდა ჩაექსოვოს ხალხურ ენას და არა იდგეს გარეშე, განცალკევებულად და არც უპირატესობით მტრულად უცქერდეს მას.

დღეს მოწაფეს მარტო თავისთავად უხდება მუშაობა, რომ გამოხატოს თავისი სულიერი სიცოცხლის შინაარსი ახლად მიწოდებულ მაღალ ფორმებში; მუშაობა ამ მხრით აუცილებელია, ასეთი მეცადინეობის შედეგად გამოდის რაღაც სიდუხჭირე, მოწაფის განვითარების კრიტიკულს ხანაში ვამჩნევთ მისი შემეცნების ორად გაყოფას.

როდესაც მოწაფე თავისს სამუშაოში არ ხედავს მასწავლებლის მხრით დახმარებას, არამედ ხელის შეშლას, იგი ვარდება დიდს განსაცდელში და გერმანელ პედაგოგს საცოდავად მიაჩნია ამისთანა მოწაფეები: – „საბრალო ბავშვები!“ – ამბობს იგი. – აი, რა მიზეზია, რომ უმრავლესობა, რომელსაც სახალხო სკოლაში მიუღია განათლება და შესულა ცხოვრებაში, მართლა დამახინჯებულ არსებას წარმოადგენს. აზრები, რომლებიც მაღლიდან ჩაუბერავთ მოწაფის გონებაში, სრულიად არ უერთდება და არ გადაებმის იმის ნამდვილ გონებითსა და სულიერს სიცოცხლეს, რომელიც საზრდოობს ქვემოდან. რამდენი შვენიერი ცხოვრების კანონები გამოაქვსთ ყველას სკოლიდან; ვსწუხვართ მხოლოთ რომ ეს გამაკეთილშობილებელი ლიტერატურულ კანში გახვეული კანონები რჩება მხოლოდ მეხსიერების ბარგად, მთლად თუ არა სანახევროდ მაინც შეუგნებელი და შეუთვისებელი. ბოლოს, როცა სკოლაში დაზეპირებული ლიტერატურული სენტენციები ცხოვრებაში საჭირო ხდება, რომ ხანდისხან ადამიანი ააცდინონ მრუდ გზას, აამაღლოს იგი და მისი გარეშენიც აიყვანოს სასურველს სიმაღლემდის, სადაც შესაძლებელია უფრო თავისუფლად ამოსუნთქვა, ვიდრე ცხოვრების ჭაობში. იქ ეს ბრძნული კანონები და წესები დახმარებას ვეღარ უწევენ, რადგან მათი შეთვისება გრძნობიერებას მოკლებული იყო და უამისოდ კი პიროვნების ნამდვილი განვითარება შეუძლებელია.

პოეზია და თვით მეცნიერებაც დიდი ხანია ცდილობს ლიტერატურულ და ხალხური ენის გაერთიანების შესახებ. სკოლამ დახმარება უნდა გაუწიოს ამ საქმეში. „არსად არ შეიძლება ეხლა ხალხური სულის ერთმანეთში კეთილმყოფელი მორიგების გატარება ისე ადვილად, როგორც სახალხო სკოლებში და ისიც დედა ენის გაკვეთილებზე; თუ იქ განძრახ ხელს უწყობენ ძველებურს უთანხმოებას, ეს შეადგენს დიდს დანაშაულობას და უქადის ხალხს ცუდს მომავალს,

რომლის შეგნებაც თავდაპირველად სკოლაში უნდა ხდებოდეს. მართლაც ეხლა არავის არ შეუძლიან თავის თავი დარწმუნებით წარმოიდგინოს, რომ იგი მოწინავე მებრძოლია ნაციის საუკეთესო დიდებული მომავლისათვის, როგორც დედა ენის მასწავლებელს, რომელსაც გათვალისწინებული აქვს თავისი მიზანი და დანიშნულება ჩვენი საზოგადო განვითარების საქმეში“.

როგორ უნდა განხორციელდეს გაერთიანება ლიტერატურული და ხალხური ცოცხალი ენისა, რომელიც წარმოადგენს ხალხის სულის იარაღს? ამ „ფრიად საჭირო საკითხზე“ გადაჭრით პასუხის მიცემა თითონ გილდებრანდსაც უჭირს, მაგრამ მაინც ფიქრობს, რომ ამის განხორციელება შესაძლებელია, რაკი ჩვენს საქმეებში გადაწყვეტილად დავადგებით ცდის გზას, რომელიც მოგვცემს აგრეთვე თავისუფლად ამოსუნთქვის ნებას, გაანთავისუფლებს სკოლას იმ ჯაჭვებისაგან, რომელსაც იგი დიდი ხანია უმიზნოთ ატარებს, მაგრად აქვს შებოჭილი სკოლის თავისუფალი, ფხიზელი და სწრაფი განათლების საქმე.

შესაძლებელიაო, ამბობს გილდებრანდი, საზოგადო პრინციპები დაიდვას საფუძვლად ყველგან. ლიტერატურული ენა უნდა შეიცავდეს ისეთს ცოცხალ სიტყვებს, როგორიც არის ხალხური ენა და რომელსაც იგი უნდა შეუსისხლხორცდეს. ამ საქმეში თვითონ მოწაფეები ეწევიან დამოუკიდებელ თანამშრომლობას, რაშიაც ისინი სწავლების პირველი დღიდანვე იჩენენ ნიჭს. ცოცხალი ლიტერატურული ენა თავიდან ბოლომდის უნდა წარმოადგენდეს მოწაფეთათვის იმათი საკუთარი ცხოვრებიდან, საკუთარი სულიდან ახალი შინაარსის ცოცხალ მატარებელს, მიჰყავდეს მოწაფე იმ სიმაღლემდის, საითკენაც იმისი სული მიისწრაფის, არასოდეს არ უნდა მოსწყდეს იმ ერთადერთს არსებულს ნიადაგს, მის გარშემო არსებულს ყოველდღიურ სინამდვილეს.

გილდებრანდის აზრით ადგილობრივი სათემო კილოს ლიტერატურულ ენად გარდაქმნა სწარმოებს თავისთავად მოწაფის გონებაში. მასწავლებლებმა მხოლოდ ამ პროცესს ხელი უნდა შეუწყონ, შეიტანონ ყოველგან შეგნების სინამდვილე. გერმანელი პედაგოგი თავისს სიტყვებს შემდეგი მაგალითით განმარტავს: „ჩემს სოფელში და ქალაქშიაც მოწაფეები ხშირად შუა ზემო გერმანულ ei მაგიერ ლაპარაკის დროს ხმარობენ გამოსათქმელად უფრო ადვილს é :stén, bén, né, რომ ეს უნდა გამოსთქვან bein /ფეხი/, stein /ქვა/, nein /არა/ უკვე იციან სკოლაში შემოსვლისას, ან და ძლიერ ცოცხლად იგრძნობენ მასწავლებლის დაცინვისა ან საყვედურის შემდეგ, რასაც მასწავლებელი არ უნდა მიმართავდეს. ბავშვის ფხიზელი გონება ჩქარა შე-

ნიშნავს, რომ აქ იმალება რაღაც დაკანონებული ზომები, რომელთაც მასწავლებელი თუ სავსებით გადუშლის მოწაფეებს, მოჰფენს სწორს სინათლეს bén და stén ფორმებს და თუ მოთმინებით მოეპყრობა მოწაფეების მიერ შეჩვეულს é – ei-თ შეცვლას, მაშინ საქმეც ორივეს მხრით გაუჯავრებლად და სასიამოვნოდ ჩაივლის“.

სწორედ ასე უნდა მოექცნენ ენის გრამატიკულ ფორმებსაც. ხალხის მიერ შექმნილი ბრუნვების ფორმებიც და სხვაც უნდა გამოდიოდნენ მასწავლებლის ბაგედან და აქედან დაწყებული თანდათან უნდა მიიწევდენ ზემოთ თავის მოწაფეებთან ერთად. ამ საქმეშიაც მოწაფეები, ზოგიერთ ვარჯიშობის შემდეგ, ალღოს აიღებენ ენის კანონების შესახებ იმ წესით, როგორც ეს ხდება ბუნებრივად ენის შესწავლის დროს; მასწავლებელს მოუხდება მხოლოდ შემდეგ, მოხერხებულ დროს, მისცეს ამისთანა კანონს სწორი განმარტება, ან და მიანდოს უფრო მოაზრე მოწაფეებს თავისთავად დამოუკიდებლად განმარტონ ესა თუ ის კანონი. ამისთანა კანონები არ უნდა იყოს მრისხანე და მბრძანებელი, სიბნელით მოცული მცნებები, არამედ – ნამდვილად არსებული და თვით მოწაფეებში მომქმედი ბუნებრივი კანონები, რომლის გამოცნობა და განმარტება, ზოგიერთა დაკვირვების შემდეგ, სიამოვნებით შეუძლია ყველას. ამ წესის მიხედვით ენის კანონი მოწაფის მეგობარი შეიქმნება და არა უსულგულო ბატონი.

გილდებრანდი გამოტეხილად ამბობს, რომ აქაც რჩება კიდევ ისეთი რამ, რომლის დასწავლაც აუცილებელი ხდება. მაგრამ იქვე შენიშნავს, რომ ხანგრძლივი ვარჯიშობა ბოლოს მაინც სძლევს დაბრკოლებას და მიმართვა მარტო მეხსიერებისადმი ყოველ შემთხვევაში შეცდომა იქნებაო. მეხსიერება ნორმალურს პირობებში მხოლოდ მაშინ მოქმედებს, როდესაც იგი სამსახურს უწევს ცოცხალს შინაგან ადამიანს. „რამდენს ფორმალურს მხარეს შეიძენს მოწაფე ერთი რომელიმე ლექსიდან, თუ ლექსი ისეთია, რომ მისი სავსებით შეგნება და ძვალ-რბილში გატარება შეუძლია. სითბო, რომელსაც მოჰფენს ყველა ეს მასალა თავისი მთლიანობით, გავრცელდება ზემო კანზედაც, გრამატიკულ ფორმებზედაც და კმაყოფილება, რომლითაც მოწაფეები ხშირად დაუბრუნდებიან თავისთავად, აზრით, ამ ნაწარმოებს, მტკიცედ აკავშირებს იმათ სულში თვით ფორმებსაც“.

ასე უნდა მოექცნენ სინტაქსსაც. ბავშვებს უკვე მოაქვსთ სკოლაში ცნობილი სინტაქსი, რომელსაც უნდა დაემყნას, ან რომლიდანაც უნდა განვითარდეს განსპეტაკებული ლიტერატურული სინტაქსი. გილდებრანდი აქცევს აგრეთვე ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი

ფორმები ბავშვის ბუნებრივის სინტაქსისა, ბავშვების გარდა, შეგვხვდება პოეტურს ნაწარმოებშიაც და წარმოადგენს ლიტერატურული ენის მაღალ სიმშვენიერეს. ამ მხრითაც ბავშვის სული სრულიად არ წარმოგვიდგება დაუწერელ ფიცრად, რომელზედაც შეუძლია მასწავლებელს ჩამოაყოლოს ლიტერატურული ენის ფორმები; პირიქით, ბავშვის სული ცოცხალ მაჟალოს მოგვაგონებს, რომელზედაც ფრთხილად უნდა დაიმყნას კარგი ჯიშის ვაშლის ახალი ყლორტი.

გერმანელი პედაგოგის აზრით ბავშვის სიტყვიერებაში თანდათან უნდა შეიტანონ თავის ადგილას ლიტერატურული ენის ყველა საქცევები. თუ მასწავლებელი თანდათანობით გადასვლის მიუხედავად შეცვლის ბავშვების მიერ შეჩვეულს საქცევებს ახალი საქცევებით, გააფრენს მოწაფეებს მაღალს აზრებში და სიტყვებში მიუხედავად იმ მასალისა, რომელიც ბავშვებს აქვსთ ამ საგანში, იგი უეჭველად არეულობას შექმნის ბავშვის თავში. გილდებრანდს ბევრი მაგალითები მოჰყავს გაზეთებიდან ენის დამახინჯების შესახებ, როდესაც ლიტერატურული ენა ძალად დაწებებულია ხალხის ენასთან და არა შესისხლხორცებული მასთან.

III

როდესაც მასწავლებელი ხელმძღვანელობას უწევს მოწაფეებს მუშაობაში ხალხური და ლიტერატურული ენის შეერთებისა და შეგნების შესახებ — უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს პოეტიური ნაწარმოების სიტყვებისა და ყველა ხმების მკაფიოდ გამოთქმას. მასწავლებელი უნდა ცდილობდეს, რომ ცოცხალ კითხვის დროს ყოველი ხმა პოეტური ნაწარმოებისა სმენიდან სულში გადადიოდეს, მხოლოდ ამ გზით შეიძლება პოეტური ნაწარმოები გახდეს არა მარტო თავის, არამედ გულის საკუთრებადაც. ერთ ხმაზედ გაჭიანურებულად, გაბმულად კითხვა ლექსებისა და იგავ-არაკებისა უნდა იქმნას დაგმობილი, როგორც უბოროტესი მტერი ნამდვილის სწავლისა.

საზოგადოდ გილდებრანდს სიტყვიერი სწავლება, ცოცხალი ენა მიაჩნია დედა ენის შესწავლის საფუძვლად. წარმოთქმული სიტყვების ხმებისაგან, — ამბობს იგი, — სიცოცხლე იღვიძებს, თავს აღწევს ძილს, რომელიც შეიპყრობს მას მარტო ტვინით მუშაობის დროს და სულის საიდუმლო კუთხეებიდან გამოდის ქვეყანაზე, სხვების თანაგრძნობითი მოპყრობა ხელს უმართავს მას სრულად გათბეს და გა-

იშალოს. „ცოცხალი სიტყვაო, – ამბობს პოდოლინსკი, – სიცოცხლით სუნთქავს. იგი აერთებს საუკუნოს საუკუნესთან, მისგან გამოდის სინათლე, გამოპრიალებს ალი, მით უახლოვდება ადამიანი ღმერთს“. ცოცხალი და მოფიქრებული სიტყვა ყოველთვის განირჩევა წერილობითი სიტყვისაგან ისე, როგორც კეთილსურნელოვანი ვარდი განირჩევა დახატულისაგან.

უმთავრესი უპირატესობა სიტყვიერ სწავლებისა იმაში მდგომარეობს, რომ იგი უფრო მეტს ელაპარაკება ბავშვის გრძნობას, რომლის განვითარება სკოლის ერთს უმთავრესს მიზანს უნდა შეადგენდეს. ხმების ამაღლება-დადაბლებით /ინტონაციით/ შეიძლება გამოიხატოს გრძნობიერების უმწვერვალესი თვისებანი. ყველა ბუნებრივი ფორმა წინადადებისა, – სწერს გერმანელი პედაგოგი, – ითხოვს ხმის ამა თუ იმ ამაღლებ-დადაბლებას. გასაკვირველი სხვადასხვაფერობა ინტონაციისა, რასაკვირველია, მოუხერხებელია სავსებით აღიწეროს უსულო ქაღალდზე, მაგრამ, ცოცხლად კითხვის დროს, ის მოისმის მკითხველში, რომელსაც შეუნახავს სიახლე ცოცხალის გრძნობისა. წარმოსთქვით მაგალითად რომელიმე ცხადი შინაარსიანი წინადადება კავშირით თუმცა და ყურადღება მიაქციეთ შესაბამს ცალკე ინტონაციას, – აქ თქვენ დაინახავთ იმ თესლს, რომლიდანაც ყველაფერი გაღვივდა და განვითარდა.

„ხმის ინტონაცია საკვირველი ნაწილია ჩვენი საუბრისა, რომლის მნიშვნელობა მეცნიერებას სავსებით არ დაუფასებია, – ეს ღრმა და შეუმჩნეველი მხარე ენისა სავსებით განვითარებული აქვსთ ბავშვებს სკოლაში შემოსვლის დროს; ბავშვებს ინტონაცია უფრო ცოცხალი აქვსთ, ვიდრე მასწავლებელს, თუმცაღა ძლიერ ბუნებრივია, უბრალო, შეუკეთებელი და გრძნობის საზომს მოკლებული. არსებითად ეს ელემენტი ჩვენს სიტყვიერებაში უმთავრესია, აქ არის სული ჩვენის ენისა და ცენტრი ყოველგვარ ინტერესისა. აქ არის ის ნიადაგი, რომელზედაც უნდა აშენდეს ენის სინტაქსი და საზოგადოდ მაღალი ხელოვნება ენის ცოდნისა. აიღოს მასწავლებელმა, მაგალითად, რომელიმე წინადადება, რომლის შინაარსი ეხება სკოლის მახლობელ ინტერესს; წარმოსთქვას იგი ბუნებრივი ცოცხალი ინტონაციით, ხაზგასმულად, შემდეგ შესაბამი საზომის დაცვით: გაიმეოროს თითონ ეს წინადადება რამდენჯერმე, შემდეგ გაამეორებინოს საუკეთესო მოწაფეს, ვიდრე იგი ხსენებულ ფრაზას არ გამოთქვამს ისე, როგორც ლაპარაკობს გაკვეთილებს შემდეგ დასვენების დროს, მაშინ მოწაფეებს უკვე ეცოდინებათ თუ რა ხილია ეს წინადადება, ეცოდინებათ იმათზე უკეთ, რომელთაც იციან

ამა თუ იმ წინადადების სამეცნიერო ტერმინი, მაგრამ საქმის არსებითს მხარის შესახებ მაინც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვსთ.“

ცოცხალი სიტყვა-პასუხი ყოველთვის და ყველა პროფესიის ადამიანისათვის საჭიროა. „უმრავლესობას, – ამბობს ცნობილი რუსების მწერალი ვლ. შერემეტევსკი თავისს წიგნში: „В защиту живого слова“, გვ. 11-13, – „რომელიც დღეს საშუალო სკოლას ათავებს, სამი-ოთხი უცხო ენის შესწავლის შემდეგ რომ გამოეტანა სკოლიდან, სხვათა შორის, მტკიცე საფუძველი დედა ენის ცოდნისა, სიტყვების გამოკვერვისა, როცა აზრი ცხელია, რამდენად გაბევრდებოდა კარგი და საფუძვლიანი აზრების პროცენტი, რამდენად გაიზრდებოდა გონებრივი კაპიტალი, რომელიც ტრიალებს ინტელიგენტურს საზოგადოებაში. ცოტანი არ არიან იმისთანები, რომლებიც სდუმან მხოლოდ იმიტომ, რომ არ არიან დარწმუნებულნი თავიანთი აზრების, თავიანთი გულის ნადების მარტივად და ყველასათვის გასაგების ფორმით გადაცემაში, რომელიც არ იძლეოდეს მიზეზს ამა თუ იმ გაუგებრობისას. რამდენი უსარგებლო და დაუსრულებელი კამათი ცხოვრების საკითხების შესახებ გადაწყდებოდა ადვილად, რომ მოკამათეებს შეძლებოდათ ლაპარაკი და არა უანგარიშო, უთავბოლო ყბედობა. ეხლანდელი სკოლა სცოდავს იმაში, რომ მოწაფეებს არ აჩვევს ცოცხალ ლაპარაკს და შეგნებით კითხვას. ყველაფერი წიგნურმა სწავლებამ ჩანთქა, მკვდარმა ასოებმა მოინელა. საქმით კი დღევანდელი საშუალო სკოლა ვერც წერას ასწავლის რიგიანად და ვერც კითხვას. მწერლებს კი არა, – მკითხველებს უნდა ამზადებდეს დღევანდელი სკოლა; ისეთს მკითხველებს, რომელნიც ფიქრობენ წაკითხულის შესახებ და შეუძლიათ ცოცხალი აზრის გაზიარება. თუ მკვიდრი ცოდნაა, შეგნებული კითხვაა, – საკუთარი აზრიც იქნება. თუ ამ აზრის ცოცხალი სიტყვებით გამოხატვის ცოდნაა, – იქნება იმისი ცოდნაც, რომ ეს აზრი წერითაც გამოითქვას“.

სკოლა ცოცხალ სიტყვიერების შესწავლას უყურადღებოდ სტოვებს. ცხოველი სიტყვის ადგილი სკოლაში დაიჭირა ესრედ წოდებულმა აკადემიურმა ანუ წიგნურმა სტილმა, რომელიც მოგვაგონებს ძველი დროის სკოლებს. ამ პირობებში ჩვენს ყურებს და ამასთან ჩვენი სულის ცხოველს ნაწილსაც თავისუფლად შეუძლია მიიძინოს.

აკადემიური სტილის დამახასიათებელი თვისებაა გრძელი პერიოდები, რომელთაც ერთჯელ სულის მოთქმით ვერც კი გამოთქვამ. უშნო სინტაქსიური საქცევი, ანუ როგორც გილდებრანდი ამბობს – „სტილისტიური უმსგავსოება“, რომელიც შეადგენს სკოლის

თხზულებათა დამახასიათებელ თვისებას, დამოკიდებულია მომეტებულად იმ გარემოებაზე, რომ სკოლას ყველა თავისს საფეხურზედ აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია წერილობით გადმოცემაში ვარჯიშობა. განა შესაძლებელიაო, ამბობს გერმანელი პედაგოგი, ჩუმად წერის დროს, როდესაც არც ხმა და არც იგივე ცხოველი გრძნობა არ იღებენ მონაწილეობას, მხოლოდ თვალების შემწეობით შეიმუშავოს მოწაფემ ცოცხალი, დამოუკიდებელი სტილი წერისა. ამ პირობებში ნაწერი წარმოადგენს წაკითხულის მიხედვით მშრალს გარეგნულ მიმბაძველობას ან გარეგნულად ცალკე აზრების აკოწიწებას საწერად მიცემული მასალის მიხედვით.

მიმბაძველობა საზოგადოდ არავითარს სავარჯიშოს დამოუკიდებელ მოქმედებისათვის არ აძლევს მოწაფეს. ამას ცხადათ გვიმტკიცებს რუსების ცნობილი პედაგოგი უშინსკი: „ეჭვს გარეშეაო, – ამბობს უშინსკი, – ბავშვები ხშირად მიბაძვით სწავლობენ, მაგრამ შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ მიბაძვიდან თავისთავად გამოდიოდეს დამოუკიდებელი მოქმედება. მიბაძვა ბევრს მასალას იძლევა დამოუკიდებლად მოქმედებისათვის, მაგრამ ეს უკანასკნელი რომ არ ყოფილიყო დამოკიდებული მიმბაძველობაზე, ვერაფერსაც ვერ მივბაძავდით. დამოუკიდებელი მოქმედება წლოვანებასთან ერთად შემდეგ კი არ ჩნდება, იმისი თესლის ძირი ადამიანის თავისუფალ ნებაში იმყოფება და ჩნდება სულთან ერთად და ამ თესლს უნდა მიეცეს დრო და სფერა განვითარებისათვის“ /Антропология. ч. II. გვ. 409. გამ. 9/.

ერთს ადგილას სქოლიოში გილდებრანდს მოჰყავს შერდერის სიტყვები, რომლებიც გვიხატავენ დედა ენის სიცოცხლით სავსე შესწავლის იდეალს: „ყველა ცოცხალი ვარჯიშობა! წერით ვარჯიშობას გვიან უნდა მიჰყონ ხელი და სწერონ ცოტა; მაგრამ რაც კი იწერება, უნდა იყოს მეტად ცოცხალი, საუკეთესო საგანი, რომელიც ღირსია სამუდამოდ აღიბეჭდოს ბავშვის მეხსიერებაში. ამნაირად შეისწავლიან გრამატიკას ენიდან და არა ენას გრამატიკიდან. ასე შეისწავლიან სტილს ე. ი. ბუნებრივს სტილს. ლაპარაკიდან და არა ლაპარაკს ხელოვნურ სტილიდან“.

ამ მოყვანილ სიტყვებში ღრმა აზრი იხატება. სკოლებში, სადაც დედა ენის სწავლება რაციონალურად არის მოწყობილი, წერითი ვარჯიშობის უპირატესობამ ადგილი უნდა დაუთმოს სიტყვიერ ვარჯიშობას, საუბარს, რომლის დროსაც შეუძლებელია, როგორც დაუსრულებელი მომაბეზრებელი პერიოდები, აგრეთვე ბუნდოვანი და გაუგებარი წიგნური სიტყვები და ფრაზებიც. სტილი წერისა უნდა

იყოს ისეთივე ბუნებრივი და მარტივი, როგორც მარტივი და ბუნებრივია საუბარი ჩვეულებრივად ლაპარაკის დროს, რომელიც ეხება საინტერესო და ადვილ საპასუხო კითხვებს.

სკოლებში წერითი სავარჯიშოების შესახებ გილდებრანდი ამბობს: მასწავლებელი ყოველ ღონისძიებით უნდა ებრძოდეს მოწაფეებთან განყენებულ საგნებზე წერას, რომელიც ეწინააღმდეგება მთელს მათს ხასიათს; ერთადერთს საშუალებას ამ ბრძოლაში წარმოადგენს თხზულებისათვის საგნის არჩევა /თემა/. გერმანელ პედაგოგს სრულიად უსარგებლოდ მიაჩნია მოწაფეებისათვის საზნეობრივო თემები, რომლითაც ოდესღაც ოცნებობდნენ ჩაენერგათ ბავშვის გულში ზნეობრივი გრძნობა. ამისთანა უვარგისს თემებს ეკუთვნიან აგრეთვე ფილოსოფიური კითხვები, რომლის შესახებაც მოწაფეები ძალაუნებურად იძლევიან საზოგადოდ ქარის მონაბერ და მომეტებულად შეუგნებელ აზრებს, რომელთაც, როგორც მოხდება, გადააკოწიწებენ ერთმანეთზე.

ისეთი რეალური შინაარსიანი სამუშაოებიც, რომლებიც მოწაფემ ეხლა გაიცნო ან ეცნობა, ვერ აღწევენ თავისს მიზანს. ამ შემთხვევაში სერიოზული საქმე – თხზულების დაწერა ჩამოდის მეხსიერების გამოცდაზე; მოწაფე იძულებულია სწეროს ისეთის საგნის შესახებ, რომელსაც ჯერ კიდევ მაგრად ვერ მოუდგამს ფესვები მისს საკუთარ „მე“-ში. აქ ჩნდება საშიშროება წიგნიდან გადაწერისა, რომელიც სპობს მოწაფეში ყოველს თვითმოქმედებას, თავის პატივისცემას და თავისი თავისადმი რწმენას.

„რეალური თემის არჩევის დროს დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ ერთმა რომელიმე მხარემ მაინც დააფიქროს დამოუკიდებლად მოწაფე და ნება მისცეს მას გამოთქვას თავისი საკუთარი აზრები. მოწაფეები კი ფიქრობენ და გრძნობენ რასმე თავისებურად ყველა იმის შესახებ, რასაც ისმენენ გაკვეთილებზე. ამ შეუმჩნეველ აზრებში და გრძნობებში, რომლებიც აღეძვრებათ მოწაფეებს და თან მისდევს მასწავლებლის აზრებს, იმალება მოწაფის საკუთარი „მე“, რომლის განვითარებაც საჭიროა; ამაშია მოთავსებული მოწაფის მომავალი. აქ უნდა შეიხედოს მასწავლებელმა ცოდნის თვალით, ამაშია მისი უმაღლესი დანიშნულება. გიოტე ამბობს: „რაც მე ვიცი, შეიძლება იცოდეს ყველამ, მაგრამ ჩემს გულს ვიცნობ მხოლოდ მე“. ამაში და მხოლოდ ამაში მდგომარეობს აგრეთვე ჭეშმარიტი დანიშნულება სტილის შემუშავებისა: ჯერ უნდა გამოაჩენინოთ ბავშვს სულში მიმალული შინაგანი შინაარსი და შემდეგ ამაზე შეამუშავებინოთ ფორმა.

სხვა ხერხი უსათუოდ დაემსგავსება იმ საშუალებას, რომლითაც ასწავლიან თუთიყუშებს ლაპარაკს. ყველაზე უფრო კარგია სამუშაოებში იმისთანა, სადაც მოწაფეებს ნება ეძლევათ თავისუფალის ფორმით, მოყოლებით გადმოგვცეს რამე იმის შესახებ, რაც თითონ პირადად გამოუვლია ანუ განუცდია. ჩემის დაკვირვებით, ამ შემთხვევაში, კარგი ნაწერები ერთი მესამედით მაინც მეტია ჩვეულებრივზე“.

მწერლობითი სტილის შესამუშავებლად გერმანელ პედაგოგს მიაჩნია „უმთავრესი წესის“ დაცვა: მუდამ მოაგონოთ მოწაფეებს, რომ ყოველგვარ წერით ვარჯიშობის დროს ყოველთვის ან საეჭვო შემთხვევაში წარმოსთქვან გასაგონად ის, რის დაწერაც უნდათ ანუ დასწერეს, რომ შეამოწმონ სმენით. ვისაც შეუძლია ამაში ბავშვების წახალისება, შენიშნავს პედაგოგ-ფილოლოგი და ამავე დროს ზრუნავს მოწაფის სმენის განვითარებაზედაც, იმის საქმე მოგებულია. ყველა სამუშაოს დაეტყობა სიახლე, რომელიც გამოიხატება შინაარსში და ფორმებშიც. დაეტყობა სიცოცხლის, ნამდვილი სიცოცხლის სული. „სმენა ყველაზე უფრო სარწმუნო კონტროლია ენის სიფაქიზის, სიცხადის და მტკბარი ლაპარაკის შესამოწმებლადო, ამბობს შერემეტიევსკი; მოლაპარაკის ყური ვერ მოითმენს იმ ხორკლიანობას, ჭირვეულობას, იმ სტილისტიურ ხიჭვს, რომელსაც უშვებს თვალი წერით აზრის გამოთქმის დროს. ქაღალდი ყველაფერს ითმენს, ყური კი – ვერა“.

IV

ყველაფერი, რასაც კი შეუძლიან აღძრას მოწაფეში თვითმოქმედება, დიდათ ხელს უწყობს სიცხოველეს და გართულობას დედა ენის გაკვეთილებზე. ის, რასაც მასწავლებელი ჩაუდებს მოწაფეს მეხსიერებაში მოწაფის თვითმოქმედების დაუხმარებლად, რჩება შემეცნების ზერელე, ფეხს ვერ იდგამს მაგრად, და მთლად თუ არა, ორი მესამედი მაინც მალე ჩამოშორდება. რაც კი მოწაფის წინ იხატება ახალი მომხიბლველი სიცოცხლით, რაც ერთბაშად პოულობს ადგილს ბავშვის გონებაში, ის უცბად შეიჭრება შემეცნების სიღრმეში და იქ თავისთავად მაგრად ფესვს გაიდგამს, მომეტებულად მაშინ, თუ ეს ცოდნა მოწაფემ თავისთავად შეიძინა და არ მიიღო მზად მასწავლებლისაგან.

მოწაფეში თვითმოქმედების განვითარებისათვის დედა ენის გაკვეთილებზე უკეთესი საშუალება არის სიტყვის წარმოშობა, რომე-

ლმაც სამეცნიერო გრამატიკაში შესაბამი ადგილი მოიპოვა. მაგრამ ამისათვის საჭიროა ენის ისტორიის ცოდნა და ეს კი დაბალ კლასებში მოუხერხებელია.

მეორე უფრო საჭიროს და შესაფერისს მასალას იძლევა ენა; ეს მასალა ყოველ წუთს იშლება მოწაფის თვალწინ და იძლევა დაულეველს სიმდიდრეს მოწაფის ყოველმხრივ სულიერად განვითარებისათვის. რომ ავიღოთ, ამბობს გოლდებრანდი, თითოეული ჩვენთაგანის სიტყვის ნაწილები იმ სახით, როგორც ინახება ჩვენს გონებაში და რის მსგავსიც ბავშვებს ბლომად მოეპოვებათ სკოლაში მიბარების დროსაც, ჩვენ დავინახავთ, რომ ისინი შესდგებიან არა მარტო ცალკე სიტყვებისაგან, რომელსაც პირველად ვუკვირდებით სკოლაში, არამედ სიტყვების მოქცევისაგან, მთელი გამოთქმისაგან. ყველა მოლაპარაკე და მწერალი ამ საუნჯიდან იღებს მასალას ისე, როგორც ოდესღაც ეპიური პოეტი იღებდა ეპიურს ფორმულებს თავის საუნჯიდან, უმეტეს შემთხვევაში, იმ ბრმა რწმენით, რომლითაც პატარა ბავშვი, ჩვეულების ძალით, სწორად აფათურებს ხელებს სიბნელეშიაც.

რას ვიღებთ ჩვენ იქიდან?

რომ კარგად დაუკვირდეთ, გვიპასუხებს პედაგოგი, გამოჩნდებიან დასრულებულის ფორმით შეერთებული სურათები ცხოვრებიდან, როგორც სინამდვილის პატარ-პატარა ნიმუშები, ანუ ფოტოგრაფიული სურათები ჩვენი შინაგანი მოვლინებებიდან ან გარეგანი ცხოვრებიდან, რომელნიც ერთს თავის ურიცხვ გამეორების დროს გადაღებული იქმნა მახვილი თვალებით, ზოგიერთს შემთხვევაში რამდენიმე საუკუნოებით წინ ჩვენამდის.

სამშობლოს პოეზიის ნაწარმოების შესწავლა რომ პატარაობიდანვე საჭიროა და დიდათ სასარგებლო, ამას ამტკიცებს ბელინსკის სიტყვებიც: „დეე, ბავშვის ყური პატარაობიდანვე მიეჩვიოს მშობლიური ენის ჰარმონიას, გული აღივსოს მშვენიერების გრძნობით; დეე, პოეზიამ მუსიკალურად იმოქმედოს ბავშვზე“.

დასურათებულ გამოთქმათა შემქნელი ყოფილა ნიჭიერი ადამიანი, უფრო ხშირად უკალმო პოეტები. იმათ მიერ შექმნილ გამოთქმათაგან მსმენელნი ითვისებდენ ისეთს, რომელთაც შეეძლო მათზე მოეხდინა ისეთი შთაბეჭდილება, თითქო თვითონ მსმენელს შეექმნას იგი და ან შეძლებოდეს შექმნა. ენის განვითარება ეხლაც ამ გზას ადგას. ამნაირი სურათებისაგან შესდგება თვითოეული პიროვნების ენა: ეს ჩვენი სამკვიდროაო, ამბობს შილერი, ჩვენთვის ფიქრობს და

ჰქმნის პოეტიური ნაწარმოებნი; ჩვენი ენა მთლად ამისთანა აღმოჩენებით ანუ ნაპოვნით სცხოვრობს, მაღალ ნიჭიერებით და გონებით დაჯილდოვებული ადამიანების ნაჩუქრებით, თუმცაღა ავტორთა სახელს მალე ივიწყებენ, როგორც გვარწმუნებს თანამედროვე ცხოვრებისადმი დაკვირვება.

ეს შთამომავლობით გადმოცემული და შეძენილი გროვა გამოთქმათა შეადგენს საკუთრად ენის სულს, შინაარსს და მისს სიმდიდრეს, მთელს მისს ჭეშმარიტ შინაგან სიცოცხლეს. აქ არის გამოულეველი წყარო უძვირფასესის და უმშვენიერესის განმანათლებელ მასალისა.

რას უშვრება ამ მასალას სკოლა?

რამდენადაც ვიცი, გვიპასუხებს პედაგოგი, თითქმის არაფერს; ბევრნი თუ შეეხებიან მას ხანდისხან, შემთხვევით, მოწაფეთა ნაწერების გარჩევის დროს. აქაც მასწავლებელი გაჭირვებულ მდგომარეობაში ვარდება, რადგანაც მასაც მოუხდება სიბნელეში ხელების ფათური, ისე არა როგორც გრამატიკაში, სადაც მან ყველაფერი დაწვრილებით იცის.

გილდებრანდის განმარტებითი სიტყვები და საქცევები – ეს ერთგვარი ნახმარი ფულია, რომელზედაც წარწერების გარჩევა კიდევ შესაძლებელია თუ ყურადღებით გაარჩევთ და შეადარებთ. ამნაირად, ამბობს პედაგოგი, სიტყვების ზერელე ხმარებით ჩვენ ვემსგავსებით იმ ადამიანებს, რომლებიც იღებენ და იძლევიან ფულს და მისი ნამდვილი ფასი კი არ იციან. დანახვა სიტყვების ფარული შინაარსისა, მსჯელობა იმათი თავდაპირველ ნამდვილ ღირებულობის შესახებ, არა თუ სასარგებლოა და სასიამოვნო, არამედ პირდაპირ საჭიროც. ამიტომ ყველა სიტყვების მნიშვნელობის და აზრის სრული შეგნება სწავლის დაწყებიდანვე შეადგენს აუცილებელს საჭიროებას. ნამდვილი ჭეშმარიტებაა ის, რომ რასაც ჩვენ მხატვრული სახით ვითვისებთ, უფრო ღრმად ჩასწვდება ჩვენს სულს. რაც მიგვიღია მხოლოდ ცნებების ფორმით, სადაც ნივთი შორს მოსჩანს, ის თხელი ნივთივით აწვება სულს ზემოდამ. ეს მე-XVI საუკუნეშივე გამოთქვა როლლენგაგენმა სათაურში სულზე, როგორც სამეფოზე. მეფედ იქ ჩნდება სული; აზრები /წარმოდგენილებანი/ გამოყვანილია მწერლებად, რომელთაც შეაქვსთ უმთავრესს წიგნში გარეგანი და შინაგანი შთაბეჭდილებანი: „იმათ შეაქვსთ ყველა ეს ნივთები მეფის უბის წიგნში, შეაქვსთ მხატვრობით და არა ასოებით; და ის, რაც მათ სუსტად მოხაზეს, ბეჯითად არ გამოხატეს და ნათლად არ გაალამაზეს შესაფერისი საღებავებით, დროს განმავლობაში ქრება იქიდან, სხვა კი სამუდამოდ რჩება“.

და აი, ამგვარ მუშაობას, რომელიც ხდება ბავშვის სულში, ხელი უნდა შეუწყოს მასწავლებელმა. დასურათებული გამოთქმანი იმისი ხელმძღვანელობით არ გაივლიან კვალდაუტოვებლად მოწაფეთათვის, არამედ გადიქცევიან ცოცხალ და გაბრწყინვებულ მხატვრულ სახედ. ამას უნდა ვცდილობდეთ დაბალ კლასებიდანვე. გილდებრანდი ფიქრობს, რომ იქ უფრო ადვილია მტკიცე საფუძვლის ჩაყრა ისე მკვიდრად, რომ შემდეგ ვერაფრით ვერ შეარყევ და კვალ დაუჩნეველად ვერაფერს ვერ მოაყრი ზემოდან.

თუ ვისმე მოეჩვენება, რომ მხატვრულ გამოთქმათა სრულის შეგნებით ახსნა და განმარტება ძნელია დასაწყისში და დაადგება იმ აზრს, რომ ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ ხანაში, როცა შეუდგებიან ენის მეცნიერულად შესწავლა-გამოკვლევასო, – ამბობს გერმანელი პედაგოგი. მე მოვაგონებ იმათ თუ რა როლს ასრულებს ახალგაზრდობაში გრძნობიერება, რომელიც ყველას გამოუცდია თავისს ყმაწვილობაში. სიყმაწვილის გრძნობიერება ისეთი მრავალი ენერგიით და შემოქმედებითი ძალით არის შემკული, რომ ხშირად ელექტრონულის სისწრაფით ავსებს ყველა ნაკლულევანებას და ნამტვრევებიდან ადგენს მთელს, რადგანაც ყველა ადამიანის თანდაყოლილი მისწრაფება მთლიანობისკენ სიყმაწვილეში ყველაზე უფრო ძლიერ იჩენს თავს. ეს გრძნობა ჩვენ გვეკარგება თანდათან, ან უკეთ რომ ვსთქვათ, იგი კი არ იკარგება, მახინჯდება ძველი სკოლის ზეგავლენის გამო, მომეტებულად უფროსს კლასებში, სადაც ცდილობენ გრძნობის ადგილი მსჯელობას გადასცენ. რასაკვირველია მსჯელობაც საჭიროა როგორც სასურველი იარაღი საღი აზროვნებისა, დიდად საჭიროა მისი წესიერად სწავლება სკოლაში, მაგრამ არ შეიძლება მარტო იმას დაუთმოთ ყველაფერი. მსჯელობა სკოლაში საკმაოდ ვითარდება, გრძნობა კი ძლიერ მცირედ; დრო კი ისეთია, როგორც მოკლეთ, მაგრამ მკაფიოთ დაახასიათა ერთხელ შილერმა თავისს ერთს წერილში: „თავისკენ მიმავალი გზა გულში უნდა გადიოდეს“: „სულის გრძნობითი მხარის განვითარება ამ დროს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს“.

გერმანელ პედაგოგის მშვენიერს სიტყვებში გამოიხატება უდიდესი პედაგოგიური ჭეშმარიტება, რასაც დღევანდელი სკოლა უარს ჰყოფს. მუდამ ერთ ხმაზე სწავლება, მოწყენილობა მეცადინეობის დროს, გამოწვეულია იმის გამო, რომ ბავშვის გრძნობა უსაზრდოვოთ რჩება. ამითვე აიხსნება ის სამწუხარო მოვლენაც, რომ სკოლაში შეძენილი განათლება ვერავითარ სასურველ გავლენას ვერ ახდენს მოწაფის ზნეობრივს ცხოვრებაზე. ცოდნა და აზრები, რასაც

მოწაფეები იძენენ სკოლაში, თავის იქით არ მიდიან, ვერ შეარხევენ გრძნობას და ვერც სწვდებიან სულის სიღრმემდის, რჩებიან გარედ სიცოცხლეს მოკლებულნი. სიცოცხლე და მოძრაობა გულიდან გამოდიან; აღზრდა უკანასკნელისა უნდა შეადგენდეს მომავალი სკოლის უდიდესს დანიშნულებას.

სკოლის სულიერად გამოცოცხლებაზეა დამოკიდებული საზოგადოების სულიერად განახლებაც. „მთელი ჩვენი ეპოქა, ყველა მისი მოწინავე ძალები ყოველ მხრიდან შეგნებულად თუ შეუგნებლად გვიწვევს ჩვენ უარვჰყოთ ტყუილი, განყენებული იდეალიზმი, რომელიც არსებითად არაფერს ნამდვილ იდეალურს და არც რეალურს არ წარმოადგენს, არამედ ჰკლავს ერთსაც და მეორესაც. დავიბრუნოთ ბრწყინვალე რეალიზმის გზით ახალი, საღი იდეალიზმი, რომლის უქონლობა ისე მწვავედ საგრძნობელია დღევანდელს ჩვენს ცხოვრებაში, ასე რომ თითქო ასეთი საგრძნობელი დღემდის არ ყოფილიყოს და ურომლისოდაც ვერ განკურნავ ჩვენი დროის ბოროტებას, ვერ შეასრულებ სკოლის ამ დიად დანიშნულებას. ისინი გვიწვევენ მოვსპოთ მთელი რიგი სნეულ მოშლილობისა ჩვენს ცხოვრებაში: განშორება მეტად მეცნიერულ წიგნურსა და მცირედ მეცნიერულს ყოველდღიურ ცხოვრების შორის, განცალკევება თავისა და გულისა, რომელსაც, მართალია, დასაწყისი შორეულ წარსულში აქვს, მაგრამ გახრწნილ ეპოქებში ფრიად საშიშარ ზომებს ღებულობს; განთიშვა იმისა თუ რა უნდა ყოფილიყო, რა არის წიგნებში და დასტამბულ სტრიქონებში, რა ხდება საქმით ანუ მოხდება თანამედროვე ცხოვრებაში; ბოლოს განთიშვა ჩვენი განვითარების იმ მხარეებისა, სადაც ჩვენ დავკარგეთ ჩვენი თავი და იმათ შუა, სადაც ნაციონალური სიცოცხლე საზრდოობს საკუთარის წყაროდან; კავშირის გაწყვეტა თანამედროვე ცხოვრებისა წარსულთან. პირველი სკოლა უნდა დაადგეს ამ გზას. იმას არ შეუძლია ნება მისცეს ცხოვრებას წინ გაუსწროს, პირიქით, იგი უნდა დადგეს მოძრაობის სათავეში, ისე, როგორც ოდესღაც მე-XVI საუკუნეში იგი იდგა საზოგადოების სათავეში, როცა სკოლა მისდევდა ძველებურ ხელოვნურ სამეცნიერო განათლებას. ამისათვის კი არ არის არც ერთი ისეთი მოკლე, ფართო და სავარგისო გზა, როგორც წესიერად დაყენებული სწავლება დედა ენისა“.

გილდებრანდი, როცა ამ სტრიქონებს სწერდა, რასაკვირველია, ფიქრობდა თავის თანამემამულეებზე. მაგრამ რასაც საჭიროებს ყოველი ერი, თუგინდ გერმანელი, არა მეტ-ნაკლებობით საჭიროებს ქართველი ერიც, თუ უნდა მას ერად დარჩეს ქვეყნიერებაზედ და არა

ქვეყნის მაჩანჩალად. „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წარეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდასა“-ო, გვიმოძღვრა ჩვენმა სახელოვანმა პოეტმა და ამ ფილოსოფიურ აზრით გვამცნევს იგი ყოველგან – ოჯახშიც და სკოლებშიც დავიცვათ დედა ენის ღირსება და განვავითაროთ იგი. სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენში ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთი არისტოკრატიული ოჯახები, სადაც ბავშვებს ძლიერ ადრე ასწავლიან ერთს ან ერთსა და იმავე დროს ორს უცხო ენასაც. ხშირად ეს გადაგვარების გზაზედ დამდგარი, ჭკუა მოკლე მშობლები თავიანთ შვილებს დედა ენაზედ ლაპარაკსაც კი უკრძალავენ. ამისთანა მავნე ჩვეულება დიდათ უშლის ხელს, როგორც ბავშვის კანონიერად გონება-განვითარების საქმეს, აგრეთვე დედა ენის პრაქტიკულად შესწავლასაც, იმ დედა ენისა, რომელშიაც საუკუნეებით დაცულია მთელი ერის სულიერი სიმდიდრე, მისი გონების სალარო, როდესაც ბავშვი დედა ენას სწავლობს, მასთან ერთად იგი ითვისებს არა მარტო სიტყვებს, ფორმებს, არამედ იძენს აუარებელს ცნებებს და აზრებს, წარმოდგენილებებს, შეხედულობათ, მხატვრულ სახეებს, გრძნობებს, ითვისებს განსაკუთრებულ შეხედულებას ბუნებაზე, რომელიც ორგანიულად გამომდინარეობს დედა ენის სიბრძნიდან და ლოგიკიდან, როგორც ერთი ხალხის აზრის ნაყოფი. უცხო ენას, რამდენჯერაც უფრო მდიდარი იყოს იგი, მაინც არ შეუძლია გადასცეს ბავშვის გონებასა და გულს მეათედი შინაგანი შინაარსი იმისა, რაც ადვილად შეუძლია მშობლიურს ღვიძლს ენას. ამიტომაც, ვიდრე ბავშვს საკმაოდ არ შეუსწავლია დედა ენა, სანამ მას თავისუფლად და თამამად ვერ გამოუთქვამს თავისი სულიერი მოთხოვნილებანი, არ განვითარებულა საკმარისად, მანამდის უცხო ენის სწავლება არც საჭიროა და ფრიად მავნებელიც არის. დროა ეს ჭეშმარიტება შეიგნონ ჩვენმა მშობლებმა და მასწავლებლებმაც რომ ააცდინონ ჩვენი ბავშვები თავიდანვე გადაგვარების გზას, ყოველის ღონის ძიებით ხელი შეუწყონ ბავშვის აღზრდა-განათლებას ეროვნულს ნიადაგზე, რადგანაც უამისოდ ნამდვილი სწავლა-აღზრდა არ არსებობს და „შტო, რომელიც მოსწყდება თავის მშობელსა ხესა, დასჭკნება, გახმება და ჯოჯოხეთის ცეცხლს შეეკეთება“ /შექსპირი/.[3]

3 ამ სტატიის დაწერის დროს უმთავრესად ვსარგებლობდით შემდეგი მასალებით: 1. О преподавании родного языка в школе и о национальном воспитании и образовании вообще – თხზულება გილდებრანდისა. 2. Антропология – უშინსკისა, 3. Живое слово – სტატია ანასტასიევისა. 4. Слово в защиту живого слова ვლ. შერემეტევსკისა. 5. О преподавании родного языка – როუდესტვენისა და სხვა მასალებით.

ბოლგარია

სახალხო მასწავლებლები და მათი კავშირი

ბოლგარია წარმოადგენს პატარა სამთავროს, თვითმართველობის ნიადაგზე მოწყობილს. ბერლინის ხელშეკრულობის ძალით, რომელიც რუს-ოსმალოს ომის შემდეგ დაიწერა, ბოლგარია ოსმალეთის დამოკიდებული სამთავროა და ამისათვის იხდის განსაზღვრულს ხარჯს, მაგრამ ეს დამოკიდებულება მხოლოდ ქაღალდზეა, ნამდვილად კი ბოლგარია დამოუკიდებელი სამთავროა. ქვეყნის გამგეა მთავარი და ხალხის წარმომადგენლები; მართვა-გამგეობაში საკონსტიტუციო წესწყობილება არსებობს. 1885 წელს ბოლგარიელებმა მოახდინეს ფილიპოპოლის რევოლუცია და აღმოსავლეთის ნაწილი რუმელიისა შემოიერთეს. დღეს მთელი ბოლგარია შემოერთებულის ნაწილით შეიცავს 99, 655 კვ. კილომეტრს. მცხოვრებთა რიცხვი 1887 წლის აღწერილობით უდრის 3, 154, 375 სულს ორისავე სქესისას. საკონსტიტუციო კანონების მიხედვით ხალხის განათლება სავალდებულოა. მშობლები, ვინც სკოლაში ბავშვებს არ გზავნიან, განწესებულს ჯარიმას იხდიან. 1890 წელს ბოლგარიაში და შემოერთებულს რუმელიის ნაწილში 2100 დასაწყისი სახალხო სკოლა არსებობდა, 22 საშუალო სასწავლებელი და ერთიც უმაღლესი სასწავლებელი ქ. სოფიაში. მიუხედავად სკოლების სიმრავლისა თითქმის ყველა სასწავლებლებში სწავლა-აღზრდის საქმე დღემდის ცუდს ნიადაგზე იყო დამყარებული და უწესრიგოდაც მიდიოდა, რადგანაც მთელს სკოლის საქმეებს განაგებდა მხოლოდ ადგილობრივი მთავრობა, რომელსაც სინათლის მაგიერ სრული სიბნელე შეჰქონდა ხალხში. მას არ ეპიტნავებოდა არავითარი არც კერძო თაოსნობა ხალხის განათლების საქმეში და არც ხალხის ჩარევა სკოლის საქმეებში. სხვათა შორის ამ გარემოებამაც დიდი მტრობა ჩამოაგდო ხალხსა და მთავრობას შორის, გაიმართა მედგარი ბრძოლა მთავრობასთან ხალხის თავისუფლების მოპოვებისათვის და ბოლოს მაინც ხალხმა გაიმარჯვა. საზოგადოთ სულ მოკლე ხანია, რაც ბოლგარიამ დაიწყო დამოუკიდებელი ცხოვრება, მაგრამ ისეთი ნიჭი და უნარი გამოიჩინა არსებობისათვის ბრძოლაში, რომ ძალიან წინ გაუსწრო ბალკანე-

თის სხვა სახელმწიფოებს და მაკედონიასაც. დღეს თუ ხვალ, ბოლგარულ მამულიშვილების წყალობით განთავისუფლდება ოსმალთა უღლიდან, რადგანაც მაკედონიის გათვითცნობიერება თავისუფალ ბოლგარიის შედეგია და თვით მცხოვრებლების უმრავლესობაც მაკედონიაში ჩამომავლობით ბოლგარელები არიან.

საზოგადოთ გამათავისუფლებელ მოძრაობაში თავგამოდებითი ბრძოლით, მჭიდროთ შეკავშირებით და ერთობით დიდი სახელი გაითქვეს ბოლგარელ მასწავლებლებმა, რომელთაც დღესაც ცოტათ თუ ბევრად შეგნებული ერი დიდის ქებითა და დიდებით იხსენიებს ხალხთან ერთად თავგანწირულის ბრძოლისათვის, რომელსაც თან მოჰყვა ხალხის განთავისუფლება და აღვირახსნილი მთავრობის ალაგმვა. ეს თავგანწირული შეუჩერებელი ბრძოლა ბოლგარელ მასწავლებლებისა დღეს ყველასათვის თვალსაჩინო მაგალითია. სამაგალითოა ის ერთსულობა, რომელიც გამოიხატა მათს მოქმედებაში და თითით საჩვენებელი გახდა ყველა პატარა ერებისათვისაც.

პირველი გაერთიანება ბოლგარელ მასწავლებლებისა მოხდა სტამბულოვის რეაქციის დროს. მთავრობა ხედავდა, რომ მასწავლებლები წარმოადგენდნენ შეგნებულ მებრძოლ ძალას და ცდილობდა მათს დაყვავებას: ურთიერთშორისი დამხმარებელი კასების გამართვით უნდოდათ მასწავლებელთ შორის შეესუსტებიათ რევოლიუციონური მოძრაობა. მაგრამ ვერც ამან უშველა საქმეს, — მასწავლებელთა მდგომარეობა მაინც აუტანელი და უნუგეშო დარჩა, რადგანაც ყოველს უფლებას მოკლებული მასწავლებელი არაფრით უზრუნველყოფილი არ იყო. ამას კარგად გრძნობდენ მასწავლებლები, რომელთაც საჭირო მოთხოვნილებით მიჰმართეს ხალხის წარმომადგენლებს, მაგრამ ამითაც ვერას გახდნენ. სტამბულოვის მიერ მოხიბლულმა ხალხის წარმომადგენლებმა, რომელნიც გართულნი იყვნენ პოლიტიკურს საქმეებში, სრულიად უყურადღებოთ დასტოვეს სახალხო მასწავლებლების განცხადება; ამ გარემოებამ, რომელიც თავის შეურაცყოფად ჩასთვალეს მასწავლებლებმა, უფრო გააძლიერა მათში ოპოზიციონური მოძრაობა. ამ უყურადღებობამ ხალხის წარმომადგენლების მხრით ცხადათ დაანახვა ბოლგარელ მასწავლებლებს, რომ მათი ბედ-იღბალი მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხის ბედ-იღბალთან და დამოკიდებულია საზოგადო პოლიტიკურ ატმოსფერაზე: რეაქციონულ მთავრობისაგან არავითარი ხეირი არ დაეყრება არც ხალხს და არც მასწავლებლებს. თვითონ ცხოვრებამ გაუკვალა მასწავლებლებს გზა და უჩვენა: ბრძოლითა და ერთობით

მოიპოვებ უფლებასაო. ბოლგარელ მასწავლებლებმაც ეს გზა აირჩიეს, გადაწყვიტეს შეერთებულიყვნენ მტკიცე კავშირით ხალხის განთავისუფლებისა და თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესების მოსაპოვებლად.

მასწავლებელთა წრეს თანდათან ემატება ახალი მებრძოლი ძალა. ბიუროკრატიულ მთავრობასთან ბრძოლა სინიდისის, პირდაპირი მოვალეობის და პატიოსნების საქმეს, ცხოვრების კანონს წარმოადგენს. ბრძოლის აზრით განიმსჭვალა მასწავლებელთა უმეტესი ნაწილი. ეს ბრძოლა თანდათან ძლიერდება. – „ჩვენ უარს გვეუბნებიან უსაჭიროესს მოთხოვნილებაზე, – ამბობდენ მასწავლებლები, ჩვენვე უნდა მოვიპოვოთ, რაც ჩვენთვის საჭიროა; ჩვენ ბევრნი ვართ, ძალას წარმოვადგენთ, ამ ძალის უარყოფა შეუძლებელია; ჩვენ მხოლოდ უნდა შევიგნოთ, რომ ის შური და საზიზღარი ბეზღობა, რომელიც ხანდისხან თავს იჩენს ჩვენში, ჩვენივე დამღუპველია; ჩვენ უნდა მოვიშოროთ თავიდან ის აპატია და ფორმალიზმი, პარტიული მოსაზრებანი და გრძნობანი, რომელნიც ხელს უშლის ერთობის საქმეს, დააცალკევებს მებრძოლ ძალებს; ჩვენ უნდა ვეცადოთ მოვიპოვოთ თანაგრძნობა ხალხში, საზოგადოებაში და პატივისცემა მცხოვრებლებში, უნდა განვიმსჭვალოთ ერთის სოლიდარულის გრძნობით და შემოვიკრიბოთ ერთად ჩვენი გაფანტული ძალები; მაშინ და მხოლოდ მაშინ შევიძლებთ ხალხის განათლების საქმის წინ წაწევას და მის სათანადო სიმაღლემდის აყვანას, მაშინ შეგვიძლიან ჩვენაც მოვიპოვოთ ადამიანური არსებობის პირობანი და უფლებანი.

სოლიდარულ გრძნობათა გასავითარებლად და ძალების შეერთებასათვის საჭირო იყო ყოველგან სამაზრო ამხანაგობათა დაარსება და შემდეგ მათი გაერთიანება ერთის საზოგადო ბოლგარიის ორგანიზაციის სახელით. მხოლოდ ამხანაგობაში მტკიცდება ხასიათიო, ამბობდნენ ბოლგარელი მასწავლებლები, იწვრთნება ვაჟკაცობა, გამბედაობა, შემუშავდება სოლიდარობის შეგნება და მოვალეობის გრძნობა. მხოლოდ ამხანაგობაში კერძო მასწავლებელი, რომელიც თავისთავად არაფერს არ წარმოადგენს, ხდება სრულ ადამიანად და მოქალაქედ.

ასეთი აზრი და შეხედულობა ზოგიერთი მასწავლებლებისა სტამბულოვის რეჟიმის დროს სწრაფად გავრცელდა ბოლგარიის მიყრუებულ პროვინციებშიაც. ყველა თვალსაჩინოდ ხედავდა არსებული რეჟიმის სამწუხარო შედეგებს, ყველა გრძნობდა ბრძოლის აუცილებ-

ლობას უმაღლესი მიზნისადმი მისაღწევად. ხალხის გონების გასავითარებლად სკოლაში და სკოლის გარეთ მუშაობით. მოწოდებებში, რომელიც ფარულად ვრცელდებოდა, ყველგან მოხსენებული იყო, რომ ერთადერთი სახსარი, რომელსაც შეუძლიან მასწავლებელთა ძალის შემოყრა საზოგადო სიმართლისა და სიკეთისათვის დასამყარებლად, არის შეერთებული ამხანაგობა, ერთობაშია ჩვენი ძალა და მომავალი იმედიო", – ამბობს მოწოდება, – „მარტო დარჩები – სუსტი და უძლური შეიქნებიო, ჩამოშორდები ამხანაგებს, მოაკლდები საუკეთესო სიამოვნებას; წინ აღუდგები ამხანაგობას – შეიქნები წინააღმდეგი ყველაფრისა, რასაც აზის სიპატიოსნისა და სიკეთის ბეჭედი. ამხანაგებო! გახსოვდესთ ეს ყოველთვის. ჩვენ უნდა შემოვიკრიბოთ ჩვენი გაფანტული ძალები და ერთგულად ხელიხელს ჩაკიდებულნი ვებრძოლოთ ხალხის განათლების ბნელ ძალებს, გვერდში ამოვუდგეთ ხალხს, რომელშიაც ჩვენ ვტრიალებთ და რომლის შრომითაც „ჩვენ გვეძლევა ცხოვრების სახსარი". ეს მოწოდებები სწრაფად ვრცელდებოდა ყველა ადგილებში და შესაფერს გავლენასაც ახდენდა მკითხველებზე. სანამ სტამბულოვი მძვინვარებდა, აზრი ბოლგარიის მასწავლებელთა საზოგადო კავშირის დაკანონების შესახებ ძნელად გასახორციელებელი ხდებოდა, რადგანაც ყოველი თავისუფალი აზრი და ნაბიჯი მთავრობის მხრით იწვევდა სასტიკს რეპრესიებს. მაგრამ ამასაც ხელი შეუწყო ერთმა გარემოებამ: 1894 წელს 15 მარტს ქ. სოფიაში ქუჩაში რევოლვერის სამი ტყვიით მოკლული იქმნა რეაქციონერი დიკტატორი სტამბულოვი. ამის შემდეგ სტიქიურმა ძლევამოსილმა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ უფრო ფრთა შეისხა და შემოიკრიბა თავის გარშემო სახალხო მასწავლებლებიც. 1895 წელს 21 ივნისს გაიმართა მასწავლებელთა პირველი კრება კავშირის დასაარსებლად და წესდების შესამუშავებლად. ამ კრებაზე მონაწილეობა მიიღეს დელეგატებმა 47 მასწავლებელთა ჯგუფიდან, რომელიც თავდაპირველად აერთებდა უფრო მოწინავეს, პოლიტიკურად განვითარებულს, გაბედულს და ბრძოლაში შეუპოვარ მასწავლებლებს, რომელთაც თანდათან უერთდებოდნენ სხვებიც. ჩვენ ვხედავთ, რომ 1904 წელს მასწავლებელთა კავშირში შედის 42, 4% ბოლგარელ მასწავლებლებისა, რომელთა რიცხვში 1798 მამაკაცია და 845 ქალი – სულ 2, 643 წევრი. სკოლების მიხედვით კავშირის წევრები განისაზღვრებოდა ასე: სოფლის მასწავლებლები – 2, 113 და ქალაქისა – 530. განათლების მხრით კავშირის უმეტესობას – 36, 7% წარმოადგენდენ გიმნაზიებში კურსდამთავრებულები და 35,7% საოსტატო სემინარიიდან გამოსული მასწავლებლები.

თავდაპირველი თანხა კავშირისა 17, 000 პირველ წელსვე ადის 78, 000 ლევამდის. უმთავრესს ხარჯს კავშირისას შეადგენდა დროგამოშვებითი გამოცემათა ბეჭდვა და წევრების ნივთიერად დახმარება. ამას გარდა ცოტა არ იხარჯებოდა სამასწავლებლო წიგნთსაცავის, საზოგადო განათლების კურსებისა და ლექციების მოწყობაზე და სხვ. საზოგადოთ ბოლგარელ მასწავლებელთა კავშირი, როგორც ვხედავთ ყოველ ღონისძიებას ხმარობს თავისი წევრების კულტურულად ამაღლებაზე, რადგანაც ამაში ხედავს საუკეთესო საშუალებას და მტკიცე საწინდარს სკოლის აყვავებისა და ხალხის განათლების საქმეში.

საორგანიზაციო მხარე ბოლგარელ მასწავლებელთა კავშირისა გამოიხატება დელეგატების დადგენილებაში, რომელიც არ არის მოკლებული საზოგადო ინტერესს და ჩვენთვისაც განსაკუთრებით საყურადღებო უნდა იყოს. ამ დადგენილებაში ცხადათ გარკვეულია უმთავრესი მიზანი, დანიშნულება და პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ბრძოლა კავშირისა მთავრობასთან, როგორც თავიანთ უფლებათა მოსაპოვებლად, აგრეთვე ხალხის განათლების გაუმჯობესების შესახებ.

პირველ კრებაზე, რომელიც მოხდა 1895 წელს, დელეგატთა კრებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სახალხო სკოლების მართვა-გამგეობის მხარეს. სახალხო განათლების სამინისტროს არაფრად ეპიტნავებოდა მასწავლებლების კრება, მოწვეული თვითონ მასწავლებლების მიერ და არა სამინისტროს თაოსნობით, რადგანაც ამით სამინისტროს თვისი ავტორიტეტი ეკარგებოდა — მასწავლებლები ამას მაინც არ შეუშინდნენ, არ შედრკენ და ხელი მიჰყვეს სრული კავშირის დაარსების საქმეს. შემდეგში ბოლგარელ მასწავლებელთა კავშირის წესდება სამაგალითო გახდა სხვებისთვისაც. იგი გახდა, სხვათა შორის, საფუძვლად სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კავშირისა.

ხსენებულს კრებაზე საზოგადოთ მიღებული იქმნა შემდეგი წესდება:

მიზანი კავშირისა: ა/ გონებრივი და ზნეობრივი განვითარება ხალხისა. ბ/ აყვანა სწავლის საქმისა შესაფერისს სიმაღლემდის. დასახელებული მიზნისადმი მისაღწევ საშუალებად კავშირს მიაჩნია: ა/ ზრუნვა კავშირისა ბოლგარელ სახალხო მასწავლებელთა გონებრივის, ზნეობრივის და ნივთიერის მხრით გაუმჯობესობის შესახებ.

ბ/ უფლებათა უზრუნველყოფა და დამოუკიდებლობა მასწავლებლებისა, როგორც პედაგოგისა სკოლაში და როგორც მოღვაწისა საზოგადოებაში.

გ/ მფარველობა უსამართლოდ დევნილის მასწავლებლებისა და შეძლებისდაგვარ დახმარების გაწევა მათთვის.

დ/ კავშირის კასის დაარსება.

ე/ გამოცემა და გავრცელება ისეთის გაზეთებისა, ჟურნალებისა და წიგნებისა, რომელნიც ხელს უწყობენ კავშირის მიზანს.

ვ/ საპედაგოგიო და საზოგადო სამეცნიერო შინაარსის ლექციების კითხვა. ბიბლიოთეკების, სამკითხველოების, საღამოობით მეცადინეობის და საკვირაო სკოლების მოწყობა.

ზ/ დაარსება სამაზრო მასწავლებელთა ამხანაგობისა და მისი შემოერთება კავშირში.

თ/ გარჩევა მთავრობის მიერ გამოცემულის კანონებისა და ყველა განკარგულებათა, რომელთაც დამოკიდებულება ექნებათ სწავლების საქმესთან.

სამაზრო ამხანაგობანი, რომელნიც შედიან საერთო კავშირში, ადგილობრივს საქმეებში, რომელნიც არ გადასცდება ზემო ნაჩვენებ მიზანთა საზღვარს, დამოუკიდებელნი რჩებიან; საზოგადო ხასიათის საქმეებში კი ისინი ემორჩილებიან ცენტრალურ კავშირის ორგანიზაციას, რომელსაც განაგებს გამგეობა და სარევიზიო კომიტეტები, რომელთა წევრებს ყოველ წელს ირჩევს საზოგადო კრება, კონგრესი. გამგე კომიტეტი შესდგება ცხრა წევრისაგან – თავმჯდომარე, მისი ამხანაგი, მდივანი და მისი ამხანაგი, კასირი, ბიბლიოთეკის გამგე და კიდევ სამი მრჩეველი. კომიტეტი განაგებს კავშირის ორგანოს სარედაქციო საქმეებს, კავშირის კასას, იწვევს ყოველ წელს საზოგადო კრებას, ყურადღებას აქცევს მასწავლებელთა მოძრაობას, იცავს მასწავლებელთა დამოუკიდებლობას და ზრუნავს მათ განვითარებაზე.

კავშირის კასის შემოსავალს შეადგენს: 1. საწევრო გადასახადი, რომელიც უდრის მასწავლებლის ჯამაგირის $^1/_2$ %. 2. კავშირის გამოცემათა გაყიდვიდან შემოსული ფული. 3. წმინდა შემოსავალი საღამოებიდან და ლექციებიდან. 4. შემთხვევითი შემოსავალი და სხვ.

ხარჯში მოხსენებულია შემდეგი მუხლები: 1/ ხარჯი გამოცემაზე, ჟურნალზე; 2/ შემწეობის აღმოჩენა დაზარალებულთა და კავშირის დევნილ წევრთათვის. 3/ მართვა-გამგეობა კავშირის საქმეებისა და 4/ კრებების გამართვა.

კავშირის წევრთა საზოგადო კრება ხდება ყოველ წელს. სამაზრო ამხანაგობანი, რომელშიაც 50-ზე ნაკლები წევრი ითვლება, გზავნიან თითო წარმომადგენელს, ამაზე მეტნი 2-ს ან 3-ს. დელეგატების კრება დამოუკიდებლად სწყვეტს აღძრულს საკითხებს. იმას ეკუთვნის უმაღლესი კონტროლი, ისინი ირჩევენ გამგეობის წევრებს, მათ შეუძლიათ შეიტანონ ცვლილებანი წესდებაში და ორგანიზაციის პროგრამაში. ამავე კრებაზე გადაწყდა შემოღებული იქმნას არჩევითი ადმინისტრატიული წესი სახალხო სკოლების გამგეობისა, ჯამაგირის მხრით გათანასწორება სოფლისა და ქალაქის მასწავლებელთა; დაკანონება მასწავლებელთა უფლებებისა, რომ ისინი პასუხისმგებელნი არიან სასამართლოს წინაშე და არა დამოკიდებულნი ადმინისტრატიულ თვითნებობაზე, ჩვენება ამათუიმ ცუდი საქციელის გამო განსაზღვრულის სასჯელისა, მასწავლებლებს ეძლევა უფლება თავის გამართლებისა და თუ უდანაშაულოთ იცნეს – ეძლევა ჯამაგირი დაკარგული დროის განმავლობაშიაც და სხვ. ამით დაასრულეს ბოლგარელ მასწავლებელთა წარმომადგენლებმა პირველი კრება.

მეორე კრებაზე, რომელიც მოხდა 1896 წელს – კავშირის წევრთა წარმომადგენლებმა შეიმუშავეს წესდება და პროგრამა საღამოობით და კვირა უქმე დღეობით მეცადინეობის შესახებ, კრება აღნიშნავს სახალხო სკოლების კანონ-პროექტის საფუძველს: დაწყებითი სწავლა იწყება 7 წლიდან. მასწავლებლებს უნდა ქონდესთ დამთავრებული საოსტატო სემინარია; ვისაც საშუალო სასწავლებელი აქვს დასრულებული, იმათ მოეთხოვებათ გამოცდა პედაგოგიიდან და მიცემა რამდენიმე სანიმუშო გაკვეთილებისა; არჩევის წესით მასწავლებლებს უფლება ეძლევათ დაიკავონ საპატიო თანამდებობანი. მასწავლებლების დათხოვნა სამსახურიდან, თუნდაც დროებით, შეიძლება მხოლოდ სამართლის წესით. სახლის პატრონები, ვისაც მოსამსახურეები ან დაქირავებული მუშები ჰყავს, ვაჭრები, ვისაც ნოქრები ჰყავს, რომელთაც დასაწყისს სკოლაში მაინც არ დაუმთავრებიათ სწავლა, ვალდებულნი არიან იმდენი თავისუფალი დრო მისცენ მოსამსახურეებს, რომ შეეძლოთ საღამოობით და კვირა უქმე დღეებში სასწავლებელში სიარული.

მესამე კრება 1897 წელს მომხდარი უბრუნდება ისევ კავშირის მიზანს და დანიშნულებას, აღნუსხავს თუ რამდენად მიაღწიეს მიზანს სამაზრო განყოფილებებმა და საერთო კავშირმა, განიხილავს ზნეობრივსა და ნივთიერს მოტივებს, რომელთაც გამოიწვიეს კავშირის

დაარსება, მისი მოქმედება და რა დაბრკოლებანი აღუდგნენ წინ მუშაობის დროს, ითვალისწინებენ თანამედროვე მდგომარეობას და ხალხის გაჭირებას, შეეხებიან მასწავლებელთა ნივთიერ საჭიროებას და მათ ზნეობრივ მოვალეობას. ყველა ამ საკითხების შესახებ კამათის შემდეგ მიდიან შემდეგს დასკვნამდის:

კავშირის დანიშნულება უნდა გვესმოდეს უფრო ფართოთ. ხალხის გონებრივი განვითარება და ზნეობრივი გავლენა ხალხზე, ეს არის უმთავრესი მიზანი. ხალხის განათლებისა და აღზრდისათვის თანამედროვე პირობების მიხედვით საჭიროა შესაფერისი ცოდნა, საჭიროა ცოდნა სოციალურ ეკონომიურისა და პოლიტიკური კითხვებისა, თანამედროვე სოციალური ეთიკისა და მოქალაქობრივი შეგნების განვითარება და სხვ. ამას გარდა ხელახლად განიხილვენ მასწავლებელთა უფლებების უზრუნველყოფის საკითხს, მათ დამოუკიდებლობას, როგორც პედაგოგისას და როგორც საზოგადო მოღვაწისას. საყურადღებოა აგრეთვე ის საგანიც, რომ ბოლგარელ მასწავლებელთა კავშირშიაც დიდი კამათი გამოიწვია იმ საკითხმა თუ რა პროგრამით უნდა იხელმძღვანელოს კავშირმა, წარმოადგენს იგი პოლიტიკურ ორგანიზაციას თუ პროფესიონალურს კავშირს? დიდი ხნის კამათის შემდეგ მასწავლებელთა უმრავლესობა მიდის იმ დასკვნამდის, რომ თავის საერთო მოქმედების პროგრამაში არ შეაქვს რომელიმე პარტიული პროგრამა. იგი აღიარებს თავის თავს პარტიის გარეშე, დამოუკიდებელ მასწავლებელთა კორპორაციად, რომელიც მიზნის მისაღწევად ეწევა არა მარტო კულტურულს, არამედ პოლიტიკურს ბრძოლასაც, დარაჯად უდგას საკონსტიტუციო წესწყობილების განხორციელებას, გმობს ყოველს თვითნებობას სამინისტროსას, რომელიც ეწინააღმდეგება არსებულს საკონსტიტუციო კანონებს, ამჟღავნებს სახალხო განათლების სამინისტროს უკანონო საქციელს, რომელიც ხდება საზოგადოებისათვის საყურადღებო საგნად, შეაქვს საჩივარი პარლამენტში სამინისტროს უკანონო საქციელის შესახებ და სხვ.

მეოთხე კრება მთელს დროს ანდომებს პროფესიონალურ საჭიროების და დანიშნულების გამორკვევას. მეხუთე კრება /1889 წ./ ხელახლად პროტესტს უცხადებს ხალხთა განათლების სამინისტროს, რომელიც ურევს მასწავლებლის მოვალეობას სკოლაში, როგორც პედაგოგისას და სკოლის გარედ, როგორც მოქალაქისას, რომელიც კონსტიტუციის ძალით სრულიად თავისუფალია: სამინისტროს არავითარი კანონიერი უფლება არ აქვს ვნება მიაყენოს მასწავლებელს

თავის მოქმედებაში სკოლის გარეშე, კონტროლი გაუწიოს მის მოქმედებას, როგორც მოქალაქისას, რადგანაც ბოლგარიის საკონსტიტუციო კანონები უზრუნველჰყოფს სახალხო მასწავლებელთა უფლებებსაც, როგორც ყველა მოქალაქისას, რომელსაც მოპოვებული აქვს ნება და თავისუფლება, ამიტომაც მასწავლებლების დევნა, როგორც მოქალაქისა, სამინისტროს მხრით მასწავლებელთა კავშირს კანონის საწინააღმდეგო საქციელად მიაჩნია. მეექვსე კრებიდან ბოლგარელ მასწავლებელთა კავშირს გამოაქვს საინტერესო რეზოლიუცია სარწმუნეობის სწავლების დაკავშირების შესახებ ზნეობრივ აღზრდასთან. იგი ეხება სარწმუნეობის ზნეობრივს დანიშნულებას სკოლებში და მიდის შემდეგს დასკვნამდის: სარწმუნოება სრულიად განდევნილი უნდა იქმნას სკოლების კურსიდან და ზნეობრივი აღზრდა არ უნდა იყოს დამოკიდებული სარწმუნოების სწავლებაზე. ამას გარდა მასწავლებლებიც სრულიად თავისუფალნი უნდა იყვნენ თავისს სარწმუნოებრივს შეხედულობაში. სკოლის დანიშნულებაა მოქალაქეთა და მუშაკთა აღზრდა.

მეშვიდე კრებაზე მასწავლებელთა კავშირი წამოაყენებს საკითხს მასწავლებლების საერთო გაფიცვის შესახებ, რადგანაც იგი ყველგან ერთ საბრძოლო საშუალებად მიაჩნიათ. მასწავლებელთა კრება უარჰყოფს გაფიცვას, რომელიც მასწავლებელთა ორგანიზაციისათვის წარმოადგენს გამოუსადეგარ საშუალებას, იმიტომ რომ ეს საშუალება ავნებს თვით იმ საქმეს, რომელსაც კავშირი ემსახურება; ამას გარდა, კავშირი ვერ შეიცავს მასწავლებელთა მთელს რიცხვს და ამის გამო არ შეუძლიან გაფიცვაც მოახდინოს და წარმატებით გაატაროს; პირიქით, გაფიცვას შეუძლიან მოჰყვეს მრავალი უსარგებლო მსხვერპლიც: დაჰკარგოს საუკეთესო მებრძოლი ადამიანები, რომელთაც საქმის წარმატებისათვის კავშირი ყოველთვის უნდა უფრთხილდებოდეს და აფასებდეს.

მერვე კრებაზე მასწავლებელთა კავშირი პროტესტს უცხადებს სამინისტროს იმ განკარგულებისათვის, რომ სახალხო მასწავლებლები არ ჩაეწერონ რომელიმე პოლიტიკურს პარტიაში და არ დაესწრნენ კრებებზე. ეს განკარგულება შეურაცხყოფაა ყველა მასწავლებლებისათვის. კავშირი წინ აღუდგება აგრეთვე სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებას, რომელიც ამბობს: საღამოობით მეცადინეობას უნდა დაესწროს სასწავლებლის საბჭოს წევრიო. ეს განკარგულებაც, რომელიც იწვევს მუდმივს კონტროლს და დამყარებულია მასწავლებლების უნდობლობაზე, სათაკილოდ და

შეურაცხყოფად მიაჩნიათ, რადგანაც ამით ცდილობენ დაარღვიონ მასწავლებლის უფლება, როგორც თავისუფალი ქვეყნის მოქალაქისა და საზოგადო მოღვაწისა.

მეათე საიუბილეო კრებაზე ბოლგარელ მასწავლებელთა კავშირმა ხელახლად აღძრა საკითხი კავშირის მიზნისა და დანიშნულების შესახებ და ეხლა უფრო განსაზღვრულად გამოითქვა აზრი, რომ კავშირი წარმოადგენს მასწავლებელთა პროფესიონალურ-საზოგადოებრივს ორგანიზაციას, რომელიც მისდევს და ახორციელებს პროფესიონალურს მიზანს – იცავს რწმენის თავისუფლებას, საზოგადო მოღვაწეობის, მასწავლებელთა ნივთიერისა, სამსახურის საზოგადოებრივის მხრით უზრუნველყოფას. საზოგადოებრივი უფლება მასწავლებლებისა გამოიხატება იმაში, რომ მათ უფლება ეძლევათ მიიღონ სკოლის საქმის გამგეობაში ცხოველი მონაწილეობა და წარმართონ სკოლის საქმეები საერო პროგრესიულის მხრით. ამ მიზნისადმი მისაღწევ საშუალებად კავშირი აღიარებს შუამდგომლობას და განსაჩივრებას სახალხო წარმომადგენელთა სათათბიროში, პროტესტს და კრიტიკას მართებლობის ზომების შესახებ. ამავე კრებაზე სრულად შემუშავდა ბოლგარელ მასწავლებელთა კავშირის წესდება, რომელიც განსხვავდება იმით, რომ ეს წესდება მეტს ავტონომიურს ცხოვრებას აძლევს კავშირის შემადგენელ ცალკე სამაზრო ჯგუფებს.

ასეთია საზოგადოებრივი-პროფესიონალური მოქმედება ბოლგარელ მასწავლებელთა კავშირისა, რომელიც გამოიხატება არა მარტო კრების რეზოლიუციებში, არამედ მუდმივსა და დაუღალავს შრომაში, რასაც ეწევიან ისინი გასაკვირველის მხნეობით, საქმით და სიტყვით ყოველ კვირეულ ჟურნალში, რომელსაც კავშირი ბეჭდავს ქ. სოფიაში და ავრცელებს ყველგან. ჟურნალს ლოზუნგად აქვს: „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“. ეს ჟურნალი დარაჯად უდგას მასწავლებელთა ინტერესებს და ხალხის განათლების საქმეს, გაფაციცებით თვალყურს ადევნებს სამინისტროს მოქმედებას, სასტიკს კრიტიკას უწევს, ულმობელად ამხილებს და ამჟღავნებს ყოველგვარ ორჭოფობას სამინისტროს ცირკულიარში, დარღვევას იმ თავისუფლებისას, რომლითაც სარგებლობს დღეს ბოლგარელი ერი და მისი მასწავლებელი იმ საკონსტიტუციო წესწყობილებით, რომელიც მოიპოვეს მათ მედგარის და თავგამოდებითი ბრძოლით. მებრძოლ ხალხთან ერთად ბევრი მასწავლებელიც დაიხოცა ამ კეთილშობილურს ბრძოლაში. დიდია სია ჯალათების ხელით წამებულთა, მაგრამ ბოლგარელ ერს დღეს აქვს მტკიცე ნიადაგზე დამყარებული სახალხო მმართველობა.

მცირე არ არის მსხვერპლი თავისუფლებისათვის მებრძოლთა ჩვენში და მთელს რუსეთშიაც. ბევრი მასწავლებელია დევნილი, წამებული უგულო ჯალათების ხელით, მაგრამ მოვა დრო და ქართველი ერიც, სხვა ერებთან ერთად, ამოისუნთქავს უფრო თავისუფლად, იწყებს ახალს თავისუფალ ცხოვრებას და მადლობასაც ეტყვის თავის ერთგულს მეგობრებს, სახალხო მასწავლებლებს, რომელნიც მიყრუებულს სოფელში ხალხის ჭირ-ვარამს და გაჭირებას შუა იყოფს და შეერთებულის ძალ-ღონით გამოჰყავს ხალხი უმეცრების წყვდიადიდან. წარსული და აწმყო ბრძოლა მხოლოდ დასაწყისია. ამის შემდეგაც უფრო მედგარი ბრძოლაა საჭირო და ამას დიდათ ხელს შეუწყობს ეროვნული კავშირი მასწავლებლებისა და ჩვენთვის კერძოთ საერთო მტკიცე კავშირი ქართველ მასწავლებლებისა, რომელნიც მიუხედავად ყოველგვარის დევნისა და მოსალოდნელის გასაჭირისა უნდა გაერთიანდნენ იმ ლოზუნგით, რომელიც გატარებულია დღესაც ბოლგარელ მასწავლებელთა კავშირში: თავისუფლება და განათლება ხალხისა, დამოუკიდებლობა სახალხო მასწავლებლისა, რომელსაც ვერცერთი შეგნებული მასწავლებელი, ვისაც კი ესმის თავისი მოვალეობა და დანიშნულება, როგორც მასწავლებლისა, გზას ვერ აუხვევს და უსათუოდ უნდა დაადგეს ერთობის გზას ქვეყნის საკეთილოდ და ერის საბედნიეროდ.[4]

4 ამ წერილის შედგენის დროს უმთავრესად ვსარგებლობდით ვიატსკის საზოგადოების მიერ გამოცემულის წიგნაკიდან ბოლგარელ მასწავლებელთა კავშირის შესახებ; ქ-ნი რუსოვას წერილით, რომელშიაც ავტორს მოჰყავს ცნობები ბოლგარელ მასწავლებელთა კავშირის საიუბილეო კრებულიდან და ბროკ-ჰაუსის ლექსიკონით. ავტ.

რუსეთის ცხოვრებიდან

არა რუსთა სკოლების მდგომარეობა ბალტიის მხარეში; გამოურკვევლობა სკოლებში; პოლონეთის „მატიცა“ და მისი ბედი, სკარჟინსკის სიტყვა პოლონეთის „მატიცას“ შესახებ; უკრაინელების ბრძოლა ეროვნული სკოლებისათვის; ფედერატიული კავშირი მასწავლებლებისა; რუსეთის მოწინავე საზოგადოების აზრი ნაციონალური სკოლების შესახებ წინააღმდეგ რუსთა ცრუ პატრიოტებისა. სტატისტიკური ცნობები რუსეთში სწავლა-განათლების საქმის შესახებ.

დღევანდელ პირობებში რუსებისათვის სკოლის საქმის მოწესრიგება იმდენ საჭირბოროტო საგანს არ შეადგენს, რამდენადაც საკითხი არა რუსების სკოლების შესახებ, რომელშიაც გამეფებულია გარუსების პოლიტიკა, – ეს უმძვინვარესი მტერი ხალხის განათლებისა. განმათავისუფლებელმა მოძრაობამ 1905 წელში მცირედი შეღავათი მაინც მისცა არა რუსთა სკოლებს, მაგრამ უკანასკნელი რეაქციის ხანებში მთავრობა დაადგა ისევ ძველ გზას და ცდილობს წაართვას ეროვნულ სკოლებს ის მცირე უფლებაც დედა-ენაზე სწავლებისა პირველ ორი წლის განმავლობაში მაინც, რომელიც მას ორი წლის წინათ შესაძლებლად მიაჩნდა. 1905 წელში სამინისტრომ დაჰგმო და უარჰყო გარუსების პოლიტიკა ბალტიის მხარეში და წინადადება მისცა დედა ენაზე სწავლების შემოღებისა სახალხო სკოლებში, რომელშიაც რუსული ენის სწავლება პირველ წლიდანვე უნდა დაეწყოთ. ამ ზომების სოფლის სკოლებში განხორციელებას შეუდგა მთავრობა 1906-1907 სამოსწავლო წელში, ხოლო 1907-1908 სამოსწავლო წელს საქალაქო სკოლებშიაც უნდა შემოეღოთ ამისთანა რეფორმა, რომელიც სრულიად არავითარ კავშირს არ სწყვეტს გარუსების პოლიტიკასთან: პირველ განყოფილებაში 21 გაკვეთილში 8 გაკვეთილი რუსული ენისათვის იყო გადადებული. მთელი რეფორმა იმაში გამოიხატებოდა, რომ არითმეტიკას /6 გაკვეთილი კვირაში/ ასწავლიდნენ დედა ენაზე, დანარჩენი გაკვეთილები ასეა განაწილებული – 4 გაკვეთილი საღმრთო სჯულისათვის და სამი დედა ენისათვის. ეს ზომაც უკანასკნელ ხანებში ძლიერ რადიკალურად ჩათვალეს. გაზეთ „Речь“-ის სიტყვით რიგაში, საქალაქო სკოლების გახსნის დროს, სახალხო სკოლის ინსპექტორმა ცირკულიარი დაუგზავნა სკოლებს.

ინსპექტორი სწერდა – „რადგანაც ამ წლიდან სწავლება პირველს განყოფილებაში დედა ენაზედ უნდა იქმნას, საჭიროა რუსული ენის გაკვეთილების გაბევრება. აიღეთ არითმეტიკის გაკვეთილებიდან ორი გაკვეთილი და რუსულ ენას მიუმატეთო. ამნაირად რუსული ენის გაკვეთილი I განყოფილებაში კვირაში 10 იქნება და დანარჩენებისა 11-ო. ადგილობრივი მთავრობაც მხარს უჭერს სამინისტროს სახალხო სკოლებში რუსული ენის სწავლების შემოღებაში. ასეთი გამოურკვევლობაა დღეს შუაგულ რუსეთში ყველა არარუსთა სკოლებში. უარესს პირობებში არიან ჩაყენებულნი განაპირა ქვეყნების სკოლებიც, მომეტებულად პოლონეთში, სადაც უკანასკნელ ხანებში ადგილობრივმა მთავრობამ ერთი კალმის მოსმით მოსპო ისეთი საზოგადო კულტურული დაწესებულება, როგორიც იყო პოლონელთათვის „მატიცა“ თავისი ადგილობრივი განყოფილებებით, სადაც ტრიალებდა საღი აზრი ეროვნულის განათლებისა. პოლონელები მედგრად იბრძოდნენ თავიანთ ეროვნულ დაწესებულებათა დასაცველად, იბრძოლებენ შემდეგშიაც და, ადრე თუ გვიან, თავის მიზანს მიაღწევენ. პოლონელთა „მატიცას“, როგორც კერძო დაწესებულებას, რომელიც ებრძოდა გარუსების პოლიტიკას, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პოლონელებისათვის. მთავრობა, რასაკვირველია, ბრუდეთ უყურებდა ამ დაწესებულებას, მომეტებულად უკანასკნელ ხანებში, როდესაც „მატიცის“ მოქმედება უფრო გაფართოვდა და კეთილი ნაყოფიც გამოიღო. ლიუბლინის სახალხო სკოლების დირექტორი შეეკითხა „მატიცის“ მთავარ გამგეობას რუსული ენის სწავლების შესახებ „მატიცის“ სკოლებში; პასუხად გამგეობამ ამცნო დირექტორს, რომ „მატიცის“ სკოლების პროგრამა შედგენილია რაციონალური პედაგოგიის თანახმად, რუსული ენა სავალდებულო საგნად ირიცხებაო, მხოლოდ მისი სწავლება სკოლებში იწყება მეოთხე წლიდან, რადგანაც ამ დროს უფრო განვითარებულნი და მომზადებულნი არიან რუსული ენის საფუძვლიანად შესწავლისათვისო. საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენს მკითხველებს გავაცნოთ თუ როგორ თავგამოდებით იცავენ პოლონელები თავიანთ ეროვნულს სკოლას და რა შეხედულობას ადგანან ისინი ეროვნული სკოლის საქმეში. საყურადღებოა ამ მხრით სტ. სკარჟინსკის სიტყვა, რომელიც შემოკლებით აქვე მოგვყავს: „ამ თანამედროვე გადასვლის ხანაში, – სწერს სტ. სკარჟინსკი, – ყველა მოქალაქე მოყვარული თავის ქვეყნისა, ერთადერთს სახსარს უბედურების ასაცდენად ხალხის განვითარება-განათლებაში უნდა ეძებდეს. თავდაპირველად განათლებისათვის სახეში უნდა

გვყავდეს უფრო ღარიბი ხალხი, საზოგადოების დაბალი კლასები. განათლების ამგვარი დანიშნულება სავსებით შეიგნო პოლონეთის საზოგადოებამ, ისარგებლა 1906 წლის 18 მარტს ბოძებულის უფლებით, შეუდგა ზრუნვას აღედგინა მშვენიერი სლავური დაწესებულება, პირველად ჩეხიაში დაარსებული და დღეს „მატიცის“ სახელით განაგრძობს თავისს ნაყოფიერს მოქმედებას სხვა ჩვენ მონათესავე ხალხთა შორისაც – ავსტრიის სახელმწიფოში. „მიტიცას“ ძლიერ მცირე საშვალება ჰქონდა, მაგრამ მაინც მოახერხა იმ შეცდომების შესწორება, რაც მოსდიოდათ დასაწყისს სკოლებში, რომელსაც ინახავდა თავის ხარჯით სოფლის გმინები. უკანასკნელები მცირედ უწყობენ ხელს განათლების გავრცელებას. მათ არ შეუძლიათ მოიწვიონ თითეულს გმინში რამდენიმე მეზობელ სოფელთ გარდა. „მატიცამ“ კი მცირე ხანში 700-მდის სკოლა დააარსა. მეცნიერებას „მატიცის“ სკოლაში ერთადერთი მიზანი აქვს – ხალხის განათლება. პოლიტიკური მიზნები მისთვის არ არსებობს. ამ სასწავლებელში შემოღებულია მხოლოდ რაციონალური პედაგოგიის წესები და არცა ცდილობენ ამ პრინციპების ხელოვნურად გამოყენებაზე ამა თუ იმ პოლიტიკურ შეხედულობაში. ამ წესების მიხედვით, ძვირფასი დრო რომ ტყუილად არ დაიკარგოს, საფუძველი დასაწყისი მეცნიერებისა ისწავლება პოლონურს ენაზე და მხოლოდ ბავშვის ჭკუა-გონების განვითარების მიხედვით იწყება სახელმწიფო ენის სწავლებაც. ამნაირად რუსული ენის სწავლება დასაწყისს სკოლებში იწყება მხოლოდ უფროსს განყოფილებაში, საშუალო სასწავლებლებში კი – პირველ კლასიდან, რაგანაც ამ უკანასკნელს სასწავლებლებში შედიან ისეთი ბავშვები, რომელთაც გაუთავებიათ სწავლა დასაწყისს სკოლაში და ან საკმარისად განვითარებულნი და მომზადებულნი არიან.

„რაციონალური პედაგოგიის ძირითადი კანონები უარს ჰყოფენ თავიდანვე ასწავლონ ბავშვს ერთსა და იმავე დროს ორი ენა. ამის საწინააღმდეგო გამოცდილებამ ყველგან უარმყოფელობითი შედეგი მოიტანა, რადგანაც ბავშვის ნორჩს გონებაში იწვევს სახელმწიფოს საწინააღმდეგო სურვილებს და უნდობლობას“.

ეს ჭეშმარიტება, ამოღებული პედაგოგიის აქსიომიდან, მოსვენებას არ აძლევს რუსების ცრუ პატრიოტებს, რომელნიც რუსეთთან შეერთებულის ვრცელი ქვეყნების გარუსებაში ჰხედვენ რუსეთის ძლიერების იდეალს.

ლინგვისტურ ცენტრალისტებისათვის, თუ შეიძლება ვიხმაროთ ეს სახელი, საკმარისი არ არის უბრალო ჭეშმარიტება – რომ ყოველი

არა რუსი ვრცელ და მდიდარ რუსეთთან შეკავშირებით მცხოვრები, თვითონ მოისურვებს რუსული ენის შესწავლას მრავალ სავსებით ცნობილ და ბუნებრივ მიზეზთა გამო. იმ პრინციპების განსახორციელებლად, რომ ყველაფერი, რაც არ გამოდის სახელმწიფოს მოხელეთა ქველმოქმედ ხელიდან, რაც არ მიისწრაფვის აზრის თავისუფლების შეზღუდვისაკენ და არ არის დაფუძნებული ზნეობრივს ძალდატანებაზე – დიდებული პოლიტიკის მიზნის წინააღმდეგაა, აღსდგა მთელი ხროვა კრიტიკოსებისა „მატიცის“ წინააღმდეგ. „სკოლის მატიცას“ აზრადა აქვს განათლება, სურს საზოგადო მშვიდობიანობა და თანხმობა. მისთვის საჭირო არ არის გააპოლონელოს ის, რაც თავის თავად პოლონურია. არც რუსეთისათვის და იმისი მთავრობისათვის არ უნდა იყოს შეურაცხსაყოფი და საშიშარი რაღაც გროვა 700 მასწავლებლისა და მცირეწლოვან მოწაფეებისა.

„მატიცას“ პოლონეთში დამსახურებული სახელი აქვს მცხოვრებთა შორის განურჩევლად ებრაელებისა, რომელნიც ჩვენ, პოლონელებს თანასწორ უფლებიან მოქალაქედ მიგვაჩნია. ყოველი განზრახვა, იმათ საწინააღმდეგოდ გამოიწვევს ჩვენში დაუმსახურებელ შეურაცხყოფას და შეწუხებას, რადგანაც ამნაირი განზრახვა იქნებოდა ჩვენთვის იმის დამამტკიცებელი, რომ თითქმის უგულწრფელეს და საუკეთესო განზრახვებთან ჩვენის მხრით, ფრიად კეთილ განწყობილებასთან და საზოგადო სახელმწიფოს სიკეთისათვის სამსახურთან ერთად, რუსეთში ყოველთვის მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომელნიც გაგვასამართლებენ სამაგიეროს გადახდის კანონით ხელში.

პოლონელებზე ნაკლებ არც უკრაინელები /მალოროსები/ იბრძვიან სკოლის ეროვნულ ნიადაგზე დაყენებისათვის. თავიანთი განსაზღვრული მოთხოვნილებანი უკრაინელებმა, სხვათა შორის, გამოთქვეს მეორე სათათბიროში 37 დეპუტატის პირით. თავიანთ მოხსენებაში დეპუტატები თხოულობდენ: 1/ დასაწყისს სკოლაში სწავლება დედა ენაზე უნდა წარმოებდეს. 2/ დედა ენად სწავლებაში იქნება ის ენა, რომელსაც ადგილობრივი თვითმართველობა აღიარებს. 3/ ეს დადგენილება შეიძლება განსაჩივრებული იქმნას უმაღლესს არჩევით დაწესებულებაში. 4/ იმ ადგილებში, სადაც მცხოვრებლები სხვადასხვა ენაზედ ლაპარაკობენ, უმცირესობის უფლება დედა ენის შესახებ უზრუნველყოფილი იქნება. 5/ რუსული სახელმწიფო ენა ისწავლება სკოლის პირველ საფეხურიდანვე. 6/ სწავლება სახალხო სკოლებში წარმოებს იმ სახელმძღვანელოე-

ბით და ხელსაწყო ნივთებით, რომელთაც ადგილობრივ არჩეული მასწავლებლები მოიწონებენ. 7/ სახალხო სკოლების გამართვა და მოწყობა უნდა იყოს ადგილობრივი თვითმართველობის უწყებაში. 8/ სკოლის შესანახი ფული განაწილდება სამინისტროს მიერ ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს განცხადების თანახმად. ამ ბოლო დროს უკრაინაში დაარსდა საზოგადოება „უკრაინის მასწავლებელი“, რომელსაც მიზნად აქვს შექმნას მკვიდრი ნიადაგი ეროვნული სკოლისათვის, დახმარება გაუწიოს ოჯახსა და სკოლებს უკრაინაში, მისცეს საუკეთესო აღზრდა-განათლება უკრაინის ახალგაზრდობას, შეაერთოს ამ საქმეში უკრაინელი მასწავლებლები და ყველა გულშემატკივარნი უკრაინის სკოლისა საერთო საბრძოლველად ნამდვილი სახალხო სკოლის შექმნისათვის უკრაინაში. ეს საზოგადოება სტამბავს მრავალს წიგნებს და სახელმძღვანელოებს მალოროსიულს ენაზედ; საერთო ბრძოლის დროს, სკოლის ეროვნულ ნიადაგზე დაყენების საკითხში, უკრაინელებს უპირველესი და მაგარი პოზიცია ეკავათ. იმათ მოიპოვეს უფლება უნივერსიტეტებში ლექციების მოსმენისა მალოროსიულს ენაზე და სხვ.

განმათავისუფლებელ მოძრაობას მოჰყვა მასწავლებელთა კავშირების დაარსებაც რუსეთში. პირველად დაარსებული იქმნა სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კავშირი, რომლის წესდებაშიაც მოხსენებული იყო – სწავლება სკოლებში უნდა წარმოებდეს ადგილობრივს ენაზედ, რომელზედაც მცხოვრებლები ლაპარაკობენ. სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კავშირს მოჰყვა არა რუსთა მასწავლებლების კავშირები, რომლებიც თავისთავად მოქმედებდნენ. დღეს ამისთანა ნაციონალური კავშირები რუსეთში თერთმეტამდისაა. სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კავშირის თაოსნობით მოხდა კრება ნაციონალური კავშირების წარმომადგენელებისა ფედერატიულად შეერთების შესახებ. ამ კრების ოქმები დაისტამბა ამ ორი თვის წინად. კრებაზე წამოყენებული იყო ბევრი ფრიად საინტერესო კითხვები; შესწორებული იქმნა ფედერაციის წესდება, რომელსაც მკითხველებს შემდეგში გავაცნობთ. „საუკუნოებით ბრძოლა გათავდაო, – სწერს მემატიანე ნაციონალურ კავშირების წარმომადგენელთა კრების შესახებ, – ყველა ერების მასწავლებლებმა, რომელნიც ისტორიულად შეერთებულნი არიან რუსეთის სახელმწიფოსთან, ხელი გაუწოდეს ერთმანეთს შეერთებულის ძალით საბრძოლველად და ეხლა იმათი მოვალეობაა ამნაირი ერთობა ჩაუნერგონ თავიანთ მოწაფეებსაც და დაუმტკიცონ ყველა ხალხს, რომ მეგობრულის, სა-

ერთო ინტერესებისა და მისწრაფებათაგან შექმნილი კავშირი უფრო მტკიცეა სისხლითა და რკინით შეჭედილს ჯაჭვებზე.

რუსეთში მოწინავე საზოგადოება სულ სხვანაირად უყურებს არა რუსთა განათლების საქმეს, ვიდრე ცრუ პატრიოტები. „ყოველს ეჭვს გარეშეაო, – სწერს გაზეთ „Товарищ“-ში /№ 396/ ვ. ვოდოვოზოვი, – რომ შესაძლებელია მხოლოდ ნაციონალური სკოლა, წინააღმდეგ შემთხვევაში სკოლა სრულიადაც არ არსებობს. როდესაც სკოლებში სწავლა წარმოებს უცხო ენაზე, როდესაც სკოლის მთავარი მიზანია არა სწავლის გავრცელება, არამედ ვიწრო პოლიტიკური მიზანი ნაციონალური გრძნობის ამოფხვრისა, – ამ შემთხვევაში სკოლა იძლევა სრულიად საწინააღმდეგო შედეგს. სკოლა იმ ხალხის ხელში უნდა იყოს, რომლის შვილებიც იქ სწავლობენ; იგია ერთი უსაჭიროესი გამომხატველი ნაციონალური კულტურისა“ და სხვ.

მეორე რუსი მწერალი უფრო თვალსაჩინოთ ახასიათებს ნაციონალური სკოლის საჭიროებას არა რუსთათვის. მოვიყვანთ ქ-ნ რუსოვას აზრს ამ საკითხის შესახებ, რომელიც დასტამბული იყო ახალ გაზეთის „Школа и жизнь“-ის № 1:

„რუსული ენა, – ამბობს წერილის ავტორი, – მთელს სახელმწიფოში მხოლოდ მცხოვრებთა 40%-ს ესმის... ამისდა მიუხედავად აქამდის ბატონობდა ყველგან რუსული სკოლა. ამით სკოლა მეტად სცოდავდა: ის ართმევდა არარუსთა ბავშვებს სამშობლოს, ის უსპობდა მათ მშობლიურს ოჯახსა და ერთან არსებითს კავშირს... ქართველის, პოლონელის და უკრაინელის შვილი, რომელიც რუსულს სკოლას ათავებდა, აღარ იყო ქართველი, პოლონელი, უკრაინელი; მას ვინაობა ეკარგებოდა და ვერავითარს სარგებლობას ვერ აძლევდა ვერც თავის აღმზრდელს ხალხს და ვერც თავისს განმანათლებელს სახელმწიფოს. უცხო, ძალად გაბატონებული სკოლა ვერ იძლეოდა ჭეშმარიტს განათლებას; ის მხოლოდ ამახინჯებდა მოწაფეებს და მეტისმეტად შეურაცხყოფდა არა რუსთა... ამის გამო ამ ორს უკანასკნელს წლებში ყველა ერებმა, რომელნიც კი გამოფხიზლდნენ, მოითხოვეს ნაციონალური სკოლა... და ეს მოთხოვნა სრულიად კანონიერი და ბუნებრივია პსიხოლოგიურის საბუთების მხრით... სკოლა – მსოფლიო ვაჭრობა, სახელმწიფო ბანკი და სახელმწიფო ფოსტა როდია; სკოლა და ხელოვნებანი ყოველთვის ეროვნული უნდა იყოს, რადგან ისინი წარმომდინარეობენ ეროვნული შემოქმედების სიღრმიდან და შეეფერებიან თითოეულ ერის ინდივიდუალურს მისწრაფებებს... სკოლასა და ხელოვნებაში საჭიროა რაც შეიძლება მეტი

თავისუფალი განვითარება... რომ სკოლამ დააკმაყოფილოს თითოეულის ერის განათლების მოთხოვნილებანი, რომ ის ნამდვილი დემოკრატიული იყოს და ყველასთვის ხელმისაწდომი, საჭიროა იმის მოწყობაში მოსპობილ იქმნას ყოველივე ცენტრალიზმი და ძალად თავზე მოხვეული ერთფეროვნობა. ამის გამო სკოლის რეფორმის ერთ ლოზუნგად უნდა იყოს – მიეცეს თითოეულს ერს რუსეთის სახელმწიფოში ეროვნული სკოლა. თუ იმას იტყვიან, რომ რუსულ ენის საშუალებით მეტს ცოდნას შეიძენენ არა რუსებიო, ჩვენ იმას ვიტყვით, რომ ინგლისურის ენის საშუალებით უფრო გაცილებით მეტს ცოდნას შეიძენენ, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ველიკოროსებს ინგლისურს ენაზე ასწავლიან! არცერთი ერი არ დაკმაყოფილდება პირველდაწყებითი ეროვნული სკოლებით. იგი კიდევ შორს წავა და ეცდება მოიპოვოს მთელი ეროვნული სკოლა...“

1903 წელს მთელს რუსეთის იმპერიაში ყველა უწყების დასაწყისს სახალხო სკოლებზე დაიხარჯა 62 მილიონი მანეთი. აქედან ერთ-მეოთხედამდის ხარჯავდა მხოლოდ სახელმწიფო ხაზინა, დანარჩენს – 22, 7% ხარჯავდა ერობა, 14, 5% სოფლის საზოგადოება და 14% ქალაქის საზოგადოება. ხუთის წლის განმავლობაში 1899-1093 წ. ხაზინის ხარჯმა იმატა 76, 9%-ით, ერობისამ 57%-ით, ქალაქის საზოგადოებისამ 59, 3%-ით და სოფლის საზოგადოებისამ მხოლოდ 23, 3%-ით.

ის ფაქტი, რომ სოფლის საზოგადოების მიერ ხარჯი სახალხო სკოლებზე, უკანასკნელ წლებში, ნაკლებ მატულობს, აიხსნება სოფლის სიღარიბით, რომელმაც რუსეთში თავი სხვათა შორის მაშინ უფრო იჩინა, როდესაც შემოიღეს არაყის სახელმწიფო გაყიდვა, რომელმაც მოუსპო სოფლის საზოგადოებას მთავარი წყარო შემოსავლისა, რომელიც მომეტებულად კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ხმარდებოდა.

მთელ ხარჯს დასაწყისი სწავლებისათვის ყველა წყაროებიდან 1898 წელს მცხოვრებლების თითოეულს სულზე შეადგენდა 31, 2 კაპ. 1903 წელს 44, 5 კაპ. მაგრამ ამ ხარჯს უმთავრესად ეწევიან ერობანი, სოფლისა და ქალაქის საზოგადოებანი, სახელმწიფო კი 1898 წ. ხარჯავდა თითო კაცის თავზე სულ 6, 7 კაპ. 1903 წ. – 10, 9 კაპ. 1898 წ. დასაწყისს სკოლებზე გაწეული ხარჯი ხაზინის მხრით უდრიდა 0, 7% მთელის ხარჯისას, 1903 წელში – 0, 8%. აქაც კი ვერ ავიდა 1% მაინც.

ასე მცირედ ზრუნავს საზოგადოთ რუსეთის ბიუროკრატია და ხაზინა ხალხის განათლების შესახებ. თითო მოწაფეზე ხარჯი 1903 წელს უდრიდა 11 მან. 60 კაპ. ეხლა შეადარეთ ყველა ეს ციფრები ამ ჟურნა-

ლის „უცხოეთის მიმოხილვაში“ მოყვანილს ციფრებთან სხვადასხვა სახელმწიფოს შესახებ და ნათლად დაინახავთ რუსეთში სწავლა-განათლების საქმის სრულს სიკოტრეს და უკან ჩამორჩენას სხვა სახელმწიფოებთან შედარებით.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

მოკლე საუბარი თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს პირველ-დაწყებითი კურსი გეოგრაფიისა სამშობლოს აღწერის სანიმუშო პროგრამით ალ. ჭიჭინაძისა, ქუთაისი. 1907 წ. ფასი 20 კაპ.

ჩვენს ფრიად ღარიბს პედაგოგიურს მწერლობაში ყოველი ახალი წიგნი სასურველ მოვლენას შეადგენს, მომეტებულად დღეს, როდესაც ბევრს საგნებში სახელმძღვანელო წიგნებსაც კი მოკლებულნი ვართ და ამის გამოც ჩვენი სკოლები დიდს გაჭირებაში არიან.

წიგნაკი, რომლის სათაურიც ზემოთ ამოვწერეთ, შეიცავს დარიგებას გეოგრაფიის დაწყებითი კურსის სწავლების შესახებ და სამშობლოს აღწერის სანიმუშო პროგრამას. პატივცემული ავტორი, მართალია, იმაზე მეტს ჭეშმარიტებას არ გვეუბნება, რაც თანამედროვე მეცნიერებაში უკვე გამორკვეულია, მაგრამ ყველას რომ მუდამ ახსოვდეს საღი პედაგოგიური ჭეშმარიტებანი და ხშირად არ ღალატობდეს მათ, მაშინ არც ჭეშმარიტების ხშირი მოგონება იქნებოდა საჭირო; პირიქით, თუ ოდესმე საჭირო ყოფილა საღი პედაგოგიური აზრების ხშირად წამოყენება, მით უფრო საჭიროა ჩვენთვის დღეს, როდესაც ყველა შეგნებული ადამიანი ზნეობრივად ვალდებული უნდა იყოს ხელი შეუწყოს ჩვენში ხალხის კანონიერი განათლების საქმეს, რაგვარ პედაგოგიურს მოსაზრებაზე ამყარებს ბ-ნი ალ. ჭიჭინაძე გეოგრაფიის დასაწყისი კურსის სწავლებას? თანდათანობის წესის დაცვა სწავლების დროს, ბავშვების მიერ დაკვირვება, ცდა, ჯერ მახლობელისა და შემდეგ შორეულის შესწავლა, მოწაფეთა თვით-მოქმედების პრინციპის დაცვა, ცხოველი საუბარი მოწაფეებთან წინააღმდეგ უკვე გამეფებულის წიგნში ზეპირობისა და საზოგადოთ დაცვა სწავლების წესისა, რომლის დროსაც მასწავლებლები მხოლოდ საჭირო შემთხვევაში დახმარებას უწევს მოწაფეებს შესაფერისი კითხვების საშუალებით და მოწაფეები თვითმოქმედების პრინციპის დაცვით, სა-

კუთარის მოსაზრებით იძენენ საჭირო ცოდნას. დიაღ, ყველა ეს ისეთი საღი პრინციპებია, რომლის შესახებ ცხოვრებაში განხორციელებისათვის ათასობით დასტამბულა წიგნები უცხოსა და რუსულს ენაზე საუკუნოების განმავლობაში, მაგრამ იქაც საჭირო გამხდარა ერთისა და იმავე ჭეშმარიტების ბევრჯერ გამეორება.

საღი პედაგოგიური რჩევის გარდა ხსენებულს წიგნაკში ავტორს ნაჩვენები აქვს სხვადასხვა სახელმძღვანელოები, სწავლის დროს ხელსაწყო იარაღები, თვალსაჩინო ნივთები, რომლითაც შეუძლია მასწავლებელს იხელმძღვანელოს საუბრების დროს. იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიშველოს მასწავლებელმა გეოგრაფიის სწავლების დროს რუქა, ავტორს თავისს წიგნაკში მოყვანილი აქვს ვრცელი გაკვეთილი კითხვა-მიგების ფორმით. რაც შეეხება სამშობლოს აღწერის სანიმუშო პროგრამას უნდა ვსთქვათ, რომ მასალა სრულის თანდათანობით არის დალაგებული კონცენტიულს წესზედ მახლობლიდან თანდათან შორეულზე გადასვლით; ამ პროგრამის განხორციელებით ბავშვები გაიცნობენ როგორც საზოგადოდ გეოგრაფიულს ტერმინებს, აგრეთვე შეისწავლიან ელემენტარულს ცნობებს სამშობლოს გეოგრაფიიდან, სხვადასხვა ფიზიკურ მოვლენებს, მცენარეებს, ცხოველებს და სხვა. ამაზე იქნება დამყარებული შემდეგში საზოგადო გეოგრაფიის შესწავლა. საყურადღებოა ისიც, რომ ბავშვები დაეჩვევიან მათ გარშემო ცხოვრებისა, ბუნებისა და ადამიანის ცხოვრების დაკვირვებას, რომელსაც თან მოჰყვება საკუთარი აზროვნებაც, ცოდნისმოყვარეობა და სხვა სწავლის შეძენაში წარმტაცი პირობები, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს თვითგანვითარების საქმეში.

საზოგადოთ ბ-ნი ალ. ჭიჭინაძის „მოკლე საუბარი“ გეოგრაფიის სწავლების შესახებ სასარგებლო წიგნად მიგვაჩნია და სასურველიც არის ჩვენმა დასაწყისი სკოლების მასწავლებლებმა ყურადღება მიაქციონ ამ წიგნაკს, რომელიც მათ საკმაო სამსახურს გაუწევს.

არითმეტიკულ ამოცანათა და რიცხვითი მაგალითების კრებული

ნაწილი I. შედგენილი ე. ხრამელაშვილის მიერ. ტფილისი. 1906 წ. ფასი 20 კაპ.

ამ წიგნის შესახებ ჩვენს მწერლობაში ჯერ აზრი არავის არ გამოუთქვამს, თუმცაღა საგანი, რომელსაც ხსენებული წიგნი იპყრობს ყველა სკოლებისათვის საყურადღებოა და იმის სწავლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბავშვების გონების განვითარების საქმეში.

მასალა, რომელიც მოთავსებულია ხსენებულს სახელმძღვანელოში, შეიცავს ორი წლის კურსს სხვადასხვაგვარ სავარჯიშოებით. ავტორი პირველი ათეულის შესწავლას იწყებს შეკრება-გამოკლებით – ჯერ 1-5, შემდეგ 5-10 -მდის. რასაკვირველია, პირველ ხანებში, ვიდრე მოწაფეები კითხვაში კარგად არ გაიწაფებიან, არითმეტიკის სახელმძღვანელოს მათ ხელში მნიშვნელობა არ ექნება. მაშასადამე თავდაპირველად ყველაფერი მასწავლებელზეა დამოკიდებული და იმ მასალაზე, რასაც იგი აწვდის მოწაფეებს. მთავარი ყურადღება მასწავლებლისა ამ შემთხვევაში უნდა იქმნას მიქცეული პირველ ათეულის ფარგალში ოთხი მოქმედების შესწავლაზე სხვადასხვა კომბინაციებით და თვალსაჩინო საგნების საშუალებით; თვალსაჩინოებას აქ უსათუოდ პირველი ადგილი უნდა დაეთმოს, რათა მოწაფის გონებაში თავიდანვე ღრმად გაიდგას ფესვი იმ აზრმა, რომ არითმეტიკის სწავლების დროს მოწაფეებს საგნებთან აქვსთ საქმე და არა მარტო ამ საგნების რაოდენობის გამომხატველ უსულო ციფრებთან; ამას გარდა საგნებზე ვარჯიშობა და თვალსაჩინოდ შესწავლა ამათუიმ არითმეტიკულ მოქმედებისა შეადგენს ძირითადს საფუძველს ამ საგნის შეგნებით სწავლებისას პირველს საფეხურზე, რომელსაც თან მიჰყვება უფრო განყენებული ვარჯიშობა რიცხვით მაგალითებზე; ეს უკანასკნელი ვარჯიშობა კი თითქმის გამეორებაა სხვადასხვა კომბინაციებით იმისი, რაც წინად, თვალსაჩინოდ საგნებზე შეისწავლეს მოწაფეებმა. ბ-ნი ხრამელაშვილი კი, ჩვენის აზრით, თავდაპირველად იძლევა მცირე რიცხვს თვალსაჩინო და ყოველმხრით ზეპირ ვარჯიშობისას საგნებზე, ძლიერ ადრე გადადის

რიცხვით მაგალითებზე და საზოგადოთ ციფრებზე. სრულიად მეტ ბარგად მიგვაჩნია კრებულში ის მასალები, რომელთაც სათაურად უზის: „დაიხსოვნეთ“, მომეტებულად რომელნიც ითხოვენ რიცხვის შედგენილებას. წიგნი მოწაფეს პირდაპირ ეუბნება რიცხვების შედგენილობას და მოწაფეებს ავალებს ამ შედგენილობათა დახსომებას, მაშინ როდესაც საკმაო თვალსაჩინო სავარჯიშოებით მოწაფეები ისედაც აღიბეჭდავენ გონებაში ამათუიმ რიცხვის შემადგენელ ნაწილებს და თავს დააღწევენ იმ მომაბეზრებელ სავარჯიშოებს, რომელსაც სამართლიანად უწუნებენ ევტუშევსკის. როდესაც ციფრების წერასა და წაკითხვას ასწავლიან მოწაფეებს თავდაპირველად უსათუოდ უნდა იხმარონ ისეთი ხერხი, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოუდგენს მოწაფეებს, რომ ციფრი არის ნიშანი მიღებული საგნების რაოდენობის აღსანიშნავად. ამ აზრს დღეს საკმარისად ახორციელებენ ელემენტარული არითმეტიკის სახელმძღვანელოს შემადგენლები, მომეტებულად მოწინავე განათლებულს ქვეყნებში, სადაც დასაწყისი არითმეტიკის სწავლების დროს აუცილებელს თვალსაჩინოებას საკმაო ადგილი აქვს დათმობილი თვით სახელმძღვანელო წიგნებშიაც და ბ-ნი ხრამელაშვილის კრებული კი მოკლებულია ამას.

საზოგადო რიცხვი ამოცანებისა ხრამელაშვილის კრებულში შეგვიძლია საკმარისად ჩავთვალოთ, მხოლოდ რაც შეეხება ამოცანებში რიცხვების შეფარდებას მეტ-ნაკლებობის მიხედვით უნდა შევნიშნოთ, რომ ამ სავარჯიშოს კრებულში ჯეროვანი ყურადღება არ აქვს მიქცეული, იწყება ძლიერ ადრე, თითქმის პირველი გაკვეთილიდანვე, მაგრამ ბოლომდის ისეა გატარებული, რომ ამ შეფარდებას რიცხვებისას მოწაფეები ძნელად თუ შეიგნებენ საფუძვლიანად. რიცხვების შეფარდება ერთი საძნელო სავარჯიშოთაგანია პატარა ბავშვებისათვის, ამიტომაც ელემენტარული არითმეტიკის საუკეთესო სახელმძღვანელოებში ამისთვის ცალკე სავარჯიშოებია გამოყოფილი და ამას გარდა ცდილობენ მოწაფე თავიდანვე მიაჩვიონ არითმეტიკულ აზროვნების შეგნებას და გამოთქმას, რაც კი იხმარება ყოველს მოქმედებაში, ყურადღების ღირსია აგრეთვე სავარჯიშოები სწრაფი ანგარიშის შესახებ, რომელიც ხრამელაშვილის კრებულში სრულიად არ სჩანს. ზემოთ ვსთქვით, რომ პირველი ათეულის ფარგლებში ოთხი მოქმედების შესწავლა შეადგენს საფუძველს. რამდენადაც ეს საფუძველი მკვიდრია, იმდენად შემდეგ საფეხურზე სწავლება გაადვილებულია; ცნობილია, რომ ჩვენი სიტყვიერი მრიცხველობა ოცეულ ერთეულობაზეა დამყარებული. ბ-ნი ხრამელაშვილი ცდი-

ლობს ეს სიტყვიერი მრიცხველობა ათეულ მრიცხველობაზე ჩამოიყვანოს და წერით მრიცხველობას შეუფარდოს. ეს მოსაზრება, რასაკვირველია, კეთილი და პატიოსანია, მაგრამ, ჩვენ გვგონია, ამ მიზანს კრებულის ავტორი უფრო ადვილად მიაღწევდა მაშინ, როდესაც პირველი ათეულის საფუძვლიანად შესწავლის შემდეგ მოწაფეებისათვის მიეწოდებინა სავარჯიშოები პირდაპირ ათეულებზე. ამ სავარჯიშოებით უეჭველია პატარა მოწაფეები უფრო ცხადათ წარმოიდგენდნენ ათეულების მნიშვნელობას მრიცხველების დროს. პირველი და მეორე ათეულის შესწავლის დროს კრებულში მოყვანილია სიტყვიერი ვარჯიშობა გაყოფაზედ ნაშთით. კარგი იქნებოდა, რომ ამგვარი სავარჯიშოები რიცხვით მაგალითებშიაც ყოფილიყო, მაგ. 12:5 — მოწაფე დასწერდა ასე: 12:5 = 2 /2/. ფრჩხილებში ჩასმული რიცხვი უჩვენებს ნაშთს.

ბ-ნი ხრამელაშვილი თავის კრებულში ყურადღებას აქცევს ტიპიურ ამოცანებს და ითხოვს მოწაფეთაგან მსგავსი ამოცანების მოგონებას. ერთსაც და მეორესაც საფუძველი აქვს, — თუ მოწაფემ სავსებით შეიგნო რომელიმე ტიპიური ამოცანა — იმის მსგავსი ამოცანის მოგონებაც არ გაუძნელდება და ეს მოგონებაც სრულს საფუძველს გვაძლევს შევიტყოთ თუ რამდენად საფუძვლიანად შეუგნია მოწაფეს ტიპიური ამოცანა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ბ-ნ ხრამელაშვილს ეს ტიპიური ამოცანები არ აქვს ცალკე გამოყოფილი. ისინი არეულია თითო-ოროლა სხვა ამოცანებთა შორის; მართალია, ბოლოში ცდილობს ტიპიური ამოცანების გამოყოფას, მაგრამ აქაც არ არის დაცული თანდათანობა და ადვილიდან მოძნელოზე გადასვლის წესი. მაგ., ამოცანა № 617 ეკუთვნის ამოცანათა მეორე ტიპს, შემდეგი № 622 კი — მეთორმეტე ტიპს. ამას გარდა ტიპიური ამოცანებიც შედარებით ცოტაა კრებულში — სულ ამ რიგის ამოცანები კრებულში იქნება ხუთი თუ ექვსი, მაშინ, როდესაც მოწაფეებს შესწავლილი აქვთ ოთხი მოქმედება 100-ის ფარგალში, იმათ უნდა იცოდნენ უკანასკნელი 15 სხვადასხვა ტიპის ამოცანების სრულის შეგნებით კეთება. „კრებულის“ ბოლოში მოთავსებულია სავარჯიშოები ნაწევრების შესახებ. საზოგადოდ დასაწყისს სკოლებში ნაწევრების შესწავლაც ფრიად საჭიროა. ძველი სკოლა არითმეტიკის ამ ნაწილს სახალხო სკოლებში არავითარს ყურადღებას არ აქცევდა; ეხლაც ბევრს სკოლებში ნაწევრების სწავლებას იწყებენ თითქმის არითმეტიკის მთელი კურსის ბოლოში. რომელიმე სასწავლო საგანს და მათ შორის არითმეტიკასაც მაშინ აქვს სრული მნიშვნელობა და სასურველი გავლენა

მოწაფის გონების განვითარებაზე, როდესაც მთლიანობის ხასიათი აქვს და შეიცავს ყველა შემადგენელ ნაწილებს; ნაწევარიც ნაწილია არითმეტიკისა, იმის სწავლება უფრო მეტს მოხერხებას, ცდასა და თვალსაჩინოებას ითხოვს; მაგრამ, სადაც ნაწევრების სწავლებაც გამარტივებულია და თვალსაჩინო, პატარა მოწაფეებიც დიდს წარმატებას იჩენენ ამ საგანში. ამის უტყუარ მაგალითს წარმოგვიდგენენ ამერიკის სკოლები, სადაც 6-7 წლის ბავშვს, რომელსაც სულ ნახევარი წელიწადი უვლია სკოლაში, ადვილად შეუძლია ამოცანების კეთება მარტივ ნაწევრებზედაც. ბ-ნ ხრამელაშვილის „კრებულში“ მოყვანილი ნაწევრები კი მოკლებულია იმ ცოცხალ თვალსაჩინოებას, რომელიც შეადგენს სულსა და გულს ყველა საგნის სწავლებისას. ხაზების საშუალებით ნაწევრების შესწავლა დახავსებული მეთოდია და იგი ვერც გაუწევს საგნის შეგნებით შესწავლას სასურველს სამსახურს. არცერთი არითმეტიკული დებულება, კანონი არ უნდა მიეცეს ბავშვს მზა განყენებული ფორმით, როგორც რეცეპტი ამა თუ იმ მოქმედებისათვის. „კრებულში“ კი ვკითხულობთ: „სამად გაჭრილი ვაშლი /?/ რომ სამ ბავშვს დაურიგოთ, თითოს თითო მესამედი ერგება, ორს ერთად ორი მესამედი, სამს ერთად სამი მესამედი ანუ მთელი“ და სხვ.

რაც შეეხება თვითონ სახელმძღვანელოს ენას საჭირო იყო მეტი ყურადღება — „დეკემბრის თვე ხუთშაბათობით /?/ დაიწყო, „მოიგონეთ მგზავსი /?/ ამოცანები“, „საჟენში სამი ალაბია /?/, ალაბს ქართლ-კახელი ბავშვი ვერ გაიგებს და ალაბიც იმერულად 18 ვერშოკს შეადგენს და არა 16, „ვაშლის დარიგება /?/ მოვინდომო“ და სხვ.

მიუხედავად ზემოთ მოყვანილი ნაკლულევანებისა ბ-ნ ხრამელაშვილის „კრებულს“ ზოგი ღირსებაც აქვს — მაგ. მოქმედებათა შესწავლა, საკმარისი სავარჯიშოები, რიცხვით მაგალითები და წესი მათი გამოანგარიშებისა, შედარებითი შესწავლა მოქმედებათა, ზომებისა და საწყაოებისა; ზოგიერთ ამოცანებს, აღებულს ხალხის ცხოვრებიდან, პრაქტიკული ხასიათიც აქვს; ქართულ ენაზე არსებულ სახელმძღვანელოებთან და ბევრს ამგვარ რუსულ სახელმძღვანელოებთან შედარებითაც ბ-ნ ხრამელაშვილის „კრებული“ უკეთესია, კარგი გამოცემაა და ფასიც 20 კ. ძვირი არ არის.

შინაური მიმოხილვა

საჯარო კითხვები ქართულ ენაზე და ჩვენი პროფესორები. – სამეურნეო სწავლა-განათლება საქართველოში. – სახალხო უნივერსიტეტი და ქართული სექცია.

აწინდელმა დრომ დაბადა ძლიერი მისწრაფება ხალხში განვითარებისადმი. ყოველ ერში, რომლის ცხოვრებაც რაოდენამდე წესიერად მიმდინარეობს, ასეთი მისწრაფება კმაყოფილდება სხვადასხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათაგან, რომელნიც დამკვიდრებული არიან ეროვნულს ნიადაგზე. ჩვენში, საუბედუროდ, ამ სფერაშიაც მეტად ცუდ მდგომარეობაში ვართ. არ მოგვეპოვება ჩვენი უმაღლესი სკოლა, რომელსაც შეძლებოდა მოეცა ჩვენი კულტურისათვის შესაფერი მომზადებული ლექტორები. იმიტომაც იძულებულნი ვართ სხვის ნასუფრალს დავჯერდეთ, იძულებულნი ვართ რამდენიმე პირს შევყურებდეთ, რამდენათ მუშაკთა რიცხვი მცირედია, იმდენად ამ მუშაკთ მეტი წინდახედულობა ჰმართებთ, იმდენად მეტი მოვალეობა აწევთ მათ ხალხის წინაშე. დღეს, რუსის სამსახურში მყოფი ქართველი მეცნიერი, მთელ თავის ძალ-ღონეს სწირავს არა თავის ერის საკულტურო განვითარების საქმეს. იგი იკვლევს, სწერს და კითხულობს ქართველ ხალხისთვის უცხო ენაზე და ამით ქართველ ერის გონებრივ განვითარებას და ხალხის გონებრივ სალაროს არა ემატება-რა. მართალია, ქართველი მეცნიერები ხანდისხან იკვლევენ ჩვენ ცხოვრებას, წარსულს თუ აწმყოს, მაგრამ აქაც ჩვენ მისთვის უბრალო ობიექტი, საკვლევი საგანი ვართ, ისე როგორც, მაგ. – ფინიკიელთ ქალაქების ნანგრევები და მეტი არაფერი და თუ თითქმის მთელ თავის ძალ-ღონეს ორიოდე ქართველი მეცნიერი არაქართულ კულტურას სწირავს. ისინი უფრო მეტად ვალდებულნი არიან მცირედი თავისუფალი დრო მაინც ერს შესწირონ და გასაგებ მშობლიურის ენით გადასცენ თავისს ხალხს ეს თუ ის დარგი მეცნიერებისა. მართლაც, პირველად, როცა ქართულ ენაზე ლექციების წაკითხვა შესაძლო გახდა, ასე მოიქცა პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი ბ-ნი ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც წაიკითხა ქართულ ენაზე რამდენიმე ლექცია. ასევე მოიქცა მოსკოვის უნივერსიტეტის ლაბორანტი ბ-ნი ალექსანდრე ჯავახიშვილი. იმედია ამათ მაგალითს

სხვებიც მიჰბაძვენ და არ გადასცდებიან ამ გზას, არ მოისურვებენ საერთო გარუსებისათვის სამსახურს და ხალხს ცოდნას თავისს ენაზე მიაწვდიან. სამწუხაროდ ჩვენ ჯერჯერობით იმედი გვიმტყუნდება და ეს გარემოება ნებას გვაძლევს გავაფრთხილოთ ჩვენი ლექტორები. თუ ოდესმე ისინი მოისურვებენ რაოდენიმე დრო ჩვენთვის გადასდონ, – ეს მცირედი დრო თავისს ხალხს შესწირონ და ლექციებიც ქართულად გამართონ; თორემ „ყვავს არ ჰქონდა – ბუს გაჰქონდაო“, ჩვენი საქმე სწორედ ასეა დღეს. დიდი და პატარა, მცოდნე და უმეცარი თითქო ყველა ამხედრებულა თავისი კულტურის წინააღმდეგ, ზოგი სიტყვით, ზოგი საქმით ძირს უთხრის მთავრობასთან ერთად იმ საერო, საკულტურო განვითარებას, რომელიც ყოველი ხალხის არსებობის აუცილებელ პირობას შეადგენს. რასაკვირველია, თვით ჩვენი საზოგადოებაც, სხვადასხვა დაწესებულებანი ვალდებულნი არიან ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ და საქმე ისე მოაწყონ, რომ არავის არ შეეძლოს შემდეგ სთქვას: ბევრი მსურდა მემსახურნა ჩემი ხალხისათვის, მაგრამ რა ვქნა, როცა არავინ ყურადღებას არ მაქცევს და ხელს არ მიწყობსო.

არას დროს კაცობრიობა არ მოსწრებია მეცნიერების შესწავლის ისეთ ძლიერ მოთხოვნილებას, როგორც დღეს. გარდა იმისა, რომ მეცნიერულ ცოდნას აქვს დამოუკიდებელი მიმზიდველობა, დღეს იგი შეადგენს აუცილებელ პირობას ქონებრივ არსებობისათვის. ვისაც სურს აწინდელ გამწვავებულ მდგომარეობაში დაიცვას თვისი არსებობა, გაუძლოს არსებობისთვის ბრძოლას, მეტოქეობს ქვეყნებს, სახელმწიფოებს, ერებს და პირადობას, იმისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მეცნიერულ ცოდნის შეთვისება და მისი ცხოვრებაში გამოყენება. მატერიალურ არსებობის ყოველგვარი გამომჟღავნება მოითხოვს მეცნიერულ ცოდნას. ვინც უმეცარია, ცხვირის წინ რა ხდება არ იცის, ათასჯერ დაჩაგრულია, დაბრიყვებულია, დამონავებულია; მისი შრომა უნაყოფო, უსისტემო და შეუგნებელია. აქედან იბადება ცოდნის გავრცელების საჭიროება ხალხში, ცოდნის დემოკრატიზაციისკენ მისწრაფება. საოცარ უნუგეშო მდგომარეობაშია ამ მხრივ ქართველი ხალხი. მართალია, ჩვენში ქალაქები თანდათან ვითარდებიან, ბევრი სოფელს სტოვებს და ქალაქისკენ მიიწევს, მაგრამ მაინც ჩვენი ქვეყანა დღესაც უმეტესად სამეურნეო ქვეყანაა. 1897 წლის საერთო აღწერის ცნობებით საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს 2, 109, 673 ადამიანი ორივე სქესისა. აქედან სოფლად ცხოვრობს 1, 786, 961 ადამიანი ორივე სქესისა ანუ 84, 70%. თუ ამავე დროს

მხედველობაში მივიღებთ, რომ სხვადასხვა ისტორიულ და პოლიტიკური მიზეზების გამო ქალაქის მცხოვრებლები ჩვენში საუბედუროდ უცხო ტომისანი არიან, მაშინ ცხადი იქნება ჩვენთვის, რომ ქართველობა თითქმის სულ სოფლად ცხოვრობს და მიწის დამუშავებას მისდევს. თუ 100 კაცზე 84 ქართველი მაინც სოფლადაა – ცხადია, ამ სოფლის ბედი მეურნეობაა, მისი განვითარება, შრომის განაყოფიერება და აღებ-მიცემობის მოწესრიგება განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია ჩვენის მხრით. სამწუხაროდ სოფლის მუშა დღეს ყველას მხოლოდ საწველ ფურად მიაჩნია და არც არავინ ჰფიქრობს მისს გაღონიერებას, ხელის შეწყობას და ისე საქმის დაყენებას, რომ მისს შრომას მეტი ნაყოფი მოჰქონდეს. სახელმწიფო თავისი მოხელეებით მას მხოლოდ ხარჯს აწერს, ტყავს აძრობს ათასი გზით და უკან კი მარტო მათრახებს და გაუპატიურებას უბრუნებს. სოციალისტები მამულის გაუმჯობესებას, ხალხის ფეხზე წამოდგომას კი არა პროლეტარიზაციას უქადაგებენ. საითაც მოიხედავ, ყოველ მხრიდან სწიწკნიან და არავინ კი ხელს არ უწყობს, საკუთარ ფეხზე დადგომას არ ურჩევს. ყველაფერი ეს შედეგია, რასაკვირველია, ჩვენი დუხჭირი განვითარებისა. ხშირად, ძალიან ხშირად, როგორც კერძო ადამიანების, ისე მთელი ჯგუფის საერთო მისწრაფება ყალბ გზას ადგება და ამ ყალბ მიმდინარეობას თავისთვის უცხო ჯგუფსაც ახვევს. სოფლის მუშა შეუგნებელი კაცია. იმას არ შესწევს იმდენი გონებრივი განვითარება, რომ საკუთარი, განკერძოებული ძალით ასწონ დასწონოს ყველა მის გარშემო მომქმედი ძალები, გაითვალისწინოს თავისი მდგომარეობა და შეიმუშავოს თავისი ცხოვრების ისეთი გარკვეული გეგმა, რომელიც მომავალში იმას უდიდეს სიკეთეს უქადიდეს. ცხადია, აქ საჭიროა შეერთებული მუშაობა, შეერთებული კვლევა-ძიება, საჭიროა ნასწავლ პირების დახმარება, საგნის ყოველმხრივ გამოკვლევა და შესწავლა. მერე ვინ უნდა მოიმოქმედოს ეს? სადაც ხალხის ბედ-იღბალი თვითონ ხალხის ხელშია, იქ რასაკვირველია, ამ საქმეს ემსახურებიან თვით ამ ხალხის მიერ შექმნილი ორგანიზაციები. სოფელი ცდილობს სოფლის მდგომარეობა, მეურნეობა, ყოფა-ცხოვრება გააუმჯობესოს, ოლქი – ოლქის მდგომარეობა გააუმჯობესოს, მთელი ერის მდგომარეობა. ამისათვის ისინი მიიზიდავენ თავისკენ ნასწავლ პირებს, მცოდნეთ ამათუიმ დარგში, მართავენ შესაფერ სასწავლებლებს და სხვადასხვა დაწესებულებათ, რომელნიც მეცნიერების მონაპოვრებს ცხოვრებაში განხორციელებას აძლევენ. ამნაირად მეცნიერება ხალხს ემსახურება. ჩვენში? სახელმწიფოებრივ

ორგანიზაციის მოწყობის მხრივ ისეთ მდგომარეობაში ვართ, თითქო მტერი ქვეყანას შემოსევია და ხარჯის ამკრეფი დაუყენებიაო. მერე ეს მტერი იმდენად მტრულია, რომ ხშირად თავის საწველ ფურს საძოვარზეც არ უშვებს, ხშირად საზრდოს უსპობს და იმას კი არ ფიქრობს, თუ საიდან აძლიოს ეს გაწერილი ხარჯი. პირველი საკითხი, რომელიც აქ იბადება, თავისთავად აშკარაა. საჭიროა იმ მუხრუჭის მოშორება, რომელიც ხალხს თვით არსებობას და თავის გამორკვევას უშლის, მაგრამ აქ ისიც ცხადია, რომ ყოველ დამრღვევ მოქმედებას გზა და გზა უნდა მისდევდეს შემოქმედებითი, დადებითი მუშაობა, რომელიც ხალხს აღონიერებს და ახალ გზას უჩვენებს. რაც შემხუთველი არ უნდა იყოს გარეგანი პირობები, მაინც ჩვენ ვალდებულნი ვართ, ცხოვრების პირობებით იძულებულნი ვართ რღვევასთან ერთად ვაშენოთ. ჩვენდა სამწუხაროთ, ჩვენში თავიდანვე ისეთი არანორმალური ატმოსფერა შეიქმნა, რომ ადამიანი ძნელად წარმოიდგენს. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა აზრებით, რა მისწრაფებებით იკვებება ეგრეთწოდებული ნასწავლი ხალხი. თავიდანვე ჩვენს ცხოვრებას ერთი უპირატესი მიმდინარეობა დაეტყო. ნასწავლად ის ითვლება, ვინც სოფელს შორდება, ვინც არ მუშაობს, ვინც მოხელეა. დღესაც გაქუცული, თავის უფროსის წინაშე ათასად მოხრილი კოლეგიის რეგისტრატორი, რომელიც, შეიძლება, შიმშილით სულს ჰლევს, ღენერლივით გამოიჭიმება სოფლის მეურნეს წინაშე და ამაყად ახედ-დახედავს, თანაც ეუბნება: შეხედე, მე ხელები გაპენტილ ბამბასავით თეთრი მაქვს, შენ კი დაგკოჟიჟებია და ჩემთან მოახლოვებას როგორ ბედავო! ასეთმა მისწრაფებამ, ასე სოფლის და ნაყოფიერი შრომის აბუჩად აგდებამ საზოგადოების მხრივ, ჩვენში ნასწავლი ხალხი გონებით, მისწრაფებით სრულიად ჩამოაშორა სოფელს, სოფელს დაუპირდაპირა და მის მოწინააღმდეგეთ გახადა. ვინც კი რასმე სწავლობს, მხოლოდ იმ მისწრაფებით, რომ სოფელს განშორდეს, მას მოწყდეს და არაფერი დაუბრუნოს. პირიქით, ჰყვლიფოს, დაჩაგროს და საწველფურად გაიხადოს. აქედან დღესაც ჭეშმარიტებად რჩება ნ. სკანდელის მიერ 1871 წელს „კრებულში“ გამოთქმული აზრი: „რაც ახალგაზდა კაცისთვის სწავლას, გამოცდილებას, უცხო ქვეყნების ნახვას, და საზოგადო მდგომარეობა ღონისძიება და ძალა მიეცა, ყველას ის იმ საზოგადოების ხალხის სავნებლათ ჰხმარობს, რომლისაგანაც ის თვითონ გამოსულა“. /„ჩვენი ახალგაზდობა“/.

მაშინ, როდესაც გიმნაზიები, სამოქალაქო, სასულიერო და სხვა სასწავლებლები, ეს მომავალი მოხელეების შემქნელი ქარხნები

ჩვენში დღითი-დღე მრავლდება და ხალხის სიმპატიასაც იძენს, სამეურნეო სწავლა-განათლება სრულიად მივიწყებულია; სახსენებლადაც არ ღირს ის ორიოდე დაბალი სასწავლებელი, რომელიც ჩვენში უხეიროდ ჰბჟუტავს. ჩვენში არსებობს სულ სამი დაბალი სამეურნეო სასწავლებელი – ორი – ტფილისის და ქუთაისის მებაღეობის სკოლა, ერთი წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლა. ყველაზე საკვირველი ამ სკოლების ისტორიაში ისაა, რომ ორივე პირველი სკოლა დაარსებულა ქალაქში. აარსებენ სამეურნეო სკოლას სოფლისთვის და ქალაქში გადააქვთ. ეს თავიდანვე ცხადჰყოფს ამ პირების და დაწესებულებათა უაზრობას, თავის მიზნის გაუგებრობას, რომელნიც ამ სკოლებს განაგებენ. ამ ძირითად უაზრობას თან მოჰყვა სხვა უაზრობანიც. ყოველივე პრაქტიკული სასწავლებელი უნდა იყოს შეფერებული თავისი შინაარსით, პროგრამით და მოქმედებით იმ ცხოვრებასთან, რომელსაც ის უმზადებს ახალ თაობას. ამ მხრივ ჩვენი სკოლები სრულად უვარგის ნიადაგზე დგანან. არავითარი სერიოზული სისტემა იქ არ არის. ყვავილების გაშენებას მეტ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე ჩვენს მეურნეობის ამა თუ იმ ძირითად დარგს; ამასთანავე სამეურნეო სკოლა, სოფლის გარეშე არსებული, ნაკლებ იზიდავს სოფლის ხალხს და არც არავითარი გავლენა აქვს სოფელზე. ამ მხრივ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ მეურნეობაზე საქარის სანერგეს მეტი გავლენა ჰქონდა, ვიდრე ორივე დასახელებულ სკოლას, თუმცა ამ სანერგეში მხოლოდ პრაქტიკული მუშაობაა და ისიც მხოლოდ მაგალითით, თვალსაჩინოდ ავრცელებს ცოდნას. რაც შეეხება წინამძღვრიანთკარის სკოლას, ის ერთად ერთი სკოლაა მთელ საქართველოში, რომელსაც შედარებით, თანამედროვე პირობებში საღი პედაგოგიური პროგრამა აქვს. მაშინ, როდესაც ქუთაისის და ტფილისის სკოლებში სწავლება სწარმოებს ხალხისთვის გაუგებარ რუსულ ენაზე და ამნაირათ ამ სკოლებში მომზადებული ახალგაზრდობა ისედაც პრაქტიკული ცოდნით ღარიბი, ხალხისთვის სრულიად გამოუდეგარია, წინამძღვრიანთკარის სკოლაში პროგრამა საშუალებას აძლევს ხელმძღვანელთ მთელი სწავლება ქართულ ენაზე აწარმოონ, რასაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხში ცოდნის გასავრცელებლად. სამწუხაროდ ამ სკოლამაც ვერ გამოიღო იმდენი ნაყოფი სხვადასხვა მიზეზების გამო, რასაც მისგან მოველოდით. ამნაირი სკოლებით სამეურნეო ცოდნის გავრცელება ჩვენში მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია, მაგრამ განა სამეურნეო ცოდნის გავრცელება მარტო სკოლებით განისაზღვრება? საცდელი

მიწები, სადაც ხალხს ასწავლიან ამ მცენარეების მოშენებას, საჩქოლეები, სადაც ამზადებენ კულტურულ მცენარეების ნერგებს ხალხში გასავრცელებლათ, სამეურნეო პუნქტები, სადაც ცოდნას აწვდიან ხალხს, ერთი სიტყვით, როცა სურვილი და მისწრაფება არის, როცა მთელ ხალხს თავის მეურნეობის განვითარების გეგმა შემუშავებული აქვს, მაშინ ათასი პრაქტიკული გზაა, რომლის შემწეობით შეიძლება ხალხში ცოდნის გადატანა.

არასოდეს ისე არ ყოფილა საჭირო ჩვენი მეურნეობის შესწავლა, როგორც დღეს. ოციოდე, ოცდაათიოდე წლის წინათ ჩვენში ჯერ კიდევ კარჩაკეტილი მეურნეობა არსებობდა. თითქმის ყოველი ოჯახი მთელ თავისთვის საჭირო საგნებს თვითონ აწარმოებდა, თვითონ მოჰყავდა პური, ღვინო, თვითონ იქსოვდა ტანისამოსს და ყველა თავის მოთხოვნილებას თავისი ძალღონითვე იკმაყოფილებდა. მაგრამ დღეს ასეთი მდგომარეობა თანდათან ირღვევა; თანდათან სოფლის ცხოვრებაში აღებ-მიცემობა ძლიერდება და სოფლის მეურნე მუშაობს ბაზრისათვის. ამ გარემოებამ კი გამოიწვია მთელი ძველი კულტურის შერყევა. თანდათან ხალხი ინსტიქტიურად თავს ანებებს ძველებურ წესს და ხელს ჰკიდებს ისეთს წარმოებას, რომელიც უფრო შეეფერება ჩვენს ბუნებას და ამნაირად მეტს სარგებლობას უქადის მწარმოებელს. ამ აზრის დასამტკიცებლად საკმარისია თვალი გადაავლოთ საქართველოს არე-მარეს: კახეთში თანდათან პურის მოყვანა მცირდება, პურს ბევრ ადგილას ხალხი ჰყიდულობს, სამაგიეროდ მევენახეობა ვრცელდება. ქართლში, სადაც რამდენიმე წლის წინეთ იშვიათად მოიპოვებოდა ისეთი გლეხი, რომელსაც ბაღი ჰქონებოდა. დღეს, ვისაც კი ერთი მტკაველი მიწა აქვს, ცდილობს ბაღი გააშენოს და თავისი ნაწარმოები ბაზარზე გაიტანოს. იმერეთში თანდათან იზრდება მევენახეობა, მებაღეობა, ბამბის და აბრეშუმის მოყვანა. გარდა ამისა, შავი ზღვის ნაპირზე აჭარა-ქობულეთში, გურიაში და სამეგრელოში ჩაის მოშენებას შეუდგნენ. ამნაირად ვხედავთ მთელი ჩვენი მეურნეობა ღრმა ცვლილებას განიცდის. წარმოების ძველი წესი თანდათან ჰქრება და გზას უთმობს ახალს, მაღალი კულტურის მცენარეების გაშენებას და ამასთან ბაზრისათვის წარმოებას. როცა ხალხის ცხოვრებაში ასეთი ღრმა ცვლილება ხდება, მაშინ განსაკუთრებული საჭიროება იბადება საქმის გამოკვლევისა და წინდახედული, მოსაზრებული მოქმედებისა. მერე ვინ ზრუნავს ამ საქმისათვის ჩვენში? თამამად შეგვიძლია გამოვაცხადოთ: არავინ. როცა ხალხს არ აქვს შესაფერი ორგანიზაციები თავის არსებო-

ბის დასაცველად, მაშინ საზოგადოება მოვალეა, რითაც კი შეუძლია, დაეხმაროს და აი, დღეს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სამეურნეო ცოდნის განვითარებისთვის განსაკუთრებული ზრუნვა. რუსეთში სახალხო უნივერსიტეტების წარმომადგენელთა კრებაზე, სხვათა შორის, ის აზრიც გამოითქვა, რომ საჭიროა უნივერსიტეტმა სამეურნეო ცოდნის გავრცელებაც იკისროსო. ჩვენ, რასაკვირველია, ასეთი ძალა არ შეგვწევს, მაგრამ რაც კი შეგვიძლია, ჩვენც უნდა მივიღოთ ზომები და მივეშველოთ სოფელს ცოდნით, რომ მან მეტი შეგნებით და წინდახედულობით იშრომოს თავის დროში.

დიდი ხანი არაა, რაც ტფილისში მოქმედებს სახალხო უნივერსიტეტი. ვინც მის საჯარო ლექციებს დასწრებია, დარწმუნდებოდა, რომ ქართველობა განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა და განსაკუთრებული გატაცებით ცდილობს დაეწაფოს ცოდნას. მაგრამ საკმარისი არაა მარტო ხალხის სურვილი. საჭიროა, ვისაც რამე ცოდნა აქვს, საქმეს დაეხმაროს. ქართულ სექციას აქვს თავისი სკოლა. იგივე ცდილობს ეხლა მოაწყოს სისტემატიური კურსები სხვადასხვა საგნებიდან. ყველაფერი ეს მოითხოვს თავგანწირულ, ჩუმს და შეუწყვეტელს შრომას. ამიტომაც ჩვენ მივმართავთ ყველას, ვისაც კი ამ საქმეში მუშაობა შეუძლია, აქედანვე შეუდგნენ საქმეს, რომ ხალხში გაღვიძებული მისწრაფება ცოდნისადმი რამდენადმე მაინც დააკმაყოფილონ. განსაკუთრებულს ყურადღებას ვაქცევთ ამ საქმეს, სხვათა შორის, იმიტომაც, რომ ჩვენთვის ყველასათვის, ცხადია, რომ ყოველ ცოდნას უფრო ადვილათ ვითვისებთ სამშობლო ენით; მაგრამ თუ სამშობლო ენით ეს ცოდნა ვერ მოვიპოვეთ, მაშინ ნებაუნებლიეთ იძულებული გავხდებით სხვა ენას მივმართოთ. ეს გზა კი მხოლოდ ჩვენი კულტურის დაცემის და გადაგვარების გზაა, რომლითაც მსვლელობა არავისათვის სახარბიელო არ არის. ამიტომაც საჭიროა დროზე შემოვიკრიბოთ ძალები და თავიდანვე შევუდგეთ სერიოზულ მუშაობას.

რუსეთის ცხოვრებიდან

პედაგოგიური პრესა რუსეთში 1907 წ. – ახალი სკოლა და თავისუფალი აღზრდა. ბესარაბიის მოლდავანები და მათი მოთხოვნილება ეროვნული სკოლების დაარსების შესახებ. პ. დიჩესკულის მოხსენება სახალხო განათლების სამინისტროში ამავე საგნის შესახებ. წესდება და გაკვეთილების ცხრილი, გამოცემული სახალხო განათლების სამინისტროს მიერ არა რუსთა სკოლებისათვის.

განმათავისუფლებელ მოძრაობის შემდეგ რუსული პედაგოგიური პრესაც გამოცოცხლდა; წინადვე არსებულის ორი პედაგოგიური ჟურნალის „Русская школа“ და „Вестник воспит.“ – გარდა, რომელნიც სიძვირისა და არა საყოველთაო მისაწვდომი შინაარსის გამო, არ იყო ხელმისაწვდენი ყველასათვის, ყველგან სატახტო ქალაქებში და პროვინციებშიაც ძლიერ გამრავლდა იაფფასიანი პედაგოგიური ჟურნალ-გაზეთები. ჩვენი მიზანია გადავავლოთ თვალი ზოგ მათგანს და გავითვალისწინოთ რა მიმართულებას ადგას თითო მათგანი სკოლისა და სწავლა აღზრდის მოწყობის საქმეში. ამ ჟამათ შევეხებით იმ ჟურნალ-გაზეთებს, რომელნიც უფრო შეეფერება ჩვენი ჟურნალ „განათლების“ აზრსა და მიმართულებას.

შარშან იანვარში მოსკოვში გამოიცა ტულუპოვისა და შესტაკოვის რედაკტორობით პედაგოგიური ჟურნალი „სახალხო მასწავლებლისთვის“, რომელიც წელიწადში ოცჯერ გამოდის და ღირს წლიურად 2 მან. ჟურნალს მიზნად აქვს „სახალხო განათლებაში მოღვაწე პირთა გაერთიანება უფრო წარმატებით მუშაობისათვის“. ჟურნალის ფურცლებზე თავს იყრიან სახალხო სკოლის მასწავლებლები, მოზრდილთა კურსებისა და სკოლების ხელმძღვანელნი და მასწავლებლები, სახალხო ბიბლიოთეკების, აუდიტორიების, წიგნთა საწყობების და სხვა განმანათლებელ დაწესებულებათა გამგენი, რომელთა მონაწილეობა ჟურნალში სასურველად ხდება. ჟურნალი აცნობებს მკითხველებს ყველა რამდენადმე საყურადღებო მოვლენებს კანონმდებლობის შესახებ ხალხთა განათლების საქმეში, სამეცნიერო პედაგოგიურს და საზოგადო ხელმისაწვდენელ მწერლობას მეცნიერების ყველა დარგიდან, პრაქტიკულ მოქმედებას საზოგადოებრივ დაწესებულებისას და კერძო კავშირებისას, აგრეთვე იძლევა ყოველგვარ

ცნობებს პრაქტიკული ხასიათისას, როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეშე განათლების შესახებ იმ მიზნით, რომ ყოველმხრივ უკეთ გამოირკვეს საკითხი სკოლებისა და მასწავლებელთა შესახებ. ჟურნალი მკითხველებს აწვდის ანალოგიურს ცნობებს უცხოეთიდანაც.

რედაქცია წარმატებით ასრულებს აღნიშნულს პროგრამას. ჟურნალი ერთის მხრით აცნობებს ყველა საყურადღებო მოვლენებს სკოლების მოსაწყობლად დაწყებულს საქმეში და მეორე მხრით საშუალებას აძლევს თვითონ მასწავლებელს წარმოსთქვას თავისი ავტორიტეტული სიტყვა. დანიშნულება და მიზანი ჟურნალისა – გახდეს შუამავლად თეორეტიკებსა და პრაქტიკოს მოღვაწეთა შორის, იმათ შუა, ვინც თეორიულად იკვლევს საკითხებს ხალხთა განათლების საქმეში და ვინც ადგილობრივ ეწევა პრაქტიკულ მუშაობას სკოლებში, ბიბლიოთეკებში, სახალხო აუდიტორიებში, ვინც ცდილობს გაატაროს ცხოვრებაში განათლების ფართო დემოკრატიზაციის დასაწყისი პრინციპები – ყველა ამას სავსებით და მარჯვედ ასრულებს ჟურნალი.

იანვრის ბოლოში, წარსულ წელს, მოსკოვში გამოიცა „განათლების კავშირის“ მიერ ჟურნალი „განათლება“. ჟურნალში საუკეთესო ძალები იღებდნენ მონაწილეობას, მაგრამ ხსენებული კავშირი მიკეტა მთავრობამ და ჟურნალის გამოცემაც მეთერთმეტე ნომერზე შეჩერდა. ეს ჟურნალიც ხელს უწვდიდა განათლების საქმეში მოქმედ ფართო წრეებს და ცოტა ადგილი არ ჰქონდა დათმობილი სახალხო განათლების საკითხების თეორიულად შემუშავების საქმესაც; ამ მხრით რაოდენადმე ჟურნალს „აკადემიური“ ხასიათი ჰქონდა.

ჟურნალში ისტამბებოდა სხვადასხვა საყურადღებო წერილები, რომელთა შორის მეტად საყურადღებოა: „ბავშვის ასაკის პსიხოლოგია სწავლა-აღზრდის საკითხებთან დაკავშირებით“ ვ. პ. ვახტეროვისა; „მასწავლებელი და პოლიტიკური პარტიები“ შჩეპკინისა და სხვ.

წარსულ წელში, რუსულ პედაგოგიურს მწერლობაში თვალსაჩინო ახალს იდეიებს, ან ახალს გზას პედაგოგიაში თავი არ უჩენია, მაგრამ თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ვერცერთი წინა წლები პედაგოგიური აზრების შემუშავებაში ვერ შეედრება წარსულ წელს. მართალია, ამას ხელი შეუწყო სხვა გარეშე პირობებმა: ცხოვრებამ წამოაყენა საკითხი საყოველთაო სწავლებისა და საშუალო სკოლების რეორგანიზაციის შესახებ და ეს ორივე საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული პედაგოგიურს საკითხებთან; მაგრამ, რაც უნდა იყოს, ყველა ეს საკითხები გამომდინარეობდენ ცხოვრების მოთხოვნილებიდან და მოითხოვენ ცხოვრების განვითარებასთან შეთანხმებას.

ახალ პედაგოგიურ იდეიებს ყოველთვის თავისი დასაწყისი რომელიმე ფილოსოფიურს მეცნიერებაში აქვს; უფრო ხშირად იგი თავს იჩენს ფილოსოფოსების, პოეტების, ლიტერატორ-ბელეტრისტების გონებითს ნაწარმოებში, ვიდრე პროფესიონალურ პედაგოგებში. ხშირად ახალი პედაგოგიური იდეა თვით პროფესიონალურ პედაგოგებშიაც ვერ ჰპოულობს მკვიდრს ნიადაგს; მაგრამ პედაგოგთა შორისაც მოიპოვებოდნენ რამდენიმე მოწინავე, მოაზრე პირები, რომელნიც კრიტიკულად უყურებდნენ თავიანთ მოქმედებას და ეძებდნენ ახალს გზას. დიდი ხნის გამოცდილებისა და დაკვირვების შემდეგ ეს პედაგოგები მართლა ჰპოულობდნენ ახალს გზას და ჰქმნიდნენ ახალი ეპოქის დასაწყისს პედაგოგიის ისტორიაში. იმათს ცდას სკოლებში მოჰყვებოდა მთელი პედაგოგიური მიმართულება, მთელი მწერლობა, რომელიც ხელს უწყობდა და უწყობს ნაცად დებულებათა განვითარებას. ეს მწერლობა არ არის ახალი პედაგოგიური იდეების მატარებელი. იგია მხოლოდ გამომხატველი იმ შედეგებისა, რომელნიც გამომდინარეობენ ახალი პედაგოგიური აზრების პრაქტიკულად განხორციელებიდან, ცდის საშუალებით და აძლევს ამ ახალ იდეებს პრაქტიკულად ცხოვრებაში განსახორციელებელს ფორმას. ასე მოუვიდა ცნობილ რუსსოს პედაგოგიურს იდეიებს, რომელთაც ვერ ეღირსათ პრაქტიკულად განხორციელება იმ დრომდის, ვიდრე ცნობილმა პესტალოციმ არ შეალია ამას მთელი თავისი სიცოცხლე, მაგრამ პესტალოციმ მოასწრო გაეტარებინა ცხოვრებაში მხოლოდ ნაწილი რუსსოს იდეიებისა სწავლა-აღზრდის შესახებ. მეცხრამეტე საუკუნის /მეორე – ზ. ბ./ ნახევარში რუსეთის შესანიშნავი ფილოსოფოსი და პედაგოგი ლ. ნ. ტოლსტოი, რუსეთის მწერლობის სიამაყე, შეუდგა რუსსოს მიერ დაწყებული სამუშაოს გაგრძელებას და წამოაყენა ახალი აზრი, რომელსაც უნდა შეეცვალა რუსსოს პრინციპი. „აღზარდეთ შვილები ბუნების თანახმადო“, – სთქვა რუსსომ, „ნება მიეცით ბავშვებს თავისთავად განვითარდნენ, ძალას ნუ ატანთ იმათ სულსაო“, – სთქვა ლ. ტოლსტოიმ. ლ. ტოლსტოის პრაკტიკულმა ცდამ თავისი იდეის ცხოვრებაში გატარების შესახებ ვერ მოიტანა სასურველი ნაყოფი; ტოლსტოი იყო მოაზრე, რომელიც იძლევა იდეას, მაგრამ ვერ იყო გამოცდილი პედაგოგი, რომ თავისი აზრები პრაკტიკულად განეხორციელებინა.

წარსული წლის რუსულ პედაგოგიურს მწერლობაში თვალსაჩინო მოვლენას წარმოადგენს მთელი რიგი თხზულებათა, რომელთაც სათაურად აქვსთ „თავისუფალი აღზრდა“ და შეადგენენ გორბუნოვ-პოსადოვის გამოცემას. ეს გამოცემა მთელ თავისს ძალ-ღონეს

ანდომებს ახალი სკოლის მოწყობის საქმეს; სასტიკად ჰგმობს ბავშვის პიროვნების გამათახსირებელ და სულის შემხუთველს ძველს სკოლას და იმედს ამყარებს ახალს, „თავისუფალ სკოლაზე“. ახალი სკოლა უნდა წარმოადგენდეს თავისუფალი შრომის ადგილს, თავისუფალს დამოკიდებულებას ბავშვებსა და იმ პირთა შორის, რომელნიც კისრულობენ დააკმაყოფილონ ბავშვების მოთხოვნილებანი სწავლა-აღზრდის საქმეში. იდეა თავისუფალი სკოლის შესახებ არ ახალია. ამას ქადაგებდნენ ყველა ძველი და ახალი საუკეთესო მოაზრენი. საქმე მხოლოდ ამ იდეის კარგად შეგნებაში და პრაქტიკულად განხორციელებაშია.

ახალს სკოლაში არ უნდა ჰქონდეს ადგილი არავითარს ძალდატანებას, არავითარს ბავშვის სულის შემხუთველ გარემოებას. იქ ყველაფერს საფუძვლად სიყვარული უნდა დაედვას და ასეთივე აღზნებული სიყვარულით ღრმა პატივისცემა ბავშვის პიროვნებისა, როგორც ყველა მოზრდილი ადამიანის პიროვნებისადმი პატივისცემისა – შეადგენს ნამდვილს და ჭეშმარიტს საფუძველს ბავშვის სწავლა-აღზრდისას.

იქ მასწავლებლები უნდა წარმოადგენდნენ არა უფროსებს, არამედ უფროს ამხანაგებს მოწაფეთათვის, არა პედაგოგ-მზარეულებს, რომელნიც ულაყებენ ტვინს მოწაფეებს სახელმძღვანელოების ყალბი ადგილების გაზეპირებით, არამედ ჭეშმარიტების ძიებაში და ცოდნის შეძენაში სასურველს თანამშრომლებს; ისეთს თანამშრომლებს, რომელნიც სიყვარულით, თავისი გამოცდილებით და ცოდნით ყოველმხრივ მეგობრულს დახმარებას უწევენ მოწაფეებს. ასეთს მასწავლებლებს შეუძლიათ დაინახონ თითოეულს ბავშვში კერძო პიროვნება, ადამიანის ცოცხალი სული, ყველა შიგ დამარხული საუნჯით. ისინი ყველაზე უფრო მაღლა დააყენებენ ბავშვის სულის თავისუფალს მოვლენას, მისი გონების თავისუფალ მუშაობას. ისინი უფრო მეტს დროს მოანდომებენ თავიანთ მოწაფეების შეკითხვის, ძალათა და სულიერ ნიჭთა შესწავლას, რომ იცოდნენ, როგორც მასწავლებლებმა, რა უნდა აკეთონ და რა არა. მაგრამ უმთავრესს საგანს მასწავლებელთათვის შეადგენს სულიერი ერთობა, ერთმანეთის ნდობა და გულწრფელი თანასწორობა მასწავლებელთა და მოწაფეთა შორის, ურომლისოდაც შეუძლებელია ჭეშმარიტი ურთიერთშორისი დახმარება სწავლა-აღზრდის საქმეში.

ეს მასწავლებლები თავისთვის თუ შეადგენენ მეცადინეობის გეგმას, ეს არ იქნება გაქვავებული პროგრამები, რომელზედაც თავს

ახლიან მოწაფეები, არამედ ცოცხალი, მოქნილი და სიცოცხლით სავსე გეგმები, რომლებიც თავისუფლად შეიცვლებიან მოთხოვნილების, მოწაფეთა ბუნებრივი ნიჭის, ძალის და ბუნების თანახმად.

ახალი სკოლის მოწაფეთა მშობლები იქნებიან არამარტო თავმოყვარენი, რომ თავიდან მოიშორონ თავიანთი შვილები და სკოლას მიუგდონ, როგორც მომაბეზრებული ტვირთი, არა თბილი ადგილების მოყვარულნი, რომელნიც ცდილობენ თავიანთი შვილებისათვის დიპლომების მოპოვებას სამსახურის თბილი ადგილის საშოვრად, არა უმეცარნი მშობლები, რომელნიც მზად არიან მიაბარონ თავიანთი შვილები სადაც უნდა იყოს, ოღონდ გაწრთვნან კი ისე, როგორც მიღებულია ყველა ბავშვების გაწრთვნა, არამედ ისეთი მშობლები, რომელთაც სურთ თავიანთი შვილებისათვის ყველაფერი, რაც კი ყველაზე უფრო მაღალი და საუკეთესოა ცხოვრებაში და იდეალად გვესახება, ამიტომაც ისინი წარუდგენენ სკოლას და თავის თავსაც ძლიერ სასტიკ მოთხოვნილებებს, თვითონვე შედიან სკოლის ცხოვრებაში, როგორც მონაწილე, თანამშრომლები და ბავშვების უფროსი ამხანაგები, ხმარობენ ყოველ ღონისძიებას, რომ შინაური ცხოვრება შეუერთდეს სკოლის ცხოვრებას საერთო მისწრაფებაში საუკეთესო ატმოსფეროს შესაქმნელად ბავშვის სულიერ და ფიზიკურ განვითარების საქმეში.

ამ ახალ სკოლაში ეცდებიან გაარღვიონ სკოლისა და ცხოვრების შორის აღმართული ძველი კედელი, შეჰქმნან სკოლა არა მარტო ცხოვრებისათვის მოსამზადებელ საფეხურად, არამედ ბავშვებისათვის სამხიარულო, სავსე ხალისით და მნიშვნელობით და მათი სიცოცხლის განუყრელ ნაწილად, სადაც ყველაფერი ისე მოეწყობა, რომ შეჰქმნან პირობები, რომელშიაც სავსებით და ყოველმხრივ იჩენს თავს ბავშვის თვითმოქმედება, მისი პიროვნებითი ნიჭი, სადაც ყველა ძალა მიმართული იქნება არა იმისკენ, რომ აუვსონ ბავშვს თავი სხვისი აზრებით, დაუმორჩილონ მისი გრძნობა და ნება სხვის ნებას, რასაც ადგას დღემდის გამეფებული სისტემა, არამედ იქითკენ, რომ დაეხმარონ ბავშვს ისწავლონ საკუთარს ფეხებზე დადგომა, დაუკვირდეს საკუთარის თვალით, იფიქროს საკუთარის ჭკუით, იმუშაოს საკუთარის ხელებით, მტკიცეთ განაგოს თავისი საკუთარი სურვილები, რწმენით უყურებდეს თავის თავს, ჭეშმარიტებისა და სიყვარულის ხმას, რომელიც ამოიძახის იმის სულიდან.

ამ ახალ სკოლაში ეცდებიან, რომ ხელი არ შეუშალონ ბავშვის არსებობის მოვლენას, ადამიანის სულის წმიდა წმიდათას, რომელიც

გამოიხატება ამ სიყვარულის ხმით, რომ ტლანქ ძალდატანებით ანუ ხელოვნური მოვლით არ დაამახინჯონ ბავშვის სულში უძვირფასესი ნერგი სიყვარულისა, რომლის თავისუფლად ხელი შეწყობა, ფართოდ განვითარება შეადგენს აღზრდის უმაღლესს დანიშნულებას.

ახალ სკოლაში ეცდებიან ასწავლონ ბავშვებს არა წიგნებიდან მარტო, არამედ ცოდნა გადაეცემათ მათ პირველი ხელიდანვე, შეასწავლიან ცოცხალი წიგნის – ბუნებისა და ცხოვრების წიგნის კითხვას თავისუფალ დაკვირვებით და ხელმძღვანელობით. ახალს სკოლაში წიგნები უკანა რიგს დაიჭერენ, როგორც სახელმძღვანელო ანუ სწავლაში ხელსაწყო ნივთები და არა ბავშვის გონებისა და მეხსიერების ყველა ძალათა შთანმთქმელი, როგორც იყო ძველს სკოლებში.

ადამიანის ფიზიკური შრომა ახალს სკოლაში დაიჭერს უფრო საპატიო ადგილს. იმას ისე ზიზღით არ მოეპყრობიან და არც გასართობ პედაგოგიურს დანიშნულებას მისცემენ. პირიქით, ყოველი ღონისძიებით შეეცდებიან, რომ დააკმაყოფილონ ყოველ ადამიანში არსებული შრომის მოთხოვნილება და ამნაირად თანდათან შევიდნენ იმ საზოგადო საკაცობრივო ფიზიკურ შრომის ფარგალში, რომელზედაც დამოკიდებულია თითოეული ადამიანის მთელი სიცოცხლეც.

აქ ზარმაცი და არანორმალური ბავშვები ძალაუნებურად წაქეზებულნი შეიქმნებიან თავიანთი შრომისმოყვარე და ამ მხრით ნორმალურ ამხანაგების მუშაობით აიცდენენ თავიდან დამახინჯებული ადამიანის სვებედს, ნერვების აშლილობას, ხელ-ფეხის სიდამბლეს, მუქთახორობას, მცენარეების დარგვის, ბოსტნის მოშენების, საჭმლის მომზადების, ალაგების, ტანისამოსის და ფეხსაცმელის დაკერების და სხვა უმეცრებას, რომლითაც ისტუმრებდა ცხოვრებაში სულთმობრძავი სხოლასტიური სკოლა თავისს დიპლომიან და მედლებიან მოწაფეებს. „ეს ჩემი საქმე არ არის“, – ამბობდა ძველი დახავსებული სკოლა. ჩემი საქმეა განათლება, მეცნიერების სწავლებაო, მაგრამ ყველამ იცის, როგორ გვანათლებდა ძველი სკოლა, ან როგორ გვასწავლიდა იგი მეცნიერებას. იშვიათს მოწაფეებს ძველის სკოლისას, რაღაც სასწაულ მოქმედებით, შერჩათ მეცნიერებისადმი მისწრაფება და გამოვიდნენ სერიოზულ მუშაკებად. უფრო იშვიათს შერჩათ ცოცხალი სული, ჩაებნენ ცხოვრების ფერხულში ხალხის მაღალი ინტერესებისა და იდეალების დასაცველად. უმრავლესობა კი მიეცა ცხოვრების ტალღებს სამუდამოთ დამტვრეული და გაფხრეწილი ნიჩაბ-იალქნებით, გადაიქცნენ ცხოვრებაში გამეფებულის წესწყობილების ყურმოჭრილ ყმებად, ეგოისტებად, რომელნიც იბრძვიან მხოლოდ თავიანთი კერძო ინტერესების დასაცველად.

ჩვენ არ გვინდა, რომ ჩვენი ბავშვებიც ამისთანები გამოვიდ-ნენ ცხოვრებაში. ჩვენ გვინდა, რომ ისინი იყვნენ არა ბრმა მონები, არამედ შეგნებული და თავისუფალი ადამიანები, არა ეგოისტები, არამედ ისეთი ადამიანები, რომელნიც განმსჭვალულნი იქმნებიან ყველა კაცთან ძმურის კავშირითა და მოქმედებით, მზად იქმნებიან თავი დასდვან და სიცოცხლეც შესწირონ ერთურთის ძმობას. ჩვენ გვინდა, რომ ისინი მთელი ადამიანები იყვნენ, მტკიცე ხასიათით, და-მოუკიდებელი აზრითა და სინდისით, ენერგიულნი მუშაკნი, რომელ-ნიც არ ითაკილებენ არავითარ შრომას, გარდა უპატიოსნო და უნა-მუსო შრომისა და რომელნიც ერთგვარად პატივს ცემენ, როგორც სერიოზულ გონებრივს შრომას, აგრეთვე ფიზიკურ მუშაობასაც, რო-მელზედაც აგებულია ადამიანის მთელი სიცოცხლე და ვინც ამაში მონაწილეობას არ იღებს, ის წარმოადგენს საცოდავს, ნახევრად დასახიჩრებულს არსებას, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე სა-მარცხვინოდ სხვას უნდა ეკიდოს კისერზე. მაგრამ მარტო სურვილი ცოტაა. საჭიროა მუშაობა და პრაქტიკულად განხორციელება ცხო-ვრებაში იმ საკითხებისა, რომელიც დაკავშირებულია სწავლა-აღ-ზრდის ძირითად რეფორმებთან. საჭიროა, რომ იმ პირთა შორის, ვინც ფიქრობს და მოქმედებს ამ მიმართულებაში, ჩამოვარდეს კა-ვშირი და ცხოველი ერთობა, აზრისა და ცოდნათა გაზიარება, რო-მელიც ხელს შეუწყობს ახალი გზის აღმოჩენას ამ მიმართულებაში. ვამბობთ ახალი გზის და არა მიმართულებისა, რადგანაც საბედნი-ეროდ მიმართულება საძებარი არ არის. ის ძველადვე ნაჩვენებია ბრძენის სოკრატეს მიერ, რომელიც ასწავლიდა, რომ ჭეშმარიტი განმანათლებელის დანიშნულება რისმე სწავლებაში კი არ გამოი-ხატება, არამედ ხელის შეწყობაში, რომ ადამიანის სულში გაჩნდეს თავისუფალი, დამოუკიდებელი აზრები; ნაჩვენებია რუსსოს მიერ, რომელმაც ღრმა მოსაზრებით დაგვიხატა თავისს ემილში ბუნებრივი აღზრდის იდეალი; ნაჩვენებია ახალის ძალით ლ. ტოლსტოის მიერ, რომელიც შეუდგა ახალი სკოლის იდეალის განხორციელებას, ახალი სწავლა-აღზრდის საქმეს, რომელიც დამყარებულია მოწაფეთა თა-ვისუფალ შეკითხვაზე, ისეთ პირობების შექმნაზე, რომელნიც ხელს უწყობენ მოწაფის თავისუფალ აზროვნებას, მისი სულიერი არსებო-ბის, შემოქმედებითი ნიჭის განვითარებას.

თავისუფალი აღზრდის პრინციპებს თავგამოდებით იცავს დღეს რუსეთის პროგრესიული პედაგოგიური პრესა, რომელიც სამი წლის წინად შეუდგა მთელი რიგი წიგნების გამოცემას შემდეგის სათაუ-

რით: „თავისუფალი აღზრდისა და განათლების ბიბლიოთეკები“; რუსული პრესის ხმა უყურადღებოდ არ დარჩა; პირველად მოსკოვში, შემდეგ სხვა ქალაქებში და თბილისშიაც კი აღმოჩნდნენ მოტრფიალენი თავისუფალი სკოლისა; ცდილობენ და აკვლევენ გზას ახალი სკოლის შესაქმნელად. მხოლოდ ქართველებს შორის კი ამ მხრითაც ჩვეულებრივი მყუდროებაა და უნებლიეთ მაგონდება დიდებული პოეტის ნაღვლიანი სიტყვები: „სულ ძილი, ძილი, როს გვეღირსება ჩვენ გაღვიძებაო“.

რუსეთში არცერთი მცირე ერიც არ დარჩენილა ისეთი, რომელსაც არ მოეთხოვოს ეროვნული სკოლები. რუსეთის პრესაც საზოგადოდ კეთილის თვალით უყურებს ეროვნული სკოლების დაარსების საკითხს. დღემდის მხოლოდ იშვიათად შეხვდებოდით სადმე ჟურნალ-გაზეთებში წერილს ბესარაბიის მოლდავანების შესახებ, რომელთა რიცხვი ერთ მილიონს აღემატება. ამოდენა ხალხს თითქოს დღემდის არავინ ჰყოლია გულშემატკივარი, რომ მათთვის ეზრუნა ვისმე და ან თვითონვე ხალხს ეფიქრნა რამე თავის თავზე. ბიუროკრატიულ მთავრობას, რასაკვირველია, ამისთანა მიძინება ხალხისა და მისი სიჩუმე სასურველად მიაჩნდა, მაგრამ ბოლოს მოლდავანებმაც იწვნიეს ბიუროკრატიის რეჟიმი სკოლის საქმეში და საზოგადოების სახელით „მოლდავანთა საზოგადოების“ თავმჯდომარემ პ. დიჩესკულმა მოხსენება შეიტანა სახალხო განათლების სამინისტროში; მოხსენება ეხება რუსულ სკოლებს ბესარაბიაში, მათ უმნიშვნელობას მოლდავანებისთვის და ითხოვს დედა ენაზე სწავლებით მოწყობილს სკოლებს, ურომლისოდაც საზოგადო კულტურა ბესარაბიაში წინ ვერ წავაო. საყურადღებოთ მიგვაჩნია ზოგიერთი ადგილი დიჩესკულის მოხსენებიდან, რომელსაც აქვე გავაცნობთ ჟურნალ „განათლების“ მკითხველებს: „ხალხის ენა არის უძლიერესი იარაღი კულტურისა. ენა ისეთი წიგნია, რომელშიაც იწერება ხალხის სულიერი სიმდიდრე... მსოფლიო ისტორია გვასწავლის, რომ ძლიერ სახელმწიფოებს დაუმორჩილებიათ სუსტი ხალხები თავისი ადმინისტრაციულ და კანონმდებლობითი ნებისათვის; ხანდისხან დააინტერესებენ და კიდეც მიიზიდვენ თავისკენ. შეუსისხლხორცდებიან კიდეც ერთის ეკონომიურისა და პოლიტიკურის წესწყობილებით დაპყრობილებს. საზოგადოების ზემო ნაწილი ამ შემთხვევაში ჰკარგავს თავისს ჩვეულებრივს სახეს, ზნე ჩვეულებასთან ენასაც იცვლის, მაგრამ, ნამდვილად კი, ყველა ეს მოჩვენებითი გაერთიანება, არ არის სრული შეცვლა და ერთი ხალხისაგან მეორის შთანთქმა;

ეს ცვლილება სრული არ არის და არც შეიძლება ამისთანა იყოს: მასსა, ფსკერი, არსებითად ხალხის გული ყოველთვის თავისთავად რჩება და ინახავს ეთნოგრაფიულს სახეს თავისი ენის წყალობით. არავითარ ქვეყნიერ ძალას არ ძალუძს ამოფხვრას ხალხში თავისი ღვიძლი ენა – გადმომცემი ეროვნულის სულისა, ხალხის ისტორიის ამოძახილისა, ცხოვრების ზნე-ხასიათისა და ჩვეულებათა ხმისა, გარშემო ბუნების მოქმედებათა აღბეჭდილებისა და უკანასკნელთან ბრძოლისა და მასთან ურთიერთობისა. ხალხის ენა თვით ცხოვრების ფორმაა და ამის გამოც იგი ისეთივე უტყუარი და კანონზომიერია, როგორც თვით სიცოცხლე“.

ბესარაბიის რუსეთთან შეერთების დროს /1812 წ./ მცხოვრებთა რიცხვი 90 000 აღემატებოდა. ეხლა მოლდავანები ბესარაბიაში მილიონზე მეტია; სკოლები ბესარაბიაში 8 000-მდისაა ქალაქ-სოფლებში; მათ შორის 80 არა რუსთა სკოლებიც არის, მაგრამ მოლდავანებისათვის არცერთი სკოლა არ არსებობს. ერობათა მოხსენება 1905 წლისა ცხადად ამტკიცებს ამას, მიუხედავად იმისა, რომ ბესარაბიაში რამდენიმე წელია სკოლები არსებობენ, მოლდავანების ბავშვები და მშობლებიც სრულიად გულგრილად უყურებენ მათ, ასე რომ წერა-კითხვის ცოდნის მხრით მოლდავანები ყველა სხვა ენებზე უფრო ჩამორჩენილები არიან ბესარაბიაში. ეს სამწუხარო მოვლენა იმის შედეგია, რომ სწავლება სკოლებში სწარმოებდა სრულიად დამახინჯებულის წესით, ასწავლიდნენ უცნობს უცნობით, უხსნიდენ გაუგებარის საშუალებით.

ასეთი იყო სკოლების მოწყობის საქმე ბესარაბიაში მე-XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან და საკვირველიც არ არის, რომ ამას ასეთი სამწუხარო შედეგი მოჰყვა: ხალხის აზრის ენა და მისი ოჯახში ხმარება ისევ მოლდავური დარჩა, ეკლესიის და სკოლის ენა კი უცხო იყო, ამიტომაც ცოდნაც და სარწმუნოებაც გაუგებარი და შეუთვისებელი დარჩა მოლდავანებისათვის. რუსული სკოლები ადგნენ გარუსების პროგრამას, ცდილობდნენ ამოეფხვრათ არარუსთა შორის ნაციონალური ენა და შეეცვალათ იგი სახელმწიფო რუსული ენით. მაგრამ რა? მთავრობამ თავის მიზანს ვერ მიაღწია, დასთესა მხოლოდ სიძულვილი ყველაფერში, რასაც რუსული სუნი სდიოდა, ზოგან გულგრილობა და ყველგან ცოდნის მოკრძალება. მთელს ბესარაბიაში საგრძნობელია სრული გონებრივი და კულტურული შეფერხება. ხალხური ცოცხალი ენა, როგორც ძლიერი აზარმაცი და პოტენციონალური ენერგიის გროვა მომავალის კულტურისა, ხელუხლებელი

დარჩა ბესარაბიის მცხოვრებთა შორის. ამით უნდა ისარგებლონ ხალხის სულისა და მისი მისწრაფების გასავითარებლად.

პირველადვე მოლდაურის ენით უნდა ისარგებლონ სახალხო სკოლებში, რადგანაც მხოლოდ ეროვნულ სკოლას შეუძლიან მიიზიდოს ბესარაბიის მოლდავან გლეხების მასსა, რომლისთვისაც რუსული სკოლები მხოლოდ დედინაცვლობას ეწეოდნენ. მოლდავური ენა დაუბრუნებს ბესარაბიის სკოლებს პედაგოგიურს მოთხოვნილებას: „დაიწყე სწავლება მახლობლიდან და ცნობილიდან და გადადი თანდათან უფრო რთულზე და მოძნელოზე“, რომელიც სამინისტროს უვიცმა მოხელეებმა ერთი კალმის მოსმით განდევნეს სკოლებიდან. დედა ენის სწავლების შემოღებით გამეფდა მეთოდიკის ძირითადი კანონიც, რომელიც ითხოვს სწავლების დაწყებას დედა ენაზე, როგორც ბავშვებისათვის ცნობილს ენაზე. ეს ენა დაუბრუნებს სამშობლოს, მშობლიურ კერას, მონათესავე ხალხს თავისს შვილებს, რომლებსაც რუსული სკოლა ძალად აშორებდა და ზრდიდა მათ პოლიციელებად, მწერლებად, დაბალ მოხელეებად და არა ეროვნული კულტურისა და პროგრესის დარაჯებად, არამედ ძველი რუსეთის ბიუროკრატიული წესწყობილების დამცველად.

მხოლოდ მოლდავურ ეროვნულ სკოლას შეუძლიან ბესარაბიის მილიონი მასსა დაიყენოს პროგრესისა და კულტურის გზაზე და მხოლოდ მაშინ მოლდავანებსაც შეეძლებათ განახლებული რუსეთის საკურთხეველზე მიიტანონ ნაწილი თავისი შრომისა და ნაციონალური „გენიისა“.

დიაღ, რუსეთში ყველგან დიდი მოძრაობაა ეროვნული სკოლების შექმნის შესახებ, მაგრამ მთავრობა კი ამ მოძრაობას და მოთხოვნილებათ თავისებურ ანგარიშს უწევს. ხალხთა განათლების სამინისტრომ გამოსცა წესდებულება არა რუსთა სკოლების შესახებ. წესდება ეხება ერთკლასიან და ორკლასიან სკოლებს. იგი დაახლოებით ისეთია, როგორიც ჩვენებური 1881 წლის „სამოსწავლო გეგმა“. დედა ენაზე სწავლების ნებას მხოლოდ პირველ ორი წლის განმავლობაში იძლევიან და, თუ მივაქცევთ ყურადღებას რუსული ენის აუარებელს გაკვეთილებს, ცხადად წარმოგვიდგება თვალწინ ფარაონის საცოდავი ძროხები, რომლებმაც ერთმანეთი შთანთქეს და ბოლოს მაინც მჭლე შეიქმნენ. ეს წესდება სავალდებულოთ არის აღიარებული კავკასიის სამოსწავლო ოლქისთვისაც და ამის გარდა ხალხთა განათლების მინისტრს ნება ეძლევა იხელმძღვანელოს ამ წესდებით, სადაც იგი საჭიროდ დაინახავს. ამნაირად, ცხადია, რომ

მთავრობა ხალხის მოთხოვნილებას, სწავლა-აღზრდის საქმეში ყურადღებას არ აქცევს. იგი მაინც თავისებურად სჭრის და ჰკერავს. რომ ცხადად დავინახოთ თუ რაში გამოიხატება მთავრობის გეგმა არა რუსთა სკოლების საქმეში, აქვე მოვიყვანთ საგნების და ყოველკვირეული გაკვეთილების განაწილების ცხრილს:

	საგნები:	ერთკლას. 1 და 2 წ.	სკ. 3 და 4 წ.	ორკლას. სკ. მეორე კლასში
1	საღმრთო სჯული	4	4	4
2	რუსული ენა	12	12	10
3	დედა ენა	6	6	4
4	არითმეტიკა	6	6	4
5	გალობა	2	2	1
6	რუსული ისტორია	–	–	2
7	გეოგრაფია და ბუნების მეტყველება	–	–	3
8	ხატვა-ხაზვა და გეომეტრიული ცნობები	–	–	2
		30	30	30

მკითხველი ამ განაწილებიდამ ცხადად დაინახავს თუ რამდენად ხელს უწყობს მთავრობის განკარგულება ეროვნულ სკოლას და რამდენად ეს არა რუსთა სკოლები უფრო რუსულია, ვიდრე ეროვნული. ერთადერთი ცვლილება, რომელიც მთავრობას შემოუღია ეს არის „მუნჯური“ მეთოდის ოფიციალურად განდევნა სკოლებიდან და დედა ენის მეცამეტე გოჭად მონათვლა და ისიც იმ აზრით, რომ, ალბათ, უდღეური გამოდგებაო და გაძლიერებული ენა უფრო ადვილად მოუღებს მას ბოლოსაო.

უცხოეთის მიმოხილვა

/ჟურნალ-გაზეთებიდან/

ფრანგების მასწავლებლები ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების საკითხის შესახებ. — ნორვეგიის მასწავლებელთა კავშირი. — პარიზის დასაწყისი სკოლები. ახალი რუსული საშუალო სკოლა ჟენევაში. — ბრძოლა ინგლისში სასულიერო და სამინისტრო მთავრობათა შორის სკოლების შესახებ. — საშუალო სკოლის რეფორმა ავსტრიაში. — თამბაქოს წევის მავნებლობა მოწაფეთა შორის.

ფრანგების მასწავლებელთა ჯგუფმა /Les amicales/ შეადგინა კომისია ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების საკითხის გამოსარკვევად. რადგანაც ეს საკითხი დღეს ბევრს აინტერესებს და ჩვენი ჟურნალის ამ ნომრის პირველი წერილიც ამავე საკითხს ეხება, საჭიროდ მიგვაჩნია ფრანგ-მასწავლებელთა აზრიც გავუზიაროთ ჩვენს მკითხველებს ამ საკითხის შესახებ.

რასაკვირველია სკოლის საერო ხასიათი და ქალ-ვაჟთა ერთად სწავლება დასაწყისი სკოლიდან უნივერსიტეტამდის შეადგენს პედაგოგიური სისტემის შეცვლის ძირითადს დასაწყისს პოზიტივურ /ნამდვილ/ სიმართლისა და ადამიანის ზნეობრივად განახლების საქმეში. ქალ-ვაჟთა ერთად სწავლებაზე უნდა დამყარდეს ის ზნეობრივი ევოლუცია, რომელიც უსაჭიროესი ხდება დიდებულ სოციალური რეფორმების დასამყარებლად, რომელიც უქადის კაცობრიობას საზოგადოების ყველა წევრთა ჭეშმარიტ ერთობას.

მხოლოდ ქალ-ვაჟთა ერთად სწავლებას შეუძლიან შესცვალოს ქალზე ისეთი შეხედულობა, როგორც უფლებამოკლებულ არსებაზე, რომელიც ცხოვრობს ქვეყანაზე ვითომდაც კაცობრიობის მეორე ძლიერი ნახევრის სასიამტკბილოდ. ქალ-ვაჟთა ერთად სწავლებაშია დასაწყისი იმ წრფელი ამხანაგობისა, რომელიც უნდა აერთებდეს ქალ-ვაჟთა ახალთაობას არამარტო სქესობრივი მიდრეკილებით, არამედ გონებრივი ინტერესების გაზიარებით, საერთო მუშაობით, ერთის მოვალეობით.

ფრანგების მასწავლებლების მოხსენებაში ნათქვამია, რომ ქალ-ვაჟთა ერთად სწავლება არ უნდა ადუნებდეს, არ უნდა სპობდეს ამა

თუ იმ სქესის სულიერ თვისებებს, პირიქით, ერთად სწავლებით, თითოეული სქესი უფრო სრული ხდება ერთმანეთის ხასიათის ზეგავლენით. სკოლის ცხოვრების ამნაირად ძირითად შეცვლისათვის საჭიროა მასწავლებლებმაც მიაქციონ თავის-თავს ყურადღება: „მასწავლებელმა კაცმაო, – ნათქვამია მოხსენებაში, – ხელი უნდა აიღოს ჩვეულებრივს კადნიერ და სასტიკ მოპყრობაზე ვაჟებთან; ქალ-მასწავლებლებმა კი უნდა მიატოვონ ჩვეულებრივი კოპწიაობა და მთელის თავისი ქცევით თავმდაბლობის, გულწრფელობის და სიკეთის მაგალითს უნდა წარმოადგენდნენ, როგორი თვისებითაც უნდა იყოს აღჭურვილი მომავალი დედაკაცი, დედა ან ცოლი“. ერთად სწავლება ფრანგ მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვსთ მომავალ საზოგადოების პირველ სახედ: ბავშვი იძენს აქ პირველს ცნებებს სიმართლისა და თავისუფლების შესახებ; ბავშვები თავს იყრიან ერთად როგორც და-ძმანი და შველიან ერთმანეთს დამოუკიდებელ და თავისუფალ ატმოსფერაში პიროვნების განვითარების საქმეში. „აქედანაო, – ამბობს მოხსენების ავტორი ბ-ნი ამანი, – ბავშვები – ქალი და ვაჟი მიეჩვევიან იმ აზრს, რომ თავისი მომავალი ცხოვრება უნდა გაუზიარონ თავისი სიცოცხლის ამხანაგს. იგი ეჩვევა ამ მხრით თავისი აზრის გულახდილად და გულწრფელად გამოთქმას და არა განუსჯელად, იმ სისპეტაკით, რომელსაც იჩენს საღი სული, გაუფუჭებელი ნახევარ-სიტყვებითა და მომეტებული საიდუმლოებით“.

„იმათ ლექსიკონში დაუბრკოლებლად მოჰყვება ისეთი სიტყვები, რომელნიც, თავისი მნიშვნელობით, არავითარ უზნეურს და სასირცხვოს არ წარმოადგენენ, მაგრამ მღვდლებისა და ბერების ფარისევლობა და შეუგნებელ ხალხის უაზრო ცრუმორწმუნეობა ნებას არ იძლევიან ამ სიტყვების წარმოთქმისას, თუ არა ცრუ სირცხვილის სიწითლით. საზოგადო შერეულმა სკოლამ შორს უნდა გადისროლოს ყოველი უკანა აზრები, ყოველი ცრუმორწმუნეობანი. მან სამუდამოდ უნდა დაჰგმოს სიცრუეზე აგება ვისიმე ბედნიერებისა, ან პიროვნულ მორალზე, ამ სამწუხარო და საშიშარ აზრის შეცვლაზე, რომელიც მოულოდნელად აღორძინებს ვნებას და ხელს უწყობს ბიწიერებას. შერეული სკოლა უნდა ცხოვრობდეს მხოლოდ ჭეშმარიტებისა და სიმართლის სრულს სინათლეში“. აღზრდის საშუალებად და საუკეთესო ხერხად ფრანგ მასწავლებლებს მიაჩნიათ: სიკეთე, გულწრფელობა და მეცნიერული ჭეშმარიტება, – ე. ი. სწორედ ის დასაწყისი, რომელიც აკლიათ ჩვენს თანამედროვე პედაგოგებს. ერთად სწავლების დროს ქალ-ვაჟნი არ ჰკარგვენ თავიანთ ინდივიდუალურს

ხასიათს, პირიქით, ერთ-ურთისაგან იძენენ საუკეთესო თვისებებს.

ეს უკანასკნელი მოსაზრება, ცხადია, ისე უნდა გვესმოდეს, რომ ვაჟები ჰკარგვენ თავიანთ სიმკვახეს ლაპარაკში, მიიღებენ ქალებისაგან გულრბილობას და ქალებიც ვაჟთაგან სიმამაცეს შეიძენენ. ამანის მოსაზრება უფრო ახლოა ჭეშმარიტებასთან, რომ ერთად ყოფნა და-ძმური დამოკიდებულებით ასუსტებს იმ არა საღ ცნობისმოყვარეობას, რომლისაგანაც ბავშვის ასაკში ხშირად ხდება ტვინის მოშლა.

რასაკვირველია, ახალს საერთო სკოლაში ჰიგიენიურად მოწყობილი ფიზიკური ვარჯიშობაც უნდა იქმნას შემოღებული, რომ შესაძლებელი გახდეს სქესობრივი ლტოლვილების დრომდის შეკავება და სხეულის გამაგრება და შემდეგში შეიმუშავონ სასურველი თავდაჭერილობა და გონიერი დამოკიდებულება ამ საჭირო საკაცობრივო ინსტიკტთან, რომელსაც დღეს არც ოჯახი და არც საზოგადოებრივი აღზრდა არავითარს ყურადღებას არ აქცევს. ერთად სწავლებამ ქალ-ვაჟთ უნდა მისცენ მეცნიერების მხრით გამორკვეული საზოგადოებრივი ზნეობის საფუძველი. მან უნდა მოამზადოს ისეთი სრული საზოგადოებრივი წრე, სადაც ყოველ კაცს შეეძლოს უმაღლესი ბედნიერებით სარგებლობა. ახალი რეფორმის საბოლოო ამოცანად ხდება ქალის განთავისუფლება, რომელსაც თანამედროვე საზოგადოებაში სრულიად მონური, დამოკიდებული მდგომარეობა უკავია.

ეს ახალი სკოლა ხელს მოუმართავს საზოგადოებას შეუმჩნევლად გადავიდეს უსამართლო, დოღმატიური ძველი ცხოვრების წესწყობილებიდან ახალს თანასწორობისა და უმრავლესობისათვის კეთილ საყოფელ წესწყობილებაში, როცა ცდისა და მეცნიერების შედეგები შესცვლიან ბრმა მისტიციზმის შეუმოწმებელ შედეგებს.

რაც შეეხება ახალ სკოლაში სწავლების საქმეს, ის, რასაკვირველია, უნდა მოეწყოს „ინტეგრალურად“, როგორც ამბობს ბ. ამანი, ე. ი. გონებისა და სხეულის თანაბრად განვითარების საფუძველზე, უნდა მიეცეს ქალ-ვაჟთ ცოდნა მეცნიერებისა და ხელოვნებისა საერთო პროგრამით 13 წლამდის მაინც.

მხოლოდ სპეციალურ-პროფესიონალური კლასები და ფიზიკური სავარჯიშოები განაწილდებიან ინდივიდუალურ ძალთა და მიდრეკილებათა მიხედვით.

სწავლების მეთოდი ყველგან თვალსაჩინო და ექსპერიმენტულია, ზნეობრივ საკითხებში კი დამყარებულია პასუხისგება საქციელზე, უცრუმორწმუნეოთ და განუმარტებელ, ავტორიტეტულად ჩვენებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სქესობრივ ჰიგიე-

ნას და საღ უმანკოების აღზრდას. ამასთან აღმზრდელთა და მოწაფეთა შორის უნდა სუფევდეს სრული გულახდილობა და ერთურთის რწმენა და, რაც ეხლა ფარისევლურად დაფარულია, ის უნდა მარტივად და ცხადად, სერიოზულად და წმინდათ აეხსნას, განემარტოს ბავშვებს, ქალებსაც და ვაჟებსაც, როგორც მომავალს მამებს და დედებს. უფროსს კლასებში ზრდილობა და ერთურთის დახმარება პირველ საგნად უნდა გადიქცეს. საერთო სკოლის საქმის გაძღოლა ერთ რიგად შეუძლიან, როგორც კაცებს, ისე ქალ-მასწავლებლებსაც. ჯამაგირის მხრითაც მასწავლებლები – ქალები და კაცები გათანასწორებულნი უნდა იყვნენ. ორკლასიან სკოლაში უფრო სასურველია სწავლა-აღზრდის საქმე ცოლ-ქმართ ჩაბარდეს.

საერთო სწავლების საკითხში ამანი დაწვრილებით კითხვებსაც შეეხება, მაგალითად, იგი წინააღმდეგია ინგლისური სისტემისა, რომ კლასში ქალები ცალკე ისხდნენ და ვაჟები ცალკე ან არეულად. ამანის აზრით, ბავშვები უნდა ისხდნენ სად და ვისთანაც უნდათ, ხელმძღვანელობდენ ერთურთის სიმპატიით და ამა თუ იმ პედაგოგიური ანუ ჰიგიენიური მოსაზრებით, რომლებსაც უნდა მიჰმართოს აღმზრდელმა დიდის საზომით. სწავლის შემდეგ დასვენება ხდება საერთო ეზოში აღმზრდელთა მეთვალყურეობით; სათამაშოებში უპირატესობა ეძლევა ისეთს, რომელიც უფრო სასარგებლოა ორთავე სქესისათვის – ბურთი და სხვ. ზარული უსათუოდ განცალკევებული უნდა იყოს დერეფნის სხვადასხვა ბოლოებში ქალებისთვის ცალკე და ვაჟებისთვისაც ცალკე.

ასეთია საზოგადო მოსაზრება ფრანგ-მასწავლებლებისა და კომისიისა ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების საკითხის შესახებ.

***

თუ რამდენად გავრცელებულია უცხო ქვეყნებში მასწავლებელთა კავშირი, ამის მაგალითს წარმოგვიდგენს ნორვეგია, რომლის მკვიდრნია 2. 231. 000. ნორვეგიაში მასწავლებელთა ოთხი კავშირია. ყველაზე დიდად ითვლება „ნორვეგიის მასწავლებელთა კავშირი“, რომელსაც ოც-და-ათი განყოფილება აქვს. ეს განყოფილებანიც დაყოფილია პატარ-პატარა ჯგუფებად ანუ ადგილობრივ კავშირებად; ამისთანა კავშირები სულ 433. საზოგადო წევრთა რიცხვია 5. 671. ამას გარდა არსებობს: „კავშირი ფილოლოგებისა და რეალისტებისა“,

„უმაღლეს სკოლის მასწავლებელთა კავშირი“, „სამასწავლებლო სემინარიის მასწავლებელთა კავშირი“ და სხვ. საზოგადო კავშირის ერთი წევრი მოდის 400 მცხოვრებზე.

***

ყოველ წელიწადს ბევრგან უცხოეთში მომეტებულად ქალაქებში წლის ბოლოს სტამბავენ ყოველგვარ სტატისტიკურ ცნობებს სასწავლებელთა შესახებ. სასურველად მიგვაჩნია გავაცნოთ ჩვენ მკითხველებს ცნობები პარიზის დასაწყისი სკოლების შესახებ. სწავლების პირველ საფეხურს შეადგენენ საბავშვო ბაღები, ანუ დედობრივი სკოლები ოთხი წლის ბავშვებისათვის. 190 $^{3}/_{4}$, სამოსწავლო წელს პარიზში ამისთანა დაწესებულება 217 იყო, სადაც 65, 903 ორივე სქესის ბავშვი სწავლობდა. უმეტესი ნაწილი ამ სასწავლებლებისა – 168 /57. 350 ბავშვით/ ქალაქის ხარჯით ინახება. ამ სკოლების აღმზრდელების რიცხვი ყოფილა 900.

დასაწყისი სკოლები დაიყოფებიან შემდეგ ჯგუფებათ:

ჯგუფ.	სკოლ.რიცხვ.	კლას.	მასწავლ.	მოწაფ.
საზოგადოებ.	400	3.197	3. 617	169. 552
კერძო საერო სკ.*	518	1.449	1. 671	29. 726
სასულ. სკ.	176	951	1.194	45. 661
	1.094	5.597	6. 482	244. 939

განათლების საქმეს ხელს უწყობს 399 ბიბლიოთეკა, რომელშიაც 400, 000 ტომი ითვლება. მთელი წლის განმავლობაში წასაკითხად წაუღიათ 280, 781 ტომი. საზაფხულო საბავშვო ახალშენებით უსარგებლნიათ 5. 704 ბავშვს, ზაფხულშივე იმართება ცალკე კლასები / 358 /, რომელშიაც 37. 572 ორივე სქესის ბავშვს უსწავლია. დასაწყისი სკოლების მოწაფეთათვის გაუმართავთ წლის განმავლობაში 464 ექსკურსია განათლების მიზნით. ამ ექსკურსიაში 25. 460 ბავშვს მიუღია მონაწილეობა.

* უკანასკნელ ხანებში ამ სკოლების მომეტებული რიცხვი დაიხურა და ნაცვლად გაიხსნა შესაფერისი რიცხვი საზოგადოების სკოლებისა.

ღარიბ მოწაფეებს ტანისამოსსაც ურიგებენ უფასოდ. მიუციათ სულ 136. 000 ტანისამოსი, ღირებული 300, 000 ფრანკად /111. 000 მან./, უფასო საუზმეები მიუციათ 8. 100. 000, ფასიანი 3. 819. 000, სულ ღარიბ მოწაფეებზე დაუხარჯავთ 1. 352. 000 ფრ. /500. 000/ მანეთამდის/.

რუსეთის პედაგოგებს იმედი დაეკარგათ რაციონალური სკოლის მოწყობისა თავიანთ სამშობლოში, სადაც აუარებელი დუხჭირი პოლიტიკური პირობები ეღობება გზაზე სკოლის საქმეებსაც. ამის გამო რუს პედაგოგების ერთმა წრემ, მოსკოვის რეალური სასწავლებლის დირექტორის ფიდლერის მონაწილეობით გადასწყვიტა ექვსკლასიანი საშუალო რაციონალური სკოლის დაარსება ჟენევაში /Ecole Nouvelle Russe a Généve /.

ამ სკოლის მეთაურთ ნაციონალური სკოლის დანიშნულებათ მიაჩნიათ ბავშვის გონების, ნების, ხასიათის და სხეულის განვითარება იმ მიმართულებით, რომ მომავალში ახალთაობას შერჩეს მკვიდრი და მთელი მსოფლმხედველობა. რუსეთშიო, – სწერენ ამ საქმის მოთავენი, – სამინისტრო ისეთს მიზანს მისდევს, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს პედაგოგიასთან – შინაურს პოლიტიკურ მიზანს. ამის გამო საშუალო სახელმწიფო სკოლაში, სადაც ყველაფერი მექანიკურად სრულდება ბიუროკრატიულ წესზედ, საქმის მოთავენი სრულიად დაშორებულნი არიან რაციონალურ წესებს სწავლა-აღზრდის საქმეში. რაც შეეხება კერძო თაოსნობას, ამასაც ხალხთა განათლების სამინისტრო მუხრუჭს უჭერს სხვადასხვა ცირკულიარებით, დროებითი წესებით, სახელმძღვანელო განმარტებებით და სხვ. მაგრამ რაციონალური სკოლა არ ითმენს ტრიბუნად ან კანცელარიულ დაწესებულებად გარდაქმნას! სკოლა თავის თავსვე წესს უგებს, თუ იგი ცდილობს გადიქცეს პოლიტიკური პარტიის ან საეკლესიო კათედრად. ამისთანა პირობებში სკოლა ზრდის ფარისევლებს, ფანატიკოსებს, კარიერისტებს და არა მტკიცე, განათლებულ და კრიტიკულად მოაზრე პირებს, რომელთა სიმცირე ფრიად საგრძნობელია დღეს რუსეთში. ამის მიხედვით, დღევანდელ პირობებში საუკეთესოდ მიაჩნიათ რუსული სკოლის დაარსება სამშობლოს გარეთ, უცხოეთში, სადაც ბავშვები დაშორებულნი იქნებიან სამშობლო ქვეყანას, მაგრამ, სამაგიეროდ, დაშორებულნი იქნებიან იმ მავნე გავლენისაგან, რომელსაც ვერ აღწევენ თავს სამშობლოში.

პედაგოგიური პრინციპების განხორციელებას საფუძვლად დაედება ახალ სკოლაში ნორმალური და საღი ოჯახური დასაწყისი. სკოლაში არ იქნებიან არც ბატონები და არც ყმები, არამედ ოჯახის

უფროსი და უმცროსი წევრები, რომელნიც განმსჭვალულნი იქნებიან ერთურთის ნდობითა და სიყვარულით, თავისუფლებისა და თითოეულის პიროვნული ხასიათის პატივისცემით. ოჯახის ყველა წევრები ერთად სჭამენ, მონაწილეობას იღებენ სამეცნიერო, ზნეობრივსა და საზოგადო ხასიათის საუბრებში, საზოგადო შრომაში და გართობაში. ამგვარი და მხოლოდ ამგვარი დამოკიდებულება იქმნება გატარებული სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში. საჩუქრებს, რომლებიც უღვიძებენ მოწაფეებს თავმომწონეობას, მედიდურობას და დასჯას, რომელიც ამცირებს ბავშვის თავმოყვარეობას, ადგილი არ ექნება ახალს სკოლაში. ბავშვისათვის ცოცხალ-სამხიარულო პირობების შექმნა, სპეციალურად გულის ყურის მიპყრობა თითოეულის მოწაფისადმი მისი ნიჭის მიხედვით — საუკეთესო საშუალებად მიაჩნიათ ახალი სკოლის მოთავეთ სწავლა-აღზრდის საქმეში.

ბავშვის ცოდნის დაფასება ნიშნებით და გამოცდით არ შეესაბამება რაციონალური პედაგოგიის ძირითადს პრინციპებს. მასწავლებლებს ყოველთვის წარმოდგენილი უნდა ჰქონდეს მოწაფეთა ცოდნის ფარგალი. ამ ცოდნას იგი უნდა ახასიათებდეს არა შემთხვევითი პასუხის მიხედვით, არამედ მოწაფეთა მეცადინეობის საზოგადო მსვლელობით. რაც შეეხება მშობლებს, ისინი ყოველ წელიწადს ორჯელ მიიღებენ სრულს ანგარიშს თავიანთი შვილების სწავლაში წარმატების შესახებ და დაწვრილებითს პასუხს ყოველს შეკითხვაზე. თუ სკოლამ შეამჩნია მოწაფეში რაიმე გადახვევა ნორმალურის გზიდან, პედაგოგიური საბჭო დროს არ უცდის და მაშინვე აცნობებს მშობლებს ან მათ მოადგილეებს ბავშვში შენიშნულს ანომალურს მოვლენებს. სკოლასთან დაარსებული იქნება სპეციალური ორგანო, მშობელთა კომიტეტი, რომელიც აღმზრდელებთან და ექიმთან ერთად მიიღებს მონაწილეობას პედაგოგიურს საბჭოში.

ოჯახურ პრინციპის მიხედვით მოწაფე ქალი და ვაჟი ერთად სწავლობენ, მუშაობენ, თამაშობენ და სჭამენ. ამისთანა სქემა აქვსთ შედგენილი რუსის პედაგოგებს ახალ სკოლაში მოწაფეთა აღზრდისათვის.

დარგი მეცნიერებისა, რომლის შესწავლაც სავალდებულოდ მიაჩნიათ ახალს სკოლაში, გამოანგარიშებულია იმის მიხედვით, რომ ბავშვი გაეცნოს სამეცნიერო დისციპლინას, შეითვისოს ესა თუ ის ცოდნა და განივითაროს გონებრივი ნიჭი. ყველა მეცნიერების პროგრამა ისეა შემუშავებული, რომ არაფერი საჭირო და სასარგებლო გამოტოვებული არ არის და, ამავე დროს, არც ბავშვის მეხსიერებას

და ძალას ეპყრობიან ძალდატანებით. მოცულობა ექვსკლასიანი სკოლის პროგრამისა საზოგადოთ უდრის საშუალო სასწავლებლის პროგრამას. სავალდებულო სამეცნიერო საგნებია: 1 /მათემატიკა / არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია და ტრიგონომეტრია/, 2 /ბუნების მეტყველება/ მინერალოგია, ბოტანიკა, ზოოლოგია, ფიზიოლოგია და ანატომია, ფიზიკა და ქიმია/, 3 /გეოგრაფია, 4 /რუსული და საზოგადო ისტორია, 5 /რუსული ენა და რუსული ლიტერატურა, 6 /უცხოეთის ლიტერატურა, 7 /ფრანგული, გერმანული და ინგლისური ენები, 8 / ხატვა-ხაზვა.

ლათინური ენა და ახალი ენები, ჩამოთვლილთ გარდა და მეექვსე კლასიდან პოლიტიკური ეკონომიისა და კანონთა შესწავლა, ისწავლება როგორც არასავალდებულო საგანი.

წერის შესასწავლად ცალკე გაკვეთილები არ არსებობს. ამ საგანს ასწავლიან ენების გაკვეთილებზე.

სავალდებულო და არა სავალდებულო საგნებს შორის, სწავლების მხრით, არავითარი განსხვავება არ არის. საბუნებისმეტყველო საგნები ყველგან სადაც კი შესაძლებელია, პრაქტიკულად ისწავლება და არა წიგნების მიხედვით. მათემატიკაში თეორემების, არითმეტიკული და გეომეტრიული ამოცანების კეთება ანალიტიური წესით წარმოებს. რუსეთისა და უცხოეთის ლიტერატურის შესწავლის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება უკანასკნელი დროის მწერლობას. ისტორია შეისწავლება, როგორც მეცნიერება ხალხთა ცხოვრებისა, მათი კულტურის, სარწმუნეობის და პოლიტიკურის, სოციალური და ეკონომიური ყოფა-ცხოვრების განვითარების მხრით. მეტ ძალდატანებას ბავშვის მეხსიერებისადმი დაწვრილებითი ცნობებით და აუარებელი სახელების გაზეპირებით, მოერიდებიან. უცხო ენები შეისწავლება არა მარტო თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც. ლათინურ ენაში გრამატიკას მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა ექმნება, უმთავრეს ყურადღებას ავტორების კითხვას მიაქცევენ.

აღზრდის მხრით და სხეულის სიმაგრის განვითარებისათვისაც პროგრამაში შეტანილია, როგორც სავალდებულო საგანი – გიმნასტიკა, თამაშობა, ცეკვა და ხელით შრომა – ხელობა, მებოსტნეობა, მებაღეობა, ყვავილების მოშენება.

ხელით შრომას უფრო აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პრაქტიკული, ე. ი. არა გადაცემა ტექნიკური ცნობებისა, რომლის საშუალებით მოწაფეს შეეძლოს მომავალში ცხოვრების სახსარის მოპოება. ხელით შრომა, სხვადასხვა ხერხით, თითოეულს ხელო-

ბაში, ხელს უწყობს ბავშვის ძალის, სიმარდის და მოთმინების განვითარებას. მეორე მხრით, სამეცნიერო საგნების შესწავლის დროს, მოწაფის ფსიქიკა ერთი მიმართულებისაკენ – ცოდნის შეძენისაკენ მუშაობს. მაგრამ ბავშვის ორგანიზმი ფიზიკური ძალის დახარჯვასაც მოითხოვს. ხელით შრომა კი იმ საშუალებას წარმოადგენს, რომლის დროსაც მოხდება ბავშვში შთაბეჭდილებათა შეცვლა. ამნაირად მათემატიკური ჭეშმარიტების შეთვისებას მოჰყვება ნორჩი მცენარის გადარგვა სანერგიდან კვლებში და სხვ. ეს იცავს მოწაფეს სულიერი ძალის მოქანცულობისაგან. ამის გარდა ბავშვში თვითმოქმედებისა და შემოქმედებით განვითარებას, მიზნის შესაფერ და სისტემატიური შრომის ნიადაგზე აქვს თავისი დამოუკიდებელი და ფრიად დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა. სკოლაში ყურადღებას აქცევენ აგრეთვე ბავშვის ესტეტიური გრძნობის განვითარებასაც.

მეცადინეობა დღის განმავლობაში დროსთან შეფარდებით ასეა განაწილებული:

7 საათზე – მოწაფეები დგებიან.

7 ს. 20 წ. – 7ს. 40 წ. – თავისუფალი მოძრაობა.

7 ს. 40 წ. – 8 ს. – ჩაი.

8 ,,–,, 8 ს. 45 წ. – დაბალ კლასების მოწაფეები ბაღში მუშაობენ.

8 ,,–,, უფროსი კლასების მოწაფეები გაკვეთილებზე არიან კლასში.

9 ,,–,, 9 ს. 45 წ. – გაკვეთილებია ყველა კლასებში.

9 ,,45,, – 10,, 5,, – საუზმე და შემდეგ კრაოტების დალაგება.

10 ,,5,, – 10,, 50,, – გაკვეთილებია ყველა კლასებში.

11 ,,–,, 11,, 45,, – გაკვეთილებია. შემდეგ ხელებს იბანენ.

1 ,,.....,, სადილი.

1 ,,.....,, 1 ,,45,, – გაკვეთილებია ყველა კლასებში.

1 ,,50,, – 2,, 20,, – საერთო სიმღერა.

2 ,,30,, – 4,, 30,, – ხელით მუშაობა.

4 ,,30,, – 5,, ...,, – სამხარი.

6 ,,.....,, – 7 ,,.....,, – თავისუფალი დრო მეცადინეობისათვის არჩევით, ვისაც რა უნდა.

7 ,,.....,, – ვახშამი.

7 ,,30,, – 9,, ...,, – საღამოობით მეცადინეობა პატარებისათვის.

7,, 30,, – 10,, ...,, – მოზრდილებისათვის.

***

ამჟამად ინგლისში სამინისტროსა და სასულიერო წოდების შორის გამწვავებული ბრძოლაა სკოლების შესახებ. ინგლისის ლიბერალური სამინისტრო მოწადინებულია შექმნას წმინდა საერო სკოლა, სარწმუნეობრივი აღზრდის საქმე კი დაუთმოს კერძო მოთავეთ. ამ მიზნით მთავრობა შეეცადა კანონმდებლობის წესით მოესპო სახელმწიფოსაგან დახმარება იმ სკოლებისათვის, რომლებიც კონფესიონალურს საფუძველზე არსებობენ და გაეუქმებინათ საღმრთო სჯულის სწავლება, როგორც სავალდებულო საგნისა, მაგრამ ამგვარი წინადადება ლორდთა პალატამ არ შეიწყნარა, თუ რა ბედი მოელის ამ საკითხს, რომელიც მეორეჯერ უნდათ აღძრან პარლამენტში, ჯერ არ იციან. მთავრობა თავის მხრით არ ღალატობს თავის მოვალეობას და ადმინისტრატიულის წესით გამოუშვა წესდება, რომელიც შეეხება სამასწავლებლო სემინარიებს. მთავრობა ემუქრება ამ სასწავლებლებს სახელმწიფო დახმარების წართმევით, თუ ერთნაირის უფლებით არ მიიღებენ ყველა მოწაფეებს სარწმუნოების განურჩევლად.

ამისთანა სემინარიები ინგლისში არის 31. მათი დაარსების დროს სახელმწიფომ იკისრა მთელი ხარჯის ერთი მესამედი. დღეს კი სახელმწიფო წლიურ ხარჯს 95% ჰფარავს. ეკლესიის მხრით ხარჯი სულ მცირეს შეადგენს, არაუმეტეს 5%-ისა.

ამიტომაც, ცხადია, მთავრობის მხრით მისწრაფება სემინარიების შინაგან წესიერებისადმი, მაგრამ ცხადია აგრეთვე, რომ ეკლესიას არ უნდა დაუთმოს თავისი უფლებები და უარს აცხადებს მთავრობის განკარგულებათა შესრულებაზე. იმისი აზრით სამინისტროს უფლება არ აქვს მოუსპოს სახელმწიფო სუფსიდია, თუ არ კანონმდებლობის წესით. მცირე თანაგრძნობა გამოუცხადეს სამინისტროს ოქსფორდში მომხდარმა მასწავლებელთა კრებამ, რომელსაც უფრო სასარგებლოდ მიაჩნია ტრადიციონულ-კონფესიონალური ხასიათი ინგლისის ხალხთა განათლებისათვის. მიუხედავად ამისა, შორს არ არის ის დრო, რომ საერო სკოლა ბოლოს გამარჯვებული გამოვა ამ ბრძოლიდან.

***

საყურადღებო ამბები ხდება ავსტრიაში. საყოველთაო საარჩევნო უფლებამ სიცოცხლე შეიტანა ავსტრიის უფერულ ცხოვრებაში. სხვა რეფორმებთან ერთად ავსტრიაში საშუალო სკოლის რეფორმაზედაც დაილაპარაკეს. სახალხო განათლების სამინისტროს გადაუწყვეტია ანკეტა გამართოს, შეეკითხოს არამც თუ მარტო პედაგოგებს, არამედ პოლიტიკურსა და საზოგადო მოღვაწეებსაც, რა აზრისა არიან ისინი საშუალო სასწავლებელზე საზოგადოთ და კლასიციზმზე – კერძოდ. სამინისტროს დარბაზში გაიმართა დისპუტი კლასიციზმის მომხრეთა და წინააღმდეგთა, კონსერვატორთა და სასკოლო რეფორმების მომხრეთა შორის. დისპუტში ას კაცზე მეტი იღებდა მონაწილეობას. მინისტრს უთქვამს, ძალიან ვწუხვარ, რომ უფრო მეტის შეკრება ვერ მოხერხდა, მაგრამ ამასაც ეშველება თუ პრესსა ენერგიულ მონაწილეობას მიიღებს ამ საკითხის გამორკვევაშიო. თათბირზე სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლებიცა ყოფილან მიწვეულნი. სოციალ-დემოკრატების მხრით ულაპარაკია დეპუტატს პერნესტოფერს, რომელსაც დიდის პატივისცემით ეპყრობიან მცხოვრებლები. პერნესტოფერს ავსტრიის არსებული გიმნაზიები, რასაკვირველია, დაუწუნია, მაგრამ კლასიკურ სისტემის დამცველად კი გამოსულა. სოციალ-დემოკრატების წარმომადგენელმა ერთის საათის განმავლობაში ანტიურ კულტურასა და კლასიციზმის სარგებლობაზე ილაპარაკა. პერნესტოფერის აზრი, რასაკვირველია, მთელი პარტიის აზრად არ ჩაითვლება, მაგრამ პარტიის ბევრი წევრი კი თანაუგრძნობს მას. ძველი ენების შესწავლას დიდი განმანათლებელი ღირებულება აქვს, – უთქვამს სოციალ-დემოკრატების წარმომადგენელს. თათბირის შემდეგ ხმის დიდის უმრავლესობით მიუღიათ რეფორმის ის პროექტი, რომელიც სამინისტროს შეუმუშავებია. ეს პროექტი ამნაირია: თანამედროვე კლასიკურ გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლების რეორგანიზაცია უნდა მოხდეს. ამასთანავე ერთად უნდა შემუშავდეს ახალი ტიპი საშუალო სასწავლებლისა, რომელშიაც ბერძნულ ენის მაგივრად ერთერთ ახალ ენას უნდა ასწავლიდნენ. უნდა გაფართოვდეს მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სწავლა. უფროს კლასებში შემოღებულ უნდა იქმნას საზოგადო ბიოლოგია. კლასიკურ გიმნაზიების მონოპოლია უნდა მოისპოს, ყველა საშუალო სასწავლებლებს თანასწორი უფლებები მიენიჭებათ და სხვ.

***

აღმძვრელ საშუალებათა შორის, რომელთაც ცუდი გავლენა მოაქვსთ ორგანიზმის სულიერსა და ფიზიკურს განვითარებაზე, მოწაფეებში ყველაზე უფრო გავრცელებულია თამბაქოს წევა. მომეტებულად უკანასკნელ დროს ჩვენშიაც ძლიერ იჩინა თავი ამ ფრიად მავნე ჩვეულებამ. დღეს ჩვენშიაც იშვიათად შეხვდებით მოწაფეს, რომელიც თამბაქოს ბოლში არ იხრჩობდეს თავს და არ იწამლავდეს ნორჩს ორგანიზმს. სამწუხაროდ ეს არასასურველი და ფრიად მავნებელი მოვლენა საზოგადოდ თურმე ყველგან არის გავრცელებული და სადაც კი შეიგნეს ამ ჩვეულების სრული მავნებლობა, ყველგან ცდილობენ მიიღონ სხვადასხვა ზომები, რომ მოწაფე ახალგაზრდობა როგორმე გადააჩვიონ ამ მავნე ჩვეულებას და მით შეუნარჩუნონ მათ სხეულისა და სულის სისაღე. თამბაქოს წევა, როგორც უკვე დამტკიცებულია მეცნიერთაგან, ძლიერ ცუდად მოქმედებს ადამიანის გულსა და კუჭზე. არც ადამიანის სულიერი ნიჭნი რჩებიან უგავლენოთ: მეხსიერება სუსტდება, ყველაფერში სრული გულგრილობა იჩენს თავს, ძილისგუდად ჰხდებიან და საზოგადოდ ეტყობათ ნერვების სისუსტე. საყურადღებო გამოკვლევებს ვკითხულობთ ამ საკითხის შესახებ უცხოეთის სკოლის ამბებში. საფრანგეთში პროფესორმა Decaismé-მ 27 თამბაქოს მწეველ მოწაფეთაგან 9-15 წლამდის აღმოაჩინა 22, რომელთაც მოშლილი ჰქონდათ სისხლის ტრიალი, ემჩნეოდათ გონებრივი სისუსტე და ძლიერი მიდრეკილება მაგარი სასმელებისადმი. შეერთებულ შტატებში მეცნიერმა კლინტოკმა, რომელიც ს. ფრანცისკოს პედაგოგიური საბჭოს წევრად ითვლება და ამასთანავე ვაჟთა სკოლების ექიმიც არის, განაცხადა, რომ მას მოწაფეები თავს აბეზრებდნენ გამოეწერა მათთვის წამალი გულის ფრიალის წინააღმდეგ. ათიდან ცხრა შემთხვევაში ეს სნეულება თამბაქოს წევით იყო გამოწვეულიო.

1898 წელს ჩიკაგოში მოახდინეს ქალაქის სკოლების რევიზია. აღმოჩნდა, რომ 5 000 მოწაფე 8-14 წლისანი ეწეოდნენ თამბაქოს. მოწაფეთა საერთო რიცხვიდან მხოლოდ 400 /დაახლოებით 1/12/ შეეძლო წესიერად გონებით მუშაობა; დაიწყებენ თამბაქოს წევას თუ არა, მოწაფეები თანდათან უკან რჩებიან სწავლაში, გულისყური ეკარგებათ და ნერვებიც ეშლებათ, ვერ ასრულებენ მიცემულს სამუშაოს და არც შეუძლიათ მშვიდათ ისხდნენ კლასში, მხედველობა და სმენაც უსუსტდებათ. პროფ. Siver-მა /Bull. qen. det herapic, 1897 წ./ გამო-

იკვლია ერთი და იმავე კურსის სტუდენტების ტანი, სხეულის სიმძიმე და გულმკერდის მოცულობა, რომელთაგან 77 იყვნენ თამბაქოს მწეველნი და 77, რომელთაც თამბაქო არ უწევიათ; უკანასკნელთა სხეულის სიმძიმე აღემატებოდათ ცნობილ დროს განმავლობაში 10,4%, ტანი 27%, გულმკერდის მოცულობა 27,6%-ით, ვიდრე პირველებს. თვალსაჩინო განსხვავება თამბაქოს მწეველთა და არამწეველთა შორის გამოიხატებოდა უკანასკნელთა ფილტვების დიდად განვითარებაში. რამდენადაც მოზარდი მცირე წლოვანია, იმდენად უფრო ცუდად მოქმედებს მისს ორგანიზმზე თამბაქო. ზოგიერთს ქვეყნებში თამბაქოს წევას მოზარდ თაობას სასტიკად უშლის თვით პოლიციაც. 45 შეერთებული შტატებიდან ამერიკაში 30 შტატი სასტიკად უკრძალავს ბავშვებს თამბაქოს წევას 16 წლამდის მაინც. კონნეკტიკუტის შტატში მაგალ. თამბაქოს მწევარს აჯარიმებენ ხუთი დოლარით. ვაჭარი, რომელმაც მოწაფეს მიჰყიდა თამბაქო, იხდის ათჯერ მეტს ჯარიმას. დასასრულ, იაპონიაში პირდაპირ კანონი სჯის მშობლებს, რომელნიც თამბაქოს მოწევის ნებას აძლევენ სკოლის მოწაფეებს.

არითმეტიკული ამოცანების სწავლების წესი დასაწყისს სკოლებში

არითმეტიკის სწავლების დროს, უმეტესად დასაწყისს სკოლებში, რიცხვითი მაგალითებისა და ფორმულების გამოანგარიშებას იმდენი დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვს, როგორც ამოცანების კეთებას, რადგანაც ამოცანების შეგნებით კეთება დიდად უწყობს ხელს მოსწავლის გონების განვითარებას, არითმეტიკულ მოქმედებათა შეთვისებას და ცოდნის პრაქტიკულად მოხმარება-გამოყენებასაც. ამას გარდა, ამოცანების კეთების დროს, არითმეტიკულ მოქმედებათა შესწავლაც უფრო სახალისო და მიმზიდველ სამუშაოდ ხდება მოწაფეთათვის, ვიდრე ვარჯიშობა მარტო რიცხვებზე. ცნობილი პედაგოგის შოხორტროცკის აზრით არითმეტიკის სწავლების დროს ამოცანები უნდა შეადგენდეს საშუალებას და არა მიზანს, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. ამოცანების კეთებით და მისივე საშუალებით მოწაფემ უნდა შეითვისოს საღი წარმოდგენილებანი და ნამდვილი ცნებები არითმეტიკულ ოთხ მოქმედებათა შესახებ. საშუალო სასწავლებლების უფროსს კლასებში, სადაც სწავლობენ თეორიულ კურსს,

ამოცანების კეთებას შეუდგებიან საჭირო თეორიულ განმარტებათა და ლოგიკურ დასკვნათა შემდეგ. მაგრამ არითმეტიკის პრაქტიკული კურსის შესწავლის დროს კი – ე. ი. დასაწყისს სკოლებში ამოცანების კეთება ყოველ დასკვნასა და განმარტებას წინ უნდა უსწრობდეს. საზოგადოთ დასაწყისს სკოლებში, როგორც სხვა საგნებში, აგრეთვე არითმეტიკის სწავლების დროსაც, განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევენ სხვადასხვა დასკვნა-განმარტებებს და, როცა ეს საჭიროა, არასოდეს მზამზარეული დასკვნა-განმარტება არ ეძლევათ მოწაფეებს; პირიქით, თვითონ მოწაფეები, საკუთარი გონების ვარჯიშობით და მასწავლებლების ხელმძღვანელობით თავისთავად შეიმუშავებენ ამა თუ იმ დასკვნებს, წესებს და განმარტებათა, რომელნიც გამოჰყავთ მათ ამოცანებისა, რიცხვითი მაგალითებისა და სხვა სავარჯიშოების კეთების შემდეგ.

ამოცანა ჰქვიან ყოველ საკითხს, რომელშიაც მოითხოვება ცნობილი რიცხვებიდან გამოსაცნობი რიცხვის შედგენა. ყველა არითმეტიკული ამოცანა უმთავრესად ორი ნაწილისაგან შესდგება: ამოცანის პირობებისა მოცემულის რიცხვებით და საკითხისაგან. პირველ ნაწილში ნაჩვენებია ის რიცხვები, რომლის საშუალებითაც უნდა გამოიცნონ საძიებელი რიცხვები და ურთიერთშორისი დამოკიდებულება ცნობილსა და საძიებელ რიცხვებს შორის. საკითხი მოითხოვს თუ რომელი მთავარი საკითხის გამოცნობაა საჭირო ამოცანაში.

ამოცანა განიყოფება მარტივად და რთულად. მარტივი ჰქვიან ისეთ ამოცანას, რომლის გამოსაცნობადაც საჭიროა ერთი რომელიმე არითმეტიკული მოქმედება და ისიც მხოლოდ ერთხელ. თუ ამოცანის გასაკეთებლად საჭიროა რამდენიმე არითმეტიკული მოქმედება, ანუ ერთი რომელიმე მოქმედება იხმარება რამდენჯერმე, ამისთანა ამოცანას რთული ეწოდება.

მარტივი ამოცანების კეთება ძნელი არ არის; საჭიროა მხოლოდ ცოტაოდენი მოფიქრება, მოსაზრება იმისი, თუ ოთხ არითმეტიკულ მოქმედებიდან რომელია საჭირო აღნიშნულს შემთხვევაში და შეეძლოს ბავშვს გამოანგარიშება. ამისათვის კი ფრიად საჭიროა, რომ ყოველი მოქმედების შესწავლის დროს მოწაფემ თვალსაჩინოდ გაიცნოს და შეიგნოს ყველა ტიპის ამოცანები, რომლებიც მოითხოვენ ამა თუ იმ არითმეტიკულს მოქმედებას. მაგალითად, ტიპიური ამოცანები გაყოფაზე იქნებიან ასეთი: 1 /გამოიცანით რიცხვის რომელიმე ნაწილი, 2 /დაამცირეთ რიცხვი რამდენჯერმე, 3 /გამოიცანით, ერთი რიცხვი რამდენჯერ მოიპოება მეორეში, 4 /რამდენჯერ არის ერთი

რიცხვი მეორეზე მეტი. თუ მოწაფეებს ცხადად აქვსთ შეგნებული და წარმოდგენილი ტიპიური ამოცანები თითოეულის მოქმედების შესახებ, მაშინ მათ არც გაუჭირდებათ და ადვილადაც მიხვდებიან თუ რომელ შემთხვევაში რა მოქმედება იხმარონ.

თუ კარგად დავუკვირდებით, ყველა რთული ამოცანების კეთებაც მარტივი ამოცანების კეთებით იწყება, რომლიდანაც შემდგარია რთული ამოცანები. როდესაც რთული ამოცანების კეთების დროს ჩვენ ვანაწილებთ მას მარტივ ამოცანებად, მაშინ ვადგენთ ეგრეთწოდებულს ამოცანის გაკეთების გეგმას, რომლის მიხედვით ვაკეთებთ მარტივს ამოცანებს და თანდათან ვუახლოვდებით ამოცანის უმთავრესი საკითხის გამოცნობას, ე. ი. ვაკეთებთ რთულს ამოცანას.

თანამედროვე პედაგოგიურს მწერლობაში რთული ამოცანების კეთებისა და თავდაპირველად გეგმის შედგენის შესახებ გამორკვეულია ორნაირი ხერხი, რომელიც დამყარებულია ბავშვის სულიერ ძალთა განვითარებისა და საზოგადო პედაგოგიურს მოსაზრებაზე. ამ ხერხს უწოდებენ სინტეტიურს და ანალიტიურს. პირველ შემთხვევაში ამოცანაში ცნობილის რიცხვებიდან გადავდივართ გამოსაცნობელ რიცხვებზე; მეორე შემთხვევაში კი ამოცანის მთავარ საკითხიდან – ცნობილს რიცხვებზე. კარგად რომ დავუკვირდეთ მსჯელობას ამოცანების კეთების დროს შევნიშნავთ, რომ ანალიზიც და სინთეზიც ერთად აუცილებელი ხდება, მხოლოდ საქმე იმაშია თუ რომელი რომელს უნდა უსწრებდეს წინ და რა განსხვავებაა სინთეტიურსა და ანალიტიურს მეთოდებს შორის ამოცანების კეთების დროს. რომ უფრო ცხადად და თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ ეს განსხვავება, საჭიროდ მიგვაჩნია გავაკეთოთ ერთი და იგივე ამოცანა ორივე წესით.

ამოცანა: ვაჭარმა აურია ერთმანეთში 6 გირვანქა ოთხ მან. ჩაი, 7 გირ. სამ მან. და 9 გირ. ორ მან. როგორ გაუყიდია ერთი გირვანქა ამნაირად არეული ჩაი თუ მთლად ამ სავაჭროში ვაჭარმა აიღო სამი მან. მოგება? /იხ. კრებული ა. ნატროშვილისა № 789/.

გავაკეთოთ ეს ამოცანა ჯერ სინტეტიურის წესით:

მასწავლებელი – ამოცანაში არის ნათქვამი: ვაჭარმა აიღო ასარევად 6 გირვანქა ჩაი; თითო გირვანქა ღირდა 4 მანეთად. რა შეგვიძლიან გამოვიცნოთ ამ რიცხვებიდან?

მოწაფე – შეგვიძლია გავიგოთ ექვსი გირვანქა ჩაის ფასი. თუ გირვანქა 4 მანეთად ღირდა, ექვსი გირვანქა ეღირება ექვსჯერ უფრო ძვირად. ამიტომ ერთი გირვანქის ფასი უნდა გავაბევროთ 6-ჯერ – 4 მ. X 6 = 24 მან. ამნაირად პირველი ხარისხის ჩაი ღირებულა 24 მანეთი.

მასწ. – მეორე ხარისხის ჩაი აუღია ვაჭარს 7 გირვანქა, თითო გირვანქა ღირებულა 3 მან. რა შეგვიძლიან გავიგოთ ამ რიცხვებიდან?

მოწ. – შეგვიძლიან გავიგოთ 7 გირ. ჩაის ფასი. ამისათვის 3 მან. X 7 = 21 მან.

მასწ. – მესამე ხარისხის ჩაი აუღია ვაჭარს 9 გირ. ღირებული თითო ორ-ორ მანეთად. ამ რიცხვებიდან რა შეგვიძლიან გავიგოთ?

მოწ. – ადვილად გავიგებთ მესამე ხარისხის ჩაის ფასს. ამისათვის 2 მ. X 9 = 18 მან.

მასწ. – ჩვენ გავიგეთ, რომ პირველი ხარისხის ჩაი ღირებულა სულ 24 მან. მეორე – 21 მან. და მესამე 18 მან. ვინ მიხვდება რა შეგვიძლიან ეხლა გავიგოთ ამ რიცხვებიდან?

მოსწ. – ეხლა შეგვიძლიან გავიგოთ სამი ხარისხის ასეული ჩაის ფასი. ამისათვის 24 მ. + 21 მ. + 18 მ. = 63 მან.

მასწ. – ეხლა ჩვენ გავიგეთ რომ სამივე ხარისხის არეული ჩაი 63 მან. ღირებულა. ვაჭარმა სამი მანეთი მოიგო. რა შეგვიძლიან გავიგოთ ამ რიცხვების შემწეობით?

მოსწ. – ეხლა შეგვიძლიან გავიგოთ როგორ გაუყიდია ვაჭარს არეული ჩაი. ამისათვის 93 მ. + 3 მან. = 66 მან.

მასწ. – შეიძლება გავიგოთ რამდენ გირვანქას იწონიდა არეული ჩაი?

მოსწ. – დიაღ, შეიძლება: პირველი ხარისხისა იყო 6 გირ. მეორესი 7 გირ. და მესამესი 9 გირ.; ამისათვის 6 გ. + 7 გ. + 9 გირ. = 32 გირ.

მასწ. – ჩვენ გავიგეთ, რომ არეული ჩაი ვაჭარს 66 მანეთად გაუყიდია, ნარევი ყოფილა 22 გირ. შეგვიძლიან ეხლა გავიგოთ თუ როგორ გაუყიდია ვაჭარს ერთი გირვანქა არეული ჩაი?

მოსწ. – ეს ადვილი გასაგებია – თუ 22 გირ. არეული ჩაი გაყიდა ვაჭარმა – 66 მანეთად – 1 გირ. გაყიდდა 22 ჯერ იაფად. ამისათვის 66 მ. : 22 = 3 მან.

სინტეტიური მეთოდით ამ ამოცანის კეთების დროს, ჩვენ კვალდაკვალ მივყვებოდით და გადავდიოდით ცნობილიდან გამოსაცნობ რიცხვებზე ისე, რომ ამ რთული ამოცანიდან პირველად ავიღეთ ორი რიცხვი, დავუსვით კითხვა და შესდგა პირველი მარტივი ამოცანა, რომელიც ერთის მოქმედებით გავაკეთეთ; შემდეგ კიდევ ავიღეთ ორი რიცხვი, დავუსვით კითხვა და ისიც ერთი მოქმედებით გავაკეთეთ და ასე ბოლომდის. როცა ამოცანებს სინტეტიურის წე-

სით ვაკეთებთ ყოველთვის უნდა მოვისაზროთ რა არის მოცემული რთულს ამოცანაში და რა რიცხვი ვიპოვეთ მარტივი ამოცანების გაკეთების შემდეგ და რა შეგვიძლია გავიგოთ ამ რიცხვებიდან. სინთეტიური წესით ამოცანების კეთების დროს მოსალოდნელია ორგვარი შეცდომა: 1. შეფარდება ცნობილ რიცხვებისა და 2. შეცდომა კითხვების დაყენებაში. მაგალ. რომ აგვეღო პირველი ხარისხის ჩაის 1 გირ. ფასი და მეორე ხარისხის ჩაის 1 გირ. ფასი შეგვეძლო გაგვეგო რამდენით ძვირი იყო პირველი ხარისხის ჩაის 1 გირ. მეორე ხარისხის ჩაის 1 გირვანქაზე. მაგრამ ცხადია, რომ ამგვარი შეფარდება ცნობილი რიცხვებისა ვერაოდეს ვერ მიგვაახლოვებდა რთული ამოცანის მთავარი საკითხის გამოცნობასთან.

ეხლა იგივე ამოცანა გავაკეთოთ ანალიტიურის წესით.

მასწ. – რა იკითხება ამოცანაში?

მოსწ. – როგორ უნდა გაყიდოს ვაჭარმა თითო გირვანქა არეული ჩაი, რომ მიიღოს სამი მანეთი მოგება.

მასწ. – შეიძლება ამის გამოცნობა ერთბაშად, ერთის მოქმედებით?

მოსწ. – არა, არ შეიძლება.

მასწ. – რა უნდა ვიცოდეთ იმისათვის, რომ მივუგოთ კითხვაზე თუ რა ეღირებოდა თითო გირვანქა არეული ჩაი?

მოსწ. – ამისათვის უნდა ვიცოდეთ როგორ გაუყიდია ვაჭარს არეული ჩაი მთლად და რამდენ გირვანქას შეადგენდა ნარევი.

მასწ. – შეიძლება ერთბაშად გავიგოთ როგორ გაუყიდია ვაჭარს არეული ჩაი?

მოსწ. – არა. ჯერ უნდა გავიგოთ რა უღირდა ვაჭარს არეული ჩაი და შემდეგ შეგვიძლია გავიგოთ როგორ გაყიდდა იგი ნარევს, თუ სამი მანეთი მოიგო.

მასწ. – შეგვიძლიან ერთის მოქმედებით გამოვიცნოთ არეული ჩაის ღირებულება?

მოსწ. – ვერა, ამას ერთბაშად ე. ი. ერთის მოქმედებით ვერ გამოვიცნობთ, რადგანაც სამი ხარისხის ჩაი იყო, თითო ხარისხის ჩაის რაოდენობაც და ფასიც სხვადასხვა არის.

მასწ. – მაშ საიდამ უნდა შევუდგეთ ამოცანის კეთებას?

მოსწ. – ჯერ გავიგოთ I ხარისხის ჩაის ფასი. ამის გაგება ადვილად შეიძლება, იმიტომ რომ ვიცით რამდენი გირვანქა ჩაი იყო პირველი ხარისხისა და რა ღირდა თითო გირვანქა.

მასწ. – შემდეგ რას გავიგებთ?

მოსწ. – გავიგებთ მეორე ხარისხის ჩაის ფასს.

მასწ. – შემდეგ რას გავიგებთ?

მოსწ. – მესამე ხარისხის ჩაის ფასს.

მასწ. – იმის შემდეგ რაღას გაიგებთ?

მოსწ. – როდესაც ვიცით თითოეული ხარისხის ჩაის ფასი ცალ-ცალკე – ადვილად შეგვიძლიან გავიგოთ სამივე ხარისხის ერთად არეული ჩაის ფასიც.

მასწ. – ამის შემდეგ რაღას გაიგებთ?

მოსწ. – როცა გვეცოდინება რა უღირდა ვაჭარს არეული ჩაი და რამდენი მანეთი მოიგო ვაჭრობით, შეგვიძლიან გავიგოთ როგორ გაუყიდია ვაჭარს მთლად არეული ჩაი.

მასწ. – შეგვიძლიან ერთის მოქმედებით გამოვიანგარიშოთ არეული ჩაის რაოდენობა?

მოსწ. – ამის გაგება ადვილია, როცა ვიცით თითოეული ხარისხის ჩაის რაოდენობა ცალ-ცალკე.

მასწ. – იმის შემდეგ, როდესაც გეცოდინებათ რამდენად გაუყიდია ვაჭარს არეული ჩაი და რამდენ გირვანქას შეადგენდა ნარევი, შეგიძლიათ გაიგოთ რა ფასში გაყიდდა ვაჭარი თითო გირვანქა არეულ ჩაის?

მოსწ. – დიაღ, ამის გაგება ძნელი არ არის.

ამისთანა ანალიზის შემდეგ შეადგენენ ამოცანის გაკეთების გეგმას: ა/ გავიგოთ ფასი პირველი ხარისხის ჩაისა; ბ/ გავიგოთ ფასი მეორე ხარისხის ჩაისა; გ/ მესამე ხარისხის ჩაისა; დ/ რა უღირდა არეული ჩაი ვაჭარს; ე/ რამდენად გაუყიდნია არეული ჩაი მოგებით; ვ/ რამდენ გირვანქას იწონიდა არეული ჩაი და ზ/ როგორ გაუყიდია ვაჭარს თითო გირვანქა არეული ჩაი. ამ მარტივი ამოცანების გამოცნობა ძნელი არ არის, ამიტომ არც ჩვენ მოვიყვანთ აქ იმ კითხვა-პასუხებს, რომელსაც მიმართავენ მასწავლებლები და მოწაფეები ამ ამოცანების გამოსაანგარიშებლად და რომელიც იგივე სინთეტიური წესია სწავლებისა, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ.

ამისთანა მსჯელობას ამოცანების ასახსნელად ეწოდება ანალიტიკური წესი. ამ წესით, ამოცანის გეგმის შესადგენად, ჩვენ გადავდიოდით უცნობიდან, ამოცანის უმთავრეს საკითხიდან ცნობილს რიცხვებზე. თავდაპირველად ვაქცევთ ყურადღებას ამოცანის უმთავრესს საკითხს, ვიგონებთ თუ რა რიცხვებია საჭირო, როგორ გამოვიცნოთ ეს საკითხი ერთის მოქმედებით. შემდეგ ვაქცევთ ყურადღებას თუ რა მისაშველებელი რიცხვები უნდა გვქონდეს უმთავრესი

საკითხის გამოსაცნობლად. ასე მივდივართ იმ დრომდის, ვიდრე არ მივიღებთ ისეთს მარტივს ამოცანას, რომლის გამოსაანგარიშებლად საჭირო რიცხვები უკვე ნაჩვენებია ამოცანის პირობაში. ამგვარი თანდათანობით, მარტივი ამოცანების შედგენის დროს, ჩვენ ვადგენთ ამოცანის ახსნის გეგმას. ამასთან მარტივი ამოცანის გამოცნობა უნდა იწყებოდეს იმ ამოცანიდან, რომელშიაც შედიან რთულ ამოცანაში ნაჩვენები რიცხვები. როცა ამ მისაშველებელ რიცხვს ვიპოვით, შემდეგ გადავდივართ მეორე მარტივ ამოცანაზე და სხვ. ანალიტიური წესით ამოცანების ახსნის დროს შესაძლებელია შეცდომა მოხდეს მხოლოდ რიცხვების ურიგოდ შეფარდებაში. კითხვების დასმაში კი შეცდომა შეუძლებელია, რადგანაც თითოეული საკითხი მარტივი ამოცანების შესახებ განისაზღვრება ან რთული ამოცანის უმთავრესი საკითხით ან წინასწარი მარტივი ამოცანებით. ერთი საკითხი ლოგიკურად გამომდინარეობს მეორიდან.

ეხლა შევადაროთ ერთმანეთს ეს ორივე მეთოდი ამოცანების ახსნისა.

სინთეტიური წესით ამოცანების ახსნის დროს ჩვენ მივდივართ ალალბედზე, თითქოს არა ვართ დარწმუნებული ჩვენს მოქმედებაში, ვირჩევთ ამოცანის პირობიდან ორს რიცხვს და იმაზე ვადგენთ მარტივ ამოცანას, რომელსაც მაშინვე გამოვიანგარიშებთ. შემდეგ ავიღებთ კიდევ ორს რიცხვს, ვადგენთ ამოცანას, ვანგარიშობთ და სხვ. ამნაირად მოვახდენთ რამდენიმე ცდას, რომელთაც ერთმანეთში არავითარი კავშირი არ აქვსთ და არც არიან გადაბმულნი ერთის სახელმძღვანელო ძაფით, ანალიტიკური მეთოდის ხმარებით კი ჩვენ შემთხვევით არ ვადგენთ მარტივს ამოცანებს, პირიქით, ვადგავართ საღს ლოგიკურ გზას: შევადგენთ თუ არა პირველ მარტივ ამოცანას, რომლის საკითხს ამოცანის უმთავრესი საკითხი შეადგენს, ჩვენ ცხადად დავინახავთ თუ რომელი ახალი რიცხვები უნდა ვიცოდეთ წინდაწინ და რანაირი მარტივი ამოცანის შედგენაა საჭირო ამ რიცხვებზე.

სინთეტიური მეთოდით, როდესაც მოწაფე აღნიშნავს პირველ მარტივ ამოცანას, მაშინვე შეუძლია მისი გამოანგარიშებაც წინასწარ სრული გეგმის შეუდგენელად, შემდეგ შეადგენს თუ არა მეორე მარტივ ამოცანას – იმასაც მაშინვე გამოიცნობს და ასე ბოლომდის. ანალიტიური მეთოდით კი თავდაპირველად უნდა შეადგინონ ამოცანის ახსნის გეგმა და შემდეგ იწყონ გამოანგარიშება ე. ი. დაადგნენ სინთეტიურს გზას.

სინთეტიური წესი ამოცანის კეთებისა უფრო ადვილია როგორც მოწაფეებისა ისე მასწავლებლებისთვინაც, რადგანაც ცნობილი რიცხვებიდან უცნობზე გადასვლა უფრო ადვილია, ვიდრე უცნობიდან ცნობილზე. მეორე შემთხვევაში უნდა გააბან მთელი ჯაჭვი დასკვნათა, რომლის რგოლები ლოგიკურის კავშირით არიან ერთმანეთზე გადაბმული.

ეხლა საკითხი იმაშია ამოცანების ახსნის ამ ორ მეთოდში რომელს უნდა დაეთმოს უპირატესობა განსაკუთრებით დასაწყისს სკოლებში.

არითმეტიკული ხასიათის ამოცანებში, რომლებიც უფრო მეტია ყველა არითმეტიკულ ამოცანათა კრებულებში, რომელნიც დანიშნულია დასაწყისი სკოლებისათვის, დამოკიდებულება ცნობილსა და გამოსაცნობ რიცხვებს შორის იმდენად ცხადი და გამჭვირვალეა, როგორც ამბობს გოლდენბერგი, რომ შესაძლებელია ამოცანის ახსნის გეგმის შედგენა უანალიზოდაც ე. ი. სინთეტიურის გზით.

ალგებრული ხასიათის ამოცანებში, რომელნიც ხანდისხან შეგვხვდება დასაწყისი სკოლების ამოცანათა კრებულშიაც და აგრეთვე ისეთს ამოცანებში, თუმცა არითმეტიკულის ხასიათისაში, მაგრამ რომლის აზრიც უფრო დახლართულია, სასურველია მიმართონ ანალიტიკურს წესს. მაგალითად, დასაწყისის სკოლის დაბალსა და საშუალო განყოფილებებში უმეტესი რიცხვი არითმეტიკული ამოცანებისა შეიძლება სინთეტიურის წესით აიხსნას, უფროსს განყოფილებაში კი საჭიროა ისარგებლონ ანალიზითაც, რადგანაც ეს მეთოდი უფრო ხელს უწყობს მოწაფის გონების განვითარებას, ვიდრე სინთეტიური. თანამედროვე პედაგოგია გვამცნევს, რომ არითმეტიკის სწავლების დროს უმთავრესი მნიშვნელობა ანალიტიკურ წესს აქვს, რადგანაც მხოლოდ ანალიზის შემწეობით კეთდება ამოცანები, რომლის სინთეტიური ახსნა წარმოადგენს მხოლოდ გამეორებას. ამოცანების მნიშვნელობა მარტო გამოანგარიშების წესში კი არ არის, რომელსაც მოწაფეები სწავლობენ რიცხვითი მაგალითებისა და ფორმულების გამოანგარიშებაზედაც, როცა საკითხი, თუ რომელი მოქმედებაა საჭირო, აშკარადა სჩანს, არამედ ამოცანის სიტყვიერ შინაარსის ლოგიკურად შემუშავებაში. ამიტომაც ამოცანების კეთების დროს საჭიროა თავდაპირველად სიტყვიერი მსჯელობა, ყოველი აზრის ლოგიკურად დამტკიცებით და ბოლოს, თითქოს ამ მსჯელობის შესამოწმებლად, შეძლებისდაგვარად, სწრაფად გამორკვევა, გამოანგარიშება იმ რიცხვისა, რომლის გამოცნობაც შეადგენს ამოცანის მთავარ საკითხს.

ყველა ამოცანები, რომელთაც დასაწყისს სკოლებში აკეთებენ, შეიძლება გავყოთ სამ რიგად: 1 /ელემენტარული ანუ მარტივი ამოცანები, რომელსაც აკეთებენ დასაწყისი სკოლის პირველ განყოფილებაში, ზოგჯერ მეორეშიაც და რომელიც შემდეგ იხმარება საშუალებად რთული ამოცანების კეთების დროს, 2 /რთული, ადვილი ამოცანები და 3 / მოძნელო ამოცანები, რომელთა უმეტესს რიცხვს წარმოადგენენ ესრედ წოდებული ტიპიური ამოცანები. მეორე რიგის ამოცანებს დიდი განმავითარებელი მნიშვნელობა აქვს. რთულს, მაგრამ არა ძნელს ამოცანებზე ადვილად შესაძლებელია მოწაფეების ვარჯიშობა ამოცანათა კეთების გეგმის შემუშავებაში, დაწვრილებით განმარტებაში და ლოგიკურ მსჯელობაში საჭირო შემთხვევაში თითოეული მოქმედების საფუძვლიან ხმარების შესახებ.

ხშირად შეინიშნება, რომ მოწაფეს კლასში ბლომად უკეთებია ამოცანები, მაგრამ რომელიმე ადვილი ამოცანის კეთების დროს იგი ხშირად სრულიად იბნევა და გზა-კვალს ვერ იგნებს, თუმცაღა მას ამგვარ ამოცანაზე უფრო ძნელიც გაუკეთებია წინად. ამგვარი მოვლენა ცხადი დამამტკიცებელია იმისი, რომ მოწაფეს წინად ამოცანები შეუგნებლად, უაზროთ და მექანიკურად უკეთებია. ლოგიკურ მსჯელობას და აზროვნებას მოკლებული მოწაფე ყოველთვის ალალ-ბედზე სჯის და პირველი დაბრკოლებისთანავე გონება ებნევა, წვალობს და ვერა მოუხერხებია რა. ამიტომაც, ამ ნაკლის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა ამოცანების ტიპებად დაყოფა და ყოველი ტიპის ამოცანის მტკიცედ შეთვისება, განმარტება და ლოღიკური მსჯელობის გამართვა მათ შესახებ.

ჩვენს დროში შეხვდებით ისეთს მასწავლებლებსაც, რომელთაც არაფრად მიაჩნიათ არც სინთეტიური და არც ანალიტიკური გარკვეული მეთოდები ამოცანების კეთებაში. პირველი საკითხი, რომლითაც მიმართავენ მოწაფეებს ამისთანა მასწავლებლები, ასეთია: როგორ უნდა გავაკეთოთ ეს ამოცანა? ამ საკითხის განუსაზღვრელობა და უაზრობა აშკარად სჩანს თვით მოწაფეების პასუხიდანაც, რომელნიც არაფერს გარკვეულს პასუხს არ იძლევიან, რადგანაც თვითონ ეს საკითხი არ ითხოვს ერთს გარკვეულს პასუხს. პირიქით, ბავშვის გონება ამ შემთხვევაში ვერ ჩერდება ერთს საგანზე, დაიფანტება. ზოგი მასწავლებელიც უარსჰყოფს ორივე მეთოდს და ამოცანის კეთებას პირდაპირ მოწაფეთ მიანებებს, რომ მათ თავისთავად გამოარკვიონ წესი ამოცანის გაკეთებისა. თუ ეს ამოცანა ანალოგიურია, რომლის ტიპიური ამოცანა წინათ უკვე განმარტებით გაუკეთებიათ და შეუგ-

ნიათ, მაშინ ამისთანა ხერხის წინააღმდეგ არა ითქმის რა. მაგრამ თუ ეს ამოცანა ტიპიურია და მოწაფეები მას ეხლა სწავლობენ, აუცილებლად საჭიროა განმარტება, შესაფერისი კითხვების მიცემა, პასუხი და სრული შეგნებით შეთვისება ამოცანისა, რომელიც შემდეგ დაეხმარება მსგავს ამოცანების თავისუფლად და შეგნებულად კეთებაში.

საზოგადოთ მოწაფეები მაშინ უფრო დახელოვნდებიან ამოცანების კეთებაში, როდესაც ერთი გარკვეული გზა აქვთ დასახული, დაჩვეულნი არიან ერთს საზოგადო მსჯელობის წესს ამოცანათა კეთების შესახებ. მაშინ საღი ლოღიკური აზროვნებაც, საკმაო ვარჯიშის შემდეგ, ვითარდება და ამოცანათა კეთებაც სრული შეგნებით წარმოებს.

ქართველ მასწავლებელთა შორის

დღევანდელი პირობები. — სახალხო მასწავლებელთა აზრი დედა ენით სწავლების შესახებ. — მათივე აზრი რუსული ენის სწავლებისა და რუსული ენის სახელმძღვანელოების შესახებ. —თბილისის დასაწყის საქალაქო სკოლების პროგრამის გამო.

დღევანდელ ჩვენი სახალხო სკოლის ერთს მთავარს საკითხს, სხვათა შორის, სახელმწიფო ენის სწავლება შეადგენს. სკოლის რეორგანიზაცია, მის სასურველ ნიადაგზე დაყენება და საქმის გაძღოლა დიდს მოფიქრებას, საგნის სერიოზულად განხილვას, აწონ-დაწონვას, ასჯერ გაზომვას და ერთხელ გადაჭრას მოითხოვს, რომ მომავალშიაც სკოლა ისეთი უნაყოფო და ხალხისთვის მავნე დაწესებულება არ იყოს, როგორც ეს ნათლად დაგვანახვა წარსულმა უკუღმართმა და გათახსირებულმა დრომ.

განა უარესი სიდუხჭირე, გონებრივი სიბნელე და ათასგვარი ბოროტება შესაძლებელია, რაც თავს გადაგვხდა წარსულში? ხალხი ფულს იხდიდა, ტყავს იძრობდა, ცდილობდა შვილი მაინც აეცდინა იმ სატანჯველს, რასაც თვითონ მუდამ დღე განიცდიდა და ის ნაოფლ-ნაღვაწი და ტანჯვით მოპოვებული ფულიც ხმარდებოდა არა ნამდვილ და ჭეშმარიტ განათლების საქმეს, რომლითაც ხალხი წელში გამაგრებულიყო, ზნეობრივად და ქონებრივადაც ამაღლებულიყო, არამედ მისი გადაგვარების და მოსპობის საგანს. საქმით ისე გა-

მოდიოდა, რომ ხალხს თავისს ყელგამოსაჭრელ დანას თვითონვე ალესვინებდნენ. და თუ დღევანდელ პირობებშიაც ამგვარ მოვლენას სადმე ადგილი აქვს, იგი საყოველთაოდ უნდა დაიგმოს, მოისპოს და მხოლოდ მაშინ შეგვიძლიან თამამად დავადგეთ განახლების გზას.

სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენებურ სახალხო მასწავლებლებს, უმეტესობას მაინც, როგორც დასავლეთ საქართველოს აპრილში მომხდარმა მასწავლებელთა კრებებმა დაგვანახვა, შეგნებული აქვთ ის ჭეშმარიტება, რომ სახალხო სკოლებში, ერთკლასიანი იქნება თუ ორკლასიანი, ყველა საგნების სწავლება დედაენით უნდა წარმოებდესო. ეს გაბედული, თამამი და საღი აზრი ჩვენებური სახალხო სკოლების მასწავლებლებისა მით უფრო მოსაწონია, რომ მათ კარგად შეუგნიათ, რომ სკოლა ბუნებრივი შემნახველია ენისა. როცა მეცნიერების, ხელოვნების შესწავლა დედა ენით მოსპობილია, მაშინ ეს გარემოება ხელს უწყობს არა მარტო ენის დაცემას, გახრწნილობას, არამედ ხალხის გადაშენების საქმესაც, რასაც ცხადად ამტკიცებენ ყველა განათლებული ერის წარჩინებული მეცნიერები, რადგანაც ერის ისტორია ყოველთვის მჭიდროდ დაკავშირებულია ენის ისტორიასთან.

უეჭველია ასეთი დადგენილება სახალხო სკოლების მასწავლებლებისა ჭკუაში არ მოუვა არცერთ დახავსებული წარსულის მოტრფიალეს, რომლის ისტორიული დუხჭირი დევიზია სჩანთქან სხვა ერები და დააყენონ ისინი გადაგვარების გზას, მაგრამ უნდა ვინუგეშოთ იმით, რომ ამგვარ შეხედულობას სარჩული უკვე გაუცვდა და იგი ვერავითარ გასამართლებელ საბუთს მეცნიერებაში ვერ ჰპოულობს. ცხოვრებაშიაც, სადაც კი ხალხს შეგნებული აქვს თვით არსებობის აზრი, ცხადად სრულდება ერთი მეცნიერის სიტყვები: „ადამიანი ხელისა და ფეხის შეკვრას უფრო ადვილად ჰნებდება, ვიდრე ენის შეკვრას“.

რამდენადაც საღი შეხედულება წარმოსთქვეს ჩვენებურმა სოფლის მასწავლებლებმა დედა ენით აუცილებლად სწავლების საჭიროების შესახებ, იმდენად ნაადრევად და მოუფიქრებლად მიგვაჩნია ზოგიერთების აზრი უცხო ენის სწავლების შესახებ. ამ საკითხში, როგორც სჩანს სხვადასხვა ცნობებიდან, რომელიც რედაქციას მოსდის, მასწავლებლები ზოგი ადგას იმ გზას, რა გზითაც დღემდის უვლიათ – უცხო ენის სწავლებას პირველ წლიდანვე არჩევენ დაიწყონ ე. ი. შეჩვეულან ძველს ჭირს, რომელსაც მაგრად გაუდგამს ფესვები ძვალ-რბილში. უმრავლესობა კი იმ აზრისაა, რომ რუსული ენის სწა-

ვლება სახალხო სკოლებში მეორე წლიდან დაიწყონ. უმცირესობის აზრის სიდუხჭირე ყველასათვის ცხადი უნდა იყოს და მთლად გონებით ბრმა უნდა იყოს ადამიანი, რომ ვერ ამჩნევდეს იმ მავნებლობას, რომელიც მოსდევს უცხო ენის უდროვოდ სწავლებას, მაგრამ ჩვენ ვერ ვეთანხმებით ვერც უმრავლესობის აზრს ამ საკითხში. ცხადია, რომ უცხო ენის შესწავლას კეთილი ნაყოფი მოსდევს მხოლოდ მაშინ, როდესაც მოწაფე საკმარისად განვითარებული და მომზადებულია დედა ენაზე, გრძნობს უცხო ენის სწავლების საჭიროებას და ხალისიც აქვს ამისთვის. ერთი წელიწადი სოფლის სკოლაში ისეთს მცირე ხანს წარმოადგენს, რომ ბავშვი, რაც უნდა ნიჭიერი იყოს, მაინც იმდენად განვითარებული არ იქნება, რომ ძალადაუტანებლად, ხალისით მიჰყოს ხელი უცხო ენის შესწავლას, რომელიც ერთ უძნელეს საგანთაგანია და მისი უდროვოდ სწავლება მოწაფეს, განვითარების მაგიერ, უარესად უხშავს გონებას და უჩლუნგებს მეხსიერებას.

სრული პედაგოგიურის მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ პოლონელები, როცა რუსული ენის სწავლებას ადგილს აძლევდნენ მეოთხე წლის შემდეგ და დღესაც ეს აზრი უცვლელად ტრიალებს მათ შორის. ჩვენთვის გამოუსადეგარია ამ საკითხში ლატიშელ მასწავლებელთა მოსაზრებაც, რომელიც გვამცნევს, რომ მათ რუსული ენის სწავლების შემოღება მეორე წლიდან აქვსთ განსაზღვრული. გამოუსადეგარია მისთვის, რომ ლატიშელები, ადგილობრივი პირობათა მიხედვით, იძულებულნი არიან სკოლაში ორი უცხო ენა ასწავლონ – რუსული და გერმანული. ამ უკანასკნელის სწავლებას იწყებენ მეოთხე წლიდან. უეჭველია ეს გარემოება რომ არ აბრკოლებდეს საქმეს – ლატიშელი მასწავლებლებიც იმ დასკვნამდის მივიდოდნენ, რომ რუსული ენა უფრო გვიან ესწავლებინათ და არა მეორე წლიდან. ან რაღა შორს მივდივართ. ოთხმოც წლებში, როცა არც პედაგოგიურად მომზადებული მასწავლებლები გვყვანდა და არც იმდენი სკოლები, რაც დღეს არის შედარებით ცოტად თუ ბევრად მაინც, საგუბერნიო კრებაზე სახალხო სკოლის მასწავლებლებმა ისეთი სულის სიმტკიცე და გონების სისაღე გამოიჩინეს, რომ ერთხმად დაადგინეს სახალხო სკოლებში რუსული ენის სწავლების შემოღება მხოლოდ მესამე წლიდან. რასაკვირველია, მათ აზრს განხორციელება ვერ ეღირსა. უსამართლო ძალამ თავისი გაიტანა, მაგრამ იმ მასწავლებლებს ჩვენ ერის განათლების ისტორიაში სახელი მაინც შერჩათ იმისი, რომ უსამართლო ბოროტების წინაშე მონურად ქედს არ იხრიდნენ და ამით ზნეობრივად კმაყოფილება მაინც შეინარჩუნეს.

მაშინ, სხვათა შორის, სამოსწავლო მთავრობის მხრით ერთი საწინააღმდეგო მოსაზრებათაგანი ის იყო, რომ სამწლიანს ერთკ-ლასიან სკოლებში ერთის მასწავლებლით მესამე წელიწადს მოწა-ფეები იმდენს რუსულს ვერ შეისწავლიდნენ, რომ შემდეგ ნასწავლი მალე არ დავიწყებოდათ. მაგრამ დღეს, როგორც ვიცით, ამ მოსა-ზრებას ადგილი არ აქვს, იმიტომ რომ ერთკლასიანი სკოლა ჩვენში ყოველგან ოთხი წლის კურსით უნდა მოეწყოს, თუ მეტით არა, /ამის წინააღმდეგი ვგონებ იშვიათად იქნება ვინმე/. ორი მასწავლებლით მაინც, რომელთაც ორ-ორი განყოფილება ექნება წინანდელ სამის მაგიერ. თუ მივიღებთ მხედველობაში ამ გარემოებას და მოწაფეების ცოტად თუ ბევრად უკეთ განვითარებას ორის წლის განმავლობაში, თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მესამე წლიდან რუსული ენის სწავლების დაწყებას სახალხო სკოლებში უფრო მეტი და უკეთესი ნაყოფი მოჰყვება, ვიდრე ამაზე ადრე დაწყებას. დარწმუნებულნი ვართ, რომ ორი წლის განმავლობაში, თუ მასწავლებლები არ უღა-ლატებენ, გვერდს არ აუქცევენ საუკეთესო სახელმძღვანელოებს, დაადგებიან ნამდვილს და საღ პედაგოგიურს აზრს და მიმართულე-ბას, რუსულიდანაც იმდენს შეასწავლიან მოწაფეებს, რომ ეს ცოდნა მეტ ბარგად არ დარჩება ცხოვრებაში და არც მიეცემა დავიწყებას ისე, როგორც დღემდის იყო – თავს ულაყებდნენ საწყალ ბავშვებს მარტო რუსულით და ვერც ამას სწავლობდნენ საცოდავები და ვერც სხვა რასმე და ნასწავლსაც მალე ივიწყებდნენ. აი, უტყუარი სურათი გუშინდელი და დღევანდელი ჩვენი სკოლისა. რუსული ენის მესამე წლიდან სწავლების დაწყებით იქნება ჩვენ მაინც განვახორციელოთ ის აზრი, რომელიც ოცდაათი წლის წინად უტრიალებდათ თავში ჩვე-ნებური სახალხო სკოლის მასწავლებლებს და თუ ეს წინსვლა არ იქნება ყოველ შემთხვევაში უკან ჩამორჩენასაც მოასწავებს.

ზემოთ მოვიხსენიე, რუსული ენის ნაყოფიერად სწავლება შე-საძლებელია ერთის მხრით მაშინ, თუ მასწავლებლები ამ ენის შე-სასწავლად აირჩევენ და შემოიღებენ პედაგოგიურად შემუშავებულს საუკეთესო სახელმძღვანელოს მეთქი. ჩვენმა დაკვირვებამ, ზოგ მასწავლებელთა აზრის მოსმენამ, ზოგი კრებების დადგენილებამ ნათლად დაგვანახვა, რომ ჩვენში ბევრს მასწავლებელს არ შესწევს უნარი გამოიცნოს არსებულს სახელმძღვანელოებში რომელი უფრო შესაფერისი, უკეთესი და სასარგებლოა ჩვენი ბავშვებისათვის რუ-სული ენის შესასწავლად. შინაურ ხუცესს შენდობა არ აქვსო, უთ-ქვამს ჩვენს ხალხს და მართალიც არის. ჩვენი პედაგოგის რუსული

ენის სახელმძღვანელოები რუსეთისავე პედაგოგიურს პრესას არა-ერთხელ მოუხსენებია ქებით. ამ ბოლო დროს იმავე მეთოდით და გეგმით, რომლითაც შედგენილია ჩვენი პედაგოგის ბ-ნი გოგებაშვილის რუსული ენის სახელმძღვანელოები, არა ერთს არა რუსთა სკოლების პედაგოგებს უხელმძღვანელიათ რუსული ენის სახელმძღვანელოს შედგენაში, მაგრამ ჩვენში სულ სხვაა... ჩვენი კაცის კარგიც ცუდია და სხვისი ცუდიც კარგია ჩვენთვის. სწორედ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ დ. აბაშის, სენაკის და სამტრედიის კრებებზე 3 და 4 აპრილს მასწავლებლები, როცა დაადგინეს რუსული ენის სახელმძღვანელო წიგნად შემოიღონ გრიგორიევის წიგნები და პროგრამის შედგენასაც ამის მიხედვით შეუდგნენ, მაგრამ რას ეუბნებიან ეს მასწავლებლები მოზარდ თაობას და საზოგადოებას – ამას მომავალი გვიჩვენებს, თუმცა-ღა წარსულმაც ბევრი სამსალა გვასვა და ისე მოგვშხამა, რომ ცუდს კარგისაგან ვერ ვარჩევთ. ძალაუნებურად მივეჩვიეთ უვარგისი სახელმძღვანელოების ხმარებას და დღესაც გვგონია, რომ ეს არის საუკეთესო.

როდესაც სახელმძღვანელოების შესახებ გვქონია საუბარი ზოგ მასწავლებლებთან ის აზრი გამოგვიტანია, რომ ზოგიერთებს, უვიცობის გარდა, უფროსის სიამოვნებაც, მონური მორჩილებაც ეტყობათ: ასრულებს იმას რაც ბატონს ესიამოვნება, თუ გინდ ეს იყოს ქვეყნის წაბილწვის საქმეც. უვიცობა გამოიხატება იმაში, რომ ხშირად სახელმძღვანელოში აძაგებენ იმას, რაც მისს ნამდვილ ღირსებას შეადგენს, მაგრამ დამახინჯებული ტვინი ამას ვერ არჩევს. რაც შეეხება მეორე ნაკლს, ეს ხომ ყველაზე უარესია: განა მონას, ყურმოჭრილ ყმას შეუძლიან აღზარდოს თავისუფლად მოაზროვნე მოქალაქე, თუ არა თავისებრივი ყმა, მონა და მორჩილი?! და აი, სწორედ ამ ჯურის მასწავლებლები ვერავითარ საღ ხელმძღვანელობას ვერ გაუწევენ ვერც სკოლას და ვერც მოზარდ თაობას.

ქალაქის დასაწყისს სკოლებში უკვე კარგა ხანია მასწავლებლები შეუდგნენ ახალი პროგრამების შედგენას. ტფილისის დასაწყისი საქალაქო სკოლების მასწავლებლებსაც შეუდგენიათ რაღაც პროგრამა, რომელიც ჯერჯერობით დიდის საიდუმლოებით არის მოცული, თუმცა-ღა საზოგადო საქმეში არავითარი საიდუმლო არ უნდა იფარებოდეს; პირიქით, ტფილისის სკოლების პროგრამის შემდგენელი მასწავლებლები უკეთ მოიქცეოდნენ, რომ ვიდრე მათ მიერ შედგენილს პროგრამას წარუდგენდნენ დასამტკიცებლად სადაც ჯერ არს, თავიანთი პროგრამის გეგმა ადგილობრივს გაზეთებში მაინც

დაებეჭდათ და შემდეგ, თუ მოისურვებდნენ იმ ცვლილების შეტანას, რასაც პრესსა და საზოგადოება შეიძლება დაუსახავდა, იმის მიხედვით შეასწორებდნენ და შემდეგ წარადგენდნენ დასამტკიცებლად, მაგრამ ასე არ მოიქცნენ.

ჩვენი ჟურნალის „განათლების“ რედაქციას სურდა გამოეთქვა თავისი აზრი ამ პროგრამების შესახებ, მაგრამ იგი სრულიად ხელმიუწდომელი გახდა მისთვის. ქალაქის გამგეობაში, სადაც წარდგენილია ხსენებული პროგრამა იმათგან, ვისაც ეს საქმე აბარია, ასეთი პასუხი მივიღეთ: „მასწავლებლებმა გვთხოვეს არავის გარეშე პირს არ აჩვენოთ წარმოდგენილი პროგრამები, რადგანაც ზოგიერთი ადგილები პროგრამისა ჯერ კიდევ შევსებას და შესწორებას ითხოვსო“.

ამნაირად, დავრწმუნდით, რომ ჩვენი ქალაქის სკოლის მასწავლებლებს ისეთი პროგრამა წარუდგენიათ ქალაქის გამგეობაში, რომელიც ჯერჯერობით დასრულებულად არ შეიძლება ჩაითვალოს და თუ ეს ასეა, უნდა ვიფიქროთ, რომ მასწავლებლები შესდგომიან საღ მოფიქრების, აწონ-დაწონვის და საქმის ყოველ მხრივ გარჩევის და გათვალისწინების გზას, რაც აუცილებლად საჭიროა ამ საქმეში და არა მოუფიქრებელი აჩქარება, რაც საქმეს უეჭველად ავნებს.

შინაური მიმოხილვა

სამრევლო სკოლები. — სახალხო უნივერსიტეტები. — ქართველ სტუდენტთა კავშირი. — სოფლად მუშაობა. — მასწავლებელთა კრებები. — ლექციები მასწავლებელთათვის. — ქართული ენა სასულიერო სემინარიაში.

ჩვენ წინ დევს საეკლესიო სკოლების მეთვალყურის ცნობილ ოდოევის ანგარიში 1906-7 სასწავლო წლისა. მეტის მეტად საყურადღებოა ამ ანგარიშის დაწვრილებით განხილვა, მაგრამ რადგან იქ ბევრი რამ გამოურკვეველია, ამიტომ ვიმედოვნებთ, რომ ამ ანგარიშს საქმესთან უფრო ახლო მდგომნი გაარჩევენ, ჩვენ კი შევეხებით ზოგიერთ პრინციპიალურ მხარეს. ამ ანგარიშში მოქცეულია მხოლოდ ქართლ-კახეთის და საზოგადოთ აღმოსავლეთ კავკასიაში არსებული სკოლები. სულ საანგარიშო წელს 293 სკოლა ყოფილა. აქედან ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას ეკუთვნოდა 51

სკოლა. აღნიშნულ რეგიონებში არაქართული სკოლა ყოფილა 176, ქართული 103, არეული 14, არაქართულ სკოლათა შორის რუსების 79, ბერძნების 75, ოსების 15, სხვა ეროვნებათა 10.

ყოველ მოწინავე ხალხში ახლა საკმარისად გამორკვეულია, რომ სკოლას საერო ხასიათი უნდა ჰქონდეს. ამიტომ იმის შესახებ, თუ რამდენად სასურველია თავისთავად სამრევლო სკოლების არსებობა, აქ არაფერს ვიტყვით. ცხადია, ჩვენი ძალ-ღონე მიმართულია იქითკენ, რომ სარწმუნოება კერძო ადამიანის სინდისის საქმეთ გავხადოთ და ყოველივე ძალდატანებითი ელემენტი, რომელიც მას ბატონობის იარაღად ხდის, ჩამოვაშოროთ. მაგრამ ისიც ცხადია ჩვენთვის, რომ ეს საზოგადო პოლიტიკური საკითხია და შეცდომა იქნებოდა ჩვენი მხრით, რომ სანამ ჩვენი იდეალი არ განხორციელდება, დღეს არსებულ სკოლებს ყურადღება არ მივაქციოთ და დღევანდელ პირობებშიც მათი შესაფერ ფარგალში ჩაყენება არ ვეცადოთ.

ყოველივე აწინდელ სკოლაში პირველი საკითხი, რომელიც ქართველ კაცს დაებადება, არის: რა მიზანს ემსახურება ის სკოლა? ჩემი არსებობის მოსპობა სურს თუ არაო? ამ მხრივ სამრევლო სკოლები უფრო უნუგეშო მდგომარეობას წარმოადგენენ, ვიდრე სამინისტრო. ამით კი არ გვინდა ვთქვათ, თითქო სამინისტრო სკოლებში საქმე კარგად იყოს დაყენებული. აქაც უნუგეშო მდგომარეობაა, მაგრამ აქ სამრევლო სკოლებში ანაფორიანმა მოხელეებმა კაკარდოსან მოხელეებს გაუსწრეს ეროვნული შევიწროების საქმეში. აქ გარუსების პოლიტიკა მეტის ძლიერებით, მეტის ძალდატანებით და ტლანქათ მოქმედებს. საკმარისია მოვიყვანოთ თვით ანგარიშიდან ერთი ადგილი: „ეპარქიაში ერთი ორკლასიანი სკოლაა – ბოდბის სკოლა... თუ მივიღებთ მხედველობაში მოწაფეთა მეტის მეტ სხვა და სხვაობას გვარტომობისა და ენის მხრივ ამ სკოლაში, უნდა ვაღიაროთ, რომ განათლების მხრივ ის ბევრს იძლევა, ხოლო პრაქტიკულ პედაგოგების მომზადების მხრივ – ცოტას, ისე რომ საქმეში ბოდბის სკოლის მოწაფეები მდარე ღირსების მასწავლებლები გამოდგნენ“.

განზრახ მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას ამ ადგილს. ყოველივე საზოგადოებაში დღეს ბევრი სარწმუნოებრივი მიმდინარეობა ტრიალებს, ბევრი ადამიანი სარწმუნოებასაც უარყოფს, მაგრამ ამავე დროს ყოველი შეგნებული ადამიანი თავის მოძმის რწმენას პატივს სცემს, ცდილობს არ შელახოს ის, ცდილობს არ შეურაცხყოს ის, რაც წმინდათ და თაყვანსაცემლათ მიაჩნია მის მეზობელს. ჩვენში კი რას ვხედავთ? იქ, სადაც დასაფლავებულია წმ. ნინო, რომელსაც მორ-

წმუნე ქართველი წმინდანად და თავის განმანათლებლათ სთვლის, დღეს გამართეს სათარეშო ასპარეზი და ამ წმ. ნინოს საფლავზე, მის გულზე მოუყარეს თავი მთელ გადაგვარების და ყოველ ქართულის მოსპობის საშუალებებს, ალბად იმ აზრით, რომ მონას უფრო მწვავეთ აუწვან გული, როგორც ძველად ჭრილობაში მარილს ჩაყრიდნენ. ეს თარეში, ეს სწორედ ბოდბეში თავის მოყრა სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა იმ მიზნით, რომ ყოველივე ერის შვილს თავისი ენა დაავიწყდეს და უსათუოთ გადაგვარდეს, ერთი უსასტიკესი დაცინვათაგანია ჩვენი და სირცხვილი იმ ქართველს, რომელიც ამ სასწავლებელში შვილებს მიაბარებს. იმავე სამშობლო ენის სავსებით გამოსაძევებლად გამოგონილია ეგრედ წოდებული შერეული სკოლები, რომელთა რიცხვი 14-ს უდრის. ე. ი. ვთქვათ, სკოლაში შემოდის 40 ქართველი. მათ გვერდში ამოუყენებენ ხუთიოდე არაქართველს და საქმეც გაიჩარხა – ქართული ენა სრულიად გაიძევება. მაგრამ განა იქ კი ხარობს ეს ენა, საცა მარტო ქართველობაა? ჯერ ერთი საზოგადო სწავლება ამ დაბალ სკოლაშიაც რუსულათ სწარმოებს. ამასთან ცხადია, ქართული ენაც მივიწყებულია იმდენად, რომ ყურადღებასაც არავინ აქცევს. ამ მდგომარეობას მშვენივრად ახასიათებს ტფილისის მაზრის მეთვალყურე. ის ამბობს: სკოლებში გამეფებულა ამოსაღებური ე. ი. ანბანების ჩათვლითი მეთოდი, კითხვა ცუდი, განმარტებითი კითხვა არ არსებობს, ალბათ, – დაცინვით შენიშნავს მეთვალყურე, მასწავლებლები ფიქრობენ, რომ ქართულ ენაზე ქართველ მოწაფეებისთვის ყველა სიტყვები და ფრაზები ცნობილი არისო. დიაღ, ჩვენ ვხედავთ, რომ ამ სკოლებშიაც გამეფებულია ძალმომრეობის სისტემა და ყველა სხვა ასეთი სკოლების ბუნებრივ ნაკლთან ერთად, აქ დევნილია ქართული ენა და საზოგადოდ ყველაფერი, რასაც ჩვენი კულტურული სახე აქვს.

მაგრამ აქ მეორე ფაქტია ფრიად საყურადღებო. ყველა თქვენგანს მოეხსენება, რომ დროთა განმავლობაში საქართველოს საუკეთესო ნაწილი, სადაც ჰყვაოდა ჩვენი ძველი კულტურა, იძულებული იყო სარწმუნეობა გამოეცვალა, მაჰმადიანობა მიეღო. ერთი უმთავრესი გამანადგურებელი შედეგი ჩვენი დამოუკიდებლობის დაკარგვისა იყო მაჰმადიან ქართველების საქართველოდან გადახვეწა. მთელი მესხეთი თითქმის დაიცალა. იმის დასახასიათებლად თუ რუსის მთავრობა როგორ ერეკებოდა მაჰმადიან ქართველებს და მათ ადგილს ასახლებდა სხვებს, საკმარისია ბ. ივანენკოს წიგნიდან – „მოქალაქეობრივი გამგეობა იმიერკავკასიისა“ /ეს წიგნი

მთავარ-მართებლის ბრძანებითაა გამოცემული /, ერთი ადგილი მოვიყვანოთ. ახალციხის აღებიდანვე /მოხდა 16 აგვისტოს 1828 წელს/ დაიწყო მასიური გადასახლება. ქვეყნიდან გარბოდენ მაჰმადიანი ქართველები და სხვა მაჰმადიანებიც და მთელ თავის ავლა-დიდებას და მამულს ნაოხრად სტოვებდენ. შემოდიოდენ იმათ ადგილს ოსმალეთის სომხები, რომელთაც რუსის მთავრობა განსაკუთრებული ზომებით იზიდავდა. თვითოეულს აძლევდა 25 მანეთს შემწეობას და 6 წლით ყოველივე გადასახადისაგან ანთავისუფლებდა. ამასთანავე უსასყიდლოდ ურიგებდა მიწებს, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებად გამოაცხადეს მაჰმადიანების შემდეგ. ამნაირად ადგილობრივ მცხოვრებს ერეკებოდნენ, ხოლო სხვებს იზიდავდნენ. არზრუმის და ყარსის საფაშოებიდან დაიძრა 90 000-ზე მეტი სომხობა. 1832 წ. გადასახლება ცოტათი შეჩერდა და შესაძლო გახდა ხალხის აღწერა. აღმოჩნდა, რომ მცხოვრებთა შედგენილობა სრულიად შეიცვალა. ახლა უმეტესობას შეადგენენ სომხები და მხოლოდ მათ მოსდევდენ მაჰმადიანი ქართველები.

ეს პროცესი დღესაც არ შეჩერებულა. თანდათან ქართველობა თავის მიწა-წყალს ჰკარგავს. ამნაირად მაჰმადიანი ქართველობიდან მეოთხედიც არ დარჩენილა თავის სამშობლოში. ცხადია, ჩვენისთანა სუსტი ერისათვის ასეთი მოვლენა მეტად შემაძრწუნებელი და დამაფიქრებელია. მით უმეტეს მეტი სიფრთხილით და წინდახედულობით უნდა მოვეპყრათ იმათ, ვინც დარჩენილან. განსაკუთრებული ყურადღება სარწმუნოებრივ მხარეს უნდა მიექცეს. მდაბიო ხალხშიც სარწმუნოება ეროვნებისაგან დღესაც ვერ გაურჩევიათ. რომელიმე მჟავანაძე გინდ ზოიძე, როცა ის ქრისტიანია, – ქართველია, ხოლო თუ მაჰმადიანია – „თათარია“. მდაბიო ხალხში სარწმუნოებრივი ფანატიზმი დღესაც ძლიერია, ეროვნული ერთობის გრძნობა ვერ გამოუმჟღავნებია და ბევრს აქ შიში აჩერებს. მას ქართველობა ქრისტიანობის სინონიმი ჰგონია. როცა საქმე ასეთ მდგომარეობაშია, ყოველი ქართველის უღრმესი მოვალეობაა სიტყვით და საქმით დაარწმუნოს მაჰმადიანი ქართველი, რომ მის სარწმუნოებას ყველა პატივისცემით ეპყრობა და არც არავის განზრახვა აქვს ამ სარწმუნოების წინააღმდეგ გაილაშქროს. რას ვხედავთ ჩვენ სამრევლო სკოლებში? რა ასულდგმულებს მათ? ანგარიშში ვკითხულობთ: „ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში ქრ. აღმდგენელი საზოგადოების 4 სკოლა არსებობს. ამ სკოლების არსებობის თავი აზრია საღმრთო სჯულის კარგათ სწავლება გამაჰმადიანებულ ქართველთა შორის. ანგარიშის

მეორე ადგილს, რომლის სათაურია „საეკლესიო სკოლების სამისიონერო მნიშვნელობა“ ვკითხულობთ: „თუ გვკითხავენ: სად და რა პირობებში არის, რომ მართმადიდებელთან ერთად ლოცულობდენ სექტანტები, მაჰმადიანები, ებრაელები და სხვები – ვუპასუხებთ: ამიერკავკასიის სამრევლო სკოლებშიო“. ცოტა შემდეგ: „მაჰმადიანს მისიის ეშინია, ხოლო არ ეშინია სკოლის და ამავე დროს ეჭვიც არ ებადება, რომ მაჰმადიანობას სწორედ ამ მხრით მოელის უმეტესი დანაკლისი. ამ ანგარიშის შემდგენელმა ცხადათ დაანახვა მასწავლებლებს საღმრთო სჯულის და რუსული ენის გაკვეთილებზე, თუ როგორ შეუმჩნევლად შეიძლება მაჰმადიანის ქრისტიანულ შემეცნებათა წრეში ჩათრევა“. ამნაირად ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ჩვენი ქრისტიანები ჩათრევის გზას დასდგომიან. არაფერს ვიტყვით იმის შესახებ, თუ რამდენად შეფერის ქრისტიანობის მქადაგებელთ მოტყუება და თვალთმაქცობა. ჰეტემ მართალი სთქვა, რომ რაც დღეს სიკეთეა დროთა ბრუნვაში ბოროტებად იქცევაო. აქ მხოლოდ მივაქცევთ მთელი ჩვენი საზოგადოების ყურადღებას, რომ საჭიროა დღეიდანვე მოისპოს ყოველგვარი მისიონერობა მაჰმადიანთა შორის. საჭიროა შევიგნოთ, რომ ყოველი მისიონერი ჩვენი გაერთიანების მტერია, კულტურულ ერთობის შეგნების მოწინააღმდეგე და ამიტომ დავგმოთ იგი. განსაკუთრებით ვაფრთხილებთ ქართველ სამღვდელოებას, ნუ გახდება იმ ბრმა იარაღად იმ საქმისა, რომელიც არცერთი მხრით გასამართლებელი არ არის. ნუ შეუწყობს ხელს ისეთს საქმეს, რომელიც ჩვენ თვითშეგნებას, ურთიერთდაახლოვებას და საერთო ეროვნულ ინტერესების გამომჟღავნებას ძირს უთხრის.

***

დღევანდელ კულტურულ მუშაობაში ერთი პირველ ადგილთაგანი სახალხო უნივერსიტეტს ეკუთვნის და თუ იმას დღეს შესაფერი ადგილი არ უჭირავს ჩვენ ცხოვრებაში, რამდენად კულტურულათ გავძლიერდებით, იმდენად სახალხო უნივერსიტეტის მნიშვნელობა და ფასი ამაღლდება. ჩვენი სუსტი ძალების მიხედვით აქა-იქ ჩვენ ქალაქებში უკვე დაარსდა სახალხო უნივერსიტეტი და საქმეც შედარებით კარგად მიდის, რადგან ხალხი მას სიყვარულით შეხვდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ დიად საქმეს უკვე დაბრკოლება ეღობება გზაზე. როგორც გაზეთებმა გადმოგვცეს, ბათომში პოლიციას ქართულ

ენაზე ლექციების კითხვა აუკრძალავს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს მოვლენა შემთხვევითია და უნივერსიტეტის მოთავენი არ დაზოგვენ ღონისძიებას, რომ ეს დაფერხება დასძლიონ და თავიანთი კულტურული მუშაობა მხნედ განაგრძონ.

***

ყოველივე ხალხისთვის საშიში მდგომარეობა მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა მისი ძალები დაქსაქსულია. არც ხალხის მცირე რიცხვიანობა, არც მისი შედარებითი კულტურული სისუსტე არ წარმოადგენს ისეთ საშიშროებას, რომლის დაძლევა არ შეიძლებოდეს, თუ მუშაობა საერთო გეგმით, გარკვეული გზით და სისტემატიურად სწარმოებს. მცირედი ძალაც, სისტემატიურად და ხანგრძლივად მომქმედი, თავისას გაიტანს. ჩვენი აწინდელი უძლურება იმარხება სწორედ ამ დაქსაქსვაში. დაკვირვებით, კერძო ბაასით, მწერლობით რწმუნდებით, რომ ჩვენში ბევრია მუშებში, გლეხებში, ვაჭრებში, ყოველ დარგის ადამიანებში ისეთი პირნი, რომელნიც ხედავენ ჩვენს მდგომარეობას, გული შესტკივათ საზოგადო საქმისათვის, მზად არიან ემსახურონ თავის სამშობლოს კულტურულ აღორძინებას, მაგრამ ცალ-ცალკე უძლურნი, ხოლო საზოგადო შეკავშირებას მოკლებულნი, ვერაფერს აწყობენ და უიმედობას ეძლევიან. მაგრამ, რადგან დღითიდღე შეგნება მატულობს, ეს განკერძოებაც აუტანელი ხდება და საზოგადოების სხვადასხვა წრეში შეკავშირების, ძალების მოკრების სურვილი იბადება. ასეთ საიმედო სურვილს, ასეთ მისწრაფებას დღეს ვამჩნევთ ჩვენ მოსწავლე ახალთაობაშიც. სახელმწიფოებრივი აღზრდა ჩვენში გადაიქცა უმთავრეს წამლეკავ, გამანადგურებელ საშუალებად. ახალთაობის აღზრდა ისეთ ჭახრაკში ჩავარდა, რომ ქვეყნის მომავალნი თავის სამშობლოს მოსწყდნენ, მისი ინტერესებით ვერ სულდგმულობენ, მის ჭირ-ვარამს ვერ ითვალისწინებენ, რომ შემდეგ ცხოვრებაში საშუალება მიეცეთ თავისი ძალ-ღონით თავისივე სამშობლოს აღორძინებას და აყვავებას ემსახურონ. უნუგეშოა ჩვენი მდგომარეობა დღევანდელ დღეს. არცერთ სფერაში ჩვენ არ მოგვეპოვება საკმარისად მომზადებულნი და თავის ქვეყნისთვის შესაფერი ცოდნით და გამოცდილებით აღჭურვილნი მოღვაწენი. და ყველაფერი ეს შედეგია იმ დუხჭირი წვრთნისა, რომელსაც ჩვენი ახალთაობა სახელმწიფო სკოლაში განიცდის. რა-

საკვირველია, ყველა ამ შედეგების გაქარწყლება, დაძლევა, რომელნიც აღზრდის ასეთ სისტემისაგან მომდინარეობს, დღევანდელ პირობებში შეუძლებელია. ამისათვის ერთადერთი საშვალებაა თვით ამ სისტემის დარღვევა და მოზარდ თაობის ისეთ პირობებში ჩაყენება, რომელიც ჩვენ ცხოვრებას, ჩვენ კულტურას და ჩვენ ინტერესებს შეეფერება. მაგრამ აქედან სრულიად არ მომდინარეობს ის დასკვნა, რომ სანამ ეს პირობები ძირიანად არ შეიცვლებიან, გულზე ხელი დავიკრიფოთ და მშვიდად ვუცქიროთ ჩვენი მომავლის განადგურებას. პირიქით, დღევანდელ პირობებშიაც შეუჩერებლივ უნდა ვიბრძოლოთ, რომ შევასუსტოთ გამანადგურებელ ძალების გავლენა და მომავალს ნიადაგი მოვუმზადოთ.

უმაღლეს სასწავლებლებში ჩვენი მოსწავლე ახალთაობა ორ გვარად მოწყვეტილია თავის სამშობლოს: ჯერ სწავლების ორგანიზაციით და მერე უცხო ქვეყანაში იძულებით გადახვეწით. ამნაირად, ამ თაობისათვის სამშობლო ქვეყნის ცხოვრება დაჩრდილული, დამალული, შეუგნებელი და გაუცნობი რჩება. აქედანაა ის შედარებითი გულგრილობა ჩვენი საზოგადო საქმეებისადმი, რომელსაც ცხოვრებაში გამოსულს ახალგაზრდებს ვამჩნევთ. ცხადია, ასეთ ფრიად სამწუხარო მოვლენას ყოველი ღონისძიებით უნდა შევებრძოლოთ და პირველნი, ვინც ამ ბრძოლაში მოვალე არიან ჩაერიონ, თვით ახალგაზრდობაა. თვითონ მან უნდა შეეცადოს აწინდელ პირობებთან ბრძოლას, შეეცადოს გაითვალისწინოს თავის სამშობლოს მდგომარეობა და პირობების მიხედვით მოქმედების გეგმაც შეიმუშაოს. კაცს მაშინ ესაჭიროება გულშემატკივარი, დამხმარე, მეგობარი, როცა უჭირს, თვარა, როცა ულხინს, როცა ის ძლიერია, მაშინ მტერიც კი მეგობრობს მას.

და აი, სწორედ მოვესწარით ისეთს წუთს, როცა სტუდენტობამ სერიოზულად დააყენა საკითხი საერთო შეკავშირების შესახებ. ჯერ-ჯერობით ჩვენ ვიცით მხოლოდ ორი ქალაქის ქართველ სტუდენტების აზრი – ტომსკისა და ოდესის. ორივ ქალაქის სტუდენტი ქართველობა მომავალ „სრულიად ქართველ სტუდენტთა პროფესიონალურ კავშირს“ ორ მიზანს უსახავს: ერთია კერძო სტუდენტების ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესება, ურთიერთის დახმარება, საზოგადოების დახმარების გაძლიერება და ან არსებულ დახმარების უფრო წესიერი და სამართლიანი განაწილება; მეორეა – საზოგადო მიზანი – სამშობლოსთვის მუშაობა, საზოგადოებრივი მუშაობა. პირველ მიზანს ჩვენ აქ არ შევეხებით, რადგან ის ყველასთვის აშკარაა.

ჩვენთვის უფრო საყურადღებოა, თუ როგორ უცქერის სტუდენტობა ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას და რის გაკეთებას გვპირდება. აი, რას გვეუბნება თავის მოწოდებაში ტომსკის სტუდენტობა, რომლებმაც კავშირის დაარსების საჭიროება პირველად აღძრეს:

„ჩვენ, ტომსკის ქართველმა სტუდენტებმა, მივიღეთ რა მხედველობაში დღევანდელი მომენტი, – მომენტი საზოგადოებრივ შინაარსის იდეალებისათვის მხნე, გააფთრებულ მუშაობისა; გავითვალისწინეთ რა დღევანდელი ჩვენი და მთელ ქართველ სტუდენტების მდგომარეობა, თუ სადამდე მიგვიყვანა დღევანდლამდე უკუღმართმა სწავლა-აღზრდის წარმოებამ, აუცილებელ საჭიროებად ვცანით ჩვენის ძალთა განვითარების ნორმალურ კალაპოტში ჩასაგდებად და ბუნებრივ კავშირის გასაღვივებლად ჩვენსა და სამშობლო ქვეყნის შორის, შევუდგეთ / სანამ დრო არის / ეროვნულ კულტურულ მუშაობას, შევისწავლოთ ყოველმხრივ ჩვენი ქვეყნის წარსული და აწმყო, ჩვენი ერის ჭირ-ვარამი ჩვენის საკუთარ ჭირ-ვარამად დავისახოთ და საკუთარი ფარხმალი აღვმართოთ ყოველ მისკენ მიღებულ მახვილის საწინააღმდეგოდ. მეორედ, გავითვალისწინეთ რა ჩვენი უნუგეშო მდგომარეობა ეკონომიურის მხრით, თუ როგორი უსამართლობა ხდება დღეს მთელი ქართველ საზოგადოების და ჩვენ შორის სტიპენდიების და დახმარების განაწილების დროს, თუ როგორ უღარიბესნი, ბეჯითნი და ნიჭიერნი ჩვენგანი შიმშილ-სიცივეს განიცდიან მაღალ სასწავლებელში სწავლის მიღების დროს, ხოლო უფრო შეძლებულნი და ფუქსავატნი კი სარგებლობენ საზოგადოების დახმარებით. ამაების მოსაწესრიგებლად გიწოდებთ ყველა ქართველ სტუდენტებს დღეიდანვე შევერთდეთ, შევკავშირდეთ, ხელი-ხელს მივცეთ ქვემო მოყვანილ „სრულიად ქართველ სტუდენტთა პროფესიონალურ კავშირის“ წესდების პროექტის განსახილველად და მის მიერ დასახულ მიზნების ცხოვრებაში განსახორციელებლად“.

ამ მოწოდებიდან ჩანს, რომ სტუდენტობამ გაითვალისწინა ჩვენი მდგომარეობა და სურს შეუდგეს ეროვნულ კულტურულ მუშაობას. მიზანი სწორედ რომ მოსაწონია, მხოლოდ, სამწუხაროდ, როგორც ტომსკის, ისე ოდესის სტუდენტობას ეს ეროვნული კულტურული მუშაობის წრე მეტად ვიწროდ შემოუხაზავს. აი, როგორ განმარტვენ ტომსკის სტუდენტები თავის მიზანს:

მიზანი კავშირისა: კავშირის მიზანს შეადგენს, პირველად, ყოველგვარი კულტურული მუშაობა სამშობლო ქვეყნის შესასწავლად, მეორედ, ღარიბ ქართველ სტუდენტთა მატერიალური დახმარება.

კულტურული მუშაობა: ა/ეროვნულ-კულტურული მუშაობა კავშირისა გამოიხატება სამშობლოს წარსულის და აწმყოს ყოველმხრივ გაცნობა-შესწავლაში /მაგ. შესწავლა ჩვენის ისტორიისა, ენისა, ლიტერატურისა, ეკონომიურ-პოლიტიკურ მდგომარეობისა, სტატისტიკურ ცნობების შეკრება ჩვენის მხარის შესახებ და სხვ.; / ბ / ამ მიზნის მისაღწევად კავშირი იძენს სამეცნიერო შინაარსის წიგნებს, სახელმძღვანელოებს და იკავებს მჭიდრო კავშირს, როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე სხვა ქვეყნის კულტურულ დაწესებულებებთან/ მაგ. სამეცნიერო აკადემიებსა, ისტორიულ არქივებსა, მუზეუმებთან და სხვ./.

ოდესის სტუდენტობა არ კმაყოფილდება მარტო შესწავლით. მას სურს პირდაპირი მოქმედებაც, მაგრამ აქაც ამ მოქმედებას ფრთა ეკვეცება:

„კრებამ მიიღო რა მხედველობაში ჩვენი ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა და ის დიდი წყურვილი ჩვენის მასსისა განათლებისადმი, რომლის დასაკმაყოფილებლადაც არ არსებობენ ჩვენში საკმაო ძალები და აგრეთვე ის, რომ თვით მოკავშირეთა გასავითარებლად არ კმარა მხოლოდ თეორეტიულად თავისი ერის წარსულის და აწმყოს შესწავლა, არამედ საჭიროა თეორიის და პრაქტიკის ერთად მსვლელობა, რადგან ამგვარ საქმის დაყენება უფრო მეტს საშუალებას მოგვცემს ხალხის ყოფა-ცხოვრების გაცნობისას, საჭიროდ სცნო პროექტის დედა-აზრის გაფართოვება, სახელდობრ, კრების აზრით, კავშირის მიზანი უნდა იყოს არა მარტო თვით-განვითარება და ურთიერთის დახმარება ეკონომიურად, არამედ აგრეთვე ამხანაგების მოწოდება საზაფხულოდ ლექციების საკითხავად“.

ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა ყველამ კარგათ იცის. რომელ სფერაში გვაქვს რამე? სად ვართ ძლიერნი? და განა ასეთ მდგომარეობაში მარტო ლექციების კითხვაა საკმარისი? კულტურული მუშაობა ფართო, უსაზღვრო ასპარეზია: ლექციების წაკითხვა, წიგნების დაწერა თუ გადმოთარგმნა, სამკითხველოების გამართვა, წერა-კითხვის გავრცელება, სამეურნეო ცოდნის გავრცელება. ჩვენი უმთავრესი სისუსტე სიღარიბეა, რომელიც პოლიტიკურ პირობებთან ერთად შედეგია უმეცრების და უპატრონობის. მატერიალურ კულტურაზე ზრუნვა უპირველესი საკითხია ჩვენთვის. დღეს მთელი ქართველობა მხოლოდ მონაა უფრო კულტურულ ხალხთა. იმას არ აქვს გარკვეული, თუ რა გზას უნდა ადგეს ეკონომიურ ცხოვრებაში. და აი, აქ საჭიროა უპირველესი დახმარება. ჩვენი კულტურის შესწავლა, გაკვლევა იმ გზისა, რომელსაც უნდა დაადგეს ამათუიმ კუ-

თხის წარმოება, მწარმოებელთა შეკავშირება, როგორც წარმოების გასაუმჯობესებლად, ისე ნაწარმოების გასასაღებლად. ამასთან დაუმატეთ ხალხის უღონობა სხვადასხვა სენთან ბრძოლაში. ერთი სიტყვით, კულტურული მუშაობა მეტად დიდი, დაუშრეტელი საქმეა და სტუდენტობაც თავის შედგენილებით მეტად მრავალფეროვანია. ერთს ისტორიული კვლევის უნარი აქვს, მეორეს ბუნების შესწავლა ეხერხება, მესამეს ეკონომიური ცხოვრების გათვალისწინება აინტერესებს, მეოთხეს პირდაპირ პრაქტიკული მუშაობა სწყურია. შეკავშირებას სწორედ ის მნიშვნელობა აქვს, რომ ყველა შრომის მოწადინეთ ერთობის სახელით მუჯლუგუნი წაჰკრას, ყველა წაახალისოს და ისეთ პირობებში ჩააყენოს, რომ ყოველივე შრომის მსურველს თავისი ნიჭის და მისწრაფების მიხედვით შეეძლოს თავისი წვლილი შეიტანოს საერთო კულტურულ სალაროში. იმედია, ეს ასეც მოხდება, მომავალ სტუდენტთა კავშირის მიზანი გაფართოვდება, ჩვენ მხოლოდ დაგვრჩენია სიხარულით მივეგებოთ ქართველ სტუდენტთა მისწრაფებას და ვუსურვოთ ახლო მომავალში მათ მიზანი სავსებით განეხორციელებიოთ.

***

მოგვიახლოვდა ზაფხული, როცა მასწავლებლობა და მოსწავლე-ახალგაზრდობა უმეტესად სოფლად გადის და საზოგადოდ თავისუფლდება თავის პირდაპირ მოვალეობისაგან ჩვენზე გაცილებით უფრო დაწინაურებულ ქვეყნებშიაც, სადაც სახელმწიფო და კომუნები ერთმანეთს ეჯიბრებიან სახალხო განათლების გავრცელებაში, იქაც კი კერძო ინიციატივას, კერძო მუშაობას ყოველივე სახელმწიფოებრივ დაწესებულების გარეშე დიდი ასპარეზი აქვს. ცხადია, ჩვენში, სადაც არავითარი ადგილობრივი თვითმმართველობა არ არსებობს, სახელმწიფოებრივი დაწესებულებანიც მცირედია და ყველა უკუღმართათ მოქმედებენ, კერძო ინიციატივას, კერძო მუშაობას მეტი არსებობის საფუძველი აქვს, მას მეტი მნიშვნელობა აქვს და ამიტომაც მეტ ყურადღებას უნდა იპყრობდეს ჩვენი მხრით. ყოველი სასარგებლო ძალა აქ უნდა გამოვიყენოთ. სოფლად და საზოგადოდ მდაბიო ხალხში წერა-კითხვის გავრცელება, კითხვების გამართვა, წიგნების გავრცელება ეს ისეთი საქმეა, რომელიც ყოველივე ცოტაოდნად განათლებულ ადამიანს შეუძლია და მასთან მეტად დიდ მნიშვნელოვანია.

წარმოიდგინეთ, სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, ხუთი ათასი მასწავლებელი და მოსწავლე გავა სოფლად ზაფხულში. თითო კაცმა დღეში თითო საათი რომ შესწიროს ამ მწიგნობრობის გავრცელების საქმეს ამა თუ იმ სახით, მაშინაც დიდ შედეგს მივიღებთ. და ეს ისეთი შედეგი იქნება, რომელიც შემდეგშიაც ნაყოფს მოიტანს. საზოგადოდ წერა-კითხვის და მწიგნობრობის საქმე ჩვენში ყოველგან სუსტია, ბევრ ადგილას ვაჟებიდან თუ რამოდენიმე ნაწილი სწავლობს, ქალები სულ სკოლის გარეშე რჩებიან. მაგრამ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის ადგილები, სადაც სკოლა ან სრულიად არ არსებობს, ან მეტად მცირე რიცხვი არსებობს. ასეთი ადგილებია ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი, სამეგრელო და განსაკუთრებით მაჰმადიანთა კუთხე. ამიტომაც ჩვენ მოვუწოდებთ ყველა იმათ, ვისაც კი ძალა და სურვილი შესწევს ამ საქვეყნო საქმეს ცოტაოდენი დრო მოახმარონ, აუცილებლივ შეუდგენ მუშაობას. ამასთან იმედი გვაქვს, რომ ჩვენი საზოგადოებაც ყურადღებით მოეპყრობა ამ საქმეს და ჯეროვან დახმარებასაც აღმოუჩენს. იმის იმედიც გვაქვს, რომ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რამდენადაც კი შეიძლება გაწვდება, დაეხმარება მსურველთ წიგნების მიწოდებით.

***

განმათავისუფლებელმა მოძრაობამ სხვათა შორის პირველ ადგილზე წამოაყენა განათლების საქმე. დღეს ყველასათვის ცნობილია, რომ სკოლა შეიქნა ძლიერ იარაღად ადამიანთა გაბატონებულ კლასების სურვილისა და მიზნისამებრ აღზრდის, გაწვრთნის იარაღად. ხოლო რადგან ბატონობა სარგებლობს ყოველივე საშუალებით, რომელიც მას ხელს უწყობს, ამიტომაც სკოლაზე გავლენა აქვს და მის ხასიათს არკვევს, როგორც კლასობრივი, ისე ეროვნული და სარწმუნოებრივი ბატონობა. განთავისუფლებისაკენ მიმსწრაფ ხალხის ერთ პირველ მიზანთაგანი იყო გამოეხსნა თავისი ახალ-თაობა ამ ბატონობის კლანჭებიდან და მისი აღზრდა ნორმალურ პირობებში ჩაეყენებია. ამიტომაც პირველი დღიდანვე განმათავისუფლებელი მოძრაობა შეეხო სკოლის დუხჭირ პირობებს და მოინდომა მისი შეცვლა, დემოკრატიზაცია. ამ საქმეში განსაკუთრებული უნარი და თავის მოვალეობის შეგნება გამოიჩინა იმერეთის მასწავლებლობამ, რომელმაც კიდეც შეიმუშავა შესაფერი პროგრამა და შეე-

ცადა მის ცხოვრებაში გატარებას. მაგრამ დრონი იცვალნენ, რეაქციის სუსხმა დაჰბერა. ამ დროს ბევრი მიიმალა, ბევრი ძველ გზას დაუბრუნდა, ბევრმა ხალხის იმედები არ გაამართლა. როგორც ჩვენ საქმე გვიჩვენებს, იმერეთის მასწავლებლობის დიდ უმრავლესობას დღესაც არ უღალატია თავის მოვალეობისათვის და, მიუხედავად აუტანელ პირობებისა, ცდილობს ერთხელ არჩეულ ღირსეულს გზას გადაუხვიოს.

გაზეთებმა უკვე მოგვაწოდეს ცნობები, რომ აპრილის პირველ რიცხვებში, იმერეთში, სხვადასხვა საბოქაულოებში გაიმართა მასწავლებელთა კრებები ორკლასიან სკოლებისათვის პროგრამის შესამუშავებლად. კრებები ისეთ პირობებში მოეწყო, რომ, ცხადია, ნორმალური მუშაობა შეუძლებელი იყო. ჯერ ერთი – მასწავლებელთა კრებული დაქსაქსეს და საგუბერნიო ან მაინც სამაზრო კრებების მაგიერ, გამართეს საბოქაულოს კრებები. ალბათ კარგად ახსოვთ ანდაზა: „გაჰყავი და იბატონეო“. მეორე – კრებებს წინდაწინვე განუსაზღვრეს პროგრამა და უჩვენეს, თუ რა საკითხებს არ უნდა შეხებოდა; ამასთან თავმჯდომარეც წინდაწინვე დაუნიშნეს. აშკარაა, ამ პირობებში მუშაობა შეუძლებელი იყო. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მასწავლებელთა უმრავლესობა მაინც პირნათლად გამოვიდა ასეთ განსაცდელისაგან და მახეში არ გაება. მხოლოდ უმთავრესი სამუშაო მაინც წინაა. და აი, სწორედ აქ ვხედავთ, თუ რამდენად საჭიროა შეერთებული მუშაობა, საერთო ძალის მოკრება და ჩვენც იმედი გვაქვს, რომ მთელი ქართველი მასწავლებლობა, რაც კი პროგრესიულ ელემენტს შეიცავს, შეკავშირდება, ერთს გარკვეულს გეგმას შეიმუშავებს და ეცდება ხალხთან ერთად არ დააგდოს. ამისათვის კი აუცილებლივ საჭიროა ყველა ქართველ მასწავლებელთა შეერთება. დროა წვრილმან კინკლაობას თავი დავანებოთ და მეტი შეგნება გამოვიჩინოთ.

***

არანაკლებ საჭიროა მასწავლებელთა საზოგადოება მასწავლებლების თვითგანვითარებისათვის. მხოლოდ იმ ადამიანს აქვს უფლება იმასწავლებლოს, რომელიც თვითონ მუდამ სწავლობს. ერთი შეჩერება გონებრივ ცხოვრებაში, თვითგანვითარების საქმის ღალატი მასწავლებელს უკვე აძაბუნებს და ართმევს იმ განსაკუთრე-

ბულ მიმზიდველობით ელფერს, რომელიც გონებით მომუშავე ადამიანის თანმყოლი თვისებაა, ხოლო ამ თვისების დაკარგვა მასწავლებელს უბრალო მოხელედ ხდის, რაც სწავლა-აღზრდის საქმეში მეტად მომაკვდინებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. გონებრივ ცხოვრებას ერთი აუცილებელი თვისება აქვს: ის შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოებაში. თუ ადამიანი მჭიდრო საზოგადოებაში ცხოვრობს, რამდენადაც ძლიერია აზრთა გაცვლა-გამოცვლა და ჭიდილი, იმდენად გონებრივ ცხოვრების, გონებრივ არსებობის ინტერესი დიდია და იმდენად ადამიანი უფრო აალმასებს თავის გონებას და მუდამ განვითარების გზაზე მიდის. ჩვენში არაერთს მაგალითს შენიშნავთ, რომ ადამიანი ახალგაზდობაში მეტად ფხიზელ გონებას იჩენს, ცოდნის წყურვილიც ძლიერი აქვს. მხოლოდ როცა ცხოვრებაში გამოდის, თანდათან დუნდება და ბოლოს ძველი ნარჩომით თუ ცხოვრობს, თვარა სხვა არაფერი მოიპოვება მის გონებრივ სალაროში. და ასეთ მოვლენას მხოლოდ იმიტომ აქვს ადგილი, რომ ჩვენ ცუდ პირობებში ვართ, ფრთა ვერ გაგვიშლია, რომ ჩვენი ცხოვრება რიგიანად მოვაწყოთ. განსაკუთრებით ეს ითქმის დაბალი სკოლის მასწავლებლებზე. აიღეთ რომელიც გნებავთ განათლებული ქვეყანა. აქ უსათუოდ არსებობს მასწავლებელთა კავშირი, აქ იმართება მასწავლებელთა კრებები, მოწყობილია საერთო სამკითხველოები და ამასთან აწყობენ განსაკუთრებულ ლექციებს, რომ მასწავლებელთ გაუადვილდეთ გონებრივი წინსვლა და ახალი ცოდნა შეიძინონ. ჩვენ ამ მხრივაც მეტად შევიწროებული ვართ. თავისუფალი სუნთქვა აღარ გვეღირსა, მაგრამ ამ პირობებშიაც უნდა შევეცადოთ და საზაფხულოდ მოვაწყოთ ლექციები, რომ მსურველ მასწავლებელთ საშუალება მიეცეთ შესაფერი მასალა მოიპოვონ, დაიმედებულნი ვართ, რომ ის მასწავლებელნი, რომელთაც პირნათლად სურთ თავის მიზანს ემსახურონ, დიდი ხალისით მოეკიდებიან ამ საქმეს.

***

ამას წინათ გაზეთებმა ერთი საყურადღებო ფაქტი აღნიშნეს. საქართველოს სამღვდელოებამ გადასწყვიტა სასულიერო სემინარიებში საღვთისმეტყველო საგნების სწავლება მაინც ქართულ ენაზე მოეწყო. ასეთი მცირედი სურვილი და მასთან იმდენად სამართლიანი ყოველ მხრივ, იმდენად ცხადი იყო, რომ არავის ეჭვი არ დაებადე-

ბოდა, რომ მას სინოდი არ შეიწყნარებდა, მაგრამ ჩვენ ცხოვრებაში რა არ ხდება? სამღვდელოებას უარი უთხრეს. დასაბუთებაც საყურადღებოა, რადგან პირდაპირი უარი, ნამდვილი მიზეზის გამომჟღავნება მეტად სასირცხო და აღმაშფოთებელი იქნებოდა. ამიტომ განაცხადეს: შესაფერი სახელმძღვანელოები არ გაქვთო. რასაკვირველია, ეს ყველამ იცის, რომ საბუთი არაა. ჯერ ერთი, რომ ჩვენში თუ ლიტერატურის რომელიმე დარგი მდიდარია, სწორეთ სასულიერო, რომელიც ბევრს გამოჩენილ თხზულებებს შეიცავს. მეორე, სახელმძღვანელოც რომ არ იყოს, მიეცით შეძლება ცხოვრებაში გამოიყენონ და დღესვე გამოჩნდება შესაფერი ნაწარმოებნი, მაგრამ ასეა: გამარჯვებული ყოველთვის მართალია... ყოველ შემთხვევაში სამღვდელოება ვალდებულია ამ საქმეს თავი არ მიანებოს, თავისი დადგენილება განაახლოს და მასთან შინაურულადაც შესაფერი ზომები მიიღოს, რომ ისეთივე უარი შეუძლებელი გახდეს.

რუსეთის ცხოვრებიდან

ამურის რკინის გზის პროექტი სათათბიროში. — კამათი საერთო განათლების შესახებ. — სათათბიროს მოქმედების ხასიათი და ოქტომბრისტებს შორის უთანხმოება. — თანამედროვე მდგომარეობა.

პირველ აპრილს მესამე ივნისის საარჩევნო კანონით შეკრებილ სათათბიროს უმრავლესობამ გადასწყვიტა ამურის რკინის გზის გაყვანა. ძნელია აღნიშვნა იმისი თუ რით ხელმძღვანელობდა სათათბიროს უმრავლესობა, როცა ასე საჩქაროდ სწყვეტდა ამ საკითხს, დღევანდელ რუსეთის ცხოვრების პირობებში, როცა ეკონომიური ცხოვრება შეფერხებულია, როცა ხალხს თითქმის არაფერი არ გააჩნია, როცა საჭიროა ძალების მოკრება და აღორძინება, მმართველობამ და ოქტიაბრისტების უმრავლესობამ დააკისრა დამშეულს ხალხს 300 მილ. მან. გაღება ამურის რკინის გზის გაყვანისათვის სტრატეგიულის მიზნით, მაგრამ, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ამურის რკინის გზის გაყვანით, მეორე ციმბირის გზის ლიანდაგის გაკეთებით საქმე არ თავდება, მსხვერპლი რუსეთის ხალხებისა არ ბოლოვდება; სტრატეგიულ მიზნისთვის საკმარისი არ არისო, როგორც გადმოგვცა ოფიციალურმა „როსსიამ“ ამურის გზის გაკეთება და ციმბირის გზის

მეორე ლიანდაგის გაყვანა, რადგანაც ბაიკალის რკინის გზა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, ამ გზის მეორე ლიანდაგის გაყვანა მოუხერხებელი და შეუძლებელიცაა. ამისათვის მმართველობის ორგანო აცხადებს, რომ საჭიროა ბაიკალის ტბის ირგვლივ ჩრდილოეთით გზის გაყვანა, ე. ი. კიდევ 300 მილ. მან. ხარჯი. ოპოზიციამ არა ერთი საბუთი წარუდგინა სათათბიროს იმის შესახებ, რომ ამურის რკინის გზის პროექტის მიღება პრინციპიალურ მოსაზრების გარდა, ტეხნიკურ შეუმუშავებლობის გამო, მოუხერხებელია. ამ შემთხვევაში უადგილო არ იქნება ოპოზიციის წარმომადგენელის სიტყვებზე შევჩერდეთ. მმართველობამ, როგორც სამართლიანად გამოარკვია დეპ. შინგარიოვმა, თავის უფლებით და ნებით გადასწყვიტა ეს საკითხი, არ მოისურვა ხალხის წარმომადგენლების აზრის გაგება. ხმა ხალხისა ვითომდა მისთვის საჭირო არ იყო; პირველ სათათბიროს სიცოცხლის დროს მოხდა ჟურნალური დადგენილება მინისტრთა საბჭოსი /ეს დადგენილება უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა / იმის შესახებ, რომ გამოკვლევა მოეხდინათ და ეს გადაწყვეტილება არც უცნობებიათ სათათბიროსათვის. მეორე სათათბიროში წინადადება ამურის რკინის გზის გაყვანის შესახებ შეტანილ იყო ათის დღის წინათ მის დათხოვნამდის და თვით გზის გაყვანა დაწყებული იყო მესამე სათათბიროს მოწვევამდის ძირითად კანონების 87 სტატიის წესით.

ამგვარად, საქმის წარმოება, სთქვა შინგარიოვმა, შესაძლებელი იქნებოდა კიდევ იმ შემთხვევაში, რომ აქ საქმე ყოფილიყო უცილო საკითხის შესახებ, მაგრამ, რაც შეეხება ამურის რკინის გზას – შინგარიოვის აზრით, რა მხრითაც უნდა გავშინჯოთ ეს საკითხი, მისი გაყვანა ზედმეტად სათუოა. არც საახალშენო, არც სამხედრო მიზანი დამტკიცებული არ არის. „მე რომ მკითხოთ, – სთქვა დეპუტატმა შინგარიოვმა, – თუ როგორ ვფიქრობ შორეულ აღმოსავლეთის შენარჩუნებას რუსეთისათვის, ვალდებული ვიქნები სავსებით, გარკვევით მოგახსენოთ: უნდა ვიაროთ არა იმ გზით, როგორც უკვე განუზრახავს სახელმწიფო სათათბიროს და მიმოსვლის კომისიებს. მე მრწამს, რომ მხოლოდ ის განაპირა ქვეყანაა მჭიდროდ შეკავშირებული სახელმწიფოსთან, მხოლოდ ის განაპირა ქვეყანაა ძლიერი, რომელსაც აქვს ძლიერი, დიადი ცენტრი, ცენტრი კულტურული, შეიარაღებული კაპიტალით, ცოდნით და ხალხის ენერგიით... თუ კი ჩვენ გვერდს აუვლით ხალხის ინტერესებს, თუ კი მცირე ხარჯსაც დავაკლებთ მის განათლებას, თუ მის დამოუკიდებლობას და თვითმოქმედების და თავისუფალ თავის გამორკვევას არა გავავითარებთ, ჩვენ

არასოდეს არ ვიქნებით ძლიერნი. ჩხუბისათვის საჭიროა კულტურა, ენერგია და თავისუფლება. სანამ ეს პირობები არ შეგვიქმნია, მანამ მე არ შემიძლია ვილაპარაკო შორეულ აღმოსავლეთის განაპირა ქვეყნის დაცვის შესახებ. ვშიშობ, რომ ჩვენ კიდევ მოგველის „მუგდენი და ცუსიმა“. ამის შემდეგ შინგარიოვმა გაარკვია ამურის რკინის გზის გაყვანა ფინანსიურის მხრით; აღნიშნა, რომ 300 მილიონი მანეთი დაჯდება ამურის გზა, მეორე ციმბირის ლიანდაგის გაყვანა 150 მილ. ჯარისა და ფლოტისათვის მიწვდენა საჭირო ნუზლისა 300-400 აღაჯის მანძილზე. „სახელმწიფოს ვალი, – სთქვა შინგაროვმა, – დღეს 8 $^1/_2$ მილიარდს უდრის; 60 მან. ხვდება რუსეთის თვითეულს მცხოვრებს. რასაკვირველია მდიდარ და მეოჯახე ქვეყნისათვის ეს არ იქნებოდა საშიში; თანამედროვე რუსეთისათვის ზედმეტად დიდი და შეუძლებელია. მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა დეპ. როდიჩევმა. სხვათა შორის როდიჩევმა წარმოსთქვა: „თქვენ სდგეხართ ისტორიულ ხმის მიცემის წინაშე. ამ მომენტში თქვენ ქვეყანას ამ თუ იმ ლიანდაგზე აყენებთ: ორ გზას შუა ხართ და ჩემთვის საკითხი იმაში მდგომარეობს, თუ საით წავა ცოცხალი ძალა ხალხისა, რისთვის დაიხარჯება იგი? უნაყოფო უდაბნოს დასახლებისათვის თუ შინაგან ძლიერების შესაქმნელად? როდესაც რუსეთი თვითონ გაგზავნის ამურზე კოლონიზატორებს, შეიარაღებული ცოდნით და თვითმოქმედ ძალით, მაშინ რკინის გზა გაყვანილი იქნება ჩვენი კოლონიების მიერ და ამ კოლონიებისათვის. მე მითხრეს აქ: „გვაჩვენე მეორე საშუალება ამურის დასაცავად. მე მიგითითებთ. რუსეთი უნდა შეიქმნეს თავისუფალი, მდიდარი, ამაყი და მაშინ გექნებათ ძალა... სახელმწიფოს თავისუფალ ძალების გაღვიძების შედეგი იქნება კულტურული დაპყრობა ამურისა“... გლეხების დეპუტატებიც წინააღმდეგი იყვნენ ამურის რკინის გზის გაყვანისა; გულ-მხურვალედ უმტკიცებდენ ოქტომბრისტებს, რომ ის თანხა, რაც ამ გზას მოუნდება, გლეხ-კაცობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მოხმარებულიყო. მაგრამ არა გაეწყო რა, ვინაიდან სათათბიროს უმრავლესობას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ ეს საკითხი მმართველობის წინადადების თანახმად და არავითარს მოსაზრებას საჭირო ყურადღებით არ ეპყრობოდნენ. ყოფილმა პრემიერმა ვიტტემ სახელმწიფო საბჭოში რუსეთის ფინანსიურ მდგომარეობას ეჭვის თვალით შეხედა და მისი არანორმალური მდგომარეობა აღნიშნა. ფინანსიურ მხარეს საპატიო ალაგი უნდა დაეჭირა ამურის რკინის გზის გაყვანის შესახებ საკითხის გადაწყვეტის დროს. ვიტტემ სთქვა: საჭიროა ფრთხილად მოვეპყრათ ჩვენს ფინანსებს, საჭიროა

ჩვენი შერყეული კრედიტის გამაგრება. ამისათვის კი საჭიროა საშუალების მიხედვით ცხოვრება...

აქედან კი ერთი რამ გამომდინარეობს: შეუძლებელი იყო და არის ამურის რკინის გზის პროექტის მიღება.

***

14 მარტს რუსეთის პარლამენტში დაიწყო სჯა და ბაასი 6. 900 ათ. მან. გაღების კანონ-პროექტის შესახებ ხალხის განათლებისათვის. ზემო აღნიშნული თანხა მმართველობამ მოითხოვა ვითომდა საერთო სწავლის მოწყობისათვის; კანონ-პროექტი მიაჩნდათ, როგორც პირველი ნაბიჯი ამ ზედმეტად რთული და დიადი საქმის მოწყობის გზისაკენ; ნამდვილად კი აქ საერთო განათლება არაფერს შუაში იყო. სწავლა-განათლების სამინისტრო თხოულობდა რამოდენიმე მილიონს, რათა შესძლებოდა დაკმაყოფილება საერო და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათა შუამდგომლობისა, ვინაიდგან სასკოლო საქმის მოწყობა დახმარებას თხოულობს მმართველობისაგან, მაგრამ ამ საკითხმა გამოიწვია პრინციპიალური ბაასი პარლამენტში; სათათბიროში თავმოყრილმა პარტიებმა გამოსთქვეს თავიანთი აზრი სახალხო სწავლა-განათლების საჭიროების და მის მნიშვნელობის შესახებ და მით გამოარკვიეს ერთი ფრიად საინტერესო საკითხი. ეჭვს გარეშეა საერთო განათლების მნიშვნელობა თანამედროვე ცხოვრებისათვის. პირველ დაწყებითი განათლება, როგორც სამართლიანად სთქვა ეტტინგენმა, „ფერმენტია ცივილიზაციისა“. „ხალხი, რომელსაც საუკეთესო სკოლები აქვს, – ამბობს ჟიულ სიმონი, – უსათუოთ შეიქმნება დღეს თუ არა, ხვალ მაინც მოწინავე ხალხად ქვეყნიერებაზე“. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ხალხის განათლება ერთადერთი გზაა ცხოვრების გასაუმჯობესებლად და ერთი ძლიერი ფაქტორია ხალხის სიმდიდრის განვითარებისათვის.

საუბედუროდ რუსეთის ბიუროკრატია ხალხის სწავლა-განათლებაზე არ ზრუნავდა. ადმინისტრაციის და პოლიციის შენახვა ბევრად უფრო მეტი უჯდებოდა და უჯდება საერთოდ სახელმწიფოს და კერძოდ ქალაქებს, ვიდრე ხალხის განათლების და საექიმო და საბეითლო დახმარების მოწყობა. შემდეგი ცხრილი ნათლად დაგვანახვებს ამას. 1907-8 წ. განმავლობაში ქალაქების დაახლოებითი ხარჯი 1 მცხოვრებზე კაპ. მოდის:

სასწავლებლებზე		პოლიციაზე
მოსკოვი	73,0	116,0
ირკუტსკი	90,0	115,0
კიევი	59,1	93,0
პეტერბურგი	80,3	90,5
ვილნო	9,5	71,0
ორიოლი	8,6	44,7
ლუქაისკი	4,3	31,8
ხარკოვი	30,3	50,8

/სტ ბ. ბ. ნიკიტინისა ცნობ. მოსკოვის ქალაქის თვით მმართველობისა №№ 11-13, 1903 წ./.

ერთი სიტყვით რუსეთის ბიუროკრატიამ ხალხის განათლების მაგიერ პირველ რიგზე ხალხის უმეცრების გაბატონება წამოაყენა. აი, ამიტომაც 14 მარტის სჯა-ბაასს დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ სათათბიროში წარმოთქმულ სიტყვების შინაარსს – ყველა აქ, რასაკვირველია, მკითხველთ ვერ გადავცემთ.

როგორც აღნიშნა დეპუტატმა კოვალევსკიმ /ოქტომ./, მმართველობა უკვე პირველ დეკლარაციაში, პირველ სათათბიროსადმი მიმართულში, დაჰპირდა ხალხის წარმომადგენლებს მოსაზრების წარდგენას საერთო განათლების შესახებ. მეორე სათათბიროსათვის სამინისტრომ კანონ-პროექტი შეიმუშავა და ამ კანონ-პროექტის შესახებ სამინისტრო შესაძლოდ სცნობდა საერთო განათლების მიღწევას 10 წლის განმავლობაში. საუბედუროდ პროექტი, რომელიც მეორე სათათბიროში შეიტანა სამინისტრომ, შეცვლილი შეიქმნა და ხარჯის ჯამის / 103 მილ. მ./და 10 წლის ვადის შესახებ სრულიად არაფერი იყო ნათქვამი. მესამე სათათბიროში სამი სხვადასხვა კანონ. პროექტი იქმნა შეტანილი: ორს მათგანს საკრედიტო ხასიათი აქვს, მესამე შეიცავს ძირითად დებულებას რუსეთში საერთო განათლების შემოღების შესახებ; მაგრამ უკანასკნელ პროექტს, რომელიც არ არის დამყარებული არავითარ კრედიტზე, არავითარ ხარჯთაღრიცხვაზე, პლატონიური ხასიათი აქვს.

„რასაკვირველია, – ჰსთქვა კოვალევსკიმ, – ხალხის განათლების საქმე დამოკიდებულია გამგეობის ორგანოების მოწყობაზე და საერთო ფინანსიურ ორგანიზაციაზე, მაგრამ საქმე არ იცდის და ყოველგვარი შეჩერება განათლების განვითარებისა იქნებოდა ნაბიჯი

უკან. საქმე იმაშია, რომ მარტო მცხოვრებთა მომატების გამო ყოველწლიურად საჭიროა გაიხსნას 3 000 სკოლა. ამისათვის სახალხო განათლების კომისია წინ აყენებს ორ კანონ-პროექტს, რომლებიც შეეხება 6. 900 ათ. მან. გაღებას და უდგენს დასამტკიცებლად სახელმწიფო სათათბიროს. ამ თანხის გაღება პირველი ნაბიჯია საერთო განათლების შემოღების გზისკენ.

საუბედუროდ, – დაუმატა კოვალევსკიმ, – მმართველობამ გამოიჩინა ზოგიერთი სულმოკლეობა... მესამე სათათბიროში წაკითხულ დეკლარაციაში მმართველობა მხოლოდ გაკვრით იხსენიებს ხალხის განათლებას; ფინანსთა მინისტრი აღიარებს რა 1908 წ. ხარჯთ-აღრიცხვაში $5^1/_2$ მან. შეტანას, არაფერს არ ამბობს ახალ ხარჯების აუცილებლობის შესახებ, მთელი იმედი ქვეყნისა ეხლა მიპყრობილია ხალხის წარმომადგენლობისაკენ. „სახელმწიფო სათათბირო ერთბაშად უნდა დაადგეს გამორკვეულს და შეურყეველს გზას, რომ რამე ფერად მიაღწიოს საერთო განათლებას... სახელმწიფო სათათბირომ უნდა განაცხადოს, რომ იგი ხალხის განათლების საქმეში არ დაკმაყოფილდება მარტო განყენებულ ფორმულებით, არამედ ჩათვლის თავის მოვალეობად ამ ფორმულებს თან ახლდეს თანაბარი მოქმედებაც, ხალხის განათლება უნდა გადაიქცეს ნამდვილ სახელმწიფო მოთხოვნილებად, როგორც შენახვა ჯარისა, სასამართლოსი, რკინის გზებისა და სხვ.

სოც.-დემოკრატ. ფრაქციის წარმომადგენელმა ბელოუსოვმა დაახლოებით შემდეგი სთქვა: ს. – დ. ფრაქცია მომხრეა კანონ-პროექტის... მმართველობა ყოველთვის ხელს უშლიდა, აფერხებდა სწავლა-განათლების საქმეს; მმართველობას ავანტურისათვის ყოველთვის ჰქონდა საშუალება და ხალხის განათლებისათვის კი არა; ამით აიხსნება, რომ რუსეთში 207 ვერსტის მანძილზე ერთი სკოლაა... დღესაც პირობები არ შეცვლილა. საჭიროა იმგვარი ზომები იყოს მიღებული, რომ მართლა განხორციელებულ იყოს საერთო უფასო სწავლის შემოღება. გარდა ამისა საჭიროა შემოღება სწავლისა სამშობლო ენაზე ყოველგვარ ტიპის სკოლებში, აღვიარება რელიგიის სწავლებისა კერძო საქმედ. ყოველგვარ პრივილეგიების მოსპობა განათლების მიღების საქმეში და სხვა.

დასასრულ ბელოუსოვმა სთქვა: სკოლამ უნდა აჩვენოს ცხოვრება იმგვარად, როგორიც ის არის. ბრძოლა კანონია ცხოვრებისა. კლასობრივი ბრძოლა კლასობრივი ცხოვრების კანონია... საერთო კაცობრიული ხასიათი პროლეტარულ იდეალისა გამოისახება სკო-

ლაში კლასობრივ ბრძოლის შეგნების გამორკვევით და ამით არა ერთურთის სიძულვილის თესლი იქნება წმინდა, არამედ თესლი საერთო კაცობრიული სოლიდარობისა... მემარჯვენეებიც მომხრე იყვნენ საერთო განათ ლებისა, მაგრამ მათ სიტყვებში თვით სკოლა და მისი ხასიათი გამორკვეულ ელფერს ღებულობს. „ხალხს სურს იცოდეს, თუ რა სკოლა ექნება... ცოდნა სკოლაში ღებულობს მატერიალიზმის ფორმას... სკოლა უნდა ზრდიდეს ბავშვს... ამისათვის ძლიერ საჭიროა მასწავლებელთა ამორჩევა, რათა ისინი იყვნენ პატრონი ზნეობრივ და სხვ. ღირსებათა /?!/“.

ჩვენ აღვნიშნავთ აქ პოლონელ კოლოს წარმომადგენელის სიტყვას, ვინაიდგან რჟონდის განმარტებამ გამოიწვია ოქტომბრისტების წარმომადგენლის ფონ-ანრეპის საინტერესო /როგორც დამახასიათებელი სათათბიროს უმრავლესობის ფიზიონომიისა/ სიტყვა.

...ფულის გაღება – სთქვა რჟონდმა, – ეს არის აქტი, რომელიც მოგვაგონებს შარშანდელ ფულის გაღებას ამ თუ იმ წესით სახალხო განათლების საჭიროებისათვის. რაც შეეხება საერთო განათლების საკითხს, ეს საკითხი, თუმცა ახალი არ არის, მაგრამ ზედმეტად რთულია, თუ სწავლა-განათლების სამინისტროს და სწავლა-განათლების კომისიას სურს ამ საკითხს დაუახლოვდნენ მისი განხორციელების რწმენით, სურვილით, რომ რაც შეიძლება მალე გადასწყვიტონ ეს საქმე, გულახდილად უნდა უთხრან თავიანთ თავს, რომ ეს საკითხი შეერთებულია ღრმა ცვლილებასთან.

დროა ვიკმაროთ სკოლების გარეგანი პირობების ცვლილება; საჭიროა სერიოზულად დავფიქრდეთ სკოლების შინაგან წეს-წყობილების გადაკეთებაზე, მათ შინაარსზე. დროა ვიფიქროთ სულის რეფორმაზე ხალხის სწავლა-განათლების საქმეში სახელმწიფოს მთელ სივრცეზე... ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ახლო მომავალი გამოარკვევს სკოლის დამოკიდებულებას სხვადასხვა მოთხოვნილებასთან რუსეთის სახელმწიფოს მრავალ ხალხებისას... ჯერ-ჯერობით კი, მომხსენებლის სიტყვით, კრედიტი ემსახურება ხალხის არსებულ სწავლა-განათლების სისტემის განვითარებას და გაძლიერებას. ბატონებო, მძიმე, ხანგრძლივი გამოცდილება პოლონელ ხალხისა გვარწმუნებს რომ სკოლების თანამედროვე ორგანიზაციის გამო, ქვეყნის თანამედროვე ცხოვრების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პირობებში, პოლონეთში გაღებული გარკვეული თანხა არ მოხმარდება განათლების ნამდვილ საჭიროებას. ეს თანხა მომავალშიაც ხელს შეუწყობს იმ მიზანს, რომლის მისაღწევად მმართველობამ

ჩვენში სკოლა მხოლოდ პოლიტიკურ პროპაგანდის იარაღად გახადა. ამ მიზნის წყალობით ოფლით შეძენილი კაპეიკი ჩვენი, პოლონელი მუშისა ანუ პოლონელი გლეხისა თუ ხანდისხან მის სამშობლო სოფელს უბრუნდება, ეს მხოლოდ იმისთვის, რომ მისი სიმშვიდე დაარღვიოს, სული ბავშვისა გარყვნას.

მეორე მხრით,– განაგრძო რჟონდმა,– ჩვენ კარგად გვესმის ის ცუდი მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფება ხალხის განათლების საქმე მთელს სახელმწიფოში. ჩვენ გვესმის დიდი მნიშვნელობა ამ ცუდ სკოლისა რუსთა მცხოვრებთათვის იმპერიაში. ამისთვის კანონ-პროექტის წინააღმდეგი ჩვენ არ ვიქნებით. პოლონელი კოლო მხოლოდ ამ საკითხის ხმის მიცემაზე უარს აცხადებს“.

ყველასათვის ცხადია, რომ პოლონეთის დეპუტატის სიტყვაში ნამდვილი სიმართლე იყო აღნიშნული. უარყოფა ამ სიმართლისა შეუძლებელია. ის, რაც განაცხადა პოლონეთის წარმომადგენელმა, ეხება არა მარტო პოლონეთის, არამედ უმეტეს ნაწილს ერებისას, რომელიც რუსეთის იმპერიაში სცხოვრობენ. რჟონდის რუსის ხალხის გასაკიცხავად არა უთქვამს რა. მიუხედავად ამისა ოქტომბრისტების ბანაკიდან გაისმა ხმა გულმოსულობისა, საყვედურისა. ფონ-ანრეპმა სხვათა შორის სთქვა: – „მე ვგრძნობ ღრმა სიამოვნებას რომ იმგვარ პირობებში ვართ, რომ პოლონელ გუბერნიების წარმომადგენელს არა აქვთ ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა. რა მოხდებოდა, – წამოიძახა ფონ-ანრეპმა, – ეს რომ ასე არ ყოფილიყო? საერთო ხალხის განათლებაზე რუსეთისათვის უარს მივიღებდით ეხლა, იმისათვის რომ პოლონელთა იდეაა რუსეთი დაიღუპოს უმეცრობის მორევში“...

თავდაპირველად ის უნდა აღვნიშნოთ, რომ რჟონდის სიტყვა სრულიადაც არ აძლევდა ფონ-ანრეპს საბუთს ამგვარი სიტყვებით მიემართა პოლონელებისათვის. აქ ის არის გასაკვირველი, რომ ოქტომბრისტების წარმომადგენელი აღტაცებით ღებულობს სამი ივნისის კანონის შემოღებას, ე. ი. ხალხის წარმომადგენლობის დამცირებას. ამასაც რომ გვერდი აუხვიოთ, არც დაფასება პოლონელთა კოლოს მნიშვნელობისა მეორე სათათბიროში არის მართალი, რადგანაც კოლო მომენტებში თამაშობდა თვალსაჩინო როლს მეორე სათათბიროში, როცა მთელი პარლამენტი ორ თანასწორ ნაწილად იყოფებოდა.

ყოველ შემთხვევაში რჟონდის სიტყვაში არა ყოფილა არაფერი იმგვარი, რასაც შეეძლო გამოეწვია ფონ-ანრეპის მხრით ამგვარი ბრალდებლობის წამოყენება. მით უფრო რომ, თვით ფონ-ანრეპმა

სთქვა: „მე მესმის, რომ შეურაცხყოფილი, შელახული, დამცირებული გრძნობა თხოულობს თავის პროტესტებისათვის გამოსახვას“. პოლონელ კოლოს გადაწყვეტილებაში მეტი არა ყოფილა რა. დღეს უფრო ნათლად სჩანს, რომ რუსეთის პარლამენტის ცენტრში სხვადასხვა მიმდინარეობა არსებობს. ოქტომბრისტები დღესაც არ შეადგენენ კომპაკტურ მასსას. ერთი მხრით არის ვიწრო, ნაციონალისტური მისწრაფება და მიმდინარეობა; ეს სავსებით გამოიხატა ფონ-ანრეპის სიტყვაში; მეორე მხრით ვხედავთ ვიწრო სურვილს, მორიდებულს, ძრიელ მორიდებულს ნაბიჯს ოქტომბრისტების მხრით, მიმართულს ვითომდა სათათბიროს უფლებათა დაცვის გზისაკენ, მაგალითად პროტესტს აცხადებენ ოქტომბრისტები იმის შესახებ, რომ მმართველობამ ახალი სერიები და ახალი უზრუნველყოფილი რკინის გზის ობლიგაციები გამოუშვა სათათბიროს ნებადაურთველად; გარდა ამისა სათათბიროს 25 აპრილის კრებაზე, როცა რკინის გზის მდგომარეობისა და შემოსავლის შესახებ იყო ბაასი და სპეციალისტურ კომისიის დაარსების გამო კამათი ასტყდა /კომისიამ უნდა შეისწავლოს და გაეცნოს რკინის გზების მდგომარეობას/ ფინანსთა მინისტრმა სთქვა: „მადლობა ღმერთს, ჩვენ პარლამენტი არა გვაქვსო“. ოპოზიციამ იმ დღესვე ჯეროვანი პასუხი გასცა, ხოლო ოქტომბრისტებმა ცოტა უფრო გვიან, უვაროვის პირით აი, რა განაცხადეს: მთავრობის წარმომადგენელმა კოკოვცევმა სთქვა: „მადლობა ღმერთს, ჩვენ პარლამენტი არა გვაქვს“. ეს რომ ვისმე სხვას ეთქვა და არა ისეთ დიდად ნიჭიერ ორატორს, დაწვრილებით მცოდნეს, რომელსაც ძრიელ ემარჯვება რუსული ენა, შესაძლებელი იყო კიდევ ფიქრი, რომ ეს უბრალო სიტყვის წამოროშვაა, მაგრამ ვინაიდგან ეს ფრაზა კოკოვცევმა სთქვა, რომელსაც მართლაც მოხვეჭილი აქვს სახელი ნიჭიერ ორატორისა, ამისათვის საუბედუროთ, ამ სიტყვებს უნდა მეტი მნიშვნელობა მივაწეროთ, ვიდრე შესაძლებელია თვით ორატორი აწერდა მათ. ამ მომენტში ეს სიტყვები ზედმეტად დიდმნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო, რომ სავსებით არ ეწინააღმდეგებოდეს იმ სიტყვას, რომელიც ნოემბერში /დიდი ხანი არ არის მას აქეთ/ სთქვა აქ მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა სტოლიპინმა, რომელმაც ნამდვილად და აშკარად გამოსთქვა აზრი წარმომადგენლობით წეს-წყობილების შესახებ რუსეთში. სასურველი იქნებოდა, რომ კოკოვცევს აეხსნა, არის შესაძლო თუ არა წარმომადგენლობითი წეს-წყობილება უპარლამენტოდ. მაგრამ მგონია კოკოვცევი არ არის წარმომადგენელი მმართველობისა, როცა ამ სიტყვებს ამბობს, ვინაიდგან, მმართვე-

ლობამ თავის დეკლარაციაში განაცხადა პირდაპირ საწინააღმდეგო იმისა, რაც კოკოვცევმა სთქვა. კოკოვცევმა ილაპარაკა არა როგორც ფინანსთა მინისტრმა, ვინაიდგან სად ილაპარაკა, მაშ თუ არა პარლამენტში? შესაძლებელია ფიქრობს ის, რომ ჩვენ – დეპუტატებს წარმოვადგენთ მის სამინისტროში? მაშ სად ილაპარაკა? თუ კი ის მართლადაც მმართველობის აზრს წარმოადგენს, მაშინ პირველი ის არ უნდა მოსულიყო აქ, როგორც არ მოსულა დღეს. თუ კი მან ილაპარაკა, როგორც მხოლოდ კოკოვცევმა, ეს მე მამშვიდებს, რადგანაც „ნამდვილი საიდუმლო სოვეტნიკები“ ბევრი გვყავდა ჩვენ და ბევრი გვეყოლება კიდევ და ყველა მათი სიტყვებისათვის მმართველობა პასუხს არ აგებს. ამისათვის არ არის საჭირო სარიოზულად პასუხი გავსცეთ ამ სიტყვებს. ეს იყო მხოლოდ უბრალო სიტყვები, შესაძლებელია უნებლიეთ ნახმარი და მეტი არაფერი“.

სათათბიროს თავმჯდომარემ დასძინა ამ სიტყვებს: „როგორც თავმჯდომარეს, მე არა მქონდა არავითარი საშუალება შემეჩერებინა ფინანსთა მინისტრი, როდესაც მან იხმარა მოუხერხებელი წინადადება. მე არ მქონდა არც საშუალება და არც უფლება, მაგრამ ვფიქრობ, რომ მაქვს საშუალება და უფლებაც ამ სიტყვების განხილვა შემდეგში მოვსპო...

ასეთი ფრთხილი ნაბიჯით, დროგამოშვებით, ჰბედავენ ოქტომბრისტები წარმომადგენლობით წეს-წყობილების დაცვას. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ოქტომბრისტები ვითომდა მოწადინებული არიან განახორციელონ 17 ოქტომბრის მანიფესტით დაპირებული თავისუფლებანი“. მათ წრეებში შეუმუშავებიათ კანონ-პროექტი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ, მაგრამ, როგორც გადმოგვცემენ გაზეთები, ეს კანონ-პროექტი სრულიადაც არ ამყარებს სიტყვის თავისუფლებას და არც ამ პრინციპის ზომიერ მოთხოვნილებას. ამგვარივე ბედი სწვევია პიროვნების თავისუფლების შესახებ კანონ-პროექტის შემუშავებასაც. ადმინისტრაციას რჩება დიდი უფლება...

რაც შეეხება ერთს ძირითად საკითხს რუსეთის თანამედროვე ცხოვრებისას, სახელდობრ აგრარულ საკითხს, ეს საკითხი ხელახლავ მთელი თავისი სიმკაცრით წამოყენებულ იქმნება, თუმცა მმართველობა და სათათბიროს უმრავლესობა ყოველ ღონისძიებით ცდილობენ ვნების მოშორებას... ერთი სიტყვით, ყველა თითქმის სერიოზული საკითხები უცდიან მომავალში გადაწყვეტას, მაგრამ სათათბიროს მათი გადაწყვეტის გზისაკენ ჯერ-ჯერობით არა გაუკეთებია-რა.

ხუთი თვე მეტია, რაც რუსეთის პარლამენტი მოქმედობს; ხუთი თვე მეტია, რაც ტავრიდის სასახლეში ხმამაღლად გაიძახიან „კანონების“ დამყარების შესახებ და „კანონები“ არ დამყარდა.

პირიქით, სფერა უსამართლოებისა, სფერა თავგასულობისა პრინციპიალურად ფართოვდება და მმართველობას, როგორც მის მომხრე მესამე სათათბიროს უმრავლესობას, დაავიწყდათ კიდეც სახელმწიფოს განახლებისათვის საჭირო რეფორმების შესახებ ფიქრი. ხუთი თვის განმავლობაში ჩვენ ვერ ვნახულობთ სათათბიროს მოქმედებაში რაიმე პროგრესიულ-რეფორმატულს მოღვაწეობას; მმართველობა ხომ სრულიად არ ფიქრობს ახალი წეს-წყობილების დამყარებისათვის. პირველ რიგზე დღესაც წამოყენებულია ბრძოლა „ძველი იარაღით“, ბრძოლა მხოლოდ რეპრესიების გაძლიერებით განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. ეხლაც, როგორც ყოველთვის, გაიძახიან – ჯერეთ დამშვიდება და ვითომ შემდეგ რეფორმა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მმართველობამ თავის უმთავრეს მიზნად დაისახა მხოლოდ რეპრესიები მშვიდობიანობის დასამყარებლად, ვითომდა ერთადერთი ხსნა ქვეყნისა რეპრესიების გაძლიერებაში მდგომარეობდეს და არა რეფორმების შემოღებაში.

ჩვენ არა გვაქვს ხელში სტატისტიკური ცნობები თუ რა ციფრებით გამოისახა ამ უკანასკნელ ხუთი თვის განმავლობაში რეპრესიების გაძლიერება. სამაგიეროდ ჩვენ გვაქვს 1907 წლის შესახებ ცოტად თუ ბევრად სწორი ცნობები. გაზეთმა „ტოვარიშჩმა“ გამოაქვეყნა რაოდენობა დასჯილთა 1907 წლის განმავლობაში. სულ სხვადასხვა სამჯავრო დაწესებულებათა დადგენილებით დასჯილთა რიცხვი 11, 066 კაცია. ამ რიცხვიდამ სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი ჰქონდა 1, 692 კაცს, სამუდამო კატორღა – 477 კ., გადასახლება 413 კ. ციხეში, საპყრობილეში და სხვ. დაპატიმრება 6, 112 კ. ორთაშუა რიცხვით 1, 1 წლით, დისციპლინურ ბატალიონში ყოფნა 427 კ. დაახლოებით 2, 2 წლით. იგივე გაზეთი ზედმეტად საინტერესო ცნობებს აქვეყნებს დასჯილთა საზოგადოებრივი მდგომარეობის შესახებ: 4, 704 გლეხი ყოფილა, 2, 130 – სამხედრო კაცი, 1, 603 ქალაქის მუშა, 446 – მოსწავლე, 211 – დეპუტატი პირველ და მეორე სათათბიროსი, 176 – რედაქტორი პერიოდულ გამოცემებისა. ეჭვს გარეშეა ეს ცნობები სრული არ არის და სინამდვილეს დაახლოვებითაც არ გვისურათებენ; აღნიშნული ცნობები, მაგალითად, არ შეიცავენ ადმინისტრაციულ გზით დასჯილთა რაოდენობას; ცხადია, ეს ადმინისტრაციულ დასჯილთა რიცხვი დიდია, რადგანაც თანამედროვე, როგორც ყოველივე დროის

ადმინისტრაციამ, რომელმაც არ იცის საზღვარი უსამართლობისა და თავგასულობისა, „რეპრესიების პოლიტიკაში“ ბევრად გადააჭარბა თანამედროვე სასამართლოებს.

1908 წლის გასული ხუთი თვის შესახებ სამწუხაროდ არა გვაქვს ცნობები, მაგრამ შეცდომა არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ დასჯილთა რიცხვი მატულობს და ადმინისტრაციის უფლების გაძლიერება მხოლოდ პოლიციის და პოლიციელთა თარეშობას აბატონებს სახელმწიფოში. დღე არ გადის, რუსეთის პოლიციის შესახებ თავზარდამცემი ფაქტები არ გადმოგვცენ გაზეთებმა იმის შესახებ, თუ თვითმმართველობის აგენტები როგორ ჰქმნიან დანაშაულობას, უსამართლოებას, ძალმომრეობას და ამასთან ერთად არ გადის დღე, რომ გაზეთებში არ ამოვიკითხოთ, რომ აქ ორი დახვრიტეს, იქ სამი ჩამოახჩვეს, აქ ექვსი დაატუსაღეს, იქ ხუთი გადაასახლეს და ასე თითქმის მთელს რუსეთის სივრცეზე დღესაც იგივეა, რაც გუშინ იყო და მესამე ივნისის კანონით შემდგარი პარლამენტი არამც თუ ხელს არ უშლის 17 ოქტომბრამდე არსებულ წეს-წყობილების რესტავრაციას, არამედ განამტკიცებს მმართველობის პოლიტიკას.

ენა და ეროვნება

ეროვნების ისტორია მჭიდროდ შეკავშირებულია ენის ისტორიასთან [5]

პ. მილიუკოვი.

იშვიათად მოიპოვება ქვეყანაზე იმისთანა ერი, რომელიც ყოველის ღონისძიებით არ ცდილობდეს თავისი ეროვნული სახის, ზნეჩვეულების და ღვიძლი ენის დაცვა-შენარჩუნებას, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს თვით ერის არსებობასთან. ამას გვიმტკიცებს არა მარტო წარსული საუკუნეების ისტორია და აწინდელი მეცნიერება, არამედ ყოველდღიური დაკვირვება დღევანდელი მოძრაობისა, როგორც რუსეთში, ისე უცხოეთშიაც, სადაც კი არსებული პოლიტიკური წესწყობილება ცდილობს ჩააქროს სხვა ერებში ეროვნული გრძნო-

5 იხ. Народ и Нация; **В. Гессен.** „К вопросу о национальности и о национальном языке“. **В. Лезин** და სხვა.

ბის ნაპერწკალი, დააყენოს იგი გადაგვარების გზას და მოუსპოს ყოველი საშუალება თვითარსებობისა.

რუსეთის რევოლუციამ, სხვათა შორის, ეროვნული საკითხიც წამოაყენა პირველ რიგზე; რუსეთში, სადაც კი ცოტად თუ ბევრად შეგნებული სხვა ერი ცხოვრობს, რომელსაც წარსული ისტორია და ცოტაოდენი თავისებრივი კულტურა კიდევ შერჩენია, დღეს ყველა თავგამოდებით ცდილობს ეროვნული თვისების შენარჩუნებას, უკეთესი პირობების მოპოვებას ერის თვით არსებობისათვის.

ხალხი რომ ერად გახდეს, უპირველესი პირობაა ხალხში დამყარდეს ეროვნული თვით-შეგნება. უამისოდ არ არის ერი და არც შეიძლება მისი არსებობა. პროფესორი გრადოვსკი ამბობს: ერი იწყებს არსებობას იმ დღიდან, როცა მას შეუძლიან თავის-თავზე სთქვას: Cogito, ergo Sum! /ვფიქრობ, მაშასადამე ვარსებობ/. მართლაც, მეცხრამეტე საუკუნის ისტორია ნათლად გვიჩვენებს თუ როგორი სისწრაფით იზრდება და ვითარდება სხვადასხვა ხალხთა შორის ეროვნული თვითშეგნება. ისტორიას ვრცლად აქ არ გამოუდგებით, მოვიყვანთ მხოლოდ ერთს მაგალითს. ნაპოლეონის დრომ და მისმა აუტანელმა რეჟიმმა სისწრაფით გამოიწვია ესპანელთა, იტალიელთა და გერმანელთა შორის დაფარული ეროვნული გრძნობის ენერგია; ამან, როგორც ისტორია გვამცნევს, ბოლო მოუღო ნაპოლეონის მკაცრ პოლიტიკას, რომლის შემდეგ ევროპაში იწყება ახალი პოლიტიკური ხანა — ხანა ეროვნებისა, ეროვნული მწერლობის აყვავებისა ევროპიელთა შორის. მეცხრამეტე საუკუნის ისტორიაში უპირველესი ადგილი ეროვნულ თვითარსებობისათვის ბრძოლას უჭირავს. ადვილი არ იყო ეს ბრძოლა, რომელსაც აუარებელი მსხვერპლიც თან მოჰყვა, მაგრამ ბოლოს მაინც სასურველმა შედეგებმა თავი იჩინა: აყვავდა ნაციონალური ლიტერატურა, ნაციონალური ხელოვნება, რომელიც, როგორც გამომხატველი ეროვნული ნიჭისა, გენიისა და შემოქმედებისა, გახდა დაუშრეტელ წყაროდ, ეროვნული სულის საზრდოთ.

ჩვენი მიზანია ამ წერილში, შეძლებისდაგვარად, გამოვარკვიოთ თუ როგორ უყურებს და ხსნის აწინდელი მეცნიერება ეროვნებას საზოგადოთ და როგორ არკვევს და რა მნიშვნელობას აძლევს იგი ეროვნულს ენას. გამორკვევა ამ საკითხისა მეცნიერულის თვალსაზრისით ფრიად საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენს დროში, როცა ეს საკითხი ჩვენში დღესაც ბურუსით არის მოცული ან შეუგნებლობის გამო დამახინჯებული.

I

აწინდელი მეცნიერების აზრით ეროვნება რთული პსიქიური პროცესია და მას სამართლიანადაც უწოდებენ „სულის დასაბამს, ან დასაწყისს“, ამიტომ ეროვნების საკითხის გამორკვევაში საპატიო ადგილი უჭირავს პსიქოლოგიას, მაგრამ რადგანაც ენათა მეცნიერება, ანუ ლინგვისტიკა წმინდა პსიქოლოგიური მეცნიერებაა, რომლის დანიშნულებაც გამოიხატება ადამიანის პსიქიური კანონების შესწავლაში, რამდენადაც იგი გამოიხატება ენაში და მიზანია თავის სპეციალურ ფარგალში ხელი შეუწყოს საზოგადოთ ადამიანის შესწავლას, ამიტომაც ლინგვისტიკის გენიოსი მეცნიერნი ეროვნულ საკითხსაც დიდი ხანია ამ საშუალებითაც იკვლევენ და ამ კვლევის ბრწყინვალე შედეგები დღეს ბევრისათვის ცხადი უნდა იყოს.

ამისთანა როლი ლინგვისტიკისა ადამიანის აზროვნების და ეროვნული ბუნების შესწავლაში დღემდის საყურადღებოდ მიაჩნდათ მხოლოდ იმ მეცნიერთ, ვისაც ეს საკითხი აინტერესებდათ. დღეს კი საქმე სხვანაირად არის: ცნობილი აწინდელი პსიხოლოგ-ფილოსოფოსი ვუნდტი თავისს შესანიშნავ თხზულებაში „ხალხის პსიხოლოგია“-ში, რომელიც ამ სამის წლის წინად დაიბეჭდა, ლინგვისტიკას ბრწყინვალე მომავალს უქადის და უსაყვედურებს იმ მეცნიერ პსიხოლოგებს, რომელნიც დღემდის ათვალწუნებით უყურებდნენ მას. უმთავრესი აზრი, რომელიც გატარებულია ვუნდტის უკანასკნელ თხზულებაში, მშვენივრად ამტკიცებს ჰუმბოლტის დასკვნას, რომელიც გამოჰყავს მას ამ საკითხის შესახებ. „ენის განვითარება სწარმოებს ხალხის სულის განვითარებასთან ერთად; ენა ამ უკანასკნელის სარკედ ხდება და იყოფს მისს ღირებულობას“ /ვუნდტი/. ამ აზრის დასაბუთებას ქვემოთ დავინახავთ.

სამწუხაროდ არათუ კერძო საზოგადოებაში,ზოგ მეცნიერთა ნაწერებშიაც გავრცელებულია ის აზრი, თითქოს სიტყვის დანიშნულება მხოლოდ აზრის გადაცემაში და მასთან დაპირისპირებაში იყოს. ამ შემცდარი აზრის კლასიკური გამომხატველია მეფისტოფელის ცნობილი სარკასტიული შენიშვნა „ფაუსტში“: Wo die Begriffe fehlen, da stellt zu rechten Zeit ein wort sich ein /სადაც ცნება არ სუფევს, იქ დროზე დაუხვდება სიტყვა/. აქ ცნება Begriff უპირდაპირდება სიტყვას wort; ამნაირად სიტყვის გარეგან ფორმას – ხმებს /არის კიდევ სიტყვის ფორმები – შინაგანი, გრამატიკული და მნიშვნელობა სიტყვისა/ იღებენ მთელ სიტყვად; გამოდის რომ ნაწილების მიხედვით

მსჯელობენ მთელის შესახებ. ეს იმას ჰგავსო, სხარტულად შენიშნავს ცნობილი პროფესორი ოვსიანიკოვ-კულიკოვსკი, რომ ჩვენ მივიღოთ სიტყვა „თავი“ მთელი ცხოველის აღსანიშნავადო. მაგ. – ასი თავი პირუტყვისა დავუპირისპიროთ დანარჩენს ტანს; ნამდვილად კი საქმე ასე არ არის და რომელიმე თუთიყუშის სიტყვა, რომელიც ხმების ფორმებისაგან შესდგება, სრულიად არ ჰგავს ადამიანის სიტყვას. სიტყვა არის რთული პსიხიური პროცესი, რომელიც გვიხატავს ჩვენს გარშემო არსებულს სინამდვილეს და მაშასადამე იგი ეკუთვნის სულის იმ განყოფილებას, რომელიც აზრად იწოდება. სიტყვა არ არის დასრულებული საქმე /Work/, არამედ მოქმედებაა, რომელიც მუდამ განვითარებაშია და თან აზრსაც /ენერგიასაც/ ავითარებს. დამტკიცებულია აგრეთვე, რომ ენა იმდენად დაკავშირებულია ადამიანის აზრთან, რომ ერთი სიტყვაც კი არ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ შეუსაფერო წარმოდგენილებით, რომელსაც სიტყვა შეიცავს და, პირიქით, არც ერთი ცნება არ თავდება უსიტყვოდ.

საჭიროა გამოირკვეს საკითხი ენის მჭიდრო კავშირის შესახებ ადამიანის სულთან. ამის დასამტკიცებლად ზემოთ დავასახელეთ ენის მეცნიერთა მოსაზრებანი, მაგრამ ცალმხრივობა რომ არვინ შეგვწამოს, მივმართავთ ფიზიოლოგ – ბუნებისმეტყველთაც, რომელთა აზრი ამ საკითხში უფრო კომპეტენტურადაც შეიძლება ჩაითვალოს. „შეიძლება მივიღოთო, – ამბობს დარვინი, – რომ სიტყვების ხმარებას და განვითარებას გავლენა ჰქონდა ტვინზე, ამოძრავებდა მას და შეამუშავებინებდა აზრთა მთელს რიგს. მჭიდრო ურთიერთობა ადამიანის ტვინსა და მეტყველების შორის აშკარად მტკიცდება ტვინის სნეულობის დროს, როცა მეტყველება უმეტესად იტანჯება“. აზრი, რომელიც ენის შემუშავების დრომდის ჩნდება, არის საგნობრივიო, – შენიშნავს ცნობილი ფიზიოლოგი სეჩენევი. „უსიტყვო, საგნობრივი აზრის ელემენტებად, – განაგრძობს სეჩენევი, – ხდებიან გარეგან ბუნების ზემოქმედების შედეგები ჩვენს გრძნობათა ორგანოებზე, ფაქტორებად კი, რომელთა კოოპერაციიდანაც იბადება აზრი – გამეორებული გარეგანი ზემოქმედება, გრძნობათა გავარჯიშებული ორგანო და მეხსიერების ორგანოები“. „მეექვსე დაბრკოლებად /მეექვსე მსოფლიო ამოცანა/, – ამბობს გერმანელი მეცნიერი დიუბუა რაიმონი, – წამოვაყენებ გონიერ აზროვნებას და მასთან დაკავშირებულს დანაწევრებული სიტყვების წარმოშობას“. ფიზიოლოგ სეჩენევის შენიშვნა ამ საკითხში დიდად საყურადღებოა: ის გვიჩვენებს, რომ ველური კაცის აზრი, როგორც ყველა პსიქიური მოვლენა,

ბიოლოგიურად წარმოიშვა და თითქოს წარმოადგენს მიშენებულს რასმე, რომელიც განვითარდა და დასრულდა ენის შემწეობით, ცხოველთა პსიხიკა კი გაცივდა და შეჩერდა ერთს წერტილზე. რაშია მთელი არსება ენისა? ენის წარმოშობის მიზეზი, ჰუმბოლდტის შეხედულებით, მდგომარეობს სულიერს ძალაში, იმპულსში /Dvang der Seele/. ეს თუ ასეა, თავდაპირველ აღორძინებიდან ადამიანის ენა და აზროვნება ისე მჭიდროდ არიან გადაკვანძულნი, რომ მათი გათიშვა ყოვლად შეუძლებელი ხდება პირველ ელემენტიდან, სინამდვილის შემეცნებიდან /წარმოდგენილებანი/ დაწყებული გონებით უმაღლეს მოქმედებამდის, სამეცნიერო ფილოსოფიურ ანუ ხელოვნურ მოქმედებამდის, ყველგან ენა შეადგენს უსაჭიროესს იარაღს შემეცნებისათვის, ყველგან იგი ჩნდება აზრის შემქნელად. ენა სულის მუშაობაა /Arbeit des Çeistes /, მისი ცხოველმოქმედებაა; ამიტომ ხალხის გონებრივი მოქმედება და მისი ენა განუყრელ მთელს შეადგენენ.

მაგრამ ჰუმბოლდტის უკანასკნელ დებულების დასამტკიცებლად საჭიროა ენის პსიხოლოგიასაც მივმართოთ. „სიტყვაო, – ამბობს პოტებნია, – არის საშუალება ცნებათა შესადგენად, და ამასთან არა გარეგნული, არა ისეთი, როგორც მაგალითად გამოგონილი საშუალება წერისა, არამედ თვით ადამიანის ბუნების მიერ ჩაგონებული, ცნების დამახასიათებელი სიცხადე, დამოკიდებულება მთავარი საგნისა დანარჩენებთან, მათი გაერთიანების საჭიროება, ცნებათა მისწრაფება სისტემაში ადგილის დასაჭერად, ყველა ეს ყოველ უწინარეს შესაძლებელია სიტყვაში და დამუშავდება მის მიერ ისე, როგორც ხელი ამუშავებს ყოველგვარ მანქანას“. ამ მხრით სიტყვას მსგავსება აქვს ცნებასთან, „რომლიდანაც ერთის მხრივ ვითარდება მეცნიერების რთული ცნებანი და მეორეს მხრით – მხატვრული სახეები“ /ოვს.-კულიკოვსკი/. სიტყვა ცნების შემადგენელი საშუალებაა, მაგრამ იგი არ არის მზა აზრის გამომხატველი საშუალება: იგი განაახლებს და ცვლის შთაბეჭდილებათა, რომელთაც გადმოგვცემს ჩვენი შემეცნების საგნად, აჩენს ახალს აზრს. ენა აზრის შემქნელი იარაღია, – ეს დაფუძნებულია და დამტკიცებული ფსიხიური ძალის შენახვის, დაზოგვის კანონით. ცნობილია უკვე, რომ ენა უფრო მეტს ინახავს, ვიდრე ხარჯავს და გონებრივი ენერგიის ნაშთი ხმარდება სამეცნიერო-ფილოსოფიურს და მხატვრულ მოქმედებათა შექმნას.

დანაწევრებული ხმები, როგორც ამოძახილი „გარედან“ მიღებულს შთაბეჭდილებაზე, წარმოადგენენ ცენტრს, მიმზიდველობის ადგილს, რომლის გარშემო გროვდებიან შთაბეჭდილებანი. „ამნა-

ირად, – ამბობს ჰუმბოლდტი, – ხმები, თავის განსაზღვრულობის უნაკლულოთ, ურიცხვად იცვლებიან, რასაც ჩვენი წარმოდგენილება შეუცდომელად არჩევს. ამ მხრით სხვა გრძნობათა შთაბეჭდილება ამნაირი არ არის. საზოგადოთ გონებითი მოქმედება მარტო ჭკუა-გონებას კი არ ეხება, იგი ამოძრავებს სულის ყველა ძალებს და აქ ხმა თავისი სხვადასხვაფრივი ხასიათით განსაკუთრებულ სარგებ-ლობას ეწევა. როგორც ცოცხალი ხმა, თვით არსებობის სულისთქმა, ენის გარეშეც გამომდინარეობს გულმკერდიდან, თანდაყოლილის სევდის და მხიარულობის, სიყვარულის და სიმძულვარის გრძნო-ბით და მიმღებს გრძნობა გადასცემს თვითონ სიცოცხლეს, რომლის აღსავსეობიდან გამოდის, ასე ენაც, აღნიშნულ საგნებთან ერთად, ყოველთვის გადასცემს მის ნაწარმოებ გრძნობას და გამეორებულს სიტყვებში ყოველთვის აერთებს ბუნებასა და ადამიანს, ე. ი. იპყრობს თავის შორის ვნებითს შეთვისებას დამოუკიდებელ მოქმედებასთან“.

რაკი ეროვნება სულიერი დასაწყისია, აქედან ცხადია თუ რად მსჯელობენ ენის მიხედვით ეროვნების შესახებ. მაგრამ ეროვნების განმარტებისათვის საჭიროა კიდევ ენის ერთი თვისება, რომლის წყალობითაც ენა ხდება აზრის ფორმად, მის გამომსახველად და სარკედ. ტენის ცნობილი გამოკვლევა შექსპირის შესახებ დაფუძნე-ბულია უკანასკნელის სტილის განხილვაზე და იწყება შემდეგის ტი-პიური ფრაზით: მოვძებნოთ ადამიანი სტილში. რუსების მწერლის გოგოლის თხზულებათა სტილის განხილვით პროფესორმა პოტებ-ნიამ განმარტა ამ მწერლის შემოქმედებითი ნიჭის ხასიათი – ჰი-პერბოლა. ფრანგების ერთმა ცნობილმა მეცნიერმა და კრიტიკოსმა ვრცელი წერილი მოანდომა მწერლის სტილის გამოკვლევას და შე-ეხო იმ მხრით, რომლიდანაც უფრო მეტი სინათლე ეფინება ყველა მწერლის ხასიათს.

ყველა ადამიანის ენაში ჩვენ შეგვიძლიან გავარჩიოთ ორი მისი რთული ელემენტი: თვისება გონებისა და გულისა. ენა ცხადი გამო-მხატველია ყველა ადამიანის პიროვნებისა, ამიტომაც სრულიად სა-მართლიანია სიტყვები, რომელიც ბიუფონს მიაწერეს: სტილი იგივე ადამიანიაო /Des choses sont hors de l’homme, le style est l’homme même/.

იგივე შენიშნა გიოტემაც და მისი დახასიათება ევროპელ გამო-ჩენილ ერებისა მათი ენების განხილვით ფრიად საინტერესოა ჩვე-ნთვის. „გერმანელებს საზოგადოთ ვნებას აძლევს ფილოსოფიური გონებით მჭვრეტელობა; იმათ სტილი ხშირად უაზრო, გაუგებარი,

გაჭიანურებული და გაბრტყელებული გამოდის. ინგლისელები მომეტებულად კარგად სწერენ, როგორც ბუნებრივი ორატორები და პრაქტიკულად აღზრდილნი რეალურს ნიადაგზე. ფრანგები სტილშიაც არ ჰღალატობენ თავიანთ საზოგადო ხასიათს. ისინი თავაზიანი ხალხია და არასოდეს არ ივიწყებენ იმ ხალხს, რომელსაც მიჰმართავენ ხოლმე სიტყვებით; ისინი ცდილობენ აზრის მკაფიოდ გამოთქმას, რომ დაარწმუნონ მკითხველნი და შეიქმნენ მათთვის მასიამოვნებელნი. საზოგადოთ მწერლის სტილი არის შინაგანი საუნჯის ნამდვილი აღბეჭდილობა; ვისაც უნდა გარკვევით და მკაფიოთ წერა, იმის სულშიაც ყველაფერი გარკვეული და ცხადი უნდა იყოს; ვისაც ჰსურს დიდებულად წერა, თავდაპირველად უნდა შეიძინოს დიდებული ხასიათი“.

ყველა ეს აზრი იმდენად სარწმუნოა და საზოგადოთ ცნობილი, რომ მის სინამდვილეში ეჭვი არავის არ დაებადება.

მთელი ხალხის ენა კი, რომელსაც მიუღწევია დანიშნულს სიმაღლემდის, განვითარებულა და აქვს თავისი ლიტერატურა და მეცნიერება, თავისი გონებითი ურთიერთობა, გამომხატველია ამ ხალხის ხასიათისა და გონებისა და თვითონ თავისთავად მოქმედებს გონებრივს შემოქმედებაზე, იკაფავს გზას და უჩვენებს იმ გზას, რომლითაც საჭიროა მსვლელობა ჭეშმარიტების გამოსაძიებლად.

„კაცობრიობის მოდგმის დაყოფა ტომებად და ხალხებად, – ამბობს ჰუმბოლდტი, – და წარმოშობა სხვადასხვა ენებისა და სათემო კილოებისა – ეს მოვლენანი მჭიდროდ არიან ერთმანეთთან შეკავშირებულნი, დამოკიდებულია უმაღლეს მოვლინებასთან – კაცობრიობის სულიერი ძალების წარმოშობასთან, მუდმივ ახალს და ხშირ მაღალ სახეებში“. ხალხის თავისებურობაში შესვლა ნიშნავს იმისი შინაგანი ორგანიზმის, მისი ენის შეგნებას, რომელიც შესაძლებელია იმის გამოკვლევით „თუ რა შეადგენს საზოგადოთ ადამიანის სულის საკუთრებას, რადგანაც იგივე კაცობრიობის სულია, მხოლოდ შეცვლილის სახით, რომელიც მისცა მას ბუნებამ და ადგილმა, მხოლოდ მარტო ამას შეუძლია საბოლოოდ განსაზღვროს ნაციონალური ხასიათი, ეს ყოველი ხალხის სიცოცხლის მოვლენათა საფუძველი, მისი მოქმედების, დაწესებულების, აზროვნების და ყველა იმისი, რაც შეადგენს ხალხის ღირსებას და ძლიერებას და მემკვიდრეობით გადადის შთამომავლობიდან შთამომავლობაზე“.

ეს ნაციონალური ხასიათი „მთელი თავისი ძირებით და წვრილი ფიქრებით“ შეერთებულია ენასთან. ასე რომ ენათა შესწავლა გადგ-

ვიშლის თვალწინ უწარჩინებულესს სურათს, სადაც ნაჩვენებია თუ როგორ იკვლევენ ურიცხვი ხალხები თავიანთ საზოგადო ამოცანებს თითოეული თავისებურად. „ენის სხვადასხვა გვარობაო, – ამბობს იგივე ავტორი, – წარმოგვიდგება მისწრაფების ნაწარმოებად გაშალოს ხალხმა თანდაყოლილი მეტყველების ნიჭი“. ენა ღრმად შედის ხალხის გონება-განვითარებაში. იგი სარწმუნო თანამგზავრია მისი ყოველს ნაბიჯზე მის წარმატებაში და დაცემაში. ენის საშუალებით შეიძლება გავიცნოთ ხალხის ყოველი გონებრივი მდგომარეობა“. „დენაციონალიზაციას, – ამბობს ცნობილი პროფესორი ოვსიანი-კოვ-კულიკოვსკი, მოჰყვება პიროვნების დაცემა, მისი გონებრივი მოქმედების დასუსტება, ზნეობრივი გახრწნილება“ და ეს ჭეშმარიტება ფრიად საყურადღებოა ჩვენთვის. ცხადია, რომ ყველა ერის უწარჩინებულესი მწერლები ერის სიმტკიცეს და მომავალს ენაში პოულობდენ. რუსების შესანიშნავი და უნიჭიერესი მწერალი ტურგენევი სამშობლოს გაჭირების დროსაც ერთადერთ სახსნელ გზას რუსულ ენაში პოულობდა, რადგანაც იმას ცხადათ სწამდა, რომ დიდებული ენა ერის დიდებას შეადგენსო. იგივე მწერალი აღტაცებით ეგებება პუშკინის მიერ შექმნილს ენას, რომლის პოეზიაშიაც ჩართულია ხალხის სულიერი თვისება და პოეტიური სიმშვენიერე. ტურგენევის აზრიც იმის დამამტკიცებელია, რომ ენა სარკეა ხალხის სულისა. ბევრი წინააღმდეგიც ჰყავდა ცნობილს რუსების მწერალს და უსაყვედურებდნენ მას ნაციონალისტობას, ვითომ მას მაღლა აყავდა თავისი ერი და თითქოს თვალს არიდებდა მისს ნაკლულევანებას. მაგრამ ეს ცხადი სიცრუეა და წარმოდგება იმის გამო, რომ ბევრნი ურევენ ფართო ნაციონალიზმის ცნებას, რომელიც თავის ფართო შეხედულობით კოსმოპოლიტიზმს არ ჩამორჩება, იმ ვიწრო კოსმოპოლიტიზმს, რომელსაც უნდა ყველა ებრძოდეს.

აი, რას გვეუბნება ფართო ნაციონალისტი: „როგორც არ შეიძლება ისეთი წერტილის აღნიშვნა, რომლიდანაც შეიძლებოდეს ნივთის ყველა მხარის დანახვა, როგორც სიტყვაში არ შეიძლება წარმოდგენილება, რომელიც გამორიცხავს სხვა წარმოდგენილების შეძლებას, აგრეთვე შეუძლებელია ყოვლისშემცველი საუკეთესო ეროვნება“. /ა. პოტებნია/.

სახარების სიტყვები: „არა არს ელინი და არც იუდელი“ ნაციონალისტებს ასე ესმით, რომ ერთმა ერმა არ უნდა აღიმაღლოს თავი მეორეზედ და ეს სრულიად არ ეწინააღმდეგება ნაციონალისტობის ძირითადს იდეას – ყოველმა ხალხმა თავისი ნაციონალური ხასიათის

მიხედვით შეიგნოს ჭეშმარიტება. ფართო ნაციონალისტი უფრო აბევრებს თავის ნაკლულევანებას, რაც იწვევს კრიტიკას, ნაციონალური გრძნობების გაკეთილშობილებას, „აფრთხილებს ნაციონალური ხასიათის დამახინჯების შეძლებას და შთააგონებს სწორს აზრს იმის შესახებ, რომ ნაციონალური ფორმების წესიერად განვითარებისათვის, მისი სრულმყოფელობისათვის, საჭიროა საზოგადოებრივის და გონებრივის პროგრესის ფართო ეკლიან გზაზე გამოსვლა“. /ოვს. კულიკოვსკი/. სრულიად საჭირო არ არის მტრულად ექცეოდეს ერთი ერი მეორეს, მის ნაკლულევანებას, რადგანაც ეს ბიწიერება ოვს. კულიკოვსკის შენიშვნით, თვისება კი არა – ბუნებაა, როგორც თვალისა და თმის ფერი, ამიტომაც მას არავითარი დამოკიდებულება უმაღლეს ეთიკასთან არ აქვს. ნაციონალური ფარგალი, რომელიც იპყრობს თვის შორის პიროვნებას, მეტად ფართოა, ეთიკასთან კი დამოკიდებულება აქვს მხოლოდ ვიწრო წრეებს /პროფესიონალურს, მაგ., პროფესიას „ქურდებისას“, არის პროფესია მოწყალების დებისა/; ამიტომ ფრიად „სამწუხარო მოვლენაა გავრცელებული მისწრაფება მიაწერონ დებულებითი თუ უარმყოფლობითი ზნეობრივი თვისება სხვადასხვა ერებს და მასთან ბოროტული უაზრობაა“ /ოვს. კულიკოვსკი/. აქედან ცხადია, რომ ანტისემიტიზმი და სხვა ხალხთა სიძულვილის გრძნობა დაშორებულია ფართო ნაციონალიზმს, რომელიც, პირიქით, თავისუფლებას აძლევს ყოველ ერს, ტომს, რადგანაც მისი ბედნიერების საწინდარი სხვა ერების საღ მდგომარეობაშია. ენა თავის ძალას და სიმდიდრეს იძენს ხალხის სათემო კილოებიდან. მთელის სიდიადე დამოკიდებულია მისი ნაწილების სწორ განვითარებისაგან. ცხადია თუ კოსმოპოლიტიზმი რამდენად ახრჩობს, ასწორებს, მიერეკება ყველა ერებს საზოგადო საზომისკენ, სპობს „ცოცხალ სულს“, იმდენად ფართო ნაციონალიზმი აძლევს ყოველ პიროვნებას, ყოველს ერს თავისუფლებას, ხალვათობას ბედნიერ და თავისუფალ ყოფაცხოვრებისათვის.

ერის მოქმედება ენაში შეადგენს აზრიანს მოქმედებას, თავის აზროვნებით შექმნილს მის ძალას. ეს მოქმედება განუყრელად უერთდება ენას და შეადგენს მის არსებას, ამიტომ ენის ღირსება განისაზღვრება ხარისხით მისცეს გარკვეული მიმართულება, გულის აზრი ადამიანის ან ერის მთელს შემოქმედებითს გონებრივს მოქმედებას. ენის მონათესავეა ყველაფერი, რაც სულს აქვს. უკანასკნელში არაფერია „არც მცირე და არც დიდი, რაც შეიძლებოდეს უცხო იყოს ენისათვის“. მაგრამ ამასთან ენა არ რჩება ვნებითს მდგომარეობაში

/в страдательном положении/, არ „განისაზღვრება მიღებული შთაბეჭდილებით, არამედ დაუსრულებელ სხვადასხვაგვარ შესაძლებელ გონებრივ მიმართულებიდან მიჰყვება ერთს ცნობილს, განსაკუთრებით შინაგან მოქმედებას, სახეს უცვლის ყოველგვარ მოვლენას, რამაც მასზე გამოიჩინა მოქმედება“ /ვ. ჰუმბოლდტი/, მაგრამ რადაც უნდა ჩავთვალოთ ჩვენ ენა – ცნობილ აზრთა სისტემად თუ სოფლმხედველობად, ის მაინც იპყრობს თავის შორის ადამიანის სულიერ ძალთა მთელს კრებას. ამნაირად ენა შეიცავს გონებრივ მოქმედების ნაყოფს და მიიღებს ისეთს განსაზღვრულს ხასიათს, რომ „ენით უფრო გაიცნობა ერი, ვიდრე ჩვეულებრივი ზნით და მოქმედებით“. მაგრამ იკითხავთ, რატომ აღბეჭდავს ენა მთელი ერის ხასიათს? ამაზე ჩინებულს პასუხს იძლევა ჰუმბოლდტი: „როდესაც ხმარობენ სიტყვების საზოგადო მნიშვნელობას ერთსა და იმავე ინდივიდუალურ მოვლენათა დასამატებლად, თან აყოლებენ ერთსა და იმავე იდეებს და გრძნობებს, უკვირდებიან იდეების შეერთების ერთსა და იმავე მიმართულებას და სარგებლობენ სიტყვის შეთხზვის თავისუფლებით ერთსა და იმავე საზომში, რომელშიაც ნება ეძლევა გონებრივს გაბედულობას სიტყვის მკაფიოდ და შეგნებით ხმარების უვნებლად იმოქმედოს. ამ თავისებრივი ხმარებით ხალხი ჩააქსოვს ენაში განსხვავებულს ფერად სახეს და იმით პირიქით მოქმედებს ხალხზე“. ყოველივე შემოქმედებაო, – შენიშნავს ვლ. სოლოვიოვი, – გაივლის პიროვნულ ნაციონალურ ფორმებში და შემდეგ ხდება კოსმოპოლიტურიო. შემეცნების ნაციონალური ფორმის უარის ყოფა იგივეა, რომ კაცმა უარჰყოს კანტის კატეგორიები სინამდვილის, სივრცის და დროს შემეცნების შესახებ.

II

ეხლა ჩვენ შევეხებით უფრო რთულ საკითხს – ეროვნების საკითხს სოციოლოგიური თვალსაზრისით. ამ საკითხის სიძნელის გამო, რასაკვირველია, ჩვენ აქ არ შეუდგებით სავსებით მისს გამორკვევას, მოვიხსენებთ მხოლოდ მოკლე ძირითად დებულებათა, რომელთაც კავშირი აქვს ხსენებულს საკითხთან.

ყველა პსიქიური მოვლენა კოლექტიურია იმ აზრით, რომ ის ეკუთვნის სახეს /ყველა ძაღლი ჰყეფს, ყველა ცხენი ჭიხვინებს/. ამასთან ცნება სახის შესახებ უნდა გვესმოდეს არა მარტო, როგორც

ლოგიკური კატეგორია, არამედ – როგორც რეალური შეერთება წინად და ეხლა არსებულის ყველა განსაკუთრებულ თვისებათა, რომელნიც შეკავშირებულია საზოგადო წარმოშობით და პსიქიური მემკვიდრეობით. ყეფა, ჭიხვინი, კნავილი, ღმუილი და სხვ. პსიქიური პროცესებია და კოლექტიურია იმ აზრით, რომ დაფუძნებულია ალღოზედ /ინსტიქტზე/ და გულისხმობს წინაპართა მუშაობას.

რაც შეეხება კერძოდ ადამიანის პსიქიურ ცხოვრებას, ზემოთ მოყვანილ საზოგადო აზრთა დამოუკიდებლად კოლექტივობის შესახებ იმაში უნდა აღინიშნოს ორი სახე კოლექტივობისა: 1/ კოლექტივობა ვიწრო შეხედულობით /საზოგადოებრივობა/, როგორც მუდმივი და ყოველმხრით პსიქიური მოქმედება ერთმანეთზე საზოგადოებად მცხოვრებ ინდივიდებისა, ერთურთზე მოქმედება, რომელიც შეადგენს კერძო ადამიანის და მისი თანდაყოლილი ნიჭის ძირითად განვითარების ფაქტორს და 2/ კოლექტივობა კაცობრიობის ნათესაობის კერძო სხვადასხვა სახეებისა /ეროვნება/, რომელიც გამომხატველია სულიერი მოქმედების მაღალი ფორმების სპეციფიკური შინაარსისა, რომელიც ჩნდება ისტორიულად შეერთებულის კაცობრიობის ჯგუფის წევრთა მჭიდრო ურთიერთობის შედეგად. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ პსიქიკა კოლექტივურია, მაგრამ იმავე დროს იგი ინდივიდუალური არ არის, რადგანაც ფსიქიური ცხოვრების რეალურ მატარებლად ჩნდება ცოცხალი ადამიანი ყველა თავისი სხვადასხვაგვარ ინდივიდუალური თვისებებით და მიდრეკილებით, რომელიც ექვემდებარება დაუსრულებელს სხვადასხვა ფერობას და ფიზიკურისა და სოციალურ პირობათა ცვლილების გავლენას და თვითონაც მუდამ სხვაა, მუდამ ცვალებადია.

ამნაირად, ყველა ფსიქიური ინდივიდუალურია იმდენად, რამდენადაც განსხვავება არსებობს და კოლექტიურია იმდენად, რამდენადაც კერძო პირებში არსებობს კავშირი. ყველა ეს უფრო ცხადათ ენაში გამოიხატება. მეტყველება ვითარდება სოციალური ერთობის გამო და ადამიანის ენაც, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, მუშაობს ეროვნული აზროვნების ფარგალში; მაგრამ მეორე მხრით თითოეული ინდივიდუმის ენა არა თუ არ განსხვავდება მეორის ენისაგან – არამედ ერთს მომენტში ერთი კაცის მიერ წარმოთქმული სიტყვაც ერთია და მეორე წუთში გამეორებული იგივე სიტყვა სულ სხვაა, რადგანაც მისი არტიკულაცია და მისი შესაფერისი წარმოდგენილება მაშინ იგივე არ არის. სახე საზღვრავს ინდივიდუალობას, მაგრამ სახის შეცვლა კი სწარმოებს ინდივიდუალობის შეცვლით. კერძოდ და-

რვინმა შენიშნა, რომ სქესობრივი შერჩევის საშუალებით წარმოებს შეკრება და შეერთება ინდივიდუალური მიქცევისა, რომელსაც მოჰ-ყვება ტიპიური სახის შეცვლა. რასაკვირველია, თვით ცნება სახე — აბსტრაქციაა, მაგრამ ის ფსიქიური ერთურთზე მოქმედება, რომელიც შეადგენს იმის არსებობას, რასაც ჩვენ კოლექტივობას ვუწოდებთ. ეს უკვე აბსტრაქცია კი არა, ფაქტია. არ შეიძლება, მაგალითად, უა-რვჰყოთ სულიერი კავშირი ადამიანებს შორის, რომელნიც ეკუთ-ვნიან რომელიმე სახელმწიფოს ურთიერთობას. თვით ფორმა ამ ურთიერთობისა, რომელსაც სახელმწიფო ეწოდება, დაფუძნებულია ალღოზე, ინსტინქტზე, რომელიც შეერთებულია ხანგრძლივი დროს განმავლობაში.

თუ მივიღებთ მხედველობაში არისტოტელეს მიერ წარმოთ-ქმულს მოსაზრებას, რომ სახელმწიფო ოჯახზე უძველესია და რომ მისი ფორმებიც უფრო მკვიდრი უნდა იყოს, უნდა მივიდეთ იმ დას-კვნამდის, რომ სახელმწიფო წარმოადგენს ერთურთზე სოციალურ მოქმედების უფრო მეტს ტიპიურ ფორმას. ამ მოქმედებაში ადამიანის პსიქიკის კოლექტივობას პირველი ადგილი უჭირავს.

რას უნდა მივაკერძოთ ეხლა ენა? ცხადია, საკმარისი არ არის ვსთქვათ, რომ იგი სოციალურია; იმის საფუძველში არსებობს ზო-გიერთი სპეციფიკური დასაწყისი, რომელიც გულისხმობს ცნობილს პსიქიურ სხვაობას, რომლითაც განირჩევიან სხვადასხვა ენაზე მო-ლაპარაკე ადამიანები და რომელიც ითხოვს ამ სხვაობის დაცვის პირობებს. ენა სახეს ეკუთვნის: იგია ერთსა და იმავე დროს ინდივი-დუალური და კოლექტიური მოვლენა, ე. ი. საკუთრება ინდივიდუმთა ჯგუფისა, სახელდობრ იმ ჯგუფისა, რომელსაც ერს უწოდებენ /ოვს. კულიკოვსკი/. ენის ერთობა არ გულისხმობს თითქმის სოციალურ დამოუკიდებელ ურთიერთშორისობას, ერთი პოლიტიკური საზო-გადოების კუთვნილებას, ე. ი. ერთის სახელმწიფოისას. ეს სჩანს შემდეგი მარტივი მოსაზრებიდან: ხალხები შეადგენენ სახელმწი-ფოს არა იმიტომ, რომ ერთს ენაზედ ლაპარაკობენ, არა, არაფერი არ უშლის სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხს შეადგინოს ერთი სახელმწიფო /მაგ. შვეიცარია/, რადგანაც სახელმწიფო ლინგვისტურ ჯგუფს კი არ წარმოადგენს, თუმცაღა შეიძლება, როგორც იშვიათი მოვლენა ისეთი სახელმწიფოც, სადაც ყველანი ერთს ენაზედ ლაპა-რაკობდნენ. ასე, მაგ. ჩინეთიც არ შეიძლება ვიგულისხმოთ ამ აზრით საწინააღმდეგოთ, რადგანაც იქაც არა მარტო ჩინელები ცხოვრობენ და ჩინეთის სახელმწიფოც სიდუხჭირეს წარმოადგენს. მართალია

ერთს ენაზე მოლაპარაკე ხალხს უფრო ადვილად შეუძლიან სახელმწიფოს შედგენა, მაგრამ აქედან არ შეიძლება თითქოს საჭირო იყოს ყველა ეროვნება დაუმორჩილონ ერთს ენას, რადგანაც ეს არათუ ხელს უშლის საზოგადო პროგრესს, არამედ იწვევს უფრო სამწუხარო მოვლენებსაც. „ერი, რომლის ჩანთქმაც სურს მეორეს, – სწერს პოტებნია, – თავისი ძალის უზომოდ ხარჯვის შემდეგ მაინც მიაღწევს ამ უკანასკნელის დანაწილებას“.

ენით ურთიერთობა არ შეადგენს პოლიტიკურ ურთიერთობას, ასე რომ ისინი, ვინც ფიქრობენ ნაციის გამოყოფას სახელმწიფოდან, შემცდარია არა იმიტომ, რომ ეს შეუძლებელია, არამედ იმისთვის, რომ ეს უკვე იყო, არის და იქნება და სხვაფრივაც არ შეიძლება. მაგალითად, გერმანულ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობს სხვადასხვა ქვეყნებში, ეკუთვნიან სხვადასხვა სარწმუნეობას, მათ შორის მწვალებლებიც არიან, შედიან სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებში, მაგრამ ისინი წარმოადგენენ მჭიდრო ლინგვისტურ ჯგუფს: გერმანული ლიტერატურა და მეცნიერება აერთებს იმათ. ეს ჯგუფი სოციალური ურთიერთობის გარეშეა; ეს სახეა, ნაციაა. შვეიცარიაში რაღაც მიზეზის გამო იტალიელები, ფრანგები და გერმანელები იძულებულნი გახდნენ შეედგინათ ერთი სახელმწიფო; მაგრამ როდესაც ჰკითხავთ შვეიცარიელ ფრანგს, ვინ არის იგი, იგი მოგიგებსთ ფრანგულ ენაზე: მე ფრანგი ვარო; გერმანელი – გერმანულ ენაზე: მე გერმანელი ვარო. ეს საინტერესო ფაქტი შეინიშნება ყველგან. იგივე შეინიშნება ამერიკელებსა და ინგლისელებს შორისაც. სანამ იმათ ერთი ენა აქვსთ, სანამ ამერიკელებისათვის დიკენსი მშობლიური მწერალია, მანამდის ეს ერთი ნაციაა; მაგრამ რამდენიმე საუკუნის შემდეგ, როცა ამერიკელების ენა შეიცვლება, რაც ეხლაც შეინიშნება – როდესაც სხვა ეროვნების გავლენით იგი გარდიქმნება სხვად, – მაშინ გამოჩნდება განსაკუთრებული გონებრივი ინტერესებიც, თავისი მეცნიერება, თავისი მწერლობა. ჯერ-ჯერობით ამერიკელების ლიტერატურას ინგლისური ხასიათის ბეჭედი აზის: გულუბრყვილო ცხოველი სიმხიარულე, მატერიალური ცხოვრებისათვის სასარგებლო ზნეობრივი სწავლა და სხვ. აგრეთვე ინგლისელებისა და ამერიკელების ფილოსოფიაში გამეფებულია მხოლოდ ჰეგელის სისტემა. ამნაირად ნაციონალიზმი, რომელსაც ენათა მეცნიერება ჰქადაგებს, არ ჰგავს სახელმწიფოებრივს, სოციალურს. მაგალითად, პირველის შეხედულებით, არსებობს არა ერთი ქრისტიანობა, არამედ იმდენი, რამდენიც ქრისტიანული ეროვნებაა. პოლონური კათოლიკობა, მაგალითად, ესპანურს

არა ჰგავს, რომ არა ვსთქვათ რა პროტესტანტიზმის შესახებ თავისი სხვადასხვა დაყოფილებებით. ამის მიხედვით რომელიმე სხვა ერის შვილი ბავშვობიდან აღზრდილი მაგალითად ფრანგის ოჯახში, ფრანგულს ენაზე, ეკუთვნის ფრანგის ეროვნებას, რადგანაც მისთვის გასაგები იქნება რენანი, ჰიუგო და არა მშობლიური მწერლები. ამისი მაგალითი ჩვენშიაც ურიცხვია. რამდენია ჩვენში ისეთი ქართველი, რომელმაც არც ქართული ლაპარაკი იცის და არც ქართული მწერლებისა გაეგება რა, რადგანაც ბავშვობიდგანვე ჩავარდნილა ისეთს პირობებში, რომელსაც აუცდენია იგი ეროვნულს გზას და დამდგარა გადაგვარების გზაზე. ჩვენი დროის ცნობილმა კრიტიკოსმა ოვს. კულიკოვსკიმ, რომელმაც ჩინებულად იცის უცხო ენები და ევროპიული ლიტერატურაც, განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია ჰიუგო, რომ გადითარგმნოს რენანი, დაჰკარგავს ნახევარ ღირსებას მაინც. კაცობრიობის გონებრივ მოქმედების მაღალ ფარდებში, განსაკუთრებით ხელოვნებაში და სამეცნიერო ფილოსოფიურ აზრებშიაც ეროვნება უფრო ნათლად გამოსჩანს. ის მუშაობს და აკეთებს თავის საქმეს არა მეთოდებში /ოგიუსტ კონტს მეტი წარმატება ჰქონდა ინგლისელებში/, არამედ აზრის ნაკეცში, მიხვრა-მოხვრაში; აზრის ნიადაგზე მუშაობაში /შეუგნებელ სფერაში/ იგი ასრულებს უდიდესს როლს. მხატვრობრივ შემოქმედებაში ეს უფრო ცხადათ სჩანს. ხელოვნება მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი, როდესაც იგი ეროვნულია; აქედან ყველა დიდებული პოეტი უსათუოდ საეროვნოა; ამითვე აიხსნება ის გარემოება, რომ მათი ნაწარმოების უმრავლესობა ძნელი გადასათარგმნელია სხვა ენაზე და თუ გადაითარგმნა ბევრს რასმე დაჰკარგავს.

ამ შემთხვევაში ენაც იგივეა, რაც თვალი. იმის მსგავსად თუ რამ ცვლილება მოხდა მხედველობაში, რომელსაც დიდი გავლენა აქვს შთაბეჭდილებათა მიღების შედეგზე, „აგრეთვე ყველა წვრილმანის გავლენა აზრზე თავის მხრით ერთადერთია და შეუცვლელი“. ასე „სხვა ენაზე გადაცემული აზრი, მის ფიქტიურ განყენებულ შინაარსთან შედარებით, იძენს ახალს დამატებას, რომელიც არა არსებითია მხოლოდ მისი პირველ დასაწყისი ფორმის მიხედვით“.

პოეზია ამ შემთხვევაში წინ უსწრებს მეცნიერებას. არსებობს ერთგვარი ანეგდოტი, რომელიც თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, რომ შეუძლებელია რომელიმე აზრის სრულად გადათარგმნა სხვა ენაზე. დალს მოჰყავს შემდეგი მაგალითი: მოსული ბერძენი ზღვის პირს იჯდა, რაღაცას თავისთვის მღეროდა და შემდეგ მწარე ტირილი მორთო. რუსი მივიდა და სთხოვა გადაეთარგმნა რას მღეროდა. ბერ-

ძენმა უთხრა: „იჯდა ფრინველი, – არ ვიცი რა ჰქვიან მას რუსულად, – იჯდა იგი მთაზე, დიდხანს იჯდა, დაიფრთხიალა, გაფრინდა შორს, შორს, ტყის იქით, შორს გაფრინდა“. ყველაფერია აქ; სხვა ენაზე არაფერი გამოდის, ბერძნულად კი სატირალი და სამწუხაროა. ჩინებული თარგმანი მხოლოდ საუკეთესო მიმსგავსებაა. მაგრამ აქედან ის დასკვნა არ უნდა გამოვიყვანოთ, რომ მხატვრული შემოქმედება ეროვნულს საზღვრებში იქმნას ჩაკეტილი; ეს სრულიად არ უშლის მისს საზოგადო საკაცობრიო ხასიათს. იგი ეროვნულია თავისს ლაბორატორიაში, გონებრივი შრომის ნიადაგში, მაგრამ მისი შედეგები /შინაარსი და მეთოდები/ ხდება სამკვიდრებლად სხვა ერებისთვისაც. თუ ჩვენ გვესმის და ვაფასებთ შექსპირს, ეს იმიტომ რომ ის აღძრავს აზრის შესაფერისს მოძრაობას, ახალს ორიგინალურს შემოქმედებას იმავე თემაზე. რას ნიშნავს ლაპარაკი? ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ შენი ტვინის აპარატი გადიტანო სხვის თავში, არამედ აღძრა სხვაში აზრის ანალოგიური პროცესი/ მიუწთომლობის კანონი/. მართლაც არის რაღაც მახლობელი კავშირი ენისა და გონებრივ მოქმედებას შორის, და ხანდისხან შეუძლებელი ხდება თავისი აზრი სხვა ენაზე გამოთქვა. „მე არც ერთი სტრიქონი ჩემს დღეში არ დამისტამბია თუ არა რუსულ ენაზეო, – ამბობს რუსების ცნობილი მწერალი ტურგენევი, – წინააღმდეგ შემთხვევაში სახელოვანი კი არა, საძაგელი ვიქნებოდიო. როგორ შეიძლება წერა უცხო ენაზე, როდესაც დედა ენაზედაც ძლივსღა შესაძლებელია მხატვრულ სახეებისა და აზრების მოგვარება“.

სად იმალება ეს კავშირი ენასა და ეროვნებას შორის? „ხალხის ხასიათი, რასაკვირველია, ყველაფერში გაიშლება, რაც კი შეადგენს მისს მახლობელ ბუნებას, – შენიშნავს ჰუმბოლდტი, – მაგრამ განსაკუთრებით ენაში. ენა უერთდება სულის ყოველგვარ გამოაშკარავებას და აქედან გამოაქვს ყოველთვის მისი თანასწორი განსაკუთრებული აღბეჭდილება, მაგრამ ენა უერთდება პიროვნებას ისეთი ნაზი და გულითადი კავშირებით, რომ აზრთა გადაცემის დროს, ყოველთვის სწორის აზრით უნდა შეიჭრას სხვის სულში, რომ ამ უკანასკნელისთვის სავსებით გასაგები იყოს“. ავიღოთ, მაგალითად, შექსპირი, რომლის ხელოვნურ აზროვნების ფენებში, შემოქმედების ხასიათში, მოფენილია რაღაც ისეთი, რომლის შენიშვნა მართლა ძნელია, მაგრამ ყველა ერთად ახდენს ინგლისურ შემოქმედების შთაბეჭდილებას.

ყველაზე უფრო ნათლად ლიტერატურაში გამოსჩანს ნაციონალური გენია. აქ გონება, გრძნობა და ნება მოურიდებლად აკეთებენ

თავიანთ მახლობელ საქმეებს და, როგორც „სიტყვაში გამოკაშკაშებს ინდივიდუმის სული“, აგრეთვე ყოველი ერის ლიტერატურაში ბრწყინავს იმისი ხასიათი, რადგანაც „ლიტერატურა და ენა ყოველთვის ხელიხელს ჩაკიდებული, განუყრელის კავშირით გადაბმულნი, ერთნაირის ნაბიჯით მიდიან“.

„ლიტერატურული ნაწარმოებიო, – ამბობს ტენი, – ნამდვილი სახეა გარშემო ზნეობისა და აღმნიშვნელი ხალხის გონების მდგომარეობისა“. აქედან ბუნებრივად წარმოიშვა ის დასკვნა, რომ ლიტერატურული ნაშთების შემწეობით შესაძლებელია აღდგენა იმ აზროვნებისა და გრძნობითი მსოფლმხედველობისა, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ადამიანები რამდენიმე საუკუნის წინად, მისთვის რომ ლიტერატურა მოგვაგონებს იმ საკვირველს და გრძნობიერს იარაღს, რომლის შემწეობითაც ფიზიკოსები იკვლევენ და ზომვენ ნივთიერების უწვრილმანეს ცვლილებათა“.

საყურადღებოა ისიც, რომ მარქსის მოძღვრების მართლმორწმუნემ, ცნობილმა ბელტოვმა, ისეთი ღრმა აზრი წარმოსთქვა ლიტერატურის ეროვნული ხასიათის შესახებ, რომელიც ამტკიცებს ზემო ნათქვამს: „როგორც ზოოლოგიური მოდგმა განიყოფება სახეებად, ისე მსოფლიო ლიტერატურაც განიყოფება ცალკე ხალხის ლიტერატურად. ყოველი ლიტერატურული მიმდინარეობა, ყოველი ფილოსოფიური იდეა იძენს თავის განსხვავებულ ხასიათს, ხანდისხან თითქმის ახალს აზრს განათლებული ქვეყნების თითოეულს მხარეში“.

ერთის შეხედვით გვგონია, რომ მეცნიერება ყველაზე უფრო ნაკლებ უნდა იყოს ნაციონალური, მაგრამ სჩანს, რომ ნაციონალური გენია თავისს საქმეს აკეთებს. მართალია, რომ მეცნიერულ შემოქმედებითის შედეგები მხატვრობრივ შედეგებზე უფრო ადვილად გადაიცემა; ცნობილია, რომ სამეცნიერო წიგნების თარგმნა უფრო ადვილია, ვიდრე პოეტიურის ნაწარმოებისა. მაგრამ, მეორე მხრით, უეჭველია ისიც, რომ თითოეული ერი უფრო ხალისიანად და წარმატებით იკვლევს ნამდვილი მეცნიერების რომელიმე დარგს. რომ ავიღოთ შემოქმედება, რომელშიაც ეს განსხვავება უფრო ნათლად სჩანს, დავინახავთ, რომ ინტუიციით ე. ი. შეუგნებლად თუ ნახევრად შეგნებული მუშაობით, დარვინი ტიპიური ინგლისელია. არის ისეთი მეცნიერება, რომელიც ცუდათ შემუშავდება რომელიმე ერის მიერ; მაგალ., პოლიტიკური მეცნიერება, უმთავრესად ინგლისელებს ან გერმანელებს ეკუთვნით და არა ფრანგებს. მეოთხე საერთაშორისო „ფსიქოლოგიურ კონგრესზე რიბომ აღნიშნა საყურადღებო დაკვირ-

ვება იმის შესახებ, რომ გერმანიაში მომეტებულად ექსპერიმენტალურ ფსიქოლოგიას მისდევენ, საფრანგეთში და იტალიაში – პათოლოგიურს და ინგლისში დაკვირვებითს.

ცნობილია, რომ ინგლისის ფილოსოფიას მიუძღვის ის არსებითი ღვაწლი, რომ ყველაზე მეტს ის მიისწრაფებოდა კავშირი დაეცვა ნამდვილ ცოდნასთან, იმ გონების თვალით, რომელიც მცირედ ეწყობა სპეკულიატიურ აზროვნებას, ინგლისელები ყოველთვის ყოფილან ემპირიულ დასაწყისის დამცველათ ფრანგთა ფილოსოფიის დედუქტიური ხასიათის და გერმანელთა ფილოსოფიური აზრების მეტაფიზიკურ მისწრაფების წინააღმდეგ. აი, ამიტომაც ე. რადლოვს ბეკონი მიაჩნია ინგლისის ნაციონალურ ფილოსოფოსად, დეკარტი – ფრანგებისად, კანტი – გერმანიისად და სხვ. ადამიანის სულის მეტაფიზიკურ მისწრაფებას ისე სრულად და ცხადად არსად არ უჩენია თავი, როგორც გერმანულ გენიაში, რომელსაც მეტი მიდრეკილება აქვს იმათ მისაღებად. ამის დამამტკიცებელნი არიან შემდეგი ფილოსოფოსები: კანტი, ფიხტე, ჰეგელი და შელინგი.

მეორე მხრით ვოლტერი და რენანი თავიანთი ცხადი, გარკვეული და მკაფიო სამეცნიერო ჭკუით გამოჩნდებოდნენ მხოლოდ ფრანგთა შორის. გასაოცარია აგრეთვე ის გარემოება, რომ პოზიტიურმა მიმართულებამ, რომელმაც დიდი თანაგრძნობა გამოიწვია ფრანგებში და ინგლისელებშიაც, მიიღო სულ სხვა ხასიათი ამათუიმ ერის ნაციონალური გონების განწყობილებათა მიხედვით. „იმისი ფრანგული ფორმა უფრო იხრება მატერიალიზმისაკენ, ინგლისური კი წმინდა ფენომენიზმისაკენ“ /პროფ. ლოპატინი/.

რომელიმე ერის ეროვნულ შემოქმედების ფსიქოლოგიისათვის ფრიად საჭიროა ამ ერის მაღალგონებიან პირთა შესწავლა, რომელშიაც როგორც ფოკუსში გროვდება ერის ყველა განსაკუთრებული ეროვნული ხასიათი. ასეთია მაგალითად ფრანგებისათვის რენანი. იმის შემოქმედების გადაცემა სხვა ენაზე თუ არა ფრანგულით შეუძლებელია, ენა რომ ჩამოაშორო, ყველაფერი დაიფუშება, რადგანაც იქ ენასა და მეცნიერულ შემოქმედებათა შორისი კავშირი განსაკუთრებით თვალსაჩინოა.

რენანისათვის ენა აზრის გარსს კი არ შეადგენდა, არამედ ის იყო იმის ორგანო, შემოქმედი.

გერმანულად იმისი იდეები რაღაც მოუხეშავად ჟღერენ, რუსულად კი სრულიად შეუძლებელია იმათი გადაცემა.

ხელოვნება, მეცნიერება, ფილოსოფია ე. ი. ადამიანის ყველა მაღალი გონებრივი მოქმედება წარმოადგენენ ფსიქიურ პროცესებს,

რომლებიც უნდა დაიყოს ენისა და ეროვნების მოვლენათა და არა სხვა მოვლენათა მიხედვით, ყოველი მაღალი გონებრივი მოქმედება, როგორიც უნდა იყოს იმისი შინაარსი, შედეგია ეროვნებისა.

მაგრამ ეროვნება, ამ აზრის ფართო შეგნებით და მნიშვნელობით, სრულებით არ მისდევს თითოეული ერის კარჩაკეტილობას; პირიქით, სხვასთან სულიერად ურთიერთობაშია იმისი ბედი და ცხოვრება, რადგანაც ენა, როგორც მაჩვენებელი ხალხის გონებრივი სიცოცხლისა, ვითარდება და მაგრდება სხვებთან შეხებით და თანაზიარობით.

„გარეშე გავლენა რომ თვისტომობას ღუპავდეს, ახალი ხალხებიც არ გაჩნდებოდნენ. თუ ხალხს ნიჭი „არ დაუვარდეს“ ე. ი. დაიცვას შეძლება შემდეგის სიცოცხლისთვის, მდგომარეობს მხოლოდ სიძველეების შენარჩუნებაში. ეს შეუძლებელია, როგორც ის, რომ წყალი არ გაიყინოს სიცივეზე და ყინული არ გადნეს სითბოში“. კიდევ უფრო ცხადად ამბობს ამის შესახებ ჰუმბოლდტი: „ცივილიზაცია და განათლება თანდათან ასწორებს მკვეთრს კონტრასტებს ხალხთა შორის: უმაღლესი განათლება, ღრმად შეიჭრება თუ არა სულში, კიდევ უმეტესს წარმატებას იჩენს საზოგადო ზნეობრივი ფორმების შეთვისებაში. ამასვე უწყობს ხელს მეცნიერებისა და ხელოვნების წარმატებაც, რომელნიც განთავისუფლებულია ეროვნულის შეხედულობისგან და მუდმივ იდეალისკენ მიისწრაფვის. მაგრამ, როდესაც ცდილობენ საზოგადო საერთო თანასწორობის მოპოვებას, ხალხები მიაღწევენ ამას სხვადასხვა გზით და ეს სხვადასხვაობა, რომელშიაც გამოიხატება ადამიანური პიროვნება და არა ბრმა ცალმხრივობა, დაუსრულებელია. ამიტომაც, ხალხს რომ შეეძლოს კაცობრიობის განათლების საზოგადო მსვლელობაში მეტი ძლიერი და ნაყოფიერი გავლენა შეიტანოს, საკმარისი არ არის მარტო ის, რომ მან რამე წარმატება გამოიჩინოს რომელსამე სამეცნიერო მიმართულებაში: საჭიროა მან გამოიჩინოს ენერგიული მოქმედება იმაში, რაც შეადგენს გონებრივ სიცოცხლის შუაგულ წერტილს და რაც ყველაზე უფრო სრულად და ცხადად გამოიხატება ფილოსოფიაში, პოეზიაში და ხელოვნებაში და აქედან მოეფინება მისი აზროვნების და წარმოდგენილებათა მთელს მსვლელობას“. ეს აზროვნება კი ენის საშუალებით წარმოებს. ამიტომ ენა უსაჭიროესი იარაღია სულის მოქმედებისა, ლიანდაგია, რომელსაც იგი მიჰყვება. ამ თვალსაზრისით ყოველს ერს, როცა იგი იკვლევს რომელიმე მეცნიერებას და მისი შედეგი შეაქვს საკაცობრივო ცოდნის სალაროში, გაჰყავს საკუთარი გზა დაუსრულებელ იდეებისა

და ქვეყნიურ გამოცანათა კვლევაში. აქედან ლოგიკური დასკვნა ასეთია: რამდენადაც მეტია კულტურული ერი, იმდენად უფრო ჩქარა გასწევს წინ ცივილიზაცია პროგრესისა და კულტურის გზაზე. ამ თვალსაზრისით ადვილი გასაგებია პროფესორ პოტებნიას

სიტყვები: „კაცობრიობის გაერთიანება ენით და ეროვნებით შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ეს საზოგადო კაცობრიული აზრის დამღუპველი იქნებოდა, ისე, როგორც მრავალი გრძნობის ერთ გრძნობად შეცვლა, თუნდაც ეს ყოფილიყო არა შეხება, არამედ მხედველობა. კაცის არსებობისათვის საჭიროა სხვა კაცები; ხალხისათვის – სხვა ხალხი“.

ცივილიზაცია ხელს უწყობს ხალხოსნობის სიმტკიცეს. უფრო მეტი ერთობა, რომელიც მოსალოდნელია ხალხთა შორის მომავალში სხვადასხვა ტექნიკური და კულტურული წარმატების გამო, ხელს არ შეუშლის ხალხოსნობას: კულტურულ ხალხში ენის შეჩვევა უფრო იმატებს და აღორძინდება. მაგრამ აქ ჩნდება შემდეგი წინასწარი მოსაზრება: ნაციონალისტების მიერ აღიარებულმა ერთობამ ერთა შორის ტენდენციით მომავალში წინმსვლელობისათვის, შეიძლება მომავალში შექმნას ერთი ენა.

აქ ჩვენ გადავდივართ უფრო რეალურს ნიადაგზედ – ლინგვისტიკის ძირითადს და მტკიცედ დაფუძნებულს კანონზედ. ლინგვისტიკას ანუ ენათა მეცნიერებას რამდენიმე საუკუნის წინანდელი მასალა აქვს შეკრებილი. მან თავის განვითარებაში დიდი ნაბიჯი წადგა წინ და ოვს. კულიკოვსკის თქმისა არ იყოს სრული უფლება აქვს საპატიო ადგილი დაიჭიროს სხვა ნამდვილ მეცნიერებათა შორის. ეს მეცნიერება საზოგადოდ გვამცნევს შემდეგს: ენებს საზოგადოთ თანდაყოლილი აქვს დიფერენციაციისა /განსხვავების/ და ინდივიდუალიზაციისკენ /განცალკევებისკენ/ მისწრაფება. „არიულ ენათა ისტორიული მოხაზულობა, რომლის მიხედვითაც საზოგადოთ ჩვენ შეგვიძლიან სჯა ვიქონიოთ სხვა ენების შესახებ, წარმოგვიდგება მათი დიფერენციის სახით არა მარტო ხმებში, არამედ ხმარებულ ფორმებშიაც. ერთის საზოგადო სლავური ენიდან წარმოსდგა 10, 11 ან 12 სხვადასხვა სლავური კილოკავები. ცალკე ხალხებმა და პარტიებმა მოიგეს, მაგრამ ეს საზოგადოთ დიდს ანგარიშს არ წარმოადგენს და არც არავის შეუძლიან დაამტკიცოს, რომ ოდესმე სლავური ენის კილოკავები ეხლანდელზე მეტი ყოფილიყოს“ /პოტებნია/. მაშასადამე ენათა მეცნიერების თვალსაზრისით ერები მთელი კაცობრიობის საბედნიეროდ ყოველთვის იარსებებენ. ამნაირად ჩვენ ვცდილობდით და-

გვემტკიცებინა, რომ ფართო ნაციონალიზმი არავითარ შემთხვევაში კოსმოპოლიტიზმზე უფრო ვიწრო არ არის, რომ პიროვნება, რომელიც პ. სტრუვეს აზრით, კოლექტიურ პროცესს ჰქმნის და მისგანვე იღებს წკიპურტს შემდეგის შემოქმედებისათვის, ეს პიროვნება, უმთავრესად, ეროვნული ჯაჭვებით არის შებოჭილი და მისი ფსიქიკაც ეროვნულს საფუძველზე მუშაობს /ოვს. კულიკოვსკი/.

ბოლოს, ფსიქოლოგიურად ნაციონალიზმი დაფუძნებულია ხალხთა შორის სულიერ ერთობაზე. თითოეული ერის სიცოცხლე უმთავრესად სხვა ერის ბედნიერებაზეა დამოკიდებული, კოსმოპოლიტიზმი კი გვიქადაგებს ერთ ერად გაერთიანებას, ე. ი. გვირჩევს მრავალი გზის მაგიერ ერთი გზის არჩევას მსოფლიო ჭეშმარიტების შემეცნებისათვის, კაცობრიობის ცოდნის, პროგრესისა და კულტურის შევიწროვებას. მაგრამ რომელ ერად უნდა გავერთიანდეთ? ცნობილია, რომ სრული ერი არ არსებობს, მაშასადამე წინდაწინვე ხელი უნდა ავიღოთ კაცობრიობის შემდეგს განვითარებაზე. სამართლიანად უთითებენ, რომ ნაციონალიზმის ხელი სისხლში იყო ამოსვრილიო, მაგრამ განა თანასწორობისა და ძმობის პრინციპები უნდა მიტოვებულ იქმნას იმიტომ რომ ისინი სისხლით იყვნენ მოსვრილნი? არა, ათასჯერაც არა! იმის გამო, რომ ადამიანებს არ შეუძლიანთ ცხოვრებაში იდეის გატარება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ უკანასკნელი ცუდია. სხვანაირად ეთიკური პრინციპების უმრავლესობაც უნდა მავნებლად მიგვეღო.

დასასრულ უნდა ვსთქვათ, რომ, რამდენადაც ფართო ნაციონალიზმის იდეა ჰუმანურია და ფართო, იმდენადვე იგი დამყარებულია მეცნიერებაზე – ფსიქოლოგიაზე და ენათა მეცნიერებაზე, რის თქმაც კოსმოპოლიტიზმის შესახებ არ შეიძლება, რადგანაც იმისი იდეა ჰაერში ჰკიდია და ნაციონალურზე სრულიად უფართესი არ არის.

ბოლოს, რომ უფრო ნათლად წარმოვიგინოთ ყველა ზემოთ ნათქვამი, გავიმეორებთ მოკლეთ, რის დამტკიცებასაც ვცდილობდით ამ წერილში.

1. ეროვნება არის „სოციალური ჯგუფების გაერთიანება უფრო დიდსა და ფართო ჯგუფად საზოგადო ენის ნიადაგზე, იმ ენისა, რომელსაც მიუღწევია საკმარისს განვითარებამდის და რომელიც შეადგენს კოლექტიურ გონებითი მოქმედებისათვის ფსიქიურ საფუძველს, იმ მოქმედებისათვის, რომელიც მიისწრაფვის იმაზე მაღლა, რაც დამოუკიდებლად მიცემულია ენაში“ /ოვს. კულიკოვსკი/.

2. ეროვნება თავს იჩენს ხელოვნებაში და მეცნიერებაში, რომელნიც მოძრაობენ ენის მიერ გაყვანილს ლიანდაგზე.

3. „დენაციონალიზაცია, რასაც ჩვენ ვამჩნევთ მხოლოდ კერძო პირებში, შედეგია ცუდი აღზრდისა, წარმოადგენს ზნეობრივს სენს, არა სრულად სარგებლობას შეგნებათა საშუალებისას, შეთვისებისას, ზემოქმედებისას, აზრის ენერგიის შესუსტებას, ცარიელ სისაძაგლეს, სიცარიელეს, შეგნების ფორმების განდევნას და იმის არაფრით შეცვლას, მოზარდ თაობისა და დიდებს შორის კავშირის მოსპობას, საზოგადოების დეზორგანიზაციას, უზნეობას, გათახსირებას“ /პოტებნია/. „ერის დაქუცმაცებას მოჰყვება პიროვნების დაცემა, მისი გონებრივი მოქმედების დასუსტება და ზნეობრივი გახრწნილობა“ /ოვს. კულიკოვსკი /.

ყველა ამას, სამწუხაროდ, ნათლად ხედავს ჩვენში ყველა ჩვენი ცხოვრების მეთვალყურე.

4. „განათლების დაბალ საფეხურზე ეროვნული შური და მძულვარება უფრო ძლიერია და ცხოველი; მაგრამ არის საფეხური, სადაც იგი სრულიად ჰქრება და სადაც ბედნიერებას და უბედობას მეზობელ ხალხისასაც ისე გრძნობ, როგორც თავისს საკუთარს“ /გიოტე/.

5. „უმაღლესი ზნეობრივი იდეალი მოითხოვს, რომ ჩვენ ყველა ადამიანი გვიყვარდეს, როგორც თავისი თავი, მაგრამ, რადგანაც ადამიანები არ არსებობენ ხალხოსნობის გარეშე /როგორც ხალხოსნობა არ არსებობს კერძო ადამიანების გარეშე / და ეს კავშირი უკვე ზნეობრივი, შინაგანი და არა მარტო ფიზიკური შეიქმნა, აქედან ის ლოგიკური დასკვნა გამოდის, რომ ჩვენ პატივს უნდა ვცემდეთ ყველა ხალხს“ /ვლ. სოლოვიოვი /. ამ აზრს არ ღალატობდა ქართველი ერი თავისს წარსულ ცხოვრებაში; იგი უცხოსაც ისე უყურებდა, როგორც თავისიანს, მაგრამ დააფასეს კი ეს მაღალი გრძნობა ჩვენმა მტერმოყვრებმა და მეზობლებმა?

6. ყველა უნდა განიმსჭვალოს ლასსალის მიერ წარმოთქმული გულნადებ აზრებით – „ყოველი ხალხის მაღალ ზნეობრივ უფლებათა ეროვნულს დამოუკიდებლობაზე ხელშეუხებლობაში“. ფართო ნაციონალიზმს უშიშრად შეუძლიან სთქვას: „ერებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“.

ეხლა ცხადია თუ რისთვის იბრძვის ყველა ცოტად თუ ბევრად შეგნებული ერი თავისი ენის გულისათვის, რად ჩასჭიდებიან აგრე დედა ენას და ცდილობენ მისს დაცვას ყოველგან. ამით ეჭიდებიან თვით არსებობის საფუძველს. ცხადია, რომ სკოლა ბუნებრივი შემნახველი და მატარებელია ენისა. მოსპეთ დედაენაზე მეცნიერებისა და ხელოვნების სწავლება და ამით ხელს შეუწყობთ ენის დაცემას, გახ-

რწნილებას, როგორც ამას ამტკიცებენ დიდებული ენათა მეცნიერები და თუ რა შედეგი მოჰყვება ამას, ესეც ცხადად სჩანს ზემო ნათქვამიდან. ცხადია ისიც თუ რა ბოროტებას სჩადიან რუსეთის ბიუროკრატები, როდესაც სხვა ერებს არ აძლევენ უფლებას განვითარდენ თავიანთ სამშობლო ენაზე და ამ ენითვე ასწავლონ სკოლებში. მათი ისტორიული დუხჭირი დევიზი – სჩანსთქან სხვა ერები და დააყენონ ისინი გადაგვარების გზას, ვერავითარ გასამართლებელ საბუთს ვერ ჰპოულობს ვერც მეცნიერებაში და ვერც ისტორიაში, იწვევს მხოლოდ არავისთვის ხელსაყრელს და სასტიკს ზომებს ორივეს მხრით, რადგანაც „ადამიანი ხელისა და ფეხის შეკვრას უფრო ადვილად ჰნებდება, ვიდრე ენის შეკვრასა“.

მაგრამ განა ჩვენ ქართველებს შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ვითომ ჩვენც საყოველთაოდ ვიბრძვით და არ „ვნებდებით ენის შეკვრასა?!“ ჩვენში, ჩვენდა სავალალოდ, თუ თითო ოროლა მებრძოლი და მოქმედი მუშაკი გამოერევა, სამაგიეროდ უმრავლესობა ნებსით თუ უნებლიეთ, სიტყვით თუ საქმით, შეგნებით თუ შეუგნებლად, ვითომდა მეცნიერების სახელით თუ უმეცრებით, ორმოს უთხრის ქართველს ერს და მტრის გულის გასახარებლად ხელს უწყობს მისს ყოველმხრივ შევიწროებას, გადაგვარებას, თითქოს სხვა გარეშე მტერიც არა გვყავდეს, ვერ შეგვიგნია საერთოდ ცუდი შედეგი გადაგვარებისა. საკვირველიც არ არის ამისთანა მოვლენა ჩვენში, რადგანაც ის არის საერთო შედეგი ეროვნული ნიადაგიდან მოშორებულის დუხჭირის განათლებისა, რომელმაც ბევრი ახალგაზდობა ჩამოაშორა დედის ტკბილ ძუძუს და მის ნაცვლად მწარე შრატი მიაწოდა საზრდოთ.

შინაური მიმოხილვა

ქართველი საზოგადოება მოსკოვში. ყაზბეგის ქალთა სკოლა. ვაჭრების მონაწილეობა „წერა-კითხვის საზოგადოების“ საქმეში. სახალხო უნივერსიტეტი ჭიათურაში. საღამოობით კურსები ბათუმში. ქართველები სამასწავლებლო ინსტიტუტში და სემინარიაში. სახალხო სკოლების მასწავლებელთა განცხადება. „ქართული სამკურნალო ჟურნალი“ და ჩვენი ექიმები. ქართული სკოლის საჭიროება სპარსეთში.

ჩვენი ცხოვრების უკეღმართმა პირობებმა გამოიწვიეს ის გარემოება, რომ ჩვენი ახალგაზრდობა თავის სიცოცხლის საუკეთესო ხანას უცხო ქვეყანაში ატარებს და მასთან ბევრი შემდეგშიაც იქ რჩება. მოწყვეტილი თავის სამშობლოს, დაშორებული თავის ქვეყნის ინტერესებს, ბევრი გადახვეწილი ქართველი თანდათან ივიწყებს თავის ქვეყნის და მის მომავალზე ზრუნვას. ამ მეტად მავნე მოვლენის შესასუსტებლათ ერთადერთი გზა არის გადახვეწილთა შეკავშირება, რათა საერთო ძალით, ურთიერთთა გამხნევებით საშვალება მიეცეს ყველა ქართველს, თუ მას ქართველობა სურს, თავისი ვინაობა დაიცვას და შეძლებისგვარად დახმარება გაუწიოს თავის სამშობლოს. გასული წლიდან მოსკოვში დაარსდა სწორედ ასეთი საზოგადოება. ეს საზოგადოება მოქმედებს ფართო წესდებით. მისი სამოღვაწეო ფარგალი შეიცავს ქველმოქმედებას და ბევრს სხვა რასმე, მაგრამ ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ მხოლოდ მის კულტურულ მხარეს. წესდების მესამე მუხლში ვკითხულობთ: „საზოგადოება აარსებს: 1/ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს, 2/ გამოსცემს წიგნებს, ბროშურებს და პერიოდულ გამოცემათ, 3/ მოაწყობს ლექციებს, სპეკტაკლებს, კონცერტებს... 4/ მოაწყობს ექსკურსიებს და აძლევს შემწეობას იმ პირთ, რომელნიც განათლებისათვის გაიგზავნებიან“. მეოთხე პარაგრაფი გვატყობინებს, რომ საზოგადოებას მიზნათ აქვს გახსნას სკოლები და საბავშვო ბაღები.

საზოგადოებას უკვე დაუარსებია ილიას სახელობაზე ფონდი, საიდანაც 1 სტუდენტს ეძლევა თვეში 15 მან. აგრეთვე ენკენისთვიდან დანიშნულია ორი სტიპენდია დ. სარაჯიშვილის და მისი მეუღლის სახელობაზე, რადგან ბ-ნ დ. სარაჯიშვილმა ერთდროულად შეს-

წირა საზოგადოებას 1000 მან. და ყოველწლიურათ აღუთქვა 300 მ. საზოგადოებამ შეიტანა უნივერსიტეტში რამდენიმე სტუდენტისთვის სწავლის ფული; აგრეთვე გასცა დასახმარებლად მოსწავლეთათვის სულ 700 მ-მდე. ფიქრობს მოაწყოს სასადილო, რომლის შემოსავალი საშვალებას მისცემს რამდენიმე მოსწავლეს უსასყიდლოდ დაუთმოს სადილი. განზრახული აქვს შეაგროვოს სტასტისტიკური ცნობები მოსკოვის ახალგაზრდობის შესახებ. ურთიერთდაახლოებისათვის გამართოს ყველასათვის ხელმისაწვდომი საშინაო საღამოები. საზოგადოებას მიზნად აქვს იყოს მოსკოვში ქართველების წარმომადგენელი. მან გამართა ილიას საღამო. მანვე მიიღო მხურვალე მონაწილეობა არტისტ სუმბათაშვილის იუბილის გადახდაში. ამასთანავე საზოგადოებას ერთი მეტად სერიოზული განზრახვა აქვს. თუმცა ჩვენ ღარიბი ხალხი ვართ, ათასი საჭიროება გვაქვს, ხოლო ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებელი წყაროები თითქმის არსად მოგვეპოვება, მაგრამ მიუხედავად ამისა ქართველი საზოგადოება და ქართული დაწესებულებანი შედარებით დიდ დახმარებას უწევენ მოზარდ ახალთაობას. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველწლივ კერძო პირების თუ საზოგადოებათა დახმარებით იზრდება 200-დე სტუდენტი. აქამდის საქმე ისეა მოწყობილი, რომ ხალხი ხარჯს ეწევა, ხოლო ამ ხარჯით მოსარგებლეები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ იმ საზოგადოებას, იმ ხალხს, რომლის საშვალებითაც ისინი იზრდებიან. ჩვენი ახალგაზრდობა საზოგადოებას კი სთვლის მოვალედ, რომ მასზე იზრუნოს, ხოლო თუ როგორ უნდა აუნაზღაუროს საზოგადოებას ეს თავისი ზრუნვა, ამაზე კი არ ფიქრობს. ესეთი მოვლენა უზნეოცაა. ყოველი საზოგადოება და განსაკუთრებით ასეთი ხელმოკლე და ყოველ მხრივ შევიწროვებული, როგორიც ჩვენია, უნდა ცდილობდეს ისე დახარჯოს თვითეული კაპეიკი თავისი შეძლებისა, რომ ამ ხარჯს მისთვის რაიმე რეალური სარგებლობა მოყვეს. თუ ვისმე ზრდის საზოგადოება, ის ისეთ პირობებში უნდა ჩააყენოს, რომ ამ აღზრდის შედეგი მას სარგებლობას უქადდეს. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა მოსკოველ საზოგადოების გადაწყვეტილება. მას განუზრახავს ისე მოაწყოს საქმე, რომ დახმარებას უბრალო ქველმოქმედებითი სახე კი არ მისცეს, აშრომოს კაცი და აი, ამ შრომის ნაყოფი შეიძინოს.

ბევრი ჩვენში ისეთი აზრისაა, რომ ჯერ სწავლა და მხოლოდ შემდეგ საქმიანობა და გარკვეული მიზნის დასახვაო. მაგრამ ეს აზრი მეტად უსაფუძვლო და შეუწყნარებელია. სწავლა უმიზნოდ თავის დღეში ისეთი ნაყოფიერი არ იქნება, როგორც გარკვეული მიზნით

მუშაობა, რომელსაც აშუქებს ესა თუ ის საზოგადოებრივი იდეალი. და რამდენად საზოგადოებრივი იდეალისთვის ზრუნავს და ფიქრობს, იმდენად ჩვენ მეტი საბუთი გვექნება ვიფიქროთ, რომ ესეთი ადამიანი საზოგადოებისათვის სასარგებლო გამოვა. ასე რომ სწავლის დროს საზოგადოებრივ საქმეზე ზრუნვა და ფიქრი არამც თუ ხელშემშლელი არაა მოსწავლისათვის, პირიქით, ის თავდებია იმისა, რომ საზოგადოებას სასარგებლო წევრი ეზრდება. გრძნობას ვარჯიშობა ესაჭიროება და საქმეს მომზადება. ხოლო ჩვენ პირობებში მომზადება მოითხოვს თვითეულ ჩვენგანის განსაკუთრებულ მუშაობას. ბევრმა მოზარდმა სამშობლო ენაც არ იცის საკმარისად, ბევრმა თავის ქვეყნისაც არა იცის რა, არც წარსული, არც აწმყო და არც მომავალი და ძნელია იმის სიყვარული და სამსახური, რაც კაცმა არ იცის. ამასთან თუ მოზარდი თაობა გაჭირვებას განიცდის, ის იმავე დროს უნდა ხედავდეს, რომ გაცილებით მეტ გაჭირვებას, მეტ უნუგეშობას განიცდის მისი სამშობლო ქვეყანა. არაა კარგი როცა ერთი გაჭირვებული მეორეს მსხვერპლს სთხოვს და თავის მხრივ-კი არაფერს საზღაურს აწვდის. პირიქით, ურთიერთდახმარება, ერთმანეთის ხელის გაწვდა აქ სანაქები გზა იქნება.

რა საკვირველია, მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ყველაზე უფრო მოსახერხებელი და შესაფერია ლიტერატურული შრომა. ყოველივე ახალგაზრდას შეუძლია ამ სარბიელზე რაიმე დახმარება გაუწიოს თავის სამშობლო ლიტერატურას. მოსკოვის ქართველთა საზოგადოება, რომლის გამგეობაში შედიან: ბ. ბ. ალ. სუმბათაშვილი, ი. თულაშვილი, ალ. ჯავახიშვილი, მ. ღამბარაშვილი, გ. ლომაური, დ. ყავრიშვილი, გ. მაყაშვილი შესძლებს ღირსეული ხელმძღვანელობა გაუწიოს ახალგაზრდობას და მისი შრომაც ნაყოფიერი გახადოს. ამიტომ ჩვენ ვუსურვებთ მოსკოველ საზოგადოებას ეს მეტად საყურადღებო კულტურული დაწყებულება, ეს პრინციპი სარგებლობა – სარგებლობისთვის მართლა რომ ჯეროვანად გაეტარებიოს თავის ცხოვრებაში. ამავე დროს ყურადღებას მივაქცევთ როგორც მოზარდი ახალთაობის, ისე ყველა ჩვენ დაწესებულებათა და კერძო პირებისას, რომ საქმის ამგვარად მოწყობა და საზოგადოების დახმარების ღირსი უფრო ის არის, ვინც ამ საზოგადოებას პირაქეთ ეხმარება. ნაკლები შეუგნებული ქველმოქმედება, მეტი განსაზღვრული და გარკვეული კულტურული მუშაობა. აი, რა გვესაჭიროება ჩვენ და ამ შემთხვევაში შეგვიძლია თამამად ვსთქვათ, რომ მოსკოველ ქართველთა განზრახვა ყველა ჩვენთვის მისაბაძია.

***

საზოგადოთ თაოსნობა ჩვენში სუსტია, განსაკუთრებით კი ქართველ ქალთა შორის. ჩვენი ნასწავლი ქალები თითქო განზრახ ერიდებიან რაიმე საზოგადოებრივ საქმეს, საზოგადო ხასიათის მუშაობას. აი, ასეთ მდგომარეობაში ქალთა პატარა წრემ ხელი მოკიდა დიდ საქმეს. მან იკისრა ის, რაც ჩვენ საზოგადოებას ვერ უკისრია და შესაფერისად ვერ მოუწყვია – ესაა ქართული სკოლის და მასთან საქალებო სკოლის დაარსება. საოცარ უნუგეშო მდგომარეობაშია ჩვენში ქალების აღზრდა. მთავრობის სასწავლებლები თუ ვაჟებს ავიწყებინებენ ყოველივე სამშობლოს, რაც შეეხება ქალებს, აქ გაცილებით მეტს აღწევენ. არაა ერთი ქართველი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც თითქო საქართველოში არ კი უცხოვრია, ასე გადაგვარებული და წყალწაღებულია. ასეთ დროს ქალთა წრის მოქმედება მეტად საგულისხმიერო იყო და მან კიდეც მოაწყო სკოლა, რომელსაც შესაფერი ელფერი მისცა. მაგრამ ქალთა წრე კარგად ხედავდა, რომ სანამ ქართულ სკოლაში ქართულათ არ იქნება სწავლება, მანამდის ჩვენ სკოლა კი არა, სატანჯველი გვექნებაო. და აი, საზოგადო აღფრთოვანების და იმედების დროს, როცა ეროვნულ გრძნობასაც შესაფერი ადგილი მიეცა ჩვენ ცხოვრებაში, ქალთა წრემ გადასწყვიტა სწავლება ქართულ ენაზე მოეწყო ქართულ პროგიმნაზიაში. მაგრამ საერთო აღფრთოვანებას, განმათავისუფლებელ მოძრაობას თან მოჰყვა რეაქცია, რომელიც შეუდგა ყოველივე წინ წადგმულ ნაბიჯის გაუქმებას და მოსპობას. ჯერი ყაზბეგის პროგიმნაზიაზედაც მისდგა. მთავრობამ ქალთა წრეს წინადადება მისცა – უარყავით თქვენი მისწრაფება, საგნების სწავლება რუსულ ენაზე შემოიღეთო. აი, აქ დაუდგა ქალებს განსაცდელის დღე. საზოგადოთ ჩვეულებრივ დროს ხალხი მონობას არჩევს, ვიდრე სიკვდილს. მაგრამ თუ ეს საზოგადო ფსიქოლოგიაა ჩვეულებრივ დროს, ეს არაა ყოველთვის. მასთან თუ საზოგადო ფსიქოლოგია ასეთია, ეს არ ნიშნავს, რომ ყოველთვის ესე სჯობდეს, რომ მონობა ხალხის თვალში მართლდებოდეს. და ეს იქიდანაც სჩანს, რომ ქართველობა ამ დაძაბუნების ეპოქაშიაც გაიძახის: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“. მართლაც, მონობას ისეთი თვისება აქვს რომ რამდენადაც მეტს ემონებით, რამდენადაც მეტს უღიმით უღელს ქვეშიდან თავის ბატონს, იმდენად მონობის უღელი უფრო ძლიერ გაწვებათ კისერზე. პირიქით, რამდენად მეტს იბრძვით, რამდენად უფრო ძლიერ ხაზს უსვამთ

თქვენ ტანჯვას, რამდენად მედგრად უმკლავდებით გაბატონებულს, იმდენად ბატონობის ძალა სუსტდება, ეცლება მას არსებობის ზნეობრივი და მოქალაქეობრივი საფუძველი და ამით გამარჯვებას ვუახლოვდებით. ამიტომ ქალთა წრის საქციელი, რომ ის არ დამორჩილებოდა უსამართლო მოთხოვნას, მეტად საყურადღებო მოვლენაა ჩვენ ცხოვრებაში.

დღემდის ჩვენში სულ მორჩილების თეორია იყო გამეფებული ჩვენი საზოგადოების ყველა წრეში. ასი წლის განმავლობაში გვანადგურებდნენ, ყოველმხრივ გზას გვიღობავდნენ განვითარებისაკენ, ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ ჩვენდა დასაძაბუნებლად და ჩვენ კი დღესასწაულებს ვუმართავდით იმათ, ვინც ჩვენი დახრჩობის ცდაში იყო. ქალთა წრემ გააფრთხილა ეს ჩვენი საზოგადოება. მან საჯაროდ აღიარა – მორჩილებასაც საზღვარი აქვსო და ამჯობინა ძალით სიკვდილი სამარცხვინოთ ქედის მოხრას. შესაძლებელია, ჩვენმა დღევანდელმა წელკავიანმა საზოგადოებამ შესაფერად ვერ დააფასოს ქალთა წრის მიერ გადადგმული ნაბიჯი, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ თუ ჩვენ რაიმე მომავალი გვაქვს, ესეთ ქალთა წრის გადაწყვეტილება შესაფერად დაფასდება და აღინიშნება, როგორც ერთი ძლიერი პროტესტთაგანი ამ მუდმივ იერიშის წინაშე, რომელიც ჩვენს გასანადგურებლად მომართულია აგერ ასი წელიწადია.

***

ყოველივე არსებას, რომელსაც სიცოცხლის ძალა აქვს, ერთი თვისება ახლავს. როცა მას ცხოვრების ნორმალური პირობები დაეხშვის, ის კი არ ემორჩილება მისი მოსპობის მოტრფიალე გარემოებას, პირიქით, ცდილობს თუნდა ტანჯვა-ვაებით, თუნდა თავისი არსების დამახინჯებით ახალი გზა გაიკვლიოს. შეხედეთ ვეებერთელა მუხის ქვეშ ამოსულ პაწაწა ქორფა ხეს. ის პირდაპირ ვეღარ იზრდება, რადგან ზევიდან დაჩრდილულა. და რადგან თავისი ბუნებრივი გზა ცხოველმყოფელ მზისაკენ ვერ უშოვია, ამიტომ განზე იზნიქება, ალმაცერათ წვება, რომ ამ გზით მაინც მზისაკენ გზა გაიკვლიოს და თუმცა დასუსტებულმა და სანახევროდ დამახინჯებულმა სიცოცხლე მაინც შეინარჩუნოს. საზოგადოებრივ ორგანიზმთა შორისაც იგივე მოვლენა შეგხვდებათ. ყოველივე დამონავება კლასობრივი იქნება იგი, თუ ეროვნული, დამონავებულს ასუსტებს და უფრო ცუდ პირო-

ბებში აყენებს, ვიდრე გაბატონებულთ. მოხდება ისიც, რომ დამონავებული ვერ გაითვალისწინებს თავის მდგომარეობას, შესაფერად ვერ გაუმკლავდება შემხუთველ პირობებს, წელში იზნიქება, ბრძოლის უნარი უქრება და სრულიად გადაშენების გზას ადგება. მაგრამ უფრო ხშირად თუ ორგანიზმი ცხოველმყოფელია, როცა მას მარჯვენა ხელს მოკვეთენ, ცდილობს მარცხენა ხელს გააწევინოს მოკვეთილის მაგიერობა. როცა განვითარების ბუნებრივ გზას დაუხშვენ, ის ცდილობს მაინც თავისი გაიტანოს და პირობების მიხედვით ისეთი ფორმები შეიმუშავოს, რომელნიც მას შეძლებას მისცემენ მის წინააღმდეგ აღმართულ ძალებს შესაფერი წინააღმდეგობა გაუწიოს და თავისი არსება ღირსეულად შეინარჩუნოს.

ისტორიულ მსვლელობის ფარგალში ყოველივე ხალხი შეიმუშავებს ხოლმე თავის ორგანიზაციას, რომელსაც სახელმწიფოებრივი ანუ ძალდატანებითი ხასიათი აქვს. ამ ორგანიზაციის შინაარსი დროთა ბრუნვაში თანდათან იცვლება ცხოვრების პირობების ძალთა განწყობილების მიხედვით. მაგრამ რაც უნდა იყოს, როცა ხალხს თავისი ორგანიზაცია აქვს, როცა მას კოლექტიური ზრუნვა შეუძლია თავის კულტურულ საქმეებზე, მაშინ მისი წინმსვლელობა ასე თუ ისე უზრუნველყოფილია. სულ სხვა მდგომარეობა ჩნდება, როცა ერი თავის ორგანიზაციას კარგავს და სხვა ხალხის ორგანიზაციას ემორჩილება. გაბატონებული ერის ყველა ელემენტი, ის ელემენტიც კი, რომელიც თავის სახლში არსებითად დაჩაგრულია, დამონებულ ხალხს გათქვეფას, დაძაბუნებას და მოსპობას უქადის. აქ ბრძოლა ჩნდება არა მარტო დამონავებულ ერსა და გაბატონებულ ერის მთავრობას შორის, აქ მეტნაკლებობით ორი ერი ერთმანეთს ებრძვის, ხოლო იმ განსხვავებით რომ გაბატონებული ერი თავის ბრძოლაში ძალდატანებით ორგანიზაციითაც სარგებლობს. სწორეთ დამონავებულ ერის მდგომარეობა წილად გვხვდა ჩვენ და თუ დღემდის ფიქრობდნენ, რომ რუსეთში კონსტიტუციის დამყარება ჩვენს კულტურულ მდგომარეობას გაუმჯობესებდა და უფრო რბილად მოგვეპყრობოდნენ, მე მგონია, ვინც საქმეს დაუკვირდა, ვინც ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოთა ისტორია იცის, დამეთანხმება, რომ პირიქით, აბსოლუტიზმთან შედარებით ახლა ბრძოლა მეტად მწვავდება, რადგან ბრძოლას ეძლევა განსაკუთრებული სისტემატიური და მასსიური ხასიათი. ამიტომაც დღეს საჭიროა განსაკუთრებული შეგნებით, განსაკუთრებული ერთსულოვანებით ბრძოლა თავისი კულტურული ინტერესების დაცვაში. ხოლო ამ ბრძოლას მაშინ შეიძლება ქონდეს რაიმე შესამჩნევი

შედეგი, როცა მასში მონაწილეობას მთელი ერი მიიღებს. დღემდის ჩვენ კულტურულ საქმეს აწარმოებდა ეგრეთწოდებული ინტელიგენცია, მაგრამ რადგან ჩვენში ცხოვრება ნაკლებ განვითარებულია, მრეწველობა და აღებ-მიცემობა სუსტია, ამიტომაც თავისუფალ ხელობის ნასწავლი ხალხიც მცირეა და უმთავრესად ინტელიგენცია რუსის მოხელეებს შეადგენს. ასე რომ ჩვენში დღესაც ეს ორი შემეცნება-ინტელიგენცია და მოხელეობა თითქმის ერთმანეთს ფარავენ. ცხადია, მოხელეობას თავისი ფსიქოლოგია საზოგადო საქმეებშიაც გადმოქონდა და თავის ელფერს სდებდა მას, ხოლო თუ როგორია მოხელის ფსიქოლოგია, ეს ყველას კარგად მოეხსენება. მუდმივი მორჩილება, წელმოწყვეტილობა, ინიციატივის უქონლობა, ხალხს გარეშე მოქმედება – აი, რა ახასიათებს მას. ცხადია, ასეთი ავლადიდებით შორს ვერ წახვალ. და მართლაც არც ერთს ჩვენ კულტურულ დაწესებულებას შესაფერი ძალა და მოქმედების უნარი არ გამოუჩენია. ასეთი მდგომარეობა შეუძლებელია სანამ ხალხი, სანამ ფართო მასსა არ ჩაერევა კულტურულ საქმეში და თავის თავზე არ იზრუნებს, მანამდის ჩვენ დაწესებულებათ ძველებური ბედი ვერ აშორდება. არ შეიძლება ვთქვათ, რომ ამ მხრივ რაიმე განსაკუთრებული გამოღვიძება ეტყობოდეს ჩვენს ერს. მაგრამ იმავე დროს არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი ფაქტი, რომელსაც ჩვენს ცხოვრებაში მეტად დიდი სიმპატიური მნიშვნელობა აქვს. გასული მაისის 28-ს ტფილისის ქართველმა ვაჭრებმა გამართეს ვაჭრობა „წერა-კითხვის საზოგადოების“ სასარგებლოდ. ეს პირველი მაგალითია ჩვენ ცხოვრებაში, როცა მთელი საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელიც წინეთ ჩვენ კულტურულ მუშაობის გარეშე იდგა, თითქო პირდაპირ, შეკავშირებულად ჩაერია ცხოვრებაში. თითქო იწყება ახალი ხანა ჩვენი კულტურული ცხოვრებისა. საქმე, რომელიც წინეთ მცირედ ჯგუფს ეჭირა ხელში, გადადის მთელი ხალხის ხელში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ვაჭართა მონაწილეობა ჩვენ კულტურულ ცხოვრებაში მარტო ტფილისით არ დაბოლოვდება. ტფილისელებს ღირსეულ ბანს მისცემენ ყველა სხვა ქალაქ-დაბებში მოვაჭრენი. ჩვენ იმის იმედიც გვაქვს, რომ მარტო ვაჭრებით არ განისაზღვრება ეს საქმე. ყოველი პროფესიის წარმომადგენელი თავის თავს მოვალედ ჩარაცხს მოაწყოს ეს კულტურული საქმის დახმარება. არ ჩამორჩებიან ვაჭრებს ვექილები, ექიმები, მასწავლებლები, ხელოსნები, გლეხები და ამგვარად საერთო ძალ-ღონით ურთიერთდახმარებით და გამხნევებით გაღვივდება ის დიადი კულტურული მუშაობა, რომელიც არასდროს არ ყოფილა ისე საჭირო, როგორც დღეს.

***

კულტურული მოძრაობის საჭიროება, გონებრივ მოთხოვნილების დაკმაყოფილება ისე ძლიერად მჟღავნდება ამ ბოლო დროს, რომ თანდათან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში არსდება სხვადასხვა განმანათლებელი დაწესებულებანი. არ შეგვიძლია სიამოვნებით არ აღვნიშნოთ, რომ ჭიათურაში, სადაც მრავალი მუშა ხალხი თავს იყრის, დაარსდა სახალხო უნივერსიტეტი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ადგილობრივი ხელმძღვანელნი ამ საქმისა ყოველ ღონეს იღონებენ, რომ საქმე ჯეროვანად დააყენონ და გამოაღებინონ მას ის ნაყოფი, რომელიც მოსალოდნელია ასეთ დიდებულ კულტურულ დაწესებულებისაგან. არ შეგვიძლიან აგრეთვე არ აღვნიშნოთ ის კულტურული მუშაობა, რასაც ეწევიან ბათუმში ბათუმის ქართული სკოლის მასწავლებლები და ადგილობრივი ინტელიგენცია ხალხთა განათლების საქმეში. ამათ ქართულ სკოლასთან დაუარსებიათ ადგილობრივის მუშა ხალხისათვის საღამოობით სწავლა-განათლების კურსები, სადაც 184 მოწაფე მუშა ქალი და კაცი სწავლობს. სწავლება კვირაში ოთხ დღეს სწარმოებს, ასწავლიან უსასყიდლოდ და საქმეც ჩინებულად აქვთ დაყენებული. მაშინ, როდესაც ქუთაისს საღათას ძილით სძინავს და ქართველ ინტელიგენტთა ძალა ქუთაისში უფრო მეტია ვიდრე ბათუმში. ამ უკანასკნელში უფრო მეტს კულტურულ მუშაობას ვხედავთ ისედაც მრავალი საქმით აღჭურვილ ინტელიგენტების მიერ, ვიდრე ქუთაისში და სხვაგანაც.

***

ქართული სკოლის უარყოფა იქამდის მივიდა, რომ არამც თუ ქართულს სკოლაში სდევნიან, თვით ქართულ შთამომავლობის მასწავლებლებსაც აღარ აჭაჭანებენ ჩვენში. ყოველ უწინარეს თუ ორიოდე მასწავლებელი გამოვიდა, ცდილობენ სადმე ცხრა მთას იქით გადაკარგონ და ჩვენში ფეხი არ დაადგმევინონ. და ან კი საიდან უნდა გამოვიდნენ ქართველი მასწავლებლები, როცა ხელოვნურად ისეთი პირობები შექმნეს, რომ არც ერთს ქართველს აღარ იღებენ მასწავლებლებისათვის არსებულ სასწავლებლებში. წელს, მაგ., ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი დაასრულა 26 კაცმა, ამათში მხოლოდ ორი ქართველია. ცხადია, აქ მეტი არაფერი მიზეზი

არ არის გარდა იმისა, რომ კონკურსის დროს ქართველ ახალგაზრდებს ხელოვნურად იშორებენ თავიდან. ვის უნდა ასწავლოს ორმა კაცმა, ან რა სკოლა გვექნება, თუ მასწავლებლის მომზადების საშუალებას არ მოგვცემენ? ეს ფრიად საყურადღებო და საგულისხმიერო საქმეა და საჭიროც არის იმათი ნიღაბის ახსნა, ვინც ასე ჯიუტად იქცევა განათლების საქმეში და გზას გვიხურავს. არანაკლებ გასაოცარია ის მოვლენაც, რომ წელს სასულიერო სემინარია დაასრულა მხოლოდ ოთხმა ქართველმა. ჩვენ არაფერს ვიტყვით სემინარიის ნაკლსა და ღირსებაზე. ყოველ შემთხვევაში ის კი ცხადია, რომ გარუსების პოლიტიკა ძლიერად ფეხს იკიდებს ჩვენს ეკლესიაშიაც. და ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან რუსეთის შავრაზმულ მოძრაობის მოთავენი და სულის ჩამდგმელნი უმეტესად სასულიერო წოდების პირებია. აშკარაა ეს შავრაზმელნი რუსნი ჩვენში გადმოთესილნი აორკეცებენ თავის ძალ-ღონეს, რომ სულ შეგვიხუთონ სული და ისიც რაა, მორწმუნე ხალხს საშვალება მოუსპონ თავის სამშობლო ენაზე მოისმინონ წირვა-ლოცვა. ჩვენ სრულიად არ გამოვდივართ აქ რაიმე სარწმუნოებრივი დოგმის ან წესების დასაცველად. და თუ ამ საკითხს ვეხებით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მას საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. ჩვენთვის ცხადია, რომ თანამედროვე ეკლესიამ თავისი შეხედულება-ჩვეულებებით უნდა განიცადოს დიდი ცვლილება. ჩვენთვის ისიც ცხადია, რომ რამდენად სერიოზული მეცნიერული განათლება ხალხში გავრცელდება, იმდენად სხვადასხვა სარწმუნოებრივ ცრუმორწმუნეობის ფრთა შეეკვეცება. მაგრამ ეს პროცესი სათანადო ფარგლებში უნდა სწარმოებდეს. ის უნდა იყოს შედეგი გონებრივი მუშაობის, ხანგრძლივი შინაგანი ბრძოლის. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვინც ადვილათ იშორებს ძველ რწმენას და ისევე ადვილათ, ზეზეულად ითვისებს ახალს, ის არავისთვის გამოსადეგი არაა, იმას არცერთ მიმართულებისთვის სამსახურის გაწევა არ შეუძლია. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ქართველი ხალხი განვითარების ისეთ წერტილზე მისულიყოს, რომ მას შეეძლოს სარწმუნოება განზე გადადვას და მეცნიერული შეხედულებით დაკმაყოფილდეს. ამავე დროს კი ვამჩნევთ, რომ მასში ერთსა და იმავე დროს დაიბადა ორგვარი შეხედულება. ის სარგებლობს ყველა სარწმუნოებრივ ცერემონიებით, ნათლავს შვილს, წესს უგებს გარდაცვალებულს და სხვ. და ამავე დროს ხშირად ზიზღით, უფრო კი სკეპტიკური დაცინვით უყურებს სარწმუნოებას. რით აიხსნება ეს გარემოება? თვით ეკლესიის დაცემით. სამღვდელოება გახდა უარეს

რეაქციონურ მისწრაფებათა საბუდარი. ხალხი კარგად ხედავს, რომ სამღვდელოებაში დაწინაურება და წარჩინება იმას ეძლევა, ვინც ყველაფერს თავისას უარყოფს, ვინც გაიძვერაა და ხშირად კიდეც ჯაშუშობს. ეკლესიაში გამეფდა ერთნაირი სულიერ მამების პოლიცია. სარწმუნოებრივ ფარგლით ისედაც შევიწროებულ სამღვდელო პირს, კიდევ უფრო დაუხშეს გზა და გასაქანს აღარ აძლევენ. ასეთ პირობებში სამღვდელოება უმდაბლეს ხარისხის მოხელედ იქცევა. დაკვირვებით გეცოდინებათ, რომ დღეს სამღვდელოების არც ერთი წევრი არავითარი რწმენის არაა. მისთვის არც სარწმუნოებაა და არც მეცნიერება. ის როყიო უარმყოფელია. ცხადია, ასეთი პირებისაგან ვერავინ ისწავლის სხვისი რწმენის პატივისცემას და ვერც რაიმე კეთილს გაიგონებს თავის დღეში. სწორედ ამ გარემოებით აიხსნება ის მოვლენა, რომ ჩვენში ბევრ ადგილას ხატები დაამსხვრიეს, ეკლესიები გაძარცვეს, თავისუფალ აზროვნებით მოამაყენი ხატებს თოფებს ესროდნენ, თუ ძალა აქვს, აბა აქ ვარ და მობრძანდესო. ეს შეურაცხყოფა ელემენტარულ უფლებისა, რწმენის თავისუფლებისა სწორედ სამღვდელოებაში გათახსირებულად მიმდინარეობს და ან როგორ შეიძლება სხვა სამღვდელოება გვყავდეს, საცა მთელი სემინარიული აღზრდა თვალთმაქცობაზე, მოტყუებაზე და სიყალბეზეა აშენებული. ყალბად და სიცრუეში აღზრდილ ახალგაზრდობას თავისი ავლადიდება ცხოვრებაშიც გადააქვს. აქამდის მაინც სემინარია ქართველ უმრავლესობას შეიცავდა და ამ გარემოებას არა უმნიშვნელო როლი ეკუთვნოდა ჩვენს ცხოვრებაში. არაერთი სასარგებლო მოღვაწე გამოსულა სემინარიის კედლებიდან. ახლა ესეც მოგვესპო. როგორც სჩანს, ქართველთა რიცხვი მოკლე ხანში სულ გაქრება სემინარიიდან.

საყურადღებოა, ნუ თუ ისევე გულგრილად მიეგებება ამ მოვლენას ჩვენი სამღვდელოება, როგორც ქართულს ენაზე საღვთისმეტყველო საგნების სწავლების უარისყოფას მიეგება?

***

დღეს საყოველთაოდ აღიარებულია, რომ თანამედროვე წესწყობილება აგებულია ძალდატანებაზე. გაბატონებული უმცირესობა შესაფერი ორგანიზაციების შემწეობით უღელს ადგამს დამონებულ უმრავლესობას და იმსახურებს მას. ხოლო რომ ეს დამონებული

უფრო მიმყოლი მორჩილი და პირუტყვი იყოს, ამისათვის საჭიროა მისი წინასწარი გათელვა და აი, ასეთი ადამიანის სათელავი დაწესებულება არის დღეს სახელმწიფო სკოლა. უსასტიკესი უღელი, რომელიც წელში სწყვეტს ადამიანს ოჯახიდან თავის გამოყოფისთანავე, არის აწინდელი სახელმწიფო სკოლა. აქ ითელება ადამიანის ბუნება, აქ ეკარგება მას ის უძვირფასესი განძი, რომელსაც ქვია ხასიათის დამოკიდებულება და ცნობისმოყვარეობა; აქ ის იძენს ისეთს თვისებებს, რომელნიც მას მანქანას უახლოვებენ. სკოლა დღეს არსად თავისუფალი არაა. ყოველგან განიცდის ის სახელმწიფოს ზედგავლენას, მაგრამ რამდენადაც ესა თუ ის ხალხი კულტურულათ მაღლა სდგას, რამდენად ის წინ წასულა განვითარების გზაზე, იმდენად პიროვნების გავლენა სუსტდება, იმდენად ძალდატანება მცირდება და პიროვნების დაფასება და პატივისცემა მაღლა სდგას. პირიქით, რამდენად ხალხი ძაბუნი კულტურისაა, რამდენად მასში თავისუფლების შეგნება მცირეა, იმდენად გაბატონებული ორგანიზაცია მეტს მუხრუჭს მოუჭერს სკოლას და მას ნამდვილ სატანჯველ ასპარეზად აქცევს. განსაკუთრებით ეს ძალმომრეობა, ეს ადამიანის არარად ქცევა უმწვერვალეს წერტილს აღწევს იმ ერში, რომელსაც წილად ხვდა მცირედი კულტურის და განვითარების ბატონთა მორჩილება.

ჩვენდა საუბედუროდ ქართველი ერი სწორედ ასეთ მდგომარეობაშია. აგერ ას წელიწადს გადმოვსცდით, რაც თავისუფლად ვეღარ ამოგვისუნთქავს, ას წელზე მეტია, რაც ჩვენი კულტურის და ენის განადგურება სწარმოებს. განმათავისუფლებელ მოძრაობას თითქო ცოტაოდენი შეღავათი მოყვა ჩვენთვის. სათანადო მთავრობისაგან გამოიცა ბრძანება, რომლითაც დასაწყის სკოლების პირველ ორ განყოფილებაში სწავლება ქართულ ენაზე მყარდება, სამღვთო სჯული ყველა განყოფილებებში ქართულად ისწავლება, ხოლო რუსული ენა მეორე წლიდან იწყება. ეს მცირედი შეღავათი იყო, რომელიც ცოტაოდენ მაინც შეუმსუბუქებდა მოზარდ ახალგაზრდობას იმ ჯოჯოხეთურ ტანჯვას, რომელიც იწყება სკოლაში შესვლისთანავე გარუსების პოლიტიკით. ამასთანავე სამშობლო ენას ცოტა ასპარეზი უფართოვდება. მოსალოდნელი იყო, რომ ეს პაწაწკინტელა დათმობა აღარავისთვის არ გახდებოდა სადაო საგნად. მაგრამ განა ამ უკუღმართ რეაქციის დროს რაიმე სახეირო იმედი გამართლდება? ძველი რეჟიმის მოტრფიალე გაბოროტებული ბიუროკრატები ახლა განსაკუთრებულ სიმკაცრეს იჩენენ და ცდილობენ ძველის აღდგენას. ამის დასამტკიცებლად ჩვენ

მივუთითებთ მკითხველებს არითმეტიკისა და რუსული ენის სწავლების გეგმას, რომელიც ამ უკანასკნელ წელში ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორმა სუდაკოვმა დაურიგა მასწავლებლებს. ამ გეგმის მიხედვით სახალხო სკოლის I განყოფილებაში არითმეტიკის სწავლება ათის ფარგალში ვარჯიშობის შემდეგ იწყება რუსულად და შემდეგ ასე მიჰყვება ბოლომდის. რუსულ წერა-კითხვის სწავლებასაც ბ-ნი სუდაკოვი I განყოფილებაშივე ურჩევს მასწავლებელს. შეადარეთ ეხლა ბ-ნ სუდაკოვის გეგმა 1881 წლის სასწავლო გეგმას და დარწმუნდებით ყველა ზემოთ ნათქვამში. ეს განსაკვირველი არაა, მაგრამ განა ამ ბნელ ძალების გამავლობა ისეთი იქნებოდა, რომ მათ სულმდაბალი, ყოვლად გათახსირებული მომხრენი, თანამშრომელნი ჩვენშივე არ ჰყავდეთ? ამიტომ ჩვენ სულით და გულით ვუერთდებით იმერეთის მასწავლებელთა კავშირს იმ მასწავლებელთა წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელნიც სულმდაბლად ემონებიან ჩვენ გამანადგურებელთა მისწრაფებათ. მასთან ვაფრთხილებთ ამ მოღალატეთ და რომ მათი გვარები, როგორც მღვდლების, რომელნიც სამღვთო სჯულს უცხო ენაზე ასწავლიან და ღმერთიც კი ჩაურიეს გარუსების პოლიტიკაში და აგრეთვე იმ მასწავლებელთ, რომელნიც მინიმალურ წინსვლის შედეგსაც კი უარყოფენ თავის მოქმედებით, რომ მათ სახელს და გვარს აღვბეჭდავთ დროგამოშვებით გამოცემებში. ამასთანავე არ შემიძლია არ აღვნიშნო ის უნუგეშო მდგომარეობა, რომელშიაც დღეს ჩვენ ვიმყოფებით. არა მარტო გარეშე ძალამ, არამედ ჩვენმა შეუგნებლობამ, ხალხის ინტერესების უყურადღებოდ დატოვებამ და მუდამ პირად ინტერესების ტრფიალებამ იმ მდგომარეობამდე მიგვიყვანა, რომ ჩვენი მასწავლებელთა საუკეთესო ნაწილი იძულებულია თავის უახლოეს იდეალად დასახოს მთავრობის მცირეოდენი დათმობის შენარჩუნება და არა ეროვნული სკოლის სრული განხორციელება.

***

მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია შინაური მიმოხილვის დამწერი ჩვენში. არსად სინათლე არ ჩანს, არც ერთს სფერაში ფეხი ისე მაგრად არ გვიდგა, რომ გულს იმედი ეძლეოდეს, ცოტა ოცნებას ფრთა გააშლევინო. ყველგან დევნა, ჩვენი სიძაბუნე, შეუგნებლობა და სისუსტე. თანამედროვე ქართული ლიტერატურის მდგომარეობა საოცარი უნუგეშოა. ხელოვნური ლიტერატურა თითქმის სულ შე-

წყდა ამ ბოლო დროს. შეიძლება ვინმე სწერდეს, მაგრამ ბეჭდვით არაფერი იბეჭდება. არ მოიპოვება არცერთი სპეციალური გამოცემა. წარმოიდგინეთ საქართველოში, ამ მეურნეობის ქვეყანაში, სადაც 88 პროცენტი მცხოვრებთა მეურნეა, უბრალო სამეურნეო ფურცელიც აღარ გამოდის, თითქო ყველას უიმედობის წელკავი გაუჩნდა. ამ უიმედობის დროს ერთ-ერთი კაცი დაიწყებს სპეციალურ გამოცემას. ესაა „ქართული სამკურნალო ფურცელი“, ხოლო მისი რედაქტორი ვახტანგ ღამბაშიძე. ჯერ-ჯერობით ამ ჟურნალისა გამოვიდა მხოლოდ ორი ნომერი. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ მშვენიერი ენა, მეტად სასარგებლო და მიმზიდველი შინაარსი, რაც ცხადად გვეუბნება, რომ ქართულ ენაზე ყოველივე დარგის მეცნიერება იხეირებს, როგორც წინეთ თავის დროს შესაფერათ ხეირობდა, ოღონდ საჭიროა ისეთი გულწრფელი, თავისი ენის მცოდნე, თავის ხალხის და მისი მომავალის მოტრფიალე პირები გამოგვიჩნდნენ, როგორიც არიან წარჩინებულ მეცნიერულ თხზულებათა ავტორი პროფ. ვასილ პეტრიაშვილი და ხალხისთვის გასაგებ ცოდნის გადმომცემი ვახტანგ ღამბაშიძე. სწორედ დიდი სიყვარულია საჭირო ამისთანა საქმე რომ დაიწყოს კაცმა. როცა ამას წინათ ერთს წარჩინებულ ქართველ ექიმს ჩამოუგდე ლაპარაკი „სამკურნალო ჟურნალი“-ს შესახებ, მისი პასუხი დაცინვა იყო: „ვახტანგი უბრალო მეოცნებეა და მეტი არაფერი. ჩვენ, ექიმებს, რუსული ჟურნალი გვესაჭიროებაო“. და ასეთ ატმოსფეროში ვართ, ასეთია ჩვენი სპეციალისტების შეხედულება. მათ ხალხი, საზოგადო საქმე, სამშობლო კულტურის სამსახური სრულიად მივიწყებიათ და თუ ისინი ჩვენი კულტურის მოამაგეთ დაცინვით შეყურებენ, ჩვენ მათ ზიზღით უნდა ვუცქეროდეთ. ესენია სწორედ ის „შინაური მტრები“, რომელზედაც ბ. ღამბაშიძე სწერდა პირველ ნომერში. ესენია ჩვენი გათახსირების შვილები, და თუ მათ თავისი არ მოუშლიათ, თვითონ გადაგვარდნენ, ხალხს ჩამოშორდენ და ეს მათი აღმზრდელი ერი მხოლოდ საწველ ფურად გაუჩენიათ. ჩვენ მათდამი მარტო ზიზღი დაგვრჩენია, რადგან ასეთი ხალხი არცერთი ერისთვის, არც თავისიანებისთვის, არც სხვებისთვის არაფერი სახეიროა. ჩვენ მაინც იმედი გვაქვს, რომ ამ საერთო გათახსირებაში ათიოდე კაცი აღმოჩნდებიან ჩვენს ექიმებში, რომელნიც თავის მოქალაქობრივ მოვალეობად ჩასთვლიან ასე მშვენივრად, გაბედულად დაწყებულ საქმეს მხარი დაუჭირონ და შესაფერად შეებან უღელში.

ჩვენის მხრივ მკითხველების ყურადღებას მივაქცევთ ამ „სამკურნალო ჟურნალ“-ს. რამდენი ადამიანი იღუპება მხოლოდ იმი-

ტომ, რომ დროზე შესაფერი უბრალო დახმარების გაწევა არ შეგვიძლია, რამდენი ადამიანი ჯანსაღობას კარგავს, სიცოცხლეს იმოკლებს, სხეულს იმახინჯებს უბრალო უმეცრების, გაუგებრობის, შეუგნებლობის გამო. „სამკურნალო ფურცელი“ შესანიშნავ ცნობებს იძლევა ამ მხრივ. წაიკითხეთ ის, გაავრცელეთ ხალხში და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ დიდ დახმარებას გაუწევთ იმ ხალხს, რომელსაც სისხლისმწოვი და დამჯაბნებელი მტერი ჰყავს, ხოლო მეგობარი და ნამდვილი დამხმარე ასე მცირედი.

***

ჩვენი მკითხველები „განათლების“ ამავე ნომერში წაიკითხვენ სპარსეთიდან მოწერილ წერილებს იქაურის ქართველებისაგან. დარწმუნებული ვართ, რომ ყველა შეგნებული მკითხველი, ამ წერილების წაკითხვის შემდეგ, განიმსჭვალება იმ გრძნობით, რომ ჩვენ ყველანი მოვალენი ვართ ხელი გავუწოდოთ სპარსეთის ქართველობას, რომელსაც მიუხედავად ათასგვარი ტანჯვა-ვაებისა, რაც თავზე გადახდენიათ ამ საცოდავებს სამასი წლის განმავლობაში, მაინც შეურჩენიათ სამშობლო ენა და ქართველური ზნე-ჩვეულებანი. დღეს ორმოც ათასზე მეტი მცხოვრები ფერეიდანის ქართველობა დიდის იმედით შეჰყურებს თავის მოძმეებს ამიერ ქართველებს და მოელიან მათგან ქართული სკოლის დაარსებას და კულტურულად აღორძინებას. ნუ თუ ჩვენში გამოერევა ისეთი პირი, რომელიც იტყვის: „სახლში რომ ბავშვი ტიროდეს, გარედ ტაბლას რა უნდაო“. შემცდარი იქნება ამის მთქმელი ამ შემთხვევაში, რადგანაც სპარსეთის ქართველები გარეშენი არ არიან. ისინი ჩვენივე ღვიძლი ძმებია, იმათ უფრო მეტი და აუარებელი ტანჯვაც უნახავთ ჩვენთან შედარებით და დღევანდელი მათი ცხოვრებაც განათლების მხრივ ფრიად უნუგეშოა და ნუ თუ ამისთანა პირობებში ჩვენში გამოჩნდება ვინმე, რომელიც თავის ზნეობრივ მოვალეობად არ დაისახავს ხელი გაუწოდოს, დახმარება აღმოუჩინოს სწავლის მწყურვალ თავის მოძმეს, რომელსაც უნდა ადგომა, წელში გამართვა, განათლება და ადამიანური ცხოვრება. დღეს ფერეიდანის ქართველობას დიდი იმედი აქვს ჩვენი, აღტაცებით მოელიან ქართულ სკოლას, დიდი ნდობით არიან ჩვენდამი აღჭურვილნი და საჭიროა ეს ნდობა საქმით განვახორციელოთ და საქმითვე დავანახოთ ჩვენს მოძმეებს, რომ ჩვენც გული

შეგვტკივა მათთვის და ზნეობრივად მოვალენიც ვართ ვიზრუნოთ მათ შესახებ. გადადება საქმისა, დიდი სიდინჯე და აუჩქარებლობა ამ საქმეში არ ვარგა, რადგანაც ნათქვამია: „სანამ თონე ცხელია, პური აცხვე, განელდება, არ გამოცხვებაო“. ჩვენც უნდა ვეცადოთ, ის ცხოველი გრძნობა, ის ჩვენდამი ნდობა, რასაც ფერეიდანის ქართველობა იჩენს ამჟამად, განვამტკიცოთ საქმით. თუ სომხობას აუარებელი სკოლები აქვს სპარსეთში, მასწავლებლებსაც აქედან გზავნიან, სწავლებაც სომხურ ენაზე აქვსთ მოწყობილი. ნუ თუ ქართველ ერს გაუჭირდება თავდაპირველად თუნდ ერთი სკოლა მაინც გამართოს ფერეიდანში და შეიტანოს იქაურს ქართველებში ჭეშმარიტი სხივი განათლებისა. დიაღ, ეს საზოგადოდ ყველა ჩვენთაგანის ზნეობრივი მოვალეობაა და ღალატად უნდა ჩაეთვალოს ყველას, ვინც ამ ცოცხალ საქმეს რეალურ მიმართულებას არ მისცემს და მისს განხორციელებას საქმით ხელს არ შეუწყობს.

უცხოეთის მიმოხილვა

/ჟურნალ-გაზეთებიდან/

უკანასკნელი სტატისტიკური ცნობები ამერიკის სკოლების შესახებ და მიზეზი სკოლის დაკლებისა. საზოგადო დებულებითი მხარე ამერიკის სკოლებისა. არითმეტიკის სწავლება დასაწყის სკოლებში ამერიკული სისტემით. საკითხი მიწის შემუშავების შესახებ საფრანგეთის დასაწყის სკოლებში. დასაწყისი განათლება სერბიაში. პარიზისა და ბერლინის დასაწყისი სკოლები. გამოკვლევა ექსპერიმენტალურ პედაგოგიაში. სკოლა ტყეში.

უკანასკნელი წლიური ანგარიში ჩრდილო ამერიკის სკოლის ცენტრალური ბიუროსი იძლევა ცნობებს მოწაფეთა და სასწავლებელთა რიცხვის შესახებ 1905-1906 სამოსწავლო წლის განმავლობაში. ამ ანგარიშით საზოგადო რიცხვი მოწაფეებისა ყველა საზოგადოებისა და კერძო სასწავლებლებში ყოფილა 19. 193. 533. ამათგან 16. 783. 564 მოწაფეს უსწავლია სხვადასხვა სახელწოდების საზოგადო სკოლებში და ეს უკანასკნელი რიცხვი შეადგენს 19, 94% ე. ი. მთელი ჩრდილო ამერიკის შტატების მცხოვრებთა $^{1}/_{5}$ პროცენტულმა

შეფარდებამ მოწაფეთა რიცხვისამ ცოტათი დაიწია 1900 წლიდან, როცა ის უდრიდა 20, 51%. ეტყობა მოწაფეთა რიცხვი მცხოვრებთა სიმრავლესთან შედარებით რამდენადმე კლებულობს. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ ამ უკანასკნელ დროს ამერიკას ყოველ მხრიდან ძლიერ ეტანება ხალხი დასასახლებლად. ყოველ კვირაობით ამერიკის ნავთსადგურებს მიადგებიან გემებით რამდენიმე ათასი ოჯახი თავიანთი წვრილშვილებით, რომელთაც არ იციან არც ადგილობრივი ენა და არც ადგილობრივი კანონები. აქ ნახავთ ესპანელებს და ირლანდიელებს, იტალიელებს და ბერძნებს, იაპონელებს და ფრანგებს, ჩინელებს და გერმანელებს, შვეიცარიელებსა და რუსებს. 1901 წელს ივნისში შეერთებულ შტატებში მივიდნენ დასასახლებლად 67 ათასი ევროპიელი ემიგრანტი, რომელთა რიცხვში მარტო იტალიელი იყვნენ ათი ათასი, რუსები 14 ათასი და ავსტრო-უნგრეთიდან 30 ათასი. მარტო ჩიკაგოში, რომლის მცხოვრები ორი მილიონია წმინდა ამერიკელებს შეადგენენ მხოლოდ 350 ათასი, ე. ი. ერის მეექვსედს მთელი მცხოვრებთა რიცხვისას; დანარჩენი $^{5}/_{6}$ სხვადასხვა ქვეყნიდან არიან მოსულები. ჩიკაგოს მცხოვრებლები 40 სხვადასხვა ენით ლაპარაკობენ და სხვ.

რომ შევუფარდოთ რუსეთის მცხოვრებთა რიცხვს და მოწაფეებს ამერიკის სტატისტიკური ცნობები მოწაფეთა რიცხვისა მცხოვრებთან შედარებით, საჭირო იქნებოდა ოთხი მილიონის მაგიერ 28 მილიონი მოწაფე, რომ ამ მხრით რუსეთი ამერიკას დაახლოვებოდა. 19 მილიონ ამერიკელ მოწაფეთათვის, რომელიც რიცხვით აღემატება ევროპის მეორე ხარისხოვან სახელმწიფოებს, მუშაობს მთელი ჯარი – 466, 063 მასწავლებლებისა. მასწავლებლების უმრავლესობას ქალები შეადგენენ, კაცები კი საზოგადო რიცხვის ერთს მეოთხედს /26, 6%/. 1880 წელს ვაჟ-მასწავლებელთა რიცხვი ნახევარზე ცოტა ნაკლები იყო /42, 8%/. საშუალო სწავლის გაგრძელება დასაწყის სკოლებში თითო მოწაფეზე საანგარიშო 1905-1906 ყოფილა 5, 39 წელი, რუსის დასაწყისს სკოლებში ორთა შუა რიცხვად ცნობილია ორი წელიწადი.

საერთო ხარჯი სახალხო განათლებისათვის 1905-6 წელს უდრიდა 399. 688. 910 დოლარს, ე. ი. 750 მილიონ მანეთს. საინტერესოა ეს ციფრი შეუფარდოთ ჩრდილო ამერიკის საერთო ხარჯთ-აღრიცხვას.

ცენტრალური მოკავშირე მმართველობის წლიური ხარჯთ-აღრიცხვა უდრიდა..... 747. 234. 578 დოლ.

ცალკე შტატების ხარჯთ-აღრიცხვა ..... 130. 000. 000 დოლ.

ადგილობრივი თვით-მმართველობის ხარჯთ-აღრიცხვა..... 130.000.000

სულ ..... 1. 007. 234. 578 დოლ.

ამნაირად, სახალხო განათლებაზე გაწეული ხარჯი შეერთებულ შტატებში ცენტრალურ მმართველობის მთელი ხარჯთაღრიცხვის ნახევარს აღემატება. მაგრამ ეს ხარჯი, როგორც ვიცით, მოქცეულია არა ცენტრალური მმართველობის ხარჯთ-აღრიცხვაში, არამედ ცალკე შტატების, ქალაქების, საზოგადოებათა და სხვათა ხარჯთაღრიცხვაში და აქ ის შეადგენს მთელი ხარჯის ორ მეხუთედზე მეტს. ხარჯი სახალხო განათლებისა თითო სულზე შეადგენდა 3, 67 დოლ. ე. ი. შვიდ მანეთს და თითო მოწაფეზე 26-27 დოლ., ე. ი. 50 მანეთს.

ყველა სასწავლებლის კუთვნილი ქონება დაფასებული იყო 783. 128. 140 დოლ., ე. ი. 1 $^1/_2$ მილიარდ მანეთად. ერთი მილიარდი ამ ხარჯიდან მოსდიოდა მაღალს და საშუალო სასწავლებლებს, დაბალს სკოლებზე კი – 500 მეტი მანეთი. ამ ქონებას შეადგენდა 257. 729 სკოლის შენობა, მიწა, წიგნები და ხელსაწყო ნივთები, სკოლის მოწყობილობა და ბოლოს კერძოდ შემოწირული – საკუთარი კაპიტალი სასწავლებლებისა. ამ შემოწირულებათა რაოდენობის შესახებ შეგვიძლიან წარმოდგენა ვიქონიოთ იქიდან, რომ საანგარიშო წელს მარტო მაღალსა და საშუალო სასწავლებლებს მიუღიათ 17. 717. 605 დოლ. ანუ 34. 000. 000 მილიონი მანეთი.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ უკანასკნელ წლებში საზოგადო განათლების სკოლებში მეტს ყურადღებას აქცევენ სახელოსნო შრომას, რომელიც სკოლებში თანდათან ვრცელდება.

შეერთებულს შტატებში ითვლება სულ 1. 327 ქალაქის მოსახლენი, რომელთაც ჰყავთ არა ნაკლები 4. 000 მცხოვრებლებისა. ამათ რიცხვში 511 ქალაქმა შეიტანა საზოგადოების სკოლებში ხელით მუშაობის სწავლება. 1890 წ. ამისთანა ქალაქები იყო სულ 37, ათი წლის შემდეგ, ე. ი. 1900 წ. იმათი რიცხვი იყო 169, შემდეგ ხუთს წელში ამ რიცხვმა უკვე სამჯერ იმატა.

უმეტესად ხელით შრომა და ხელოსნობის შესწავლა იწყება არა დასაწყის სკოლებში, არამედ საზოგადოების სკოლების მაღალს კლასებში, რომელიც უდრის ჩვენებურ საშუალო სასწავლებლის საშუალო და მაღალ კლასებს. ხელსაქმის წარმატებით სწავლების გარდა ამერიკის სკოლის ბიუროს ანგარიში აღნიშნავს აგრეთვე საზოგადო განათლების სკოლების საშუალებით აგრონომიული ცნობების გავრცელების დიდს ხალისსაც. საინტერესოა აგრეთვე აღვნიშნოთ, რომ აგრონომიული ცნობების გავრცელებას სოფლის სკოლებში აქ სულ სხვანაირად უყურებენ, ვიდრე ჩვენში და რუსეთში. ამერიკის

სკოლების ანგარიშის შემდგენელი, რომელსაც შეერთებულ შტატების სკოლის საქმეებში მაღალი თანამდებობა უჭირავს, პირდაპირ ამბობს: „საზოგადო განათლების სკოლას არ შეუძლიან მიზნად დაისახოს პრაქტიკულად შესწავლა სასოფლო მეურნეობისა“. ამნაირი სკოლის დანიშნულებაა მოამზადოს თავისი მოწაფეები ისე, რომ ადვილად შეეძლოს შეგნებით წაკითხვა პოპულიარული სასოფლო სამეურნეო ჟურნალ-გაზეთებისა, საცდელ სადგურების განცხადებებისა, რომ დააფასონ რა მნიშვნელობა აქვს აწინდელს მეცნიერულს აგრონომიას, რომლის განვითარებას თვალყური უნდა ადევნონ შესაფერის გამოცემათა საშუალებით. ცხადია, რომ ამისათვის საზოგადო განათლების სოფლის სკოლამ ისეთი საზოგადო განვითარება უნდა მისცეს მოწაფეებს და ამასთან ბუნების მეტყველების საგნების საკმაოდ ცოდნასთან ერთად უნდა გაუხადოს მოწაფეს ჩვეულებად ისარგებლოს წიგნურ ცნობებით ცხოვრების ყოველდღიურ მოვლენათა გასაგებად და უმთავრესად მიაჩვიოს თავისუფალ მუშაობას, თვითგანვითარებას წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვით.

უნაკლულო და ყოვლად სრული არც ამერიკის სკოლაა, პირიქით, იქაც მრავალ ღირსებასთან ბევრი ნაკლულევანება შეინიშნება, რაც საკმაოდ აღნიშნული აქვს ამერიკის სკოლების ახალს მკვლევარს კიჟიპერს /იხ. „Русская школа“ № 1-1908 г. /. ჩვენ აქ შევეხებით იმ ზოგიერთ უტყუარ ღირსებას ამერიკის სკოლებისას, რომლისაკენაც მიქცეულია დღეს მთელი ქვეყნის ყურადღება.

ამერიკის სახალხო სკოლა დღეს აერთებს ყველა კლასებს და საზოგადოების სხვადასხვა წრეებს. საზოგადოდ წესად არის მიღებული, რომ მდიდარი ამერიკელებიც, რომელთაც მაღალი და საპატიო ადგილი უჭირავთ ამერიკაში, თავიანთ შვილებს სახალხო სკოლაში გზავნიან. რესპუბლიკის პრეზიდენტი რუზველტი კეთილ მაგალითს იძლევა ამ საქმეში. იმისი შვილებიც ვაშინგტონის ერთს სახალხო სკოლაში დადიან. ხშირად მილიონერის შვილს გვერდში უზის მოსამსახურეთა შვილები და სხვა.

საბავშვო ბაღები ამერიკაში უფრო გავრცელებულია, ვიდრე სხვაგან სადმე, ვიდრე გერმანიაში, რომელიც ითვლება საბავშვო ბაღების სამშობლოდ; თუ 1889 წელს ოთხს დიდს ქალაქებში /ბოსტონში, სენ-ლუიში, ფილადელფიაში და მილვოკში/ იყო 121 საბავშვო ბაღი, 1. 850 პატარა მოწაფეებით, სამაგიეროდ 1900 წელში არსებობდა სამნახევარი ათასი საბავშვო ბაღი 200. 000 ბავშვით და 6. 000-ზე მეტი მასწავლებლით. მარტო სენ-ლუიში 1901-2 წელს იყო 135

საბავშვო ბაღი ათი ათასი მოწაფით და 310 მასწავლებლით. ნიუ-იორკში ეხლა 500 საბავშვო ბაღია 14. 000 ბავშვით, ორთა შუა რიცხვით თითო მასწავლებელზე მოდის 29 ბავშვი. მეთოდები და სწავლების ხერხი, რასაც საბავშვო ბაღებში ხმარობენ, ისეთივეა, რაც სახალხო სკოლებშია. ეს მეთოდები და სწავლების ხერხი შემდეგში გამოიხატება: 1. შეფარდება სწავლებისა ბავშვის პიროვნულ მიდრეკილებასთან, მაშასადამე სწავლება გამოიხატება ძალდაუტანლობაში, სწავლების სხვადასხვა ფერობაში და მოძრაობაში, 2. ფიზიკური შრომის მომარჯვებაში მოწაფის წლოვანებასთან შეფარდებით და ამასთან განუყრელად შრომის შინაგან ნაყოფით დაინტერესებაში. ამერიკის სკოლის უმთავრეს დანიშნულებას შეადგენს არა მარტო განსაზღვრული ცნობების გადაცემა, არამედ მოწაფის თვით-განვითარებისა და თავისი თავის დახმარების შეგნება, შეჩვევა. მასწავლებელი აქ ასრულებს არა მბრძანებლის როლს, არამედ მრჩეველისა და ხელმძღვანელისა. მოწაფეებს აჩვევენ პირველ წყაროების თავისუფლად შესწავლას, თითოეულს სპეციალურ საგნებში წიგნების კითხვას, რისთვისაც ყველა კეთილ განწყობილ სკოლას აქვს საკუთარი ბიბლიოთეკა სამკითხველოთი თავისუფალ დროს სავარჯიშოთ.

სახალხო სკოლაში ბავშვები დადიან ექვსი წლიდან ამ დრომდის, ე. ი. ოთხი წლიდან ისინი დადიან საბავშვო ბაღებში. სახალხო სკოლა ორ ნაწილად იყოფა: 1. დასაწყისი სკოლა /6-10 წლამდის/ და 2. გრამატიკული სკოლა / 10-14 წლამდის/. სავალდებულო სწავლება 46 შტატიდან 30-შია განხორციელებული. ამ მხრით უფრო ჩამორჩენილია სამხრეთის შტატები.

ჩვენთვის ფრიად საინტერესო უნდა იყოს ამერიკული სწავლების სისტემა, თუ როგორ გამოიხატება ის პრაქტიკულად. საჭიროდ მიმაჩნია მოვიყვანო ერთი გაკვეთილი ელემენტარული არითმეტიკიდან, რომელიც მისცა ერთმა მასწავლებელმა ქალმა კიევში 1907 წელს სახალხო მასწავლებელთათვის გამართულს კურსებზე ამერიკულ სწავლების სისტემით. ამ გაკვეთილს დიდი ყურადღება მიაქციეს მაშინ ჟურნალ-გაზეთებმა. თავდაპირველად ეს გაკვეთილი ასწერა

ბ. სლინკომ „Русский начальный учитель“-ის № 10-11-ში. სლინკო საზოგადოთ შენიშნავს, რომ აღზრდა საზოგადოთ მიმართულია ზნეობრივის, მორალის გზისკენ, რომელსაც საფუძვლად აქვს დამრიგებელი ტენდენციები მტკიცე ხასიათისა და თაოსნობის შემუშავების საწინააღმდეგოთ, სწავლება ჩვენში გამოიხატება ყურის გდებაში და ზეპირ სწავლაშიო.

მაშინ, როდესაც ჩვენ კუს ნაბიჯით მივსდევთ უკან დასავლეთ ევროპის განათლებულ ხალხებს, ინგლისი გვაძლევს ცივილიზაციის და აღზრდის მაღალს გაკვეთილს, მაღალის კულტურით და ამერიკა თავისუფალი თაოსნობით და მაღალის დაწესებულებებით, რომელთაც გახადეს ისინი პირველ სახელმწიფოდ ქვეყანაზე. ამ ხალხების აღზრდის წესის მთავარი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ყველა სასპეციალო საგანს, ხელოსნობას და მეცნიერებას ცდის საშუალებით სწავლობენ...

ამერიკის სკოლებშიო, – ამბობს ტენი, – იდეის ნასახის განვითარებას ხელს უწყობს ურიცხვი შთაბეჭდილებანი, რომელთაც იძენს ჭაბუკი ყოველდღე სახელოსნოში, მადნებში, სასამართლოში, კლასში, ნავთსადგურზე, საავადმყოფოში, იარაღების ნახვის დროს, მასალების და ოპერაციების დანახვაზე კლიენტების თანადასწრებით, მუშების, შრომის კარგად თუ ცუდად შესრულებული, მომგებიან თუ წასაგები სამუშაოს დროს და სხვ.

ყველა ეს წვრილმანი თვალის, ყურის, ხელის და თითქმის ყნოსვის შთაბეჭდილებანი, რომელთაც მეხსიერება უნებლიეთ ინახავს და ჩუმად დაამუშავებს, თავს იყრის ადამიანის გონებაში, რომ ადრე თუ გვიან შთააგონოს მას ეს თუ ის კომბინაცია, გამარტივება, ეკონომია, გაუმჯობესობა ან გამოგონება.

თავისი წერილის დასასურათებლად სლინკოს მოჰყავს ზემოთ ნათქვამი არითმეტიკის გაკვეთილი, რომელსაც ასე აგვიწერს: „შეიკრიბნენ I და III ჯგუფის ბავშვები. თითოეულ მათგანს დაურიგეს ქაღალდი და კარანდაშები. მასწავლებელი ქალი იღებს ხელში ცარცს და აძლევს მესამე ჯგუფს გასაკეთებლად შემდეგს გამოცანას:

„ნავთ-სადგურთან გემი იდგა. საკლასო დაფაზე მასწავლებელმა სწრაფად დახატა ნავთ-სადგური და გემი საჭირო ნაწილებით. „მე ამ გემს დავარქმევ „არწივს“, სთქვა მასწავლებელმა: თქვენ კი დახატავთ თუ არა ამისთანა გემს ქაღალდზე, დაარქვით მას, ვისაც რა სახელი გინდათ, მაგრამ ის სახელი კი არა, რაც მე დავარქვი.

ნავთ-სადგურთან, აი, აქ ეწყო ფქვილიანი ტომრები, აქ შაქრიანი ბოჩკები და აქაც ასანთიანი ყუთები“. ყველა ეს თვალსაჩინოდ იყო გამოხატული დაფაზე. „ეხლა გამოიცანით, ბავშვებო, რამდენი ტომარა ფქვილი, ბოჩკა შაქარი და ასანთიანი ყუთები შეიძლება გემში ჩავაწყოთ, რომ მთელი ბარგი 1000 ფუთზე მეტს არ იწონიდეს? ამასთან იცოდეთ, რომ ფქვილიანი ტომარა 5 ფუთს იწონიდა, შაქრიანი ბოჩკა – 15 ფუთს და ასანთიანი ყუთი – 2 ფუთს“. აღნიშნა დაფაზე

ტომარა ფქვილი ციფრით 5, თითოეული შაქრიანი ბოჩკა – 15-ით და ასანთიანი ყუთი 2-ით. მასწავლებელი მიუბრუნდა პირველ ჯგუფს, სადაც მიზნად ჰქონდა შეკრებასა და გამოკლებაში ვარჯიშობა ათის ფარგალში.

მასწავლებელი მიუახლოვდა I ჯგუფის დაფას: „ეხლა, ბავშვებო, აქეთ მიცქირეთ“, სთქვა მან და ხელოვნურად დახატა იხვი ორის ჭუჭულით. „რა დავხატე?“ – ჰკითხა მასწავლებელმა და უჩვენებდა იხვზე. ყველა ბავშვებმა ერთხმად მიუგეს: „იხვი“. – „ესა?“ – ჰკითხა მან და უჩვენებდა ჭუჭულებზე. – „ჭუჭულები“. – „მითხარით, რამდენი იხვი დავხატე?“ – „ერთი“ – „ჭუჭულები?“. –

„ორი“. რამდენი იხვია სულ დახატული დაფაზე?“. – „სამი“. „თქვენც დახატეთ ერთი იხვი და ორი ჭუჭული. აი, ასე, ასე“, ამბობდა მასწავლებელი და თან ბავშვების ნახატს ათვალიერებდა. „ამ იხვებთან, ბავშვებო, კიდევ მოცურდა ერთი იხვი. დახატეთ, როგორც მე დავხატე, კიდევ ერთი იხვი. დახატეთ? მითხარით, რამდენი იხვია ეხლა?“. – „ოთხი“ და სხვ.

დაფაზე გამოჩნდა მეორე იხვი ჯერ ერთი ჭუჭულით, დანარჩენი სამი ბოლოს გამოცურდნენ ლერწამიდან; შემდეგ ჭუჭულები ყურყუმელაობდენ წყალში ისე ღრმად, რომ არ სჩანდნენ. ბავშვები გებულობდნენ რამდენი იხვი რჩებოდა ზევით და სხვ.

ბ-ნი სლინკო უთითებს რუსეთში სკოლებში არსებულს თვალსაჩინო სწავლების წესზე და დასძენს, რომ ეს ხერხი, რასაც დღეს ხმარობენ სკოლებში, მოსაწყენიც არის და არც დიდად სასარგებლოა:

„თვითონ საგნები /ჩხირები, კუბიკები, რგოლები, ჩოთქები და საკუთარი თითები/ თავისი ფორმით არ არიან საინტერესო 8-9 წლის მოწაფისათვის, მაგრამ მთავარი მიზეზი უხალისობისა იმაში გამოიხატება, რომ მოწაფე ხედავს მათ; რამდენსაც მასწავლებელი მოისურვებს, იმდენს დაუმატებენ, ან დააკლებენ და მეტი არაფერი. შეაერთა მან იმდენი საგნები, რამდენიც თვითონ უნდოდა ან შეეძლო? რასაკვირველია, არა. დაიკვეხა მან ამხანაგთან, რომ მან მეტი თვლა იცის, ვიდრე ამხანაგმა? არა. რასაკვირველია ამგვარი სამუშაო არც სახალისოა, ნაძალადევია და მოსაწყენიც; საანგარიშო საგანი, როგორც სხვისი ხელმიუკარებელი ნივთი მოწაფისათვის, მოსაწყენია და უხალისოც, მარტო მისთვის, რომ მისი საკუთრება არ არის, რომელსაც შეეძლო მოპყრობოდა თავისი სურვილისამებრ. ბავშვებს კი ამისთანა თავმოყვარეობა ბლომად აქვთ!“

„რასაკვირველია არც მასწავლებლისთვისაა ეს კუბიკები საინტერესო. იგი თვალყურს ადევნებს მოწაფეებს და აფრთხილებს კი-

თხვებით მოწაფის ყოველგვარ წვრილმან შეცდომასაც, არ აძლევს მოწაფეებს თავისუფლად ნაბიჯი გადადგას – გადასწიოს ერთი მეტი კუბიკი მაინც.

მაგრამ ყველაზე უფრო უმთავრესი ის არის, მასწავლებელი ყველას თვალწინ უდგას, ყველა ბავშვი ხედავს მას, ან გრძნობს მის ყოფნას და ძალდატანებას, რაც შორს უნდა იყოს საინტერესო გაკვეთილთან. ბოლოს ბავშვები ერთნაირ ჯდომით ისე იღლებიან, რომ ერთ საგანსაც ვერ იღებენ ხელში. ეს საგანი მათ მობეზრდათ“.

სულ სხვაა ამერიკული მეთოდის დროს. ავტორი ცდილობს განიმსჭვალოს პატარა მოწაფის ფსიქოლოგიით.

„ბავშვებს დაურიგეს ქაღალდის ფურცლები და კარანდაშები. ერთს წუთში ბავშვმა უკვე დაათვალიერა ეს საგნები. „როგორი თხელი ქაღალდია“, ფიქრობს ის თავის თავად და სინჯავს თითებით, „კარანდაში ისეთი მრგვალია, როგორც ალუბლის ტოტი! იგი კიდეც ჰგავს მას, მაგრამ არ იღუნება – შავ ხაზებს აკეთებს!“ პატარამ გაუსვა ქაღალდზე კარანდაშის წვერი, შეეშინდა და განცვიფრდა: „მასწავლებელმა არ შემნიშნოსო!“ მაგრამ შიში მალე გაჰქრა, რაკი პატარამ დაინახა, რომ მასწავლებელი სხვასთან არის გართული და იმას არ ხედავს. „აი, მეც დავხატავ“, განაგრძობს ის ფიქრს თავის გულში და თან უყურებს უფროს ამხანაგებს, რომლებიც გემს ხატავენ. „აი, მე ისეთს სახლს დავხატავ, რომ ვანოსას აჯობოს. ჩვენ კი ის ჭიებს გვიძახის, პირველი განყოფილების მოწაფეებს ქონდრის კაცებს გვეძახის. აი, ჩვენი პეტო იმათ თედოზე უმაღლესიც არის. ყველა ამ აზრებმა ელვასებრ გაირბინეს პატარა თავში, როცა ის თავისუფალი იყო, მაგრამ აი, მასწავლებელი მივიდა იმათ დაფასთან და უხატავს მათ იხვს ორი ჭუჭულით. „ახ, რა კარგი იხვია!“ ფიქრობს პატარა. „არა, მე მაგისთანას ვერ დავხატავ“, ფიქრობს ის, მაგრამ თვითონ არც იცის როგორ აყოლებს კარანდაშის წვერს ქაღალდზე, ნახულის წარმოდგენილებას ემატება მხედველობითი შთაბეჭდილება და პატარა აღტაცებაშია თავისი ნახატით. და არის რისთვინაც მოვიდეს აღტაცებაში: არაოდეს არ უხატია, იქნებ კარანდაშიც კი არ აუღია ხელში და უცებ იხვი დახატა. დახატა იხვი ორი ჭუჭულით და კიდეც ითვლის, მაგრამ ისედაც იცის, რომ სამი იხვია, იმიტომ რომ სამჯერ მიჰყო ხელი ხატვას. „ერთმა იხვმა ღრმად ჩაიყურყუმელავა ძირსო“, ეუბნება მასწავლებელი. დარჩა ხუთი, იყო ექვსი. აი, ლერწმიდან გამოცურდება მეორე იხვი სამი ჭუჭულით“. ბავშვი სულ ხატავს. იმას მთელი სურათი ეშლება თვალწინ. ინტერესი თანდათან მატულობს

პედაგოგის ნიჭის მიხედვით. თვითონ ამოცანა საინტერესოა იმ მხრით, რომ ის ბავშვების თავის შექცევას ჰგავს, მაშასადამე ძლიერ დაახლოვებულია ბავშვის გრძნობასთან და შეგნებასთან“.

„შეიძლება მიპასუხონ, რომ მოწაფეები ვერ შეიძლებენ იხვის დახატვას: იმათ პირველათ უჭირავთ კარანდაში ხელში. რასაკვირველია, ჩინებული ნახატი არ იქნება, შეიძლება იხვი უფრო ძროხასა გვანდეს და პატარა ჭუჭულები – ძაღლის ლეკვებს, მაგრამ მთავარი საქმე იმაშია, რომ თითოეული ცდილობს დახატოს და ხატავს, რომ ბუნებრივად იხვი გამოვიდეს. ამის დაჯერება მართლაც ძნელია და მეც არ მჯეროდა, რომ პატარა ბავშვებს, რომელთაც კარანდაში პირველად დაუკავებიათ ხელში, შეძლებოდა რაიმე მსგავსის დახატვა, მაგრამ, რომ დაუკვირდეთ როგორ კარგად ხატავენ 5-6 წლის ბავშვები საბავშვო ბაღებში, არავითარ ეჭვს ადგილი არ ექნება. იმავე კურსებზე მისცეს სამაგალითო გაკვეთილი საბავშვო ბაღში. ამ გაკვეთილზე, სხვათაშორის 5-6 წლის მოწაფეები ხატავდნენ ჩხირით ხეს; ჩხირს მწვანე და მიხაკისფერ საღებავებში აწებდნენ. სურათები ისე დაწვრილებით წარმოადგენდა ხეს ტანით, ტოტებით და ფოთლებით, რომ ნამდვილი ხელოვნური ნაწარმოები გეგონებოდათ და მით უმეტეს მისი ნახვით ფსიქოლოგი განცვიფრებაში მოვიდოდა. ამის შემდეგ მე არავითარი ეჭვი არ შემიტანია იმაში, რომ პატარა ბავშვები შეძლებენ იხვის და მისი ჭუჭულების დახატვას და მოზრდილები გემისას.

ამნაირად, ამერიკული გაკვეთილის უმთავრესს ღირსებას ინტერესი შეადგენს, რომელიც ძლიერდება იმის გამო, რომ თვითონ მოწაფე მუშაობს, მაგრამ არა გონებრივად განყენებულად და მოსაწყენად, არამედ ისე, როგორც შეეფერება ბავშვების წლოვანებას“.

სლინკოს წერილის მთელ შინაარსს ჩვენ აქ არ მოვიყვანთ. ჩვენ გვინდა მხოლოდ დავანახვოთ ჩვენს მკითხველებს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხატვა-ხაზვას სკოლებში კერძოდ არითმეტიკის სწავლების დროსაც. რაც შეეხება სხვა საგნების სწავლებას, მომეტებულად დედაენის გაკვეთილებს, იქაც ხატვა-ხაზვა უფრო აუცილებელი საშუალებაა, რითაც სასურველად სარგებლობენ ამერიკის სკოლებში. ჩვენში კი ამ საგნით არა თუ სხვა გაკვეთილებზე სარგებლობენ, თვით ამ საგნის სწავლებაც მოსპობილია სახალხო სკოლებში და თუ სადმე ასწავლიან ხატვა-ხაზვას, იქაც ისე აბუჩად არის აგდებული ეს საგანი, რომ მისი სწავლება უსწავლელობას უდრის. საჭიროა მხოლოდ ხატვა-ხაზვას არითმეტიკის გაკვეთილებზე მიჰმართონ უფრო

იმ შემთხვევაში, როცა განყენებულ ბავშვების მიერ უხილავ საგნებზეა ლაპარაკი ამოცანაში, როცა მას ისეთი დანიშნულება აქვს, როგორც ხაზვას გეომეტრიაში, რადგანაც შესაძლებელია და მოსალოდნელიც რომ არითმეტიკის გაკვეთილი ხატვის გაკვეთილად გადაიქცეს და ორი კურდღელის მდევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერს. დასაწყისი სკოლების მოწაფეებმა, რაც კი შეიძლება მეტი ამოცანები უნდა აკეთონ და კარგად გავარჯიშდნენ ამოცანების კეთებაში; ამისათვის კი ყოველ გაკვეთილზე ხატვა ბევრს დროს მოითხოვს და ამოცანების გასაკეთებლად მოწაფეებს ცოტა დროღა რჩებათ.

უნდა შევნიშნოთ, რომ მესამე განყოფილებაში გასაკეთებლად ამერიკულის წესით მასწავლებელს აუღია უხერხული განუსაზღვრელი ამოცანა, რომელიც ალგებრული ხასიათისაა. არითმეტიკული ამოცანა კი უნდა იყოს ნამდვილი და განსაზღვრული. რასაკვირველია მიცემულს ამოცანაზე შეიძლება შერჩევა სხვადასხვა პასუხებისა, მაგრამ ეს არ იქნება ამოცანის გაკეთება. ეს არსებითი ნაკლულევანება, როგორც სჩანს, არ შეუნიშნავთ კურსებზე. რეცენზენტი არ აღნიშნავს თუ როგორ მოექცნენ ამ გაკვეთილებს კურსების ხელმძღვანელები, რაც საჭირო იყო სურათის სისრულისათვის; ნათქვამია მხოლოდ, რომ მასწავლებელმა ქალმა, რომელმაც ეს გაკვეთილი მისცა, ვერ დაიცვა იგი უმნიშვნელო კრიტიკისაგანაცო. საზოგადოთ ხატვა-ხაზვას დიდი მნიშვნელობა ექნება არითმეტიკის სწავლების დროსაც თუ მას მასწავლებელი მიმართავს თავის დროზე და შესაფერის შემთხვევებში.

***

საფრანგეთის ერთმა სამეურნეო საზოგადოებამ გამოაცხადა კონკურსი მიწის შემუშავების საკითხის შესახებ მასწავლებელთა და მოწაფეთა შორის სოფლის დასაწყის სკოლებში. მოვიყვანთ ზოგიერთს ადგილს იმ მოხსენებიდან, რომელიც წარუდგინა ერთმა მასწავლებელმა სკოლების ინსპექტორს ხსენებული კონკურსის შედეგების შესახებ.

„ცხადიაო, ამბობს მოხსენებაში მასწავლებელი, რომ შესწავლა მიწის მუშაობისა ბავშვების მიერ შეუძლებელია.“ „მიწის შემუშავებისათვის საჭირო ხერხები ვერ აიწერებაო, სთქვა ბუსსინიოლმა; იმას პრაქტიკულად სწავლობენ კარგად მოწყობილს სამეურნეო

დაწესებულებაში“. მხოლოდ სამჭედლოში მუშაობით შეიძლება მჭედელი გახდესო. მიწის შემუშავებით შეიძლება გახდე მიწის მუშაკი. მასწავლებლის დანიშნულება სრულიად ასეთი არ არის. მისი მოწოდება მოითხოვს, რაც არაერთხელ გვითქვამს, რომ გააცნოს მოწაფეებს უმთავრესი მიზანი და დანიშნულება სოფლის მეურნეობისა, განავითაროს მოწაფეში მიდრეკილება მიწის შემუშავებაში იმ მიზნით, რომ, როცა ბავშვი დამოწიფულდება, ჰქონდეს მას ცხადი წარმოდგენილება და ცნება სხვადასხვა საშუალების შესახებ, რომელიც ეხება მიწის შემუშავების საქმესაც, ჰქონდეს საღი აზროვნება შემუშავების ახალი გაუმჯობესებული წესების შემოღებაზე, რასაც ყოველდღე გვამცნევს მეცნიერება და ცდა. „მხოლოდ მუშაკ და განათლებულ გლეხობაში შევინახავთ ჩვენ სამშობლოს კეთილმდგომარეობას და დიდებასაო“, ჭეშმარიტად სთქვა ჩვენმა შესანიშნავმა ბერტელომ. მიწის შემუშავება იღებს ნამდვილს ცნობებს ბუნების მეტყველებიდან, ქიმიიდან და ფიზიკიდან, რომლის შესწავლაც დიდად საჭიროა და აუცილებელი, ვისაც მომავალში წარმატება სურს. მაგრამ ამასთანავე სოფლის სკოლებში უნდა უფრთხილდნენ ესრედ წოდებულს წიგნურს სწავლებას. მიწის შემუშავებაში უნდა დაიწყონ ფაქტების დაკვირვებიდან. საჭიროა ერთსა და იმავე დროს სამუშაო მიეცეს გონებასაც და მხედველობასაც. ეს განსაკუთრებით უფრო ადვილია სოფლის სკოლაში, სადაც წელიწადის ყოველ დროს დასაკვირვებელი საგნები აუარებელია. მიწის შემუშავების სწავლების ნაკლულევანება ჩვენს დასაწყისს სკოლებში უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ მასწავლებლები ცოტათი სარგებლობენ იმ აუარებელი ფაქტებით, რასაც ყოველდღე წარმოადგენს ადგილობრივი მიწის შემუშავება. ხშირი გასეირნება, კარგად მოწყობილი მეურნეობით: ვაზის მოშენების, სარდაფების, კარგად მომზადებული მიწის სასუქის და საუკეთესო ჯიშის საქონლების დათვალიერება – ყველა ეს მიაჩვევდა ბავშვებს სისტემატიურ დაკვირვებას, რის შემდეგ ისინი მიეჩვეოდნენ თავიანთ შენიშვნების გამოთქმას და ლოგიკური დასკვნის გამოყვანას. იმ ადგილებში, სადაც მცხოვრებლები მეღვინეობას მისდევენ, რატომ არ უნდა გააცნონ ბავშვები ვაზის უმთავრეს ჯიშებს, ვაზის ავადმყოფობას და ვაზის უმთავრეს მტრებს. აგრონომიიდან ცოდნით შეიარაღებული ბავშვები, თუმცა ეს ცოდნა ელემენტარული იქნება, მაგრამ დამყარებული ფაქტებზე, არაოდეს არ დაივიწყებდნენ იმას, ვინც ეს ცოდნა გადასცა, არ აურევდნენ ერთმანეთში სხვადასხვა საგნებს, ისინი შევიდოდნენ სოფლის ცხოვრებაში

საკმაო და ძვირფასი ცოდნით, თუმცა მცირედით, მაგრამ საკმარისი ცოდნით, იმისთვის რომ განთავისუფლებულიყვნენ თავიანთ წინაპართა მერყეობისა და შეცდომებისაგან.

რომ მიაღწიონ ამისთანა სანაქებო მიზანს, ჩემის აზრით, მასწავლებლებმა სასწავლო კურსის გავლის დროს ბეჯითად უნდა აარჩიონ სავარჯიშოები და მაგალითები აგრონომიიდან, ფიზიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებიდან, რომელთაც დამოკიდებულება აქვს მიწის შემუშავებასთან. საკარნახო და წერით გადმოსაცემი საგნები, რაც ადვილია, უნდა ეხებოდეს სოფლის ცხოვრებას. ამოცანებს, რომლებიც იმის მაგიერ, რომ ტრიალებდნენ რაღაც საუცხოო საგნების გარშემო, თავისი პირობითი კავშირი უნდა ჰქონდეს სოფლის პრაქტიკულ მეურნეობასთან. ყველა ეს მალე უფრო მეტს ნაყოფს გამოიღებს იმაზე, რასაც ეხლა ვხედავთ. თუ სწავლების ამგვარ წესს მასწავლებლები შეუერთებენ კიდევ თვალსაჩინოებას მარტივი ცდის საშუალებით სკოლის ბაღში, მუზეუმის გამართვით, რომელიც შემდგარი იქნება სხვადასხვა სამაგალითო თესლეულობისაგან, სასარგებლო და მავნე მცენარეების, მწერების, მიწის სასუქის, მეღვინეობის ნაყოფის, ადგილობრივი ზედაგის კოლექციებისაგან და სხვ., მაშინ მათი გაკვეთილები უფრო ნაყოფიერი, ადვილად გასაგები და დასახსომებელი იქნება. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ სამ საფუძველზე: სამეურნეო ექსკურსიაზე, მიწის შემუშავების ცდაზე და სამეურნეო მუზეუმზე შეიძლება მკვიდრად და პრაქტიკულად დააყენო სწავლება, რომელიც მოიტანს კარგს ნაყოფს.

***

სერბიაში ეხლაც ხშირად შეხვდებით მხნე მოხუცებულებს, რომელნიც გიამბობენ იმ თავგანწირული ომის ამბებს, რომელიც მათ გადახდათ თათრებთან ბრძოლაში ბელგრადის ქუჩაზე. სულ ორმოცი წელია, რაც თათრები გააძევეს ამ ქალაქიდან. იმათი წასვლის შემდეგ ყოველ მხრით გაჭიმული ბინძური სოფელი მოუთმენელის სისწრაფით გადიქცა მშვენიერ და ბრწყინვალე ქალაქად. სხვადასხვა განსაკუთრებული ისტორიული პირობების გამო ბელგრადი, ბუნებრივად, კონტრასტების ქალაქად უნდა გამხდარიყო. ის მხოლოდ უკანასკნელ ხანებში დაადგა დასავლეთ ევროპის ცივილიზაციის გზას და შემთხვევაც ჰქონდა ჩქარის ნაბიჯით წასულიყო

წინ, გადაებიჯებინა ბევრი საფეხურები, რომელზედაც უნდა გაევლო დასავლეთის ერებს განვითარების საქმეში.

საშუალო საუკუნოებში სერბიაში განათლება ღრმა რელიგიოზური ანუ სარწმუნოებრივი იყო; სწავლობდნენ მონასტრებში, ეპისკოპოსების სადგომებში და კერძო სკოლებში. მაგრამ 1459 წელს, როცა ოსმალები შემოესიენ ამ ქვეყანას და დაიპყრეს იგი, შემდეგი განვითარება შეუძლებელი გახდა და ყველაფერი შეჩერდა. რამდენიმე ხნის შემდეგ სამხრეთ უნგრეთში დაარსდა სერბიელების ახალშენი, რომელიც ბოლო დროს გაფართოვდა, გაიზარდა და შეიქმნა მაღალი განათლების ცენტრად. ამ ახალშენში დაარსდა მრავალი სკოლა. რამოდენიმე ხანს ამ სკოლებს ახალშენელები პატრონობდნენ დამოუკიდებლად, შემდეგ კი მთელი განათლების საქმე თანდათან გადავიდა ავსტრიის მთავრობის ხელში.

1814 წელს კარა გიორგის წინამძღოლობით და 1815 წელს მილოშის მეთაურობით სერბიელები აუჯანყდნენ ოსმალებს და მთლად განთავისუფლდნენ იმათი უღლისაგან. ბევრი სერბიელი, რომელსაც განათლება უნგრეთში ჰქონდა მიღებული დაუბრუნდა თავის სამშობლოს, სადაც შემოღებულ იქმნა ახალი სისტემა განათლებისა. დიდი ხნით მიძინებულმა ხალხმა მსწრაფლ გამოიღვიძა და დაადგა ნამდვილ განათლების გზას. სერბია, განთავისუფლებული ოსმალეთის მფლობელობისაგან, ყველა რეფორმებისათვის tabula rasa-ს წარმოადგენდა. თუმცაღა თავდაპირველად მძიმე მდგომარეობა იყო, მაგრამ ეს მდგომარეობაც იძლეოდა იმ საშუალებას, რომ სერბიელებს შეეძლოთ დაეწყოთ იქიდან, რაზედაც სხვა ერები შეჩერებულნი იყვნენ. ამით აიხსნება დღევანდელი საკვირველი თეორიული განვითარება სკოლების ორგანიზაციისა სერბიაში.

დასაწყისი სწავლება აქ სავალდებულო და უფასოა. დასაწყისი სკოლების კანონმდებლობა შეიცავს დროს 1844 წლიდან 1904 წლამდის. კანონით დასაწყისი სკოლა ექვსწლიანი უნდა იყოს. პირველ ოთხ კლასში სიარული სავალდებულოა. ამას გარდა სკოლები დაყოფილი იყო ორ რიგად, სახელდობრ „სრული“ ექვსკლასიანი სკოლები და „არასრული“ – ოთხი კლასით. უკანასკნელთან დაკავშირებით დაარსებული იქმნა დამატებითი სკოლები /სამწლიანი ზამთრის კურსები/ იმ მიზნით, რომ მიეღოთ დამატებითი განათლება იმ ადგილებში, სადაც არასრული სკოლები არსებობდნენ.

1897 წელს სერბიაში იყო 1 ბავშვთა თავშესაფარი, 929 დასაწყისი და 206 დამატებითი სკოლა. მასწავლებელთა რიცხვი 1. 729 იყო, რო-

მელთა შორის 1. 039 მასწავლებელი კაცი იყო და 690 მასწავლებელი ქალი. 1904 წელს იყო 1. 267 დასაწყისი და 206 დამატებითი სკოლა. მასწავლებლები იყვნენ 2. 222, ამათში 1. 367 კაცი და 855 ქალი. დღეს სერბიაში თითქმის ყველა დასაწყისი სკოლები წარმოადგენენ „არასრულს“ ანუ ოთხკლასიან სკოლის ტიპს.

სამოსწავლო დროს განაწილება ექვსკლასიან სკოლებში ასეთია: I და II კლასებში კვირაში 22 საათია მეცადინეობა, მე-III კლასში – 26 საათია, მე-IV-ში – 27, მე-V და VI – 30 საათი. სასწავლო საგნებია: საღმრთო სჯული, ძველი სლავური და სერბიული ენები, დაკვირვებითი სწავლის გაკვეთილები, გეოგრაფია და ისტორია, არითმეტიკა, გეომეტრია, ბუნების მეტყველება, ხელით შრომა, ხატვა, წერა, გალობა და გიმნასტიკა. ამის გარდა ვაჟები სწავლობენ მეურნეობას, ქალები საოჯახო საქმეებს. საღმრთო სჯულს ანდომებენ 2–3 გაკვეთილს კვირაში. ებრაელების, თათრების და სხვა სარწმუნოების ბავშვები თუ მოისურვებენ, შეუძლიათ არ დაესწრნენ საღმრთო სჯულის გაკვეთილებს. სრული განდევნა თამაშობისა გაშლილს ჰაერზე უეჭველია შეადგენს სერბიის სკოლის სისტემის სუსტს მხარეს.

თავდაპირველად მასწავლებელი იღებს წლიურად 320 მანეთს, შემდეგ დროგამოშვებით ემატება 100 მ., 120 მან., 140 მან., 160 მან., 180 მან., 190 მან. პირველი დამატება ენიშნება ხუთი წლის სამსახურის შემდეგ, მეორე კიდევ ხუთის შემდეგ, დანარჩენი თითოეულ ოთხი წლის შემდეგ. ამ სახით 26 წლის სამსახურის შემდეგ მასწავლებელი იღებს წლიურად 1. 200 მანეთს. ამის შემდეგ თუ ექვსი წელი კიდევ იმსახურა, ნება აქვს სრული პენსიისა, ე. ი. 1. 200 მანეთისა. ბევრს მასწავლებელს არ შეუძლიან 32 წელი ემსახუროს. ამ შემთხვევაში იმათ პენსია ამ სახით ენიშნებათ: 10 წლის სამსახურში იღებენ 40 პროც. წლიური ჯამაგირიდან და თითოეულს შემდეგს წლებში ემატება კიდევ დაახლოვებით 3 პროც. წესი პენსიის მიღებისა ერთნაირია როგორც ვაჟებისათვის, ისე ქალებისათვისაც. თავდაპირველად მასწავლებელ ქალს ეძლევა წლიურად 320 მან., შემდეგ ემატება 100 მან., 100 მან., 120 მან., 120 მან., 140 მან., ასე რომ უდიდესი ჯამაგირი მასწავლებელ ქალთათვის არის 1040 მან. წლიურად. ამას გარდა უნდა აღვნიშნოთ, რომ მასწავლებლებს, ჯამაგირის გარდა, ეძლევათ უფასოთ ბინა, განათება და გათბობა, ან ბინის მაგიერ იღებენ თვიურად სოფლებში 14 მანეთს და ქალაქებში 14-32 მანეთამდის.

1898 წელს დააარსეს სკოლების ინსპექცია, დანიშნეს სკოლების მუდმივი ინსპექტორები. სხვადასხვა მიზეზების გამო მასწავლებ-

ლებმა თანაგრძნობით არ მიიღეს ეს ახალი კანონი, რის გამოც მთავრობამ 1904 წელს უარჰყო ეს კანონი სკოლების ინსპექციის შესახებ და დაუბრუნდა ისევ ძველ წესს, რომელიც არსებობდა 1898 წლამდის. ამ წესით წლის ბოლოს სკოლებს ათვალიერებენ სპეციალურად არჩეული მასწავლებლები. სასწავლებლის უმთავრესი საბჭო წლიურს ანგარიშთან ერთად სახალხო განათლების სამინისტროს უდგენს კანდიდატების სიას, რომლიდანაც მინისტრი აირჩევს სკოლის ინსპექტორებს ერთის წლის ვადით. ეს ინსპექტორები დაივლიან სკოლებს და აფასებენ კლასის წარმატებას ნიშნებით: ჩინებული, კარგი და არასაკმარისი. მასწავლებელი, რომლის ნაშრომიც უკანასკნელი ნიშნით არის დაფასებული, ჰკარგავს ერთს წელიწადს დამატებითი ჯამაგირის მიღებაში.

ინსპექტორების მუდმივი შტატის გაუქმებას მოჰყვა სკოლების სიმცირე; 1904 წელს დასაწყისი სკოლების რიცხვი 1. 267-დან ჩამოვიდა 1. 236-მდის. დამატებით სკოლების რიცხვი კი 206-დან — 36-მდის. ადგილობრივი პედაგოგები ფიქრობენ, რომ 1904 წლის სკოლების ინსპექციის კანონის გაუქმებაა ერთად ერთი მიზეზი სკოლების რიცხვის შემცირებისაო, მაგრამ მიუდგომელ მეთვალყურისათვის არც ეს საბუთებია სავსებით სარწმუნო.

1904 წელს დასაწყისს სკოლებში სწავლობდა სულ 122, 278 მოწაფე. ამათგან 95, 265 იყო ვაჟი და 27, 013 ქალი. მთელი ხარჯი სკოლების შესანახად უდრის 1. 560. 980 მან. ამ ჯამიდან მთავრობა ხარჯავდა 1. 019, 190 მან., დანარჩენს ხარჯს — 541. 790 მან. ქალაქები და სოფლის საზოგადოებები ეწეოდნენ.

***

ინგლისელი პედაგოგი ლატი შეუდგა ევროპის სამი უდიდესი საატახტო ქალაქების — პარიზის, ლონდონისა და ბერლინის დასაწყისი სკოლების შედარებითს შესწავლას და 1906 წ. გამოაქვეყნა თავისი ნაშრომი. იმისი გამოკვლევით ბერლინის სკოლები შედარებით დაბლა დგას პარიზისა და ლონდონისაზე. ამ ამბავმა ზოგიერთი უკმაყოფილება გამოიწვია გერმანიის პედაგოგიურს პრესაში. ერთის წერილის ავტორი ბ. ვერბკე 1907 წელს ივნისში და ივლისში პარიზში ყოფნის დროს დაახლოებით გაეცნო პარიზის სკოლებს და მოიწადინა ზოგიერთი შესწორება შეეტანა ლატის მიერ გამოქვეყნებულს

ცნობებში. ვერბკე თავის წერილში ეხება სკოლების სხვადასხვაგვარ მოწყობას და შეძლებისდაგვარად მიუდგომლად ცდილობს დაამყაროს ის უპირატესობა, რომელიც სუფევს დღეს ორივე სისტემის სკოლებში პარიზში და ბერლინში. უმთავრესი განსხვავება, რომელიც ვერბკეს შეუნიშნავს, შემდეგში გამოიხატება: 1/გერმანელი ბავშვი ექვსი წლისა მიდის სკოლაში, მას საზოგადოთ არავითარი შინაური მომზადება არ აქვს; ამ წლოვანების პარიზელი ბავშვი კი, პირიქით, დასაწყისს სკოლაში მიბარებამდის დადის დედობრივს სკოლაში, სადაც წერა-კითხვას სწავლობს. სწავლების ასეთს ადრე დაწყებას შეუძლიან ცუდად იმოქმედოს ბავშვის ფიზიკურს ჯანმრთელობაზეო, მაგრამ სამაგიეროდ პარიზელი ბავშვი სწავლაში მთელი წლით წინ უსწრებს ბერლინელს. გზადაგზა თავისს წერილში ბ. ვერბკე ქებით იხსენიებს პარიზელ დედობრივი სკოლების მასწავლებელ ქალებს, რომელთაც საკმაო განვითარება და მომზადება აქვთ, ვიდრე ბერლინელ საბავშვო ბაღების მასწავლებლებს. ამას გარდა სწავლების დრო პარიზის სკოლებში მეტია ბერლინისაზე ერთი საათით მაინც, რაც ვერბკეს არ მოსწონს. 2/ შემდეგ ვერბკე ადარებს სასწავლო პროგრამებს და აღნიშნავს, რომ დედაენის გაკვეთილები პარიზის სკოლაში მეტია. 3/ სამოსწავლო წელში სწავლის გაწესრიგება პარიზის სკოლაში უკეთესია ბერლინისაზე. საფრანგეთში სწავლა თავდება ივლისში, იწყება ზაფხულში დასვენების შემდეგ. გერმანიაში კი სწავლება იწყება ან ნააღდგომევს ან ოქტომბერში. 4/ ყველაზე უფრო ვერბკე გაუკვირვებია მოწაფეებისადმი ზრდილობიანად და რბილად მოპყრობას. „პარიზშიო, – ამბობს ის, – როგორც მთელს საფრანგეთში, მასწავლებელთა და მოწაფეთა შორის ლაპარაკში არსებობს სულ სხვა კილო, ვიდრე გერმანიაში. ცემა და დასჯა ბავშვებისა სასტიკად აკრძალულია. თითქმის პატარა ბავშვებსაც კი არ ელაპარაკებიან შენობით, ეძახიან „mademoiselle“ ან „monsieur“. აქ ვერბკეს უჭირდება სიტყვის დამთავრება, მაგრამ გრძნობს, რომ ადვილად ხელს ვერ აიღებდა ის ბავშვის გაწკეპლვაზე, რის დაკანონებასაც პრუსიის სახალხო განათლების მინისტრი უფრო და უფრო ცდილობს. ბოლოს გერმანული დისციპლინა, თუმცაღა სასტიკია, მაგრამ ვერბკეს მაინც საფრანგეთისაზე უკეთესად მიაჩნია. 5/ მას საფრანგეთის სკოლების პროგრამებიც უკეთესად მიაჩნია. იმათში მთავარი საგნები არ არიან დატვირთულნი მეორეხარისხოვანი დისციპლინებით; მაგ. ხატვა-ხაზვას პროგრამაში ნაკლები ადგილი უჭირავს ვიდრე ბერლინში. გერმანული სისტემის ერთ ცუდ მხარეს

შეადგენს სპეციალურ საგნების მასწავლებელთა სიმრავლე, არა მარტო ტექნიკური საგნების სწავლებაში, როგორიცაა ხატვა, მუსიკა და სხვ., არამედ საბუნებისმეტყველო საგნების, გეოგრაფიის და სამშობლოს ისტორიის სწავლებაში. ბავშვი ხედავს, როგორ მიმოდიან მისს თვალწინ აუარებელი მასწავლებლები, რომლებიც არ აქცევენ სასურველს ყურადღებას ბავშვის მიერ საგნების შეთვისების ნიჭს. ეს საშუალო სასწავლებლების სისტემაა, რომელიც ბერლინში დასაწყისს სკოლებშიაც არის შემოღებული. ვერაფერს ამის მსგავსს პარიზის სკოლებში ვერ ნახავთ, სადაც ერთი და იგივე მასწავლებელი ასწავლის ყველა საგნებს თავისს კლასში. ამ სახით მასწავლებელი მწყობრობაში იგებს იმას, რაც მოცულობაში შეეძლო დაეკარგა.

აქამდის ვერბკეს შედარებითს დაფასებაში უფრო მეტი ღირსება ფრანგების სკოლების მხრით იყო. რაც შეეხება სწავლების მეთოდს, ამას სასტიკს კრიტიკაში ატარებს. მაგრამ აქ ეტყობა, რომ დიდი გავლენა მოუხდენია მასზე ფრანგების პუბლიცისტს ჟიული გიუნეს, რომელიც გამოგზავნილი იყო გერმანიაში სკოლის საქმეების გასაცნობლად და რომელიც აქებს გერმანელ მასწავლებლებს სოკრატული მეთოდის ოსტატურად ხმარებაში სწავლების დროს და უსაყვედურებს ფრანგ მასწავლებლებს იმაში, რომ „ისინი ადგანან ფორმალურ მხარეს, უხშობენ ბავშვებს ბუნებრივ გონებას, ხმარობენ ისეთს მეთოდებს, რომლითაც ასწავლიან თუთიყუშებს“. ჩვენ გვგონია, რომ ვერბკე შემცდარია, რომ აჩქარებით დაუჯერებია ფრანგების ჟურნალისტის სიტყვები და ის თავისი დაკვირვებით არ შეუმოწმებია იმის დამტკიცება, რომ საფრანგეთის სკოლებში დასაწყისი სწავლება ცხოველთა გაწრთვნას მოგვაგონებდეს, ცხადათ გადამეტებულია. ბოლოს პედაგოგიურად მომზადების მხრით ვერბკე გერმანიის მასწავლებლებს წინ აყენებს ფრანგებისაზე. დასასრულ დასძენს, რომ სტატისტიკური ცნობები, ლატის მიერ გამოქვეყნებული, არაფერს არ ამტკიცებსო. გერმანული სკოლა ფრანგებისაზე დაბლა არ დგასო, მაგრამ ის ცხოვრობს და ვითარდება სხვა პირობებშიო. თვალყურის გდება იმისადმი, რაც მეზობლად კეთდება, შედარება, აწონ-დაწონვა და საუკეთესოს არჩევა, მოვალეობაა იმათი, ვისაც სკოლა აბარიაო.

***

როგორ უნდა მოეწყოს სამოსწავლო წლის განმავლობაში ადვილი და მოძნელო საგნების სწავლების მოწესრიგება? რამდენი დროა საჭირო დასასვენებლად გაკვეთილებს შუა? უნდა მიეცეს თუ არა ბავშვებს გაკვეთილები სახლში და თუ მიეცემა, რამდენი?

ამ საკითხის გადასაწყვეტად პროფ. გერმან შვარცმა მიმართა პრივატ-დოცენტის სტერნის და პროფ. ლეის გამოკვლევას; ამათ ცდის საშუალებით დაადგინეს, რომ გაღვიძების დროს ბავშვის გულისყური სუსტია, შემდეგ ის ძლიერდება და 10-12 საათამდის მაქსიმუმამდის აღწევს. ამ სახით ყოველდღიური განხილვა გაკვეთილებისა გერმანიის სკოლებში, სადაც უფრო ძნელი გაკვეთილები დილ-დილობით არის დანიშნული და ადვილი, როგორც, მაგალითად, ხატვა, გიმნასტიკა და გალობა ნაშუადღევს, როგორც სჩანს, რაციონალურია. მიუხედავად ამისა მრუდე ხაზებიდან, რომელსაც ეს გამოკვლევა გვიჩვენებს, სჩანს, რომ გულისყური /ყურადღება/ 9-10 საათამდის და 12-1 საათამდის მატულობს არა უმეტეს, ვიდრე 2 და 4 საათს შუა. წლის განმავლობაში ფსიქიური ნიჭი, როგორც სჩანს, მაქსიმუმამდის ადის მარტის ბოლოში, შემდეგ სუსტდება და ჩამოდის მინიმუმამდის ივლისში, შემდეგ ძლიერდება და მეორე მინიმუმამდის ჩამოდის ოქტომბერში. ეს გამოკვლევა ამტკიცებს, რომ გონებრივი დაღლილობა, ფიზიკურ შრომასთან შედარებით, უფრო ძლიერია და მხოლოდ სრულს დასვენებას ან ღრმა ძილს შეუძლიან აინაზღაუროს ის დანაკლისი ნერვების სისტემაში, რაც მოუვიდა მას გულისყურის ძალდატანებით. ამის მიხედვით საჭიროა ხანგრძლივი დასვენება დილით მეცადინეობასა და ნაშუადღევს შორის და თერთმეტი საათით ძილი პატარა მოწაფეთათვის. რაც შეეხება უკანასკნელს საკითხს სახლში გაკვეთილების მიცემას, ამას პროფ. გერმან შვარცი შეეხება შემდეგს სტატიაში.

***

ქ. ბერლინის მიბაძვით ლონდონის ქალაქის საბჭომაც გახსნა სკოლა ქალაქის მახლობლად ტყეში. სკოლა გაიხსნა შარშან ივლისში. სკოლაში ხუთი მასწავლებელი იყო: ერთი გამგე, ორი თანაშემწე კაცი და ორიც ქალი, რომელნიც დროებით დანიშნა ქალაქის

საბჭომ საუკეთესო საქალაქო სკოლებიდან და ერთი დიპლომიანი გამდელი. ამას გარდა დანიშნულს დროს ბავშვებზე თვალყური ეჭირათ ექიმებსაც. ოქტომბერში სკოლაში იყო უკვე ფიზიკურად დასუსტებული ასი მოწაფე. თითოეულ მათგანს, სკოლაში მიბარების დროს, უნდა წარედგინათ რომელიმე ცნობილი ექიმის მოწმობა, რომ მათთვის აუცილებელია სუფთა ჰაერი. მომეტებულს რიცხვს სისხლნაკლულევანება და ნერვების აშლა ეტყობოდათ. ბავშვები მოდიოდნენ რკინის გზით დილის 9 საათზე სადგურზე, საიდანაც ათი წუთის სავლელ მანძილს ფეხით გაივლიდნენ მადის მოსაყვანად. საუზმედ აძლევდნენ რძის ფაფას, კარგს ამინდში ხის ქვეშ საუზმობდნენ, წვიმის დროს – ფარდულს ქვეშ. 10-1 საათამდის შრომაში ატარებდნენ დროს, ნიჭის მიხედვით დაყოფილი იყვნენ ოთხ კლასად, სქესის განურჩევლად. დილ-დილობით სკამებზედ ისხდნენ და ნაშუადღევს ნახევრად წამოწოლილნი იყვნენ შესაკეც სკამებზე, წინ მუხლებზე ედოთ თხელი ფიცრები. სწერდნენ კარანდაშებით. მეცადინეობის პროგრამა ვრცელი არ იყო, მაგრამ ჰიგიენურად კარგად იყო შედგენილი: ცოტა პრაქტიკული არითმეტიკა, რომელიც შესდგებოდა თვითონ ბავშვებისა და ახლო-მახლო საგნების გაზომვაში, ჩინებული ამბები, მომეტებულად საოცნებო ზღაპრები, საუბრები ხეებისა და ტყის მცენარეების შესახებ, მცენარეების შეკრება ბაღში, ან ტყეში და მათი ხატვა საღებავებით, ბაღის მოშენება, მიწის მუშაობა, შეგოზვა საგნებისა თიხისაგან, კალათების დაწვნა და ორი გაკვეთილიც სიმღერისა კვირაში. არავითარი სასჯელი. რუსსო უეჭველად გაგზავნიდა თავისს ემილს ამ სკოლაში ან „ბანაკში“, როგორც ბავშვები უწოდებდნენ მას.

პირველ საათზე გაისმოდა ბუკის ხმა. ეს იყო სადილის ნიშანი; სადილი შესდგებოდა უბრალო და საღი საჭმლებისაგან: წვენი, თევზი, პური, კარტოფილი ან ხორცი, მწვანილი და ტკბილეულობა. ხარჯს სმა-ჭამისთვის ჰკრეფდნენ დაინტერესებული პირები კერძოდ, რომლის უმეტესობას ქალაქის საბჭოს წევრნი შეადგენდნენ. სადილის შემდეგ ისვენებდნენ ან იძინებდნენ, მცივანა ბავშვებს ახურავდნენ ჯარისკაცის საბნებს, მაგრამ იშვიათად ხმარობდნენ ამ საბნებს: 3-4 $^{3}/_{4}$ საათამდის დროს შრომას ახმარებდნენ; 5 საათზე სამხრობდნენ: აძლევდნენ თბილ რძეს ან ხანდისხან კაკაოს, პურს კარაქით ან მურაბას და სხვ. ბავშვებისაგან თხოულობდნენ კბილების სისუფთავესაც, ღია ოთახში წოლას. საღამოობით ურიგებდნენ ბილეთებს და მატარებლით უკანვე ისტუმრებდნენ ლონდონში.

დაბეჯითებით შეგვიძლიან ვსთქვათო, ამბობს გაზეთი „The Practical Teacher“, რომ წარსულმა ზაფხულმა ძლიერ კეთილი ნაყოფი გამოიღო ამ მხრით, უეჭველია ამ წლის ზაფხული კიდევ მეტს ნაყოფს მოიტანსო.

ქართული წერის დედანი, შედგენილი ალ. მირიანაშვილის მიერ. ფასი 40 კაპ., სახატავი ნიმუშები და ქართული წერის დედანი ს. დათეშიძისა, 1907 წ. ფასი 20 კაპ.

წერა ერთი სავალდებულო სასწავლო საგანთაგანია სკოლებში. მთელი მეცნიერებისა და საზოგადო კულტურის განვითარება თავიდანვე წერაზე იყო დამყარებული, რადგანაც წიგნების ბეჭდვის გამოგონებამდის ყველა ცდის საშუალებით შეძენილი ცოდნა კაცობრიობის მიერ და ყოველი გონებრივი საუნჯე ინახებოდა და ვრცელდებოდა წერის საშუალებით. წიგნების ბეჭდვის შემოღებიდან წერას თავისი მნიშვნელობა სრულიად არ დაუკარგავს, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, არამედ უფრო გაძლიერდა, რადგანაც დაწერილი, სტამბის საშუალებით სწრაფად და მრავლად ვრცელდება ყველგან. ამას გარდა წერას დიდი გავლენა აქვს ზეპირსიტყვიერებაზედაც, რადგანაც წერის საშუალებით ჩვენ უფრო მკვიდრად ვითვისებთ გაგონილს, წაკითხულს და გასაზეპირებელს; წერის საშუალებითვე ჩვენ თანდათან ვაუმჯობესებთ ზეპირსიტყვიერებასაც, რომელიც შეადგენს ჩვენი აზრის იარაღს; აზროვნების განვითარება კი, თავის მხრით, დამოკიდებულია სიტყვიერების განვითარებასთან; რამდენადაც სიტყვიერება უფრო სრულია და განვითარებული, იმდენად აზროვნებაც უფრო განვითარებულია. აქედან წერასა და აზროვნებას შორის უსათუოდ არსებობს ერთნაირი დამოკიდებულება.

დღეს დასავლეთ ევროპის ბევრს სკოლაში სავალდებულო საგნად არის შემოღებული სტენოგრაფიული წერა, რომლის უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ ამ საშუალებით შეიძლება ჩქარი ლაპარაკის ჩაწერაც. შესაძლებელია, რომ ოდესმე სტენოგრაფია ყველგან გავრცელდეს და წერასაც ისეთი მნიშვნელობა არ ექნება მაშინ, როგორც დღეს აქვს, მაგრამ მანამდის ბევრი ხანი გაივლის

და წერის სწავლებაც არ დაჰკარგავს თავისს მნიშვნელობას. მაგრამ აუცილებლად საჭიროა თუ არა დედნები სკოლებში? ბევრს ჰგონია რომ წერის დედანი აუცილებლად საჭირო არის, მაგრამ, ჩვენის აზრით, ამისთანა დასკვნა სავსებით სამართლიანი არ არის. ბევრი სასწავლებელი, სადაც უდედნოდაც კარგად სწერენ, იმათზე უფრო კარგად, სადაც დედნები ხმარებაშია. საქმე იმაშია, რომ თუ მასწავლებელს სუფთა წერის სწავლების საქმე კარგად აქვს დაყენებული და თითონაც შეუძლიან შნოიანად დასწეროს ასოები და სიტყვები საკლასო დაფაზე, მაშინ დედნებიც საჭირო არ არის, მით უმეტეს, რომ დედნებში ხშირად მცირე საწერი მასალაა მოთავსებული და მოწაფეებიც იძულებულნი არიან ერთი და იგივე მასალა რამდენჯერმე სწერონ, რაც სრულიად საინტერესო არ არის მოწაფეთათვის. მაშასადამე დედანი საჭიროა ისეთს სკოლაში, სადაც მასწავლებელი ცუდად სწერს. ამისთანა სკოლები კი ჩვენში, უეჭველია, ცოტა არ არის და მათთვის იქნება დანიშნული ის დედნები, რომლის სათაურიც ზემოთ ამოვწერეთ.

ბ-ნი ალ. მირიანაშვილის „ქართული წერის დედანი“ შნოიანი გამოცემაა, სქელს ქაღალდზე და საწერი მასალაც ბლომად არის შიგ მოქცეული. მაგრამ პირველივე შთაბეჭდილება დედნის ერთხელ გადაფურცვლის შემდეგ ისეთია, თითქოს ავტორს განძრახ დაუმახინჯებია და გადაუსხვაფერებია ქართული ასოები იმ მიზნით, რომ ყველა ასოები ერთმანეთზე გადაება, რათა მოწაფეები თავიდანვე მიჩვეულიყვნენ სწრაფს წერას, რომელიც ასოების გადუბმელად თითქოს შეუძლებელი ხდება, მაგრამ კარგად რომ დავუკვირდეთ იმ ცვლილებას ასოების მოყვანილობაში, რაც ბ-ნს ალ. მირიანაშვილს მოუხდენია თავისს დედანში, დავინახავთ, რომ იმნაირად გადაბმით, როგორც ბ-ნი მირიანაშვილი ფიქრობს, საეჭვოა შესაძლებელი იყოს სწრაფად წერა. ნუ დავივიწყებთ, რომ სწრაფ წერას, ასოების გადაბმის გარდა, ხელს უწყობს თვითონ ასოების სიმარტივე, ე. ი. რამდენადაც ნაკლები ნაწილებისაგან, ელემენტებისაგან შესდგება ესა თუ ის ასო, იმდენად ის უფრო ადვილად და სწრაფად იწერება. ბ-ნმა მირიანაშვილმა კი მიაღწია ერთს საწადელს, გადააბა ასოები, მაგრამ ამასთან გაართულა ისინი, ჩაუმატა მეტი ელემენტი ქართულ ასოებს, ამით ჩვეულებრივი სახეც შეუცვალა და, ჩვენის აზრით, ვერც სწრაფად წერის მიზანს მიაღწია სასურველად. ერთი მარტივი ასო ი-ს შეცვლით და გართულებით შეიცვალა ყველა ის ასოები, რომელთაც ერთ შემადგენელ ნაწილად ი აქვს, რომელსაც მირიანაშვილის „დედანში“ რუსული ასო n სახე აქვს.

ამას გარდა თავდაპირველად, როცა ბავშვები ანბანსა სწავლობენ დიდი მნიშვნელობა აქვს, როცა ბეჭდურ და წერით ასოებს შორის სრული მსგავსებაა დაცული. ეს ისეთი პედაგოგიური ჭეშმარიტებაა, რომ საჭიროდ არ მიგვაჩნია ამის შესახებ სიტყვის გაგრძელება. ეს იცის დღეს ყველა დაკვირვებულმა მასწავლებელმა, ვისაც კი ბავშვებისათვის ანბანი უსწავლებია.

ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ, რომ შეიძლებოდეს ყველა ქართული ასოების გადაბმა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ იმ ხელოვნურ გადაბმაში, რომელსაც ბ-ნ მირიანაშვილის „დედანში“ ვხედავთ, უფრო მეტი დრო გადის, ვიდრე გადუბმელად წერაში, მაშასადამე მეტად ხელოვნური და ნაძალადევი გადაბმა ასოებისა სრულიად ხელს არ უწყობს სწრაფ წერას. რაც შეეხება წერის სწავლებას გენეტიური წესის მიხედვით, ჯერ ადვილისა და შემდეგ მოძნელო ასოების შესწავლის მხრითაც ვერ ვხედავთ „დედანში“, რომ დაცული იყოს ეს წესი. მაგალითად ასო ქ გაცილებით ადვილი საწერია, ვიდრე უ, გ, ტ, ც და სხვა. ამ მხრით მეორე ავტორიც დედნისა ბ-ნი დათეშიძეც სცოდავს – ასო ჟ, რომელიც საწერად უფრო ადვილია, მოუქცევია თითქმის დედნის ბოლოში და ამაზე უძნელესი ასოები წინ უძღვის უფრო ადვილებს. მაგალ. კ, ვ და ფ უადვილესია საწერად დ, ღ, ლ-ზე და სხვ.

არავითარ საჭიროებას არ შეადგენს ქართულ წერაში ასომთავრული ასოები, რომლის შემოღებაც სწადია ბ-ნს მირიანაშვილს და დათეშიძესაც. ასომთავრული ასოები თუ აძნელებს წერას, თორემ არავითარ სარგებლობას არ იძლევა; ყველა ჩვენგანი დაჩვეულია წერტილების შემდეგ ჩვეულებრივი ასოები სწეროს და ეს ჩვენ მიგვაჩნია წერის გასაადვილებლად. უეჭველია ცხოვრებას ძალა დაუტანებია მწერლისათვის, რომ ასე მოქცეულიყო და ასომთავრული რთული ასოების წერაში უბრალოდ დრო არ დაეკარგა. ბეჭდურ სიტყვაში ასომთავრული კიდევ შესაწყნარებელია, მაგრამ წერაში კი არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

ეხლა შევეხოთ საწერ მასალას, რასაც აწვდიან მოწაფეებს ორივე ზემოთ დასახელებული ავტორები. ბ-ნ ალ. მირიანაშვილის „დედანში“ თავმოყრილია მარტო ერთგვარი მასალა – თავიდან ბოლომდის აქ მარტო ანდაზებს შეხვდებით, დათეშიძის დედანში პირველი ადგილი ანდაზებს უჭირავს, მაგრამ შიგადაშიგ სხვაგვარ მასალასაც პოულობთ. დედნის ერთგვარი შინაარსიანობა, როგორც ყოველი ერთგვარობა თვით ბუნების წინააღმდეგია. ამას გარდა ანდაზები შინაარსის მხრით ისეთი ადვილი გასაგები არ არის, რომ

მოწაფემ მასწავლებლის განუმარტებლად პირველ წაკითხვისთანავე თავისთავად შეიგნოს მისი აზრი და მნიშვნელობა, პირიქით მოწაფე იძულებული ხდება მექანიკურად შეითვისოს ესა თუ ის ანდაზა და ეს ვარჯიშობა კი არავითარ გონების საზრდოს არ აძლევს ბავშვს, პირიქით, უხშავს თავისუფალ აზროვნებასაც და ზოგჯერ შეიძლება ისეთი ანდაზაც გამოერიოს, როგორც მაგალ. „ვინც მოითმენს, ის მოიგებს“, „დედინაცვალი, თვალში ნაცარიო“ და სხვ. რომელნიც საღ აღმზრდელობითს მნიშვნელობას მოკლებულია. მართალია, ეს ანდაზებიც ხალხურ სიბრძნეს შეადგენენ, მაგრამ ვერც ამ სიბრძნემ გადაგვადგმევინა ნაბიჯი წინ, ვერც მოთმინებამ და ვერც ათჯერ გაზომვამ და ერთხელ გამოჭრამ გვიშველა რა. სხვა ქვეყნებში, სადაც ხალხი იბრძვის თავისუფლების, შემოქმედების და თვითგამორკვევის სფეროში, იქ გაიძახიან: ენერგია – პირველი სათნოებაო. ჩვენში კი დღესაც გაიძახიან ბევრნი: „მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენიო“, „სოფელი შენდებოდეს შეასწარი, იქცეოდეს – გაასწარი“, „ხე რომ წაიქცევა, ცულიანი და უცულო ზედ მიადგება“ და სხვ. ჩვენ საზოგადოდ ხალხური ანდაზების წინააღმდეგი არ ვართ; პედაგოგიურის მხრით ბევრს მათგანს მნიშვნელობა აქვს, მაგრამ აქ საჭიროა სიფრთხილით არჩევა და ისეთი ანდაზები, რომელიც ერის ერთს წერტილზე შეჩერებას და გაყინვას გვიქადაგებს, სავსებით დასაგმობია. მომეტებული რიცხვი ანდაზებისა ორივე დედანში აზრიანია. რაც შეეხება კერძოდ დათეშიძის დედანს, ჩვენ გვგონია, რომ ქართული ასოების ბუნებრივი გადაბმა აქ უკეთ არის დაცული, თუმცაღა შესაძლებელი იქნებოდა უფრო მეტი ასოების გადაბმაც და აქ არც ბუნების საწინააღმდეგო იქნებოდა რა; „დედანს“ წინ უძღვის ხატვის ნიმუშებიც. საწერი მასალაც მარტო ანდაზებიდან არ შესდგება, თუმცა ბრძნული ფილოსოფიური აზრები სხვა საწერ მასალაშიაც მოიპოვება. ჩვენის აზრით, დედანში მოქცეული მასალა არავითარს მაღალ აზროვნებას და ფილოსოფიურ აფორიზმებს არ უნდა შეიცავდეს. იქ უნდა იყოს მოქცეული მარტივის გასაგების ენით დაწერილი სხვადასხვა მასალა, რომლის აზრის შეგნება თავისთავად იმდენად გამჭვირვალე უნდა იყოს, რომ ბავშვმა ძალდაუტანებლად, ადვილად შეიგნოს თავისთავად. ბ-ნი დათეშიძის დედანს არ აქვს შესაფერი რვეულები და ეს გარემოება ხელს უშლის ისე წერის შესწავლას, როგორც დედნის ავტორი ფიქრობს. თუმცაღა ბ-ნი ალ. მირიანაშვილის დედანი კარგი გამოცემაა, კარგს ქაღალდზე დაბეჭდილი, მაგრამ ორი აბაზი დედნის ფასი ყველასთვის ხელსაყრელი არ არის.

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ

ამ წიგნით ვათავებთ ამ მიმდინარე წლის ჟურნალ „განათლების“ გამოცემას. მრავალი დაბრკოლება შეგვხვდა წლის განმავლობაში, რომელმაც ხელი შეგვიშალა და ჟურნალის ყოველთვიურად გამოცემა შეუძლებელი შეიქმნა. ვისაც კი თვალ-ყური უდევნებია ჩვენი ჟურნალისათვის და წარმოდგენილი აქვს ის პირობები, რომელშიაც ჩვენ მოგვიხდა მუშაობა, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ არავითარი ძალღონე არ დაგვიზოგავს, მაგრამ ამგვარ ჟურნალს ჩვენში, როგორც ჩანს, ჯერ-ჯერობით, სამწუხაროდ, გასავალი არ აქვს.

ჩვენ არაერთხელ გვითქვამს და კიდევ ვიმეორებთ, რომ ერი, რომელსაც ერთი მაინც სერიოზული სამეცნიერო ჟურნალი არ მოეპოვება, არ ცდილობს დედაენაზე მეცნიერების აყვავებას და კმაყოფილდება უცხო ენით ან სხვისი ნასუფრალით, შორს ვერ წავა. ენასაც, თუ მეცნიერულ განვითარებას და გამდიდრებას არ მიჰყო ხელი, ხეირი არ დაეყრება. ამის მიხედვით ჟურნალისათვის კერძო სპეციალური ხასიათი არ მიგვიცია, პირიქით, ვცდილობდით ჟურნალი მრავალ შინაარსიანი ყოფილიყო და ყველა მკითხველისათვის საინტერესო და ხელმისაწვდენიც. მართალია, ზოგმა ისიც გვიკიჟინა, რომ ჟურნალს მარტო პედაგოგიური ხასიათი უნდა ჰქონდესო და „საქართველოს სახალხო განათლების ორგანო უნდა იყოსო“ /„ამირანი“, № 155/, მაგრამ ჩვენ ეს ვიწრო შეხედულობად მიგვაჩნია, რადგანაც დარწმუნებული ვართ, რომ ყოველი სამეცნიერო და ბელეტრისტიული ნაწარმოებიც ხალხის განათლებას უწყობს ხელს და მასვე ემსახურება.

მიუხედავად მრავალგვარი დაბრკოლებისა, „განათლების“ რედაქცია იმედს მაინც არ ჰკარგავს და მომავალი წლიდანაც აპირებს შეძლებისდაგვარად ჟურნალის გამოცემას. მხოლოდ მომავალ წელში ჟურნალი გამოვა დროგამოშვებით, მასალის შეგროვებისა და სახსრის მოპოვების მიხედვით და გაიყიდება ცალკე წიგნებად. იმ ორმოცდა ათს წლიურ ხელის მომწერთ, რომელთაც ხუთი მანეთი გადახდილი აქვსთ, ჟურნალი მომავალ წელშიაც გაეგზავნებათ.

რედაქცია გულითადს მადლობას სწირავს ჟურნალის თანამშრომლებს, ვინც უსასყიდლოდ აწვდიან მასალას დასაბეჭდად, ადგილობრივ ქართულ-რუსულ გაზეთების რედაქციებს, რომელთაც

მიუდგომელი აზრი გამოთქვეს ჩვენი ჟურნალის თითოეული ნომრის შესახებ და იმ პირთაც, ვისი ნივთიერი და ზნეობრივი დახმარება ხელს უწყობდა ჟურნალის არსებობას.

ედმონდო დე-ამიჩისი

† 12 მარტს 1908 წ.

ცნობილი იტალიელი მწერალი ედმონდო დე-ამიჩისი დაიბადა 1846 წელს, გარდაიცვალა 12 მარტს, 1908 წელს. სწავლა მიიღო სამხედრო სკოლაში მოდენში, 1865 წლიდან ოფიცრად მსახურებდა და გარიბალდელებთან მონაწილეობას იღებდა იტალიის აღდგენისათვის ატეხილს ბრძოლაში. სხვათაშორის დე-ამიჩისი 1866 წელს მონაწილეობას იღებდა ავსტრიის წინააღმდეგ გამოწვეულს ომში. დე-ამიჩისმა აფიცრობის დროსვე დაიწყო წერა. მისმა ნაწერებმა „სამხედრო ცხოვრებიდან“ – „Bozzetti della vite militare“ / 1869 წ./ საზოგადოების საერთო ყურადღება მიიპყრო და მალე რამდენიმე გამოცემად დაიბეჭდა. 1870 წელს დე-ამიჩისმა სრულიად დაანება თავი სამხედრო სამსახურს და მწერლობას მიჰყო ხელი. დე-ამიჩისი ბევრს მოგზაურობდა ევროპაში, აფრიკაში, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში. ამ მოგზაურობამ აუარებელი მდიდარი მასალა შესძინა მას. ამ მასალით დე-ამიჩისი სავსებით სარგებლობდა როგორც „მგზავრის წერილებში“, აგრეთვე ბელეტრისტიულ ნაწარმოებშიაც. აუარებელს რომანებში, რომელიც სისწრაფით მოჰყვებოდა ერთი მეორეს, დე-ამიჩისი ეხებოდა პოლიტიკურს და სოციალურს საკითხებს. დე-ამიჩისი იყო პოლიტიკური რადიკალი და დემოკრატი. 1890 წელს იგი მიეკედლა სოციალ-დემოკრატებს. მიუხედავად ამისა, რაიმე შესანიშნავი აქტიური როლი პოლიტიკურ ცხოვრებაში მას არ აუსრულებია. ერთი სასაცილო შემთხვევა დე-ამიჩისის ცხოვრებაში ძლიერ დამახასიათებელია იტალიის პოლიტიკური წეს-წყობილებისა; 1896 წელს დე-ამიჩისი გამორიცხეს საამომრჩევნო სიიდან, რადგანც მან კომისიაში, რომელიც განაგებდა იმ სიის შედგენას, არ წარადგინა საბუთი წერა-კითხვის ცოდნისა. /იტალიაში წერა-კითხვის ცოდნა ცენზად ითვლება ხმის მიცემაში/. ეს გახდა საბუთად წერა-კითხვის ცენზის წინააღმდეგ, რომელიც იძლევა შემთხვევას მრავალ ბოროტ-

მოქმედებაში. უნდა აღვნიშნოთ, რომ დე-ამიჩისის დემოკრატიზმი რამდენადმე სხვანაირია, მას ატყვია ძლიერი ნიშანი ნიცშეს მოძღვრებისა.

საზოგადოდ დე-ამიჩისს დიდი ცხოველმყოფელი გავლენა ჰქონდა მოზარდ თაობაზედ, რომელსაც უღვიძებდა გულში მამულისშვილობის იდეალს. დე-ამიჩისის თხზულება „მოწაფის დღიური“ მარტო იტალიაში 450-ჯერ იქმნა დაბეჭდილი. იგი გადათარგმნილია ყველა ევროპიულს ენებზედ. ეს წიგნი ქართულადაც არის ნათარგმნი კარგის ენით, ქართულადვე არის დაბეჭდილი მისივე პატარა გრძნობიერი მოთხრობა „დედა-შვილის თავგადასავალი“/ აპენინის და ანდის მთები/, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთს და არც მეორეს ჩვენში გასავალი არ აქვს, ისე უძრავად აწყვია წიგნების მაღაზიის თაროებზე...

მასწავლებლის თავგადასავალი

რასაც მასწავლებელი განიცდის საზოგადოდ დამოუკიდებლად ბავშვებთან ყოფნის დროს, განსაკუთრებით მისი შეცდომები და წარმატება მოწაფეზე საუკეთესოდ გავლენის მხრით, საზოგადო დამახასიათებელია მასწავლებლის მოქმედებისა, ქართველი იქნება ის, რუსი თუ იტალიელი. ქართველი მასწავლებელიც, ქალაქად თუ სოფლად, ეწევა თავისს მძიმე უღელს და უეჭველია, მასაც არა ერთხელ განუცდია ის, რაც თავს გადახდენია ახალგაზრდა იტალიელ მასწავლებელს. აი, ამ მხრით დიდად საინტერესოა გავიცნოთ იტალიელი ცნობილი მწერლის დე-ამიჩისის მოთხრობა, რომელიც სინამდვილით გვიხატავს სკოლას და მასში მომქმედ პირთ.

გრძნობიერად და მარტივად არის მოთხრობილი თუ როგორ გამოვიდა ცხოვრებაში კარგი ჭაბუკი სახალხო სკოლის მასწავლებლის ასპარეზზე, როგორ გზადაბნეულად მიდიოდა იგი პირველად, როგორ სცდებოდა პირდაპირ გზას, უხვევდა აქეთ-იქით და როგორ დაადგა ბოლოს ნამდვილს გარკვეულს გზას. ამ ჭაბუკს ჰქონდა კეთილი მისწრაფებანი, გულში ბავშვებისადმი წრფელი სიყვარულის ცეცხლი უღვივოდა, მაგრამ მას თავდაპირველად აკლდა საკმაო ცოდნა ბავშვის ბუნებისა, საკვირველიც არ არის, რომ ამის გამო მას შეცდომებიც ბლომად მოსდიოდა და თავის თავს ბევრჯელ უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა. ჭაბუკი საშუალო დონეზე მაღლა იდგა, მაგრამ

არ იყო აღჭურვილი მაღალის ნიჭით, მტკიცე ხასიათით, არ შეეძლო სულის სიმტკიცე გამოეჩინა, უჭირდა სხვის დაუხმარებლად ეკლიანს გზაზე სიარული და ამის გამო მოღვაწეობაც გასაჭირო იყო მისთვის.

დე-ამიჩისმა გამოიკვლია ის ქვეყანა, რომლის დიდება-მწუხარებაში ბევრს ეჭვი შეჰქონდა, მაგრამ ბევრისათვის იგი უცნობიც იყო, ვისაც კი შიგ ცხოვრება არ განეცადა. გაბედულად ჩამოგლიჯა მან ჩამოფარებული ფარდა, გამოამზეურა ქვეყნად იტალიის სკოლების შინაგანი ორგანიზაცია, სკოლების მდგომარეობა ქალაქებში, სოფლებში, მივარდნილს კუნჭულებში და თითქმის მიუწვდომელს, მიკარგულ მთის ხეობებში, სადაც ყველასგან მივიწყებული, არავისგან ნახსენები ადამიანები ყოველდღე საგმირო საქმეებს სჩადიან.

სამასწავლებლო ინსტიტუტში კურს დასრულების შემდეგ რატტის მოუხდა მასწავლებლობა სოფელ გარასკაში, სადაც სკოლისათვის ბინა მოთავსებული იყო მონასტრის ძველ სადგომში. საკლასო ოთახი მოგრძო იყო, ორი მრგვალი სარკმლით. ცხოველთა და მცენარეთა რამდენიმე დაძველებული სურათი, ჩონჩხი და გეოგრაფიული რუქა შეადგენდა დაკვირვებითი სწავლებისათვის ხელსაწყო საგნებს. ორ რიგად ჩამწკრივებული სკამები, დანით ამოჭრილი ათასნაირი ფიგურებით, წარმოადგენდა ისეთს სურათს, თითქოს ეს სკამები „ათი წლის განმავლობაში რამდენიმე პირთათვის საჩუქურთმო სავარჯიშო საგანს წარმოადგენდაო“. უყურადღებობის გამო მივიწყებული იყო არამარტო სკოლის შენობა და მისი მორთულობა, არამედ თვით სკოლაში მოსიარულე მოწაფენიც.

პირველი შთაბეჭდილება სკოლის მოწაფეებზე არასასიამოვნო იყო. მწვირიანს, თმაგაწეწილს, ტანისამოს ჩამოფხრეწილს ბავშვებს ველურად ეჭირათ თავი სკოლაში. მუშტიკრივით ეცილებოდნენ ერთმანეთს დასაჯდომ ადგილს, თითებს პირში იყოფდნენ, წამდაუწუმ იქექავდნენ სხეულს, თითქოს ბღერი შეყრიათო. გაოფლიანებულს პირის სახეს მოითხუპნიდნენ ტალახში და მელანში დასვრილი თითებით. ერთმა შარვალი მუხლებამდის აიწია, თითქოს მდინარეში გასვლას აპირებსო, მეორე ბრახუნით ისროდა იატაკზე თავისს ორჩოფეხებს, მესამე ფრჩხილებს იჭრიდა ფეხის თითებზე. რატტის ვერ წარმოედგინა, რომ ბავშვები ასეთი თავგასულები და ჩამორჩენილი იქნებოდნენ. ბავშვების უმრავლესობის უვიცობა, ველურობა საოცრად ეხატებოდა მას თვალწინ. იყვნენ მათში ისეთები, რომლებმაც არც თავისი და არც მშობლების სახელი არ იცოდნენ. ერთმა მათგანმა შეკითხვაზე – რას გეძახის მამაშენიო – მიუგო: „აბა, შენ“;

ალბად ბავშვს ეგონა, რომ ეს იყო იმისი სახელი. მოწაფეებში რატტი ამჩნევდა უკიდურესს თავხედობას და ერთმანეთის უნდობლობას. როცა საუბარს ჩამოაგდებდა იმათ ცხოვრებაზე, ოჯახზე – ყველას პირში ენა გაუშეშდებოდა. პირველ დღეებში პატარებს სრულიად არ უნდოდათ კლასში შესვლა, ატუზული იყვნენ სკოლის კარებთან, შიშისაგან კანკალებდნენ, ეგონათ ალბად მასწავლებელი რაღაც საზარელი გველეშაპიაო. უეჭველია სახლში ბავშვებს სკოლითა და მასწავლებლით აშინებდნენ. უეჭველია არც წინა მოადგილეს ჰქონია სასურველი გავლენა, რომ სკოლაში კარგი წესიერება დაემყარებინა.

პირველი უსიამოვნო შთაბეჭდილების მიუხედავად რატტი მაინც მთელი თვისის არსებით მიეცა სკოლას და ცდილობდა მომეტებულად თავისი მოწაფეების ზნეობრივად აღზრდას. ამასთან ის ხელმძღვანელობდა არა რაიმე წინდაწინ უკვე მოფიქრებული პრინციპებით, არამედ მარტივად, თავისი ბუნების ხმით, სიკეთით და კეთილი სურვილებით. გათავდა იმით, რომ რატტიმ ბავშვების მქისე კანს ქვეშ აღმოაჩინა რაღაც ისეთი სასიყვარულო და სიმპატიური სიმკვირცხლე, რაც, ყოვლის მიუხედავად, საყვარლად ჰხდიდა მათ. ხშირად რატტის მოულოდნელი დაბრკოლება და სიძნელეც წინ ეღობებოდა. მართალია, ზოგჯერ დიდი სიკეთისა და მოთმინების გამოჩენით უღვიძებდა ზოგიერთს ბავშვს კეთილშობილურ მომხიბლავ გრძნობებს, მაგრამ ამას ყოველთვის ვერ ახერხებდა. როგორც არტისტისათვის, აგრეთვე რატტისათვისაც საჭირო იყო ნერვებისა და სულის ზოგიერთი მდგომარეობა. სარწმუნო სიტყვები, რომელსაც რატტი წარმოსთქვამდა ზოგჯერ, ცივს ამოძახილს ჰგვანდნენ და სრულიად არ არყევდნენ მსმენელთა გულისყურს. რატტიმ შენიშნა პირიქით, რომ ამ მდგომარეობაში წარმოთქმული სიტყვები უფრო ავნებს საქმეს მომავალში, როცა მას ამ სიტყვების წარმოსთქმა გულის სიცხოვლით შეეძლო. ზოგჯერ იმასაც ამჩნევდა, თითქოს ვისმე კლასი შეუცვლიაო: ყველა ისე უსიამოვნოდ, ნადირივით გამოიყურებოდა თავიანთ ადგილებიდან, რომ არავითარ კეთილ გავლენას მაშინ ადგილი არ ჰქონდა. ეს ისეთი ფსიქოლოგიური მოვლენა იყო, რომელსაც რატტი ანგარიშს ვერ უწევდა... მაგრამ ყველა ეს იმას სრულიად არ უკარგავდა იმედს. „ბავშვები მას წარმოდგენილი ჰყავდა რაღაც წმინდანებად. იმის ღრმა რწმენა ბავშვობის სისპეტაკისა იყო დაუშრეტელი წყარო, რომ სინაზით და მუდამ ალერსით მოპყრობოდა პატარებს. რატტის ერთს წუთს უნდა წარმოედგინა თვალწინ აუარებელი ბავშვები სიცივით, შიმშილით, ცემისაგან დალურჯებული, მიგდე-

ბული და შეურაცხყოფილი, წარმოედგინა ამ სუსტ არსებათა მთელი ოჯახი, რომლისთვისაც ერთადერთს ნუგეშს ცრემლები შეადგენდნენ და ეს ცრემლები იღვრებოდა ადამიანის ყველა ბიწიერების გამო, წარმოედგინა ბავშვებიანი ოჯახი, სადაც ისინი იზრდებიან, თრთიან და კანკალებენ სამარცხვინო და გულშემზარავ პირობებში, როცა ათასი ხელი გადისვრის მათ ქუჩებში, ორმოებში, თავშესაფარ სახლებში და სამარეში. მაშინვე ბავშვები, რომელთაც იგი შესცქეროდა, იმის აზრში და გონებაში უერთდებოდნენ სხვა აუარებელ მასსას, რომელიც წარმოუდგებოდა თვალწინ ადამიანის სისუსტის გამომხატველ სურათად. ეს სურათი იწვევდა მის გულში დაუსრულებელს გულშემატკივრობას და საყოველთაო შენდობის აუარებელს მოთხოვნილებას. მაშინ მას ჩვეულებრივის ალერსით შეეძლო განეგრძო გაკვეთილები."

სკოლის ინსპექტორის პირველმა რევიზიამ რატისათვის მარჯვედ ჩაიარა. მოწაფეების პასუხებიდან სჩანდა, რომ მასწავლებელი გატაცებული იყო საქმით და მას ბევრი რამ კარგი ჩაენერგა სამუდამოდ ბავშვების სულში, მაგრამ ინსპექტორის კლასიდამ გასვლის შემდეგ ბავშვებმა თავისი მონაწილეობა ამ გამარჯვებაში ისეთის ხმაურობით წარმოსთქვეს მასწავლებელთან, რომ არ შეეძლო არ გაეგონა ინსპექტორსაც.

ინსპექტორმა შემდეგი რჩევა მისცა მასწავლებელს: „მეც ერთს დროში ისე მიყვარდა და ვაღმერთებდი ბავშვებს, როგორც თქვენ. ეს ძალათა საწინდარია, წყარო უმაღლესის სიამოვნებისა. ეს პირველი სათნოებაა ყველა დიდებული აღმზრდელისა. მაგრამ ეს გრძნობა მასწავლებელმა პირდაპირ არ უნდა დაანახვოს მოწაფეს. მოწაფე მხოლოდ უნდა მიხვდეს იმას, ის უნდა დარწმუნებული იყოს, რომ მისთვის საჭიროა ჯერ მოიპოვოს სიყვარული, ვიდრე სარგებლობდეს იმით; თქვენ თუ დაუთმეთ ბავშვს, იმას ეგონება, რომ ამის უფლება აქვს და რომ ხელიდან არ გაუშვას ეს უფლება შფოთს ასტეხს. იცოდეთ: ბავშვი, რომელსაც შეწყნარებით ეპყრობიან, არასდროს არ იტყვის: „მე ასე იმიტომ მეპყრობიან, რომ უკეთესი გავხდეო". პირიქით, ის ფიქრობს: „ასე მექცევიან იმიტომ, რომ ასე უნდა მოიქცნენ". ამ შემთხვევაში ბავშვი არავითარს მადლობას არა ჰგრძნობს. ბავშვი ამბობს თავისთვის: „მასწავლებელი თუ მემუქრება დასჯით და არა მსჯის, ეს იმიტომ რომ მე არ ვარ ღირსი სასჯელისაო, თუ მთხოვს გავაკეთო რამე იმის მაგიერ, რომ მიბრძანოს, ეს იმიტომ, რომ ბრძანების უფლება არ აქვსო", ამიტომ ნუ დაემუქრებით, და-

საჯეთ, ნუ სთხოვთ, უბრძანეთ, შემდეგ, შერჩეულს დროს გამოიჩინეთ სიყვარული, რომელიც ყველაფერს გაასწორებს, აჯილდოვებს, ამშვიდებს და ბრწყინვალედ ხდის, როგორც მზის შუქი წყვდიადში. მერწმუნეთ, რომ მეც ისე დავიწყე თავდაპირველად, როგორც თქვენ, მაგრამ ბოლოს იძულებული გავხდი სისტემა შემეცვალა. თითქო ორად გავიყავი, ჩემში ორი ადამიანი იყო: ერთი შინაგანი – ბავშვების მოყვარული – იტანჯებოლა იმათი მწუხარებით და დამცირებით, სიამოვნებდა მათი სიმკვირცხლით და გულუბრყვილობით, ეალერსებოდა ყველას და შეუნდობდა მათ. მეორე, გარეგანი – მკაცრი, არ მისდევდა ქებას, ხანდახან რამდენადმე სისასტიკესაც იჩენდა, მაგრამ ყოველთვის თანასწორი იყო. სცადეთ ეს მეთოდი. პირველად, უეჭველია, თქვენგან იგი ბევრს ძალას მოითხოვს და რამდენიმე უსიამოვნო წუთებსაც გამოგაცდევინებს, მაგრამ როდესაც თავის თავს დასძლევთ, დაინახავთ, რომ არა თუ დაგიკარგავთ რამე იმ შინაგანი კმაყოფილებიდან, რომელსაც ბავშვებისადმი სიყვარული იძლევა, არამედ მოიპოვებთ კიდევ ახალს კმაყოფილებას – უფრო ნაზს, იმიტომ რომ ის იქნება დაფარული და უფრო ძლიერი. იმას ვერ მოსპობენ უკიდურესი შეწყნარების ცუდი შედეგები“.

როდესაც რატტი გადაიყვანეს სხვა ადგილზე, ახალს სკოლაში იგი ცდილობდა ინსპექტორის რჩევას დასდგომოდა, მაგრამ ეს მეთოდი ექსპანსიური ბუნებისათვის ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენდა, მისი გამოყენება უფრო ძნელდება მაშინ, როცა თავს იჩენს პირველი ნაყოფი, როცა ბავშვები წესიერებას შეეჩვევიან და მით უფრო საყვარელნი ჰხდებიან. რატტის არაერთხელ მოუხდა ძალა დაეტანებინა თავისი ნებისათვის რომ არ გამოემჟღავნებია, არ გამოეაშკარავებინა თავისი გულკეთილობა. დიდს სიძნელეს შეადგენდა მისთვის შეეჩერებინა ხელი მტირალი ბავშვის წინ, არ მიალერსებოდა მას, ან მიეცა ხმისთვის ბრძანებითი კილო, რაც არ შეესაბამებოდა მისს ბუნებას. ზოგჯერ თავს ღალატობდა და გული მოსდიოდა თავის თავზე. გული ეუბნებოდა – მისი მეთოდი მკაცრია და დააკარგვინებს საუკეთესო მოწაფეებში სიყვარულს, გულით მიდრეკილებას, მაგრამ გონება ძალას ატანდა ევლო იმ გზით, რომელიც უჩვენებდა მოწაფეთა გულის მონადირებას. მათში თავისი თავისადმი პატივისცემის აღძვრით ვიდრე დაეკარგა ყველაფერი მათი თავგასულობით. გული მაინც თავისას არ იშლიდა და გონებას ეკამათებოდა: თუ წარმატება არ იყო პირველ სკოლაში, ეს იმიტომ კი არა, რომ გამოაშკარავებული იყო ძლიერ ბევრი გულკეთილობა ბავშვებთან, არამედ იმიტომ რომ იგი

გამოაშკარავებული იყო არა საკმარისად, – ასე ფიქრობდა რატტი.

რამდენიმე ხნის შემდეგ სკოლაში მივიდა წინანდელი ინსპექტორი. „აბა, რა, – იკითხა მან, როგორ მიდის საქმე ახალი მეთოდით? კარგად? მე დარწმუნებული ვიყავი.

– გული რას გეუბნება? გული ისევ ურჩობს. უკმაყოფილოა.

– ძლიერ კარგი. გული რომ არ გეურჩებოდეს ეს იმის ნიშანი იქნებოდა, რომ თქვენ ბავშვების სიყვარული გულიდან ამოგეღოს. გავიდა წელიწადი. ეხლა, ძველი ინსპექტორის ნაცვლად სკოლაში მივიდა ახალი რევიზორი, რომელიც მშრალი მანერებით, მკვახე სიტყვა-პასუხით ბევრად განირჩეოდა პირველისაგან.

– თქვენ კითხვა-პასუხის მეთოდს მისდევთ?

– დიაღ და კმაყოფილიც ვარ.

რევიზორმა თავი გაიქნია. იგი სრული მოწინააღმდეგე იყო ამ მეთოდისა, რადგანაც, იმის აზრით, ეს მეთოდი ბავშვებს ყბედობას აჩვევს. ეს დაკარგული დროა. მასწავლებელმა თვითონ უნდა მისცეს გაკვეთილი და არა მთელმა კლასმა იმასთან ერთად კითხვა-პასუხის ფორმით, რომელიც მოაგონებს მას ხმის ამოძახილთან ლაპარაკს. მასწავლებელი უნდა ლაპარაკობდეს მარტო და იმისი სიტყვებიდან უნდა სწავლობდენ მოწაფეები. სახელმძღვანელოები, ხელნაწერები – ყველა ესენი უნდა მოისპოს.

– უეჭველია, თქვენ ბავშვების ხასიათის შესწავლასაც ცდილობთ. მოქმედებთ ბავშვის გულზე? – ჰკითხავს რევიზორი. – ეს სრულიად უადგილოა. მასწავლებელი მამა არ არის, არც დედაა, არც სულიერი მოძღვარი. იგი ჭკუის მჭედელია და არა სულის, ხასიათის. ადამიანის გასავითარებლად საჭიროა ცხოვრება თავისი ვნებით და ბრძანებითი მოთხოვნილებით. არაფერი ამის მსგავსი სკოლაში არ არის“.

ყველა ამან ძლიერ იმოქმედა რატტიზე და გაუგრილა გული. პირობის ძალით, რომელიც შემოღებულია იტალიაში სახალხო მასწავლებლების სამსახურის შესახებ, სადაც მასწავლებელს ორი წლის ვადით დაიქირავებენ, რატტი გადადის ისევ ახალს ადგილზე, ალტარანში. სკოლის მოწყობილობა აქ უფრო უარესი იყო, ვიდრე გარასკოში. სწავლის დაწყების დროს სკოლაში გამოცხადდება 53 მოწაფე 74 მაგიერ. რატტიმ გადასწყვიტა ჩამოეარა ოჯახები და შთაეგონებია მშობლებისათვის ეტარებინათ ბავშვები სკოლაში, მაგრამ მისი ილუზია უცებ გაჰქრა. ყველგან ცუდად მიიღეს. ზოგმა პირდაპირ განაცხადა, რომ არ გაგზავნიან ბავშვებს სკოლაში, რადგანაც ისინი სახლშია საჭირო. ზოგი სკოლის სიშორეს ასახელებდა მიზეზად, ზო-

გიც ბავშვის ავადმყოფობას იგონებდა, თუმცა-ღა ის თავისუფლად დარბოდა მთებში სხვა ბავშვებთან ერთად და სხვ.

ალტარანში რატტიმ გაიცნო ახალგაზდა მასწავლებელი ქალი ფაუსტინა გალლი, რომელსაც ძლიერ უყვარდა ბავშვები. იგი ხშირად უზიარებდა რატტის თავისს მწუხარებას, რასაც გრძნობდა ის ერთი მოწაფე ქალის ცუდი ყოფა-ქცევით. ის ამბობდა: „რაკი 7-8 კარგი მოწაფე ქალი მყავს, ჩემთვის ესეც საკმარისია. ერთი ბავშვის კეთილი მოძრაობა დამავიწყებს სხვა ათის გაუგონრობას. მე ბავშვები მიყვარს. ეს ერთადერთი გრძნობაა, რომელიც მამის სიყვარულთან ერთად დამრჩენია ოჯახურ სიმწუხარისა და უბედურების შემდეგ. რამდენადაც მეტს ვხედავ თავმოყვარე დედებს და ულმობელ მამებს, მით უფრო აღმენთება გულში ბავშვების სიყვარული, როცა მოვიგონებ თუ რა გადახდენიათ მათ თავს, რა გადახდებათ კიდევ და რამდენი მათგანი გაუბედურდება მშობლების წყალობით. პატარები ჩემთვის მთელი პოეზიაა. ისინი რომ გაჰქრნენ, მგონია, ყველა ადამიანები მხეცებად გადიქცეოდნენ. მე ის მაშფოთებს და მაღელვებს, რომ მილიონი დიდების წყალობით არიან მილიონი პატარები მშიერ-ტიტველნი. მე მგონია, რომ უგულო დედაზე უსასტიკესი არა არის რა. როცა ვხედავ, რომ ბავშვებსა სცემენ, მე თვითონ ავად ვხდები. დაუფიქრდით მხოლოდ მას, რომ სცემენ სრულიად უსუსურს ბავშვებს. როცა ბავშვები ავად ხდებიან, ექიმსაც არ ეძახიან, ჰკლავენ საქონელსავით. რა საზიზღრობაა... ყალბი ფულის მჭრელებს სჯიან, მართალია? რატომ არ სჯიან ისეთს მშობლებს, რომლებიც საზოგადოებაში გარყვნილ ბავშვებს უშვებენ? არის ოჯახი, მე თვითონ მინახავს, რომელიც ავაზაკთა ბრბოს წარმოადგენს. ბავშვები სრულიად უგულონი და ჯავრის ამომყრელნი არიან. ხშირად მეჯავრება ხალხი, მაგრამ როცა დავინახავ, რომ გლეხი თავისი მწვირიანი ხელით აიყვანს ბავშვს და მიეალერსება მას, მე მთელი დღე დამშვიდებული ვარ. ამ დღეს საკმაო სიმხიარულე შემიპყრობს, მაგრამ რამდენი ბოროტებაა! არიან მშობლები, რომელთაც ეზიზღებათ შვილები იმიტომ, რომ ლამაზად არ არიან. მე მყვანდა კლასში ორი პატარა და; ერთი მოდიოდა სკოლაში მოკაზმული, როგორც სეფე წული. ჯიბეები კანფეტებით ჰქონდა გატენილი, მეორე კი თვალცრემლიანი, დაგლახაკავებული, ცემისაგან დადაღული. იმათი მშობლები შეძლებულები იყვნენ და პატივიც ჰქონდათ მთელს ოლქში. მე ვერ მოვითმინე ეს. მთელი აურზაური ავტეხე... დამითხოვეს კიდეც სამსახურიდან, მაგრამ არაფერს ამის მსგავს მოვლენას ალტარანში მე მაინც თავს არ გავუყადრებ“.

რატტი მოხიბლული იყო ახალგაზდა მასწავლებელი ქალით. მან წრფელის გულით შეიყვარა ეს ქალი და წინადადება მისცა ცოლად გაჰყოლოდა, მაგრამ უარი მიიღო იმ მიზეზის გამო, რომ დიდი მოვალეობა აწევს კისერზე თავისი სნეული მამისა, რომელიც ითხოვდა მისგან მზრუნველობასა.

ამ პიროვნულმა დაბრკოლებამ მთლად დაუბნია დავთარი რატტის. მიატოვა სკოლა, მაგრამ თავგამოდებით უბრუნდება ისევ თავის საქმეს იმ იმედით, რომ მოიპოვოს ნუგეში და სიმშვიდე. სამწუხაროდ გვიან იყო. „სკოლა აჯილდოვებს მხოლოდ იმათ, ვინც გულდადებით ემსახურება მას, მაგრამ სასტიკად სჯის იმას, ვინც სტოვებს და არ უყვარს იგი“. რატტის სკოლა ჯერ მისივე და შემდეგ მთავრობის მოხელეების წყალობით მთელს უწესობას წარმოადგენდა. სინდიკმა შეიძულა რატტი და მიჰმართა ისეთს უღირს ზომებს, რომლითაც უნდოდა რატტის სკოლიდამ გაძევება. ბავშვებმა იცოდნენ, რომ მასწავლებელს დათხოვნას უპირებენო და ამიტომ უფრო მეტს უზრდელობას იჩენდნენ. როდესაც, მაგალითად, რატტი ეტყოდა ბავშვებს – „მომავალ წელში ამას-და-ამას გავაკეთებთო“, ისინი ერთმანეთს მუჯლუგუნს წაჰკრავდნენ და სიცილს მოჰყვებოდნენ, რასაც მასწავლებელი მოთმინებიდან გამოჰყავდა. სკოლაში იყო ერთი ყველაზე უფრო ცელქი ბავშვი – მიკიტნის შვილი. როცა მასწავლებელი დაიწყებდა ლაპარაკს, ეს ბავშვი ისე აამოძრავებდა თავისს კანს, რომ თმები ძირს დაეშვებოდა, თითქოს პარიკი აქვს თავზეო. ეს მოძრაობა ბავშვებში დაუსრულებელ სიცილს იწვევდა. რატტის არ შეეძლო ამ ბავშვის დასჯა, რადგანაც ეგონა, რომ ეს ბუნებრივი ნაკლულევანება, რომელიც ბავშვს თანდაყოლილი აქვსო. ერთხელ მოთმინებიდან გამოსულმა რატტიმ ბავშვი კლასიდან გარეთ გამოაგდო; მეორე დღეს ეს ბავშვი ისევ მივიდა სკოლაში და მამაც თან მიიყვანა. ამას უსიამოვნო სცენა მოჰყვა. ბოლოს მასწავლებელი იძულებული გახდა დაეთმო ბავშვისთვის და ხელახლად მიეღო იგი სკოლაში. ამან მთლად დაუკარგა ავტორიტეტი მასწავლებელს. „მაშინ იგი შეეცადა ავტორიტეტი ძალდატანებით დაებრუნებინა. მან დაიწყო ხელის გაქნევიდან, თითქოს შემოკვრას უპირებსო და მართლაც ბოლოს ხელი მიჰყო ბავშვების ცემასაც. ჯერ ძლიერ იტანჯებოდა ამის გამო, მაგრამ ბოლოს მიეჩვია კიდეც. ამნაირმა გამასწორებელი მეთოდის შედეგმა მალე იჩინა თავი. მთელი ძალა მასწავლებლის ხელში იყო. იმის ერთს გადახედვას და სიტყვებს დაეკარგა სრული მნიშვნელობა. როცა რატტი რასმე უსაყვედურებდა მოწაფეებს, ისინი მასწავლებლის ხელს შეს-

ცქეროდნენ – თუ ის აუწეველი დარჩებოდა, ბავშვები თავისუფლად განაგრძობდნენ სიცილს და თავნებობას. რატტი ხედავდა, რომ ბავშვებს ხასიათი უფუჭდებოდათ, ჰკარგავდნენ ყოველს ღირსებას და დასჯილი ბავშვების შემოხედვა ცხადად ეუბნებოდა მას, რომ ერთადერთი მკვიდრი გრძნობა, რომელსაც ცემა გამოიწვევდა, ეს იყო სიძულვილი და სამაგიეროს გადახდის სურვილი.

ბოლოს რატტი იქამდინაც მივიდა, რომ თვითონვე შეიზიზღა ბავშვები. როდესაც სვინდისი ჰქეჯნიდა, მასწავლებელი ცდილობდა დაბრუნებოდა ძველს გზას, შეეცვალა მეთოდი; ხედავდა, რომ ბავშვები მაშინვე მხიარულ სახეს იჩენდნენ, როგორც მშიშარა მტრის წინაშე, რომელსაც თავისი იარაღი ძირს დაეწყო და ეს გარემოება უფრო მეტს სიბრაზეს ჰგვრიდა მას. ამნაირად მიდიოდა რატტი ისევ იმ დამღუპავი გზით, რომელზედაც ფეხი შესდგა. იგი უბედური იყო. მისი წამება ყოველდღე მატულობდა, რადგან თვითონ სკოლა მისთვის ეხლა ნამდვილ ულმობელ ტანჯვას შეადგენდა.

რაკი დაინახა, რომ ყველაფერი ხელიდან ეცლება, რატტიმ მიჰყო ხელი ლოთობას. იგი თანდათან ფიცხდებოდა და ეშვებოდა ძირს. გააფთრებული რატტი წაეჩხუბება მიკიტანს, რომელიც დადიოდა სკოლაში, როგორც „სურინტენდანტის“ მოვალეობის დროებით აღმასრულებელი. საქმის გამოსარკვევად რატტი მიიწვია სკოლების დირექტორმა, რომელიც აღმოჩნდა მისი ყოფილი მასწავლებელი ინსტიტუტში – მეგარი. ეს ისეთი კაცი იყო, რომელსაც დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი მოწაფეთა შორის. რატტისთვის მეგარის უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც რატტის დედამ სიკვდილის წინ წერილით თავისი შვილი მეგარის ჩააბარა. ეს წერილი მეგარიმ ჩაუდო რატტის იმ წიგნში, რომელიც მან მიიღო საჩუქრად ინსტიტუტში კურსდასრულების შემდეგ. რატტიმ არ იცოდა ვინ იყო სკოლების დირექტორად. როცა თავის გასამართლებლად მიდიოდა მასთან, რომ უფრო მეტი გამბედაობა გამოეჩინა, გზაზე კარგად გადაჰკრა და მთვრალი გამოცხადდა. მეგარის დანახვაზე რატტი მთლად დაიბნა, დაიწყო გრძლად და არეულად უსიამოვნო ამბავის შესახებ ლაპარაკი, მაგრამ ბოლოს შეჩერდა დაუსრულებელ ფრაზაზე, შერცხვა, თავი ძირს ჩაქინდრა და იატაკს მიაჩერდა.

დირექტორი მიუახლოვდა და რამდენიმე წუთის სიჩუმის შემდეგ ნაღვლიანის ხმით უთხრა: –რატტი! სანამდის მივედით ჩვენ? როგორ იქცეოდი ამ დროის განმავლობაში? როგორს საზოგადოებაში ატარებდი ცხოვრებას? როგორ მოხდა ასეთი ცვლილება თქვენში?

დედაც რომ ადგომოდა საფლავიდან და საყვედურით მიემართნა შვილისთვის, იმისი ხმა ისე ღრმად არ ჩასწვდებოდა გულში, როგორც ამან გააცოცხლა რატტის გულში ყველა ის ტკბილი მოგონებანი, რაც ერთს დროს ძვირფასი იყო მისთვის და ეხლა კი დაკარგულად მიაჩნდა: ცოდნის სიყვარული, აღფრთოვანება, რომლითაც იგი ჰკიდებდა ხელს ყოველს საქმეს, ადამიანური ღირსების გრძნობა... სიტყვასაც ვერ პოულობდა საპასუხოდ.

– წადი, – უთხრა მეგარიმ, და მობრუნდი როცა გონებაზე მოხვალ. ეხლა არ შეგიძლიან ყური დამიგდო.

– ყმაწვილი, თითქოს ცულის ყუა დაჰკრეს თავშიო, თავჩაქინდრული გამობრუნდა კარებისაკენ. როცა გარეთ გამოდიოდა, გადახედა თავისს ყოფილს მასწავლებელს. ამ შეხედვაში ისეთი ტანჯვა იხატებოდა, რომ აღელვებულმა მეგარიმ ხელის დაქნევით შეაჩერა.

– როგორ გადაწყვიტე ამ სახით მოსულიყავით ჩემთან? – ჰკითხა მან. – ჩემს თვალებს არ ვუჯერებდი, როცა თქვენ დაგინახეთ. მე ვიცნობდი ინსტიტუტში პატიოსანს, მშვენიერს ყმაწვილს, ერთს იშვიათს ადამიანს, რომელიც მეგონა კეთილშობილურად შეასრულებდა პირველდაწყებითი მასწავლებელის საქმეს. მე იგი მიყვარდა, მინდოდა კიდევ მენახა იგი, მაგრამ თქვენ ის კაცი არა ხართ. რა ხანია რაც სწავლას თავი მიანებე? ამ სახით ეჩვენებით მოწაფეებსაც? მითხარ მაინც სანამ წახვიდოდე, რომ დიდი ხანი არ არის რაც სიკეთის გზა მიატოვე და ეს სხვა არ არის რა თუ არ გარდამავალი ხანა თქვენს ცხოვრებაში.

ყველა ეს სიტყვები არღვევდა მძიმე ფარდას, რომელიც ახალგაზდა მასწავლებლის სულს გადაფარებოდა. იმას უნდოდა პასუხი მიეცა, მაგრამ სირცხვილი და მღელვარება უდუნებდა ენას.

დირექტორი მიუახლოვდა და უთხრა:

– სურინტენდატთან საქმე უბრალოა. მაგას მე მოვახერხებ, მაგრამ რაც ნამდვილად სერიოზულია ისაა, რომ ამის შემდეგ თქვენ მასწავლებელი არა ხართ. თქვენი გონება ისეთი არ არის, რაც წინად იყო. თქვენი ცხოვრება არეულია და თქვენი სკოლაც დაცემული უნდა იყოს იმიტომ, რომ თქვენ იგი არ გიყვართ ამის შემდეგ. ეს მე უთქვენოდაც ვიცი. ამისთანა პასუხი მიეცით თქვენი დედის უკანასკნელ ანდერძს? რა უყავით მისი წერილი? დაჰკარგეთ?

– არა, ის მუდამ თანა მაქვს! – წამოიძახა რატტიმ და თვალები ცრემლებით აევსო. ოჰ, მაპატიეთ, რომ ამ სახით მოველი თქვენთან. ნუ გაიფიქრებთ ჩემზე ბევრს ცუდს. წაიკითხეთ ინსპექტორების ანგა-

რიშები: იქიდან დაინახავთ, რომ მე ამ ხუთი წლის განმავლობაში თავის მოვალეობას ვასრულებდი. მე ცოდნას ვეძებდი, მაგრამ დამიწყეს დევნა. მე შემხვდა საკუთარი მწუხარება, მინდოდა თავი დავიწყებას მიმეცა. ეს იქნება ორი თუ სამი თვე. მაგრამ კიდევ შემიძლიან გზას დავადგე. დაუკვირდით ჩვენს ცხოვრებას ზოგიერთს სოფელში. ჩვენ თუ შურისძიებით გვდევნიან, არავინ არის ქომაგობა გაგვიწიოს, რჩევა მოგვცეს. ჩვენს წინააღმდეგ ბავშვებს ალაშქრებენ, სიცოცხლეს გვიშხამავენ. ჩვენთვის არც გართობაა, არც ბიბლიოთეკები, არც არაფერი და აი, ძირს ეშვები. მაგრამ მოგახსენებთ: სინიდისი წმინდა მაქვს. მე შემიძლიან ყველას პირდაპირ შევხედო. ბოლოს თქვენ გნახეთ, ესეც საკმარისია ჩემთვის. თუ მაპატიებთ, ისეთივე გავხდები, რაც წინად ვიყავი. დედაჩემი მეტს ვერაფერს მოგწერთ თქვენ. მაგრამ მე შემიძლიან, რომ არ შევურაცხვყო მისი ხსოვნა. გთხოვთ თქვენ შენდობას და პატიებას. უცებ მოისვა ხელი შუბლზე და თვალებზე, თითქოს უნდა მოიშოროს ცუდი წარსულის ნიშნებიო და დაუმატა:

– მადლობა ღმერთს... ყველაფერი აღსრულდა ...

დირექტორმა ერთს წუთს შეხედა მას, გაუწოდა ორივე ხელი და უთხრა:

– მე მჯერა თქვენი და დარწმუნებულიც ვარ. თქვენ მპირდებით დაუბრუნდებით იმ აზრებს, რომლითაც აღჭურვილნი იყავით ინსტიტუტიდან გამოსვლის დროს, მართალია არა? თქვენ უბრუნდებით ისევ ძველ გზას, ხელახლად შეიყვარებთ ბავშვებს, შეიქნებით კვლავ ამაყი თავისი მოწოდებით, თამამად აიტანთ დევნას, შეიქნებით ნამდვილი ღირსებით აღსავსე. კვლავ შეუდგებით თვითგანვითარების საქმეს.

– დიახ, – წარმოსთქვა ყმაწვილმა გარდაწყვეტილის ხმით.

– კეთილი, სთქვა მეგარიმ, – მე დავივიწყებ ყველას, რაც მოხდა. ვიფიქრებ თქვენზე წინანდელის სიყვარულით. მე ბევრი მესმის და ბევრსაც გაპატიებ. დაბრუნდით თქვენს სოფელში, ენერგიულად და მოთმინებით შეუდექით საქმეს და მალე დაინახავთ როგორ დაგიბრუნდებათ კვლავ ბედნიერი დღეები. მშვიდობით და გახსოვდეთ დედათქვენი!

– არც თქვენ დამავიწყდებით, ვიდრე ცოცხალი ვარ! – წამოიძახა რატტიმ და ბრწყინვალე სახით გამობრუნდა უკან.

ახალ ადგილზე, კამინში, რატტიმ გადასწყვიტა დაბრუნებოდა ისევ პირველ მეთოდს – ალერსით ემოქმედნა ბავშვებზე.

„ბავშვის ღირსების პატივისცემა, ალერსით გაფრთხილება, რჩევა, მსჯელობა, ცდა ყოველის ღონისძიებით განაღვიძოს ბავშვში სიყვარულის გრძნობა, მტკიცე ხასიათით შეიკავოს თვითონ თავი და არ მიეცეს სასოწარკვეთილებას, – ასეთი იყო იმისი მოქმედების პროგრამა, რომლის შესრულება მისთვის ძნელი არ იყო.

კლასში არ იყო ან არც შეუმჩნევია მას არც ერთი ცუდი ხასიათის ბავშვი, რომელზედაც შეუძლებელი ყოფილიყო ალერსით მოქმედება. წინანდელ მასწავლებლის ხელში დატუქსული ბავშვები განცვიფრებულნი იყვნენ ახალი მასწავლებლის მოპყრობით. როდესაც ხედავდნენ, რომ მასწავლებელი მიუახლოვდებოდა ცელქ ბავშვს, რომელსაც იგი ცემისა და კარში გაგდების მაგიერ მხარზე ხელს დაადებდა, მშვიდად და ალერსიანად დაუწყებდა ლაპარაკს, ბავშვები ერთმანეთს ღიმილით გადახედავდნენ და თითქოს თავის გულში ამბობდნენ: – „ეს რა გიჟი ვინმეაო?“ ასეთმა მოპყრობამ წრეს განაშორეს ბავშვები. მშვიდად მოპყრობამ ეჭვი დაჰბადა მოწაფეებში მასწავლებლის ხასიათის სიმტკიცის შესახებ, რომელიც თავს იჩენს, როცა გადამეტებულ ალერსს ბოროტად ხმარობენ, მაგრამ მასწავლებლის მწუხარე სახის გამომეტყველება, როცა ბავშვი ცუდად იქცეოდა, უფრო მეტს პატივისცემას აღძრავდა მათში, ვიდრე სისასტიკე, თუმცა-ღა ბევრისათვის, თუ რა გრძნობა იხატებოდა მასწავლებლის მწუხარე სახეზე, გაუგებარი იყო. მასწავლებელი, კმაყოფილი იმისი, რომ თავისი პროგრამის შესრულებაში ბევრს დაბრკოლებას არ ხედავდა, სიამოვნებით, აღტაცებით და ცოცხლად ესაუბრებოდა ბავშვებს, ხშირად პოულობდა ისეთს საბუთებს და სახეებს, რომელნიც აღელვებდნენ და არწმუნებდნენ მოწაფეებს. რამდენიმე დღის შემდეგ ათობით მოწაფეები თავისი სიმპატიური გულისყურით და ყოფაქცევით საუკეთესოდ ამტკიცებდნენ ამ მეთოდის კარგს გავლენას... მართალია, ბევრნი ჯერ კიდევ ქვასავით იყვნენ, ერთმანეთს მუჯლუგუნს წაჰკრავდნენ, თითქოს წასჩურჩულებდნენ ერთმანეთს: დარიგებას გვიკითხავსო, მაგრამ ეს იყო გარდამავალი მანიფესტაცია, რომელიც კლასში სიმშვიდეს არ არღვევდა.

რატტის ამხანაგ მასწავლებლებსა და სკოლის გამგებელთ შორის ჩამოვარდება უსიამოვნება, ეხებიან ერთურთის თავმოყვარეობას, მაგრამ რატტი ამას ყურადღებას არ აქცევს. ის მთლად გაება თავისს საქმეში. იგი სავსებით ეკუთვნოდა სკოლას. იგივე გატაცებული იყო საკუთარის მუშაობით. არასდროს მას ისე არ უგრძვნია სულით ერთობა თავისს საყვარელ პედაგოგთან, დიდებულ შვეიცა-

რიელ მასწავლებელ პესტალოცისთან, როგორც ეხლა. ის გრძნობდა, მთელი თავისი სულის ძლიერებით შეგნებული ჰქონდა მას, რომ ყველაზე უფრო წმიდა და დიდებული საქმე, რაც კი არსებობს ქვეყნად, ეს არის ბავშვის გულის ავსება წმინდა და კეთილშობილური აზრებით. ხშირად რატტისაც ემართებოდა ის, რაც ემართება ყველა ნამდვილს მასწავლებელს – აღელვება, ციებშეყრილივით კანკალი გაკვეთილების დასაწყისში. ღრმად დარწმუნებული, რომ სკოლის წესიერება და მასწავლებლის მიერ მომზადება გაკვეთილებზე ერთმანეთზეა დამოკიდებული. იგი ყოველდღე ბეჯითად ემზადებოდა გაკვეთილებისათვის. ლაპარაკობდა კლასში მკაფიოდ, მოკლედ და მხურვალედ, უნებლიედ აღძრავდა, აამუშავებდა ბავშვის გულისყურს და გაკვეთილის შემდეგ კმაყოფილი გამოდიოდა კლასიდან. რატტიმ იცოდა, რომ ბევრი ოჯახი არ ემადლიერებოდა მას ბავშვებთან შებრალებით მოპყრობის გამო. უჩიოდნენ, რომ მათი შვილები დაუდეგარი, ცელქები არიან და სკოლაში კი არ სჯიანო. მაგრამ რატტი თავს ინუგეშებდა იმ აზრით, რომ ამასვე განიცდიდა დიდებული პესტალოციც. რატტიმ იცოდა, რომ მისი მეთოდი სრულიად არ მოსწონდა სინდიკსაც. უკანასკნელმა დაინახა ერთხელ რომ რატტიმ ხელი ჩამოართვა ერთს ცუდს მოწაფეს და ალერსით დაუწყო ლაპარაკი. სინდიკი მიუბრუნდა მასწავლებელს და უთხრა: „ამასაც ეალერსებით?“ – „აიღეთ დიდი კეტი და მერწმუნეთ, უკეთესი წარმატება გექნებათო“. მაგრამ რატტი იმდენად დარწმუნებული იყო სიკეთით გავლენის ძლიერებაში, რომ ეს შენიშვნა ვერავითარ ცვლილებას ვერ შეიტანდა მის რწმენაში. რატტი ხშირად დადიოდა ავადმყოფ ბავშვებთან, მშობლებს დარიგებას აძლევდა, თუმცაღა ბევრი არაკეთილი თვალით შეჰყურებდა მას. განსაკუთრებულ მზრუნველობას რატტი უწევდა თავისი მეცადინეობით სწავლაში ჩამორჩენილ ბავშვებს. ადგილის სიმშვენიერე, შეუდარებელი ფირუზივით მწვანე ცა, თეთრი გვირგვინით მორთული ალპების მწვერვალები, მწვანე მდელოთა შორის ვერცხლისფრად მოჩხრიალე ნაკადულები, მომხიბვლელი გაზაფხულის კეთილ სურნელოვანება – ყველა ეს უკარნახებდა მას სიცოცხლეს და ძალას. რატტი ხშირად ეუბნებოდა თავის თავს, რომ მას ჯერ კიდევ საქმე აქვს ამქვეყნად, შეუძლიან კიდევ რამედ გახდეს. ჩვეულებრივის სიცხოველით მოჰკიდა მან ხელი მეცადინეობას. ეხლა უსაქმოდ საღამოებს არ ატარებდა. ოთახში ჩაკეტილი კითხულობდა თავისს რვეულებს, წიგნებს, სწავლობდა ფრანგულ ენას და სხვ.

მეზობელ მემამულისაგან რატტიმ შეიძინა სურათებიანი ალბომი, რომელიც წარმოადგენდა 1848-1849 წლის ეროვნულ ბრძოლისათვის თავგამოდებისა და გმირობის აქტებს. ყოველ კვირაში მოჰქონდა სკოლაში თითო ამისთანა სურათი და სიამოვნებით ატყობდა, რომ საუბარი ამ საკვირველ გმირობის შესახებ, სიცოცხლით და ძალით სავსე სურათთან ერთად, დიდს შთაბეჭდილებას ახდენდა ბავშვების სულზე. შენიშნა აგრეთვე, რომ გაკვეთილებზე დასწრების აკრძალვა, როცა ის ახალს სურათს უჩვენებდა, შეადგენდა ბავშვებისათვის ნამდვილს დასჯას იმიტომ, რომ დასჯილი ბავშვები არაერთხელ მიდიოდნენ რატტისთან და მორჩილებით თხოულობდნენ ნება მიეცათ მათთვის გაკვეთილებს დასწრებოდნენ, რომ მათაც ამხანაგებთან ერთად შეძლებოდათ თხზულების დაწერა იმის შესახებ, რასაც მასწავლებელი აუხსნიდა მოწაფეებს. გაკვეთილების შემდეგ იმას ბედნიერად მიაჩნდა თავისი თავი და სიამოვნებით ამბობდა თავის გულში, რომ საქმე კარგად მიდისო.

მაგრამ ამისთანა უშფოთველი ბედნიერებაც ხანგრძლივი არ იყო. რატტის წინააღმდეგ გამოილაშქრა ადგილობრივმა კაცთმოსისხლე დელეგატმა, რომელსაც არ ესმოდა არავითარი სისპეტაკე. იგი იყო გულღვარძლიანი პატარა სოფლელი იეზუიტი, როგორც ახასიათებს მას დე-ამიჩისი.

მასწავლებელი გრძნობდა, რომ რაღაც ქარიშხალი ტრიალებდა მის გარშემო, მაგრამ ვერ წარმოედგინა თუ რა მიზეზს იპოვიდნენ მისდა საწინააღმდეგოდ. „მისს კეთილ მიდრეკილებით მოპყრობას სკოლაში? მაგრამ საკლასო წესიერება უკეთესი არ შეიძლებოდა. სწავლის ცუდს შედეგებს? შეუძლებელი იყო. იგი დარწმუნებული იყო თავისს სიმართლეში, მაგრამ ამავე დროს რაღაც ცუდი ნიშნები შეუმჩნეველი არ რჩებოდა.

ერთხელ, როდესაც რატტიმ დასტოვა სკოლაში ყმაწვილი დასასჯელად, შენიშნა, რომ დელეგატი ფანჯარაში იყურებოდა. მეორეჯერ შენიშნა, რომ სინდიკი ვიღაცას უდარაჯებდა სკოლასთან. უფრო საზარელი ის იყო, რომ მოწაფეთა შორისაც რაღაც არასასურველმა მოვლენამ იჩინა თავი. ყოველ შეხვედრის დროს მცხოვრებლები რაღაც ეჭვით უცქეროდნენ, თითქოს ეხლა რაღაც წუნს ამჩნევდნენ მას, რასაც წინად ვერ ხედავდნენ.

დაღონებულმა რატტიმ ექიმს მიმართა. ექიმი ყმაწვილი კაცი იყო, რომელთანაც მას კარგი განწყობილება ჰქონდა. რატტის შეკითხვაზე ექიმი გაწითლდა. სჩანდა, რომ ძლიერ აღშფოთებული იყო. ბოლოს უპასუხა:

– არ ვიცი სწორედ. ასე რაღაც საეჭვოა. თქვენ ძლიერ კეთილი ხართ. დამერწმუნეთ, რომ სიყვარულით და სიკეთით ვერას გახდებით გაქსუებულ ხალხთან. მათ ეს თვისება არ ესმით. ეს იმათ ან სისუსტედ ან სხვა რამედ მიაჩნიათ... მოეპყარით ბავშვებს უფრო სასტიკად. მეტი არა უთქვამს რა.

სიკეთე? სისუსტე? ეს იგივე საყვედურია, რაც არაერთხელ სმენია მას სინდიკისაგან. ცოტა სიტკბოებაო, ამბობდა ის. მაგრამ რატომ არ უნდა სთქვა ეს გულახდილად? რა საჭიროა ეს საიდუმლოება? რად აიცრუეს გული ბავშვებმა და მტრულად შესცქერიან მას? უეჭველია სხვაც რამე იყო.

მეორე დღეს, როდესაც რატტიმ მიუალერსა ერთს დამფრთხალ ბავშვს, ბავშვებმა რაღაც საძაგელი სიცილი ასტეხეს. „მასწავლებელმა შენიშნა თუ როგორ გაუცივდა მას გული და პირისახეზედაც შეიცვალა“. „რად იცინით?“– ჰკითხა მან. სიჩუმეა. „აბა, მითხარი შენ“, – მიუბრუნდა ერთს მოზრდილ მოწაფეს. „რაზედ გაიცინე? რას ფიქრობდი? რას გეუბნებოდნენ?“

რატტი საშინლად გაფითრდა. მოწაფე შეშინებული ეგონა, მაგრამ ხმას არ იღებდა. ერთს წუთს შეჩერდა და შემდეგ უთხრა მოწაფეებს:

– გაკვეთილი გათავდა, წადით! ყველანი გამოვიდნენ. რატტიმ აიღო ქუდი და მიიჭრა კანცელარიაში სინდიკთან, რომელიც მაგიდასთან თავჩაქინდრული იჯდა და რაღაცას სწერდა. გვერდში დელეგატი ედგა ქაღალდებით იღლიაში ამოჩრილი. მან თავისი ყვითელი თვალებით გადახედა მასწავლებელს და დიდხანს არ მოუშორებია თვალები მისთვის. სინდიკმა თავი ზევით ასწია. რატტიმ დაილაპარაკა პირველად აღელვებულის ხმით:

– მე მოვედი, ბ-ნო სინდიკო, თქვენთან, რომ ამიხსნათ... უეჭველია, თქვენ გამაგებინებთ. ხდება რაღაც, რაც მე არ მესმის. ყველაფერი შეიცვალა ჩემს გარშემო. მე ვასრულებ ჩემს მოვალეობას როგორც მესმის, როგორც სვინიდისი მამხილებს, მაგრამ ვიღაც ძირიდან ორმოს მითხრის. მოწაფეებს, რომელნიც დღემდის მოწიწებით მიყურებდნენ, ეტყობათ აღელვების ნიშანი. რას მისაყვედურებენ? რა არ შევასრულე? აქ რაღაც გაუგებრობაა, ან ცილისწამება და მე უფლება მაქვს ვიცოდე ეს. ბრძანეთ, ბატონო სინდიკო, მე თქვენ ყურს გიგდებთ.

სინდიკს რაღაც არეულობა დაეტყო, მაგრამ არ შეეძლო პასუხი არ გაეცა. გადაისო ხელი შუბლზე და უპასუხა:

– დიახ, არავითარი ცილის-წამება არა... დამშვიდდით... მხოლოდ არა ერთხელ მითქვამს თქვენთვის, რომ სუსტი ხართ. რაც შემეხება მე, თქვენი საწინააღმდეგო არა მაქვს რა... დიახ, მგონია...

– დიახ, მგონია.. შეუძლებელია რომ სხვა არა იყოს რა,– სთქვა რატტიმ. – მე ვასრულებ ჩემს საქმეს, როგორც სვინიდისი მამხილებს. კლასში ყოველთვის სრული წესიერება იყო. ჩემი გულკეთილობის გამო სრულიად არ დაუკარგავს ბავშვებს ჩემდამი პატივისცემა. აქ რაღაც სხვა რამეა. არის რაღაც ბეზღება, ცილისწამება და გთხოვთ ამიხსნათ ის.

კედელს მიყრდნობილმა სინდიკმა უცებ მიიხედა დელეგატისაკენ, თითქოს ეკითხებაო – ეს თქვენ შეგეხებათ და სთქვითო.

– დიახ, – დაუმატა რატტიმ და შეაცქერდა დელეგატს, – არის ცუდი ადამიანი, რომელიც ჩირქსა მცხებს.

დელეგატი მიუბრუნდა თავის გაყვითლებული სახით რატტის და უთხრა:

– თქვენ ძლიერ ეალერსებით ბავშვებს.

– რა გინდათ ამით სთქვათ,– ჰკითხა ფერწასულმა რატტიმ.

– თქვენ, მგონია გაიგეთ რაც უნდა მეთქვა, – მიუგო მან.

რატტი რამდენიმე წუთს მეხდაცემულივით იდგა. უცებ ელვასებრ სისწრაფით გააქნია თავისი ხელი და ისეთის ძალით სთხლიშა ყბაში სილა თავისს მოწინააღმდეგეს, რომ ამ უკანასკნელის სათვალეები და ქუდი ჰაერში აფრინდა.

– მიიღე, უსირცხვილო მატყუარავ, საძაგელო! – უყვიროდა მას. სინდიკი უნდა მივარდნოდა რატტის, მაგრამ უცებ წააწყდა გონებადაბნეულს დელეგატს და ორნივე იატაკზე გაიშხლართნენ. მასწავლებელი გარედ გამოვიდა. ეგონათ, რომ ამ საქციელის გამო რატტის კატორღაში გაგზავნიდნენ, მაგრამ საქმე რატტისთვის სასარგებლოდ დაბოლოვდა.

სიმართლის განმარტება, საზიზღრობით ათრთოლებული ხმა, რომლითაც რატტი უამბობდა დირექტორს მომხდარ ამბავს, სრულიად საკმარისი იყო, რომ ყველა დარწმუნებულიყო მისს გულწრფელობაში. ის შეურაცხყოფა, რაც მასწავლებელს მიაყენეს, იმდენად ძლიერი იყო, რომ არც გასაკვირველი იქნებოდა თუ საპასუხოდ იგი მიმართავდა რაიმე სასტიკ ზომებს. ინსპექტორი, რომელიც გამოგზავნილი იყო საქმის გამოსაძიებლად, დარწმუნდა მასწავლებლის სიმართლეში და დელეგატი, რომელიც დამტვრეული სათვალეების ანაზღაურებას ფიქრობდა, იძულებული გახდა რამდენიმე ხნით

მოშორებოდა იქაურობას და დამალულიყო, მაგრამ არც მასწავლებლის დატოვება შეიძლებოდა იმ სოფელში, სადაც ეს ამბავი მოხდა და წინადადება მისცეს მას გადასულიყო დროებით მასწავლებლად ერთს პატარა ქალაქში.

თუმცაღა ეს შემთხვევა რატტის სასარგებლოდ დაბოლოვდა, მაგრამ იმას გული მაინც განგმირული ჰქონდა. წყარო იმის სიკეთისა მოშხამულად მიაჩნდა. რაღაც უძლეველი ძალა აჩერებდა, როცა უნდოდა მიალერსებოდა ბავშვს და ხელი მხარზე დაედო მოწაფისათვის. ასეთი გულის აზრი დიდხანს შერჩა მას.

მაგრამ ეს მძიმე მდგომარეობა თანდათან გაჰქრა უფრო მის შემდეგ, როცა ახალს ადგილზე გაიცნო მასწავლებელი დელლი, რომელიც იყო ცოტა სასტიკიც, მაგრამ ბუნებით პედაგოგი. დელლი ჩინებულად წრთვნიდა ცუდი ხასიათის ბავშვებს სკოლაში. შენიშნავდა თუ არა, რომ კლასში გამოერეოდა 5-6 ცუდი თვისების ბავშვი, რომელნიც ერთნაირი ცუდი თვისებით იყვნენ შეპყრობილნი, პირველადვე ასწრობდა და აფრთხილებდა მათ, რომ არ ჩაედინათ ცუდი რამ საქციელი. ეს გაფრთხილება, ნიღაბის ახდა ისეთს შთაგონებას ახდენდა მოწაფეებზე და ამტკიცებდა მასწავლებლის შორსმჭვრეტელობას, რომ თითქმის ყველაზე უფრო თავზე ხელაღებულებიც კი დიდხანს ისხდნენ მშვიდად. რაც შეეხება სკოლაში წესიერების დაცვის მეთოდს, ამ მხრით დელლის აზრი მთლად ეთანხმებოდა გარასკას ძველი ინსპექტორის იდეებს. ის ხშირად სჯიდა გაუფრთხილებლად. იმას უნდოდა განევითარებინა ბავშვებში ის რწმენა, რომ ყველა ცუდს საქციელს სასჯელი მოჰყვება როგორც ხელის დაწვას — ტკივილი. იმის აზრით, მასწავლებელი არასოდეს არ უნდა აღელდეს. ის უნდა მშვიდი და აუღელვებელი იყოს, რომლითაც ბავშვები შეიგნებენ, რომ სკოლა სხვაა, ვიდრე ოჯახი, მასწავლებელიც სულ სხვაა, ვიდრე მამა, რომ სკოლაში თვითონ ბავშვები ხდებიან მოქალაქეებად და ასრულებენ ამა თუ იმ მოვალეობას სახელმწიფოსადმი და ამიტომაც მათ არავითარი უფლება არ აქვთ არც პრივილეგიისა და არც დაყვავებისა. იმისი აზრით, სკოლის ოჯახად გარდაჰქმნა შეცდომაა იმიტომ, რომ იგი შეიქმნება უწესრიგო ოჯახად. მასწავლებელს ხელთ არ აქვს ის ზომები, რასაც მშობლები მიმართავენ ხოლმე ცუდი საქციელის მოსასპობად პატიებით. აი, ამიტომაც იგი მოითხოვდა თავდაპირველად სრულს სიჩუმეს და სიწყნარეს კლასში, რომ მასწავლებლებს გაკვეთილზე ხმა არ უნდა აემაღლებინათ, რაც მასწავლებლის დიდ სისუსტედ მიაჩნდა. ცოტ-ცოტათი ყველა მოწაფეები

ეჩვევოდნენ ჩუმად და წყნარად გამოსვლას და შესვლას კლასში ისე, როგორც ტაძარში. იგი მეტს სიტყვებს არ ხმარობდა არც ქებისა და არც ძაგების დროს. ერთი გადახედვა, ერთი სიტყვა ან ნიშანი საკმარისი იყო მისთვის. ამისთანა მეთოდით ხელმძღვანელობდა მორალის სწავლების დროსაც. იგი ადამიანის მოვალეობას რამდენიმე სიტყვით უხსნიდა, არ მისდევდა გრძელ განმარტებას – რისთვის და რატომ, რადგანაც ეს სრულიად უსარგებლოდ მიაჩნდა ბავშვებისათვის. უფრო მეტიც – ყოველივე კამათი მორალური პრინციპების შესახებ, რომელსაც სვინდისი მოიწონებდა, პროფანაციად მიაჩნდა.

რატტი ყურს უგდებდა დელლის, გრძნობდა თუ როგორ იზრდებოდა მასში პატივისცემა დელლისადმი. ხანდისხან, როდესაც რატტი დელლის უყურებდა, თავის თავს ეკითხებოდა: განა ნამდვილად არ არიან ადამიანები, რომლებიც პედაგოგად იბადებიან, ისე, როგორც პოეტები იბადებიან? დელლის კითხვა, დაკვირვება, ლაპარაკი – ყველა ერთი საგნისკენ, ერთი მიზნისკენ იყო მიქცეული: მისი კლასის ინტერესისკენ.

რატტი უკვირდებოდა დელლის მოქმედებას და რწმუნდებოდა, რომ მისი გასაოცარი გატაცება სკოლის საქმეებით მომდინარეობს არა მარტო თავის მოწოდებაზე მაღალ წარმოდგენიდან, არამედ მოვალეობის ცოცხალი გრძნობიდანაც. ყველაზე მაღლა იგი სვინიდისს აყენებდა. მოვალეობის ადამიანი იყო იგი თავისი კერძო ცხოვრებაშიაც და სახელოვანადაც გამოვიდა მძიმე განსაცდელისაგან, რასაც ბედი უმზადებდა მას. ამ იშვიათ ადამიანთან დაახლოვებამ რატტიზე ფრიად კეთილი გავლენა მოახდინა.

რატტის დაუსრულებელს ხეტიალს ბოლო ეღება საკონკურსო გამოცდაზე; რის შემდეგაც ადგილს აძლევენ ტურინში. სოფელ-სოფელ და პატარ-პატარა პროვინციის ქალაქებში ხეტიალს მორჩა. ის ხვდება გონებითს ცენტრში. აქ ადვილად შეუძლიან მას თავისი ცოდნის წყურვილი დააკმაყოფილოს. აქ მას შეუძლია იაროს არა მარტო ბიბლიოთეკებში და სხვა განმანათლებელ დაწესებულებებში, არამედ დაუახლოვდეს უფრო განათლებულ პირებს და საუკეთესო მასწავლებლებს. არ იქნება მძიმე მარტოობაში. პირად ბედნიერებისათვისაც იმედი უღიმის. ფაუსტინა გალლისთან ნაცნობობა განახლდება. იმისი მამა გარდაიცვალა. ისიც ადგილს შოულობს ტურინში და ეჭვსგარეშეა, რომ ეხლა უარს არ იტყვის თავისი ბედის რატტის ბედთან შეერთებაზე.

დე-ამიჩისი არ სწყვეტს პედაგოგიურს საკითხებს, მხოლოდ წამოაყენებს მათ. უნებლიეთ, როცა კითხულობ ამ რომანს, გებადება

კითხვა: რომელი მეთოდია უკეთესი – „გულის მეთოდი“, რომელსაც ადგა უმეტესს შემთხვევაში რატტი, თუ „გონების მეთოდი“, რომელსაც ურჩევდა ინსპექტორი? ამაზე პასუხს იძლევა რომანში გამოყვანილი გმირების მოქმედება. კარგია ის მეთოდი, რომელშიაც ადამიანი დახელოვნებულია. რატტის მეთოდს შეუძლიან თავ-აშვებულად გახადოს კლასი, შეუძლიან მთელი კლასი მასწავლებელთან ერთად მიიყვანოს საერთო მეგობრულ და სასიყვარულო მუშაობამდინაც. დასაწყისში ახალგაზდა მასწავლებელს არ შეეძლო გარკვეულიყო ბავშვის სულში, არ შეეძლო გამორკვევა ბავშვის ინდივიდუალობაში, ანგარიშს არ უწევდა არც კლასის გულის აზრს, რომელიც ყოველთვის ცვალებადია და არც თითოეული მოწაფის განკერძოებულ თვისებებს. ყველასათვის ყოველ დროს ერთი და იგივე ზომა იყო ხმარებაში. გული სიყვარულს და ალერსს უკარნახებდა, მაგრამ ეს სიყვარული და ალერსიც უანგარიშოდ იხარჯებოდა. რასაკვირველია, ამას ბავშვები არ აფასებდნენ, შედეგად მოჰყვებოდა სიცელქე, სიავკაცე და თავაშვებულობა.

მეორე მეთოდის ხმარების ცდამ უნაყოფოდ არ ჩაიარა, მაგრამ იგი არ შეესაბამებოდა რატტის ბუნებას. ამიტომაც ის ვერ შეითვისა მან სამუდამოდ. გარდამავალ ხანის შემდეგ „გულის მეთოდმა“ ისევ პირველი ადგილი დაიჭირა, მაგრამ, გამოცდილების წყალობით შეტანილი იქმნა შიგ საჭირო შესწორებანი. არ არის განურჩეველი ნებივრობა, როგორც წინად იყო, მაგრამ რჩება გულითადი დამოკიდებულება, რჩება ცხოველი სიყვარული, მაგრამ გონიერი სიყვარული, რომელსაც ბავშვები აფასებენ. ვითარდება ნიჭი ბავშვის ფსიქოლოგიის მხარეების გამორკვევაში. ხმარებაში შედიან, ალერსის გარდა, სხვა ზომებიც, სადაც კი საჭიროა და ამ შემთხვევაში თითქოს იგივე მეთოდი, რაც წინათ იყო, იძლევა საუკეთესო შედეგებს, ვიდრე წინათ: შენახული იქმნა ყველა კარგი და ჩამოშორებული არასაჭირო, მავნე მხარე.

მაგრამ ეს მეთოდი სწავლა-აღზრდისა რომ საქმეში გამოიყენოს კაცმა, საჭიროა ჰქონდეს მას, როგორც რატტის, ბავშვების მოსიყვარულე გული. უამისოდ ყოველი ალერსი თაღლითია და ვერც შეარყევს ბავშვის გულს, რომელიც ყოველთვის არჩევს გულწრფელ გრძნობას არაბუნებრივის გრძნობისაგან.

უნდა იყო მოვალეობის ამსრულებელი ადამიანი, მაგრამ იმავე დროს საჭიროა იყო გულითაც ადამიანი, ცხოვლად გიყვარდეს ბავშვები და ამ სიყვარულში შეიტანო უფრო მეტი გონიერება – აი, რა

აღთქმას იძლევა რომანში გმირების მოქმედება და რას მიეცემა უპირატესობა – სიყვარულით თუ საქმიანობით აღზრდას. ეს დამოკიდებულია მასწავლებლის პიროვნებაზე ისე, როგორც მოწაფეთა პიროვნებით განისაზღვრებიან ის ზომები, რომელსაც აირჩევენ მათდა აღსაზრდელად.

თავისუფალი აღზრდა ბავშვის პსიხოლოგიის მიხედვით

I

ბავშვების სწავლებისა და აღზრდის საქმე ჩვენს დროში ყველა ერისათვის ერთს უსაჭიროესს და მწვავე საკითხს წარმოადგენს. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ამ საკითხის სამართლიანად გადაწყვეტა და სწავლების რაციონალურად მოწყობა და წარმართვა ახალს სხივს შეიტანს ყველა ერის ცხოვრებაში, გაანათებს და გააშუქებს ხალხის ცხოვრების ყველა მხარეს, ხელს შეუწყობს ხალხის ცხოვრების ქონებრივს და ზნეობრივს გაუმჯობესებას და საზოგადოდ ქვეყნის აყვავების საქმესაც.

ჩვენი მიზანია ამ წერილში გამოვარკვიოთ ბავშვების აღზრდის ერთი საკითხი, რომელსაც „თავისუფალ აღზრდას“ უწოდებენ. ამ საკითხის შესახებ უკანასკნელ ხანებში ბევრსა სწერენ რუსეთისა და უცხო ქვეყნების პედაგოგიურს ლიტერატურაში და ყოველის მხრით არკვევენ ამ საკითხს. უმთავრეს ფაქტორად „თავისუფალ აღზრდის“ საკითხის გამორკვევაში ბავშვის ფსიქიური მოვლენანი უნდა იქმნას აღიარებული. ამ თვალსაზრისით უნდა ხელმძღვანელობდეს ყველა აღმზრდელი. ჩვენც ამჟამად მხოლოდ ამ მხრით შევეხებით ამ საკითხს და ვსარგებლობთ ფ. ტოოლის წერილით – „პრინციპები ბავშვების თავისუფალ თვითგანვითარებისა“ და ვ. რახმანოვის ვრცელი მოხსენებით, რომელიც წაკითხული იქმნა 16 ნოემბ. მოსკოვში „ბუნებრივ აღზრდის მომხრეთა საზოგადოებაში“. ეს მოხსენება, რომელმაც საზოგადოებისა და პრესის ყურადღება დაიმსახურა, ზოგიერთის შემოკლებით პირდაპირ ნათარგმნია ამ წერილში.

ბავშვი, სხვათაშორის, იმით განსხვავდება დიდებისაგან, რომ მისი სულიერი მდგომარეობა მუდამ განვითარებაშია, მაშინ, რო-

დესაც ეს პროცესი დიდებში უკვე დასრულებულია. ეს ძირითადი განსხვავება გვაძლევს საბუთს, რომ ყველამ, ვისაც კი რაიმე დამოკიდებულება აქვს ბავშვებთან, კარგად უნდა შეისწავლოს ბავშვის ფსიქიური სიცოცხლის ყველა მოვლენა, უამისოდ კი ვერც მშობელი და ვერც მასწავლებელი ბავშვის აღზრდაში სასურველ მიზანს ვერ მიაღწევენ.

ბავშვის საკუთარი „მე“ ძლიერ სუსტია, მუდამ რყევაშია; თავდაპირველად იგი სავსებით მემკვიდრეობით გადაცემულ ინსტიკტზეა დამყარებული. შემდეგში, როცა ბავშვი თანდათან წამოიზრდება, იმის სულში ფესვს იკიდებენ სხვა და სხვა შთაბეჭდილებანი, წარმოდგენილებანი და ცნებები; ეს უკანასკნელნი თანდათან უკავშირდებიან თანდაყოლილს ინსტინკტს, რის გამოც ჩნდებიან, ცოტად თუ ბევრად, რთულნი მგრძნობელობანი. შემდეგში ყველა ეს მოწესრიგდება ერთად და წარმოადგენს ერთს პსიხიურ მთელს.

ცხადია, რომ ამ დროს ბავშვის პიროვნების განვითარების პროცესში ყველა შეგნებას და წარმოდგენილებას, რომელთაც ბავშვები გაეცნობიან, ერთნაირი მნიშვნელობა არა აქვს. ამ მხრით მეტი მნიშვნელობა იმნაირ შეგნებას, შემეცნებას და წარმოდგენილებასა აქვს, რომელიც მჭიდრო კავშირით შეერთებულა ბავშვის თანდაყოლილ ინსტინქტთან ან იმ წარმოდგენილებათა საერთო ჯგუფთან, რომელთაც ორგანიულად უკვე ფესვი გაუდგამთ ბავშვის სულში. ამ კავშირს, მკვიდრს ასსოციაციას ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის აღზრდაში, რომ საჭიროდ მიგვაჩნია ამ საკითხს დაწვრილებით შევეხოთ.

ჩვენში რომ მხოლოდ მკვიდრი ასოციაცია ყოფილიყო, ვერაფრით განვირჩეოდით იმ მანქანისაგან, რომლის ნაწილებიც ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი. ასე რომ ერთი რომელიმე ბორბლის მოძრაობა აუცილებლად გადაეცემოდა სხვა ნაწილებს და მთელი მექანიზმი წინ-და-წინ განსაზღვრული სახით ამოძრავდებოდა. თუ ესეთივე მოვლენა არ შეინიშნება ცხოველებში და ადამიანში, ეს იმიტომ, რომ იმათ არ აქვთ მკვიდრი ასსოციაცია, რის გამოც გონებაში წარმოდგენილებათა მიმდინარეობა იღებს ამა თუ იმ მიმართულებას. რომ უფრო ცხადად წარმოვიდგინოთ ნათქვამი, მოვიყვანთ მაგალითს: ვიღვიძებ დილით, ვახელ თვალებს და ვხედავ, რომ უკვე გათენებულა. სინათლის შესახებ წარმოდგენას არავითარი მკვიდრი კავშირი არა აქვს სხვა წარმოდგენასთან, ამიტომაც ჩემი აზრის მიმდინარეობა თითოეულს შემთხვევაში შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს. მაგალითად, თუ ზაფხულში გამომე-

ღვიძა და უნდა ავმდგარვიყავი დანიშნულს დროზე, მაგ. 7 საათზე, მაშინ მთელი ჯგუფი წარმოდგენათა, რომელნიც გაირბენენ ჩემს თავში, მიმიყვანს საათის წარმოდგენაზე. მე ასე თუ ისე დავხედავ საათს, რომ გავიგო ხომ არ დამგვიანებია. სულ სხვაა ზამთარში: იგივე სინათლე, იმავე პირობებში, რომ უნდა 7 საათზე ავდგე, გამოიწვევს ჩემში სულ სხვა წარმოდგენას; გავიღვიძებ და დავინახავ თუ არა საკმაო სინათლეს, მეგონება, რომ უკვე დამაგვიანდა და ჩემს გონებაში გაირბენს მთელი რიგი წარმოდგენებისა, რომელნიც დაკავშირებულნი არიან იმ უსიამოვნებასთან და შედეგებთან, რომელიც მოჰყვება ჩემს დაგვიანებას. ეხლა მე სხვანაირად მოვიქცევი, ვიდრე ზაფხულში; მშვიდად ხელს არ გავიწვდი საათისკენ, პირიქით, სწრაფად წამოვხტები ლოგინიდან და სხვ.

სულ სხვა იქნება იმ შემთხვევაში, როცა გონებაში თავს იჩენს ისეთი წარმოდგენა, რომელსაც მჭიდრო ასოციაციური კავშირი აქვს სხვა წარმოდგენასთან. ეს უკანასკნელი უსათუოდ სწრაფად მოჰყვება პირველ წარმოდგენას. მჭიდრო ასოციაციის მაგალითს წარმოადგენს ნივთის სახელი და წარმოდგენა თვითონ ნივთზე. მაგალითად – მესმის სიტყვა დანა; ჩემს გონებაში მაშინვე გაიღვიძებს წარმოდგენა დანაზე და არა ჩანგალზე. ბავშვებს, რომელნიც ლაპარაკს სწავლობენ, ეს ასოციაცია მკვიდრი არ აქვთ და ამიტომაც ხშირად ურევენ სიტყვებს; იგივე შეინიშნება ზოგიერთ შემთხვევებში ფსიქიურ სნეულების დროსაც.

მკვიდრი კავშირი შეიძლება არამარტო ორ წარმოდგენათა და ცნებათა შორის, არამედ ორ გრძნობათა და გრძნობისა, წარმოდგენისა ან ცნების შორისაც. ამ მკვიდრი კავშირების წყალობით წარმოსდგება ურიცხვი რთული გრძნობანი. მაგალითად, სარწმუნოებრივი გრძნობა, სიყვარულის გრძნობა და სხვ. მკვიდრი კავშირები შთამომავლობით, მემკვიდრეობით გადადიან ბავშვებზე და მათში ინსტინქტის ფორმით გამოისახება. მაგალითად, ფრინველების მიერ ბუდის კეთების ალღო /ინსტინტი/ წარმოადგენს მთელს რიგს მემკვიდრეობით გადაცემულის მკვიდრი ასოციაციებისას.

ცნობილია, რომ ყოველივე წარმოდგენა მოქმედობის შესახებ, თუ არ შეიცვალა რომელიმე სხვა წარმოდგენით, გამოიხატება საქმით, იქცევა მოქმედებად. თუ წარმოდგენა მოქმედებაზე მჭიდროდ დაკავშირებულია რომელიმე გრძნობასთან, მაშინ ამ გრძნობის გაღვიძებისთანავე ჩნდება ნათქვამი წარმოდგენა და შემდეგ ამას მოჰყვება თვითონ მოქმედებაც.

თვითონ გრძნობას შეუძლიან გამოიწვიოს რომელიმე წარმოდგენა თუ მასთან იგი მჭიდროთ დაკავშირებულია. მაგალითად, ყუმბარების ხმა იწვევს მცხოვრებლებში შიშის გრძნობას და ეს უკანასკნელიც მჭიდრო ასოციაციით არის დაკავშირებული გაქცევაზე წარმოდგენებთან. ამიტომაც, თუ გადაგდებული საგანი იწვევს გონებაში გაქცევის შესახებ წარმოდგენას, ყველანი სწრაფად გარბიან აქეთ-იქით.

ნუ გვგონია, რომ მკვიდრი ასოციაცია სასტიკად განირჩევა არა მკვიდრ ასოციაციისაგან, მათ შორის უეჭველად არსებობს მთელი რიგი გარდამავალი საფეხურებისა; უფრო კანონიერი იქნებოდა გვეთქვა ასოციაციებზე მათი სიმკვიდრის მეტნაკლებლობის მიხედვით, მაგრამ თუ ჩვენ ვამბობთ მკვიდრსა და არამკვიდრ ასოციაციებზე, ამას ვშვრებით მხოლოდ იმიტომ, რომ საგანი უფრო მარტივი და ადვილად გასაგები იყოს ყველასათვის.

მჭიდრო და განუყრელი ასოციაციური კავშირები წარმოსდგებიან უმეტესად სამის წესით. პირველად რომელიმე ასოციაციის გონებაში ხშირი გამეორებით, ე. ი. შეჩვევის გზით. ამ გზით ჩნდება მაგალ. მჭიდრო კავშირი საგნებსა და მათ სახელებს შორის. შეჩვევას უაღრესი მნიშვნელობა აქვს მჭიდრო კავშირების შედგენაში; მას შეუძლია რამდენადმე ინსტინქტის დარღვევაც. მაგალითად, კატა ინსტინქტურად აიბურძგნება და კრუტუნებს ძაღლის დანახვაზე. მაგრამ, რომ ავიყვანოთ კატის კნუტი და ძაღლის ლეკვთან ერთად გავზარდოთ, ორნივე მეგობრულად იცხოვრებენ და არც ერთმანეთის შიში ექნებათ. შეჩვევაზეა დამყარებული ცხოველების გაწრთვნა, ხელოსნობისა და ხელოვნების სწავლებაც იმაზეა დაფუძნებული.

მეორე გზა მკვიდრი კავშირების შესადგენად არის ერთს დროს რომელიმე ძლიერი გრძნობის წარმოშობა. ვსთქვათ ბრბოს რაიმე განსაცდელი მოელის, რომელიც ბევრსაც იმსხვერპლებს, მაგრამ, ვინც ამ განსაცდელს გადარჩება, მისს გონებაში ბრბოს სახე და შიშზე წარმოდგენილება განუყრელის კავშირით შეერთდებიან. უძლეველ გულის აღქმას სწორედ კავშირი აქვს რომელიმე ძლიერ გრძნობასთან. ეს გრძნობა მტკიცე კავშირით აერთებს რომელიმე წარმოდგენილებასა და საქციელს. რამდენადაც გრძნობა ძლიერია, იმდენად ეს კავშირიც უფრო მტკიცეა და მკვიდრი. ამიტომაც უფრო საძნელოა ნებისადმი ძალდატანებითაც მოვსპოთ ეს კავშირი.

ჩაუფიქრდით ორატორებისა და მქადაგებლების საქციელს და თქვენ შენიშნავთ, რომ ისინი გამსჭვალულნი არიან იმ მისწრაფე-

ბით, რომ გამოიწვიონ მსმენელებში ძლიერი გრძნობა და ამ სახით შეიპყრან, დაატყვევონ მსმენელთა ნება. პოლიტიკური ორატორი მაგალითად მიმართავს სამდურავის გრძნობას და რისხვას, პატრიოტულს ან თავმოყვარეობის გრძნობას. ცდილობს დაარწმუნოს მსმენელები, რომ მხოლოდ სულელს ან ფლიდს არ შეუძლია გაიზიაროს მისი შეხედულება. სარწმუნოების მქადაგებელი ხშირად მიმართავს შიშის გრძნობას, იმუქრება ღვთის რისხვით. ამავე გრძნობით სარგებლობდენ ყველა მძლავრი მოძალადენი ყოველ დროს და ყველა ქვეყნებში.

ჩვენ მიერ ზემოთ ნაჩვენები ორი წყარო მკვიდრი კავშირების წარმოშობისათვის არის ჩვეულებრივი გზა, რომელსაც მიჰყვებოდნენ აღმზრდელები, რომ ბავშვის სულში შეეტანათ ესა თუ ის წარმოდგენილებანი, ცნებანი და გრძნობანი. მთელი აღზრდა ძველ დროში იმაში მდგომარეობდა, რომ ბავშვი პირუტყვისებრივი გაწრთვნით შეჩვეოდა საგანს და დახელოვნებულიყო, რომ სასურველად ემოქმედნათ ბავშვის ნებაზედ და გამოეწვიათ მკვიდრი კავშირები ამათუიმ წარმოდგენათა შორის, ძველად ცდილობდნენ აღეძრათ ბავშვების სულში სხვადასხვა ძლიერი გრძნობები. ყველაზე უფრო ძლიერი გრძნობა, რაც ბავშვს შეუძლიან გამოსცადოს, უეჭველად არის შიში და აგრეთვე ტკივილის გრძნობა. ამიტომ ბავშვის აღზრდის დროს მისი დაშინება და ფიზიკურად დასჯა ერთადერთ საშუალებად მიაჩნდათ.

წარსული საუკუნის დასასრულს მკვიდრი კავშირების გამორკვევაში დასახელებული იქმნა მესამე გზის მნიშვნელობა. ამ გზას განსაკუთრებით ჰიუიო ურჩევდა ყველას. ჩვენ ვამბობთ ჰიპნოტიზმზე და შთაგონებაზე.

მართლაც მკვიდრი კავშირების შექმნაში შთაგონებასაც ძლიერ გრძნობასავით შეუძლიან იმოქმედოს.

უნდა შევნიშნოთ, რომ შთაგონება ხდება არამარტო ჰიპნოტიური ძილის დროს: ზოგჯერ მაღალის ხმით წარმოთქმულს სარწმუნო და ავტორიტეტულ სიტყვასაც ისეთივე გავლენა აქვს, როგორც ძილის დროს შთაგონებას. ცხადია, რომ ავტორიტეტზე დამყარებულს შთაგონებას დიდი ადგილი ეჭირა და დღესაც უკავია ბავშვის აღზრდაში, მაგრამ არც ავტორიტეტზე დამყარებული პრინციპი მიაჩნიათ უნაკლულოდ ბავშვების „თავისუფალი აღზრდის“ მომხრეებს. ისინი სამართლიანად აღიარებენ, რომ ეს პრინციპი უარჰყოფს ბავშვში თვითარსებობის განვითარების ნასახს. მას მოსდევს თვითნებობა

ადამიანის ბუნებასთან მოპყრობაში, მექანიკური მუშაობა, სხვადასხვაგვარი წრთვნა, დატვირთვა მეხსიერებისა უსარგებლო ცოდნით, ერთგვარობა, გონების საზრდოობა მოუნელებელი მასალით და სხვ.

პიროვნების განვითარების პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს მკვიდრი ასოციაციების ან კავშირების აღორძინებას. ამიტომ აღზრდის მთელი ხელოვნება იმაში გამოიხატება, რომ ბავშვის სულში მტკიცედ გაიდგას ფესვები იმ მკვიდრმა კავშირებმა, რომლებიც ასე თუ ისე სასურველად მიაჩნია აღმზრდელს. მაშასადამე განსხვავება ამათუიმ საშუალებათა შორის, რომელიც ხმარებაშია ბავშვის აღზრდის დროს, იმაში გამოიხატება თუ რა გზას აირჩევს აღმზრდელი სასურველ და მკვიდრ ასოციაციების გასავითარებლად. მაგრამ, ვიდრე ამ გზების განხილვას და დაფასებას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ საკითხზე თუ როგორ გამოიხატება ბავშვის „მე“ მისსავე მოქმედებაში.

დიდი შეცდომა იქნება თუ დავიჯერებთ, რომ ადამიანის ყველა მოქმედება ნებითი აქტის ხასიათს ატარებს. პირიქით, მრავალს საქციელს, როგორც დიდებისას, აგრეთვე განსაკუთრებით პატარა ბავშვებისას სულ სხვა ნიშანი აზის.

ავღნიშნოთ ყოველთ უწინარეს მთელი რიგი მოქმედება საქციელისა, რომელიც უნდა განვიხილოთ, როგორც გამოჩენა რთული რეფლექსისა. იმათ მჭიდროდ ამოუდგება გვერდში ავტომატიურად დაჩვეული მოქმედება, რომელთაც ჩვენი შეგნების გარეშე ვასრულებთ. ჩვენი ნება ამ მოქმედებაში მონაწილეობას არ იღებს ისე, როგორც არ იღებს იგი მონაწილეობას ნამდვილ რეფლექტორულ მოქმედებაში. ცხადია რომ ადამიანის ნება მონაწილეობას არ იღებს შთაგონებულ მოქმედებაშიაც.

შთაგონებასთან ბევრი საერთო აქვს მიმბაძველობასაც, რაც უფრო ცხადად იჩენს თავს იმ შემთხვევაში, როდესაც მიბაძვა იწვევს ისეთს საქციელს, რომელიც იზიდავს და იპყრობს ჩვენს ყურადღებას. ცნობილია, მაგ. მთელი გადამდები სენი თვითმკვლელობისა მიბაძვით. იმ შემთხვევაში და საზოგადოდ ყოველ შემთხვევაში, როცა მიბაძვით გამოწვეული საქციელი სრულიად უმიზნოა, უნდა ვაღიაროთ, რომ აქაც ნება არავითარ მონაწილეობას არ იღებს. არ შეიძლება ნებსითი ვუწოდოთ ისეთს საქციელსაც, რომელიც ჩადენილია განსაკუთრებით ძლიერი აღელვების, ემოციის გავლენით. კაცი, რომელიც შიშისაგან გარბის აქეთ-იქით თავქუდმოგლეჯილი, ან ბავშვი, რომელიც რისხვის გავლენით სიცოცხლეს იმოკლებს და წუთისოფელს

ესალმება, მოქმედებენ არა თავისი ნების მიხედვით, არამედ, პირიქით, თავისი ნების წინააღმდეგ.

მხოლოდ ისეთი საქციელი შეიძლება ჩაითვალოს თავისუფლად, რომელიც დაკავშირებულია ჩვენს „მე“-სთან, როგორც ფსიქიურად მოწესრიგებულ მთელთან. ჩვენი ნება ორნაირად იჩენს თავს. ჩვენ შეგვიძლია ან ჩავიდინოთ რაიმე საქციელი ან პირიქით, თავი შევიკავოთ ისეთის საქციელისაგან, რომელიც ავტომატიურია ან ძალად თავს გვახვევენ შთაგონებით, მიმბაძველობით ან სულის ძლიერ ამოძრობით – ემოციით. მაგრამ რითაც უნდა გამოიხატოს ჩვენი ნების მოქმედება საქციელის ჩადენით თუ თავშეკავებით, სულ ერთია, ამ მოქმედების დედაძარღვი, მექანიზმი ერთი და იგივე რჩება. ეს დედაძარღვი, იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ჩვენი ნებისადმი ძალდატანებით მივაპყრობთ ჩვენს გულისყურს წარმოდგენაზე იმ საქციელის შესახებ, რომელიც უნდა ჩავიდინოთ ანდა მივაქცევთ ჩვენს გულისყურს იმ საქციელის მოწინააღმდეგე წარმოდგენას, რომ თავი შევიკავოთ. ნებსითი ყურადღების მოქმედებაში მონაწილეობას იღებს მთელი ჩვენი „მე“. ამას ამტკიცებს თუნდა ისიც, რომ რამდენადაც უფრო მომზადებულია, რამდენადაც უფრო განვითარებულია ეს „მე“, იმდენად უფრო შეგვიძლია გამოვიჩინოთ ნებსითი ყურადღება. ამიტომაც ბავშვები, რომელთა „მე“ მცირედ განვითარებულია, თითქმის ვერ ახერხებენ და ვერ იჩენენ ნიჭს ნებსითი ყურადღებისას. ამის გამო მათი ნებაც განუვითარებელი რჩება.

მეორე საბუთს ამავე აზრის დასამტკიცებლად ჩვენ ვპოულობთ პათალოგიაში. ცნობილია, რომ იმ სნეულების დროს, რომელსაც სევდის ქარს უწოდებენ, ავადმყოფის „მე“ თითქოს მოშლილია და ეს სენი თავს იჩენს სხვადასხვაგვარი ნიშნებით, რომელიც დამოკიდებულია იმისაგან, რომ სნეულმა დაჰკარგა ნიჭი მოუაროს თავის გულისყურს, ყურადღებას.

პიერ ჟანე[6] დაწვრილებით აგვიწერს ამ სნეულების რამდენიმე შემთხვევას. აი, მაგალითად სნეული, სახელად მარსელი: იგი მოკლებულია ნების ყოველგვარ მოქმედებას, არ შეუძლიან მიაპყროს რასმე თვისი გულისყური. ძლიერ დამახასიათებელია შემდეგი შემთხვევა: ერთხელ ჟანე წინდაწინ შთააგონებს მარსელს, რომ მეორე დღეს წაიკითხოს მის თანდასწრებით რამდენიმე სტრიქონი, მაგრამ, როდესაც ეს აღასრულა მან და ჟანემ მიულოცა მარსელს ასეთი წარმატება, პასუხად მიიღო შემდეგი: თქვენ, მგონია, იცით, რომ მე ჩემის

6 Пьер Жане, „Неврозы и фиксированные идеи“, თარგმანი ფრანგულიდან ლიტვინოვისა.

ნებით ეს არ ამისრულებია, თქვენ დამატანეთ ძალა, რომ წამეკითხაო. ამ შემთხვევაში ავადმყოფს ის შეგნება ჰქონდა, რომ მისი „მე“ მოკლებულია მოქმედებას.

დიდის ყურადღების ღირსია ნევროპათალოგების აზრი, რომ სევდის ქარი, უფრო ხშირად, მის შემდეგ ჩნდება, როცა სნეული განიცდის ძლიერს მღელვარებას.

უმეტეს შემთხვევაში ეს შიშია, ზოგჯერ სიყვარულის ემოციაა და ზოგჯერ სქესობრივი გადაჭარბება. ერთს შემთხვევაში, რომელიც აწერილი აქვს ჟანეს, სევდის ქარი გაუჩნდა კაცს აღელვების გამო, რომელიც განიცადა მან ძლიერი შენანების ნიადაგზე.

ჩვენთვის ამ მაგალითს ის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ის გვიმტკიცებს თუ რა გავლენა აქვს ჩვენი „მე“-ს განვითარებაზე ძლიერს ემოციებს. თუ ცოტად თუ ბევრად მოზრდილ კაცის განვითარებულს პიროვნებაზე ასე დიდად მოქმედობს ძლიერი ემოციები და არღვევს მას, მით უმეტეს ბავშვის სუსტი „მე“ ირყევა ყოველგვარი ძლიერი აღელვებით. საინტერესოა ხერხი, რომელიც ჟანეს უხმარია ერთს შემთხვევაში, რომელიც სევდის ქარზედაც უარესია. საქმე ეხება ერთს ავადმყოფს სახელად ჟიუსტინას. ის 40 წლისაა. ოცდაორი წლიდან ავად ყოფილა. მისი პიროვნება მოშლილია, მისი შთაგონება ისეთი ძლიერია, რომ შემთხვევით გაგონილი ფრაზაც კი უძლეველ ჰიპნოტიურ შთაგონების ხასიათს იღებს. მაგ. შემთხვევით გაიგონებს ამბავს, რომ ვიღაც ცოლი ჰკლავს თავის ქმარს. ეს წარმოდგენა უძლეველის ძალით შეიპყრობს მის შეგნებას, ისე რომ იგი მივარდება დანით თავის ქმარს. ჟანემ მოსარჩენად დააწყებინა მას აქტიური ყურადღების ვარჯიშობა. ამისთანა ყურადღების გამოწვევა ადვილი საქმე არ იყო და ჟანემაც ორი წელიწადი მოანდომა მას. მაგრამ ბოლოს მაინც იქამდის მიაღწია, რომ ავადმყოფს შეეძლო ერთი საათის განმავლობაში თავისი გულისყური მიეპყრო რომელიმე ერთი საგნისადმი. შედეგად მოჰყვა ავადმყოფის მომჯობინება და შესამჩნევად მცირე მიდრეკილება შესაგონებელ საგნისკენ.

ჩვენ დიდხანს შევჩერდით სევდის ქარზე მისთვის, რომ ეს სნეულება გვაძლევს ძვირფასს ჩვენებას, როგორც აქტიური ყურადღების ბუნების, აგრეთვე ჩვენი „მე“-ს დაშლის და აღდგენის პროცესის შესახებაც. ჩვენ დავინახეთ, რომ კაცი მაშინ უფრო იჩენს თავის ნებას, როცა მისი „მე“ უფრო განვითარებულია და მოწესრიგებული და, პირიქით, ნების ყოველივე გაძლიერება და აქტიური ყურადღების გამოჩენა ამაგრებს და ავითარებს ჩვენს „მე“-საც.

ბოლოს ჩვენვე დავინახეთ, რომ ძლიერი მღელვარება შლის „მე“-ს. ასეთივე ძალა, როგორც ჟანე ამტკიცებს, აქვს ჰიპნოტიურ მდგომარეობას, ე. ი. ისეთს მდგომარეობას, როცა კაცი დადის სიზმარში სრულიად შეუგნებლად და ავადმყოფის ნებასაც შთაგონებისაკენ მიმართავს.[7] ეჭვს გარეშეა, რომ ასეთივე მოქმედება, თუმცა შეიძლება უფრო მცირე ხარისხით, მაგრამ მაინც უნდა გამოიჩინოს ბავშვზე უფროსის ძალდატანებითმა ავტორიტეტმა. თუმცაღა ისედაც მარტივია ჩვენ მიერ წამოყენებული აზრები, მაგრამ მაინც საჭიროდ მიგვაჩნია ერთს არსებითად საჭირო საკითხზე ვუპასუხოთ.

რომელი საქციელია თავისუფალი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით? რასაკვირველია მხოლოდ ისეთი საქციელი, რომლის ჩადენაშიაც მონაწილეობას იღებს კაცის მთელი „მე“ ან ნების გაძლიერება.

აქ შეიძლება თავი იჩინოს ერთმა გაუგებრობამ, რომელიც გვინდა ეხლავე ავიცილოთ თავიდან. ჩვენ არ გვინდა იმის დამტკიცება, რომ ყოველი საქციელი, რასაც ჩავიდენთ ამათუიმ გრძნობისა ან ძლიერი ემოციის ზეგავლენით, თავისუფალი არ არის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქციელი თავისუფალი არ არის იმ შემთხვევაში, როცა ჩვენი გრძნობა თავისი არსებობით არ შეეწყობა მთელს ჩვენს „მე“-ს, მაგრამ ძლიერი ემოციაც თუ კი არ ეწინააღმდეგება, არამედ პირიქით, მთლად ეთანხმება ჩვენს „მე“-ს, მაშინ ამნაირი საქციელი სრულიად თავისუფალია. მაგალითად, ბუნებით კეთილმა ადამიანმა რომ განრისხების დროს ცუდი საქმე უყოს სხვას, ეს საქციელი თავისუფალი არ არის, რადგანაც ბოროტი გრძნობა მრისხანებისა ეწინააღმდეგება იმის კეთილ „მე“-ს. პირიქით, თუ ასეთი ცუდი საქციელი ჩაიდინა ბუნებით ბოროტმა და შურის მაძიებელმა ადამიანმა, მაშინ ეს საქციელი, როგორც შეთანხმებული და შეწყობილი მთელს იმის „მე“-სთან, შეიძლება განვიხილოთ, როგორც თავისუფალი მოქმედება.

ასეთი მსჯელობა შეიძლება ვიქონიოთ იმ საქციელის შესახებაც, რომელიც გამოწვეულია მიმბაძველობით ან სხვისი ავტორიტეტის დამორჩილების გამო. ამგვარი საქციელი, როგორც თავისუფალი, შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის არ ეწინააღმდეგება მთელს ჩვენს პიროვნებას. ამნაირად თავისუფლად ყოფნის ცოდნა, კარგად განვითარებული ნების შეძენა ნიშნავს მთელ ადამიანად დარჩენას. ეს ნიშნავს კარგად და შეთანხმებულად განვითარებულ „მე“-ს ქონებას. ყოველგვარ აღზრდას სამნაირი მიზანი უნდა ჰქონდეს.

7 პიერ ჟანე. გვ. 426. ავღნიშნავთ აგრეთვე იმასაც, რომ რასაც ავადმყოფი ჩადის ამ შემთხვევაში შთაგონების გავლენით თვისი ნებითი ჰგონია.

პირველად ის უნდა ცდილობდეს ბავშვის ნების განვითარებას და, მაშასადამე, მისი „მე“-ს მთლიანობასაც. მეორედ ის უნდა ზრუნავდეს, რომ ეს „მე“ შეეგუოს ცხოვრებას საზოგადოებაში ე. ი. ამ „მე“-ს შემადგენელად საზოგადოებრივი გრძნობებიც /ზნეობრივი/ უნდა იყოს, როგორც: გრძნობა გულშემატკივრობისა, ინტელექტუალური გრძნობა, ე. ი. ის გრძნობა, რომელიც გვაიძულებს ცოდნისადმი მისწრაფებას თვით ცოდნისათვის, ესთეტიური გრძნობა და სხვ. მესამედ აღზრდას მიზნად უნდა ჰქონდეს მიაწოდოს ბავშვს მისთვის ბოლოს უსაჭიროესი ცოდნა, დახელოვნება.

აღზრდის მთელი სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ არცერთი ამ მიზანთაგანი უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს.

ფსიქოლოგია გრძნობაზე, გონებაზე და ნებაზე გვეუბნება როგორც ელემენტებზე, რომლიდგან შესდგება ჩვენი პიროვნება. ეს უსაჭიროესი ღონისძიებაა, რომელიც გვაძლევს ზოგიერთს შემთხვევას აუარებელ რთულ მოვლენათა გარკვევაში, მაგრამ პრაქტიკულ პედაგოგიას მუდამ სახეში უნდა ჰქონდეს, რომ ნამდვილად ასეთი დაყოფა არ არსებობს. აღმზრდელიც ყოველს ნაბიჯზედ უნდა ხელმძღვანელობდეს ამ მოსაზრებით. როცა ვავითარებთ ბავშვის გონებას, როცა ვცდილობთ მივცეთ ბავშვს ესა თუ ის დახელოვნება, ჩვენ არ შეგვიძლია ასე თუ ისე გავლენა მოვახდინოთ მის ნებაზე და გრძნობაზე. მეორე მხრით ბავშვის ნების განვითარებას და მაშასადამე მისი პიროვნების განვითარებასაც ვაღწევთ ბავშვის აქტიური ყურადღების ვარჯიშობით; აქტიური ყურადღება კი, როგორც ზემოთ დავინახეთ, შეადგენს უმთავრესს არსს ნების ყოველგვარ მოქმედებაში, ყოველგვარს თავისუფალ ძალდატანებას ბავშვის მხრით. აქტიურ ყურადღების საგნად შეიძლება გავხადოთ ამა თუ იმ ცოდნისა და ხელოვნების შეძენა, სულ ერთია ეს ცოდნა-დახელოვნება წიგნურ ცოდნას წარმოადგენს თუ ხელით მუშაობას. ამას გარდა თავისუფლად მიმართული აქტიური ყურადღება უნდა გამომდინარეობდეს მხოლოდ ბავშვის მთელის პიროვნებიდან, ე. ი. იმ გრძნობებიდან, რომლიდგანაც შესდგება ჩვენი „მე“-ს უმთავრესი გული. ამის მიხედვით ის დახელოვნება და ცოდნა, რაც უნდა მივსცეთ ბავშვს, უნდა სრულად შეესაბამებოდეს მისს გრძნობებს და მიდრეკილებებს.

ამნაირად, საქმით არ შეიძლება აღზრდა გავყოთ გრძნობის, გონების და ნების განვითარებად და ერთი სკოლას მივანდოთ და მეორე ოჯახს. აღზრდაც ისეთი მთლიანი უნდა იყოს, როგორც მთელია თვითონ პიროვნება.

II

რამდენადაც უმეცარნი უნდა იყვნენ მშობლები, თავისი ღვიძლი შვილი მაინც უყვართ და სურთ მათთვის ბედნიერება: ეს თვით ბუნების ხმაა. მაგრამ თვით ცნება ბედნიერების შესახებ იცვლება იმის მიხედვით, თუ რამდენადაც კაცი განვითარებულია და მაშასადამე ზნეობრივადაც მაღლა დგას. უმეცარ მშობელს, რომელიც ჩაფლულია თავის ფიზიკური მოთხოვნილების, გულისთქმის და ინსტიქტის დაკმაყოფილებაში, დიდ ბედნიერებად მიაჩნია, რომ მისმა შვილმა მაინც მიაღწიოს იმ საწადელს, რასაც მშობელი ეტრფოდა მთელს თავის სიცოცხლეში. ამისთანა მშობლები ცდილობენ რომ მათმა შვილებმა მომავალში კარგი მომგებიანი და საპატიო სამსახურის ადგილი იშოვნონ. აქ აღზრდის მიზნად ჩნდება გარეგნული სიმდიდრე, ჩინები, პატივი და სხვ. ბავშვის ბუნება კი აღიარებულია, როგორც რაღაც პასიური, როგორც მასა, რომლისგანაც ყველაფრის გაკეთება შეიძლება, რასაც მშობლები მოისურვებენ და საუკეთესოდ დაინახავენ. პირიქით უფრო განათლებული მშობლებიც, რომელთაც უგემნიათ განათლების ნაყოფი, დიდად ცდილობენ თავიანთ შვილებს მეტი განათლება მისცენ. ამის მიხედვით აწვდიან ბავშვებს აუარებელს ცნობებს იმისდამიუხედავად თუ როგორ და რანაირად შეუძლიათ ბავშვებს, თავიანთი ბუნების მიხედვით, შეითვისონ ყველა ეს მიწოდებული ცნობები. აქედან ის გამოდის, რომ ბუნებრივი ინსტინქტი მშობლიურის სიყვარულისა არის მხოლოდ სურვილი შვილების აღზრდისა, რომელიც მოკლებულია გონიერ ხელმძღვანელობას, რადგანაც იგი არ ამყარებს აღზრდის დასაწყისის და მიზნის შეურყეველ შეგნებას. მშობლები ან ისინი, ვისაც ბავშვებს აბარებენ აღსაზრდელად, ხელმძღვანელობენ ამ ინსტიქტით. თითოეული მათგანი თავისებურად ხსნის ადამიანის ბუნებას, თვითნებობით მოქმედებენ ბავშვებზე, ასწავლიან ყველაფერს მექანიკურად, წვრთვნიან მათ ცხოველივით, ასხამენ ისეთს ყალიბში, რომელიც საუკეთესოდ მიაჩნიათ, ულაყებენ ტვინს ათასნაირი უსარგებლო ცოდნით, უმძიმებენ მეხსიერებას, არ აქცევენ არავითარს ყურადღებას ბავშვის ნიჭსა და მიდრეკილებას, ასაზრდოვებენ ბავშვების გონებას შეუმუშავებელი მასალით და სხვ. ჩვენც ყველანი ასე ვართ აღზრდილნი და უეჭველია ბევრი ჩვენთაგანი თავის თავზე გრძნობს ასეთი აღზრდის შეუსაბამობას. ბევრს ჩვენთაგანს, როცა ცხოვრებაში გამოსულა, უეჭველად უგრძვნია, რომ აღზრდას მისთვის მიუცია არა ის, რასაც მისი ბუნება

მოითხოვდა და უნიშნავდა მას, რომ ბევრი მხარე განუვითარებელი დარჩენილა, ზოგიც განვითარებულა მრუდედ, არა თანდათანობით, ზოგიც დამახინჯებულა და მცირე სარგებლობა კი, რომელიც ამგვარ აღზრდას მოჰყვება, სრულიად ვერ გამოისყიდის იმ ბუნებრივი ძალის უთანხმოებას, რომელიც არის შედეგი ცუდი აღზრდისა. ამნაირად აღზრდილი, ახლად ცხოვრებაში შესული კიდევ კარგი თუ შეუდგება ხელახლად თავისი თავის აღზრდას და მთელს სიცოცხლეში არ განიცდის შინაგან უთანხმოების ნაყოფს. აქ ჩვენ სიტყვას არ გავაგრძელებთ ისეთი პირების შესახებ, რომელნიც თავის სიცოცხლეში ვერ გრძნობენ ამ შინაგან უთანხმოებას. ისინი, კმაყოფილნი თავის მდგომარეობით, სამუდამოდ ზნეობრივად მახინჯად რჩებიან. იმათი მდგომარეობა კიდევ უარესია, რადგანაც ისინი მოკლებულნი არიან თავისი თავის ხელ-ახლად აღზრდის ნიშანწყალსაც.

რა მიზეზს უნდა მიეწეროს აღზრდის ასეთი სამწუხარო შედეგები? მიზეზი, რასაკვირველია, დახავსებული აღზრდის პრინციპებშია. ამისთანა პრინციპად აღიარებულია ავტორიტეტი, რომლის შესახებაც ზემოთ გაკვრით მოვიხსენიეთ. ავტორიტეტის პრინციპს საფუძველი აქვს ბავშვის ბუნებრივ დამოკიდებულებაში უფროსებთან და აღმზრდელებთან. ბავშვი სუსტია, უძლურია. იმაში მხოლოდ განვითარების ნასახია. აღმზრდელები მისთვის ის არიან, რაც მას ჯერ კიდევ აკლია და რის შევსებასაც ითხოვენ ბავშვისგან, მისდა სასარგებლოდ, დარიგების სასტიკ ასრულებას. ბავშვი მიღებულია, როგორც უგუნური არსება; აღმზრდელები კი გონიერი, განვითარებული და ბრძენი არსებანი არიან. აი, ამაში გამოიხატება ავტორიტეტის პრინციპის შინაგანი შეუძლებლობა. აღმზრდელები წარმოადგენენ ავტორიტეტს მხოლოდ თვისი განვითარებით. მაშასადამე ბავშვიც თავისი განვითარების კვალობაზე გამოდის ავტორიტეტად ნაკლებ განვითარებულზე და ბოლოს თავისუფალი ხდება აღმზრდელის ავტორიტეტისაგან. რადგანაც ჩვილი ბავშვი, ვიდრე ენას ამოიდგამდეს, იჩენს აბსოლუტურ განუვითარებლობას და შემდეგ თანდათან ვითარდება, ამიტომ ავტორიტეტის პრინციპი მისთვის სავსებით არ გამოდგება. ავტორიტეტის პრინციპი ყურადღებას არ აქცევს ბავშვის ნებას. ის ისე ეპყრობა ბავშვს, როგორც უსულო საგანს, უმორჩილებს ბავშვს აღმზრდელის წუთიერის გულის თემას გარეგან ზეზებს ან მის პირად წადილს. ავტორიტეტის პრინციპი უარჰყოფს ბავშვში გონებრივს მასალას, ცდილობს კაცის განვითარებას გარედან, აწვდის ცოდნას, რომელიმე მოწოდებას, რომელიც შეიძლება ბავ-

შვს არც ჰქონდეს. ერთი სიტყვით წრთვნის მას ერთნაირის საზომით. ეს პრინციპი ცუდია იმ მხრითაც, რომ გამოდის ისეთის მოტივიდან, რომელიც ეუცხოვება ბავშვის პიროვნებას, ამზადებს ბავშვს ისეთის მიზნისათვის, რომელიც მისი მოწოდების გარეშეა, ისეთი იდეების და მისწრაფებათათვის, რომელთაც არაფერი საერთო არ აქვს ცოცხალ სინამდვილესთან, დღევანდელ ცხოვრებასთან, ამიტომაც ავტორიტეტის პრინციპი სავსებით დაგმობილია ყველა ქვეყნის საუკეთესო მეცნიერ პედაგოგების მიერ.

ახალი პედაგოგია და აწინდელი მეცნიერება წინ აყენებს მეორე პრინციპს. ეს პრინციპია ყოველმხრივი, თავისუფალი, ინდივიდუალური განვითარება ბავშვისა. ამ პრინციპის მიხედვით ბავშვის აღზრდის დროს მხედველობაში უნდა იქმნას მიღებული, რომ ბავშვი საზოგადო კაცობრიული პიროვნებაა, რომელსაც მინიჭებული აქვს ინდივიდუალური თვისება. მაშასადამე, პატივისცემით უნდა მოეპყრან ბავშვის საზოგადო კაცობრიულს და ინდივიდუალურს ბუნებას, ბავშვის ბუნების გაღვიძება-განვითარებას და თვითმოქმედების საქმეს. ბუნების თანახმად ნებაყოფლობით ასწავლონ ისეთი საგნები, რომელიც არ არის მოსაწყენი ბავშვებისათვის. განვითარება გრძნობის ორგანოებისა, გამაგრება კუნთებისა, აღძვრა სხვადასხვა გამოგონებისა, განვითარება მოთხოვნილებისა დაინახონ ყველაფერი საკუთარის თვალით, არ დაკმაყოფილდნენ სხვისი ცდით და მოსძებნონ პასუხი მათ მიერ აღძრულს საკითხზე საკუთარის ღონისძიებით; საზრდოობა სულისა ადვილად მოსანელებელის მასალით და ბავშვის თანდათანობით წარმატება შეადგენენ უსაჭიროესს პირობებს საღის პედაგოგიისას.

ამგვარი შეხედულობის მიხედვით ბავშვის აღზრდა სულ სხვა ხასიათს იღებს. ბავშვი აქ მთელი თავისი საზოგადო კაცობრიული და ინდივიდუალური თვისებებით, მთელი თავისი საზოგადო კაცობრიული და ინდივიდუალური სახით გამოდის აღზრდის გამოსასვლელ წერტილად, მიზნად კი საზოგადო კაცობრიული და ეროვნული იდეალია ინდივიდუალური ტიპის სამოსელში. ბავშვი აღმზრდელისათვის არც თიხაა, რომლისაგანაც შეუძლია მას გააკეთოს რაც უნდა და არც სუფთა ქაღალდი, რომელზედაც დასწეროს რაც მოუნდება, არამედ მზა ორგანიული არსებაა, რომლის წესიერს და სრულს განვითარებას შეიძლება ან ხელი შეუწყოთ ან შეუშალოთ. განვითარების პრინციპის მიხედვით არცერთი აღმზრდელი არ მოინდომებს ცოცხალი და მკვირცხლი ბავშვისაგან ნაცარქექია გახადოს, როგორც

ცხვრის პატრონი არ მოისურვებს ცხვარი სულთამხუთავ მგლად გარდააქციოს. აღმზრდელი, როცა ამ პრინციპებს გაითვალისწინებს, შეუდგება თავის პრაქტიკულ მოქმედებას იქიდან, რომ შეისწავლის მოწაფის ბუნებრივს ნიჭს, მიდრეკილებას, ხასიათს და იმისდაგვარად შეუდგება მასზე მოქმედებას, ყურადღებას აქცევს ბავშვის ნიჭს, მიდრეკილებას, ავითარებს და მოაწყობს მათ ისე, რომ მოწაფე, რაც კი შეიძლება დაუახლოვდეს საზოგადო კაცობრიულს იდეალს, არ აცდეს ეროვნულს ნიადაგს და არა დაჰკარგოს რა თვისი ინდივიდუალურ სახიდან.

რადგანაც აღმზრდელს სახეში არ ექნება ბავშვიდან გამოიყვანოს ეს თუ ის თანამდებობის პირი, არც უყურადღებოდ დასტოვებს ბავშვის მიერ თანდაყოლილს რომელიმე თვისებას და არც ამოფხვრის ბავშვებში ისეთს თვისებას, რომელიც მას არ მოსწონს ან არ უდგება მის ყალიბს; მეორე მხრით აღმზრდელი არ შეეცდება გააძლიეროს ბავშვში ისეთი თვისებები, რომელიც მის ბუნებას არ შეეფერება, თუ ის არ არის ადამიანის ბუნებისათვის. აღმზრდელი არ დაუწყებს დევნას ისეთს ბავშვს, რომელშიაც შენიშნავს ოცნებას თუ ეს უკანასკნელი მისი ბუნების თვისებაა, თუმცაღა შეიძლება ამან ხელი შეუშალოს ბავშვის საღს და ფხიზელ მოქმედებას. მაგრამ ამას აღმზრდელი უყურადღებოთ ვერ დასტოვებს და უსათუოდ მიიღებს სახეში სამუშაოს განაწილების, საკითხავ მასალისა და ბავშვისთვის საზოგადოების არჩევის დროს, შეეცდება მისცეს ამ თვისებას ახალი, გამამხნევებელი მიმართულება. იქ, სადაც ოცნება წარმოდგება სისუსტისა და სხეულის უძლურების გამო, აღმზრდელი ცდილობს სხეულის გამაგრებაზე. იქ, სადაც ოცნების დასაწყისი ღრმა და შეუკავებელ ფიქრებშია, აღმზრდელი შეეცდება ამ ნიჭს საღი საზრდო მიაწოდოს ან უჩვენებს მოწაფეს ისეთს საშუალებას, რომ შეიპყრას გულის ზრახვანი. აღმზრდელი არასოდეს არ მიჰმართავს ისეთს ძლიერ საშუალებას, რომ ოცნების დროს ბავშვი ძალდატანებით გამოაფხიზლოს, მაგრამ თუ ამგვარი მდგომარეობა ბავშვისა გაგრძელდა, აღმზრდელი შეეცდება ისე მოაწყოს გარემოება, რომ თითონ ბავშვმა გაიფანტოს ოცნებანი და მოითხოვოს საქმე. ამავე დროს აღმზრდელი იმდენად აღძრავს მოქმედებისკენ და განავითარებს ბავშვის სხვა ნიჭთა, რომ ისინი შეადგენენ მაგარ ზღუდეს შეუკავებელი ფანტაზიის წინააღმდეგ. ბუნების კანონების გაცნობა, ზნეობრივი თვითმოქმედება, მოშორება ყველაფრის, რაც მოჩვენებით ასაზრდოებს ფანტაზიას, შემოწმება საკუთარ შთაბეჭდილებათა,

დაასრულებენ საქმეს ბავშვის ბუნებისადმი ძალდაუტანებლად. ოცნებისკენ გონების მიქცევის ნიჭი შერჩება მოწაფეს, მაგრამ ვნების მაგიერ კეთილ გავლენას მოახდენს მისს ზნეობრივს მხარეზე, მოულბობს ზედმეტ პრაქტიკულ და მშრალ შეხედულობას ცხოვრებაზე, დაიცავს ზომიერებას განმხილველ გონებისა და მსჯელობის ელემენტებს შორის.

ამ პრინციპის მიხედვით, პედაგოგიის მეცნიერება ადამიანის ბუნების გადასხვაფერების მაგიერ, როგორც წინად იყო, ხდება რეალურ მეცნიერებად, ტექნიკურ საგნად, როგორიც არის მაგალითად ბაღოსნობა, სოფლის მეურნეობა, საქონლის მოშენება და სხვ. აწინდელი პედაგოგიკა ცდილობს ადამიანის განვითარების კანონების შესწავლას, როგორც არის მთელი მისი საზოგადო კაცობრიული თვისებებით და ნიშნებით, ადგენს წესებს ბავშვის სხვადასხვა ინდივიდუალურ თვისებათა და ვითარებათა შესასწავლად. საზოგადო კაცობრიულ და გამოცნობილ ინდივიდუალურ თვისებათა და ვითარებათა მიხედვით აწინდელი პედაგოგიკა ცდილობს ადამიანის განვითარების კანონების შემუშავებას. ამ აზრით პედაგოგია პირველ ხანს მაინც სისტემას დიდს მნიშვნელობას არ აძლევს. ადამიანის ბუნება თავის განვითარების მსვლელობაში უსაზღვროდ სხვადასხვაგვარია და არც მოთავსდება სავსებით რომელიმე სისტემაში. ყოველი სისტემა, რამდენადაც ფართო იყოს იგი, მაინც უსათუოდ შეავიწროებს საზოგადო კაცობრიულს ან ინდივიდუალურს ბუნებას და ამიტომაც აღზრდაში შეაქვს ავტორიტეტის პრინციპი. პედაგოგიკა ბავშვის თავისუფალ და ყოველმხრივ განვითარების საქმეში უფრთხის ერთგვარობას და პიროვნებათა ერთს ყალიბში მოქცევას. მიუხედავად სისტემების მრავალი მიმზიდველობისა, ახალი პედაგოგიკა პირველ რიგზე მაინც არ აყენებს სისტემას და უფრო საუკეთესოდ სცნობს პრინციპებით ხელმძღვანელობას და ამას იმ მოსაზრებაზე ამყარებს, რომ პრინციპი შემოქმედ ძალას შეიცავს, რაც არცერთს სისტემაში არ არის, როგორც განგებ შემოზღუდულს მთელში. ამ აზრით ახალი პედაგოგია არ მიისწრაფვის გააკეთოს რამე ადამიანისაგან. იგი პირველ რიგზე მიზანს არ წამოაყენებს, რომელსაც კაცი უნდა მიუახლოვდეს, არ ცდილობს ნიჭის შეზღუდვას, ნიჭის ერთს ფარგალში, ერთს ყალიბში მოქცევას. ის მხოლოდ გამოცდილ პედაგოგს უჩვენებს გზას, რომელსაც უნდა ადგეს იგი განვითარების პრინციპის საქმეში და რომელიც მიილტვის ბუნების შემოქმედების ძალისკენ და ხელმძღვანელობს ამ ბუნების მიხედვით. გამოცდილი

პედაგოგი ყოველგან და ყველაფერში თავისი აღმზრდელობითი საშუალებით და მოქმედებით რწმუნდება, რომ ერთადერთი ფაქტორი აღსაზრდელ ბავშვისა ამ უკანასკნელის ბუნებაა, რომლის სავსებით შესწავლას იგი ცდილობს ყოველთ უწინარეს.

III

ეხლა განვიხილოთ თუ რას აძლევს მოწაფეს აწინდელი სახელმწიფო სკოლა. მთავარი ნაკლი დღევანდელი ოფიციალური სასკოლო განათლებისა იმაში მდგომარეობს, რომ სკოლა არა თუ არ აქცევს ყურადღებას მოწაფის ინდივიდუალურ მხარეს, პირიქით, შეგნებულად ცდილობს მოწაფის პიროვნების აღმოფხვრას, გასრესას და დაჩაგვრას, არ აძლევს მას თავისუფლად და ფართოდ განვითარების ნებას.

ოფიციალურ სკოლებში მთელი სწავლება ისეა მოწყობილი, რომ ის არ იძლევა პასუხს ბავშვის სულის შეკითხვაზე, არ აინტერესებს და არც შეუძლია დააინტერესოს მოწაფე.

ამისთანა პირობებში მოწაფის მეცადინეობაში წამქეზებულ მოტივებად გამოდის ან უგნური თავმოყვარეობა /უკეთესს შემთხვევაში/ ან შიში ან უფრო მოზრდილებისა და შეგნებულებისათვის სურვილი კარიერის შეძენისა, სიმდიდრის და პატივის მოპოვებისა. სწავლის ნიშნები, საჩუქრების და წარჩინების სისტემა ავითარებს ამგვარ თავმოყვარეობას. შიშს და აგრეთვე კარიერის სურვილსაც მხარს უჭერენ როგორც ოჯახში, აგრეთვე სკოლებშიაც. ამ სახით ოფიციალურ სკოლას არ შეუძლია სთქვას, რომ ის აწვდის მოწაფეს მხოლოდ ცოდნას და გრძნობებისა და ნების აღზრდას ოჯახს უტოვებს. ჩვენ ვხედავთ, რომ ეხლანდელი სკოლა ბეჯითად ავითარებს მოწაფეში უგნურ თავმოყვარეობის გრძნობას და გრძნობათა და მისწრაფებათა მთელს რიგს, რომელთაც კავშირი აქვს კარიერის შეძენასთან. რაც შეეხება ნებას, ჩვენ დავინახეთ, რომ ისეთი გრძნობა, როგორიც შიშია, ხრწნის პიროვნებას და მაშასადამე ნებასაც შლის. ნების დაშლას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში მოწაფის მოქმედებაში თავს იჩენს არა მთელი მისი პიროვნება, არამედ ზოგიერთი მისი მხარეები და ისიც უფრო ისეთები, რომელთაც უარმყოფლობითი ხასიათი აქვს. როდესაც მოწაფე სკოლაში ეჩვევა თავისი ყურადღება, თავისი ნების ძალა შეუერთოს

უგნურ თავმოყვარეობას და კარიერის შეძენის სურვილს, იგი ცხოვრებაშიაც უძლური ხდება გამოიჩინოს შეურყეველი ძალა იმ შემთხვევაში თუ არ შეუჩიჩხვირეს და არ შეეხეს თავმოყვარეობისა და კარიერის საგანს. როგორც გვგონია ამაშია ერთი უმთავრესი მიზეზი ჩვენის უძლურებისა, ჩვენი ხასიათის სისუსტისა, მიზეზი იმისი, რომ ჩვენი აღმაფრენა, უცბად გატაცება რომელიმე საქმით, ბოლოს ოცნებად და ცარიელ სიტყვებადვე რჩება. ამნაირად ოფიციალური სკოლა იძლევა არამარტო ცოდნას, არამედ იგი გრძნობების და ნების განვითარებასაც ემსახურება. ეს ცოდნა კი ფრიად საეჭვოა, აღზრდაც სრულიად უარსაყოფელი. ცოდნისა და სწავლის შეძენის მისწრაფებას ღრმად აქვს ფესვები გადგმული როგორც დიდის ისე პატარა ბავშვის ბუნებაში. საჭიროა მხოლოდ სარგებლობა ამ მისწრაფებით, შეკავება იმისი, რომ არ ჩაქრეს, არ ჩაჭკნეს. თვით ახალი ცოდნის შეძენის პროცესში არსებობს წყარო სიამოვნებისა, რომელიც მჭიდროდ არის შეკავშირებული ნების თავისუფალ მოქმედებასთან, ნების თავისუფალ გაძლიერებასთან. აქ არის ერთი მთავარი მიზეზი იმისი, რომ ოფიციალურმა სწავლებამ სკოლა ბავშვებისათვის სიამოვნების და სიმხიარულის წყაროს მაგიერ საპყრობილედ გარდაქმნა. ამგვარი სწავლება ყველაზე უფრო ნაკლებ ეწყობა, რომ მოწაფეებში გამოიწვიოს შემოქმედებითი ნიჭის და მისწრაფების გაძლიერება. ის არც აფასებს ამას. აღმზრდელს კი მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ახალი ცოდნის შეთვისება-შეგნების დროს უმთავრეს როლს ნებსითი ყურადღება ასრულებს და მაშასადამე ნების გაძლიერებაც, ურომლისოდაც უკანასკნელიც შეუძლებელია. მოწაფემ აქტიურად უნდა შეიძინოს ცოდნა, როგორც მცენარის ფესვები სწოვენ საჭირო საზრდოს დედამიწიდან. ეს შესაძლებელია მაშინ თუ გადაცემული ცოდნა თავისთავად საინტერესო და სახალისოა მოწაფისათვის, თუ ცოდნა მოკლებულია ცოდნის გარდა სხვა გარეშე მიზნებს და შეეფერება ბავშვის ძალებს.

ამ სახით ჩვენ ვხედავთ, რომ სწავლების დროს თავისუფალი აღზრდის ძირითადს მოთხოვნილებას შეადგენს მოწაფეში ხალისის გამოწვევა ყველაფერში, რასაც კი მას ასწავლიან. მაგრამ როგორ უნდა მოვარიგოთ, რომ აღზრდას, სხვათა შორის, მიზნად უნდა ჰქონდეს გადაცემა ცხოვრებაში გამოსადეგი უსაჭიროესი ცოდნისა და დახელოვნებისა. რა იქნება მაშინ, თუ ბავშვი ვერ გამოიჩენს ხალისს იმ ცოდნის შეძენაში, რაც მათთვის საჭირო იქნება ბოლოს.

თავისუფალი აღზრდის ზოგიერთი მომხრეები ასეთს პასუხს

იძლევიან ამ საკითხზე. ისინი ამბობენ, რომ შეუძლებელია ბავშვებს დამოუკიდებლად არ აღეძრას ხალისი ამა თუ იმ ცოდნის და დახელოვნების შესაძენადო. რასაკვირველია არიან ისეთი ბავშვები, რომელთაც ცხადად და განსაზღვრულად ეტყობა ეს თუ ის მიდრეკილება და ნიჭი. არიან მაგალითად ბავშვები, რომელნიც იჩენენ მიდრეკილებას მხატვრობაში, მუსიკაში, მათემატიკაში და სხვ. მაგრამ ასეთი ბავშვები გამონაკლისს შეადგენენ. ბავშვების უმეტესობა კი საზოგადოდ სწავლისადმი მისწრაფებას იჩენს. მათ არ ეტყობათ განსაკუთრებული მიდრეკილება რომელიმე განსაზღვრული ცოდნისაკენ. ეს უფრო სამართლიანია პატარა ბავშვების შესახებ, რომელთა პიროვნება ჯერ კიდევ გაუფურჩქვნელია.

ამის გამო ჩვენ გვგონია, რომ აღმზრდელს არ შეუძლიან და არც უნდა ეცადოს ბავშვების ჩვენებას თუ რა უნდა ასწავლონ მათ. აღმზრდელს ცხადი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს იმის შესახებ, თუ რა ცოდნაა ყველაზე უფრო საჭირო ცხოვრებისათვის. ამას გარდა მას კარგად უნდა ჰქონდეს შესწავლილი როგორც ბავშვის ფსიქოლოგია მისი ასაკის მიხედვით, აგრეთვე სული თითოეულის მოწაფისა, რომელთანაც საქმე აქვს. ასეთი გაცნობა ხელს შეუწყობს აღმზრდელს არ მიაწოდოს მოწაფეებს ისეთი ცოდნა, რომელიც არ შეესაბამება მათ განვითარებას და ძალას.

მაგრამ შეიძლება გვკითხოს ვინმემ, რა ჰქმნას აღმზრდელმა იმ შემთხვევაში, თუ მოწაფეები ვერ გამოიჩენენ ხალისს იმ ცოდნის შეძენაში, რომელიც მას ცხოვრებაში უსაჭიროესად მიაჩნია. თუ ბავშვები არ იჩენენ განსაკუთრებულ ცალმხრივ მისწრაფებას რომელიმე განსაზღვრულ ცოდნისაკენ, თუ მათში არ ჩამქრალა ბავშვის ბუნებრივი სურვილი შეიძინოს საზოგადოდ ცოდნა, ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ისინი ამათუიმ განსაზღვრულ ცოდნას სიძულვილით შეხვდებიან. თუ ბავშვები ხალისს არ იჩენენ რომელიმე საგნის შესწავლაში, ამის მიზეზი თვითონ ბავშვები კი არა, აღმზრდელი იქნება. ამ შემთხვევაში აღმზრდელს ან არ უყვარს თვითონ თავისი საგანი, ან არ შეუძლია ეს სიყვარული მოწაფეებსაც ჩაუნერგოს გულში, არ შეუძლია გამოიწვიოს მოწაფეებში თავისუფალი ძალა ახალი ცოდნის შესაძენად, ან აწვდის ბავშვებს ძალზე გადაჭარბებულს მოთხოვნილებას ე. ი. ვერ შეუსწავლია ბავშვების სული და კერძოდ ნიჭი თითოეულის მოწაფისა. აღმზრდელს, რომელიც მოკლებულია გულკეთილობას ან რომელიც ცდილობს დაჩაგროს ბავშვის პიროვნება და თავზე მოახვიოს თავისი ნება, არ შეუძლია

გამოიწვიოს ბავშვის სიყვარული. მასწავლებლისადმი სიძულვილს მოწაფეები საგნებზედაც გადაიტანენ. პირიქით, თუ მოწაფეები მიენდობიან მასწავლებელს, შეიყვარებენ მას, მაშინ ისინი იმ საგანსაც შეიყვარებენ, რასაც აღმზრდელი აწვდის მათ და რაც აღმზრდელსაც უყვარს. სიმპატიური გრძნობა ერთი ძირითადი გრძნობათაგანია ადამიანის სულისა. ნორმალურ ბავშვებში ეს გრძნობა არასოდეს არ მიიღებს აფექტის საზომებს ე. ი. სიამოვნებისა თუ უსიამოვნების ცხოველ შეგნებას: ამიტომაც მას არ შეუძლია ბავშვის პიროვნებაში დეზორგანიზაციის შეტანა იმის მსგავსად, როგორც სხვა ძლიერ გრძნობებს – შიშს და ჰიპნოზიურ შთაგონებას. ამ სახით თუ ამ გრძნობასაც დაემყარება აღმზრდელი, სრულიად საშიში არ იქნება მოშალოს ბავშვის ნება. პირიქით, თუ აღმზრდელი ამ გრძნობას გახდის შუაგულ წერტილად, რომლის გარშემო თავს იყრიან ბავშვების ყველა წარმოდგენილებანი და მიდრეკილებანი, იგი დიდად შეუწყობს ხელს ბავშვის მთელი ზნეობრივი პიროვნების განვითარებას.

ამ სახით ჩვენ მივუახლოვდით იმ საშუალებათა დაფასებას, რომლითაც შეერთდებიან ბავშვის სულში მჭიდრო ასოციაციები და კავშირები.

ზემო ნათქვამიდან ცხადად ჩანს, რომ უარყოფილი უნდა იქმნას ყველა ის საშუალებანი, რომელნიც დაფუძნებულია ძლიერი გრძნობების გამოწვევაზე /როგორიცაა: ტკივილი, შიში, უგნური თავმოყვარეობა და სხვ./ ეს გრძნობები ადვილად იქცევიან ძლიერ აფექტებად და მით არღვევენ ბავშვის პიროვნებას და მაშასადამე შლიან იმის ნებასაც. ამავე მიზეზით ჩვენ უნდა უარვჰყოთ წესი ჰიპნოზური შთაგონებისა და ბავშვის ნების დამორჩილება აღმზრდელის ავტორიტეტულ ნებასთან. ერთიც და მეორეც შლის ბავშვის პიროვნებას და მაშასადამე, მის ნებასაც ასუსტებს. მიმბაძველობა, როგორც ვსთქვით, თავისი თვისებით უახლოვდება ჰიპნოტიზმს, მაგრამ ნორმალური ბავშვების უმეტესობისათვის მიმბაძველობას ისეთი ნაკლულევანება არ აქვს, როგორც ჰიპნოტიზმს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ბავშვები ჰბაძავენ ისეთ პირს, რომლისადმი სიმპატიით არიან გამსჭვალულნი. მიმბაძველობა თავისთავად ვერ შეჰქმნის ბავშვის სულში მკვიდრს კავშირებს, მაგრამ მის მიერ გამოწვეული მოქმედება თუ ხშირად და დიდხანს გამეორებული იქმნა, გადიქცევა ჩვეულებად, რომელიც, როგორც ჩვენ დავინახეთ, ერთი იმ საშუალებათაგანია, რომელიც ხელს უწყობს ამ კავშირების შექმნას.

რაც შეეხება ჩვეულებას, უნდა ვსთქვათ, რომ ეს ერთადერთი სა-

შუალებაა მკვიდრი ასოციაციური კავშირების შესადგენად, რადგანაც ორი სხვა საშუალება ჩვენ უკვე უარვყავით.

ამ სახით ჩვენ მივედით ძლიერ საჭირო დასკვნამდის, რომელიც გვეუბნება შემდეგს: ერთადერთი საშუალება, რომელიც ხელთ აქვს აღმზრდელს ბავშვის ზნეობრივი პიროვნების გასავითარებლად, არის მეთოდიური გამეორება იმ საქციელისა და მოქმედებისა, რომელიც დაკავშირებულია ბავშვის სასურველ ზნეობრივს გრძნობიერებასთან და მისწრაფებასთან. საჭიროა მხოლოდ, რომ ეს საქციელი და მოქმედება თავისუფალი იყოს, საჭიროა, მაშასადამე, რომ ისინი არ მოახვიონ ბავშვს თავზე არც ტლანქ ძალდატანებით, არც უფროსის ამომფხვრელ ავტორიტეტით. მეორე მხრით აღმზრდელმა ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს, რომ ბავშვმა თავი შეიკავოს ისეთი საქციელისა და მოქმედებისაგან, რომელსაც კავშირი აქვს უარმყოფელობით ზნეობრივს გრძნობიერებასთან და განსაკუთრებით აფექტებთან, რადგანაც ამ გზით ეს არასასურველი მხარე მაგრად გაიდგამს ფესვებს ბავშვის სულში. ჩვენ უკვე ვცდილობდით განგვემარტა ბავშვის რომელი საქციელი შეიძლება ჩავთვალოთ თავისუფლად. ყველაფერი, რასაც ბავშვები სჩადიან, თავისუფალ მოქმედებას არ შეადგენს. თუ ბავშვი ყვირის ან ჩხუბობს, ეს არ იქნება თავისუფალი საქციელი, იმიტომ რომ ის გამოწვეულია ცალმხრივი აფექტიური მდგომარეობით და არ გამომდინარეობს ბავშვის მთელი პიროვნებისაგან. გულგრილად რომ უყურო ასეთს საქციელს, ეს იმას ეგვანება, რომ აღზარდო არა თავისუფალი ადამიანი, არამედ აფექტების საბრალო მონა, მომავალი ნერვებაშლილი სევდის ქარიანები.

ამნაირად, თავისუფალი აღზრდა ბავშვის საქციელის განურჩეველ დამოკიდებულებაში კი არ მდგომარეობს, არა ისეთს თავისუფლებაში, რომ გამოიჩინონ თუნდაც ცუდი მიდრეკილებანი არა ყოველი სურვილის ასრულებაში, სულ ერთია რაშიაც უნდა გამოიჩინოს ეს სურვილი ბავშვმა, არამედ ბავშვის საქციელის ხელმძღვანელობის ცოდნაში, რომ ძალა არ დაატანოს ნორჩს პიროვნებას, არ დაშალონ ის, არამედ ხელი შეუწყონ მის გამაგრებას და სიმტკიცეს.

რაც შეეხება სწავლებას იგივე უნდა ვსთქვათ. ბავშვებს რომ ჰქონოდათ ამ საქმეში განსაზღვრული მტკიცე სურვილები, რასაკვირველია ამ სურვილებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა იმ საკითხში თუ რა უნდა ასწავლონ მათ. მაგრამ ბავშვი იმით განირჩევა მოზრდილისაგან, რომ მისი „მე“ საკმარისად არ არის განვითარებული და მაშასადამე მას არ ექნება მკვიდრი შეურყეველი

სურვილებიც. დღეს ბავშვმა უნდა იცოდეს დურგლობა, ხვალ ხატვა, ზეგ არითმეტიკა. ცოტაც რომ დავუცადოთ, თვითონაც არ ეცოდინება თუ რა სურს. ბავშვს გაუვითარდება ჩვეულება ერთი საგნიდან მეორეზე გადახტომისა. ხან ერთს საგანს კიდებს ხელს, ხან მეორეს, იფანტება და საქმეს ზერელედ ეკიდება. ამნაირად ბავშვებისაგან ვერ მოველოდებით ჩვენებას თუ რა უნდა ისწავლონ მათ. აღმზრდელს, თუ კი ის მთელი პიროვნებაა, არ შეიძლება არ ჰქონდეს თავისი გულნადები აზრი იმის შესახებ, თუ რა ცოდნას და დახელოვნებას აქვს მეტი ფასი. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ის აწვდის ბავშვს ამ ცოდნას. მაგრამ აღმზრდელი ამავე დროს უნდა ცდილობდეს, რომ მიწოდებული ცოდნა ბავშვმა თავისუფლად შეითვისოს.

სწავლების თავისუფლება კი იმაში მდგომარეობს, რომ მასწავლებელმა დააინტერესოს მოწაფეები და შეაყვაროს მათ სასწავლო საგანი. ამისათვის საჭიროა, რომ თვითონ მასწავლებელსაც უყვარდეს თავისი საგანი, უყვარდეს ბავშვებიცა და უფრო საჭიროა, რომ თვითონ ბავშვებსაც უყვარდეს და პატივს სცემდენ მას. საჭიროა, რომ აღმზრდელს ჰქონდეს ისეთი თვისება, რასაც საზოგადოდ იშვიათად ვხედავთ ჩვენს დროში. ის უნდა იყოს საზოგადოდ სწორ-ზომიერი, საღი ნერვების პატრონი, ზნეობრივად გრძნობიერი ადამიანი, რომელსაც შეუძლიან ღრმად ჩაიხედოს ბავშვის სულში, უნდა იყოს კეთილი და ლმობიერი ადამიანი, რომელიც არ დაიმონავებს ბავშვებს თავისი ავტორიტეტით. ამასთანავე მან უნდა დაიცვას ბავშვების წინაშე თავისი „მე“, აგრძნობინოს ბავშვებს, რომ მასწავლებელში და აღმზრდელში ისინი ხედავენ კარგად განვითარებულს პიროვნებას, რომელიც არ ემორჩილება მათს უხიაგობას და ჟინიანობას. მხოლოდ ამისთანა პიროვნება უყვართ ბავშვებს და პატივსაც სცემენ. გარეგანის მხრით აღმზრდელი თავისუფალი უნდა იყოს, არანაკლებ თავისუფალი, ვიდრე ბავშვები არიან. მხოლოდ თავისუფალ ადამიანს შეუძლიან მისცეს თავისუფალი აღზრდა. აღმზრდელსა და მასწავლებელს თავის საქმეში არავითარი უფროსი არ უნდა ჰყავდეს, არც მთავრობის და არც მშობლების მხრით. იგი პასუხს აგებს მხოლოდ თავისი სვინდისის წინაშე.

მხოლოდ ამისთანა პირობებში შეუძლია მასწავლებელს გახდეს არა უფროსი ბავშვებისა, არამედ – მათი მეგობარი. თავისთავად ცხადია, რომ ამ მეგობრობაში ორივე მხარე თანასწორი უნდა იყოს, იმისდაგვარად, როგორც ბავშვები წამოიზრდებიან, იმისდამიხედვით თუ როგორ განვითარდება მათი შეგნება და ნიჭი, გაიგონ გან-

ზრახვა და მიზანი მასწავლებლისა, ამ უკანასკნელმაც მონაწილედ უნდა გახადონ ბავშვებიც თავისი სწავლების გეგმაში. რამდენადაც უფრო მოზრდილი არიან მოწაფეები, იმდენად მეტი გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მათ ხმას ამ საქმეში. მხოლოდ ამ შემთხვევაში იგრძნობენ ისინი თავის თავს თავისუფალ აქტიურ მონაწილედ ახალი ცოდნისა და დახელოვნების საქმეში და მხოლოდ ამ შემთხვევაში ისინი მოეპყრობიან სწავლის საქმეს სიყვარულით და სწავლებაც მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება სიხარულისა და ბედნიერების წყაროდ. ამნაირად სწავლების დროს სიმძიმის ცენტრი მასწავლებლის პიროვნებაშია. იგივე უნდა ვსთქვათ ზნეობრივი აღზრდის შესახებაც. ყველა საქმე აღმზრდელის პიროვნებაშია.

ყველაზე წინ აქ დიდი მნიშვნელობა ექნება მიმბაძველობას. თუ მოწაფეებს აღმზრდელი უყვარს, ისინიც მიჰბაძვენ მას საქციელში და თუ ეს უკანასკნელი ზნეობრივი მოტივებიდან გამომდინარეობს, მაშინ ბავშვების საქციელიც დაუკავშირდება მათი პიროვნების ზნეობრივს მხარეს. თუ ბავშვებს უყვართ თავისი აღმზრდელი, ისინი მალე მიხვდებიან თუ რა საქციელი არ ესიამოვნება მას და ეცდებიან თავიდან აიშორონ ყველაფერი, რაც აღმზრდელს ეჯავრება. ზოგჯერ ბავშვებს უნდა ასწავლონ თავიანთი თანამდებობის ასრულება, მაგ. – წესრიგი და სხვ. ამ შემთხვევაში ხშირად საჭიროა მეტი სიმტკიცე. შეიძლება დაჯერებით, დარწმუნებით მოქმედება, მიზიდვა ბავშვის სულის უკეთესი მხარეებისა. საჭიროა ბავშვებმა საქმით შეიგნონ ის აზრი, რომ ყველას თავ-თავისი მოვალეობა აწევს კისერზე. ამაში დიდების მაგალითი დიდს სამსახურს გაუწევს. დეე დაინახონ ბავშვებმა, რომ დიდები დაუცხრომლად გართულნი არიან საქმეში და ისინიც მიმბაძველობით აღასრულებენ თავიანთ საბავშვო მოვალეობას.

ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ზნეობრივი ატმოსფერის შექმნას ბავშვების გარშემო... ყველა საქციელი, რომელიც ცუდი გრძნობიდან გამომდინარეობს, ამისთანა ატმოსფერაში იმდენად შეუსაბამო იქნება საზოგადო ღირსებასთან, რაც ბავშვს გარშემო არტყია, რომ ბავშვი ადვილად შენიშნავს და იგრძნობს იმ უთანხმოებას, რომელიც უსიამოვნებას აგრძნობინებს და შეეცდება თავი შეიკავოს იმგვარი საქციელისაგან.

ამნაირად შექმნა ზნეობრივი ატმოსფეროსი, სიყვარულის და სიმპატიის ატმოსფერისა ბავშვის გარშემო, გახდე მისთვის მისაბაძი მაგალითი, შეაყვარო თავი – აი, უმთავრესი საშუალება თავისუფალი ზნეობრივი აღზრდის საქმეში. მაგრამ ეს საშუალება ყველასათვის

ადვილად მისაწვდომელი არ არის. რომ ისარგებლოს აღმზრდელმა ამ საშუალებით, მას უნდა ჰქონდეს ჩვენს დროში იშვიათი თვისება, რაც ზემოთ მოვიხსენიეთ.

ნების აღზრდა, როგორც შევნიშნეთ, მჭიდროდ დაკავშირებულია სწავლებასთან და ზნეობრივ აღზრდასთან. ყოველი უწინარეს აღმზრდელი უნდა ზრუნავდეს, რომ არ ავნოს რამე ბავშვს, არ დაშალოს მისი ნორჩი პიროვნება. თუ აღზრდის საქმეში განდევნილი იქმნება ყველა საშუალებანი, რაც დაფუძნებულია ძლიერი გრძნობის გამოღვიძებაზე ან უფროსის დამჩაგრავ ავტორიტეტზე, მაშინ ნების აღზრდის შესახებ ნახევარი საქმე უკვე გაკეთებული იქნება. აღმზრდელს დარჩება მხოლოდ განავითაროს ბავშვში ნების გამოჩენის ნიჭი. ეს ნიჭი მჭიდროდ არი დაკავშირებული ბავშვის საზოგადო ჯანსაღობასთან. ჩვენი ცხოვრების ფსიქიური და ფიზიოლოგიური მხარეები გვგონია ისე არსად არ არის გადაკვანძული ერთმანეთში, როგორც ნების მოქმედების ძალაში. ამის გამო ნების აღზრდა უნდა იწყებოდეს ფიზიკურად საღი ორგანიზმის აღზრდით. აღმზრდელმა უნდა იცოდეს საზოგადოდ ჰიგიენა და ბავშვისა კერძოდ, თუ მას უნდა აღზარდოს მტკიცე ნება.

ფიზიკური აღზრდის საგანს ჩვენ აქ არ შევეხებით, მაგრამ უნდა მოვიხსენიოთ ბავშვის ცხოვრების ერთი მოვლენა, რომელიც ჩვენი ცხოვრების ფიზიოლოგიურს და ფიზიკურ მხარეთა საზღვარზეა. ჩვენ ვამბობთ აღმძვრელობაზე.... ზოგიერთი აღმძვრელობა საჭიროა, როგორც ჩვენი ორგანიზმის ისე გონებისთვისაც. ფიზიკურად და ფსიქიურად საღი ადამიანისათვის საყვარელი და ძალის შესაფერი შრომა შეადგენს წყაროს ნორმალურ აღმძვრელობისას, შეგულიანებისას. ეს აღმძვრელობა ჩვენ ყოველთვის სიამოვნებას გვაგრძნობინებს. ამიტომაც ძალის შესაფერისი შრომა, რომელიც ჩვენს მიდრეკილებას შეესაბამება, არის წყარო სიამოვნებისა, კმაყოფილებისა. ნების გაძლიერება, ახალი ცოდნის შეძენა, ყველა ეს იქნება წყაროდ ნორმალურ აღმძვრელობისა. ამავე როლს ასრულებს საბავშვო სათამაშოებიც. მაგრამ უკანასკნელის შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ თამაშობა შეიძლება გახდეს ზედმეტ აღმძვრელობის მიზეზად. აღმზრდელმა უნდა შენიშნოს ის წუთი, როცა ნორმალური აღძვრა თამაშობიდან იღებს გადაჭარბებულს ხასიათს. ასეთი გადაჭარბებული აღმძვრელობა არა თუ სასარგებლო არ არის ორგანიზმისათვის, პირიქით, მავნებელია ბავშვის ნერვების სისტემისათვის. იგი შეასუსტებს ნერვებს, ბავშვს გამოაჩნდება ნერვების სისუსტე ან ძლი-

ერი მოქმედება ნერვებისა. ამასთან ერთად მისი გალეული ნერვები მოითხოვს უფრო მეტს აღძვრას იმის მსგავსად, როგორც ლოთი კმაყოფილდება ხოლმე თანდათან უფრო მეტი მაგარი სასმელებით, რომლის შხამს აღმძვრელობითი თვისება აქვს.

თუ თამაშობა მოკლებულია ნორმალურ აღმძვრელობას და ნერვებაშლილი ბავშვი იმასვე გრძნობს, რასაც ლოთი მაგარ სასმელებში, მაშინ აღმზრდელის ვალია შეებრძოლოს მას. ამ მოვლენაში აღმზრდელი უნდა ხედავდეს ბავშვის არა თავისუფალ პიროვნების გამოაშკარავებას, არამედ სნეული ნერვების სისტემის არანორმალურს მოთხოვნილებას.

თავისთავად ცხადია, რომ გონიერი აღმზრდელი ამ შებრძოლებაში არ მიმართავს ისეთს ზომებს, რომელიც უფრო ხელს უწყობს ნერვების აშლას, შლის ბავშვის პიროვნებას და მაშასადამე მის ნებასაც ასუსტებს. აღმზრდელი არ მოჰყვება არც ყვირილს, არც მიმართავს ძალდატანებას და არც მსგავს რასმე. იგი შეეცდება ბავშვის ყურადღება თამაშობიდან სხვა საგანზე გადაიტანოს, დააინტერესოს რითიმე რაც დაამშვიდებს იმისი ნერვების აღმძვრელობას.

სწავლებისა და ზნეობრივად აღზრდის დროს უყურადღებო არ უნდა დარჩეს ნების განვითარება. უნდა გვახსოვდეს, რომ ნება ვითარდება გაძლიერების საშუალებით, ხალისისა და საგნისადმი სიყვარულის აღძვრით და თვით მოქმედების დაცვით მოწაფეთა მხრივ.

ზნეობრივ აღზრდაში უნდა ცდილობდნენ ყოველ ზემო ნაჩვენები საშუალებით. პირველად, რომ თავისთავად თავი შეიკავონ ბავშვებმა ყოველგვარ საზოგადო საწინააღმდეგო საქციელისაგან; მეორედ, ბავშვები ცდილობდნენ იმის შესრულებას, რაც თავის მოვალეობად მიაჩნიათ და საზოგადოდ ყველა იმისა, რაც ხელს უწყობს გარშემო არსებულთან კეთილ განწყობილების დამყარებას; მესამედ უნდა ცდილობდნენ ძალის შესაფერის რომელიმე ნაყოფიერ და ცხოვრებაში საჭირო შრომაში ვარჯიშობას.

ცხოვრებაში ყველაზე უსაჭიროესი შრომა, რასაკვირველია, მიწის შემუშავებაა. იგი უეჭველად უფრო საღი შრომაც არის. აი, ამიტომაც თავისუფალ ბუნებრივ აღზრდის საქმეში მიწის შემუშავება, რომელიც შეიცავს ადამიანის ზნეობრივი გრძნობის, ნების და ფიზიკურად საღი ადამიანის აღზრდისათვის ბევრს ელემენტებს, ძნელია შეიცვალოს სხვა შრომით. ტყუილად კი არ ამტკიცებენ ზოგიერთი მოაზრენი, რომ მხოლოდ ის ხალხი, რომელიც ამ შრომაზეა აღზრდილი, შეადგენს საუკეთესო საწინდარს ჩვენი საზოგადო ცხოვრების მოწყობისათვის.

დასასრულ ჩვენ ვიკითხავთ, რა არის მაინც საჭირო თავისუფალი სკოლის შესაქმნელად?

გვგონია პასუხი ამ საკითხზე ცხადად სჩანს ზემო ნათქვამიდან: პირველ ყოვლისა საჭიროა აღმზრდელებო, რომელთაც შეგიძლიათ მისცეთ ბავშვებს თავისუფალი აღზრდა და განათლება. მოძებნეთ ასეთი აღმზრდელები, გახადეთ ისინიც თავისუფალნი, ჩააბარეთ თქვენი შვილები და თქვენ შექმნით თავისუფალ სკოლას. უამისოდ თავისუფალი სკოლა არ იქნება და ვერც ვერავითარი პროგრამები და მეთოდები ვერ შექმნიან მას.

აკაკის პედაგოგიური აზრების მოკლე მიმოხილვა

ყველა დიდებული ადამიანი, რომლისთვისაც ბუნებას მიუცია მაღალი ნიჭი, ნაზი გრძნობა და კეთილშობილური მისწრაფებანი, ერის საუკეთესო აღმზრდელად ითვლება. ბედნიერია ის ერიც, რომელიც წარმოშობს ასეთს დიდბუნებოვან ზეგარდმო მადლით სავსე ადამიანს, რომელიც შუქურ ვარსკვლავივით ანათებს სამშობლო ქვეყნის წყვდიადში, უნათებს მას ბნელ გზას, ამხნევებს და უნერგავს გულში ადამიანურ გრძნობებს.

პოეზიას საზოგადოთ ისეთი ღრმა მნიშვნელობა აქვს, რომ ის არასდროს არ კვდება. იგი თანშეზრდილია ადამიანის სულთან და წარმოადგენს მისი სულიერი ბუნების უსაჭიროესს და უკვდავ ნაწილს. შექსპირი ამბობს: „უბედურია ის კაცი, ვინც ყურს არ უგდებს იმ ჰანგს, რომელიც გაისმის თითოეულ ჩვენგანის სულშიო“. მართლა პოეზია თავისი მომხიბლავი ენით, რომელიც ადამიანს გულის სიღრმემდის სწვდება, წარმოადგენს ისეთს განსაკუთრებულ ძლიერ ნიჭს, რომელიც აფხიზლებს ადამიანს და უღვიძებს მას მიძინებულს ძალას. უბრალო, უვიცი ხალხი პოეზიის გავლენით იღვიძებს გონებით ძილისაგან, რადგანაც მასში ხალხი ხედავს თავის თავს. პოეზია ჩასძახის მას იდეალურ აზრებს, რომელშიაც იხატება ზნეობრივი სიმართლე, გამთბარი ღრმა კაცობრიული გრძნობით, რომელსაც შეადგენენ: სიყვარული, სიმხიარულე, სიმწუხარე, ჩივილი ან სამდურავი, წუხილი, იმედი, ეჭვიანობა, რწმენა და სხვა, რომელიც ბუნდოვანად გაისმის ყოველ ადამიანის საკუთარ სულში, მაგრამ ყველაზე

უფრო მისი გამოხატვა, დასურათება და გადაცემა მკითხველთათვის ბუნებას წილად ურგუნებია რჩეულ პირთათვის – მგოსნებისათვის. პოეტურ ნაწარმოებში გამოხატული საგულისხმიერო ჰანგები აღამაღლებს ადამიანს, კაცობრიობას, აშორებს მას გაქსუებულ ანგარებით ცხოვრებას, ხელს უწყობს მკითხველს გახდეს სასურველი წევრი როგორც თავისი ერისა ისე კაცობრიობისა, მართლა არსებობდეს ქვეყანაზე თუ არსებობა ნიშნავს იმას, რომ ადამიანს ჰქონდეს უსათუოდ შეგნებული სული, ხოლო ასეთი სულის ქონება ნიშნავს კაცობრიული გრძნობის ქონებასაც, იცხოვრო ქვეყანაზე თავისთვის და სხვისთვისაც, გაინტერესებდეს თავისი მოყვასის ბედ-იღბალი, გიყვარდეს ადამიანობა იმ საზღვრამდის, რომელშიაც უნდა იყოს მოქცეული თავის თავი, შენი ოჯახი, სამშობლო, კაცობრიობა, ბუნება და ღმერთიც.

ამას ქადაგებენ ბუნების მიერ მაღალის ნიჭით დაჯილდოვებული, ღვთისგან რჩეული ადამიანები. ამასვე გვასწავლის ჩვენი სახელოვანი პოეტის აკაკის ჩანგიც, რომლის მომხიბლავი ხმები გულის სიღრმემდის სწვდება მკითხველს, დაჩაგრულს იმედს აძლევს, ამხნევებს, თავის ხსნის გზას უჩვენებს და ერის მჩაგვრელს კი ისარივით ესობა გულში.

დიახ, ჩვენი დიდებული და საყვარელი მგოსანი აკაკი ჩვენი ერის გზის მაჩვენებელი, წინამძღვარი და დიდებული მასწავლებელიც არის, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში გზას უკვლევს ერს საუკეთესო ცხოვრებისათვის და, როგორც მაღალის გონებით, ნიჭით და გრძნობით აღჭურვილს ჩვენს საყვარელს მგოსანს უპირველესი ალაგი უჭირავს ჩვენი ხალხის მოკეთეების მცირე რაზმში...

ჩვენი მიზანია ამ სტატიაში განვიხილოთ ზოგიერთი პედაგოგიური მოსაზრებანი ჩვენის მგოსნისა, რადგანაც დღესდღეობით სრული გამოცემა აკაკის ყველა ნაწერებისა არ მოგვეპოვება. ამიტომ მაინც ვბედავთ შევეხოთ ამ საკითხს და ვსარგებლობთ ამჟამად მხოლოდ ზოგიერთი მასალით. იმედი გვაქვს, ამ საკითხს კვლავ დავუბრუნდებით.

I

ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ბავშვის აღზრდა ისეთს პირობებში უნდა იქმნეს ჩაყენებული, რომელიც ხელს უწყობს მისი ნორჩი გონების აღზრდა-განვითარებას. უმთავრესი იმ პირობათაგანი ბუნება და მისი წიაღია, სადაც ბავშვი ხედავს მრავალგვარ ცხოველ სურათებს, აკვირდება და სწავლობს მათ. ბუნებაში ყოველი სიტყვა ცხოველ სურათს წარმოადგენს, თითოეული გამოთქმა ცოცხალი აზრია, ბუნების ჭვრეტა და დაკვირვება ნორჩი გულის გამამტკიცებელია და შეადგენს ისეთს საღს და ძლიერს აღმზრდელობითს ძალას, რომლის გარეშე საღი და ჭეშმარიტი აღზრდა ბავშვისა შეუძლებელია. ბუნება და მასთან სოფელიც მთელს სიცოცხლეს წარმოადგენენ. იქ არის ღვთიური ნიჭი გაფანტული, იქ არის სიცოცხლე მრავალგვარი ჭირვარამით და სიმხიარულით შეზავებული, იქ არის შრომა ადამიანის, შრომა საღი და პატიოსანი, რასაც ადრე უნდა ეცნობოდნენ ბავშვები და პატივისცემით, თანაგრძნობით უყურებდნენ ისეთს შრომას, რომელიც უშინსკის აზრით „არის ერთადერთი ღირსეული ბედნიერება, რაც კი ხელმისაწვდომია კაცისთვის ქვეყანაზე“.

ჩვენი დიდებული მგოსანი აკაკი ამ საკითხს არკვევს თავის თავგადასავალში და სრულიად სამართლიანად ხსნის თუ რა გავლენა აქვს ბავშვის ნორჩს გონებაზე სოფელში, ბუნების წიაღში მის აღზრდას. ამოვწერთ სიტყვა-სიტყვით ამ ადგილს: „ყმაწვილი, რომელიც კი სოფელში არ გაზრდილა, ბუნებაზე სრულიად მოსხლეტილია. ის არის მოკლებული უპირველესს ბედნიერებას. ქალაქში გაზრდილ ბავშვს, გენიოსიც რომ იყოს მისი მასწავლებელი, სიტყვით და ნახატებით ისე ვერ გააცნობს ბუნებას, როგორც სოფლელი იცნობს თავის საკუთარი ნახულობით. სოფლელს თვალწინ უდგას ყოველთვის ბუნება, მისის სხვადასხვა ფერობით, გაცნობილი ჰყავს ყოველგვარი ოთხფეხი, ფრინველი, ქვემძრომი, მწერი, მცენარე და იცის მათი ზნე და ჩვეულება; ყველა მის თვალწინ იბადება, იშლება, იფურჩქნება, აჰყვავდება, მოაქვს ნაყოფი და კვდება, – ყველა მათგანის ჭირისა და ლხინის თანამოზიარეა და ამიტომაც ეთვისიანება მათ. რომელ მხატვრობას შეუძლია გადასცეს ბავშვს ის, რასაც სოფელში მყოფი თავის თვალით ჰხედავს? ავიღოდ, თუ გინდა, სულ უკანასკნელი: აი, მოდის მოღრუჩუნებს დედა-ღორი და მას ცქრიალით უკან მოსდევს პატარ-პატარა ჭყივილა გოჭები. ძუძუს ეხვეწებიან... დედა მიდის ჩრდილში სადმე და წამოგორდება მხართეძოზე: მისცვივდებიან

შვილები და მიეძაბრებიან ძუძუებს; სიამოვნების ნიშნად აქიცინებენ პატარა გადაპრეხილ კუდებს და დედაც თვალდახუჭული დაჰხარის, დაღრუჩუნებს მათ... აგერ კრავები კუნტრუშობენ, თიკნები დახტიან... გოჭები ჭიდაობენ, კვიცები კოტრიალობენ და სხვანი – სულ მრავალ-ფერობა და სხვადასხვა სანახაობა... უყურებს ბავშვი და თვითონაც გულშექნილი, ხტის და თამაშობს!... ამაებს ყველას მოკლებულია ქა-ლაქელი“... /„ჩემი თავგადასავალი“, გვ. 11-12/.

საზოგადოდ ბავშვებს ძლიერ უყვართ ცხოველები, რომლებიც მათ ხშირად ამხანაგობასაც კი უწევენ თამაშობის დროს. ვსთქვათ სოფელში, რაც ხშირად მოხდება ხოლმე, ბავშვი უვლის საქონელს, მცენარეს, შინაურ ფრინველებს და სხვ. გარდა იმისა, რომ ამ მოვლით ბავშვი ზედმიწევნით სწავლობს ცხოველთა ბუნებას, ზნეს და ჩვეულე-ბებს, სწავლობს აგრეთვე მოთმინებასაც. ვის არ შეუნიშნავს, რომ მო-უთმენელი ბავშვი უდროვოდ გადაშლის ჯერ გაუფურჩქვნელ ვარდის კოკორს, არ აცლის თავისუფლად გაშლას; ვის არ გამოუცდია ბავშვო-ბაში თუ რა დიდ დროდ ეჩვენება ბავშვს მისი ქათმის კვერცხის დადე-ბიდან, ვიდრე წიწილა გამოიჩეკებოდეს, ან თავისი ბაღის ალუბლის აყვავებიდან ნაყოფის დამწიფებამდის. აი, სწორედ სოფელში, სა-დაც ბავშვების უმრავლესობა ამ პირობებში იზრდება, ძლიერ ჩქარა და არამწარე გამოცდილებით ეჩვევა მოთმინებას, რომელიც შემდეგ ცხოვრებაში იფარავს მას მრავალის უსიამოვნებისაგან.

ამნაირად სოფელი მრავალფეროვან გონებითს საზრდოს აწ-ვდის ბავშვს, ბევრსაც სწავლობს იგი თავის დაკვირვებით და უფრო საყურადღებო ის არის, რომ სოფელში ბავშვი შრომასაც მალე ეჩ-ვევა, შეიყვარებს მას და ჯანსაღობითაც ხომ ქალაქელი ბავშვი მას ვერ დაედრება. გლეხის ოჯახის სურათს სოფელში პოეტი ასე აგვი-წერს: „გლეხის ოჯახი დილიდან საღამომდე სულ მოძრაობაშია, საქმე არ გამოელევათ და ამიტომაც ბავშვების გრძნობა-გონება სუ-ყოველთვის გართულია. კაცები დილითვე ადრე მიდიან სამუშაოდ ყანებში, თუ ტყეში, სადილი და სამხარიც იქ მიუდისთ და დაღამება-მდე ძვირად ბრუნდებიან სახლში. ქალები კი საოჯახო საქმეზე ტრი-ალებენ. მათ ხელშია საქონლის მოვლა, ფრინველების პატრონობა, სახლის დაგვა-დასუფთავება, სადილ-ვახშმის მზადება და მრავალი სხვა საწვრილმანო რამეები. ბავშვი რომ თვალყურს ადევნებს იმათ მუშაობას, თვითონაც ძალაუნებურად მონაწილე ხდება და სწა-ვლობს“. /„ჩემი თავგადასავალი“, გვ. 7./.

საზოგადოდ განათლებულს ისეთს კაცს უწოდებენ, რომლის

სულიერი და სხეულის ძალა წესიერად არის განვითარებული, მაგრამ ეს საზოგადო განმარტება უფრო მყვირალა და განუსაზღვრელ ცნებას წარმოადგენს. ამიტომ ვეცდებით ავხსნათ თუ როგორ უნდა გვესმოდეს ეს განმარტება.

ყველა ადამიანი ვითარდება ერთი შეუცვლელი კანონის მიხედვით, რომელსაც თვით ადამიანის ბუნება წამოაყენებს. ეს კანონი უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ ყველა საღ ადამიანს ქვეყანაზე გაჩენის დღიდან თანდაყოლილი აქვს ნიჭი მხედველობისა, სმენისა, შეხებისა, გემოვნებისა და ყნოსვისა ან როგორც იტყვიან ხუთი გრძნობა; ამ გძნობათა ორგანოების საშუალებით ნორჩი ბავშვი ცნობილობს ყველა მის გარშემო არსებულს საგნებს, ან იღებს მათგან შთაბეჭდილებათა, რომლიდგანაც ჩნდებიან ყველა წარმოდგენილებანი, ცნობები, მსჯელობანი, გრძნობანი, სურვილები და სხვ. ამ სახით, ყველა იმისი შეთვისებით, რაც ბავშვის გარშემოა, ვითარდება ბავშვის ძალა და ნიჭიც. აქედან ცხადია, რომ ბავშვის წესიერი განვითარება მდგომარეობს ყველა იმ შთაბეჭდილებათა შეგნებით შეთვისებაში, რაც მოქმედობს ბავშვზე და რაც მის გარშემოა.

ჩვენი დიდებული მგოსანი ღრმად დარწმუნებულია, რომ ჩვენებური სწავლა-განათლება არ მისდევს ამ ბუნებრივ გზას, უხვევს მას, ღობე-ყორეს ედება და შედეგიც სამწუხაროა. აი, რა ნამდვილ ჭეშმარიტს და საღ პედაგოგიურს აზრს გადმოგვცემს ჩვენი პოეტი: „ახალგაზდა ნორჩ გრძნობა-გონებას ეჭირვება ვარჯიშობა მისთანა საგნებზე, რომელიც მის ახლოს, მის გარშემო არის, რომელსაც ის კარგად იცნობს და რომელზედაც, მაშასადამე, თვითონაც შეუძლია სჯა. წინააღმდეგ შემთხვევაში, როცა ყმაწვილი გაუგებრად იზეპირებს, მეხსიერებას ატანს ძალას, გონება უჩლუნგდება და კაჭკაჭ-თუთიყუშს ემსგავსება, და ამიტომაც დღეს ჩვენ ინტელიგენტებში მრავალი ქარაფშუტაა“. /„ფიქრები ბუხრის წინ“/. სრული ჭეშმარიტებაა! რომელი ნამდვილი პედაგოგი იქნება წინააღმდეგი ჩვენი მგოსნის აზრისა თუ არა ვინმე სინდისზე ხელაღებული გარეწარი მოხელე, რომელიც მოვლენილა ნორჩი გონების დამმახინჯებლად და ერის გადასაგვარებლად.

ყველაფრის შეგნება და შეთვისება, რაც ბავშვის გარშემოა, მაშინ არის შესაძლებელი, როცა ბავშვები ცხადად გრძნობენ, იგებენ მას და ითვისებენ თანდათანობით საჭირო დროს განმავლობაში. სხვანაირად შეთვისებული ცოდნა, ცნობები, გრძნობები და სურვილები ბუნდოვანი, უჯერო, უსაფუძვლო, ურიგო იქნება და, მაშასა-

დამე, ამისთანა პირობებში ბავშვის მთელი განვითარებაც უწესრიგობას წარმოადგენს. რაც ბავშვის გარშემოა, ყველაფერი ერთბაშად უწესრიგოდ ახდენს მასზედ შთაბეჭდილებებს და ისიც მხოლოდ გარეგანის სახით, თავის გარეგნობით. აქედან ცხადია, რომ სწავლების დროს თუ შევჩერდით მხოლოდ ბავშვის გარშემო არსებული საგნებიდან მიღებულს გარეგან შთაბეჭდილებაზე, ბავშვს ეცოდინება მხოლოდ გარეგანი სახე საგნისა, ე. ი. ბავშვი საგანს მხოლოდ ზერელედ გაიცნობს და მასთან ეს ცოდნაც მოუწესრიგებელი იქნება. მაშასადამე, ამისთანა პირობებში ბავშვის ყველა ცნობებს, სჯას, გრძნობებს და სურვილებსაც არასრული, უსაფუძვლო და ზერელე ცოდნის ხასიათი მიეცემა. ამიტომ პოეტის სიტყვები „ვარჯიშობა მახლობელ საგნებზე“, ნიშნავს ამ საგნების არამარტო გარეგანის მხრით, არამედ ყოველ მხრით მათ შესწავლას.

ბავშვი ჩნდება ქვეყანაზე, ცხოვრობს, იზრდება თავის ქვეყანაში, თავისიანებში. იმის გარშემოა ხალხი, ცნობები, ზნე-ჩვეულებანი და საზოგადოდ მთელი ცხოვრების სახე, აწმყო და წარსული, ადგილი და ყველა მისი ბუნებრივი სიმდიდრე; ყველა ეს ბავშვზე შთაბეჭდილებას ახდენს, ბავშვიც იღებს ამ შთაბეჭდილებებს თავის გრძნობათა ორგანოების საშუალებით და შემდეგ ითვისებს მათ წარმოდგენილებათა ცნებათა, მსჯელობათა, გრძნობების და სურვილების შედგენით, რაც ბოლოს შეადგენს მთელს მის სულიერ სიმდიდრეს. ამასთან ერთად ხდება ბავშვის სულიერი განვითარებაც ე. ი. თანდაყოლილი ნიჭი ვარჯიშობაშია გარეგან შთაბეჭდილებათა მიღებით და შეგნებით და ამ ვარჯიშობასაც შედეგად მოჰყვება განვითარება. გრძნობა, გონება ბავშვისა უფრო მკვიდრი ხდება, უფრო ძლიერი და უკეთ შეეძლება მას შეითვისოს შემდეგი შთაბეჭდილებანი, სწორედ ისე, როგორც ჩვენი კუნთები, ჩვენი სხეულის ყველა ძალები და მთელი ჩვენი სხეული ვითარდება საზრდოობით, მოძრაობით და რომელიმე ფიზიკური მუშაობით. ყველა ჩვენთაგანმა გამოცდილებით კარგად იცის, რომ თუ ძალაზე მეტს ვსჭამთ, ან ცოტას ან ისეთს სასმელ-საჭმელს ვხმარობთ, რომელსაც ჩვენი სტომაქის მოშლა შეუძლია – ჩვენ ან ავად ვხდებით და ან ვსუსტდებით. თუ ძლიერ ავამოძრავებთ სხეულს ან მძიმე ტვირთს ავიკიდებთ, წელს მოვიწყვეტთ; თუ ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში ვმუშაობთ ფიზიკურად, ან ხელს ვკიდებთ ძალაზე გადამეტებულს ფიზიკურს სამუშაოს, ძალა გამოგველევა და დავსუსტდებით. ცხადია, რომ ყველა ამ შემთხვევაში და ამის მსგავს შემთხვევებში ჩვენი სხეული წესიერად არ განვითარდება; პირიქით,

ჩვენი სხეული მიიღებს სნეულ განვითარების სახეს. რაც სხეულს მოუვა, იგივე დაემართება ჩვენი გონების განვითარებასაც, როცა გონების სავარჯიშოდ აღებულია სულიერ ძალასთან შეუფარდებელი და საზოგადოდ ურგები მასალა. რამდენია ეს ურგები მასალა, რასაც დღევანდელი დუხჭირი სკოლა აწვდის მოწაფეებს, ესეც ყველასთვის ცხადი უნდა იყოს.

მაშასადამე, როგორც სხეულს, ისე ჩვენი სულიერი ძალების წესიერი და საღი განვითარება ყოველი მხრით სასარგებლო ვარჯიშობაზეა დამოკიდებული. ეს ვარჯიშობა კი მიმართული სულიერ ძალთა გასავითარებლად, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ და რასაც დიდებული მგოსანი გვირჩევს, მდგომარეობს გარეგან შთაბეჭდილებათა მიღება-შეთვისებაში, იმ შთაბეჭდილებათა, რასაც ვიღებთ ყველა იმისაგან, რაც ჩვენს გარშემოა. რა არის ჩვენს გარშემო? ადგილი, სადაც ჩვენ ვიმყოფებით და ხალხი, თავისი ზნე-ჩვეულებით, რომელთანაც ჩვენ ვცხოვრობთ, ათასფეროვანი ბუნება, რომელიც გარს გვარტყია. ეს ჩვენს გარშემო არსებული ცხოვრება შეადგენს ნამდვილს ბუნებრივს, შეუცვლელს და საკმაო მასალას ადამიანის ნიჭის ყოველმხრით გასავითარებლად და, მაშასადამე, საზოგადო განათლებისთვის იმდენად საკმაოა და აუცილებელი ყველა ეს, რომ თუ ის, რაც გარშემოა მოწაფეს საკმარისად შესწავლილი არ აქვს, ვერც სხვას მასზედ უშორეს მასალას შეიგნებს თუ მეტი განათლების მიღების მსურველია და პოეტის თქმისა არ იყოს, კაჭკაჭ-თუთიყუშებისა და ქარაფშუტების რიცხვი ჩვენში უფრო გამრავლდება.

დიდი მოვალეობა აწევს ამ მხრით ჩვენებურს მასწავლებლებს, თავისი ერის ზნე-ჩვეულების შესწავლა, კარგის კარგად აღიარება და ცუდის დაძრახვა, დაგმობა, გონებრივი და ზნეობრივი აღზრდის ერთს უმთავრეს პირობას შეადგენს. ამის აუცილებლობა აღწერილი აქვს ჩვენს მგოსანს ერთს გალექსილს „ნამდვილ ამბავში“ /„გამზრდელი“/, რომელსაც ავტორი უძღვნის ჩვენს პედაგოგებს. როდესაც გაზრდილი საფარ-ბეგი ჩადის უსინდისობას, პირშაობას, არღვევს ხალხის ზნე-ჩვეულებას, გმობს იმას, „რაც ქვეყანას მიაჩნია რჯულზე უფრო უმტკიცესად“. საფარბეგის გამდელის შვილი, ბათუ სულგრძელობით აპატიებს საფარ-ბეგს იმ შეურაცხყოფას, რაც უკანასკნელმა მიაყენა მის ოჯახს, მხოლოდ იგი ავალებს საფარ-ბეგს, რაც მან უსინდისო საქციელი ჩაიდინა უამბოს თავის გამზდელს — ჰაჯი უსუბს. ჰაჯი უსუბი ნაღვლიანად მოისმენს მუხთლობის ამბავს და ბოლოს მოკვლას უპირებს თავის გაზდილს:

„მაგრამ უსუბ ეუბნება:
შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?!
სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,
რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ!“
წარმოთქვა და საფეთქელში
მიიჭედა ცხელი ტყვია...
ჩაიკეცა სულთა-მბრძოლი,
წამლის კვამლში გაეხვია“...

თუ გაზრდილი ცუდი ზნე-ხასიათისა გამოვიდა და შეურაცხმყოფელი იმისი, რაც ქვეყანას, ხალხს წმიდათაწმიდათ მიაჩნია, ეს გამზრდელის ბრალიც არისო, გვეუბნება პოეტი მრავალმნიშვნელობით და ამას ხალხიც ბანს აძლევს შემდეგის სიტყვებით: „ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილიო“.

II

ბავშვების სულის და სხეულის ერთს მოთხოვნილებათაგანს შეადგენს სხვადასხვაგვარი თამაშობა. თამაშობა არის სხეულის ერთგვარი მოქმედებათაგანი. ეს მოქმედება არსებითად განირჩევა სერიოზულ სამუშაოსაგან. ყველა სერიოზულ სამუშაოს მიზნად აქვს დააკმაყოფილოს პრაქტიკულ ცხოვრების რომელიმე მხარე, მაშინ, როდესაც თამაშობას არავითარი წინასწარი მიზანი არა აქვს დასახული, მაგრამ, როგორც გვამცნევენ გერმანელი ფილოსოფოსები, რომელთაც არსებითად გამოარკვიეს საკითხი თამაშობის შესახებ, იგი თავისთავად შეიცავს მიზანს, მოქმედებას და სიამოვნებასაც. ავხსნათ ეს მაგალითით. ჩვენ წინ არის კატის კნუტი, რომელსაც ეს არის სიარული დაუწყია. იმას შეხვდა წინ ბურთი, რომელსაც კნუტი აგორებს, ცდილობს ერთი ადგილიდან მეორე ადგილამდე მიაგოროს. ბურთი მიგორავს, კატაც თან მიჰყვება. ეს პირველი ცდაა თამაშობაში. მაგრამ აი, კნუტი წამოიზარდა და იმავე ბურთის თამაშობაში დაუღალავად ერთობა მთელი საათი. კატის ამ დაუღალავ თამაშობაში მოძრავ საგნებთან ზოგიერთები ხედვენ თაგვების ჭერაში პირველ ვარჯიშობას, თუმცა შეუგნებელს, და სასტიკად არჩევენ ამ ვარჯიშობას იმ მოქმედებიდან, რომლითაც კატა გამოდის შემდეგ თაგვების საჭერად უკვე განსაზღვრულის მიზნით. ამნაირი განმა-

რტებით თამაშობა ისეთი მოქმედებაა, რომელსაც წინ და წინ მიზანი არ აქვს დასახული. იგი წარმოებს მხოლოდ შინაგანი ფიზიოლოგიური და ფსიქიური მოთხოვნილების თანახმად. მართლაც, თამაშობაში, როგორც სული ისე სხეულიც პოულობს სრულს კმაყოფილებას. ამის მიხედვით პირველი ცდა ბავშვისა მოძრაობაში, პირველი ცდა ხელ-ფეხით მოძრაობის სარგებლობაში ბევრს მიაჩნია, როგორც პირველი ნაბიჯი, მიმართული თამაშობისაკენ. რამდენადაც ბავშვი წამოიზრდება, იმდენად მოძრაობისა და აგრეთვე თამაშობის პირველყოფილი ფორმა თანდათან ვითარდება და ბოლოს გადადის საკმაოდ ძლიერ მოძრაობაზე, როგორიც არის: სირბილი, ხტუნაობა, ცეკვა და სხვ. მაგრამ რომ კარგად დავუკვირდეთ ყველა ამ მოძრაობის არსებით მხარეს, შევნიშნავთ, რომ ეს არის შედეგი მოზარდი სხეულის მოთხოვნილებისა. ვის არ შეუნიშნავს რა სიამოვნებით ეთამაშება აკვანში ჩაკრული ბავშვი აკვანზე დაკიდებულ ჟღარუნებს. რასაკვირველია, თავდაპირველად ჩვილი ბავშვი შეუგნებლად ამოძრავებს ხელ-ფეხს სათამაშოდ, მაგრამ სხეულის განვითარების მიხედვით ბავშვს თან და თან აღეძვრება შეგნებული მოძრაობა გარშემო არსებულ საგნებთან თამაშობაში.

ბავშვების შესაქცევად მოუგონიათ აუარებელი სათამაშოები. ამაში მონაწილეობა მიუღია თითქმის ყველა ერს. ბერძნების ცნობილი ფილოსოფოსი არისტოტელი ამტკიცებდა, რომ ბავშვების აღსაზრდელად საჭიროა სხვადასხვაგვარი სათამაშოები, უამისოდ ბავშვები ოჯახში იწყებენ საჭირო ნივთების მტვრევასაო. ფილოსოფოს არხიტისს ჟღარუნების მოგონებას მიაწერენ. ლაფატერმა მოიგონა ხის აგურები შენობების ასაგებად და სხვ. ჩვენი სახელოვანი პოეტი აკაკი სამართლიანად შენიშნავს, რომ „ქართველების ოდენა სხვადასხვაგვარი სათამაშო თითქმის არც ერთს ხალხს არ აქვსო და ყოველგვარი სათამაშოც ისეთია, რომელიც ჭკუა-გონებასა და სხეულს წრთვნის, ავარჯიშებსო“ /„ჩემი თავ-გადასავალი“/. დიახ, ქართველებს მრავალი სათამაშო აქვს და ძველადაც ჰქონიათ, მაგრამ დღეს ესენი სრულიად მივიწყებულია და არც ამას აქცევენ დღეს ჩვენი ახალთაობის აღმზრდელები სასურველ ყურადღებას. პროფესორმა სამოკვასოვმა, როცა მცხეთის ძველი სასაფლაოები გასთხარა,აღმოაჩინა აუარებელი სხვადასხვაგვარი სათამაშოები ბავშვების ჩონჩხებთან ერთად. მათ შორის საყურადღებოა თიხის მტრედი, რომელსაც ცარიელ გულში უდევს რაღაც ხმის გამომცემი მოძრავი ნივთი.

როდესაც ბავშვი მიეჩვევა მის გარშემო არსებული საგნების ხმარებას, იგი თანდათან თამაშობაში ჰბაძავს სხვებს. პატარა ბავშვს

აკვირვებს ფრინველის ხმა, ძაღლის ყეფა, კატის კნავილი და ისიც თამაშობაში ჰბაძავს მათ. მიაქციეთ ყურადღება, როცა ბავშვი თავისუფლად გარბის. ამ სირბილში ის უნებლიედ ჰბაძავს ვისმეს: მამას, ძმას, ცხენს და სხვ. სადღაც კუთხეში ხედავთ პატარა ქალს დედოფლებით. იგი მათ ჰბანს, ვარცხნის, ასმევს, აჭმევს, ართობს ტკბილის მუსაიფით, ერთი სიტყვით თამაშობაში ჰბაძავს დედას, მეზობელს ან სხვა დედაკაცს, რომელსაც ხშირად ხედავს.

ამნაირი მიბაძვით ბავშვი უნებლიედ სწავლობს რასმე, შემდეგ ცდილობს განვითარებით წინ წაწევას, ბავშვის სულში ჩნდება ანალიზის მოთხოვნილება: ცდილობს სათამაშო ნივთის შინაგან მოწყობილობის გაგებას, ადგება სასტიკ გზას, ამტვრევს სათამაშო ნივთს და შემდეგ გულდაწყვეტილი შეჰყურებს დამსხვრეულ სათამაშოს და თვითონაც არ იცის თუ რად ჩაიდინა ასეთი ბოროტება.

ანალიზიდან ბავშვი ჩქარა გადადის შემოქმედებაზე. შეხედეთ ჯოხზე მჯდარ ბავშვს, რომელსაც თავისი ჯოხი მერანად წარმოუდგენია და თავისი თავი მხედრად. რაებს სჩადის, სცემს წკეპლით ცხენს, ცხენი ჭიხვინებს, მირბის, მიჰქროლავს, ყალყზე დგება, უნდა მხედარი ძირს გადმოაგდოს, მაგრამ გაუხედნელი ცხენი სამაგალითოდ ისჯება. მიაქციეთ ყურადღება სხვა თამაშობასაც. ყველა თამაშობას და უფრო ქართულ სათამაშოებს თავისი წესი აქვს, რასაც ბავშვები იცავენ, მაგრამ არცერთი თამაშობა არ არის ისეთი, რომლის დროსაც ბავშვის ფანტაზია არ მუშაობდეს. სცადეთ და რომელიმე თამაშობა მოაქციეთ სასტიკად განსაზღვრულს ფარგალში. თქვენ შენიშნავთ, რომ ბავშვებს ამისთანა პირობებში ეკარგებათ სიმხიარულე, მხნეობა და ასეთი თამაშობაც მალე მობეზრდებათ. პირიქით, ყველაზე უფრო სამხიარულო, ყველაზე უფრო სიცოცხლით სავსე ის თამაშობაა, რომელშიაც ბავშვებს შეაქვთ თავისი გულის ზრახვა, შემოქმედება და თვითმოქმედება. ყველაზე უფრო საყვარელიც ის სათამაშო ნივთია, რომელიც ბავშვს თავისი ხელით, გონებით შეუქმნია. „ბავშვი თამაშობის დროს რისგანაც რა უნდა იმას აკეთებს: ჯოხი თოფად გადიქცევა, ხის ნაჭერი – ხმალადა, ჩვარი დედოფლებად და ყოველი კუთხე ქოხად“, – ამბობს გიოტე. მაგრამ მივმართოთ ისევ პოეტის სიტყვებს: „ქართულ სათამაშოებს ბავშვები თავისი ხელით აკეთებენ, მაგალითად, ტაფარიკას თვითონ გამოსჭრიან ხოლმე, შვილდკოდალს – იკეთებენ, ბურთს თავის ხელით ამზადებენ და ეს შრომა კიდევ უფრო აყვარებს პატარა პატრონს თავის საკუთრებას! ნაყიდი სათამაშოები და მუქთად ნაშოვნი ტიკინები ქალაქებში

მუქთახორობას აჩვევენ ყმაწვილებს და უფრო უფუჭებენ ხასიათს... პატარებს უყვართ დიდების მიბაძვა და მეც რომ ხუხულა სახლებსა და ბეღელ-სასიმინდე წისქვილებს ავაშენებდი ხოლმე, ჩემს სიამოვნებას საზღვარი აღარა ჰქონდა. თავი მომქონდა, რომ მე თვითონ ვაკეთებდი. აბა, წარმოიდგინეთ სოფლელი ბავშვი, რომელსაც თავის ხელით გაკეთებული ბურთი ხელში უჭირავს და თავისუფლად გაჰკრავს-გამოკრავს ხოლმე ხტუნვითა და სირბილით და შეუდარეთ ქალაქელს! იმ საცოდავს უჭირავს ხელში ძაფზე გაბმული ბუშტის ბურთი და შიშით ვეღარ ინძრევა, არ გამიფრინდესო“...

აწინდელი მეცნიერება ბავშვის ფიზიკურად განვითარებაში უპირველეს ადგილს თამაშობას უთმობს, რადგანაც გონივრულად მოწყობილი თამაშობა უფრო შეეფერება ბავშვის სულიერსა და სხეულის მოთხოვნილებას. გიმნასტიკა, რომელიც ცოცხალ ბავშვებს ისედაც ეჯავრებათ, აწინდელი საუკეთესო მეცნიერების მიერ დაგმობილია. ჩვენი სასიქადულო პოეტიც მეცნიერის თვალით ზომავს და ამბობს: „გიმნასტიკა მხოლოდ ტანჯვაა ბავშვის და სხეულის ჯორჯვა. სხვადასხვა ნაწევრებს ადამიანის გვამისას განა ერთი და იგივე მოთხოვნილება აქვს?... მე ეგება მარტო ფეხი მინდა ვავარჯიშო და იმ დროს თვითონ ბუნება უფრო უტყუვრად უჩვენებს. „გიმნასტიკის“ დროს კი, წინააღმდეგ ჩემის მოთხოვნილებისა, უნდა მხოლოდ სხვის ბრძანებით ვიმოძრაო. მაგალითად, მე როცა სირბილი მინდა, ის გამაჩერებს ერთს ადგილზე, მომცემს ხელში მძიმე რკინებს და გინდა თუ არა, ხელები ავარჯიშეო... ხელოვნებას შეუძლია, რომ დაიმორჩილოს, ე. ი. დაამახინჯოს ბუნება, მაგრამ რომ შესცვალოს და თავისი სურვილით ვითომ გააუკეთესოს, არა მჯერა. აბა, წარმოიდგინეთ ერთი მხრით თავისუფალი, შველივით მონავარდე სოფლელი ბავშვი და მეორე მხრით „დაჩანჩურებული“ ქალაქელი ყმაწვილი!... ფეხსაცმელი უჭერს და მაზოლები /აბედები/ სტანჯავს... გამოსუდრულა ტანთ-საცმელში, საძრაობა აღარ აქვს, ეუბნებიან: ჭკვიანად იყავი, რაც ჩვენ გირჩიოთ, მხოლოდ ის იკისრე შენცო!... იმ საბრალოს ერთი გაკოტრიალება ქვეყანას ურჩევნია, მაგრამ განა გაბედავს, რომ ტანისამოსი დასვაროს?... იზრდება ბრძანებით მომავალი ჭლექი და მუმია“ /„ჩემი თავ-გადასავალი“/.

გარდა იმისა, რომ პოეტი სრულიად უარჰყოფს გიმნასტიკას და მავნებლადაც მიაჩნია იგი, რაც მისივე სიტყვებიდანა სჩანს, ამონაწერიდან ის აზრიც გამოდის, რომ ბავშვს ნაძალადევად არაფერი არ უნდა მოახვიო თავს. იგი უნდა იზრდებოდეს მისი ბუნების მიხედვით,

მაშასადამე „რაც ჩვენ გირჩიოთ, მხოლოდ ის იკისრე შენო“. ეს ნიშნავს ბავშვში ბუნებრივი ძალის განვითარების წინააღმდეგობას, ბავშვის სულიერი და ხორციელი ძალის ტანჯვას, რასაც სასტიკად ეწინააღმდეგებიან ყველა „თავისუფალი აღზრდის“ მოტრფიალენი.

აუარებელ ქართულ სათამაშოებში ზოგი ისეთია, რომელსაც სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, მაგალითად „ქორობია“, ზოგი ისეთები, რომელიც ავითარებს ბავშვში თვითმოქმედებას, სიმკვირცხლეს, ფიზიკურ ძალას, ამხანაგურ გულითადს განწყობილებას. „აბა, რომელი გიმნასტიკა შეედრება ბურთაობასაო“, – ამბობს პოეტი. – „ბურთაობის დროს თვალი, ხელი, თავი, ტანი და ყოლიფერი თანასწორად ეჩვევა სიმარდესო“.

იმ სათამაშოებს, რომელიც გონებას უვითარებს ბავშვებს, ეკუთვნიან ისეთებიც, რომელიც თავისი ხასიათით, პრაქტიკულ ცხოვრების მოთხოვნილებასთან ახლოს არის. ამ ჯგუფში მოექცევა ისეთი სათამაშოებიც, რომელიც ასწავლიან ბავშვებს ანგარიშს, სახლების აგების წესებს, სიმღერას, კეთილ მიდრეკილებაში გაჯიბრებას და სხვ. ეს ისეთი სათამაშოებია, რომელთა სარგებლობას პლატონის დროიდანვე ურჩევენ პედაგოგებს ბავშვის ბუნებრივი ნიჭის, გონებამახვილობის და ხასიათის შესასწავლად. „Pro patria est dum ludere videmur“, – ამბობდენ რომაელები, ე. ი. ჩვენის თამაშობით სამსახურს ვუწევთ სამშობლოსაო. მეორე მხრით ეს ისეთი სათამაშოებია, რომლითაც სხვა ქვეყნებში პედაგოგები არისტოტელის დროიდანვე სარგებლობენ, რომ იმათი საშუალებით გზა გაუკვლიონ ბავშვს ამა თუ იმ მხრით, ადრევე ჩაუნერგონ გულში სიყვარული ამათუიმ საქმიანობისა და თანდათან მოამზადონ ბავშვები მომავალ ცხოვრებაში სამუშაოდ.

არის აგრეთვე საზოგადოებრივი საბავშვო სათამაშოები, რომელშიდაც მრავალი ბავშვი იღებს მონაწილეობას, თავის ამხანაგებთან ურთიერთობა იძლევა ნაყოფიერ ზნეობრივს საზრდოს, სერიოზულად აცხოველებს გონებას, აკეთილშობილებს და აახლებს მას. ეს ურთიერთობა ამხანაგთა შორის შეადგენს ბავშვის აუცილებელს მოთხოვნილებას. თავის ამხანაგებთან ბავშვი ისე გრძნობს თავს, თითქოს ის იმყოფებოდეს ნათესავების, ძმების წრეში. ამხანაგებთან ურთიერთობაში და მათთან გაჯიბრებაში ბავშვის გონებას სამუშაო არ გამოელევა. ტყუილად კი არ ამბობენ, რომ სიცოცხლე სიცოცხლით აღიგზნებაო, როგორც ალი ალისაგან. ამ გამაცოცხლებელ სკოლაში ბავშვი იძენს გამოგონების ნიჭს, გონებამახვილობას, გამბედაობას; აქვე იძენს ბავშვი ზრუნვას საზოგადო ინტერესების შესახებ და განი-

მსჭვალება მისდამი პატივისცემით, აქვე იკვანძება ძმობა-მეგობრობის სიმპატიური კავშირი, აქვე ეჩვევიან წესიერებას, დაკვირვებას, სწრაფ აზროვნებას, მეხსიერების სიმტკიცეს, გონებამახვილობას, სიმკვირცხლეს, სივრცე-სიფართოვის თვალით გაზომვას და სხვათა.

ასეთი ღრმა პედაგოგიური მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ ბავშვების თამაშობას, რომელიც სრულიად მივიწყებულია ჩვენში და რასაც ჩვენი დიდებული პოეტი სიმწუხარით აღიარებს.

III

ერთი მთავარი საკითხი პედაგოგიაში არის თუ როგორ უნდა მოეპყრას აღმზრდელი ბავშვს. აქვს ადგილი ბავშვის დასჯას თუ სრულიად განდევნილი უნდა იქმნას ეს უძლური საშუალება. ყველგან და ჩვენშიაც ძველად ასე იყო, რომ იშვიათი ბავშვი დარჩებოდა დაუსჯელად სიყმაწვილეში. ამას მაშინდელი შეხედულობით ამართლებდენ: ბავშვს შიში უნდა მისცე, „შიში შეიქმს სიყვარულსაო“ და რამდენადაც მეტს სასჯელს მიაყენებდნენ ბავშვს, ეგონათ მით უკეთესი ადამიანი გამოვაო. მართალია, ამგვარმა შეხედულობამ თავისი დრო და ჟამი უკვე მოჭამა, მაგრამ არ შეგვიძლია მაინც დამშვიდებით ვსთქვათ, ვითომ დღევანდელ აღმზრდელებში ყველა გამსჭვალული იყოს ახალის აზრებით და იდეალებით და ზოგჯერ მაინც არ მიმართავდეს ისევ ძველებურს მამა-პაპურს წესს ბავშვის აღზრდაში. საკითხი ბავშვის დასჯის შესახებ აწინდელს მეცნიერებაში საკმაოდ გარკვეულად მიგვაჩნია. მეცნიერები და საუკეთესო პედაგოგები ბავშვის დასჯას უარს ჰყოფენ, როგორც ყოველის მხრით გამოუსადეგარსა და მავნე საშუალებას. დასჯას საზოგადოდ არავითარი სასურველი შედეგი არ მოჰყვება და ამიტომ მიზანსაც ვერ აღწევს. ენერგიული ბავშვის მხრით დასჯა წინააღმდეგობას გამოიწვევს, რომელსაც თან მოჰყვება თავნებობა, სუსტი ენერგიის პატრონს დასჯა გარეგნულად დაამშვიდებს, მაგრამ გულში მაინც ჩარჩება მტრობისა და ბოროტების დაფარული გრძნობა, რაც ყოველ შემთხვევაში უარესია, ვიდრე ბავშვის ეშმაკობა და ცელქობა. ასე თუ ისე დღევანდელ სკოლას მაინც ჯერჯერობით მთლად ხელი ვერ აუღია ბავშვის დასჯაზე და ამ მხრით დიდად საყურადღებოდ მიგვაჩნია ჩვენი დაუღალავი მოღვაწის სასიქადულო პოეტის აკაკის წრფელი აზრი, წმინდა მეცნიერული შეხედულობა იმაზედაც, თუ როგორ უნდა მოეპყრან აღმზრდელები და მშობლები პატარა ბავშვებს.

მწარე ნაღვლიანი სიტყვებით მოგვითხრობს პოეტი თავის „თავგადასავალში“ იმ ამბავს, თუ როგორ სტანჯავდენ საცოდავ ბავშვებს უდიერი აღმზრდელები ცალკე უხერხული სწავლებით, ცალკე ცემა-ტყეპით და უგულო მოპყრობით: „წარმოიდგინეთ 7 - 8 წლის ბავშვი დილის შვიდი საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდე მშიერ-მწყურვალი, და მაშინ იგრძნობთ, თუ რა ტანჯვაში იყვნენ ის საწყლები. ზოგს გულს ეყრებოდა, ზოგს თავბრუ ეხვეოდა და ეცემოდა ძირს, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა“.

დღევანდელ პირობებში მართლა გულასამღვრევ სურათებს გვიხატავს პოეტი თუ რა აუარებელი სასჯელი იყო სკოლაში შემოღებული. „წკეპლა“ სტოროჟებს ურმებით მოჰქონდათ ყოველდღე ახალახალი. მოსწავლის გალახვა ყველას შეეძლო დირექტორიდან დაწყებული სტოროჟებამდე“. მიზეზს არავინ კითხულობდა. ვინ იცის, რამდენი დასნეულებულა, რამდენი დამახინჯებულა და რამდენს კიდევ ხასიათი გაფუჭებია საუკუნოდაო, ნაღვლიანად იგონებს პოეტი ბავშვობის დროს. ვერც ჩვენი საყვარელი მგოსანი გადარჩენია სკოლაში გამეფებულ სენს, სახაზავი დაუკრავთ და ეს სურათი ისე აღბეჭდილა პოეტის გონებაში, რომ გულიდამ დღემდინაც ვერ გადაუგდია. „წერაში ხელი გამიფუჭდა და დღესაც კიდევ გაურკვეველადა ვწერ, ვინც ჩემ ნაწერებს დახედავს, გაუკვირდება, რომ ზოგან კარგი ხელია და ადგილ-ადგილ კი ნაჯღაბნი და გაუგებარი. ეს მაშინ მემართება, როცა ინსტიქტურად მაგონდება ხოლმე მაშინდელი ჩემი ტანჯვა. ეს შემთხვევა რა გასახსენებელი იყო, მაგრამ მიტომ ვამბობ, რომ მშობლებმა და მასწავლებლებმა იგულისხმონ, თუ რა ძნელია სათუთ ბავშვებთან სასტიკად მოპყრობა და რა შედეგი მოჰყვება ხოლმე“.

საყვარელი პოეტის სიტყვებმა მოგვაგონა ერთი ეპიზოდი რუსსოს ცხოვრებიდან. „ემილის“ ავტორი გულამღვრევით იგონებს თავის ბავშვობის დროს, როცა მასწავლებელმა უმიზეზოდ სცემა. ამ ამბავს, შეურაცხყოფის მიყენებას, რუსსო იგონებს ორმოცდაათი წლის შემდეგ და აღელვებულად ამბობს: „ის წუთიო, – ამბობს რუსსო, – არ გაჰქრება ჩემის მეხსიერებიდან თუ გინდ ათი ათასი წელიც ვიცხოვროვო“. დიაღ, ბავშვების ცემა-ტყეპა აღმზრდელის უძლურების და უმეცრების ნიშანია და ყველა გულითადი აღმზრდელი უნდა ერიდებოდეს ბავშვებთან ასეთს მოპყრობას.

ერთს პატარა საყმაწვილო მოთხრობაში /„პატარა ტარიელი“/ ჩვენს საყვარელ მგოსანს გამოყვანილი ჰყავს ტიპი ღირსეული აღმზრდელისა, რომელიც „ცდილობს ნორჩი მოწაფეების გულში კეთილი სურვილი აღძრას და ახალგაზდობა სწორ გზაზე დააყენოს“.

ამისთანა განწყობილება მოსწავლესა და მასწავლებელს შორის შეესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა აღმზრდელს და მოწაფეს შორის ნამდვილი მეგობრული კავშირი არსებობს. მხოლოდ ამ პირობებში შეუძლია მოწაფეს თავისი გული გაუხსნას მასწავლებელს და შიგ ჩაახედოს. მხოლოდ ამ პირობებში შეუძლია მასწავლებელს მეგობრულის რჩევა-დარიგებით კარგს გზაზე დააყენოს გზადაბნეული მოწაფე, უწინამძღვროს მას და გახდეს მოწაფისათვის ნამდვილი გზის მაჩვენებელი. „მასწავლებელი სიამტკბილობით და მამაშვილურად ექცეოდა მოწაფეს. დიტო /მოწაფე/ აფასებდა მის ყურადღებას, სულით და გულით უყვარდა მხოლოთ ის ერთადერთი კაცი და რომ გადაეხადა რითიმე მისი სიკეთე, მის საგანს საუცხოოდ სწავლობდა, მაშინ როდესაც სხვებისას ყურადღებასაც აღარ აქცევდა. ბევრჯელ საკმაო იყო ხოლმე იმ მასწავლებლის ერთადერთი ალერსიანი სიტყვა, რომ გაბოროტებული დიტო კარგ გუნებაზე დაეყენებინა. ერთ საღამოს დაიბარა სახლში. დიტოც, რასაკვირველია, სიხარულით მივიდა მასთან. მასწავლებელი ისე კი არ დაუხვდა პატარა სტუმარს, როგორც უფროსი უმცროსს, – ამხანაგურად მიიღო, მოისვა გვერდით და იმდენი ელაპარაკა სხვადასხვა საქმეებზე, რომ სულ დაავიწყდა ბავშვს თავისი ვინაობა. პატარა სტუმარმა წარმოიდგინა, რომ ჩემს ტოლ მეგობარს ვუზივარ გვერდითო, გაიხსნა ნელ-ნელა გული და თითო კაკლათ უამბო თავისი თავგადასავალი“.

საყურადღებოა ისიც თუ როგორ გულდასმით, ოსტატურად უხსნის მასწავლებელი მეგობრულ ლაპარაკში მოწაფეს მის „კუდაბზიკობას“. აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ და ვურჩევთ მსურველთ თვით წაიკითხონ ეს მოთხრობა. ვიტყვით მხოლოდ, რომ პატარა მოწაფე მთლად გამოაფხიზლა მასწავლებლის მეგობრულმა რჩევამ, ჭკუაში მოუვიდა მასწავლებლის დარიგება, „აღტაცებით ისმენდა მოძღვრის სიტყვებს და ტანში რაღაც უჩვეულო, სანეტარო ჟრუანტელი უვლიდა“. გათავდა იმით, რომ „ერთმა წამმა შესცვალა სამარადისოდ დიტოს ბედი, სასიკვდილოთ თავგადადებული ბავშვი გამობრუნდა, გამოცოცხლდა და გაუსვა სწავლას ხელი“.

ყველა ადამიანში და მით უფრო ბავშვების სულში მოიპოვება კეთილშობილური გრძნობები, აღმზრდელის მოვალეობაა ამ გრძნობათა გამოწვევა მოწაფეში და მათი კეთილ გზაზე წარმართვა. ამას ახერხებს ჩვენი მგოსნის მიერ დასურათებული ტიპი მასწავლებლისა და ეს ტიპი იდეალურად უნდა მიაჩნდეს ყველას, ვისაც ახალთაობის ბედ-იღბალი აბარია.

IV

ვინ არ იცის რა უნუგეშო მდგომარეობაშია ჩვენში ქალების აღზრდის საქმე. ქალი, მომავალი დედა, ოჯახის ბურჯია, მაგრამ ისეთი ბურჯი, რომლის ხელშიაც იზრდება შვილები, მომავალი თაობა. რომ დედას უფრო მეტი გავლენა აქვს შვილზე, ვიდრე მამას, ამას დამტკიცება არ უნდა. „რატომ ვჩანვარ მე შენ თვალშიო?“ – ეკითხება მუხლზე მჯდომი პატარა ბავშვი თავის დედას. „იმიტომ, რომ შენ ჩემს გულში ზიხარ და იქიდან გამოიცქირებიო“, – უპასუხებს დედა. მართლა, განა შეიძლება დედაზე უფრო სხვა ვინმე უყვარდეს ბავშვს, ან შვილზე უფრო სხვა უყვარდეს დედას თუ ეს უკანასკნელი გონებით და გრძნობით მახინჯი არსება არ არის? ყოველთვის დედის სიტყვებში, დარიგებაში მეტი სიყვარულია, ვიდრე მამისაში. ამით აიხსნება ის ნაზი და ღრმა პატივისცემით გამსჭვალული მოგონებანი, რომელთაც უკანასკნელ წუთამდის თან ატარებენ ყველა დიდებული და სახელოვანი პირები თავიანთ აღმზრდელ დედების შესახებ. დედა პირველი და საუკეთესო აღმზრდელია შვილისა. ყველა დიდებული ფილოსოფოსები აღიარებენ დედის აღზრდის უპირატესობას. „თუ გინდა ბავშვს ასწავლო, ჯერ დედას უნდა ასწავლო“. ქალებში განათლების გავრცელება იმათი ცოდნით აღჭურვა, განვითარება ქალების გონებისა და ხასიათისა უპირველესი ამოცანაა ყველა ერის ცხოვრებაში. ჩვენებური ანდაზა – „როგორიც ბერი – ისეთი ერიო“, ითქმის დედაზედაც: როგორიც დედაა – შვილიც ისეთია. ყველა დიდებულ პირებს, ვისაც კი ასე თუ ისე კარგი სახელი მოუხვეჭიათ ამ ქვეყნად, დიდებული დედებიც ჰყოლიათ. „მე ვისურვებო, – ამბობს რუსების ცნობილი პედაგოგი უშინსკი, – რომ დედამ თვითონ გამოცადოს ის ღრმა სიამოვნება, რასაც იძლევა დედის მიერ შვილის სწავლება და განვითარება, რომ მან ეს სიამოვნება სხვას არ დაუთმოსო“. „თუ თქვენ ხუთ ქალს გაზრდით, სულ ერთია ვითომ 25 კაცი გაგეზარდოს, რადგანაც ამ თქვენ გაზრდილ ქალებს შვილები ეყოლებათო“ და სხვ.

ჩვენი სახელოვანი პოეტი აკაკი არც ქალების აღზრდის საკითხს სტოვებს უყურადღებოთ. რომ მკითხველმა ნათლად დაინახოს ჩვენი საყვარელი მგოსნის შეხედულობა ამ საგანზე, აქვე მოვიყვანთ პირდაპირ მის აზრს:

„სახლი როგორც უნდა გაანათლო ელექტრონის სხივებით, თუ ოჯახში საკუთარი ცეცხლი არ ანთია და კერა გაცივებულია, სითბო არ იქნება. რაც უნდა განათლებულნი იყონ ჩვენი ქალები, თუ საკუ-

თარ ნიადაგზე ფეხი არ უდგიათ, ჩვენთვის ყოველთვის უნაყოფო და გამოუსადეგარი იქნებიან!... აბა, რა ქართველ ქალობა უნდა გასწიოს იმან, ვისაც „ქრისტე აღსდგაც“ კი ვერ ეხერხება რომ ქართულად სთქვას; ყველაფერი იცის გარდა თავის ქვეყნისა; მარაოს იჭერს ხელში, რომ მუნჯურად აალაპარაკოს და ნევსის აღება კი არ შეუძლია, რომ შვილს პერანგი გაუკეროს!... ღომი ქაშისაგან ვერ გაურჩევია და შვილი სათამაშო ლედოფალა /კუკლა/ ჰგონია? ცხადია, რომ დღევანდელი ჩვენი ქალები, ძველ ქართველ ქალებთან, იმ ნამდვილ დედებთან, მისატოლებელი კი არა, სახსენებელიც არ არიან. საჭიროა, რომ ცოტათი მაინც მივამსგავსოთ ძველებს და ისეთი სასწავლებელი დავაარსოთ, რომ ნაკლი შევუვსოთ. – „ჯერჯერობით დღევანდელ მოთხოვნილებისადაკვალად თავის შვილების გამოზრდა, მომზადება სხვადასხვა სახელმწიფო სასწავლებელში მისაღებად ოჯახშივე შეეძლოთ დედებს, სხვაგან გაუბარებლად. წარმოიდგინეთ ერთის მხრით სოფელში მშობლებისაგან მომზადებული ათი წლის ბავშვი და მეორით ათი-თერთმეტი წლისავე მეორე ყმაწვილი, სხვაგან გაბარებული მოსამზადებლად, დედის კალთას მოშორებული, უცხოების ხელში!... ერთი სულითაც და ხორცითაც მთელი იქნება და მეორე კი გატეხილი, დაკნინებული და ნაღრიბა! პირველი, რასაკვირველია, მეტს აიტანს შრომას, სადაც უნდა იყოს, უფრო მალეც შეიგნებს ყოლიფერს და დაწინაურდება. ეს ისეთი ცხადია, რომ ამაზე ბევრი ლაპარაკი საჭირო აღარ არის და მხოლოდ ერთხელ კიდევ გავიმეორებ, რომ დღევანდელი ჩვენი უვარგისობა დამახინჯებული აღზრდის ბრალია, რომელსაც მომავლისათვის ბოლო უნდა მოეღოს.

ქალები! ქალები!! და კიდევ ქალები!!! ჯერ ისინი უნდა დავაყენოთ ღვთისა და კაცის სასიამოვნო და სასარგებლო გზაზე, რომ მერე იმათაც გამოგვიზარდონ ნამდვილი ქართველები და არა მისთანა უსაქმური და მხოლოდ წარამარად მოქალაქე თავხედი კუდაბზიკები, რომელთაც არც უხნავთ როდისმე, არც უთესიათ და მხოლოდ უდროოთა და უადგილოთ ნამგალს სხვის კალოზე ატრიალებენ და „ჰოოპუნას“ ნაცვლად „ჰკა მაგასო!“ – იძახიან და უთითებენ იმათზე, ვისაც მართლა რამე უმუშავნიათ და ღვაწლი მიუძღვისთ!...“

როდესაც ეს სტრიქონები პირველად დაიბეჭდა, ზოგმა ჩვენმა ქარაფშუტა, ვითომც და მოღვაწეებმა მორთეს განგაში და მოჰყვნენ თავისებურ დასკვნას – აკაკი იდეალს წარსულში ჰხედავს და წინმსვლელობის მაგიერ უკან დახევას გვიქადაგებსო. პედაგოგიურის და ჭეშმარიტების თვალსაზრისით რომ განეხილათ აკაკის აზრი

ყველა იმ დასკვნამდის უნდა მისულიყო, რომ ხალხის განათლებას თუ საფუძვლად ეროვნული ნიადაგი არ აქვს, თუ ამ განათლებას და თავის ცხოვრებას ერი წარსულზე არ ამყარებს, აწმყოზე არ ზრუნავს და მომავალზე არ ფიქრობს, ის გადაშენების გზაზეა და ვინც ამ გზას ადგას იმათ შესახებ პოეტი სამართლიანად ამბობს:

„გადაგვარების მოსურნე ბუნებისაგან კრულია,
მისი პირადი ღირსება ყოველგან დაჩაგრულია“.

ლ. ნ. ტოლსტოის პედაგოგიური აზრები

რუსეთის შესანიშნავ მწერალს ლ. ნ. ტოლსტოის, რომელსაც წელს შეუსრულდა 80 წელიწადი, პედაგოგიურს მწერლობაშიაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ტოლსტოი არის თავისუფალი აღზრდის მოტრფიალე და მიმდევარი. თავისუფალი აღზრდა ბავშვისა ისეთი საკითხია, რომელიც არ დაუტოვებია უყურადღებოდ არცერთს ცნობილს მეცნიერს და ფილოსოფოსს, მაგრამ რუსეთში პირველად ტოლსტოიმ აღიარა „თავისუფალი აღზრდის“ იდეა. ტოლსტოი თავგამოდებით იცავს ბავშვის პიროვნებას, იძლევა განსაზღვრულ საფილოსოფო-პედაგოგიურს თეორიას, რომელიც დაფუძნებულია ბავშვის პიროვნების პატივისცემაზე. მართალია, ლ. ტოლსტოის პედაგოგიურს პრინციპებს ზოგი მოწინააღმდეგეც ჰყავდა, მაგრამ დღეს რუსეთში ყველა თავისუფალი აღზრდის მომხრენი ტოლსტოის პრინციპებს სწავლა-აღზრდის საქმეში საფუძვლიანად აღიარებენ და ამაზე ცდილობენ ააგონ რუსეთში თავისუფალი აღზრდის შენობა.

სამოციან წლებში ლ. ნ. ტოლსტოიმ მიატოვა უნივერსიტეტი, წავიდა თავის სოფელში და შეუდგა გლეხის შვილების აღზრდას, მაგრამ იასნო პოლიანსკის სკოლა დღეგრძელი არ გამოდგა. ტოლსტოის ხელს უშლიდა სხვადასხვა გარემოებანი. ამის გამო იძულებული გახდა გაშორებოდა თავის სოფელს დროებით და მხოლოდ ათი წლის შემდეგ, დიდებული მწერლის სახელით, უბრუნდება ისევ თავისი იდეების განხორციელებას. ტოლსტოის ისევ იზიდავს სკოლა და ბავშვებისადმი მხურვალე სიყვარული, მაგრამ ძმის ავადმყოფობამ, რომელიც იმ დროს საზღვარგარეთ იყო სამკურნალოდ წასული, ხელი შეუშალა შესდგომოდა ეხლა თავისი აზრების განხორციელების საქმეს. ტოლსტოი მიდის საზღვარგარეთ, მოგზაურობს ევროპაში

– გერმანიაში, ინგლისში და საფრანგეთში, ეცნობა სკოლის საქმეებს, საუბრობს ადგილობრივს საუკეთესო პედაგოგებთან. დაბრუნდა თუ არა რუსეთში ტოლსტოიმ დაუყოვნებლივ მხურვალედ მოჰკიდა ხელი სკოლის საქმეს. მასწავლებლობდა თვითონ. იგი არ კმაყოფილდება მარტო სკოლაში მუშაობით, იწყებს პედაგოგიური ჟურნალის გამოცემას და ამცნევს მკითხველებს თავისს გამოცდილებისა და დაკვირვების შედეგებს.

იმ დროს ახალი ცხოვრების განთიადიც ამობრწყინდა. თავისუფლების პირველმა სხივმა თავი ამოჰყო ცისკიდურზე, გაჰფანტა წყვდიადით მოცული არე-მარე და გააშუქა ბნელი მხარე. ბატონყმობის მძიმე უღელი იმსხვრეოდა. ცხოვრებამ უფლების ძალით წამოაყენა საკითხი გლეხთა სულიერად განთავისუფლების შესახებაც. ამ მიზნისადმი მისაღწევად ერთადერთ საშუალებად სკოლების გამრავლება და სწავლების მოწყობა იქმნა აღიარებული. ტოლსტოი იცავს „თავისუფალი სწავლების იდეას“. იგი დაუცხრომელი მტერია ყოველგვარ ძალმომრეობისა და სიცრუისა. ლ. ნ. ტოლსტოი სამართლისა და ხელშეუშლელობის პრინციპებზე აგებს სკოლაში სწავლების საქმეს. მისი სისტემა მარტივი და ცხადია, – „ნუ ჩააქრობთ ბავშვებში ცხოველ სულს“. ჩვენ ჩვენს იდეალს წინ შევყურებთ, როდესაც იგი ჩვენს უკან არისო, – ამბობს ტოლსტოი. ბავშვობის ასაკი წარმოადგენს ჰარმონიის პირველ სახეს. ბავშვებშია ყველა დიდებული დასაწყისი სიმართლისა, სიმშვენიერისა და სიკეთისა. ამიტომ ყოველგვარი ხელის შეშლა მის განვითარებაში იქნება მოზარდი სულისადმი ძალდატანება და მისი დამახინჯება.

ლ. ნ. ტოლსტოის სკოლაში მოწაფეებმა არ იცოდნენ რას ჰქვიოდა „გაკვეთილები“. იმათ გაკვეთილებს არ აძლევდნენ, არ ეუბნებოდნენ „აქედან აქამდის დაისწავლეთო“. ბავშვები მოდიოდნენ სკოლაში და მიდიოდნენ სახლში, როცა მათ სურდათ, ყურს უგდებდენ იმას, რაც მათ აინტერესებდათ და მოსწონდათ. ჩვენ არ შეგვიძლია არ მოვიყვანოთ აქ ტოლსტოის ნაწერებიდან ერთი ადგილი, რომელიც ცოცხლად აქვს დასურათებული დიდებულს მწერალს. მეორე თუ მესამე გაკვეთილის შემდეგ, ნასადილევს, ორი თუ სამი ბავშვი შემორბიან ოთახში, იღებენ ქუდებს და აპირებენ სახლში წასვლას. „რა ამბავია? – შინ მივდივართ. – სწავლა? – ეხლა გალობაა! – ბავშვები ამბობენ შინ წავიდეთო, დაუმატა ერთმა ბავშვმა და თან მოემზადა გამძვრალიყო. – როგორ იქნება ასე? – ჰკითხავს განცვიფრებული მასწავლებელი. დარჩით!!! მაგრამ ამ დროს ოთახში შე-

მოვარდება სხვა ყმაწვილი ანთებულის, ნაღვლიანის სახით: რაღას სდგეხართ? – გაჯავრებით ეუბნება დაკავებულს ამხანაგს: ბავშვები აი, სად არიან, სამჭედლოს მიუახლოვდნენ. – წავიდნენ? – წავიდნენ. ორნივე ფიცხლავ გამორბიან კლასიდან და კარებიდან იძახიან: მშვიდობით, ივანე ივანეს ძევ! ან ვინ არიან ის ბავშვები, რომელთაც გადასწყვიტეს შინ წასვლა, ან როგორ გადაწყვიტეს? ღმერთმა უწყის იმათი საქმე. ვინ გადასწყვიტა იმას ვერას გზით ვერ იპოვით. ბავშვები მიდიან, ჩაიბრახუნეს კიბის საფეხურებზე, ზოგი ყირამალა გადაკოტრიალდა კიბის საფეხურებიდან, ჩაგორდა თოვლში, ფიცხლავ წამოხტა, ერთმანეთს ეცილებიან გაასწრონ ვიწრო გზით, ყვირილით გარბიან ბავშვები სახლისკენ“.

ამ თავის შეხედულობას თავისუფალ აღზრდაზე ლ. ნ. ტოლსტოი იმეორებს შემდეგშიაც, უფრო გვიან, ერთს კერძო წერილში, რომელიც უკანასკნელ ხანებში იქმნა გამოქვეყნებული. „თუმცა ძლიერ გვეუცხოვება, – სწერს იგი, – რადგან დუხჭირად გვაქვს განათლების საქმე დაყენებული, მაგრამ სრული თავისუფლება სწავლებისა ე. ი. რომ მოწაფეები როცა უნდათ თვითონ მოდიოდნენ სასწავლებლად, შეადგენს ყოველგვარ ნაყოფიერი სწავლების აუცილებელს და უსაჭიროესს პირობას, ისე, როგორც აუცილებელ პირობას საზრდოებისას შეადგენს ის, რომ ვინც საზრდოობს მას ჭამა უნდოდეს. ტოლსტოის სკოლაში, რასაკვირველია, ბავშვის დასჯას ადგილი არ ჰქონდა. „ბავშვების ბუნება, როგორც მარტივი და დამოუკიდებელი ადამიანებისა, – ამბობს ტოლსტოი, – უნდა დარჩეს წმინდათ თვით მოტყუების და დასჯის კანონიერების უსამართლო რწმენის გარეშე, იმ რწმენისა და თავის მოტყუებისა, რომ ჯავრის ამოყრის გრძნობა სამართლიანი ხდება, როგორც კი მას დასჯას ვუწოდებთ“.

ლ. ნ. ტოლსტოის წარმოდგენილი ჰქონდა, რომ მას ჩვეულებრივ პასუხს გასცემდნენ. მოწაფეების თავისუფლად ყოფაქცევის დროს მასწავლებელს არ შეეძლება მოუაროს კლასს და დავთარი აერევაო. ამაზე ტოლსტოი ასეთს პასუხს იძლევა: „სიძნელე წარმოგვიდგება მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან თავი დავაღწიოთ ძველს შეხედულობას სკოლაზე, როგორც გაწვრთნილ ჯარისკაცებზე, რომელსაც დღეს ერთი უფროსობს, ხვალ მეორე. მასწავლებლისათვის, რომელიც შესისხლხორცებია სკოლის თავისუფლებას, თითოეული მოწაფე წარმოადგენს განსაკუთრებულს ხასიათს, რომელიც იჩენს განსაკუთრებულ მოთხოვნილებებსა. ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება კი შეუძლიან თავისუფალ არჩევას. მხოლოდ თავი-

სუფალი არჩევით შეიძლება მოვსპოთ ჩვეულებრივი მოვლენა, შეზიზღება საგნებისა, რომელიც თავის დროზე და თავისუფლად რომ ისწავლებოდეს, საყვარელი შეიქნებოდა. მხოლოდ თავისუფალ სწავლების დროს შეიძლება გამოირკვეს თუ რომელ სპეციალობისკენ იჩენს მიდრეკილებას ესა თუ ის ბავშვი. მხოლოდ თავისუფლება არ არღვევს აღმზრდელობითს გავლენას“. ამიტომაც არც შეიძლება რომელიმე განსაზღვრული მეთოდი სწავლებისა აღიარებული იქმნას ერთადერთ საუკეთესოდ და მიზნის შესაფერისად. სკოლაში სწავლება თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი წინასწარ იდეებისაგან, ხელოვნურად შედგენილი „პროგრამებისაგან“, რომელსაც გარედან ახვევენ. სკოლა არის პედაგოგიური ლაბორატორია და მხოლოდ მაშინ, როცა სკოლა ნამდვილად ასეთი შეიქმნება, – ის არ ჩამორჩება საზოგადო პროგრესს და ამნაირ ცდას შეუძლია მკვიდრი საფუძველი ჩაუდგას განათლების მეცნიერებას.

საუკეთესო მეთოდი იქნება ის, როცა მასწავლებელსა და მოწაფეთა შორის ჩამოვარდება ძალდაუტანებელი დამოკიდებულება, როცა მოწაფეები ხარბად იტაცებენ მასწავლებლის სიტყვებს და თავისუფალნი არიან აზროვნებისა და ყოფაქცევის სახეში. აქედან ცხადია ტოლსტოის უარმყოფელობითი დამოკიდებულება არსებულ სასკოლო „სისტემასთან“. ჯერ კიდევ 1862 წელს ლ. ნ. ტოლსტოი სრულს წინააღმდეგობას აცხადებს იმ სასკოლო პროექტების შესახებ, რომლითაც მთავრობას უნდოდა სახალხო სკოლების ხელში ჩაგდება. ამის შესახებ, სხვათა შორის, ტოლსტოი სამართლიანად შენიშნავს, რომ ბრძენ მოხელეებს, რომელთაც შემოუვლიათ გერმანია და ადგენენ განსაზღვრულ პროგრამებს სახალხო სკოლებისათვის, ცხადია, აზრადაც არ მოსდით, რომ გაცილებით უკეთესი იქნებოდა „თვით ხალხს, რომელსაც ეხება პროექტის საქმე, თვისი წარმომადგენლების საშუალებით შეედგინა თავისივე სისტემა განათლებისა“. ამ მოსაზრებით ტოლსტოი ჰგმობს საშუალო სკოლასაც და უნივერსიტეტსაც, რომელიც იძლევა სხვადასხვა უფლებებს და პრივილეგიებს თავისი ლექციებით, რომლის შესახებაც კრინტის დაძვრა აკრძალულია იმ დოგმატის ძალით, „რომ პროფესორებიც რომის პაპასებრ უცოდველნი არიანო“.

„ის, რასაც ჩვენ განათლებას ვეძახით, – სწერს ტოლსტოი, – ნახევარზე მეტს ბოროტებას და სიცრუეს შეიცავს. ამიტომაც რამდენადაც შორს ვუდგევართ იმ განათლებას, რასაც იძლევა ჩვენი სასწავლებლები, იმდენად უკეთესია ბავშვისთვის... საზოგადოებრივი

აღზრდა, როგორც ის სწარმოებს ჩვენში, პირდაპირ მიმართულია და ძლიერ ხელოვნურადაც მოწყობილი ბავშვის ზნეობრივად დასამახინჯებლად“.

და მართლაც, შეხედეთ ერთსა და იმავე ბავშვს ოჯახში, ქუჩაზე ან სკოლაში; ხან თქვენ ხედავთ სიცოცხლით სავსეს, ცოდნისმოყვარულ არსებას, რომელსაც ღიმი უქრის თვალებში და ტუჩებზე, ყველაფერში ეძებს სასიამოვნო ცოდნას; ხან ხედავთ დატანჯულს, მოკრუნჩხულს არსებას, მოქანცულობის, შიშის და მოწყენილობის გამომეტყველებით, რომელიც იმეორებს მარტო ტუჩებით სხვის სიტყვებს, სხვის ენაზე, ხედავთ არსებას, რომელსაც თავისი სული სადღაც მიუმალავს, როგორც ლოკოკინა მიიმალება თავის სადაფში. ძნელი გასაგები არ არის თუ ამ მდგომარეობაში რომელი უფრო სასარგებლოა ბავშვის სულიერად აღზრდისათვის.

ლ. ნ. ტოლსტოი ეხება შინაური აღზრდის საკითხსაც და უჩვენებს, რომ კარგი აღზრდის პირველი პირობა ის არის „ბავშვმა იცოდეს, რომ ყველაფერი, რითაც სარგებლობს, მზამზარეულად ზეციდან არ ცვივა, არამედ სხვა ხალხის შრომის ნაყოფს შეადგენს“. მშობლის პირადი მაგალითი დიდს როლს ასრულებს ბავშვის აღზრდის საქმეში. „აღზრდა გვეჩვენება რთულ და ძნელ საქმედ იმ დრომდის, ვიდრე ჩვენ გვინდა, თავისი თავის აღუზრდელად აღვზარდოთ ჩვენი შვილები ან სხვა ვინმე“. ამიტომ მართლად და სერიოზულად თავის დაჭერა ბავშვებთან, არ დაფარვა იმისი, რაც სულში ხდება, შეადგენს ერთადერთს აღზრდას. ერთს თავის მეგობართან მიწერილს ბარათში ტოლსტოი გამოსთქვამს თავისს შეხედულობას, ერთს, მისივე სიტყვით, ძნელ საკითხზე – რელიგიურ აღზრდის შესახებ.

საზოგადოთ აღზრდაში, – სწერს იგი, – როგორც ფიზიკურს, ისე გონებრივშიაც, ჩემის აზრით, უმთავრესია რომ ძალდატანებით არაფერი არ მოახვიოთ თავზე ბავშვს, არამედ შეურჩიოთ დრო და პასუხი მისცეთ მასში აღორძინებულს მოთხოვნილებაზე. მით უფრო საჭიროა ეს აღზრდის უმთავრეს საგანში – სარწმუნოებრივ აღზრდის საქმეში. როგორც უსარგებლო და მავნებელია ბავშვისთვის საზრდოს მიწოდება როცა მას არ ჰშიან ან გადაცემა ცოდნისა იმ საგნებიდან, რომელიც მას არ აინტერესებს ან არ სჭირდება. აგრეთვე უფრო მეტად მავნებელია ბავშვისათვის შთაგონება რომელიმე სარწმუნოებრივი ცნებისა, რომლის შესახებაც ის არ გეკითხებათ... საჭიროა მხოლოდ სრულის სიმართლით გასცეთ პასუხი ბავშვს მის შეკითხვებზე... თუ თქვენ გსურთ ჩემგან უფრო განსაზღვრული რჩევა

იმის შესახებ თუ რა უნდა მისცეთ ბავშვს ხელში წასაკითხად სარწმუ-ნოებრივად აღზრდისათვის, მე მგონია არ უნდა დავჯერდეთ მარტო ერთი სარწმუნოების შინაარსის ნაწერებს, ჩვენში ქრისტიანულს მოძღვრებას ქრისტიანული მოძღვრების ლიტერატურასთან ერთად უნდა ვისარგებლოთ ბუდდას, ბრამინის, კონფუციის და ებრაელთა სარწმუნოებრივი ლიტერატურითაც“.

ასეთია საზოგადოდ ლევ. ტოლსტოის პედაგოგიური იდეები. შე-იძლება ზოგიერთ აზრებში ლ. ტოლსტოის ვინმე არ დაეთანხმოს, მა-გრამ უეჭველია, რომ მისი შეხედულობა წინ გვიყენებს სასტიკს და მთლიან თეორიას სწავლა-აღზრდის საქმეში ბავშვის პიროვნების უსაზღვრო პატივისცემის საფუძველზე. თვითონ ტოლსტოიმ თავის სკოლაში გამოცდილებით შეუკავშირა თეორია საქმიანობას და ამ ცდის საშუალებით დაამტკიცა, რომ სწავლების საუკეთესო მეთოდი იქნება ის, როცა მასწავლებელი მოწაფის ბუნებაში ეძებს ჩვენებას, ნაზი ყურთასმენით იგნებს მის მოთხოვნილებას, მისწრაფებას და მი-დრეკილებას. დღეს რუსული პრესსაც მხარს უჭერს ლევ ტოლსტოის იდეებს სწავლა-აღზრდის შესახებ. მრავალი წერილები იბეჭდება რუსულ პედაგოგიურს ჟურნალებშიაც. ლ. ნ. ტოლსტოის ბევრი პე-დაგოგიური აზრები დღემდის მიჩრდილული იყო. მის გამომზევებას ყოველგვარ ღონისძიებით სდევნიდნენ, მაგრამ დღეს, დღევანდელს მომენტში ტოლსტოის პედაგოგიური აზრები განსაკუთრებულ ღირე-ბულებას და ინტერესს ღებულობს. ამით უნდა ისარგებლოს ყველა მასწავლებელმა, აღმზრდელმა და მშობელმა. სკოლების ძირითადი რეფორმის საკითხი წამოყენებულია. დიდებული გენიოსი და მასწა-ვლებელი ცხოვრებისა – ლევ ტოლსტოი მოზარდ თაობის სწავლა-ა-ღზრდის საქმეშიაც გვიწვევს საღი მიმართულებისკენ, რომელსაც უნდა მივჰყვეთ ამ სერიოზული საკითხის გადაწყვეტაში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. „მიხეილ ზაალის ძე ყიფიანის ხსოვნას /წერილი კავკავიდგან/“. ხელმოუწერელია. „ივერია“, 1901 წ. № 54.

2. „სასურველი ანდერძი“. - კახაბერი „ივერია“, 1901 წ. № 78.

3. „კავკაველ ქართველების საზოგადო კრება“. – კახაბერი „ივერია“, 1901 წ. № 127.

4. „По вопросу об образовании инородцев“. – Л. Боцвадзе Газ. «НоВое Обозрение», 1901 г. № 5722, 5723.

5. „ბ-ნ პ. გოთუას „ღია წერილის“ გამო – კავკავის სკოლის უფროსი მასწავლებელი“. „ცნ. ფურცელი“, 1901 წ. № 1655.

6. «Неестественность «естественного» метода в деле обучения языкам». Л. Г. Боцвадзею «Вестник Воспитания», 1902 г. № 5.

7. „კავკასია. მეთვალყურის შენიშვნები /წერილი კავკავიდგან/. წიგნით ვაჭრობის საქმე. – ხელოსანთა ურთიერთ-შორისი დამხმარებელი ამხანაგობა. – საკვირაო სკოლა მოზრდილთათვის. – სახალხო სეირნობა და თეატრი“. – ხელმოუწერელია. „ივერია“, 1902 წ. № 203.

8. „კავკასია. მეთვალყურის შენიშვნები /წერილი კავკავიდგან/. – სახალხო სეირნობა; კიდევ საკვირაო სკოლის შესახებ; ძველი განზრახულობა კავკავის სკოლასთან საკომერციო განყოფილების დაარსებისა და მისი შეუსრულებლობა“. – ხელმოუწერელია. „ივერია“, 1902 წ. № 219.

9. „ჩვენებური ამბები. მეთვალყურის შენიშვნები /წერილი კავკავიდგან/. – საზოგადო კრება კავკაველ ქართველებისა. – არჩევანი კავკავის სკოლის სამზრუნველოს ახალი წევრებისა. – შეუსაბამო აზრი საზოგადოების ერთის წევრისა. – საკვირაო სკოლის საქმე და საკვირაო საქალებო სკოლა“. – ხელმოუწერელია. „ივერია“, 1902 წ. № 239.

10. „ქართული სახალხო წარმოდგენა /წერილი კავკავიდგან/“. – ხელმოუწერელია. „ივერია“, 1903 წ. № 41.

11. „ქართული წარმოდგენა კავკავში. /წერილი კავკავიდგან/“ – ხელმოუწერელია. „ივერია“, 1903 წ. № 75.

12. „თეატრი და ხელოვნება“. – კახაბერი. „ივერია“, 1903 წ. № 145.

13. „კავკასია“. – კახაბერი. „ივერია“, 1903 წ. № 162.

14. „მოკლე ანგარიში ბ-ნ დ. ზ. სარაჯიშვილის კავკავის სპირტის სახ-დელ ქარხანასთან მუშათათვის დაარსებულ საკვირაო სკოლისა /1897-1902 წ./“ – მასწავლებელი ლ. ბოცვაძე „ივერია“, 1903 წ. № 177-178.

15. საუბარი სახალხო სკოლებზე /ბ-ნის ივანე როსტომაშვილის წერი-ლის გამო/“. – ხელმოუწერელია. „ივერია“, 1903 წ. № 182, 187, 188, 189.

16. „ქართველთა გასომხება /წერილი რედაქციის მიმართ/“ – ლასი. „ივერია“, 1904 წ. № 12.

17. „თეატრი და ხელოვნება“. – კახაბერი. „ივერია“, 1904 წ. № 25.

18. „ჟურნალ „მოგზაურის“ პედაგოგიური ნაწილი“. – ლ. ბოცვაძე. „ივერია“ 1904 წ. № № 206, 209, 212, 214, 215, 223, 228, 233.

19. „კორესპონდენცია“. – კახაბერი. „ივერია“, 1905 წ. № 57.

20. „სასკოლო საქმე“. – ბ. „ივერია“, 1905 წ. № 160.

21. „საბავშვო თეატრი“. – ლ. ბოცვაძე. „ნაკადული, /მოზრდილთათ-ვის, 1905 წ. № № 8.

22. „კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. „სკოლებში შესასწავლი ქართველი მწერლები. წიგნი პირველი, შედგენილი ივ. გომელაურის მიერ“. – ლ. ბოცვაძე. გაზ. „მეგობარი“, 1906 წ. № 4.

23. „მცირე შენიშვნა. /სახალხო სკოლების მასწავლებელთა საყურა-დღებოდ/. ლ. ბოცვაძე. გაზ. „მეგობარი“, 1906 წ. № 6.

24. „პიროვნების თავისუფლება“. – ლ. ბოცვაძე. გაზ. „მეგობარი“, 1906 წ. № 37-38.

25. „ბიბლიოგრაფია. „ქართული გრამატიკა“ მ. ჯანაშვილისა“. ლ. ბო-ცვაძე. გაზ. „მეგობარი“, 1906 წ. № 43.

26. „მცირე შენიშვნა. /ჟურნალ „ნაკადულის“ შესახებ/“ – კახაბერი. გაზ. „მეგობარი“, 1906 წ. № 71.

27. „ჟურნალი „ნაკადული“ და ჩვენი საბავშვო მწერლობა /კრიტი-კული შენიშვნა/“. – ხელმოუწერელია. გაზ. „შრომა“, 1906 წ. № 51.

28. „სრულიად რუსეთის კავშირი მასწავლებელთა და სახალხო გა-ნათლების მომხრეთა“. – ლ. ბოცვაძე. „გაზ. „შრომა“, 1906 წ. № 80.

29. „ბიბლიოგრაფია. ჟურნალ „ნაკადულის“ პედაგოგიური დამატება“. – ლ. ბოცვაძე. გაზ. „შრომა“, 1906 წ. № 82.

30. „პირველი საზრუნავი საგანი „წერა-კითხვის საზოგადოების“ გა-მგეობისა“. /წერ. რედ. მიმ./ – ლ. ბოცვაძე. გაზ. „ისარი“, 1907 წ. № 218.

31. „ყოლამრეზა ხუციშვილი“ /ნეკროლოგი/. – ლ. ბოცვაძე. გაზ. „ისარი“, 1907 წ. № 220.

32. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას“. 24 ივლისი, 1907 წ. ქ. თფილისი. – ლ. ბოცვაძე. საქ. რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფ. 481, აღწ. 1, № 1017.

33. „მოხსენება ძველი სენაკის, ბათუმისა და წინარეხის სკოლების შესახებ“. საზოგადოების წევრი ლ. გ. ბოცვაძე, 9 ივნისს, 1907 წელს. – საქ. რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფ. 481, აღწ. 1, № 899.

34. „ბათუმისა და ძველი სენაკის სკოლების რევიზიის შესახებ.“ გამგეობის წევრი – ლ. ბოცვაძე. 12 ივნისი, 1908 წ. – საქ. რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფ. 481, აღწ. 1, საქმე № 1064. /გამოქვეყნდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოქმედების ანგარიშში /1908 წ. /“ 1909 წელს. – ზ. ბ./

35. „პროვინცია. იმერეთი“. – ლ. ბ. გაზ. „ეკალი“, 1908 წ. № 24.

36. „განათლება ძალაა“. – ჟ. „განათლება“, 1908 წ. № 1.

37. „უცხოეთის მიმოხილვა. სწავლა-აღზრდის საქმეები უცხოეთში. /ჟურნალ-გაზეთებიდან/. – წერა-კითხვის უმეცარნი ბელგიაში. – მანიფესტაცია სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ. – წინაპართა თაყვანის ცემა იაპონიაში. – განათლება და ზნეობრივი აღზრდა იაპონიაში. – საფრანგეთის მასწავლებლების მონაწილეობის მიღება სკოლის საქმეების მართვა-გამგეობაში. – სტატისტიკური ცნობები სწავლა-განათლების შესახებ უცხოეთში. – ხელმოუწერელია. „განათლება“, 1908 წ. № 1.

38. „დედა ენა, როგორც საფუძველი სწავლებისა“. – ხელმოუწერელია. „განათლება“, 1908 წ. № 1.

39. „ბოლგარია. სახალხო მასწავლებლები და მათი კავშირი“. – ლ. ბ-ძე. „განათლება“, 1908 წ. № 1.

40. „რუსეთის ცხოვრებიდან. – არა რუსთა სკოლების მდგომარეობა ბალტიის მხარეში; გამოურკვევლობა სკოლებში; პოლონეთის „მატიცა“ და მისი ბედი; სკარჟინსკის სიტყვა პოლონეთის „მატიცას“ შესახებ; უკრაინელების ბრძოლა ეროვნული სკოლებისათვის; ფედერატიული კავშირი მასწავლებლებისა; რუსეთის მოწინავე საზოგადოების აზრი ნაციონალური სკოლების შესახებ წინააღმდეგ რუსთა ცრუ პატრიოტებისა. სტატისტიკური ცნობები რუსეთში სწავლა-განათლების საქმის შესახებ.“ – ხელმოუწერელია. „განათლება“, 1908 წ. № 1.

41. „კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. მოკლე საუბარი თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს პირველ- დაწყებითი კურსი გეოგრაფიისა სამშობლოს აღწერის სანიმუშო პროგრამით ალ. ჭიჭინაძისა“; ქუთაისი, 1907 წ. ფასი 20კაპ. - ლას-ბან. „განათლება“, 1908 წ. № 1.

42. „არითმეტიკულ ამოცანათა და რიცხვითი მაგალითების კრებული“. ნაწ. 1. შედგენილი ე. ხრამელაშვილის მიერ. ტფილისი. 1906 წ. ფასი 20 კაპ. – ლას-ბანი „განათლება“, 1908 წ. № 1.

43. „შინაური მიმოხილვა“. – საჯარო კითხვები ქართულ ენაზე და ჩვენი პროფესორები. – სამეურნეო სწავლა-განათლება საქართველოში. – სახალხო უნივერსიტეტი და ქართული სექცია. – ხელმოუწერელია. „განათლება“, 1908 წ. № 2.

44. „რუსეთის ცხოვრებიდან. პედაგოგიური პრესა რუსეთში 1907 წ. – ახალი სკოლა და თავისუფალი აღზრდა. ბესარაბიის მოლდავანები და მათი მოთხოვნილება ეროვნული სკოლების დაარსების შესახებ. პ. დიჩესკულის მოხსენება სახალხო განათლების განათლების სამინისტროში ამავე საგნის შესახებ. წესდება და გაკვეთილების ცხრილი, გამოცემული სახალხო განათლების სამინისტროს მიერ არა რუსთა სკოლებისათვის.“ – ლ. ბ. „განათლება“, 1908 წ. № 2.

45. „უცხოეთის მიმოხილვა /ჟურნალ-გაზეთებიდან/. ფრანგების მასწავლებლები ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების საკითხის შესახებ. – ნორვეგიის მასწავლებელთა კავშირი. – პარიზის დასაწყისი სკოლები. ახალი რუსული საშუალო სკოლა ჟენევაში. – ბრძოლა ინგლისში სასულიერო და სამინისტრო მთავრობათა შორის სკოლების შესახებ. – საშუალო სკოლის რეფორმა ავსტრიაში. – თამბაქოს წევის მავნებლობა მოწაფეთა შორის“. – ლას-ბანი. „განათლება“, 1908 წ. № 2.

46. „არითმეტიკული ამოცანების სწავლების წესი დასაწყისს სკოლებში“. – ლ. ბ-ძე. „განათლება“, 1908 წ. № 3-4.

47. „ქართველ მასწავლებელთა შორის. დღევანდელი პირობები. – სახალხო მასწავლებელთა აზრი დედაენით სწავლების შესახებ. – მათივე აზრი რუსული ენის სწავლებისა და რუსული ენის სახელმძღვანელოების შესახებ. – თბილისის დასაწყის საქალაქო სკოლების პროგრამის გამო.“ – ლას-ბანი. „განათლება“, 1908 წ. № 3-4.

48. „შინაური მიმოხილვა. სამრევლო სკოლები. – სახალხო უნივერსიტეტები. – ქართველ სტუდენტთა კავშირი. – სოფლად მუშაობა. – მასწავლებელთა კრებები. – ლექციები მასწავლებელთათვის. – ქართული ენა სასულიერო სემინარიაში“. – ხელმოუწერელია. „განათლება“, 1908 წ. № 3-4.

49. „რუსეთის ცხოვრებიდან. ამურის რკინის გზის პროექტი სათათბიროში. – კამათი საერთო განათლების შესახებ. – სათათბიროს მოქმედების ხასიათი და ოქტომბრისტებს შორის უთანხმოება. – თანამედროვე მდგომარეობა“. – ხელმოუწერელია. „განათლება“, № 3-4.

50. „ენა და ეროვნება“. – ლ. ბო-ძე. „განათლება“, 1908 წ. № 5-6.

51. შინაური მიმოხილვა. ქართველი საზოგადოება მოსკოვში. ყაზბეგის ქალთა სკოლა. ვაჭრების მონაწილეობა „წერა-კითხვის საზოგადოების“ საქმეში. სახალხო უნივერსიტეტი ჭიათურაში. საღამოობით კურსები ბათუმში. ქართველები სამასწავლებლო ინსტიტუტში და სემინარიაში. სახალხო სკოლების მასწავლებელთა განცხადება. „ქართული სამკურნალო ჟურნალი“ და ჩვენი ექიმები. ქართული სკოლის საჭიროება სპარსეთში“. – ხელმოუწერელია. „განათლება“, 1908 წ. № 5-6.

52. „უცხოეთის მიმოხილვა /ჟურნალ-გაზეთებიდან/. – უკანასკნელი სტატისტიკური ცნობები ამერიკის სკოლების შესახებ და მიზეზი სკოლის %% დაკლებისა. საზოგადო დებულებითი მხარე ამერიკის სკოლებისა. არითმეტიკის სწავლება დასაწყისს სკოლებში ამერიკული სისტემით. საკითხი მიწის შემუშავების შესახებ საფრანგეთის დასაწყისს სკოლებში. დასაწყისი განათლება სერბიაში. პარიზისა და ბერლინის დასაწყისი სკოლები. გამოკვლევა ექსპერიმენტარულ პედაგოგიაში. სკოლა ტყეში.“ – ხელმოუწერელია. „განათლება“, 1908 წ. № 5-6.

53. „ქართული წერის დედანი, შედგენილი ალ. მირიანაშვილის მიერ.“ ფასი 40 კაპ., სახატავი ნიმუშები და ქართული წერის დედანი ს. დათეშიძისა. 1907 წ. ფასი 20 კაპ. – ლ. ბ-ძე „განათლება“, 1908 წ. № 5-6.

54. „რედაქციისაგან“. – ხელმოუწერელია. „განათლება“, 1908 წ. № 7-8.

55. „ედმონდო დე-ამიჩისი“. – ლ. ბ. „განათლება“, 1908 წ. № 7-8.

56. „მასწავლებლის თავ-გადასავალი“. – ლ. ბ-ძე. „განათლება“, 1908 წ. № 7-8.

57. „თავისუფალი აღზრდა ბავშვის პსიხოლოგიის მიხედვით“. – ხელმოუწერელია. „განათლება“, 1908 წ. № 7-8.

58. „აკაკის პედაგოგიური აზრების მოკლე მიმოხილვა“. – ხელმოუწერელია. „განათლება“, 1908 წ. № 7-8.

59. „ლ. ნ. ტოლსტოის პედაგოგიური აზრები“. – Ignotus. „განათლება“, 1908 წ. № 7-8.

სახელთა საძიებელი

ა

აბაშიძე 75, 170
ავალიშვილი, არჩილ 50, 51, 52, 53, 77
აკაკი 83, 107, 419, 420, 421, 427, 431, 434, 435
ალექსანდრე II 115
ალჩევსკი 105
ანაკრეონი 185
ანასტასიევი 222
Анастасиев 13
ანდრონიკაშვილი, ელ. 49, 50, 51, 53
ართმელაძე, ტ. 99
არისტოტელე 189
არხიტისი 427

ბ

ბარათაშვილი, ნ. 107
ბარათაშვილი, გ. 9
ბარისოვი 77
ბაქრაძე, ილ. 9
ბელინსკი 218
ბელოუსოვი 309
Бен 27
Берлиц 23
ბერტელო 361
ბიუფონი 320
Бобровников 11, 14, 25
ბოღდანოვი 158
ბოძიევი, ვ. ი. 53
ბროკ-ჰაუსი 233
ბუბლიკოვი 177
ბუკრინსკი 98, 99
ბურდული 49, 53
ბურდული, ა. 53
ბურდული, გიორგი 8
ბურდული, გრიგოლი 8

გ

გაბისონია, ი. 51
გალლი, ფაუსტინა 382, 393
გამსახურდია 175
გამსახურდია, გიორგი 140
გამსახურდია, რაჟდენ 141, 142, 143, 172
გარდავაძე 162
გელაზანია, ბარნაბა 149, 162
გვარამაძე, ე. 51, 77
გველესიანი 75
გილდებრანდი, რუდოლფ 204, 205, 206, 207, 208, 210, 211, 212, 214, 215, 216, 219, 220, 221, 222
გიოტე 216, 320, 335, 428
გიუნაშვილი, ივანე 155
გიუნე, ჟიული 367
გლეი 201
გოლდებრანდი 218
გოლდენბერგი 145, 152, 153, 169, 176, 177, 284
გოგებაშვილი, ი. 18, 59, 87, 92, 146, 152, 177, 179, 204, 290
Гогебашвили 15
გოგოლი 320
გოგოლაშვილი, ივლიანე 162, 171
გოთუა, პ. 8, 9, 10, 18, 20, 162
გომელაური, ივ. 106, 107, 108, 109
გორბუნოვ-პოსადოვი 256
Готлиб 23
გრადოვსკი 316
გრიგორიევი 290
გრიმი, იაკობ 206
გურიელი, მამია 107
Гуэн 23

დ

დადიანი, გრიგოლ 147
დავითაშვილი 107
დათეშიძე, ს. 372
დარვინი 318, 330
დე-ამიჩისი, ედმონდო 375, 376, 389, 393
დევინა 201
დელლი 392, 393
დემო 195
დეკარტი 331
დე-პიკი 126
დიკენსი 327
დისტერვეგი 81, 85, 191
დიჩესკული, პ. 254, 261
დუჩაიძე 75

ე

Егинац 23
ევტუშევსკი 156, 244
ელიაძე, სტ. 49, 50, 52, 55, 56
ელერდაშვილი, ის. 9
ერისთავი, დ. 51

ვ

ვაჟა ფშაველა 107
ვახტეროვი, ვ. პ. 255
ვერბკე 365, 366, 367
ვიატსკი 233
ვირენუსი 74
ვიტტე 306
ვოდოვოზოვი, ვ. 239
ვოლტერი 331
ვორონოვი 65
ვუნდტი 317

ზ

ზირაქოვი, ვ. 51
ზიუკოვი 73

თ

თულაშვილი, ი. 339
თუმანიშვილი 127
თხელიძე, მ. 53, 77

ი

ივანენკო 293
ილია 83, 136, 337, 338
Ильинский, Н. И. 13,
Ильминский, Н. И. 30
იოსელიანი, გ. 18, 19, 144, 164
იოშიდა 196, 199

კ

კალანდარიშვილი, მოსე ანთიმოზის ძე 8
კანტი 324, 331
Каррэ 23, 30
კარიჭაშვილი, დ. 126
კასატკინი 68, 69
კაჭკაჭოვი, შალვა 153
კახაევი 9
კახიანი, კ. 53, 77
კახიძე, ტ. 8, 9
კეჟერაძე 170
კვიჟინაძე, მაკ. 9
კიკნაძე 8
კიკუში 195
კლაუსონ-კაასი 69
კლინტოკი 276
კნებელი 147
კოვალევსკი 308, 309
კოკოვცევი 312, 313
კოლო 310, 311, 312
კომენსკი 81
Коменский, Амос 12
კორნეევი 151
კორხანიდი 146
კრილოვი 146
კურდღელაშვილი, ნ. 51, 52, 77

ლ

ლატი 288, 365, 367
ლაფატერი 427
ლეი 368
Лемуан, Альберт 23
ლოლუა, ვლადიმერ 181
ლომაური, გ. 107, 339
ლომინაძე 170
ლომიძე 75
ლოპატინი 331
ლორთქიფანიძე, ი. მ. 45, 52
ლორთქიფანიძე, ლიუბა 49
ლორთქიფანიძე, პ. 144, 172, 173
ლუკაშევიჩი, კ. 105

მ

მაისურაძე, ი. 8, 9
მალინინი 151, 154
მარსელი 401
მარქსი 330
მაყაშვილი, გ. 339
მგელაძე, ალექსანდრე 152, 153, 162
მეგარი 384, 385, 386
მენაბდე, იასონ 137
მესხიევი, ივ. 51
მესხიშვილი, ივანე 7
მეფურნიშვილი, პ. 8
მეფურნიშვილი, ს. 9
მილი, სტუარტ 184
მილიუკოვი, პ. 315
მილოში 363
მირიანაშვილი, ალ. 370, 371, 372, 373
მოზდოკელიშვილი, ოლღა 49, 50, 51
მოსიძე, ნინა 108
მუჩაიძე 75

ნ

ნაკაშიძე 170
ნაპოლეონი 316
ნასიძე, მ. 88
ნინოშვილი, ეგნ. 152
ნიცშე 376

ო

ოდოევი 291
ოვსიანიკოვ-კულიკოვსკი 318, 322
ოზეროვი, ი. 202
ონიკაშვილი 137, 138
ორბელიანი, ვახტანგ და გრიგოლ 107
ოსტროგორსკი 88, 108
ოტიაშვილი, ვ. 49, 50, 51, 53
ოყროშიძე, დომენტი 140, 141, 142, 143, 144, 172, 173

პ

პალმერი 85
Перрен, Альфред 24, 25, 26, 28
Перрен, Г. 22
პერნესტოფერი 275
პესტალოცი 80, 81, 196, 256, 388
პეტრიაშვილი, ვასილ 349
პოდოლინსკი 213
პოლბერი 170
პოპოვი, სტ. იაკ. 8
პოტებნია, ა. 319, 320, 322
პუშკინი 322

ჟ

ჟაკოტო 90
ჟანე, პიერ 401, 402, 403

რ

რადლოვი, ე. 331
რაზიკაშვილი, თ. 107
რაიმონი, დიუბუა 318
რამიშვილი 162
რამიშვილი, რაფიელ 150

რატტი 377, 378, 379, 380, 381, 382, 383, 384, 385, 386, 387, 388, 389, 390, 391, 392, 393, 394
რახმანოვი, ვ. 395
რენანი 328, 331
რიბო 330
რიხტერი 206
როდიჩევი 306
როლლენგაგენი 219
როუდესტვენი 222
როუი 126
როსტომაშვილი, ივანე 63, 64, 70, 71, 72, 73, 74, 86, 88, 89
რჟონდი 310, 311
რუზველტი 354
რუსსო 256, 260, 369, 432
Руссо, Ж. 23

ს

სამოკვასოვი 427
სარაჯიშვილი, ალ. პეტ. 56, 62, 78
სარაჯიშვილი, დ. ზ. 56, 59, 60, 62, 63, 337
სელიხოვი 101
სეჩენევი 318
სიდამონოვ-ერისთავი, ეროთეოს 8
სიმონი, ჟიულ 307
სკანდელი, ნ. 250
სკარჟინსკი 234, 235
სლინკო 355, 356, 357, 359
Соколова, Д. 164
სოლოვიოვი, ვლ. 324, 335
სტამბულოვი 224, 225, 226
სტერნი 368
სტოლიპინი 312
Стоюнин, В. Я. 17
სტრუვე, პ. 334
სუდაკოვი 178, 348
სუმბათაშვილი 338, 339
სურამელი, მ. 51
სურგულაძე, პ. 204

ტ

ტარტაკოვი 55
ტენი 201, 320, 330, 356
ტოოლი, ფ. 395
ტოლსტოი, ლ. ნ. 436, 437, 438, 439, 440, 441
ტულუპოვი 254
ტურგენევი 322, 329

უ

უზნაძე 170
უთურაშვილი, გ. 77
ურთაშვილი, ივანე 7, 8
უშინსკი 87, 167, 204, 215, 222, 421, 434

ფ

ფერაძე 170
ფიგნერი 55
ფიდლერი 270
ფიცხელაური, ნ. 49
ფიხტე 331
ფონ-ანრეპი 310, 311, 312
Фролков, А. 16

ქ

ქავთარაძე 75
ქავთარაძე, ანდრია 181
ქლესოვი 49, 50

ღ

ღამბარაშვილი, მ. 339
ღამბაშიძე, ვახტანგ 349
ღლონტი 170

ყ
ყავრიშვილი, დ. 339
ყაზბეგი, ა. 107
ყაზბეგი, ნ. 49, 51, 52, 53
ყაზბეგი, ო. 53
ყიფიანი, მიხეილი 5, 6, 8, 35

შ
შავგულიძე, ონისიმე 55, 56
შარაშიძე 170
შაჰ-აბაზი 137
შელინგი 331
შერდერი 215
შერემეტევსკი, ვლ. 214, 222
შესტაკოვი 254
შექსპირი 222, 320, 329, 419
შვარცი, გერმან 368
შილერი 218
შინგარიოვი 305
შლიცბერგერი 147
შოხორტროცკი 277
შუბლაძე, ანდრო 142, 143, 172
შჩეპკინი 255

ჩ
ჩუბინაშვილი, ნ. 98, 99, 118
ჩხეიძე 75

ცა
ცაგარელი 49, 77, 99
Цапп 23
ცახელი 107
ცინცაძე, თ. 49, 53

წ
წერეთელი 75
წითლიძე, არ. 141

ჭ
ჭავჭავაძე, ილია 6
ჭიჭინაძე, ალ. 241, 242
ჭიჭინაძე, ზ. 178

ხ
ხაზაროვი 170
ხახანაშვილი 76
Хенес 23
ხიმშიაშვილი, ლევან 51, 52
ხიმშიევი, ელ. 53, 77
ხრამელაშვილი, ეგნ. 141, 243, 244, 245, 246
ხუციშვილი, ყოლამრეზა 137, 138

ჯ
ჯავახიშვილი, ა. 136, 137
ჯავახიშვილი, ალექსანდრე 339
ჯავახიშვილი, ივანე 247
ჯანაშვილი, მ. 118, 119, 120
ჯანაშია, ნიკო 142, 143, 172
ჯაფარიძე, ა. 51, 52
ჯაჯანაშვილი 156, 176
ჯომარჯიძე 170

ჰ
ჰეგელი 327, 331
ჰერბარტი 196
ჰეტე 295
ჰიუგო 328
ჰუმბოლტი 317

შინაარსი

მიხეილ ზაალის ძე ყიფიანის ხსოვნას /წერილი კავკავიდგან/ 5

სასურველი ანდერძი..... 7

კავკაველ ქართველების საზოგადო კრება 8

ПО ВОПРОСУ ОБ ОБРАЗОВАНИИ ИНОРОДЦЕВ 10

ბ-ნ პ. გოთუას „ღია წერილის“ გამო 18

Неестественность „естественного“ метода в деле обучения языкам..... 21

კავკასია. მეთვალყურის შენიშვნები. /წერილი კავკავიდგან/ წიგნით ვაჭრობის საქმე. – ხელოსანთა ურთიერთ-შორისი დამხმარებელი ამხანაგობა. – საკვირაო სკოლა მოზრდილთათვის. – სახალხო სეირნობა და თეატრი. 32

კავკასია. მეთვალყურის შენიშვნები /წერილი კავკავიდგან/ სახალხო სეირნობა; კიდევ საკვირაო სკოლის შესახებ; ძველი განზრახულობა კავკავის სკოლასთან საკომერციო განყოფილების დაარსებისა და მისი შეუსრულებლობა. 36

ჩვენებური ამბები. მეთვალყურის შენიშვნები /წერილი კავკავიდგან/ საზოგადო კრება კავკაველ ქართველებისა. – არჩევანი კავკავის სკოლის სამზრუნველოს ახალი წევრებისა. – შეუსაბამო აზრი საზოგადოების ერთის წევრისა. – საკვირაო სკოლის საქმე და საკვირაო საქალებო სკოლა. 44

ქართული სახალხო წარმოდგენა /წერილი კავკავიდგან/ 49

ქართული წარმოდგენა კავკავში / წერილი კავკავიდგან/..... 51

თეატრი და ხელოვნება..... 53

კავკასია 54

მოკლე ანგარიში. ბ-ნ დ. ზ. სარაჯიშვილის კავკავის სპირტის სახდელ ქარხანასთან მუშათათვის დაარსებულ საკვირაო სკოლისა /1797-1902 წ./. ... 56

საუბარი სახალხო სკოლებზე/ ბ-ნის ივანე როსტომაშვილის წერილის გამო/ 63

ქართველთა გასომხება /წერილი რედაქციის მიმართ/ 75

თეატრი და ხელოვნება..... 77

ჟურნალ „მოგზაურის“ პედაგოგიური ნაწილი..... 78

კორესპონდენცია 100

სასკოლო საქმე 101
საბავშვო თეატრი 104
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. „სკოლებში შესასწავლი ქართველი მწერლები. წიგნი პირველი, შედგენილი ივ. გომელაურის მიერ. 106
მცირე შენიშვნა /სახალხო სკოლების მასწავლებელთა საყურადღებოდ/ 109
პიროვნების თავისუფლება 111
ბიბლიოგრაფია. „ქართული გრამატიკა“ მ. ჯანაშვილისა 118
მცირე შენიშვნა /ჟურნალ „ნაკადულის“ შესახებ/ 120
ჟურნალი „ნაკადული“ და ჩვენი საბავშვო მწერლობა /კრიტიკული შენიშვნა/ 121
სრულიად რუსეთის კავშირი მასწავლებელთა და სახალხო განათლების მომხრეთა 128
ბიბლიოგრაფია. ჟურნალ „ნაკადულის“ პედაგოგიური დამატება 131
პირველი საზრუნავი საგანი „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობისა. /წერ. რედ. მიმ./ 136
ყოლამრეზა ხუციშვილი /ნეკროლოგი/ 137
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას 139
მოხსენება ძველი სენაკის, ბათუმისა და წინარეხის სკოლების შესახებ 140
ბათუმისა და ძველი სენაკის სკოლების რევიზიის შესახებ 162
პროვინცია. იმერეთი 181
განათლება ძალაა 182
უცხოეთის მიმოხილვა. სწავლა-აღზრდის საქმეები უცხოეთში /ჟურნალ-გაზეთებიდან/ წერა-კითხვის უმეცარნი ბელგიაში. – მანიფესტაცია სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ. – წინაპართა თაყვანისცემა იაპონიაში. – განათლება და ზნეობრივი აღზრდა იაპონიაში. – საფრანგეთის მასწავლებლების მონაწილეობის მიღება სკოლის საქმეების მართვა-გამგეობაში. – სტატისტიკური ცნობები სწავლა-განათლების შესახებ უცხოეთში 194
დედა ენა, როგორც საფუძველი სწავლებისა 204
ბოლგარია. სახალხო მასწავლებლები და მათი კავშირი 223

რუსეთის ცხოვრებიდან. არა რუსთა სკოლების მდგომარეობა ბალტიის მხარეში; გამოურკვევლობა სკოლებში; პოლონეთის „მატიცა“ და მისი ბედი, სკარჟინსკის სიტყვა პოლონეთის „მატიცას“ შესახებ; უკრაინელების ბრძოლა ეროვნული სკოლებისათვის; ფედერატიული კავშირი მასწავლებლებისა; რუსეთის მოწინავე საზოგადოების აზრი ნაციონალური სკოლების შესახებ წინააღმდეგ რუსთა ცრუ პატრიოტებისა. სტატისტიკური ცნობები რუსეთში სწავლა-განათლების საქმის შესახებ..... 234

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. მოკლე საუბარი თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს პირველ-დაწყებითი კურსი გეოგრაფიისა სამშობლოს აღწერის სანიმუშო პროგრამით ალ. ჭიჭინაძისა, ქუთაისი. 1907 წ. ფასი 20 კაპ..... 241

არითმეტიკულ ამოცანათა და რიცხვითი მაგალითების კრებული. ნაწილი I. შედგენილი ე. ხრამელაშვილის მიერ. ტფილისი. 1906 წ. ფასი 20 კაპ..... 243

შინაური მიმოხილვა. საჯარო კითხვები ქართულ ენაზე და ჩვენი პროფესორები. – სამეურნეო სწავლა-განათლება საქართველოში. – სახალხო უნივერსიტეტი და ქართული სექცია. 247

რუსეთის ცხოვრებიდან. პედაგოგიური პრესა რუსეთში 1907 წ. – ახალი სკოლა და თავისუფალი აღზრდა. ბესარაბიის მოლდავანები და მათი მოთხოვნილება ეროვნული სკოლების დაარსების შესახებ. პ. დიჩესკულის მოხსენება სახალხო განათლების სამინისტროში ამავე საგნის შესახებ. წესდება და გაკვეთილების ცხრილი, გამოცემული სახალხო განათლების სამინისტროს მიერ არა რუსთა სკოლებისათვის..... 254

უცხოეთის მიმოხილვა /ჟურნალ-გაზეთებიდან/ ფრანგების მასწავლებლები ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების საკითხის შესახებ. – ნორვეგიის მასწავლებელთა კავშირი. – პარიზის დასაწყისი სკოლები. ახალი რუსული საშუალო სკოლა ჟენევაში. – ბრძოლა ინგლისში სასულიერო და სამინისტრო მთავრობათა შორის სკოლების შესახებ. – საშუალო სკოლის რეფორმა ავსტრიაში. – თამბაქოს წევის მავნებლობა მოწაფეთა შორის 265

არითმეტიკული ამოცანების სწავლების წესი დასაწყისს სკოლებში 277

ქართველ მასწავლებელთა შორის. დღევანდელი პირობები. – სახალხო მასწავლებელთა აზრი დედა ენით სწავლების შესახებ. – მათივე აზრი რუსული ენის სწავლებისა და რუსული ენის სახელმძღვანელოების შესახებ. – თბილისის დასაწყის საქალაქო სკოლების პროგრამის გამო 286

შინაური მიმოხილვა. სამრევლო სკოლები. – სახალხო უნივერსიტეტები. – ქართველ სტუდენტთა კავშირი. – სოფლად მუშაობა. – მასწავლებელთა კრებები. – ლექციები მასწავლებელთათვის. – ქართული ენა სასულიერო სემინარიაში. 291

რუსეთის ცხოვრებიდან. ამურის რკინის გზის პროექტი სათათბიროში. – კამათი საერთო განათლების შესახებ. – სათათბიროს მოქმედების ხასიათი და ოქტომბრისტებს შორის უთანხმოება. – თანამედროვე მდგომარეობა. 304

ენა და ეროვნება 315

შინაური მიმოხილვა. ქართველი საზოგადოება მოსკოვში. ყაზბეგის ქალთა სკოლა. ვაჭრების მონაწილეობა „წერა-კითხვის საზოგადოების“ საქმეში. სახალხო უნივერსიტეტი ჭიათურაში. საღამოობით კურსები ბათუმში. ქართველები სამასწავლებლო ინსტიტუტში და სემინარიაში. სახალხო სკოლების მასწავლებელთა განცხადება. „ქართული სამკურნალო ჟურნალი“ და ჩვენი ექიმები. ქართული სკოლის საჭიროება სპარსეთში 337

უცხოეთის მიმოხილვა /ჟურნალ-გაზეთებიდან/ უკანასკნელი სტატისტიკური ცნობები ამერიკის სკოლების შესახებ და მიზეზი სკოლის დაკლებისა. საზოგადო დებულებითი მხარე ამერიკის სკოლებისა. არითმეტიკის სწავლება დასაწყის სკოლებში ამერიკული სისტემით. საკითხი მიწის შემუშავების შესახებ საფრანგეთის დასაწყის სკოლებში. დასაწყისი განათლება სერბიაში. პარიზისა და ბერლინის დასაწყისი სკოლები. გამოკვლევა ექსპერიმენტალურ პედაგოგიაში. სკოლა ტყეში 351

ქართული წერის დედანი, შედგენილი ალ. მირიანაშვილის მიერ. ფასი 40 კაპ., სახატავი ნიმუშები და ქართული წერის დედანი ს. დათეშიძისა, 1907 წ. ფასი 20 კაპ. 370

რედაქციისაგან 374

ედმონდო დე-ამიჩისი. † 12 მარტს 1908 წ. 375

მასწავლებლის თავგადასავალი 376

თავისუფალი აღზრდა ბავშვის პსიხოლოგიის მიხედვით 395

აკაკის პედაგოგიური აზრების მოკლე მიმოხილვა 419

ლ. ნ. ტოლსტოის პედაგოგიური აზრები 436

შენიშვნები 442

სახელთა საძიებელი 447